რევაზ

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2012

მიშველაძე

ნოველები

ტომი VI

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-272-5 (VI ტომი)

რედაქტორი **ნანა სუხიტაშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **გიორგი მახარაშვილი**
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

მაესტრო

„ახალი კოლონიის“ რაიონს ამას წინათ სახელი გამოუცვალეს და „დემოკრატიის“ რაიონი დაარქვეს. მე ვფიქრობ, კარგადაც მოიქცნენ. „ახალი კოლონიის“ რაიონი ქალაქის ერთ საგარეუბნო რაიონს მაშინ უწოდეს, როცა ორმოცი წლის წინ ამ შემოგარენში უბნის სიამაყე – შრომა-გასწორების კოლონია გაშენდა. კოლონია ახლაც ასრულებს თავის საპატიო ფუნქციას, მაგრამ რაიონის სახელწოდება ცოტა მოძველებულად ჟღერდა და ადმინისტრაციულ ქვეტექსტს ინარჩუნებდა. „დემოკრატიის რაიონი“ ფონეტიკურადაც მშვენიერია და თანამედროვეობასაც ეხმიანება.

დემოკრატიის რაიონის მკვიდრმა ერვანდ ქერქაძემ პოლიკლინიკის წინ „ჟიგული“ გააჩერა, სამუხრუჭე პედალი და საჭე ერთმანეთს საიდუმლო ბოქლომით მიაბა და გულდაარხეინებულმა იმით, რომ მანქანას არავინ მოჰპარავდა, ღია კარში შეაბიჯა. გუშინაც აქ იყო ერვანდი. მარჯვენა მეოთხე საღეჭი კბილი დაუპლომბეს, მაგრამ პლომბი ზუსტად ხუთი საათის შემდეგ ამოუვარდა და მარჯვენა მეოთხე საღეჭი კბილის ხელმეორედ დასაპლომბად გეახლათ. „დაპლომბვა“ რომ მთლად ქართული და მოხდენილი სიტყვა არ არის (ამ პროცედურის არასასიამოვნობას რომ თავი დავანებოთ) ნოველის ავტორმა კარგად იცის, მაგრამ კბილის დაზიანებული ნაწილის ჩადუღებ-ჩაცემენტებას (ზოგი ბეტონ-საბჯენის ორიგინალური სახელით რომ ნათლავს) ლექსიკონებში „დაპლომბვას“ ეძახიან და სანამ უფრო მოხუჯურ ტერმინს ვიპოვიდე, მეც იძულებული ვარ პლომბი თავისი რუსული (რუსულია კი?)

სახელით მოვიხსენიო. თავს იმით ვინუგეშებ, რომ ჩვენი ენის სჯულმდებელთა – რუსთველის ან სულხან-საბას დროს კბილის დაპლომბვის უსაყვარლესი ოსტატები არ არსებობდნენ. პასუხს შეკითხვაზე: არც იგორის ლაშქრობის დროს იპლომბებოდა კბილები, მაგრამ, ხომ ხედავთ, სამედიცინო ტერმინი არსებობსო, მე არავინ მავალდებულებს, ხოლო ვისაც ამნაირი ამბების ცოდნა მოეთხოვება, მშვენივრად იცის, რომ პლომბი ძველი მნიშვნელობით და პლომბი ახალი მნიშვნელობით საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საერთოდ კი პლომბის დადება დალუქვას (ლუქის დადება), დაბეჭდვას ნიშნავს.

სამშაბათი იყო. დამკვრელური შრომის სამშაბათი. ქერქაძეს რიცხვიც მშვენივრად ახსოვს – ოცდაშვიდი ოქტომბერი. ცაზე, მოსარკულიაო ვერ იტყოდით, მაგრამ არც წვიმას აპირებდა. ფრანებივით ეკიდნენ თეთრი, მსუბუქი, უნაყოფო ღრუბლები. აღმა-დაღმა დააპორწიალებდა ქარი იმ ღრუბლებს და საღამოთი დასავლეთისკენ, ივერიონის ქედს მიღმა ჩარეკავდა.

ამ დროს – თერთმეტ საათზე სამსახურის ხალხი თავის ვახტს ეწევა. ქუჩაში ძირითადად მივლინებით ჩამოსულნი, გზააბნეული ტურისტები, უმუშევრები და გუშაგ-მეთვალყურენი დააბიჯებენ. კბილს რომ არ შეეწუხებინა, ერვანდ ქერქაძეც თავის ჩვეულებრივ ადგილზე – ოპერის თეატრში იქნებოდა. ერვანდი, ჟურნალისტური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „წარსულში ცნობილი“ დირიჟორი გახლავთ. საპენსიო ასაკი, ჰა და ჰა, ჰქონდა და არც კი ჰქონდა, მისი ხნის დირიჟორებიც წლების განმავლობაში შეუცვლელად დგანან პულტთან ჩვენი უკიდეგანო ქვეყნის სხვადასხვა ოპერის თეატრებში, მაგრამ ერვანდს ეს ერთი წელია პენსიაზე უბიძგეს და დირიჟორ-კონსულტანტად გაამწესეს. დირიჟორ-კონსულტანტის შტატი, მართალია, ფინანსთა სამინისტროს მკაცრი ლიმიტით ოპერაში არ არსებობს, მაგრამ ქერქაძეს გამოუგონეს – მისი მოხუცური ჭირვეულობა რომ დაეკმაყოფილებინათ. წამყვანი

დირიჟორობიდან დირიჟორ-კონსულტანტის საპატიო, მაგრამ ბუნდოვანფუქციიან სკამზე გადაადგილებით ღვაწლმოსილი დირიჟორის ცხოვრებაში გარეგნულად, თითქმის, არაფერი შეცვლილა. იგი კვლავინდებურად ცხრა საათზე ცხადდებოდა თეატრში, სცენის მუშებისა და გამნათებლებისათვის კვლავ სასურველი, მხიარული მაესტრო იყო. ძველებურად, საქმიანად დააბიჯებდა ჰოლში მსახიობთა სატუალეტო კაბინეტების წინ პეპელაჰალსტუხიანი და თმაატალღებული. ოღონდ ეგ იყო, რეპეტიცია რომ დაიწყებოდა, საოცარი სევდა შეიპყრობდა, თავის მომცრო კაბინეტში შეიკეტებოდა და შესვენებამდე არც გამოიხედავდა. რას აკეთებდა, ვერ გეტყვით. კარს შიგნიდან კეტავდა, რომ მისთვის ესოდენ ძვირფასი მყუდროება არავის დაერღვია.

ყოფილ დირიჟორს დღეს სხვა სტომატოლოგთან მოუწია მკურნალობამ. გუშინდელ ექიმს ცვლა სამზე ეწყებოდა და, კაცმა რომ თქვას, ერვანდს გაეხარდა კიდეც ეს ამბავი. მართალია, ამ ექიმმაც ზუსტად ისევე, აუჩქარებლად, კოლეგებთან მარტივ თემებზე გადალაპარაკ-გადმოლაპარაკებით დაუპლომბა კბილი, მაგრამ ქერქაძისთვის მაინც დიდი ნუგეში იყო; ხუთი საათის გაურკვეველი მოლოდინი და, ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლებოდა, პლომბი სამ დღეს მაინც არ ამოვარდნილიყო?

მანქანას რომ უახლოვდებოდა, უკვე იცოდა, რომ ავტოინსპექციის წარმომადგენელმა ნომერი მოუხსნა. რა მიხვედრა უნდოდა, შორიდანვე შენიშნა, წინა პარპრიზზე საწმენდ მკლავჩოთქში შეჩურთული ქაღალდი, უეჭველია, ავტოინსპექტორის წერილი იქნებოდა, რადგანაც მოხუც მაესტროს ქალიშვილები სასიყვარულო ბარათებს კარგა ხანია აღარ წერდნენ და, ღმერთო შეგცოდე, არც ჯეელობაში იყო ქალების ყურადღებით განებივრებული. აწუხებდა თუ არა მისი სახელოვანი პერსონისადმი მშვენიერთა სქესის აუხსნელი უყურადღებობა, ეს სხვა საკითხია. ერვანდს მოარშიყე კაცებზე თავისი შეხედ-

ულება ჰქონდა. ჩვენ უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავთ, სხვა არაფერი.

ავტოინსპექციის გულისხმიერი მუშაკები ჩვეულებრივ უკანა ნომერს ხსნიან. ერვანდს „ჟიგულისთვის“ ამჯერად უკნიდან არც შეუხედავს, ბარათს ჩაუღრმავდა: „თქვენი ნომერი მოხსნილია არასწორი დგომის გამო, გთხოვთ გამოცხადდეთ ქალაქის ავტოინსპექციაში. ავტოინსპექტორი რამინაშვილი“. ასე მარტივად და გასაგებად ეწერა ქაღალდზე. ერვანდმა ქაღალდი ისევ საწმენდს მიამაგრა და მიიხედ-მოიხედა. ამ ადგილას აყენებდა იგი თავის „ჟიგულს“ მძღოლური მოღვაწეობის ცხრა წლის განმავლობაში და არასოდეს ნომერი არ მოუხსნიათ. ელექტრონის ბოძზე, ჭადრის ტოტებს შორის, მართლაც, აღმოაჩინა დგომის ამკრძალავი ნიშანი და თავის თავს გაუწყრა, რატომ დროზე ვერ შევნიშნეო. გაკვირვებით გაუკვირდა, მისი „ჟიგულის“ გასწვრივ მდგომ სხვა მანქანებს რომ არ ჰქონდათ ნომერი მოხსნილი, მაგრამ ამის გამოძიება აღარ დაუწყია. ავტოინსპექტორი უნდა ენახა, სანამ მოძრაობის უსაფრთხოების დამცველი ნომერს ქალაქის ავტოინსპექციაში მიიტანდა. ერვანდისთვის სხვა დროსაც მოუხსნიათ ნომრები, მაგრამ, რომ უთქვამს, დირიჟორი ქერქაძე ვარ და მაპატიეთო, თავაზიანად უკან დაუბრუნებიათ.

ორახელაშვილის ქუჩას ზემოთ, აბანოსკენ აუყვა და ბუდიონის ბიუსტთან, პატარა მოედანზე ავტოინსპექციის მოტოციკლი რომ შენიშნა, გულზე მოეშვა. წრეში შევიდა, „ჟიგული“ დაამუხრუჭა და კარიც არ მიუგდია, მაღალ, ხელჯოხიან ინსპექტორს წერილი გაუწოდა.

– დირიჟორი ქერქაძე ვარ მე.

– გიცნობთ ბატონო, ერთი წუთით, ბოდიში, – წესრიგის დამცველი ატუტუნებული რაციისკენ გამოიქცა – ჭითანავა გისმენ! – ჩასძახა მიკროფონს – „ჭითანავა, ჭითანავა! ცხრა ძმის ქუჩაზე გავარდი ახლავე. შემთხვევაა გესმის? მორიგე ვარ!“

– გასაგებია, მივდივარ. რა ადგილასაა?

– იქვე დასაწყისში. ნუ კარგავ დროს!

– არის! – ჭითანავამ რაცია გამორთო, მოტოციკლს მოახტა და დირიჟორს მიუბრუნდა – ბოდიშს ვიხდი, შემთხვევაზე გავრბივარ. რამინაშვილს მოუხსნია. კობა ჰქვია. ახალგაზრდაა. აქეთ არც მინახავს ამ დილით. თუ წაღებული არა აქვს, ქვევით, ძველ საკირესთან იქნება! – ქაღალდი დაუბრუნა და მოაძახა. არაა გლახა ბიჭი, ნახეთ!

საკირე იმ ადგილას კარგა ხანია აღარ არის. ნეტავი როცა იყო, მაშინაც არ ყოფილიყო. იმ საკირეზეა ლაპარაკი, ძვირფასო მკითხველო, რომელშიც ჭორმეცნიერული ვარაუდით ივანე მაჩაბელმა თავი დაიწვა. ამ ავადსახსენებელი საკირის გამო ძველად მთელ უბანს საკირისუბანი ერქვა, ქალაქის უძველეს ოთხკუთხედ მოედანს – საკირის მოედანი. ახლა, როგორც მოგახსენეთ, საკირის ჭაჭანება ახლომახლო აღარსადაა და სახელიც უბან-მოედანს სამჯერ შეეცვალა, მაგრამ ხალხი მაინც ძველი სახელით იხსენიებს. მოქალაქეთა კოლექტიური ხსოვნა ძლიერი რამ არის.

შავ-ყვითლად აჭრელებულ „ვოლგასთან“, რომლის თავზეც ცისფერი ნათურა ტრიალ-ბრდღვიალებდა, ორნი იდგნენ. მოძრაობის გუშაგნი ერთმანეთს ეკამათებოდნენ, და რატომღაც (რაც იშვიათზე იშვიათად ხდება), ირგვლივ მორიალე მანქანების მდინარეს ყურადღებას არ აქცევდნენ. ქერქაძის „ჟიგულის“ მუხრუჭების ღრჭიალზე ერთდროულად მოიხედეს.

– გამარჯობათ.

ინსპექტორებს სალამზე არ უპასუხნიათ. ზედმეტად მიიჩნიეს. საერთოდ ავტოინსპექტორებს დღეში უამრავი ნაცნობ-უცნობი მძღოლი ესალმება და ყველას რომ უპასუხონ, კისრის მალები დაუცვდებათ.

– რომელია თქვენს შორის კარგი კაცი – რამინიშვილი?

– რამინიშვილი კი არა, რამინაშვილია, – უმცროსმა ლეიტენანტმა წერილი გამოართვა, – სად მოგიხსნეს, ბატონო ერვანდ?

– პოლიკლინიკის წინ. აკრძალული იყო მანდ დგომა?

– ახლა აკრძალეს, – ლეიტენანტმა ქაღალდი დაუბრუნა – ერთი საათის წინ ჩამოიარა კობამ, რამინაშვილმა. მარტო იჯდა. – გრძელკისრიან კოლეგას გახედა.

– რა ვქნა, აბა, სად ვიპოვო? – წყენა დაეტყო ხმაზე ქერქაძეს.

– ინსპექციაში მოგიწევთ მისვლა. იქ იქნება უეჭველად. იქ ზის ხოლმე. ახალი მიღებულია. თქვენ არ გეცოდინებათ. ეგ საერთოდ არ ხსნის ნომრებს. არ ეხება მორიგეობა. რა ბზიკმა უკბინა. აქ რომ იყოს, გამოვართმევდით. ჩაყევით ბოლომდე, იქნებ შეგხვდეთ. „ჟიგულზე“ ზის, ოცდათერთმეტი-ნოლსამი.

– გმადლობთ, კარგად, – ქერქაძემ ძრავი აათუხთუხა.

ავტოინსპექტორებს არც დამშვიდობებაზე მიუციათ პასუხი. კამათი განაგრძეს. ისე, რაზე კამათობდნენ ასე ცხარედ, საინტერესო კია, ხომ?

ორი საპატიო წრეც დაარტყა ქერქაძემ ორახელაშვილის ქუჩას, მაგრამ რამინაშვილის კვალს რომ ვერ მიაგნო, ქალაქის ინტერნაციონალური რაიონისკენ აიღო გეზი და ყაზარმული ტიპის გრძელ შენობას მიადგა. შენობა, რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის წყალობით, მთლიანად ხარაჩოებში იყო ჩასმული, მაგრამ, ეტყობა, ავტოინსპექციის საქალაქო კოლონა სხვაგან არ გადაეყვანათ. შესასვლელის თავზე გაზეთისჩაჩიანი მუშები ხარაჩოებზე იდგნენ და კედლებს გაჯით ლესავდნენ. ავტოინსპექტორი კარს რომ მოადგ-მიადგებოდა, ჯერ მაღლა აიხედავდა, მეგაჯეებს რაღაც გაურკვეველს შესძახებდა, მერე სასამსახურო ჩანთას დაიფარებდა თავზე და, თითქოს ხანძრიდან გამორბისო, ორი ნახტომით გამოშორდებოდა საშიშ გაჯზონას.

იღბლად, პირველივე კაცი, ვინც რემონტგამეფებულ დერეფანში შეხვდა და მოხუცმა მაესტრომ მოწიწებით ჰკითხა, „რამინაშვილს სად ვიპოვიო“, თვით აღმოჩნდა რამინაშვილი. იგი გაჯისა და ბენზინის სუნით აქოთებულ დარბაზში შეუძღვა დირიჟორს. დარბაზში ათიოდე მაგიდა იდგა და მაგიდას შემომსხდარი ამდენივე ავტოინსპექტორ-თეორეტიკოსი თავის საქმეს ჩაღრმავებოდა. კობამ ცარიელ მაგიდასთან მიიყვანა ქერქაძე, დამტვერილი სკამი მოშავო ჩვრით გადაუწმინდა, დასვა, მაგიდის კუთხეში დადებული ქუდი აიღო, თავზე ფრთხილად მოირგო, დაჯდა, ხელის თითები ერთმანეთს მიადო და თქვა.

– ზემდეგი კობა რამინაშვილი გისმენთ.

– დირიჟორი ერვანდ ქერქაძე გახლავართ მე.

კობა მიხვდა, რომ დღეს მის მიერ მოხსნილ ერთადერთ ნომერზე იყო ეს დარბაისელი კაცი მოსული. ისიც იანგარიშა, რომ დირიჟორისთვის ნომრების დაბრუნება დაუსჯელად მოუწევდა, მაგრამ მაინც, სიტყვის მასალად ჩაილაპარაკა.

– სასიამოვნოა. რაზე შეწუხდა პატივცემული დირიჟორი, რით ვემსახუროთ?

ქერქაძეს მოეწონა ახალგაზრდა კაცის თავაზიანი კილო და დახვეწილი, ინტელიგენტური დამოკიდებულება სტუმრისადმი. რამინაშვილი საშუალოზე დაბალი, ფერმკრთალი, ოცდაათიოდე წლის კაცი იყო. სქელი, კუპრივით შავი ულვაში და, რატომღაც, მეტყველ, თაფლისფერ თვალებს ზემოთ, ქერა, თხელი მოშვილდული წარბები ჰქონდა.

– რემონტი გქონიათ, – პირდაპირ საქმეზე რომ გადავიდე, უხერხულიაო, გაიფიქრა სტუმარმა.

– კი, ბატონო, ერთი წელია ვიხრჩობით მტვერში. არ დაადგა საშველი.

– სამაგიეროდ კარგი გამოდის. გარედან დავაკვირდი, მომეწონა.

– მაგის იმედით ვართ.

– ჩემი ნომერი მოგიხსნიათ. ზევით, ორახელაშვილზე, პოლიკლინიკასთან, ორმოცდათხუთმეტი-ორმოცდათოთხმეტი.

კობამ ქვედა უჯრა გამოსწია, ნომერი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

– ეს არის ხომ, ბატონო ედმუნდ? მაპატიეთ, მგონი სახელი შემეშალა.

– არაუშავს, ერვანდი მქვია, ეს არის.

– ბოდიშს ვიხდი, ბატონო ერვანდ. კი, პოლიკლინიკასთან გეყენათ. მანდ ახლა დაკიდეს ნიშანი.

– რა ვქნათ, აბა, პოლიკლინიკაში მიმსვლელებმა, სად გავაჩეროთ მანქანები?

– მაგდენი რომ ვიცოდე, ბატონო ერვანდ მე, აქ ვიქნებოდი?

„მართლაც და ამ ყმაწვილმა რა პასუხი უნდა მომცეს. ააშენა ღმერთმა, ურიგო ბიჭი არ ჩანს, ბოდიშს მოვუხდი, მადლობას ვეტყვი და წავიღებ ნომერსო“, გაიფიქრა ქერქაძემ, მაგრამ ამჯერად ყველაფერი ასე იოლი როდი აღმოჩნდა.

– ამ ხნის, ასე დამსახურებულ კაცს მეორეჯერ როგორ მოგიყვანთ აქ, ბატონო ერვანდ, ერთი გარემოება რომ არ მაშინებდეს, – რამინაშვილმა ქუდი მოიხადა, შუბლი შეიწმინდა და ისევ დაიხურა. ქუჩაში მორიგეობა მე არ მეხება. ამ დილით მეც პოლიკლინიკაში მქონდა პატარა საქმე, ძმისშვილისთვის ცნობა უნდა ამეღო. ის იყო, შევაჩერე მანქანა და სიგნალი დამცხო შოფერმა. გავხედე სარკეში, პერსონალური მომსახურების მანქანაა. ჩაკოსტუმ-ჩაგალსტუკებული კაცი ხელს მიქნევს. მივედი ახლოს, ვერ ვიცანი. დამიბღვირა: „რას აკეთებთ, როგორ გაგივიდათ თავს, ავტოინსპექტორებსო. ხომ ხედავ, აკრძალვის ნიშანი რომ ჰკიდია, რატომ არ ხსნი ნომრებსო“, თქვენს ჟიგულზე მიმითითა. რას ეტყვი. ჩემი უშუალო უფროსი არაა, მაგრამ აშკარად ჩანს, თანამდებობის კაცია. მაგათ შეკამათება არ უყვართ. მოვხსნი, ბატონო, ახლავე-მეთქი. სანამ ქანჩს ამოვიღებდი და თქვენს მანქანასთან დავიხრებოდი, არ დაუძრავს მანქანა. მოვედი აქ და გავარკვიე, ჩვენი სამინისტროს სამმართველოს უფროსი ყოფილა, ფხალაძე. ეს სამმართველო ახალი გახსნილია, ორი წელი არც არი. ადრე კაკაბაძე იყო უფროსი, ის კაკაბაძე მინისტრის მოადგილედ გადაუყვანიათ, ფხალაძე ახალი კაცია, ვერ გეტყვით, ადრე სად მუშაობდა.

ნომერს ახლავე გაგატანდით, მაგრამ თქვენც უნდა შეხვიდეთ ჩემ მდგომარეობაში, ფხალაძისთანებმა დამახსოვრება იციან, რომ დარეკოს და მოიკითხოს? ხომ იცით, მე პატარა კაცი ვარ, ჩემს გაგდებას რა უნდა.

დამსაჯეთ, აბა, როგორც მეკუთვნის, რა ვქნა, აბა, შენი საქმე რომ გაფუჭდეს, არც ის მინდაო, ქერქაძემ.

თურმე მთავარი სიძნელე ის იყო, რომ რამინაშვილს, არც ნომრის მოხსნის უფლება ჰქონდა და, მით უმეტეს, არც დასჯის. სამმართველოს უფროსმა ნომრის მოხსნა უბრძანა, მაგრამ ის კი არ უკითხავს, ვინ ხარ. შენ, რა მოხელე-ჩიქვანი ხარო. კობა თვე-ნახევრის მიღებულია ავტოინსპექციაში და ჯერ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების და განაცხად-შეტყობინებების აღრიცხვა-შეკრების მოკრძალებული საქმე აბარია.

კარგა ხანს ისაუბრეს და ბოლოს რამინაშვილმა ნომერი დაუბრუნა მოხუც დირიჟორს, მაგრამ სთხოვა, თუ არ შეწუხდებით, ფხალაძესთან მიბრძანდით და გააცანით თავი, ეშმაკს არ სძინავსო.

მეორე დღეს, ნასადილევს, ერვანდ ქერქაძე ფხალაძის კაბინეტის წინ ბოლთას სცემდა. სამმართველოს უფროსმა სახელდახელო თათბირი დაამთავრა და მაესტრო დაუბრკოლებლივ მიიღო.

– გისმენთ, დაბრძანდით, – ფხალაძეს ფორმა რომ არ სცმოდა შიდსის პოტენციურ მატარებელს დაემსგავსებოდა; გამხდარ-გალეული, ფერგამკრთალი პირისახით და ყურებში ჩასული თმის ძველმოდური ვარცხნილობით.

მაესტრო არ დამჯდარა, მაგრამ მასპინძელი ამ გარემოებას დიდად არ შეუწუხებია. მან ყოველ შემთხვევისთვის, ზრდილობისთვის შესთავაზა სკამი შემოსულს და დირიჟორს რომ შეხედა, გაიფიქრა, იმ ადამიანების კატეგორიას ეკუთვნის, საჩივრების გრძლად თხრობა რომ იციანო.

– ერვანდ ქერქაძე გაწუხებთ, ბატონო, დირიჟორი, –

ხმადაბლა, მუდარის კილოთი დაიწყო ქერქაძემ და რას წარმოიდგენდა, თუ ფხალაძეს დირიჟორები და დირიჟორების მონათესავე სპეციალობის მოქალაქენი საერთოდ არ უყვარდა.

– დიახ, – ცივად თქვა სამმართველოს უფროსმა.

– ნომერი მოგიხსნევინებიათ ავტოინსპექტორისთვის გუშინ ჩემს მანქანაზე, პოლიკლინიკასთან, არასწორი დგომისთვის.

– მერე ჩემთან რატომ მობრძანდით?

– ვიყავი ავტოინსპექციაში. კარგი ბიჭი აღმოჩნდა რამინაშვილი, ავტოინსპექტორი. დარღვევისთვის ბოდიში მოვუხადე და დამიბრუნა ნომერი.

– ჩემთან რისთვის მობრძანდით-მეთქი.

– რა არის, იცით? – მაესტროს პირი გაუშრა, ასეთი რამ უკანასკნელ წლებში მხოლოდ დიდი აღელვების ჟამს ემართებოდა, – ეშინია თქვენი. თქვენ დაგივალებიათ ნომრის მოხსნა... ხომ იცით, ახალგაზრდა კაცია, წინ უნდა წასვლა... კაცურად მომექცა, რაც მართალია, მართალია.

– მე რა გავაკეთო-მეთქი ბატონო, ქართული ხომ კარგად იცით თქვენ?

მაესტრომ ინანა, მარტო აქ მოსვლა კი არა „ჟიგულის“ შეძენა საერთოდ.

– არაფერი... არ დასაჯოთ, უბრალოდ. შუამდგომლობისთვის მოვედი. თუ რამედ ვღირვარ საერთოდ... თუ რამე გამიკეთებია ხელოვნებისთვის.

– თქვენ მე დაგიბარეთ, პატივცემულო? – ხომ არსებობს გაბრაზებაგარეული, ძალად სიცილი. ასე გაიცინა ფხალაძემ.

– არა, ბატონო. მე თვითონ მოვედი. ხომ შეიძლებოდა, დაგესაჯათ ავტოინსპექტორი.

– რაზე?

– მე რომ არ დამსაჯა, სიტყვაზე ვამბობ... მაგალითად. შენო, დამსახურებულ დირიჟორს, აღარ გაგაწითლებ, არ დაგსჯიო, ოღონდ ფხალაძესთან მიშუამდგომლე, შენი დაუსჯელობისთვის მე არ დამსაჯოსო.

– ასე გითხრათ რამინაშვილმა?

– კი.

– რომელ ინსპექციაშია ეგა?

– ვინ?

– რამინაშვილი.

– ქალაქისაში.

– მე, პატივცემულო დირიჟორო, გუშინ დილით თხუთმეტ თანამშრომელს მაინც მივეცი შენიშვნა. თქვენ გგონიათ, ყველა მათგანს ვიმახსოვრებ, ან ყველა შენიშვნა მახსოვს? მე თუ არასწორად მოვახსნევინე ნომერი, რატომ არ შემეპასუხა, რატომ არ გამარკვია მაშინვე.

– არა, ბატონო, თქვენ სწორად მოგიხსნევინებიათ.

– აბა, რაში ვარ მტყუანი, ვერ გავიგე.

– მტყუანი ჩვენ ვართ. მე დავარღვიე და ავტოინსპექტორ რამინაშვილს უნდა დავესაჯე. არ დამსაჯა. შენაო, თეატრის კაცი ხარო, ამ ერთხელ გაპატიებო. ახლა შეშინებულია.

– რამ შეაშინა?

– საერთოდ... არ გამიბრაზდეს ფხალაძეო. ხომ შეიძლება დამახსოვრებოდა ეს ამბავიო.

– ნამდვილად გეტყვით, არ მახსოვდა. რა გვარია?

– რამინაშვილი.

ფხალაძემ ავტოინსპექტორის გვარი „ექვსდღიანზე“ მიინიშნა.

– თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

– ქერქაძე, დირიჟორი.

– წაბრძანდით, მივიღებ ზომებს, კარგად ბრძანდებოდეთ.

– თქვენ ვერ გამიგეთ, ზომების მიღება კი არ გვინდა. მე ვშუამდგომლობ... ერთი სიტყვით, თუ მოსახერხებელია, რამინაშვილი არ დაისაჯოს.

– ნუ დააშავებს და არ დაისჯება.

– არ დაუშავებია, ბატონო არაფერი.

– აბა, არაფრისთვის მობრძანდით თქვენ, ამ ხნის კაცი, ჩემთან? არაფრისთვის შეწუხდით?

– ჩვენ გვეგონა, გახსოვდათ თქვენ ეს ამბავი.

– რომელი ამბავი?

– ჩემი არასწორი დგომის ეპიზოდი.

– პატივცემულო, რამდენი დირიჟორი არასწორად დააყენებს მანქანას, ეგ რომ ვიმახსოვროთ, სად წავალთ. თქვენ უსაქმო ხომ არ გგონივართ, ბოლოს და ბოლოს?!

– ეგ არ მიკადრებია, ბატონო.

– ხომ აგიხსენით, წაბრძანდით, მშვიდად იყავით, არ გჯერათ ჩემი?

– როგორ არ გვჯერა. მე საერთოდ მშვიდად ვარ, მე ნომერი უკვე დამიბრუნეს. მე მინდოდა რამინაშვილიც მშვიდად ყოფილიყო. ახალგაზრდა კაცია, ღელავს. ვაითუ დამსაჯონო.

– არ გჯერათ ჩემი, არ მენდობით ხომ? – წყენა და მრისხანება დაეტყო ფუჭი დიალოგისგან თავმობეზრებულ ფხალაძეს, – თქვენ გგონიათ, არ დავრეკავ, არ დაგეხმარებით არ გცემთ პატივს? რა შემატყვეთ ასეთი უყურადღებობის. რატომ გინდათ ყველას, ახლავე, თქვენი თანდასწრებით გაკეთდეს ყველაფერი? ა, ბატონო, დავრეკავ ახლავე.

ფხალაძემ ჯერ ტელეფონების მომცრო, რუხყდიანი წიგნი აიღო. რა გვარი მოძებნა ვერ გეტყვით, ოთხი ციფრი აკრიფა და ყურმილს მშვიდად ჩაულაპარაკა:

– სალამი, ტავარიშ პადპალკოვნიკ, რა ამბავია თქვენკენ, უძლებთ? ასე უნდა ვიყოთ, რა მეტი გზაა. შენა, ავტოინსპექტორი გყოლიათ რამინაშვილი, ნომერი მოუხსნია დირიჟორისთვის, ჩვენთანაა, კი. გაერკვიე, თუ კაცი ხარ.

ყურმილი დადო და მაესტროს შეხედა.

– მოისმინეთ? დარწმუნდით ახლა მაინც? წაბრძანდით თქვენ, მოგართმევენ ნომერს.

– ნომერი უკვე მომცეს.

– მით უმეტეს თუ მოგცეს. ყველაფერი კარგად იქნება. მართლა ასე კი არაა ჩვენი საქმე, ზოგიერთს რომ ჰგონია. ჩვენ ხალხი ვართ აქ და ოჯახის პატრონები ვართ. ზოგს მარტო

დამსჯელები ვგონივართ. წაბრძანდით და იმუშავეთ მშვიდად.

მაესტრომ მადლობა მოახსენა, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მასპინძელმა არ დააცალა, კარამდე გამოაცილა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვა.

ამ ამბიდან ზუსტად მეხუთე დღეს, შუადღის პირველ საათზე ერვანდ ქერქაძეს თეატრში მიაკითხა ავტოინსპექტორმა კობა რამინაშვილმა და აუწყა, რომ გუშინ მას საყვედური გამოუცხადეს უკანასკნელი გაფრთხილებით და პირად საქმეში შეტანით; სწორედ ქერქაძის საქმესთან დაკავშირებით, სამსახურებრივი ვალდებულების შეუსრულებლობისა და ლიბერალობის გამოჩენისათვის.

ხოლო იმავე საღამოს მოხუც დირიჟორს მეორე უსიამოვნება შეხვდა. საღამოს გაზეთში რუბრიკა – „უდისციპლინო მძღოლების“ ქვეშ მის სახელსა და გვარს მოჰკრა თვალი. იქვე ორმოციოდე სხვა დამრღვევი მძღოლიც იყო დასახელებული, მაგრამ სხვა გვარებით მაესტრო ამჯერად არ დაინტერესებულა.

უწევო ბუხარი

– ნუ დაახრჩვე ცეცხლი, მართა, შეშა ასე უნდა დაატყუპო ერთმანეთს, შე ქალო? კვამლმა წეიღო თვალები.

მართამ ჯერ სული უბერა ჩანავლულ ცეცხლს, მერე ბუხრის გვერდზე მიყუდებულ საკეცეს სწვდა და შეუჩუჩხურა.

– არ ეკიდება ამ ნედლ თხმელას და რა ვუყო მე.

– არაფერი ნედლი არაა მაგი, მომეცი აქეთ საკეცე. ა, ასე უნდა ახინხლო ერთი მეორეზე და მოეკიდება.

– ოცდაათი წელი ხომ მაინცაა, რაც ამ ბუხრის გადაკეთებას გეხვეწები და არ დაადგა საშველი, უსაშველო მიცემოდეს ჩემს მტერს. არ ეწევა კვამლს, ხომ უყურებ, რავარც პატარა ქარი ამოვარდება, შიგნით უბერავს. ა, შეხედე, წევაა ახლა ეეს?

– აწი რაღა დროის ბუხრის გადაკეთებაა, შე ქალო, გევედით ბოლოში.

დეკემბერი კარგა ხანია ძალაში შევიდა.

გრძელი წვიმების დრო დამთავრდა. უგემურად ცრის და საღამოისხანს ზოგჯერ ხოშკაკალასაც გამოურევს.

პირქუში, კუნაპეტი ღამე დასწოლია სოფელს.

ღარისწყლის გაღმა-გამოღმა თვალჩამქრალი სახლებიდან ალაგ-ალაგ უბერავს ზეცას ჩინჩხლებგარეული კვამლი; ჯიუტ ნიშნად იმისა, რომ ყვავის საბუდრიაში სიცოცხლე ჯერ კიდევ ფეთქავს.

ხანგამოშვებით მიკიოტის ხმა გაფხრეწს შავ კამარას და კიბის ქვეშ მტვრიან, დაჩრჩილულ ნაბადზე კანკალით მიგდებული ძაღლი შეჰყეფს, ისე, უბრალოდ, როგორც იმერეთში იტყვიან – უპრაგონოდ, ყოველ შემთხვევისათვის.

ბუხართან სხედან ბებრები.

პორფილეს შუაგაკეცილი ყაბალახი გარდიგარდმო ადევს

თავზე. ცეცხლის მოთამაშე ათინათი ულაციცებს შეთეთრებულ წარბ-წვერზე და არწივის ნისკარტივით მორკალულ, გათხელებულ ცხვირზე. ხანდახან ზურგზემოგდებულ მაზარას გაისწორებს, შეციებულ ბეჭებს შეათამაშებს და მუჭში ყრუდ ჩაახველებს.

მართა უსაქმოდ ვერ ჩერდება. ბუხართან გვერდულად მოკალათებულა შავფეხება კველაზე, ტაბურეტის სკამზე პორფილეს ყავლგასული ორჯიბიანი მონაცრისფრო კვართი გაუშლია და კემსავს. ხანდახან წამოფარფატდება, სამზადში მიირბ-მოირბენს. ყველს წაქს გამოაცლის, ქვაბს წყალს გამოავლებს, ტილოს საწურში ატყვამპალებულ ნადუღს ქოთანს შეუდგამს, ახალ ყველს მარილს დააყრის, თავსაფრის ბოლოებს დამჭკნარ ლოყებზე შემოიკეცავს, ცეცხლს მიხედავს და ისევ საკემსავს დაუბრუნდება.

– ამ ბუხარზე გამახსენდა, მართა. ამნაირი გლახა, თოვლწუწურაქა, უგემური ზამთარი იყო მაშინაც, მისმენ?

უსმენს მართა, რასაკვირველია უსმენს, მაგრამ, ამ ბოლო დროს, პორფილეს მეხსიერების დავთარი, ცოტა არ იყოს, აერია და ერთხელ მოყოლილს, ხანდახან, თავიდან ყვება. არც მაშინ აგრძნობინებს მართა თანამეცხედრეს, რომ ეს ამბავი მისთვის არ ახალია. უსმენს ბოლომდე, საუბრის ეშხში შესულ ბერიკაცს გული რომ არ ატკინოს.

– როდინდელი ამბავია? – მაინც ეკითხება.

– დაჭერამდელ ამბავს გიყვები. რა ვიქნებოდი მაშინ, ცხრამეტი-ოცი წლის, მეტის არა, კომუჯრედის მდივნად რომ ვმუშაობდი საბუდრიაში ცოტა ხანს. შენ არ გემახსოვრება, შენამდე იყო ეს, რასაკვირველია. პატარა ხანს მომიწია კომუჯრედში ყოფნამ, დიდხანს არა. ორ წელიწადში სამამლიაში გადამიყვანეს და მერე, ქე იცი, რავარც წევიდა ჩემი საქმე. მე რომ იქანა გადასვლა და იმ საქმეზე მუშაობა მინდოდა, ისე აშენდა ვაშაძის ოჯახი, მარა დრო იყო ისეთი. შენ კარაფერს გეკითხებოდნენ; ასე გვჭირდებაო და კაი დედმამიშვილი იყავი, არ

დაეთანხმებოდი. შენი ბიჭი რომ ყვებოდა წინა ჩამოსვლაზე, გახსოვს? იქ მიშვებდნენ და ვარი ვუთხარიო, მერე ის ადგილი შემომთავაზეს და იმაზეც თავი შევიკავეო. „დამტოვეთ სადაცა ვარ, მე ვუთხარიყენო. სად იყო მაშინ ასე? ვინ რას გთავაზობდა და ვინ რას გეხვეწებოდა. იქ ხარ საჭირო და უნდა წახვიდეო. მორჩა და გათავდა. რას მოვაყოლე ახლა ეს? მართა!

– ბატონო.

– რაზე ვყვებოდი, თუ გახსოვს?

– კომუჯრედის მდივნად ვმუშაობდი საბუდრიაშიო.

– მერე, მერე რაი-მეთქი, რა მინდოდა?

– რა ვიცი, დაჭერამდელ ამბავს იხსენებდი რაცხას.

– ჰო, ბუხარზე და სიცივეზე გამახსენდა. ამნაირი მიზეზიანი და ძვალცივი ზამთარი იყო მაშინაც. მილიციის უფროსმა კანტორაში გამოიარა. ძველი კანტორა გახსოვს?

მართა უარის ნიშნად თავს აქნევს.

– ქე უნდა გახსოვდეს ძველი კანტორა შენ. ახლა რომ აბანოა, იმ ადგილას იდგა. ფართოაივნიანი, კაი გამართული წაბლის ოდა იყო. მწვანედ შეღებილრიკულებიანი. პატარა კაბინეტი მქონდა პარტუჯრედის მდივნის ოთახის გვერდით. სადილობა კაი ხნის გადასული იყო. რა ვიცი, რომელი საათი იქნებოდა, მაშინ წამდაუწუმ საათზე არ ვიყურებოდით. საათობია ახლა გაჩნდა. ვზივარ ჩემს კაბინეტში და ეზოდან დამიძახა ვიღაცამ. გამევედი, მილიციის უფროსი ჩაკვეტაძე, ასე ჩემი ტანის, თხელ-თხელი, კოხტად ასხმული კაცი იყო. ომში დეიკარგა საწყალი. ჩემზე დიდი-დიდი, რვა-ცხრა წლით უფროსი იქნებოდა მაშინ, მარა რაიმილიციის უფროსი იყო და ცეცხლს აკვესებდა. ქვეყნის გამგე-გამსწორებლად მიაჩნდა თავი, და რომ გელაპარაკებოდა, მაღლა და განზე იცქირებოდა. იფიქრებდი, ორ საქმეს აკეთებს ერთად: თან მე მელაპარაკება და თან თავისი სამსახურის გადამკიდე, ვიღაცას უთვალთვალებსო. „ცხენი ახლოს გყავს?“ – მკითხა და

უნაგირზე ჯომარდივით შემოტრიალდა. მარცხენაში ენამოკეცილი, ძვლისტარიანი მათრახი ეჭირა. „უცხენოდ ვარ დღეს, ყავარზე წაიყვანა მამაჩემმა-მეთქი“. „– შემომიჯექი, აბა, უკან და წიწკილაღელეში უნდა ევიდეთ განკულაკების საქმეზეო“. „კი მარა“... – აღარ მახსოვს რაღაცის მიკიბვ-მოკიბვას ვაპირებდი, იქნებ თავი დავიძვრინო-მეთქი. „არ უნდა ახლა ამას“ „კი მარაო“, ასეთია განკარგულება, დროს ნუ ვკარგავთ, დღის სინათლით უნდა ევიდეთ წიწკილაღელეშიო“. სადავე მოქაჩა და თეთრშუბლიანი, ქურანა ცხენი ყალყზე შეაყენა. რა მეტი გზა მქონდა, დავკეტე კაბინეტი და ფაცხაფუცხით ჩევირბინე კიბე. რაკი უზანგები მოკლეზე ჰქონდა, ფეხი ჩამომიწია, დავადგი ჩექმაზე ჩემი რეზინისწულიანი ფეხი და თვალის დახამხამებაში მოვექეცი უკან.

წიწკილაღელეში მაშინ მარხილა ურმის გზა ადიოდა. ის გზაც წვიმებისაგან ისე იყო ჩამბალ-ჩაშლილი, რომ ცხენს ალაგ-ალაგ ფეხი ეფლობოდა და სანამ ავივაკებდით, კაი სამოთხჯერ ორივეს ტალახში გატოპვამ მოგვიწია. მახსოვს, ხელი მეყინებოდა და უნაგირს ქვემოთ თექისქვეშ ვტენიდი თითებს, რომ ცხენის ზურგის სითბო ცოტათი მაინც გადამდებოდა.

ახალდაღამებულზე ავედით. სოფლის ორღობეში ძაღლებმა კიღამ შეგვჭამეს. ისე გამწარდა ჩაკვეტაძე, ნაგანი ამოიღო და ის იყო, უნდა დაეხლია ერთი ბომბორა, მურა ძაღლისთვის, მარა ხელში ვეცი. ისეთ საქმეზე ვიყავით ჩასული, სროლა არ გამოდიოდა. თემსაბჭოს ფარღალალა შენობაში ორნი უსხდნენ ბუხარს. კანტორის მორიგე და თემსაბჭოს თავმჯდომარე. მაშინ წესად იყო, გვიანობამდე თავის კაბინეტებში უნდა მჯდარიყვნენ პასუხისმგებელი ამხანაგები.

ჯერ ახლა რა არის და მაშინ ერთი ციცქნა სოფელი იყო წიწკილაღელე. სულ თხუთმეტიოდე კომლი ცხოვრობდა. მორიგე ეზოში არც გასულა, აივნიდან გადასძახა ახლო მცხოვრებ გლეხს, იმან იმას, იმან იმას და ნახევარ საათში შემოლაგდა თემსაბჭოს ოთახში მთელი სოფელი. ჩაკვეტაძემ

ნაგანი წინ გადმოქაჩა, ტყავის საქაღალდე გახსნა, მაგრამ არაფერი ამოუღია იქედან, მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო და თავაწეულმა იმაზე უფრო ხმამაღლა და რიხიანად დაიწყო სიტყვა, ვიდრე ამ თხუთმეტი მობუზული, ფერგადალეული, კედელთან ჩამწკრივებული გლეხის გასაგონად იყო გათვალისწინებული. „ჩვენო, – ჩაკვეტაძემ, – მოგეხსენებათ, ახალ ცხოვრებას ვაშენებთ, მაგრამ შენიღბულ მტერს არ სძინავსო. ჩვენ წინსვლას ახალი წურბელა გაუჩნდა კულაკის სახით. სამწუხაროდ, თქვენს ჯანსაღ რიგებშიც აღმოჩნდა სხვისი შრომის მიმთვისებელი, ხალხის მტერი და სოფლის სისხლის მწოველი მინაგო ქვაჭრელიძის სახითო“.

წამით შემაწუხებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ქვაჭრელიძის ამოცნობა არ გამჭირვებია. ლამპის სინათლე შუბლში ურტყამდა ფანჯარასთან მიკუჭულ ჩია ტანის, გალეულ, თავკოტორა, კვარკვალიტა კაცს, რომელსაც, იქნებ უფროსობამ კარგად ვერ დაინახოსო, გვერდით მდგომები მისი გვარის წარმოთქმისთანავე შემოეცალნენ.

ქვაჭრელიძემ თავი ასწია, სკამის ზურგს ჩააფრინდა და ამოიკვნესა-ამოიჩიფჩიფა – „ვინ დამღუპა, ვის რა წავართვი, რაის წურბელა ვარ, ბატონო, მეო“.

შემეცოდა, გითხრა სიმართლე, მეგონა, ერთი მოტრეტილი და ტყელეწია ვინმე იქნებოდა კულაკი ქვაჭრელიძე და ამნაირი გაკუჭული და ბეღურა კაცი რომ აღმოჩნდა, ნამეტანი შევწუხდი, მარა რაღა დროის იყო.

„იმსჯელოს სოფელმა ქვაჭრელიძის საკითხზეო“, – გადმოკრატიულდა ჩაკვეტაძე, მაგრამ იქვე დაუმატა: „ყველას ახსოვდეს, შენიღბული მტრის დაფარვისათვის და სიფხიზლის მოდუნებისათვის ქვაჭრელიძეზე უარეს დღეში არ ჩავარდეს ვინმე, ეს მითქვამს მეო“.

კაი ხანს ყუჩად იყვნენ ყველანი. მერე თემსაბჭოს თავმჯდომარემ იკითხა: „ჰე, რავა არი ახლა საქმე, ვის სურს ამ საკითხზე აზრის გამოთქმაო“. ერთმა ცალთვალახვეულმა, ქალამნიანმა, ჟღალწვეროსანმა კაცმა გადმოდგა წინ ნაბიჯი და გაუბედავად გაგვიმხილა: „რა ვიცი, მთავრობა თქვენ ხართ და თქვენ უკეთ ხედავთ, მარა კულაკობისას ვერაფერს ვატყობ ქვაჭრელიძეს მეო. კარგად დაფიქრდით, ცოდვა არ დაიდოთ კაკალი კაცისო. სხვაზე მეტი თუ რამე აქვს, დღედაღამეს ასწორებს და ამიტომ, აპა, მე ვურჩენ ხუთ ღლაპს ქვაჭრელიძესო? მეჩრდილია და ზარმაცი უნდა იყოს მაინცდამაინცო?“

სიტყვა არ დაემთავრებინა კულაკის ქომაგს, გამოუხტა ულვაშგაწკეპილი ჩემი ხნის ბიჭი და თითი სულ ცხვირთან უტრიალა; „აპეკუნობას ქე დაანებე, ბიძია, შენ თავი, თვარა მიყვები მაგას შენცო. კულაკია, აბა, რაია, ჩემს სახლში მუშაობდა ოთხი რაჭველი მთელი თვე ამ ზაფხულში, თუ მაგის სახლშიო?! დაქირავებული შრომაა, აბა რა ჯანდაბაა ესო“.

„რა ვიცოდი, ბატონო, ოჯახს თუ ვაქცევდი, თვარა რავა გევიკარებდიყენ დურგლებს სიახლოვესო“, – ასლუკუნდა ქვაჭრელიძე, – „ასე ვიცოდი ბოვშობიდან, რომ ქუდი მექუდეს უნდა შეეკერა, ჩემი მოჩირკნული კარ-ფანჯრები რას ივარგებს-მეთქი, ჩემი მოკლე ჭკუით. დამპალი იყო, მაგას წაკიდებია ცეცხლი, თვარა რავა გამოვცვლიდი, რო ვარგებულიყო. კარ-ფანჯრებსო. რავა? წავართვი იმ რაჭველებს რამე? რაც მოვურიგდი, არ მივეცი, თუ რავაა ჩემი საქმეო“.

გეძინება, მართა? რა ჩამოკიდე თავი ინდოურივით, შე ქალო. პატარა დარჩა და დავამთავრებ ახლავე. რაზე დევიწყე ეს ამბავი, კი აღარ მახსოვს, მარა ბოლომდე რომ არ მოგიყვე, გული გამისკდება ამაღამ.

ერთი სიტყვით, კენჭი უყარა თემსაბჭოს თავმჯდომარემ და აწია ყველამ ხელი. ბოლოს იმ ცალთვალამაც აწია; ამას მაინც აღარაფერი უშველის და მეც არ დევიღუპო თავიო. მე და ჩაკვეტაძე, ძალიანაც რომ გვდომებოდა, ვერ გადავარჩენდით ქვაჭრელიძეს. იმ შავ სიაში რომ მოხვდებოდი, გათავებული იყო შენი საქმე. ეს ყველამ იცოდა იმ საღამოს იმ ოთახში და ამიტომ არ გაჯანჯლდა კრება. დადგენილება იქვე

წაუკითხა ჩაკვეტაძემ: „განკულაკდეს ხვალიდან, ჩემო ბატონო, ქვაჭრელიძე, ჩამოერთვას ხარ-კამეჩი და ოდა. ოჯახს დარჩეს სამზადი სახლი, ერთი მარჩენალი ძროხა უხბოდ და ერთი თხა. თვითონ ქვაჭრელიძე მიცემულ იქნას პასუხისგებაში, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის ხელისშემშლელი და სხვისი შრომის მიმთვისებელი“. კარგად არ მახსოვს, ცოდვას ვერ დავიდებ, მარა შინაარსი დაახლოებით ამნაირი ჰქონდა იმ დადგენილებას.

კრება რომ დამთავრდა, თემსაბჭოს ოთახში მარტო ჩვენ სამნი დავრჩით. ჩაკვეტაძემ ნაგანის ბუდე უკან გადაიწია, მიუახლოვდა ბუხართან სახტად მდგარ მკვალებჩამოყრილ, ყელგამშრალ ქვაჭრელიძეს და უთხრა: ღმერთმა იცოდეს, არ მინდოდა ეს საქმე მეო. ისევ შენს მეზობლებს დააბრალე, ვინც გიჩივლა ზევით და შენი გვარი ამ სიაში შეატანიაო. წადი ახლა, რას იზამ, თავს ზევით ძალა არაა. ოთხფეხს და სახლს ვერაფერს უშველი, აღწერაში მაქვს შეტანილი. სხვა, სიმინდსაბადებელი, თუ რამე გაქვს, ქე გადამალე. მთლად ასეც არაა საქმე. ცოლ-შვილს ნუ გადარევ. უჭკუობა არაფერი მოიმოქმედო. ხვალ დილას ჩეიბარებენ, რაც ჩამორთმეული გაქვს და შენ, ასე, თერთმეტ საათზე შენი ფეხით ჩამოდი რაიცენტრში. თბილად ჩეიცვი, საგზალიც წამოიღე და ერთ საბანსაც თუ წამოიძღვანიებ, კარგს იზამ, დაგჭირდება გზაზეო“.

არაფერი უთქვამს ქვაჭრელიძეს. თავიც არ აუწევია. ნელნელა შეტრიალდა და მხრებზე ხელების სმით, შეციებულივით გავიდა.

დავალება ქე შევასრულეთ, მარა უკან დაბრუნებას ამაღამ ვეღარ მოვასწრებთ. უკუნი ღამეა და თოვლმაც წამოუშინა. ჩაუსხლტება ცხენს ფეხი და ან კლდეზე გადაგვაგდებს, ან თოვლში ჩავიჩუმქრებით სადმე. გადავწყვიტეთ დარჩენა. ბუხართან რაც შეშა ყრია, ერთ საათსაც არ გვეყოფა. გამოვედი იმ ყიამეთში გარეთ, მივიძ-მოვიძიე შეშა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, სადაა. არა და არც დასაწოლი, არც დასაფარებელი, ნაბადი მაინც გვქონდეს. ჩაკვეტაძეს ტყავის ჯუბაჩა მაინც აცვია და ჩემი საქმე უფრო უარესადაა. მამაჩემის ნაქონი გაცრეცილი მაზარა მიშველის?

ერთი სიტყვით, გამოგველია შეშა და გლახა დღეში ჩავცვივდით. არც ვახშამი, არც ბუხარი. რა გაათენებს, წევე წლის ღამე არ ჩამოდიოდეს. ჩვენებურ კაცს სტუმრის ყურადღება კი არ ესწავლება, მარა რა კარგ საქმეზე ჩვენ ვიყავით, თან რომ გადაგვყოლოდნენ და პურ-მარილი გაეშალათ.

დავდივართ თემსაბჭოს ფარღალალა ოთახში მშიერი მგლებივით წინ და უკან. იგინება ჩაკვეტაძე, ვბუზღუნებ მე. დავგმანეთ ძველი გაზეთებით კარ-ფანჯრები, მაგრამ არ შეგჭამოს ტარაკანამ, არ გვეშველა. სიცივე ძვალ-რბილში გამიჯდა და ყელში მომიჭირა. გარეთ თეთრი ღერღილივით ფხვიერი და ხვავრიელა თოვლი მოდის. იმის ჯავრიც გვაქვს, ხვალ გზა არ დაიკეტოს და არ ჩავრჩეთ წიწკილაღელეში. ქე დამავიწყდა: ცხენი თავმჯდომარის თავლაში გვება და ჩალას გემრიელად ახრამუნებდა. ჩვენ ვიყავით ცოდო, თვარა ცხენს რა უჭირდა.

შუაღამემდე ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი, კარზე რომ კაკუნი გაისმა. ვის გავახსენდით ამ აწყვეტილ ზამთრის ღამეში, ძაღლი რომ გარეთ არ გაიგდება?

გავაღე. ღმერთო, შეგვინდე ყველა სიგლახე – ქვაჭრელიძე ნამქერს ტალავარ-წარბებიანად გაუთოშია და გაუთეთრებია. მიყინულივით გაჩიკინებულ მარჯვენა მკლავზე კალანჩხა ჰკიდია. ჩათოვლილ კალანჩხაში მრგვალად მოხარშული ქათმის ფეხებს მოვკარი თვალი. მარჯვენაში ღვედით შეკრული საბანი უჭირავს.

სული რომ მოითქვა, წითელი ჭარხლისფერი ხელები სულის შებერვით გაითბო და ახლაც ყურში ჩამესმის მისი ჩახრინწული, გატეხილი ხმა:

– ვიცოდი, მშიერს დაგტოვებდნენ ამაღამ, ეს ქარიხვეტიები, ბატონო. შეშაც გამოგლევიათ, მომიკვდეს თავი. ჩემს სახლში რომ ამბავია, ამაღამ იმნაირი მიცემოდეს თქვენს

დამაწყევარს. არ დამძრახოთ, სახლში რომ ვერ შეგიპატიჟეთ. ქრისტეს ტირილია ჩემთან, მარა მაინც დავაცხობიეყენ ჭადები. ეგებ წეიხემსოთ ცოტა... თქვენი რა ბრალია, ბატონო, იღბალი მქონია ამნაირი. გოუხმობს მარჯვენას და დოკარგავს თვალისჩინს, ვიცი მე, ღმერთია თუ განგება, ჩემს ამ დღეში ჩამყენებელს...

ამოალაგა ქვაჭრელიძემ თბილი ჭადები, მრგვალად მოხარშული დედალი-მეთქი წეღამ გითხარი, ახალი ყველი, წიწმატოხრახუში, მჟავე კიტრი, დოქით ღვინო. გაშალა ისე სუფთად, ისე კოხტად, რომ, შენი მოწონებული.

ერთმანეთს შტერებივით მივჩერებივართ მე და ჩაკვეტაძე. ერთი კოკა ცრემლი მიდუღს გულში, მარა რას ვიზამ, ვინ მკითხავს რამეს, ერთი კია, რომ ეთქვა ჩაკვეტაძეს, კლასობრივი მტრისგან არ ვღებულობთ პურ-მარილს ჩვენო, შეიძლება ყელში ვცემოდი და მთავარი ძარღვი კბილებით გამეგლიჯა მისთვის, ისე ვიყავი შეცივებული და მოშივებული იმ ღამეს.

მაგიდას რომ მივუსხედით, ჩაკვეტაძემ კულაკი დიდსულოვნად მოიპატიჟა. ბუხართან ჩამუხლული ქვაჭრელიძე, რომელიც მინაცრული ღადრის გაღვივებას ცდილობდა, წელში გაიმართა; დასაჯდომად სად მცალია, თქვენ ისიამოვნეთ, ცეცხლს მივხედავ მეო. მილიციის უფროსის დაჟინებული თხოვნით ერთი სადღეგრძელო მაინც გვითხრა:

„ყველა წაღმა მოსიარულე კაცს გაუმარჯოს, ჩემო ბატონო, ამ ქვეყანაზეო“, მეტი არაფერი უთქვამს.

ქე მიხვდები შენ, მართა, რა ცეცხლიც დუღდა მაშინ ქვაჭრელიძის გულში და არც იმის გაგება გაგიჭირდება, რომ „წაღმა მოსიარულეებში“ არცთუ მე და ჩაკვეტაძეს გვიგულისხმებდა. შეიძლება სიტყვას მოაყოლა და ამდენი არც უფიქრია. ეს კი იყო, ლუკმა კინაღამ ყელში გაგვეჩხირა ორივეს.

მინაგომ უკან, ქამარში გარჭობილი წალდი იშიშვლა. „ჩავალ, შეშას მოვაქუჩებ, გაიყინებით ამაღამო“. პასუხს არ დაელოდა, გატრიალდა და აივანი ყუნცულით გაირბინა. სანამ სარდაფიდან ქვაჭრელიძის ცულის კაკუნი მოისმოდა, მე და ჩაკვეტაძე უსიტყვოდ ვჭამდით, წელში გამოყვანილ ჭიქებში ძველშავის დასხმას ერთმანეთს ვასწრებდით, დალევამდე ერთმანეთს შევხედავდით, ჭიქას მივუჭახუნებდით და, პირველად ჩემს ცხოვრებაში, მაშინ ვსვი ღვინო უსადღეგრძელოებოდ.

ქვაჭრელიძე ორივე ხელზე პირამდე დაწყობილი შეშით დაბრუნდა. შეშა ბუხართან მიყარა, ხელ-ფეხი გაიფერთხა და დამშვიდობებისას დაგვიბარა:

– ის საბანი დაიხურეთ ამაღამ, მატყლის საბანია, თბილი. დილით გამოგივლიყენ და წევიღებ საბანს. თუ ამაღამ გავახწიე გათენებამდე. კარგად ბრძანდებოდეთ.

ჩაკვეტაძემ პირში ჩატენილი ოხრახუში გაღეჭა და ფეხზე წამოუდგა „სოფლის წურბელას“.

– საბანს ჩვენ ჩამოგიტანთ, მინაგო ბატონო. შენ ნუ შეწუხდები. ჩვენ ჩევიტანთ დილაზე სამამლიაში. ჩემს კაბინეტში მექნება. დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

...მას უკან მხოლოდ ორჯერ ვიყავი წიწკილაღელეში. მაშინ არ იყო გადასახლებიდან მობრუნებული. ეს ოცდაათი ზამთარი იქნება, აღარ ავსულვარ. რა იცი, იქნება ქე მობრუნდა. თუმცა რაღა დროსია, რომც მობრუნებულიყო, ახლა აღარც იქნება ცოცხალი, თავისი სიკვდილით მოკვდებოდა.

მე დავბერდი აგერ, შე ქალო, და ქვაჭრელიძე მაშინაც ჭარმაგი კაცი იყო; ორმოცდაათს გადაშორებული იქნებოდა.

კერპი

ქორის ყაშყაში ხომ გაგიგონიათ, ხმაც ქორს მიუგავს შეთესა და აკი ქორივით მომვარდა.

გადარეული შეთე როგორ არ მინახავს, მაგრამ ასე ცაგამეხებით ჯერ არ გამომცხადებია.

არგანსდაყრდნობილი, სულთამხუთავივით შემოდგა ერდოზე, მარჯვენა ხელით ჩემს რქებდაგრეხილ ერკემალს მოათრევს.

– ახლა რაღას იტყვიო, – ერკემალი კისრისტეხით ჩამომიგდო, არგანი შემართა და გამეტებით დაჰკრა მიწასა.

– რა იყო, რამ გაგაკლდევა-მეთქი, შე ღმერთგამწყრალო?

ვიცი შეთეს ხასიათი, თუ ოფრუმზე დაუდექ, აპაპაპა, დაგიჯაბნებს და აღარ მოგეშვება.

– ვერიდებოდი ღოლოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო. ღმერთი რომ კაცს გასწირავს, ავ მეზობელს დაუსაზღვრებსო. რას მემართლები, რა გინდა, სანამ ცუდს რასმე არ შემამთხვევ, არ დამანებებ თავსაო?

– რა მოხდა-მეთქი, რას იმუქრები-მეთქი. განა შენი საყოლი კი არ გადმოსულა-მეთქი ჩემს სათიბში? პირუტყვი ხან აღმა წავა, ხან დაღმა-მეთქი.

– ოთხფეხს კი არა, შენ უნდა ამოგდოს კაცმა ალიკაპიო. თუ ცხვარ-ძროხის მოვლის თავი არა გაქვს, აიყარე და შაუსვი აქედან, შენი პატრონი ქვეყანაცაო.

ეს მითხრა და არგანიც შემომიქნია.

კიდევ კარგი, უკან გახტომა მოვასწარ, თორემ გულ-მუცელს შემინგრევდა.

ამას კი აღარ ველოდი. ცოფი ხომ არ შეჰყრია ამ მუდრეგს, ან მე რა მკლავგაუსუსურებული მნახა ეგეთი, ხელის შეჩვევაც რომ გამიბედა-მეთქი, ამ ფიქრმა ელვისუსწრაფესად გამირბინა და თვალთ დამიბნელდა.

ფეშტამალზე დაგდებულ ცულს ვსტაცე ხელი და გამოვუდექი.

იკადრა გაქცევა, ორი გუთნის გაშლაზე მიხტოდა და მიჰკიოდა. პირველ საყემდე ვსდიე.

ის საყეც თვითონვე ჩაასო; აქამდე შენია, აქედან ჩემი ტერიტორია იწყებაო. ათასი წელი ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები ასე, გვერდიგვერდ, მაგრამ ტრიალი ფერდობების გაყოფა აზრადაც არ მოსვლიათ.

ორი კინკილა კაციღა დავრჩით და ლამის სული ამომხადოს. კვირა ერთია, და სამჯერ მაინც მომაქოთდება; შენმა ცხვარმა ჩემი ბალახი მოსძოვაო. თავის თვალში კი დირესაც ვერ ხედავს შეთეი. მისი ცხენი და საკლავი ნიადაგ ჩემს მინდვრებზე დაეხეტება. აბა, ერთი თუ მითქვამს, წარბგახრით თუ შემიხედავს, წყენა თუ გამივლია გულში.

სხვა დროსაც მომითმენია და იმ დღესაც მოვუთმენდი, აიყარე და შაუსვი აქედანო, რომ არ ეთქვა. ორი კომლიღა დავრჩით სოფელში. ჩვენ რაღა აყრა და გადახვეწა გვინდა. მტერსაც გული მოუკვდება ჩვენი თვალჩამქრალი სახლების ცქერითა.

უჯიგრო რომ დაიბადება ადამიანიშვილი. ლამის შევაბერდით ერთმანეთს, ჩემზე განა ბევრით უმცროსია, რაღაც ორი წლით ჩამომრჩება. სამოცდაცამეტი წლის გავხდები რვა ენკენისთვეს და სამოცდამეთოთხმეტეში გადავალ. ჩვენი მაისობა კარგა ხანია ჩავლილია.

ჯეელობაშიც ასეთი ენაბილწი და უჯიათი იყო. შელაპარაკებით ბევრჯერ შევლაპარაკებულვართ, მაგრამ ხელის მოქნევამდე არ მისულა საქმე.

შარშან ივლისის მიწურულს მოხდა ეგ ამბავი; უკანასკნელად ვიჩხუბეთ მე და შეთემა და დღესაც უბრადა ვართ. ეგ თავისთვის არი, მე ჩემთვინა. კიდევ კარგი ვერ დავეწიე იმ დღეს, თორემ სისხლი მქონდა თავში ავარდნილი და ვინ იცის, რა უბედურება დატრიალდებოდა.

განა მოსაკლავად გავიმეტებდი, ერთს ვუცულისყუებდი იმ გახრეკილ უკანალზე და ვინ იცის, სულ ბრაციბრუცით ეცეკვა თავის ჭიშკრამდინა.

– მაშ, ერთი წელია ერთმანეთს არ მისალმებიხართ? უცნაური ხალხი ხართ. როგორ ძლებთ, კაცო, სხვა არა იყოს რა, დამლაპარაკებელი არ მოგენატრებათ? – სტუმარმა ციცაბოზე ჩიტის ბუდესავით დაკიდულ სოფელს გახედა – იქაც, შეთეს მეტი არავინ ზამთრობს?

– არავინ.

– რამდენია იქამდე?

– ორი ვერსი არც კია. ერთმანეთთან უბრადა ვართ, მაგრამ განა მძულს, ეგ ღმერთძაღლი, ეგა. კაცია, იმედია, რაც უნდა იყოს ერთმანეთის ჯიბრით ხომ არ ვჩერდებით-მეთქი, ხანდახან მიფიქრია, ამ კლდეებში, ეგეც რომ არა მყავდეს, ალბათ მეც ავიკრავდი გუდა-ნაბადს და ქვევით ჩავიდოდი შვილებთან.

განა დრო აღარ არი, ბებერი ძვლები დავასვენო, მაგრამ გული არ მაძლევს. ხომ გაგიგონია, ჩიტი სადაც გაიზრდება, იმისი ბაღდადი იქ არისო. ანდაზა იქეთ იყოს, თავს არ ვუტყდები, თორემ ნამდვილად შეთეს გამო ვარ გაკერპებული და მე მგონი, შეთეც ჩემი ხათრით დაჰყმუის არ არემარესა.

ამ ზამთარს, მოგეხსენება, ადრე მოგვითოვა. ოქტომბერი რომ დაიწყო, უკანასკნელი პრაპელერი გაფრინდა და გზაც დაიკეტა. ზვავისპირს ჯანღი არ მოშორებია ივანობამდე. ცას შუბლი არ გახსნია. ისინიც კი ჩაილალნენ ბარში, ვინც მთავრობასთან შეხვედრაზე, მწყემსის ზეიმს რომ ეძახიან, გულზე მჯიღის ცემით გაჰყვიროდა, აქ უნდა დავრჩე, სოფელი უნდა გავაცოცხლო, აქ უნდა ვიზამთროო. დავრჩით ამოტოლა დუნიაზე მარტონი – მე და შეთე. შეთე გაღმა, მე გამოღმა. ზამთარმა კაცის გაზანტება იცის. ცხვარი კარგა ხანია, ნოღაის ველებზე სძოვს. ცხენ-ძროხა გომურში გვყავს.

მიტკლის დღეები მძიმედ მიდიან.

თბილნაცრიანი ბუხარი, გაჭვარტლული ქოხი, თოვლში ალესილი სკორე, გაყინული ჩალა... ძროხებს მოწველი, ყველს ამოიყვან და დღე ისე გადის, ხმიადის წატეხვაც გავიწყდება. ზოგჯერ გაჯიუტებულ ძროხას შეუძახებ, ჰაიტ შე სამგლეო; ფეხები რომ გაშალოს და ცურს ხელი უმარჯვო, ხან მიკიოტს დასჭყივლებ და იშვიათად მგლის დასაფრთხობად თოფს დაჰკრავ ზამთრის ზეცას. ეგ არის და ეგ. ჩაძირული ხარ სულისშემძვრელ სიჩუმეში. თითქოსდა თეთრ აკლდამაში წევხარ და სასწაულს ელოდები. ლოდინს კი ბოლო არ უჩანს.

გავხედე კომორწოს ერთხელ დილით. კვამლი არა ჩანს. ეს კიდე იმას ნიშნავს, რომ შეთეს დღეს ცეცხლი არ დაუნთია. რძეს საკვეთი მივეც და საქონელი რომ დავარწყულ-დავათივე, დურბინდი მოვიმარჯვე და ისევ გავხედე შეთეს ეზო-ყურეს. კაცის ჭაჭანება არ არის. ჩეჩმამდე თოვლი არ გაკვალულა. ეგეც მთლად კარგი ნიშანი ვერ არის.

დაღამდა. იქნებ ახლა მაინც დაჩნდეს ცეცხლი შეთეს ფანჯრებში? შენც არ მომიკვდე. მრუმებნელი დასწოლია სოფელს. ვინანე, რომ დაღამებას დაველოდე. ახლა ხევს ვეღარ გადავალ. ან სადმე თოვლში ჩავიჩუმქრები ცხენიანად, ან ნადირის წერა გავხდები. ღამე ძილდარდში გავათენე. ალიონზე ცხენი არც კი შემიკაზმავს, ჩული გადავუგდე ზურგზე, თოფრაში პური და არაყი ჩავჩურთე და გზას გავუდექ. რაღა გულთოიჯობა უნდა, შეთეს საქმე ვერ არის კარგად.

ძველი, მძიმე თოვლი იდო და ცხენს გაუჭირდა. ხევისპირის ოჩოფეხები გავთალე, ჩული თავყბაზე შემოვიხვიე და ცხენი უკან გავაბრუნე. სულერთია, იმ აღმართში ჩემი სათრევი გახდებოდა. ორ ადგილას ისეთ ნამქერში შევტოპე, რომ ოჩოფეხებზე შემდგარს მკერდამდე მცემდა თოვლი. გზაზე ხეებს ვეჭიდებოდი, თორემ იქნება ზვავად მოვწყვეტილიყავ და აღრიალებულ საკალმახეში ამომეყო თავი.

მუხლებზე კარგა მოზრდილი დაღლის დოლაბები მეკიდა, შეთეს სახლს რომ გავუსწორდი. გულისწამღებმა ბღავილმა ჯერ გომურში შემახედა, რა დღეში იქნებოდა ორი დღის მოუ-

წველავი და ბოგადაუსუფთავებული პირუტყვი. საქონელს ჩალა დავუყარე და შეთეს სამყოფლოში გამოველ.

კერასთან ახლოს, დაბალფეხება საწოლზე პირაღმა იწვა. ყალამაჩამოწეული ნაბდის ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა და მხოლოდ ოფლით დაცვარული ცხვირ-პირი მოუჩანდა. ჯგრდედ ახინხლული, აქოთებული ცხვრის ტყავები და თავისი გრძელი, ჭრელბეწვა ტყაპუჭი ეხურა.

სარკმელს ვეცი და ანჯამა გავხსენ. სინათლე თვალში რომ ეცა, ამოიკვნესა და ყალამა უფრო ჩამოიწია.

– შეთე!

ხმა არ გამცა.

– რა ფელენჯის ქარი გეცა, შე უბედურო?

შუბლზე ხელი დავადე, ისეა, როგორც თონე. ჩემი ხმა რომ გაიგონა და ხელის შეხებაც იგრძნო, კედლისკენ გადაბრუნდა და ზურგი შემაქცია.

ამას ახლა დაყოვნება და ფერება აღარ უნდა-მეთქი. ცეცხლი გავაჩაღე, არაყში ცოტა ძმარი გავურიე. სკივრიდან მისი ცხონებული დედაკაცისეული თავშალი დავაძრე და აძიგძიგ-ახტუნავებული შეთე ისე მაგრად დავზილე, ძვლებს სულ ტკაცატკუცი გაჰქონდა. ზედაც არ მიყურებდა, ლაზათიანად რომ გავამშრალე, ერთი ამოიკრუსუნა და ისევ კედლისკენ ჰქნა პირი.

კარდალას ხელი დავავლე, საქონელი მოვწველე, გომური დავასუფთავე, ცხელ რძეში ხმიადი ჩავუფრჩხვენი და კათხით დავუდგი ტაბაკზე.

– შეთე!

ხმას არ იღებს.

– ცხელი რძე დალიე, ნუ ინაზები პატარძალივითა.

ახლა თუ არ გავეცალე, მოკვდება და არ დალევს-მეთქი. კერისპირს დედოჯირკი მოვათრიე, ოჩოფეხები მოვძებნე და კარი გამოვიხურე.

ნაკვალევს მივყვებოდი და შინ მობრუნება არ გამჭირვებია.

კოჭლი ჭედილა მყავდა, ცხვარს არ გავაყოლე, ვერ ივლის-მეთქი. ჩალასა და თივას ისე გემრიელად ახრამუნებდა, შენი მოწონებული. შვილივითა მყავდა გაზრდილი, როგორც ამ მარჯვენას არ მოვიჭრი, ისე არ ვაპირებდი მის დაკვლასა, მაგრამ შეთეს ავადობამ სულის ძირამდე შემძრა. ე, მანდ კაცი არ დაიღუპოს-მეთქი, რას მიქვიან წყენა, როცა კაცის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია-მეთქი.

ნაშუადღევს გამოვიბი ქამარზე ჩემი ჭედილაი და კომორწოს აღმართს ავუყევ. ვიფიქრე, აქ რომ დავკლა, ჯერ ერთი, სანამ მაღლა ავიტანდე, ნაღველას ჩამაწყვეტს, მეორეც: გაცივებულ-გალიგვებულ ხორცს ახალდაკლულის მადლი და ორთქლი აღარ ექნება-მეთქი.

შეთეს კათხა დაუცლია და კვლავ კედლისკენ შებრუნებულა, გამეხარდა, „ჰაიტ, შე მყრალო ბერიკაცო, აკი აიბარგე და აოხრდი აქედანაო. ვყოფილვარ განა საჭიროი“.

შუბლი გავუსინჯე. კვლავ მაღალი სიცხე აქვს.

„მწყემსის აბანოს“ მეტი არა უშველის რა.

საარყე ქვაბი თოვლით გავავსე და ცეცხლზე შემოვდგი. კარ-დარაბები გულდაგულ დავგმანე. ყველის გუდები სამზადის ბანიდან ჩამოვყარე და ცეცხლთან მოვაქუჩე. წყალი რომ ადუღდა, გუდები დავავსე და თავი მაგრად მოვუკარ. სხვენზე ორი ძველთაძველი დაცრეცილ-დაკემსილი ნაბადი ვიპოვე. მდუღარით სავსე გუდები შეთეს გარშემოვუწყე და ზურგზედაც დავადე. ზედ ნაბდები დავაფარე. სიცხისაგან შეწუხებულმა ავადმყოფმა ხელ-ფეხის ქნევა რომ დაიწყო; „აბა, აბა, ეგეები არ იყოს“-მეთქი და ნაბდებზე გარდიგარდმო გადავწექ. ბევრი იხვნეშა და იღვარკალა, მაგრამ მანამ არ ავუშვი, სანამ ჩემი ვარაუდით, მწყემსის აბანოს სიმხურვალე არ გაუნელდა. ცეცხლს შევუკეთე და გუდები ბაყბაყით გადმოვყარე მიწაზე. უნდა გენახათ შეთე – დაწურულ-დაგრეხილი, ცხვირში ლანდი გასდიოდა, მისი პერანგ-ბალიში ოფლისგან ისე დამძიმებულიყო, ხელში ვერ აიღებდი: სკივრიდან შალის წინდები და

საცვალი დავაძრე, შეთე პირქვე დავამხე, გავხადე, დავზილ-გავამშრალე და ნიფხავ-პერანგიც ჩავაცვი.

საიმქვეყნოდ გამზადებულმა აშკარად მოიხედა. კედლისკენ გადაბრუნდა და ფშვინვა ამოუშვა. რაკი ჩაეძინა, ჩანს, აღარ მოკვდება ეგ ღმერთძაღლი, ეგა. გული სიხარულით მიტოკავდა. ხილაბანდით თავი მაგრად წავუკარ, საწოლი ცეცხლთან მოვაჩოჩე და გომურს მივაშურე.

ჭედილა დავკალ, ჩავატყავე. ერთ საათში სანაქებოდ გახინწული ხორციდან ისეთი ჩობან-ყაურმა დავამზადე, თითებს ჩაიკვნეტდი. ჩობან-ყაურმის გაკეთება ცხონებულმა პაპაჩემმა მასწავლა, ბავშვობაში ცხვარში რომ დავყავდი ხოლმე.

კერძი და შეპიწკინებული დედასპური ტაბაკზე დავუდე, ჯამზე წყალგარეული არაყი დავუსხი და მხარზე მოვზიდე ჩემს გულ-კაჟ ავადმყოფსა.

– აბა, ჰე, ბიჭო, ცხელი ყაურმაა. წვნიანად შახვრიპე, გულს მოგინახავს-მეთქი.

რაღაც წაიბურდღუნა და თავზე ტყაპუჭი წაიხურა.

ძროხები მოვწველე, ყველი ამოვიყვანე და კარგა შეღამებულზე შინისკენ წასასვლელად გავემზადე. ყოველ შემთხვევისათვის კარის ღრიჭოდან შევიჭვრიტე. შეთეს ქუდი მოეშვლიპა და სამკლავედ აკარწახებული გამალებით შეექცეოდა ყაურმას. ეტყობოდა, კარგა მოშიებული გახლდათ. აღარ შევსულვარ. ვიცი, ჭამას შეწყვეტდა და დაირცხვენდა. ღამის გათევას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე. ჩემმა იქ ყოფნამ უფრო არ გააბედითოს-მეთქი. ეგეც არ იყოს, ჩემი საქონლისთვის ხომ უნდა მიმეხედა.

შეთეს წილ სიკვდილთან ჭიდილი ამით არ დამთავრებულა. წამომდგარიყო თავის კაცურ საქმეზედა. ნიავს დაეკრა და მეორე დილით ისევ ისე დამხვდა – სიცხისგან აპილპილებული.

ერთი გრძელი თვე და იმის ნახევარი შეთეს არ მოვშორებივარ. სენმა ძალუმ დაასუსტა. რა ბალახ-წამალი ვუხარშე, რა თხის ქონითა და არაყ-ძმრით ვზილე და როგორც იქნა, გამ-

ოვარიდე მიქელ-გაბრიელის ამალას. საიქიოს მატარებლიდან ჩამოვხსენი ეგ ვერანა, ეგა.

ისევ ძველებურად, ისევ უბრადა ვართ. როგორ არ გაგიკვირდება, იმ თვე-ნახევრის განმავლობაში თავზე რომ ვადექ, ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის, ერთი სამადლო ღიმილიც არ დასცდენია. თუმცა შეთეს მადლობა რად მინდოდა, მე ხომ მარტო შეთეს სიკვდილს კი არა, ჩემს მარტოობას, ჩემს სიკვდილსაც ვებრძოდი, ძმიშვილო.

შეთე რომ ფეხზე დადგა, კარგა ხნის მერე, შუადღისას ღელისპირს შევეფეთეთ ერთმანეთს, საბატკნე ქოხის წკნელის დასაჭრელად ჩამოსულიყო. „გამარჯობა-მეთქი, ბებერო“. შენც არ მომიკვდე, ხმა არ გამცა, შეტრიალდა და თხილიანს აღმა აუყვა.

რა ვუყო, რაც არი ეგ არი, შეთეი. აწი მაგის გადაკეთება ფუჭი საქმეა, ოღონდ იცოცხლოს და იყოს ეგეთი თავკერპა და უჯიათი. გული კეთილი აქვს. განა სახით მღვდელი და საქმით მგელია, მაგრამ ერთხელ თუ ამოგიღო გულიდან, აღარ გადათქვამს. ერთხელ რომ შეჯდება ჯორზე, არ იქნება, არ ჩამოხტება ბოლომდე.

მრცხვენიან ამას რომ გიყვები. აბა, ჩვენი უბრად ყოფნა როგორ შეიძლება, შვილო, ორნი დავრჩით ამ სამზერზე. ორნი – მე და შეთეი. ზაფხულში რომ დამსვენებელ-მოქეიფე-მოზეიმენი ამომრავლდებიან, არ მიწყინო და იმათ სათვალავში არ ვაგდებ. ძველები და არსადწამსვლელნი ორნიღა ვართ.

ნავში ჩამჯდარი მენავეს ნუ წაეჩხუბებიო, ჩვენს სულკურთხეულ წინაპარს უთქვამს. შენს სიტყვას ქვეყანა უსმენს, იქნებ ახვიდე და ეს სიბრძნეც მოაგონო, იქნებ შენ მაინც შემოაბრუნო შეთეი.

შენი გვარიც გაგონილი ექნება და იქნებ მოხდეს სასწაული, შენი ხათრი მაინც დაიდოს ამ გაძელქვებულმა ბერიკაცმა.

ფრთეები

შორს, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთით, ახალაღმოჩენილ ტროპიკულ კუნძულზე მდებარეობს პატარა, დამოუკიდებელი სახელმწიფო – იპია. იპიაში ძირითადად იპიელები ცხოვრობენ. ძირითადად-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ მოსახლეობის უკანასკნელი აღრიცხვის მიხედვით იპიელები სახელმწიფოში ორმოცდაჩვიდმეტ პროცენტს შეადგენენ. მოსახლეობის უკანასკნელისწინა აღრიცხვისას იპიელნი ოთხმოცდაათ პროცენტს „შეადგენდნენ“. რამდენს „შეადგენენ“ მოსახლეობის მომავალ აღრიცხვებში იპიელები, დანამდვილებით ვერ გეტყვით, რადგანაც ამ ბოლო დროს, შეიგნეს რა გამრავლების დაბალი ტემპის სივალალე, გონზე მოსული იპიელები გამრავლების ტემპის დაჩქარების ქმედით ღონისძიებებს მიმართავენ. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

იპიელები ძირითადად წარმოსადეგი, ცისფერთვალა და შავგვრემანი, თმახუჭუჭა ხალხია. ძირითადად-მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ შიგა და შიგ დაბალნი, თაფლისფერთვალება, ქერა და თმასწორნიც გამოერევიან. მეტსაც გეტყვით: ბუნებით მომთმენ, ყველაფრის ამტან და ნიჭიერ იპიელთა შორის აქა-იქ სულსწრაფნი, ცეტნი და აშკარად გონებასუსტნიც გაიელვებენ. ასეთ შემთხვევაში ბუნებით დინჯი იპიელნი დიდხანს, ბეჯითად აკვირდებიან იპიელის ჩვეულებრივი ნორმიდან გადახრილ პიროვნებას და როცა, წლების შემდეგ, დარწმუნდებიან მის გონებრივ სიბეცეში, როგორ ფიქრობთ, სამედიცინო სამსახურს მიმართავენ? თქვენც არ მომიკვდეთ. სულით დავრდომილთა საავადმყოფო იპიაში ტრადიციულად არ არსებობს. სულგრძელი იპიელნი თავიანთ გონებაბრმობილ თანამემამულეს შეუზღუდველ თავისუფლებას აძლევენ. შეუზღუდველ თავისუფლებას კი სუსტი გონება, მოგეხსენებათ, ვერ უძლებს და „შექანებულნი“ (როგორც აქ უწოდებენ) ბოლოს და ბოლოს ანეკდოტების გმირებად იქცევიან ხოლმე. იპიელთ, ვერ დავუკარგავ, ჭორი და ანეკდოტი ძალიან უყვართ.

იპიაში გუბერნატორს სამი წლის ვადით ირჩევენ. არჩევნები უაღრესად მკაცრად და მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების ზუსტი დაცვით მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, თითოეულ ხმას გუბერნატორის ობიექტურად არჩევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იპიელები გულდინჯი ხალხია. ბევრი ფიქრისა და კამათის შემდეგ ისინი გუბერნატორობის ერთადერთ კანდიდატს ასახელებენ. არჩევნების დამთავრებისა და ყუთების გახსნის შემდეგ ჩვეულებრივად ირკვევა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს ხმას აძლევს ამომრჩეველთა ოთხმოცდაცხრამეტი მთელი და ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი პროცენტი. ერთი მეასედი პროცენტი ავადმყოფობის გამო თავს იკავებს.

იპიელები „შეჩვეული ჭირის“ ანდაზის მიმდევარნი გახლავან და ერთხელ არჩეულ გუბერნატორს, თუ მიქელ-გაბრიელმა არ უხმო, სამუდამოდ სტოვებენ თავის პოსტზე. არჩევის მეათე წელს გუბერნატორს ბელადად აცხადებენ და პოეტები ლექსებს უძღვნიან, ხოლო არჩევის მეორე წელს გენიოსის ხალათს უბოძებენ და იპიის სახელმწიფოს ყველა სიკეთეს მას – ერთადერთსა და შეუცვლელს მიაწერენ. საკუთარი და საზოგადოებრივი ტრანსპორტის კაბინებში, გზაჯვარედინებსა და სტადიონებზე მის სურათს ჰკიდებენ და ჩუმ-ჩუმად კიდეც ლოცულობენ ქვეყნის ამღორძინებელ გუბერნატორზე. მერე, დიდი ხნის მერე, როცა მსოფლიოს მედიცინა ფარ-ხმალს დაჰყრის და ღრმადმოხუცი გუბერნატორი განგების ნებით მიდის ამ ქვეყნიდან, იპიელნი (სხვა რაღა დარჩენიათ) ახალ გუბერნატორს ირჩევენ.

ეს ნოველა ეძღვნება იპიის ერთ-ერთ სახელოვან გუბერნატორს, რომელიც ამ ოცდასამიოდე წლის წინ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ოთხმოცდაშვიდი წლის ასაკში. სრულიად მოულოდნელად-მეთქი იმიტომ მოგახსენეთ, რომ

გუბერნატორს მწოლიარედ ერთი დღეც არ უავადმყოფია. რომ იტყვიან, იგი სახელმწიფოს საჭესთან გარდაიცვალა. ყოველ შემთხვევაში, ხმა ასე გავრცელდა. გაზეთებში გუბერნატორის გარდაცვალების მეოთხე დღეს ექიმთა ჯგუფის ხელმოწერით სამედიცინო დასკვნა გამოქვეყნდა, მაგრამ დასკვნაში მიცვალებულის ავადმყოფობები იყო ჩამოთვლილი და რა მდგომარეობაში ეწვია სიკვდილი გუბერნატორს, ამაზე პრესა გულდაგულ დუმდა. საერთოდ, იპიაში, მოქალაქენი პანიკას და ზედმეტ ემოციებს რომ აარიდონ, გაზეთები გუბერნატორის ავადმყოფობას არ აცხადებენ. თუ გუბერნატორი ერთი თვის განმავლობაში გაქრება ტელევიზორის ეკრანიდან, მიმხვედრიანი იპიელი ასკვნის, რომ სახელმწიფოს თავი შეუძლოდაა. გუბერნატორი ჰიპიუს მეცხრე (რომელსაც ეს ნოველა ეძღვნება), წინა დღით ჩვანჩურიის პრინცის მიღებაზე გახლდათ, მეორე დღეს იპიპიის პრემიერ მინისტრი უნდა მიეღო და ხმა გავრცელდა: სწორედ იპიპიის პრემიერ მინისტრ ჰაიეს მიღების დროს გარდაიცვალაო. თუ მართლა გარდაცვლილია, აგერ ვნახავთ მეოთხე დღესო, ამბობდნენ ქორის მიმართ ეჭვით განწყობილი გამოცდილი იპიელნი, რადგანაც სწორედ ამ ჰიპიუს მეცხრეზე არაერთხელ გავრცელდა სავალალო ქორი და სწორედ მეოთხე დღეს, მეჭორავეთა ჯინაზე, გუბერნატორი ისევ ჩანდა ტელევიზორის ეკრანებზე, ძალად მომღიმარე და წელში საეჭვოდ გამართული.

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში გუბერნატორი ჰიპიუს მეცხრე საგრძნობლად მოტყდა და მოხუცდა. რვა ინტერვალით დაბეჭდილ ნახევარგვერდიან მისალმებას ძლივს კითხულობდა, სიარული უჭირდა და ტელეოპერატორები უფრო ხშირად მდგომარეს უჩვენებდნენ. ზეზეულად თვლემა ერეოდა, დანაწევრებული მეტყველების აპარატი მოეშალა და ასოებს კი არა, ზოგჯერ მთელ სიტყვებსაც ყლაპავდა. ხელი უკანკალებდა, ორდენებს და მედლებს დაჯილდოებულთა გულმკერდზე ადრე რომ თავისი ხელით ამაგრებდა, ახლა

უკან მდგარი მისი ჯანმრთელი მდივანი აკეთებდა ამ საქმეს... ასე რომ, იპიელები ხვდებოდნენ, გუბერნატორის სიცოცხლის აღსასრული მოახლოებული იყო, მაგრამ კატასტროფა თუ ასე მოულოდნელად, იპიპიის ახალგაზრდა პრემიერ მინისტრის ჰაიეს მიღების დროს მოხდებოდა, გითხრათ სიმართლე, არ ეგონათ.

მიუტევონ იპიელებმა, რომ ამ ნოველის ცოდვილ ავტორს უცნაური სურვილი გაუჩნდა, დაეხატა გუბერნატორის სიცოცხლის უკანასკნელი დღე და ამით მეჭორავეთა ფანტაზიის უკიდეგანო მასშტაბასთვის ზღვარი დაედო.

ოთხშაბათი დღე იყო. გუბერნატორს იმ დილით ფანჯარაში არ გაუხედავს, თორემ შენიშნავდა, რომ ტყვიისფერი ცა დამხობოდა ქალაქს თავზე. ტყვიისფერი და ტყიასავით მძიმე ცა. რომ ახედავდი, გეგონებოდა, ღრუბლები თავს ვერ იმაგრებენ, ფთილებად წყდებიან და ძირს ეშვებიანო.

ალიონზე გაეღვიძა. მერე ვერ იქნა და ვერ დაიძინა. უძილობა ცუდ ხასიათზე აყენებდა. საძილე ტაბლეტებსო, არაერთხელ შესჩივლა ექიმებს, დილის ხუთ საათზე უნდა მაძლევდეთ, როცა მეღვიძებაო. დაწოლისას თვითონაც მშვენივრად ვიძინებო. მაგრამ ექიმები ყურიდან ყურში უშვებდნენ გუბერნატორის წუწუნს. მედიცინის მსახურთ მოეხსენებოდათ, რომ ისედაც გამოთაყვანებულ გუბერნატორს საძილე წამლები კარგს არას დააყრიდნენ. მართალია, სახელმწიფოს თავი კარგა ხანია ქვეყნის მართვა-გამგებლობაში ბევრს არაფერს წყვეტდა, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გუბერნატორი გახლდათ და ექიმებს დღეში ორი საათით მაინც სატელევიზიოდ, საჩვენებლად ფეხზე უნდა წამოეყენებინათ.

გუბერნატორს დილით, რვიდან ასე ათის ნახევრამდე უნათდებოდა გონება. ძილბურანში მყოფს მოგონებათა სკივრიდან წარსულის განსაკუთრებით შთამბეჭდავი დღეები ამოჰქონდა. იწვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად იღიმებოდა კიდეც. განსაკუთრებული სიცხადით სამოქალაქო ცხოვრების ის

დღეები ახსენდებოდა, როცა იგი, მენახირის შვილი, ქარხანა „დამკვრელში“ მუშა-მოწაფედ მიიღეს საერთო საცხოვრებელში რკინის საწოლი გამოუყვეს და ლუდს მადიანად შეექცეოდა. მერე ისევ გადაუვლიდა გონებაზე ბურუსი, ერთხელ მთელი საათი წვალობდა, გაეხსენებინა, რა ერქვა მის პირველ მოადგილეს, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა. ფეხსაცმელებში მარჯვენა-მარცხენა ბავშვობიდანვე ერეოდა და ეს ორი წელია ბავშვობის იმ ახირებულმა თვისებამ ისევ იჩინა თავი. ამიტომაც კარგა ხანია ფეხზე სწკრიელი პირისფარეშნი აცმევენ. ეს პირისფარეშები, ცოტა არ იყოს, ახირებული ხალხია. გუბერნატორმა ბოლო ორი თვის მანძილზე შვიდჯერ გამოაცვლევინა ისინი, მაგრამ არც ამ ახლების კმაყოფილი გახლდათ მაინცდამაინც. აბაზანიდან გამოსულ გუბერნატორს უცერემონიოდ შეაბრუნებდნენ, კბილის გამოხეხვა დაგავიწყდათო. მართლაც რომ ზღვარი არა აქვს ზოგიერთი პირისფარეშის უტაქტობას. ვინ გკითხავს შენ, გამოიხეხავს თუ არა კბილებს გუბერნატორი. გულმავიწყობის ამაზრზენი სენი დღითი დღე იპყრობდა ერთ დროს მკვირცხლი გონების მქონე გუბერნატორის თავს. „იმას დამიძახე, იმას... იმას... იმას“. შესჩივლებდა თავის თანაშემწეს და სიყრმის მეგობრის სახელდავიწყებული, მშრალი თვალებით ჭერს ააჩერდებოდა. იმ წუთში რომ გეკითხათ, ვერც თანაშემწის სახელს გეტყოდათ. ერთხელ თავისი გარდაცვლილი მეუღლის სახელი ვერ გაიხსენა და მწარედ იტირა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ იყო. სხვა დროს თავისი თანამეცხედრის სახელი მშვენივრად ახსოვდა.

ელექტროსაათს შეხედა, ცხრას აღარაფერი აკლდა. საცაა ალაპარაკდებოდა სელექტორი, ჯერ პირველი თანაშემწე მიესალმებოდა და მშვიდობის დილას უსურვებდა, მერე პირისფარეშნი შემოლაგდებოდნენ. როგორ უნდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო საწოლში ნებივრობის ტკბილი წუთები, დაეტოვებინათ თავის თავთან მარტო. თავისმომაბეზრებელი ყურადღებისა და მეურვეობისაგან გაეთავისუფლებინათ. ისიც

იცოდა, რომ მთელი ღამე ტელეთვალი იყო მისკენ მიპყრობილი და გვერდით ოთახში ექიმები თვალმოუხუჭავად დარაჯობდნენ მის ძილს. თუ სუნთქვა გაუხშირდებოდა, შუაღამისას თეთრხალათიანები ნემსით დაადგებოდნენ თავზე და დაჩხვლეტილ უკანალს ერთხელ კიდევ აუწვავდნენ. როგორ სძულდა, რომ იცოდეთ, ეს ზედმეტი ფრთხილი, გაფაციცებულსახიანი, ძილწართმეული ექიმები.

როგორც მოგახსენებთ, არ ეძინა, მაგრამ თვალდახუჭული იწვა, აქაოდა იქნებ მძინარე ვეგონო და ცოტა ხანს მაინც არ შემაწუხონო.

იწვა და ფიქრობდა:

– მეტი დაჩაგვრა შეიძლება ადამიანის? მეტი აბუჩად აგდება? გუბერნატორი მქვია ახლა მეც და ხალხს ჰგონია, ვაზანზარებ ქვეყნიერებას. აბა, ერთი ჩემს დუნდულებს დახედონ. კაცი რომ შენს გემოზე ვერ გაიზმორები, ცხოვრებაა ამნაირი ცხოვრება? კაცი შენს თავს არ უნდა ეკუთვნოდე: ასე გაუთავებელ თვალთვალში ვარ ოცდარვა წელიწადია. აღარ უნდა დამთავრდეს? ვერ უნდა მივაღწიო იმნაირ მდგომარეობას, როცა მინდა ავდგე და როცა მინდა დავჯდე? რამდენ ხანსაც გამეხარდება, ვიძინო და როცა გამეხარდება, ვიფხიზლო? შეგაგდებენ საათობით იმ ბაროკამერაში და გიბერავენ სულს. კაციშვილი დამლაპარაკებელი არ გყავს სიახლოვეს. არ მინდა, ბატონო. არც მაგნაირი ჟანგბადი მინდა და არც ძალათ გამხნევება, დამლაპარაკებელი კია, იცოცხლე, კედლებიც გაგცემენ ხმას, მაგრამ ისე აღარავინ გელაპარაკება, შენს სულს რომ უნდა, რაღაცნაირი ცივი, შეშინებული, მორიდებული გესაუბრება ყველა. რამდენი ხანია, გულგახსნილი კაცის ჩივილ-ხითხითი არ მომისმენია.

იყო ეს ყველაფერი საჭირო? ამისთვის მოვიკალი თავი ამ ოცდარვა წლის წინათ? შეიძლება არც მეფიქრა გუბერნატორობაზე, იპიუს მერვეს რომ ცოტა ჭკუა მაინც ჰქონოდა. ჩემამდე გუბერნატორი, დასაბმელი გიჟი იყო ცხონებული. კინაღამ

ამოატრიალა იპია. კინაღამ დაგვსვა შავ პურსა და წყალზე. ეს, თუ მივუშვით, დაღუპავს ქვეყანას-მეთქი. და დავიწყე ფიქრი გუბერნატორობაზე, თორემ თავიდან არც პრეტენზია მქონია ამისა და ვერც საგუბერნატორო ჭკუას ვატყობდი, ღმერთო შეგცოდე, ჩემს თავს. ახლა, აქედან რომ შევხედოთ, ადვილად მოჩანს, მაგრამ თქვენ გგონიათ, ადვილი იყო ეს ყველაფერი? როგორი ჩამოსაგდებია გუბერნატორი. დიდხანს ვჭოჭმანობდი, როგორ დამეწყო. ის პირველი სამი კაცია საქმე, ვისაც პირველად უნდა გაენდო, ვთქვათ, არ გენდნენ, სად მიდიხარ მაშინ? უკანდახევა აღარ შეიძლება, სიკვდილ-სიცოცხლეზე უნდა გახვიდე. ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, მაგრამ ასე მეგონა, ჩემ მეტი ვერავინ გაუძღვება, ვერავინ გაამაგრებს ამ დაქანებულ ქვეყანას-მეთქი. მადლობა ღმერთს, ყველაფერი რომ მშვიდობით დამთავრდა და დასასვენებლად წასულ გუბერნატორს ცხვირწინ ავაცალე ტახტი. ცოტა არ იყოს, სინდისმა ქენჯნა დამიწყო, მაგრამ თვითონაც ამ ხერხით არ წაგლიჯა იპიუს მეშვიდეს გვირგვინი? ორმოცდათექვსმეტი წლის იყო, პენსიაზე რომ გავაცილეთ, ხანდაზმულობის გამო, ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით განთავისუფლდა მოკავებული თანამდებობიდანო, დავწერეთ გაზეთებში. წესად გვაქვს: მთავრობის კაცის განთავისუფლების სწორი მიზეზი არ ვამცნოთ ხალხს, თორემ ორმოცდათექვსმეტი წლის კაცი რა ხანდაზმულია მაინცდამაინც? ხანდაზმული, კაცმა რომ თქვას, მე ვარ ახლა. მაგრამ ჩემი ხანდაზმულობა სხვა არის. მე და ჩემი მეჯლისის წევრები იმ ბედნიერ, უიშვიათეს გამონაკლისებს წარმოვადგენთ, როცა ადამიანი სოლიდურ ასაკშიც ინარჩუნებს განსაკუთრებულ აქტივობას და ქვეყნის მართვა-გამგეობის უნარს. ჩვენი სამედიცინო პრესა, ამ ბოლო დროს, სიბერის პრობლემებზე ან საერთოდ არაფერს წერს, ან წერს ისე, დელიკატურად, როგორც ჩვენს საქმეს მოუხდება. ამას წინათ ერთ პროვინციულ სამედიცინო ჟურნალში ვიღაც ახალგამომცხვარ დოცენტს ჩაუწერია: ოთხმოცს რომ გადაშორდება ადამიანი, აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ძველებურად ვერ გასწევსო. არა მარტო იმ დოცენტს აეკრძალა ბეჭდვა სამუდამოდ და ჩამოერთვა მოკავებული სამეცნიერო ხარისხი, ჟურნალიც გავაუქმეთ საერთოდ, ვითომც არც ყოფილა. არ უნდა იცოდე დოცენტმა კაცმა, რას წერ და როდის წერ?

ისე, ჩვენში რომ დარჩეს, ოთხმოცდაშვიდი წელი ცოტა როდია. მიჭირს იპიის გაძღოლა, განა არ მიჭირს, მაგრამ სად წავიდე? ჯერ ერთი – მეჯლისში ჩემზე უმცროსი და ჩემზე ჯანმრთელი არავინაა. მე თვითონ ვიზრუნე თავის დროზე ამაზე. ჯანმრთელ ახალგაზრდა კაცს, ვინ იცის, რა ფიქრები მოუვა იმ ჯანსაღ გონებაში. ისე შევკარით მეჯლისის კარები, რომ ბუზიც ვერ შემოფრინდება. ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდები გვყავს, როგორ არა გვყავს, მაგრამ ჯერ კეთილ ინებონ და მოითმინონ, მათი დროც მოვა, მიჭირს, როგორ არ მიჭირს. ჯერ ეს გაუთავებელი მიღებები და შეხვედრები, ფეხზე დგომა, ამ ორდენ-მედლების ჩამორიგება. ჯერ მარტო ჩემი ჯილდოების ტარებამ გამწყვიტა წელში. ვინ ეხვეწებოდათ, ამდენი ორდენი და მედალი რომ ჩამომკიდეს, წელში ვიხრები ჩემი პიჯაკის სიმძიმისაგან. რომ გაჯილდოვებენ, იმ წუთას გიხარია კაცს, მაგრამ რომ წარმოიდგენ, კოსტუმის კიდევ უფრო დამძიმებას, ცუდ გუნებაზე დგები. საქმეში ჩაუხედავი იფიქრებს, თვითონ არიგებს ამ ჯილდოებს და თვითონვე იჯილდვებს თავს, ეს მამაცხონებულიო. არ არის ასე. გთხოვენ, შეგეხვეწებიან და უარს ვერ ეტყვი. ახლა რომ ვუფიქრდები, თანამედროვე ზღაპრების წიგნი რომ გამოაქვეყნეს ჩემი ავტორობით, იმაზე უარი უნდა მეთქვა. შეატყო ხალხმა, რომ იმ ზღაპრების დამწერი მე არ ვიყავი. რა პატივისცემაა ახლა ეს, კაცმა რომ თქვას? ისე ლამაზად და კარგად წერა მე რომ არ შემიძლია, არ იცის ვითომ მკითხველმა? რატომ უნდა შემეძლოს ყველაფერი მე? მწერალი იმისია, რომ წერა უნდა იცოდეს, სამაგიეროდ მე პოლიტიკური მოღვაწე ვარ და მეტი

შორსმჭვრეტელობა მაქვს. მოვლენებში ღრმად ჩაწვდომის და ღრმა ანალიზის უნარი, ურთულეს საკითხებში სწრაფი ორიენტირება შემიძლია ისე, ზეპირად. შეუძლია ეს მწერალს? არ შეუძლია. ჰოდა, მე ჩემი ღირსებებიც რომ მყოფნის, რაღად მინდოდა მეზღაპრის დიდებაც? ვინ მკითხა რამე, მომიტანეს და დამიდვეს წინ მშვენივრად გამოცემული „ჩემი წიგნი“. არა, არა, ნამეტანი ვიცით ზოგჯერ.

თუ ჩემი პატივისცემა გინდა, შე კაი კაცო, ერთი ორი საათი მეტხანს მამყოფე ჩემთვის, ლოგინში. არ მინდა მეტი არაფერი, ესაა ჩემი პატივისცემა. თუ სადმე სამართალია, უნდა გადავდგე აწი და სხვას დავუთმო გუბერნატორის საჭე, მაგრამ, ვთქვი მისი არ იყოს, ვის დავუთმო და სად წავიდე? გაიგებს ვინმე სწორად? თავისი სურვილით გადადგაო კი არ იტყვიან, გადააყენესო. ახალმა მოსულმა თავისი ხალხი უნდა მოიყვანოს, ეს ჩემი ბებრები პენსიაზე უნდა გამიცილოს და მინიშნებებით და ქარაგმებით ჩემი კრიტიკა უნდა დაიწყოს, ასეა ლამის დაკანონებული. ყველამ ასე არ გავაკეთეთ? მერე? რა მოყვება ამას? ჯავრისგან გული გაგისკდება და შენ გგონია იმ პატივდიდებით დაგასაფლავებენ, რა დამსახურებაც მიგიძღვის იპიის წინაშე? შენ არ მომიკვდე; პატარა, მშრალ ნეკროლოგს გადმოგიგდებენ და იპიის გალავნის კედელში თუ დადგეს შენი ურნა, დიდ პატივად უნდა მიიღო. კრემაცია და კედელი მინდა მეე? ერთ მიყრუებულ ქუჩას და პატარა გემს დაარქმევენ შენს სახელს და ამით დამთავრდება ყველაფერი. ამისთვის მოვიკალი თავი? ამას შევალიე ჩემი ჯანი და გონება? ამიტომ არ მინდა ჯერ წასვლა, თორემ დამსახურებულ დასვენებას რა სჯობია. შვილთაშვილები ისე დაიზარდნენ და დაგენერალდნენ, რომ ბავშვობაში მუხლზე არ დამისვამს არც ერთი და ხეირიანად არც მოვფერებივარ.

ვინც გუბერნატორობას და ჩემს დღეში ყოფნას ნატრობს, ჭკუათმყოფელი არ არის, ამას მე გეუბნები. უბედური კაცი ვარ მე. ბედნიერი ვინ არის, იცი? ვისაც შეუძლია, როცა უნდა,

მაშინ გაიაროს სოფლის შუკაში, ხმელი ბალახის სურნელით დატკბეს, ყაყაჩოები გაირჭოს თმაში, წყალზე გადებულ მორზე ჩამოჯდეს; ფეხები წყალში ადგაფუნოს და რაც მოესურვება, ის იღიღინოს. ბედნიერი ვინ არის, იცი? ხალხით გაჭედილ პროსპექტზე ნელა რომ მოაბიჯებს, უცნობ, ლამაზ გოგონებს რომ უღიმის და ნაყინს მიირთმევს. თორემ ჩემი დღე რა სანატრელია. ძალით მივისაჯე გუბერნატორობა, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი ლამის სამი ათეული წელია“.

ფიქრი სელექტორის წკრიალმა შეაწყვეტინა. საბანი თავზე წაიფარა და გაირინდა.

– დილა მშვიდობისა, ბატონო გუბერნატორო, – ნაცნობი ხმა იყო.

არ გაეპასუხა. ხუთიოდე წუთში ისევ აწკრიალდა აპარატი და კვლავ მშვიდობის დილა უსურვეს. არც ამჯერად გაიღო ხმა, აქაოდა მძინავსო.

მალე ფრაკში გამოწყობილი, დიპლომატურად თმაგადავარცხნილი, ხელსაქაღალდიანი ელეგანტური თანაშემწე შემოვიდა, საბანი თავზე უცერემონიოდ გადახადა, „ნუ ცუღლუტობ, ვიცი, არ გძინავსო“, სიყვარულით დატუქსა, სასთუმალთან საავარძელი მოაჩოჩა, ბუნებრივი ტყავის საქაღალდე გაშალა და დილის ინფორმაციის კითხვას შეუდგა. გუბერნატორს ჩასთვლიმა, ისევ ძილ-ბურანმა წაართვა თავი. სულ ასე ემართებოდა, როცა რაიმეს უკითხავდნენ. ყანყრატოზე თანაშემწის გამაფხიზლებელ-მომფერებელი ხელის შეხება იგრძნო, თვალი გაახილა.

– შენ ეს მითხარი, – გუბერნატორმა მარჯვენა თავქვეშ ამოიდო და ჭერს ააშტერდა.

– გისმენ.

რაც უნდოდა ეკითხა, დაავიწყდა, მაგრამ რაკი თანაშემწე უსმენდა, რაღაც ხომ უნდა ეკითხა:

– დახვედრა და გაცილება ბევრი გვაქვს დღეს?

ჭირივით სძულდა აეროპორტში მისვლა. დახვედრა-გაც-

ილებებისაგან ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი. ყველას ხომ ვერ გაანდობდა, რომ საპატიო ყარაულის ჩამოვლა მის წვენგამშრალ მუხლებს აღარ შეეძლოთ.

– დღეს ერთი მიღება გვაქვს მარტო.

– ვისი?

– იპიპიის პრემიერ-მინისტრის, დაგავიწყდა, გუშინ რომ ჩამოვიდა?

გუბერნატორი გაჩუმდა. გუშინდელი დღე ბუნდოვნად ახსოვდა.

– კეთილი და პატიოსანი. მიღებაზე ის თუ იქნება... ის... ის...

– ყველანი იქნებიან, – დაამშვიდა თანაშემწემ, წამოდგა, ტყავის საქაღალდე ამოიღლიავა, დიპლომატიურად დავარცხნილი თმა თავის ჰაერში აკვრით გაისწორა და გავიდა.

საუზმის შემდეგ გუბერნატორმა თავი შეუძლოდ იგრძნო. ექიმები შეშფოთდნენ. ბაროკამერაში მოთავსების დრო აღარ იყო. სასწრაფოდ წამოაწვინეს და ორი ნემსი ლამის ერთდროულად დაჰკრეს.

თორმეტ საათზე მიღება დაიწყო.

ჯერ ჰიპიუს მეცხრე შემოიყვანეს თანაშემწეებმა და მიღების დარბაზში გრძელ მაგიდასთან მიაყენეს. გუბერნატორს მეჯლისის მხცოვანი წევრები შემოჰყვნენ და შორიახლო დამწკრივდნენ. წუთის შემდეგ კარი გაიღო და ღონიერი ნაბიჯით წამოვიდა იპიპიის ახალგაზრდა, სახეგაბადრული პრემიერ-მინისტრი ჰაიე.

ჰაიე გზადაგზა თეთრ კბილებს აელვებდა და მზით გარუჯულ სახეზე ნეტარება ეხატა. უკან რვა კაცისაგან შემდგარი ამალა მოსდევდა.

გუბერნატორმა სტუმრის შესახვედრად ერთი ნაბიჯი წადგა წინ და კვლავ მაგიდას ჩამოეყრდნო. ასე იყო დარიგებული. თორემ ორ ნაბიჯსაც მშვენივრად გადადგამდა.

იპიპიის პრემიერ-მინისტრმა მარჯვენა რომ გაუწოდა, გუ-

ბერნატორმა ხელი როდი ჩამოართვა, გაიჭირვა, თავისი უღონო მკლავები ზეასწია, მხრებზე დაადო ჰაიეს, გულში ჩაიკრა და კოცნა დაუწყო. კარგა ხანს კოცნიდა ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ლოყაზე.

როცა თანაშემწემ მკლავში მოკიდა ხელი და სტუმარს გამოარიდა, პრემიერს ხელი დაუქნია. გრძელ მაგიდას შემოუსხდნენ თუ არა, გუბერნატორმა ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი შეამშრალა. ამ ბოლო დროს მიღებისას გული ხშირად უჩუყდებოდა და ხვევნა-კოცნის შემდეგ თვალები ცრემლით ევსებოდა.

მოლაპარაკება კარგა ხანს გაგრძელდა: გუბერნატორი თავს უქეიფოდ გრძნობდა და საუბარში არ ჩარეულა. ჰიპიუს მეცხრე სტუმართ შესცქეროდა და ფიქრით სხვაგან იყო. ვინ იცის, იქნებ ამ წუთში მსოფლიო პრობლემებზე მეტად ის აინტერესებდა, მტკივნეული იქნებოდა თუ არა ორი ნემსი, მიღების შემდეგ რომ გაუკეთებდნენ. იპიპიის პრემიერ-მინისტრთან მოლაპარაკებას მეჯლისის სხვა, ჯერ კიდევ მეტყველების უნარის მქონე, წევრები წარმართავდნენ.

ჰიპიუს მეცხრე იჯდა და ნელ-ნელა სიბრაზე ერეოდა. ეჩვენებოდა, რომ მოლაპარაკების დროს იპიპიის სახელმწიფოს თავი თავისი მკვირცხლი თვალებით და მოჭიკჭიკე ენით, ღონიერი კისრითა და მომხიბლავი ღიმილით აშკარად თვალთმაქცობდა, რაღაცას ატყუებდა გამოცდილ, მაგრამ გულუბრყვილო მასპინძელს. რაც დრო გადიოდა, მით უფრო უძლიერდებოდა ეს აზრი გუბერნატორს. „აშკარაა, რომ თაღლითია, გვატყუებს“, ფიქრობდა იგი, მაგრამ კონკრეტულად რა პუნქტებში თვალთმაქცობდა სტუმარი, ვერ გეტყოდათ, რადაგანაც მოსაუბრეებს არ უსმენდა და რომც მოესმინა, ღმერთო შეგცოდე, მის დაღლილ, დაქვეითებულ გონებას, იქნებ ბევრი ვერაფერი გამოეტანა დიპლომატთა სპეციფიკური, რევერანსებითა და ყალბი ღიმილით სავსე საუბრიდან.

მიღების დასასრულს მოხდა გაუგონარი და გაუთვალ-

ისწინებელი რამ: როცა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ცერემონიალი დაიწყო, გუბერნატორმა უცნაურად გადაიხარხარა, ხელშეკრულება, რომელიც ის-ის იყო წინ დაუდეს, ყდიდან ამოგლიჯა, შუაზე გახია და მოისროლა, წამოდგა, ყუნცულით შემოუარა გრძელ მაგიდას, სტუმართან ძლივს მიბაკუნდა, დაიხარა და სამი თითის კომბინაცია ზედ ცხვირთან მიუტანა იპიპიის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ჰაიეს.

დარბაზი წამით გაირინდა. ტელეკამერები, მიუხედავად იმისა, რომ იპიაში პირდაპირ სატელევიზიო გადაცემები კარგა ხანია მოდაში აღარ იყო და არც ამ მიღების ტრანსილაცია ხდებოდა პირდაპირი ხაზით, ასოთხმოცი გრადუსით შებრუნდნენ ამ, დიპლომატიურად უაღრესად უხერხული სცენისაგან.

მერე თითქოს შეჩერებული კადრი ამოძრავდაო, ჰიპიუს მეცხრე წელში გაიმართა და ჩვეული ყუნცულით გასასვლელისკენ წავიდა. მაღალ კართან შეჩერდა, მობრუნდა, ოთხი აკანკალებული თითი ჩაიდო პირში და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაუსტვინა.

სტვენა ნელ-ნელა სუსტდებოდა. სანამ თანაშემწეები ხელს შეაშველებდნენ, ჰიპიუს მეცხრემ სხვის დაუხმარებლად გამოიღო პირიდან თითები, შეტრიალდა და ჩაიკეცა.

დარბაზში მეყვსეულად გაჩნდნენ თეთრხალათიანი ექიმები, მაგრამ ხელოვნურ სუნთქვას, ნემსებს, ნიშადურის სპირტს და ყურების სრესვას შედეგი არ მოჰყოლია. გუბერნატორი მკვდარი იყო.

მეოთხე დღეს გაზეთებმა ქვეყანას მოჰფინეს გუბერნატორის გარდაცვალების ჭორად უკვე გავრცელებული ამბავი. ნეკროლოგთან ერთად სამედიცინო დასკვნაც დაიბეჭდა. ექიმები ფრთხილი ხალხია, ჩვენ რამე შარში არ გავებათო, დასკვნაში ყველაფერი ზუსტად ჩაეწერათ. ცხრა ექიმ-აკადემიკოსის ხელმოწერით გამოქვეყნებული დასკვნა მკითხველს აუწყებდა, რომ გუბერნატორი უკანასკნელი ოცდაექვსი წლის განმავლობაში დაავადებული იყო ჰიპერტონიითა და ათეროსკლეროზით, გადატანილი ჰქონდა შვიდი (მათ შორის ოთხი მიკრო) მიოკარდის ინფარქტი, ტვინის მარჯვენა ჰემოსფერო აღარ ფუნქციონირებდა, ხოლო მარცხენაში მეხსიერების ძაფები ატროფირებული იყო. ზურგის ტვინის პერსპექტიული გამოშრობა პერმანენტულად ვითარდებოდა, ხოლო კისრის მალები მთლიანად გადაგვარებული გახლდათ. სამეტყველო აპარატის მოშლას მოვლენათა შორის ლოგიკური კავშირის დამყარების უნარიც თან გაჰყოლოდა, ნაღვლის ბუშტი კენჭოვანი იყო და საშარდე მილს თურმე გამტარუნარიანობა კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა.

„ან აქამდე როგორ იდგა ფეხზეო“, ამოიოხრებდნენ იპიელნი, როცა გუბერნატორის სამედიცინო ექსპერტის ამ ეჭვმიუტანელ დასკვნას გაეცნობოდნენ. გაზეთს დაკეცავდნენ, უბეში შეინახავდნენ და შუბლშეჭმუხვნილნი მიეშურებოდნენ თავიანთ იპიურ საქმეებზე.

ფერმის გამგე კარლო

შვეიცარიიდან დაბრუნებული ემიგრანტი კარლო ლომთაძე სოფელ დობერაზენის მეძროხეობის ფერმის გამგედ დანიშნეს. სათქმელად ადვილია, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად და უბრალოდ რომ არ მოხდებოდა, მკითხველს მოეხსენება. ჯერ ის უნდა ვთქვათ, როგორ მოხვდა კარლო ემიგრაციაში და რა საქმიანობას ეწეოდა საზღვარგარეთ ყოფნის დროს. მერე იმ მიზეზს უნდა ჩავუღრმავდეთ, რამაც ერთ მშვენიერ დღეს ლომთაძე საბჭოთა საკონსულოს კართან მიიყვანა და სამშობლოში დაბრუნების ნება ათხოვნინა. მე ვფიქრობ, არც იმის ცოდნა გვაწყენდა, რატომ მაინცდამაინც ფერმის გამგედ დანიშნეს კარლო ლომთაძე და არ გაამწესეს, ვთქვათ, ნოტარიუსად ან არქივის სარაიონო განყოფილების უფროსად.

საზღვარგარეთ საცხოვრებლად მოხვედრის ექვსი გზიდან (ომის დროს ტყვედ ჩავარდნა, ტურისტთა სასტუმროდან ალიონზე გაპარვა და თავშესაფრის თხოვნა, თვითმფრინავის გატაცება, ზღვიდან ყვინთვით, ან ხმელეთიდან თექის ფაჩუჩებით გადაპარვა საზღვარზე, ებრაელის შერთვა, ემიგრანტთა ოჯახში დაბადება) კარლო, შვეიცარიაში, ყველაზე უმტკივნეულო (პირადად კარლოსათვის, რასაკვირველია) და მისგან ნაკლებად დამოკიდებული შემთხვევის წყალობით აღმოჩნდა. იგი ჟენევის მახლობელ სოფელში დაიბადა ემიგრანტების – სილიბისტრო და მატრონა ლომთაძეების კანონიერი ქორწინების შედეგად. სანამ მკითხველს, ყველაფერი ერთბაშად რომ სურს იცოდეს ამ საქმესთან დაკავშირებით, გაუჩნდებოდეს კითხვა – კარლოს მშობლები როგორღა აღმოჩნდნენ ევროპის შუაგულშიო, დავასწრებ და მოვახსენებ; ათას ცხრაას ოც წელს ჟენევაში სასწავლებლად გამგზავრებულ ახალგაზრდებს ათას ცხრაას ოცდაერთი, ოცდაორი და ოცდაოთხი წლების

ისტორიულმა ამბებმა მოუსწრო. ბურჟუაზიული გაზეთები გაჰყვიროდნენ: ბოლშევიკები ყველას, ვინც საზღვარგარეთაა ნამყოფი, ციხეში ამწყვდევენ, ხოლო, ვისაც განათლება უცხოეთში აქვს მიღებული, გაუსამართლებლად ხეზე ჰკიდებენო. რა დაგიმალოთ და, დაშინდნენ ჩვენი გმირის მომავალი მშობლები. ნაუცბათევად რომ სხვა ვეღარაფერი მოიფიქრეს, დაქორწინება (ჩვენ მაინც არ დავკარგოთ ერთმანეთიო) და ჟენევის მახლობლად საცხოვრებლად დარჩენა გადაწყვიტეს. შვეიცარიის მოქალაქეობა კი, ვერ დავუკარგავ, ისე მიიცვალნენ, არ მიუღიათ. ამაში ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფალნიც დაეხმარნენ. მოგეხსენებათ, შვეიცარია ემიგრანტს მოქალაქეობას არ აძლევს.

კარლო ომამდე დაობლდა. ჯარისკაცის ფარაჯა არ სცმია იმ სერიოზული მიზეზის გამო, რომ დაბადებით ბეჭმრუდე და კოჭლი გახლდათ. ომის გრიგალი, რასაკვირველია, ისე შეეხო, როგორც ჟენევის მახლობელ სოფელში მცხოვრებ პოლიტიკის გარეშე მდგარ კაცს შეეხებოდა. ყოველ შემთხვევაში ეშმაკისთვის სული არ მიუყიდია, თორემ არაფერს დაუკარგავდნენ. ბარე ორს ამოადინეს ცხვირში ძმრად თავისი, ნებითი თუ უნებლიე, უგუნური კვეთება. ოჯახს არ მოკიდებია, მარტო ცხოვრობდა. როცა ქვეყანას უჭირდა, არც კარლო გახლდათ დალხინებული, მშვიდობიანობა რომ დამყარდა და შვეიცარიამ ჩაურევლობის პოლიტიკის ჭკვიანური კურსი აიღო, კარლო ლომთაძეც გაიმართა წელში. ეკონომიურ მხარეზე მოგახსენებთ, რა თქმა უნდა, რადგანაც იდეების ჭიდილი და პოლიტიკური ვნებათაღელვანი ბავშვობიდანვე ნაკლებად აინტერესებდა. გაზეთი სძულდა, მოკლე მოთხრობების კითხვა უყვარდა და მეძროხეობით ირჩენდა თავს. ომის წლებში მხოლოდ სამი, მერე კი შვიდ ძროხაზე ნაკლები არასოდეს ჰყოლია. ძროხები დღემუდამ თავის ეზოში, ანუ როგორც დასავლეთში ეძახიან – ფერმაში ირწყულ-იცოხნებოდნენ. კარლოს ფერმა მექანიზაციის უკანასკნელი სიტყვით იყო მოწყობილი-მეთქი, რომ

გითხრათ, არ ვიქნები მართალი. ძველებურ გერმანულ ბოგაზე ება საქონელი. ერთი ძველმოდური საწველი აპარატი „ლაიპციგ-სა“ ჰქონდა, სარძევე ალუმინის ბიდონები, სამაწვნე ქილები, რძის ცხიმიანობის შესამოწმებელი ხელსაწყო, ჯაგრის-სამუნელი და პირუტყვის საკვების მოსაკავებელი კასრები – ეს იყო ფერმის მთელი ავლა-დიდება. დამავიწყდა, პირველი გამოშვების საბარგო „კადილაკიც“ ჰქონდა. დღეში ორჯერ ჩადიოდა კარლო ჟენევაში თავისი მორყეული მანქანით. დილით, ალიონზე, მაწონი ჩაჰქონდა, საღამოს რძის ის ნაწილი, რომელსაც მაწვნად არ ადედებდა. ყველაფერს გამსაღებელ ფირმას – „ჟოზეფინას“ აბარებდა. თვის ბოლოს თავის კუთვნილ „მარკებს“ მოკეცავდა და მოგებას ბანკში აბანდებდა. ფერმის შესანახ (აგრეთვე პირადად საჭირო) თანხას კი სასთუმალთან, უგასაღებო „ტუმბოჩკაში“ დებდა. ორმოცს რომ გადაშორდა, სხვა ინტერესები გაუჩნდა. აშკარად გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც უნდა შეცვლილიყო, თორემ უინტერესოდ და ერთფეროვნად ეჩვენებოდა ირგვლივ ყოველი. ქართული, რაღა თქმა უნდა სუსტად იცოდა, რომ იტყვიან, გაქცეულს მოაბრუნებდა, სხვა არაფერი. წერა-კითხვა ბავშვობიდანვე დედამ შეასწავლა, მაგრამ ისიც ბუნდოვნადღა ახსოვდა. ჰოდა, შუახანს მიღწეული კაცის ყოფაში ქართული თემა, ქართული ინტერესები ერთბაშად გაჩნდა. სადღაც თვითმასწავლებელიც იშოვა, რამდენიმე ქართული წიგნიც მოაქუჩა და ხმამაღლა, ბორძიკ-ბორძიკით კითხულობდა. მერე გერმანულ ენციკლოპედიაში საქართველოს შესახებ სტატიები მოძებნა, და, თქვენ წარმოიდგინეთ, იქამდეც კი მივიდა, გაზეთებსაც დაუწყო თვალიერება, იქნებ ჩემს შორეულ სამშობლოზე რაიმე ცნობებს წავაწყდეო. რა იყო ეს, მოსვენება რომ დაუკარგა აქამდე მშვიდად მცხოვრებ შვეიცარიელ ფერმერს? სისხლის ყივილი? თვით კარლო ვერაფერს გეტყოდათ. ფაქტი ის იყო, რომ მას, რაც მეტ ინფორმაციას ეცნობოდა, მით უფრო ეამაყებოდა თავისი ქართველობა და ბოლოს, სამოცს რომ მიუკაკუნა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რადაც უნდა დაჯდომოდა, საქართველოში ჩამოსულიყო და სიცოცხლის დღენი აქ დაელია.

როგორც ეს საერთოდ მიღებულია, ჯერ ჟენევაშივე კარგა ხანს ამოწმ-ათვალიერეს კარლო, მერე საქართველოში მამაპაპის ნაფუძარზე, თითქმის გადაშენებულ სოფელ ჟვერში დასახლების უფლებაზე დელიკატური უარი უთხრეს (სოფელი ზვავ-მეწყერის ზონად ითვლება და შინმობრუნებულ კაცს საფრთხეში ვერ ჩაგაგდებთო). ორი თვე რაიონის ცენტრში, სასტუმროში აცხოვრეს და რაკი დარწმუნდნენ, რომ კარლო საიდუმლო ობიექტების მიმართ არავითარ ფოტოგრაფიულ ინტერესს არ ამჟღავნებდა და არც საიდუმლო გადამცემი ჰქონდა ჩემოდნის ფსკერში ჩამონტაჟებული, სრულიად შესაძლებლად მიიჩნიეს ემიგრანტის ჩაბმა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში. მხედველობაში მიიღეს რა ლომთაძის პროფესიული საქმიანობა – ჟენევის მახლობელ სოფელში მეძროხეობით გატაცება, სოფელ დობერაზენის ფერმის გამგეობა შესთავაზეს. უსაქმობით დაღლილ კარლოს უარი არ უთქვამს. დობერაზენის ორასსამოცდაშვიდძროხიანი ფერმა, მართალია, მოწინავეთა შორის არ იხსენიებოდა და საცდელ-საჩვენებელ ფერმად არ ითვლებოდა, მაგრამ არც ჩამორჩენილთა შორის ასახელებდნენ. ერთი საშუალო კლასის ფერმა იყო. უნდა გავამხილო, თავიდან ჭარჭმიეთის ნახევრად დავსებულ ფერმაში უპირებდნენ გაგზავნას, მაგრამ რაიკომის მდივანმა არ ჰქნა: „მაინც ჩამოსული კაცია, იმ გაღლეტილ ფერმაში რომ გავუშვათ, ჩვენზე წარმოდგენა მთლად დაეკარგებაო“.

ივნისის ერთ უქარო საღამოს რაიაგრომრეწვის უფროსმა – კუდიგორიძემ აიყვანა ფერმაში კარლო. კრებას წარუდგინა; დღეიდან თქვენი გამგე იქნებაო, განუცხადა და ისიც არ დაუმალავს, რომ ლომთაძეს – შვეიცარიაში დაბადებულს, მესაქონლეობის დარგში დიდი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი. ფერმის მუშაკებმა უკვე იცოდნენ, რომ მათთან კარლო

იყო დანიშნული და ჭორად გაცილებით მეტი რამ ჰქონდათ ყურმოკრული, ვიდრე რაიაგრომრეწვის უფროსის გამოსვლიდან შეიტყვეს. როგორც ეს საერთოდ ხდება, ახალ ხელმძღვანელს ტაშით შეეგებნენ და დაიშალნენ.

იმ დღეს არაფერი; თეთრ ხალათში გამოწყობილი ახალი გამგე ექსკურსანტივით დადიოდა ფერმაში და ყველაფერს ათვალიერებდა, მეორე დღეს კი ყველამ შეიტყო, რომ ლომთაძე „საპატიო გამგედ“ დარჩენას სრულიადაც არ აპირებდა – საქმის გაკეთება სურდა. დილით რძის სავსე ბიდონებს მანქანაზე რომ ტვირთავდნენ, ტყავისსერთუკიანი კაცი შევიდა მასთან და ქაღალდი დაუდო ხელმოსაწერად.

– თქვენ? – სათვალე შუბლზე აიწია კარლომ.

– ექსპედიტორი თოდაძე ვარ, – მიუგო სტუმარმა.

კარლომ ხელი მოაწერა ქაღალდს. ამას შვეიცარიაშივე მიეჩვია. რაკი ხელისმოსაწერად გაწვდიან, ესე იგი უნდა მოაწერო. ქაღალდს ხელს ყოველთვის ანგარიშმიუცემლად აწერდა.

– ბოდიში, რისი ექსპედიტორი? – იკითხა ფერმის გამგემ.

– მანქანას მივყვები რძის ჩაბარებაზე.

– შოფერი?

– არა, ბატონო, შოფერი სხვაა. მე გამყოლი ვარ. პროდუქცია, ამ შემთხვევაში რძე, რომ ზუსტად ჩაბარდეს ქარხანას.

– მტვირთავი?

– არა, ბატონო, მტვირთავი იქ დახვდება.

– ბოდიში, მანქანა ხომ შოფერს მიჰყავს? თქვენ რისი ექსპედიტორი ბრძანდებით?

თოდაძეს გაეცინა. მიიხედ-მოიხედა და ხმას დაუწია.

– მარტო შოფერს ვინ ანდობს რძეს, ბატონო. აქანა შვეიცარია კი არაა. ხომ გაავსო გზაში წყლით ბიდონები.

კარლო დაიბნა. ჯერ ეგონა, თოდაძემ იხუმრაო და გაცინების მსგავსი რაღაც სცადა, მაგრამ ექსპედიტორის სახეს რომ შეავლო თვალი, სწრაფად დასერიოზულდა.

– ავადმყოფია? – შიშით იკითხა.

– ვინ, ბატონო?

– შოფერი.

– ავადმყოფი რომ არაა, იმიტომ იზამს მაგ საქმეს. ოცდაათი ბიდონიდან ხუთს ბაზარში გაყიდის და რაც დააკლდება, წყლით შეავსებს.

– ესე იგი მოიპარავს? – კარლომ ფანჯარა გამოაღო და ისე გახედა მანქანასთან მოფუსფუსე, კეპიან მძღოლს, როგორც სკოლამდელი ასაკისანი იმ უცნობ ძიას გახედავენ, რომელსაც დედიკოს თქმით, ჯიბეში მაკრატელი უდევს და ურჩ ბავშვებს ყურებს აჭრის.

ამ პასუხმა ფერმის გამგის ცნობისმოყვარეობა ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილა. ეჭვი ეპარებოდა თოდაძის ნათქვამში. უკვირდა, შოფერი შემჩნეული რომ იყოს რძის ქურდობაში, ხომ აქამდეც დაიჭერდნენ, ხოლო თუ აქ რძის წყლით განზავება საერთოდ მიღებულია, რა გარანტია მაქვს, რომ ორნი – მძღოლი და ექსპედიტორი, უფრო წარმატებით არ გააკეთებენ ამ ბნელ საქმესო.

ამის შემდეგ კარლომ მოსვენება დაკარგა. უსიამოვნოდ გააჟრჟოლებდა ხოლმე, როცა მძღოლი კარებში შეეფეთებოდა, ან თოდაძე ხელმოსაწერად ქაღალდს გაუწვდიდა. ეჩვენებოდა, რომ მძღოლს და ექსპედიტორს ერთმანეთი სასტიკად სძულდათ, რადგანაც ცხოვრებას მათთვის კატა-თაგვობანას გაუთავებელი თამაში მიესაჯა.

გარდა ამისა, კარლოს ერთი რამეც უკვირდა; ფერმაში მთელი დღე უამრავი ხალხი ტრიალებდა (გამგემ ყველა მათგანის გაცნობა ჯერჯერობით ვერ მოახერხა), ხოლო დილით და საღამოთი, როცა მუშახელი ყველაზე მეტად იყო საჭირო, ფერმის თანამშრომელთა უმეტესობა სადღაც გაქრებოდა. ძროხებთან ხუთიოდე მწველავი გოგონა ტრიალებდა და დილით, საძოვარზე, პირუტყვს ორად-ორი მწყემსი – შაკო და მელენტი მიაკინკილებდნენ.

გულით სურდა გაეგო ლომთაძეს, რა მოხელე-ჩიქვანი იყო

ეს მილეთის ხალხი ფერმაში, მაგრამ ვერ იქნა, ვერ დაადგინა. უფრო სწორად, რომ შეაჩერებდა და ჰკითხავდა: „მაპატიეთ, თქვენ რა პოსტი გიჭირავთო“, შეჩერებული ისეთ საქმეს დაუსახელებდა, რომ კარლოს რცხვენოდა ეთხოვა თავისი ხელქვეითისთვის ერთხელ კიდევ გაემეორებინა ის საპატიო მისია, ფერმაში რომ დაეკისრებინათ. არა და ვერავის დაემდურებოდი. თითქოსდა, უსაქმოდ არავინ იყო. ყველანი შთაგონებული სახეებით მიმოდიოდნენ. ფერშალი და ვეტექიმი პირუტყვის ჯანმრთელობის შესახებ მთელი დღე დავთრებს ავსებდნენ. ადგილკომის თავმჯდომარე, ნოდარ ქარცივაძე, შრომის კანონიერების დაცვაზე ზრუნავდა, სახალხო კონტროლის ხელმძღვანელი, ცოტაძე, ზურგის მიდამოებზე ხელებდაწყობილი, წინდაუკან ბუტბუტით დააბიჯებდა, ფერმის გამგის მოადგილე, შაქრო ღლონტი, გაუთავებლად ილანძღებოდა, პროპაგანდისტი ნორა აბულაძე, გვიან საღამოს, ვისაც მოიხელთებდა, გაზეთებს უკითხავდა, ხოლო დღისით პლაკატებს თხზავდა და ხატავდა. კულტმუშაკი, ღრმად გაუთხოვარი ნუნუ მჭადაძე საღამოს ფანდურს დაიჭერდა ხელში და ფერმის ღია ესტრადაზე მთვარეს მარტოდმარტო უმღეროდა; ხოლო ორი მწყემსი და ხუთიოდე მწველავი გოგონა, როგორც მოგახსენეთ, ძროხებს ისე პატრონობდნენ, როგორც ორ მწყემსსა და ხუთიოდე მწველავ გოგონას შეეძლო მოევლო ორასსამოცდაშვიდი ძროხისა და ლამის ამდენივე ხბოსათვის.

გადიოდა დრო. ზაფხული მიიწურა. დღეები დღეებს მისდევდა, მაგრამ შვეიცარიელმა გამგემ თავისი კვალი ვერა და ვერ დაატყო ფერმას. თითქოსდა აქ ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი იყო და თვითდინებით კეთდებოდა. აღინთებოდა ზოგჯერ კარლო, შესაგულიანებლად უხმობდა ფერმის მრევლს – „ხბოებს საკვები არ ჰყოფნით, ბოსლებში ანტისანიტარიაა, წველადობის ინტენსივობა დაბალიაო, თქვენს ინტერესებშივე შედის, მეტი მონდომებით მოვეკიდოთ საქმესო“, გამოაცხადებდა. ფერმის თანამშრომლები მდუმარედ უსმენდნენ, თითქოს ეთანხმებოდნენ კიდეც, მაგრამ გამგის ნაღაღადევი ორ ნაბიჯზევე ავიწყდებოდათ.

ერთხელ ღლონტს უხმო და დაავალა: „ხალხი გამიფრთხილე, ხვალ დილით საქონელს რომ გარეკავენ, სანიტარული დღე მოვაწყოთ, ბოსლები დავასუფთავოთო“. შაქრომ „ხალხი“, როგორც ჩანს, გააფრთხილა, მაგრამ მეორე დღეს ბოსლების დასასუფთავებლად მარტო გამგე და ორი მწველავი გოგონა გამოცხადდნენ. თვით შაქრომ რაიონში თათბირზე გამოძახება მოიმიზეზა, ხოლო სხვებმა გამგეს ამოოხვრით განუცხადეს: ბოსლების დასუფთავებაზე ზრუნვა საშტატო სპეციფიკაციით ჩვენ არ გვეხებაო.

ფერმის წითელ კუთხეში, ბამბუკის სკამზე ლურჯი რიდით თავწაკრული, მოხდენილი გოგონა იჯდა და მკლავჩახვეული თავის გოგონურ ფიქრებს მისცემოდა. ოფლში გახვითქულმა კარლომ დაუძახა და ბოდიშის მოხდით სთხოვა, – იქნებ შემოგვშველებოდით ბოგის დასუფთავებაშიო“. გოგონამ თავი დაუქნია, ახლავე გეახლებითო და წინკარში გაუჩინარდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ საგარეოდ გამოწყობილი ნოდარ ქარცივაძე წარუდგა გამგეს და მორცხვი ჩურჩულით აუწყა: „ეგ გოგონა კომკავშირული საგზურით არის მოსული. სტაჟის გულისთვის მუშაობს ჩვენთან. ყოველ მეორე დღეს გაზეთშია გამოჭიმული, როგორც სკოლიდან პირდაპირ წარმოებაში მოსული. ახლახან სადაბო საბჭოს დეპუტატადაც აირჩიეს. შენი ჭირიმე, გაანებე თავი, თორემ სკორეს სუნს ისედაც ვერ იტანს, სულ გაგვექცევა აქედანო“.

„საერთოდ, რას საქმიანობს ფერმაშიო?“, შეჰბედა კარლომ ადგილკომის თავმჯდომარეს. „კაცმა რომ თქვას, არაფერს. უნდა იჯდეს და მომსვლელს დაენახვოს იმის დასტურად, რომ ფერმაში ახალგაზრდებიც არიან, ჟურნალისტს შეკითხვაზე უნდა უპასუხოს და ფოტოკორესპონდენტს ძროხების ფონზე გაღიმებული სახით გაუჩერდეს სურათის გადასაღებად. თითო-ოროლა ასეთი ახალგაზრდა მარტო ფერმებში კი არა,

ყველა დაწესებულებაშია ახლაო“. ამით ქარცივაძემ ჩათვალა, რომ საკითხს ნათელი მოჰფინა და, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სწრაფად შეტრიალდა, რათა თავის მოსაწყენ კაბინეტში გამოკეტილიყო და ეოცნება იმგვარი ოცნებით, მის ინტელექტს რომ შეეფერებოდა.

ყოფილ ემიგრანტს კი ნელ-ნელა ეუფლებოდა უსიამოვნო ფიქრი იმის შესახებ, რომ ამ ფერმაში ყველას ყველაფერი ევალებოდა, გარდა უშუალოდ ძროხების მოვლა-პატრონობისა. ეს ფიქრი, ცუდ გუნებაზე აყენებდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ დღეს თუ ხვალ დასძლევდა ფერმის მუშაკთა ყალბ, მოჩვენებით ენთუზიაზმს და მათს ადამიანურ ენერგიას ფერმის უშუალო საქმეს დაუკავშირებდა.

ერთხელ ნორა აბულაძემ მოლზე წითელი ნარმის ნაჭრები გადააფინა, მთელი კვირა იჯახირა და, როგორც იქნა, გამოაპლაკატა: ერთს ეწერა: „300 კილოგრამით გავზარდოთ თითოეული ფურის წველადობა“; მეორეს „370 კილოგრამამდე ავიყვანოთ ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა“; ხოლო მესამეს – „მიღწეული ზღვარი როდია“. კარგა ხანს უარა ხელების ფშვნეტით ირგვლივ ამ ლოზუნგებს ფერმის გამგემ, ბოლოს ნორა რომ დაიმარტოხელა, ჰკითხა: „ისა, ეს ლოზუნგები, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ რატომ მაინცდამაინც სამას ან სამასსამოცდაათ კილოგრამამდე? მარტო ჩვენზე ხომ არ არის დამოკიდებული?“

– მონდომებას ყველაფერი შეუძლია! – განზე გაიხედა ნორამ.

– მონდომებას კი, მაგრამ თუ ბალახი არ მოვიდა? გარდა ამისა, ამ თვეში ქატო რომ არ შემოგვიტანეს? ხომ არსებობს ყუათიანი და უყუათო საკვები?

ნორას გაეცინა.

– ბატონო კარლო, ქატო რომ არ შემოგვიტანეს, თქვენი ბრალია, რომ გაგეშვათ შაქრო ღლონტი, გააკეთებდა ამ საქმეს. საერთოდ საწყობი თუ რამეთი არ დავაინტერესეთ, არაფერს არ იძლევა. ასე არაა თქვენთანაც, შვეიცარიაში?

ლომთაძემ თავი დაუქნია, „ასეაო“. სინამდვილეში კი ვერაფრით მიმხვდარიყო, რანაირად უნდა დაეინტერესებინა საწყობის გამგე, რომ მისთვის გამოყოფილი ქატო მიეცა.

– რაც შეეხება ამ პლაკატებს, – განაგრძო ნორამ – აქამდეც უნდა გამოგვეკრა. ცოტა დაგვიანებულიც კი ვართ. ესენი სოცშეჯიბრის პლაკატებია.

– რისი? – ყურს ხელი მიახმარა კარლომ.

– სოცშეჯიბრის, – ლამის დაუმარცვლა აბულაძემ.

– ვის ვეჯიბრებით?

– იაკუტიის ოლქის სოფელ ჩუქჩუქიის მეძროხეობის ფერმას.

– ამ სიშორეზე როგორ ვეჯიბრებით? რისთვის ვეჯიბრებით, რა დაგვიშავა? – გულწრფელად და, ცოტა არ იყოს გულუბრყვილოდაც იკითხა კარლო ლომთაძემ, მაგრამ ნორამ ამ უკანასკნელ შეკითხვაზე პასუხს კიბის მოტანის მომიზეზებით თავი აარიდა. ღმერთო შეგცოდე, ფერმის საწყობში რომ მიმოდიოდა, თვითონაც გაიფიქრა; „მართლაცდა, რატომ ვეჯიბრებით ამ სიშორეზეო“, მაგრამ, რომ დაბრუნდა, სხვა საზრუნავით იყო დაკავებული მისი გონება. ხოლო კიბე, სიმართლე უნდა ითქვას, არ გამოუტანია.

დადიოდა ეულად დობერაზენის ფერმაში გამგე და გაოგნებული იყო იმით, რომ ერთხელ მიცემული ღვთიური ბიძგის წყალობით ფერმა ჯერ კიდევ ფეთქავდა, ვერ აეხსნა, რა სასწაულის ძალისხმევით ხდებოდა, რომ გეგმა სრულდებოდა მაშინ, როდესაც ფერმაში სანთლით საძებარი იყო ისეთი ადამიანი, სამუნველის ხელში აღებას და ძროხისთვის ბეჩო-ტალახის ჩამოფხეკას რომ არ თაკილობდა. თითქმის ყველანი გაქცევაზე იყვნენ, ნახევრად იყვნენ სკამზე ჩამომსხდარი. თითქო ფერმაში დროებით შემოევლოთ, გადასაჩრდილებლად, ქარის ამოსაღებად და ხვალ ყველანი თავიანთ დიდ ასპარეზს გაუტევდნენ. ასე ფიქრობდა ფერმაში სტაჟის დაგროვების

ხათრით მოკავებული გოგონაც და თქვენ წარმოიდგინეთ, გამგის მოადგილე – შაქრო ღლონტიც, რომელიც ხარისხის მაძიებელთა გუნდის წევრი გახლდათ და ღამღამობით თავის სადისერტაციო თემას ჩაჰკირკიტებდა.

ერთ კვირაში ძვირფასი სტუმრის პატივსაცემად მეორე ხბო რომ დააკვლევინეს და მგლისთვის გადააბრალებინეს, კარლო ლომთაძემ ჩააწყო ჩემოდანში თავისი ბარგი-ბარხანა და ისე, რომ ფერმის პერსონალს არ დამშვიდობებია, თავქვე დაეშვა. ეს მოხდა ფერმის გამგედ მისი დანიშვნის ოთხი თვისა და შვიდი დღის თავზე.

– აკი ძროხის საქმეში ვერკვევიო? ჟენევის მახლობლად ფერმა მქონდაო? ასე მალე მოგწყინდათ? – ჰკითხა რაიკომის მდივანმა, როცა ყოფილი ემიგრანტის განცხადებას გულდასმით გაეცნო.

– რა ვიცი... მეგონა, ვერკვეოდი... თქვენ აქ სხვანაირი ფერმა გქონიათ, დავიბენი, დასწყევლოს ეშმაკმა... უნდა მაპატიოთ... თანაც, როგორც ეტყობა, დავბერდი კიდეც... – ლუღლუღებდა კარლო და იატაკს დასცქეროდა.

რაიბიბლიოთეკის გამგედ დანიშნეს. ახლაც იქ მუშაობს.

ავი კვამლი

დღისითა და ღამით ქშინავდა მადნის გამამდიდრებელი ქარხანა. ოთხი, დევების აყუდებული საწნახელისხელა მილიდან უხვად, შეუფერხებლივ აფუტებდა რუხ-ყვითელ ბოლს და მარტო ცის კამარას კი არ უცვლიდა იერს, რიონისპირას გაშლილ პატარა ქალაქ დაბაზონსაც ასხვაფერებდა. შხამიანი მტვერი დაბლა მოიწევდა და გარემოს ძლივსგამჭვირვალე, ნარინჯისფერ ციაგში ხვევდა. ქარხნიდან ცხრა კილომეტრის რადიუსზე სიმინდი არ იკეთებდა ტაროს, კიტრი ყვავილის მოცილებასაც ვერ ასწრებდა; დაფსხრიკულ-დახვარკული ეკიდა მოჩვარულ ფოთლებს შორის, ბჟოლასაც კი მწვანე ფოთლები და ბუსუსებიანი საპნისგემოდაკრული თუთა ესხა. წლების განმავლობაში იწამლებოდა იქაურობა, მაგრამ ფიქრადაც არავის მოსვლია, სიცოცხლისათვის საშიშ ზონად გამამდიდრებელი ქარხნის მიმდებარე (რა მშვენიერი სიტყვა გაახერხეს ჟურნალისტებმა) ტერიტორიის გამოცხადება, რადგანაც სისხლნაკლული ხეები (როგორც ხეების წესია) ხეების ძეგლებივით მუნჯად იდგნენ, ხოლო ადამიანები ჩივილით თავს არ იწუხებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უმეტესობა ნელ მოწამვლას თითქმის შეგუებოდა და გულში მადლობელიც კი იყვნენ, რომ დაბაზონთან უფრო ეფექტური სიკვდილის მანქანა არ ქშინავდა. უმცირესობა იწვოდა შხამიანი ბალახის ჭამით გაბერწებული ძროხების საცოდაობით, მაგრამ ჩივილით არც უმცირესობა იწუხებდა თავს, იმის ღრმა შეგნებით, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ჭირვეულობით ინდუსტრიის გიგანტს, ხუთწლედის მშვენებას დაბაზონის მადანგამამდიდრებელ ქარხანას ფრთებს არავინ შეაკვეცდა. ქარხანა ისე დიდი მნიშვნელობისა იყო, რომ ერთ ანეკდოტში იგი მეორე მსოფლიო ომის საბაბადაც კი გამოაცხადეს. დაბაზონის მოქალაქენი დიდხ-

ანს მორჩილად და ერთგულად ყლაპავდნენ ქარხნის უოზონო ბოლს, მაგრამ ათასში ერთხელ მათს უპრეტენზიო გონებაშიც კი გაკრთებოდა ირონიული აზრი იმის შესახებ, საჭირო იყო თუ არა მადანი, მაინცდამაინც აქ, მისი მოპოვების ადგილიდან ოცდაათ კილომეტრზე, სწორედ დაბაზონის მიდამოებში გამდიდრებულიყო.

ერთხელ ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსულ ერთ დიდ კაცს მოსწყინდა ლურჯი ზღვის ცქერა და ახლომახლო რაიონებში გასეირნება გადაწყვიტა. ატყდა ფაციფუცი. სანამ მასპინძლები გასეირნების მარშრუტს შეადგენდნენ, წინასწარ, ყოველ შემთხვევისათვის, გადაიკეტა გზები. სამოთხისმსგავსი სიჩუმე ჩამოვარდა ტრასებზე. დააწებეს შერყვნილი ასფალტი, ირისისფრად შეღებეს წაქცევას მიმდგარი შენობები, ხოლო იქ, სადაც ნაბომბარივით ჩონჩხადქცეულ კედლებს შეღებვა არ უხერხდებოდა, უბრალოდ პლაკატები გააკრეს. პლაკატები, სიმართლე უნდა ითქვას, მშვენიერ აზრებს შეიცავდა და ვინ იყო წამკითხველი, თორემ ყოველი მეორე ლოზუნგი არნახულ-გაუგონარ აყვავებას ჰპირდებოდა ტყუილების მიმართ ჯერ კიდევ სასწაულებრივად რწმენაშერჩენილ მოქალაქეებს. სამშაბათ დილით დაიძრა სადადმოწყობილი დასასვენებელი სასახლიდან გამსეირნებელი პროცესია. იგი მხლებელთა ექსკორტისთვის ხომ ფრიადი საზრუნავი და დიდი გამოცდა იყო, არც იმ დიდი კაცისთვის გახლდათ მთლად სასიამოვნო. ბოლოს და ბოლოს, მართალია, არაოფიციალური გახლდათ მისი სვლა, მაგრამ გზისპირებზე შეკრებილი, ცაში ქუდების ტყორცნად და ვაშად დავარდნილი ხალხისთვის, ათასში ერთხელ ხელი მაინც ხომ უნდა დაექნია. უკვირდა სტუმარს, ასე მაინც რამ შეაყვარა ხალხს ჩემი თავი, რომ ამ გაგანია სიცხეში ევკალიპტ-კვიპაროსების ჩერო მიუტოვებიათ და შესახვედრად გამოფენილანო. რა იცოდა მაღალმა სტუმარმა, რომ ეს მხურვალე შეხვედრები ინსტრუქტორ-ორგანიზატორთა თავგადაკლული მეცადინეობის შედეგი იყო. ხოლო თავის, ლამის

გაუბედურებულ, საქმეებში თავჩაქინდრულ მოქალაქეებს ისეთი უბრალო რამეც კი უშლიდა ნერვებს, როგორიც გახლავთ ავტოინსპექციის მიერ მოძრაობის შეჩერება, სანამ ექსკორტის უკანასკნელი, მეცამეტე მანქანაც არ გაივლის. დიდი კაცი, რომელმაც ახლო-მახლო რაიონებში გასეირნება გადაწყვიტა, უმადური როდი გახლდათ. მართალია, დასვენების გამო საზოგადოებაზე ზრუნვას ამ დღეებში მაინც ვერავინ დაავალდებულებდა, მაგრამ შვიდივე თანაშემწისა და პორთფელით მასთან ოდნავ მიახლოვებულ პირთა გასაგონად დროდადრო ბრძნულ შენიშვნებს გამოთქვამდა იმ საგანთა მიმართ, რასაც თავისი კონდიცირებული მანქანის ამოწეული მინებიდან მოჰკრავდა თვალს. მაგალითად, სოფელ ვერაშენდასთან გავლისას ჩაილაპარაკა – რა პატარა სასაფლაო ჰქონია ამ სოფელსო, დაბა ღრმულეთს რომ გადახედა – აქ დაბა რომ არ იყოს, რა მშვენიერი წყალსაცავი გაკეთდებოდა კალმახსაშენი მეურნეობითო, ხოლო დაბაზონთან გამამდიდრებელი ქარხნის ლაღად მონანავე ბოლშხამში რომ შეცურდა წინ მიმავალი, მოტოციკლკანარეიკებზე ამხედრებული რაზმი, პირზე ქათქათა ცხვირსახოცი მიიფარა და თქვა – რატომ ბოლავს ასე მწარედ, ნუთუ გამონაბოლქვი ახლო-მახლო სიმინდის ყანებს არ აზიანებსო. თანმხლებთაგან განსაკუთრებით ისინი, ვისაც სამსახურებრივად ევალებოდა, უფროსის სიტყვებს მაშინვე უბის წიგნაკში ინიშნავდნენ. მერე, სულ რაღაც ორიოდე დღეში, დაიწყებოდა სასაფლაოს ტერიტორიული გადიდების სამუშაოები, დაიგეგმებოდა საკალმახე მეურნეობის ფართობი, ხოლო რაც შეეხება გამამდიდრებელი ქარხნის ბოლს, ერთმა მასპინძელმა სცადა აეხსნა, სიცოცხლისათვის საშიში არ გახლავთო. მართალია, სტუმარმა თავის შენიშვნაში ყურადღება, ძირითადად, სიმინდზე გაამახვილა, მაგრამ „სიცოცხლისათვისო“ რომ ჩაესმა, როგორც ჩანს, შეეცოდა ქარხნის ირგვლივ ჟამკარარევით მობოდიალე, დაყვითლებულ-დაგლახავებული მცხოვრებნი და ამოილაპარაკა: „არ შეიძლება იაპონიას ავთვისებიანი ბოლის

საფილტრო დანადგარები არ ჰქონდეს გამოგონებული. დაინტერესდით და დავეხმაროთ ადგილობრივ მოსახლეობასო“. თქვა ეს თუ არა, მაღალ სტუმარს ისტერიული ხველება აუტყდა. და ხელით ანიშნა მძღოლს, „დავიძრათ, გავშორდეთ ამ ადგილსო“. ხველებას რომ მორჩა, ასატანზე უფრო მწყრალად გახედა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელს, რომელიც წელან ლოგიკის კანონების მოშველებით უმტკიცებდა, გამამდიდრებელი ქარხნის ბოლი სიცოცხლისათვის საშიში არ არისო.

მოინახა არხი, გამოიძებნა სახსრები და, სულ რაღაც რამდენიმე თვეში დაბაზონის გამამდიდრებელი ქარხნის ეზოში გაჩნდა მშვენივრად შეფუთულ-შეხვეული ოთხი იაპონური კვამლსაფილტრი დანადგარი. გამოიძახეს დიადი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში დიპლომშეძენილი ინჟინერ-კონსტრუქტორები. ასაფეთქებელი მინის უვნებლადმქცევი ჯარისკაცის („საპიორი“) სიფრთხილით დახსნეს ე. წ. კონტეინერები და დანადგარების დამონტაჟებას შეუდგნენ. სანამ დამონტაჟებამდე მივიდოდეთ, უნდა ვაუწყო მკითხველს, რომ შესაფუთავი მასალიდან ქარხნის დარაჯმა მოითბო ხელი; იაპონური ფანერი სამზარეულოს გასამართავ მასალად დაჰყიდა, კაპრონის ბურბუშელათი სათვალთვალო კოშკის ღრიჭოები ამოგმანა, ხოლო ნეილონის თეთრ, დრეკად ტვირთსაფენებს ბავშვები მთელი თვე დაარბენინებდნენ, ერთმანეთს შორის ფოჩიან კანფეტებზე და უნაბზე ცვლიდნენ.

ვის დავუმალო, გაუჭირდათ ინჟინრებს საფილტრე დანადგარის, არასაინჟინრო ენით რომ ვთქვათ, მბოლავ მილებზე მიმაგრება. მართალია, მუყაით იაპონელებს ისიც კი გაეთვალისწინებინათ, შეიძლება დაბაზონელმა ინჟინრებმა იაპონური კარგად არ იციანო და ნახაზ-ინსტრუქციები ზედმიწევნითი სიზუსტით შეედგინათ. მე რას გავუგებდი, მაგრამ ერთხელ ჩავხედე და რაც თვალში მომხვდა, ის იყო, რომ ყველა დეტალს თავისი ნომერი ეწერა და ისრით იყო ნაჩვენები, სად

უნდა მიქანჩულ-მიმაგრებულიყო. ეს ფილტრებიო, როგორც ჩანს, სხვა ზომა-თვისების მილებისთვისაა გათვალისწინებული, მოსარგებად მილ-გიგანტების ხელახლა აშენება და, აქედან გამომდინარე, ქარხნის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია დაგვჭირდებაო, ამტკიცებდა ინჟინერთა ერთი ნაწილი, ხოლო მეორე, შედარებით მცირე ნაწილი, დაბეჯითებით ირწმუნებოდა: რა სიკეთეს ელოდით კაპიტალისტური სამყაროსგან, რატომ არ შეიძლებოდა იაპონელ მაგნატებს ჩვენთვის წუნი დანადგარები შემოეჩეჩებინათო. ეს ბოლო არგუმენტი ნაკლებ სარწმუნო გახლავთ, რადგანაც, როგორც ამას წინათ ტელეგადაცემიდან შევიტყვე, იაპონურმა ქარხანამ წუნი რომ გამოუშვას, ამისთვის დიდი სახსრები დასჭირდება; საათივით აწყობილი დაზგები უნდა გადააკეთოს და კომპიუტერებს ყალბი დავალებები უკარნახოს. ამიტომაც, სურვილის შემთხვევაშიც კი, იაპონელები სპეციალურად ჩვენთვის ასე დიდად თავს არ შეიწუხებდნენ. მუნჯისა და დედის ანდაზის თანახმად გადაწყდა, კვლავ იაპონური მხარე დაენამუსებინათ. ეთხოვათ, დაბაზონში იაპონელი ფილტრის გამართვის ოსტატების მოვლინება.

ვერ გეტყვით, რა გადაულაპარაკეს ერთმანეთს იაპონიის ცნობილი საფილტრო ფირმის „აპარავას“ მესვეურებმა, ეს თხოვნა რომ შეიტყვეს, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ თერთმეტ მაისს საგანგებო დანიშნულების ვერტმფრენმა დაბაზონში სამი მუდმივმღიმარე იაპონელი და ერთი შეთავსებით სხვაგან მომუშავე ფრენჩგადაკეთებული თარჯიმანი ჩამოიყვანა. ბარემ აქვე ვიტყვი, თარჯიმანი ურიგო კაცი როდი გახლდათ. საუბრის მანერაზე ეტყობოდა, რომ საყველპურო იაპონურსაც ფლობდა. მაღალი, ბეჭებში მოხრილი, გრძელხელება ჩუვაში თუ კაზაკმორდვი იყო. ჭამის დროს ლაპარაკი არ უყვარდა და მოჭიქულივით მოცისფრო თვალებს იშვიათად ახამხამებდა. პირველ დღეებში მოწყენილი სახით დააბიჯებდა და ცდილობდა, როგორმე დაახლოებით მაინც გაერკვია

მასპინძლები, რასაც იაპონელები ლამის ერთობლივი წამოძახილებით და კატეგორიული ღიმილით ამბობდნენ, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგანაც ურთულესი იაპონური ტექნიკური ტერმინოლოგია თვითონაც ბუნდოვნად იცოდა. კაცმა რომ თქვას, თარჯიმანს დაბაზონის გამამდიდრებელი ქარხნის საფილტრო დანადგარების გამართვაზე მეტად ორი რამ აინტერესებდა: ქარხნის პერსონალსა და იაპონელთა შორის ლეგალურ-არალეგალური ურთიერთობის განვითარების მასშტაბები და ადგილობრივი მოსახლეობის საკულტო ადათ-წესების შესწავლა კონკრეტულად სტუმრის მიღება-გაცილების ტრადიციებთან დაკავშირებით. რაკი პირველი ინტერესი შედარებით ადვილად დაიკმაყოფილა (დაბაზონელთა და იაპონელთა შორის საიდუმლო პაკეტების გაცვლა-გამოცვლა პერსპექტივაშიც კი არ ილანდებოდა, ხოლო შიფრით, ან პაროლით საუბარზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ისე აშკარად ჩანდა, რომ სტუმარ-მასპინძელთ ერთმანეთისა არ ესმოდათ), თარჯიმანი მთელი გულისყურით მეორე, არანაკლებ საინტერესო საქმეზე გადაერთო. გადაბმული ქეიფის მოყვარულთა ხუთკაციანი რაზმი შემოიკრიბა, ერთ კვირაში საბოლოოდ გალოთდა და თარჯიმნის საპატიო მისია ლამის დაივიწყა.

ალბათ, ბაბილონის გოდოლი უფრო გეგმაზომიერად და შეთანხმებულად შენდებოდა, ვიდრე მადნის გამამდიდრებელი ქარხნის ფილტრდანადგართა აკრება-მიმონტაჟების საქმეს უჩანდა საწაღმართო პირი. დილით, რვა საათზე შაბისფერ ხალათებში გამოწყობილი იაპონელები კარგა ხანს ელოდებოდნენ პუნქტუალურობასდაშორებული კოლეგების მოსვლას. პირველ დღეებში აღშფოთებას გამოთქვამდნენ, მაგრამ მერე, როცა დარწმუნდნენ, რომ აქაურთათვის დრო სხვანაირი გაგება-განზომილებისა იყო, გულში მოსწონდათ კიდეც პედანტობას შებრძოლებული, საათთა ჩარჩოებს გაძალიანებული დაბაზონელების ხასიათი. მერე იწყებოდა მიმიკებითა და ჟესტიკულაციებით აღსავსე კამათი იმის შესახებ, თუ რა უნდა ეკეთებინათ კონკრეტულად. კამათი, თუ დაბაზონურ და იაპონურ შეძახილებს და შიგადაშიგ ჯანმრთელ ხარხარს მხედველობაში არ მივიღებდით, პანტომიმის თეატრის სპექტაკლს გაგახსენებდათ. დაბაზონელები რომ გაიცინებდნენ, იაპონელები სდუმდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. მერე იაპონელები გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს და სამივენი იაპონურად აძიგძიგ-ატკარცალდებოდნენ. დაბაზონელები ჯერ გაკვირვებით შეაჩერდებოდნენ სტუმრებს, მერე თვითონაც შეუერთდებოდნენ სიცილს და ერთად იცინოდა ორივე მხარე. დაბაზონელებს იაპონელთა სიცილზე ეცინებოდათ, ხოლო იაპონელები რაზე იცინოდნენ, ჩვენ ვინ გვეტყვის და იქნებ ასე სჯობდეს. რომ შევიტყოთ, იქნებ არც კი აღმოჩნდეს მთლად სასაცილო და სამხიარულო ჩვენთვის.

ბოლოს რამდენიმე გაბედული მუშა-ინჟინერი დაიკაპიწებდა ხელს და იწყებდა დანადგარის აწყობა-დამონტაჟებას. კამათის ბოლოს შრომითი საქმიანობის უშუალოდ დაწყების პირველი ფრაზა ყოველდღე ერთნაირი იყო: „ჰე, რავა ვქნათ ახლა. ხვარ დავაღამებთ ლაპარაკში დღესაც. ჩვენ ჩვენი გავაკეთოთ და გაასწორებენ მერე, რავარც უნდათ!“ ამ დროს იაპონელები კუთხეში მიიკუჭ-მიიყუჟებოდნენ. საეჭვოდ კისერგაშეშებულები, შეძრწუნებული თვალებით შესცქეროდნენ ღიღინით მოფუსფუსე, მზედაკრული დაბაზონელების საქმიანობას და მხოლოდ მაშინ გამოხატავდნენ ენერგიულ პროტესტს, როცა ექსტაზში შესული მასპინძელი ქლიბს ან რკინის ხერხს მოიმარჯვებდა და დანადგარის დეტალის შესწორება-შემოკლებას შეეცდებოდა. შეშფოთებისაგან სახეარეული იაპონელები ბოდიშმოუხდელად მიირბენდნენ მასთან, ჯერ უაქცენტო იაპონურ სიტყვებს დააფრქვევდნენ თავზე და მერე გასაფუჭებლად განწირულ დეტალს გამოტყუებდნენ ხელიდან. აშკარად ჩანდა, რომ იაპონელებს ქლიბი და რკინის ხერხი არ უყვარდათ. როცა, ნასადილევს, საამქროში შედარებით ხალვათობა იყო (დაბაზონელ სპეციალისტთაგან სადილის შემდეგ სამუშაოდ

ცოტანილა ბრუნდებოდნენ. იაპონელებმა ამასაც მოუძებნეს ახსნა – ტრადიციას მიაწერეს), შაბისფერხალათიანები შეუდგებოდნენ საქმეს. დაინტერესებულ ინჟინერ-კონსტრუქტორთა უტყვი მზერის ქვეშ იაპონელები პირწმინდად დაშლიდნენ დაბაზონელთა იმდღევანდელ ნამუშევარს, დეტალებს, საწყის მდგომარეობას დაუბრუნებდნენ და ხელახლა იწყებდნენ აწყობას.

ასე გადიოდა დღეები კი არა მარტო, კვირეები და ერთ მშვენიერ დღეს, რაკი სადაც ჯერ არს, დარწმუნდნენ, საფილტრე დანადგარების საქმე ჭიანურდება, ხოლო ქარხნის ავი კვამლი ძველებურად წამლავს სულიერსა და უსულო არსებებისო, ადგნენ და ეს უბანი დამკვრელურ უბნად გამოაცხადეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყოველ პარასკევს დარგის მდივანი უნდა ჩამოსულიყო დაბაზონში და სამუშაოთა დაჩქარების კეთილშობილი მიზნით ოპერატიული თათბირი უნდა ჩაეტარებინა.

დამკვრელურ უბნად გამოცხადების პირველ დღეს გამამდიდრებელი ქარხნის ეზოს შავი ვოლგები რომ გარსშემოადგნენ, იაპონელები კურდღლებივით დაშინდნენ და ერთმანეთის ზურგს ეფარებოდნენ. ეგონათ, რაკი ადგილობრივ ინჟინერ-კონსტრუქტორთა ნამუშევარს თავიდან ვაკეთებთ, ეს შავკოსტუმწითელჰალსტუხიანი, დარბაისელი ხალხი ჩვენს გასაკიცხად მოვიდაო. როცა ზონის მდივანმა და მისმა თანმხლებმა პირებმა სტუმრებს ღიმილით ჩამოართვეს ხელი და სახელდახელო ტრიბუნისაკენ გაემართნენ, იაპონელებმა შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ მათს საყვარლად მოწკურულ თვალებში შავვოლგიანთა ვიზიტის მიზეზის გაგების წყურვილი აშკარად ჩანდა.

დარგის შეფმა და ზონის ხელმძღვანელმა, როგორ დავუკარგავ, მშვენივრად ილაპარაკეს. ხელისშემშლელი მიზეზებისა და საფილტრე დანადგარების დამონტაჟების დაჩქარების საშუალებათა რკვევის ცერემონიამ კარგა ხანს გასტანა. სამსაათიანი სხდომის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებმა, ქარხნის ადმინისტრაციამ და ინჟინერ-კონსტრუქტორებმა (ორის გარდა) გააცილეს მოპარასკევენი. არ ვაპირებდი თქმას, მაგრამ თხრობის რეალისტური პრინციპი მაიძულებს აღვნიშნო, რომ იმ დღეს გამცილებელნი უკან, სამუშაოდ, აღარ მობრუნებულან.

დამკვრელური უბნის სპეციფიკით ჩვენ ვინ გაგვაკვირვებს, მაგრამ იაპონელებს ნამდვილად უკვირდათ ყოველ პარასკევს შავი ვოლგების მოგრიალება და მათთვის პირწმინდად გაუგებარ ენაზე წარმოთქმული გრძელი მონოლოგები. სწორედ რომ მონოლოგები, რადგანაც ყველა თავისას ამტკიცებდა და ყველას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ჭეშმარიტების გასაღები სწორედ მას ედო ჯიბეში. იაპონელებს თავდაპირველად ეგონათ, რომელიღაც რელიგიური სექტის სერობას ვესწრებითო. მერე კვლავ შიში შეეპარათ, სხვა ფირმა ხომ არ გვეცილება, უკეთესი ფილტრების მიწოდებასა და დროზე გამართვას ხომ არ სთავაზობენ დაბაზონელებსო. ბოლოს, ეს გახლდათ მეხუთე პარასკევობაზე, სტუმრები ერთ აზრს დაადგნენ; აშკარაა, ფილტრის დამდგმელი საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი გაფიცვას აცხადებს და რა მიამიტები ვართ, როგორ ვერ მივხვდით აქამდეო. ალბათ, ხანდახან რომ გულგრილად და უხარისხოდ წაიმუშავებდნენ, ამასაც იმიტომ აკეთებდნენ, ქარხნის მესვეურ-მეპატრონეთა ყურადღება რომ მიექციათო. რა თავაზიანი და კეთილი ხალხი ყოფილა, ჩვენ-შტრეიკბრეხერებს, ერთი უკმეხი სიტყვაც რომ არ გვაკადრესო. ერთ საღამოს უიმედოდ გალოთებული თარჯიმანი მოიხელთეს და მთავარ ინჟინერთან მივიდნენ ბოდიშის მოსახდელად.

რა გაქვთ საბოდიშოო, წარბებით ასწია ქუდი ინჟინერმა.

რა და გაფიცვაში რომ არ შეგიერთდით და ხანდახან ხელსაც გიშლითო.

რავა გეკადრებათ, რა უნდა ჩვენში გაფიცვასო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

აბა, რა არის, ყოველ პარასკევს რომ შეიკრიბებით და შუა-

დღემდე ქაქანებთო, „ქაქანი“ თარჯიმანმა თავისი ინიციატივით დაუმატა, თორემ იაპონელებმა გაცილებით უფრო დელიკატურად იკითხეს.

„რა არის და თათბირი“, – თარჯიმანს თვალი აარიდა და პირდაპირ იაპონელებს განუცხადა მადნის გამამდიდრებელი ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ჭოლა ჭუტალაძემ.

„ტატბირი“, „ტა-ტბი-რი“, „ტ ა ტ ბ ი რ ი“ – ხან გულში და ხან ხმამაღლა, ისე ბეჯითად იმეორებდნენ იაპონელები, თითქოსდა ამ მაგიური სიტყვის მნიშვნელობისა ესმოდათ რამე.

პარასკევობებმა ის შედეგი გამოიღო, რომ ფილტრების გამართვას ჩაჭიჭინებულ იაპონელებს ორმოციოდე ხელისშემშლელი ენთუზიასტი დაუმატეს. მოხალისე ინჟინერ-კონსტრუქტორები გაუგონარ, არგასამხელ საკუთარ აზრებს გამოთქვამდნენ: „მოსი, მოსი, ჰაი, ჰაი („გისმენთ, გისმენთ, დიახ, დიახ“. იაპ;) თავს უქნევდნენ ორიგინალური (მაგრამ მცდარ) აზრის გამომთქმელებს იაპონელები და მერე კვლავ თავისებურად მიყვებოდნენ საქმეს.

ადგილობრივ ინჟინერ-სწავლულთა შემოქმედებით ცეცხლს და ნოვატორულ წინადადებებს (ყველას იაპონელებთან სურდა თავის გამოჩენა) რომ არ შეეფერხებინათ, სტუმრები გაცილებით ადრე დაამთავრებდნენ ფილტრების გამართვას.

დარწმუნდნენ რა, რომ შავი სამუშაოც მათ უნდა შეესრულებინათ, გადადვეს თავი და ლამის ორ ცვლაში გამოდიოდნენ. წამდაუწუმ საათებს დასცქეროდნენ, შუბლზე ოფლის მოსაწმენდადაც ძლივს იცლიდნენ.

საღამოობით დაბაზონის სასტუმრო „მოიმოის“ აივნიდან ქუჩას გასცქეროდნენ და უფრო სერიოზული სახეები ჰქონდათ, ვიდრე ჩამოსვლის დღეს. შეიძლება მთლად გასაგებად ვერ ვთქვი, მაგრამ იმის თქმა მსურდა, რომ ძველებურად წამდაუწუმ და უმიზეზოდ აღარ იღიმებოდნენ. ერთი კი იყო, დაინახავდნენ თუ არა შავ ვოლგას, ხელს მიათითებდნენ, „ტატბირი“ ტატბირი!“ დაიძახებდნენ და მერე დიდხანს მუცელზე ხელისწავლებითა და ჩაბჟირებით, რომ იტყვიან, სულისშეხუთვამდე ხითხითებდნენ. იაპონელთა იუმორის გრძნობაზე ამრეზილ ჩემს ამაყ მკითხველს შევახსენებ, რომ ქუჩაში ახლა უამრავი შავი ვოლგა დადის და იმ შავი ვოლგების წელში გამართულ, მანქანის კარზე მარჯვენაჩამოდებულ მგზავრთაგან თითო-ოროლას თუ აქვს დამკვრელური უბნის „ამოწევის“ ძნელი მისია დაკისრებული.

აქ დავამთავროთ. გამოცდილი მაქვს, თუ დროზე არ დავსვი წერტილი, გულუბრყვილო ფიქრი ისე შორს გამიტყუებს ხოლმე, რომ მერე, ჩემს ახალ ნოველას დაბეჭდილს რომ წავიკითხავ, რაღაც-რაღაცების გამო მრცხვენია კიდეც და ლამის დავეთანხმო იმათ, ვინც დროდადრო მწყრალად ჩამიჩურჩულებს: „რას იკბინები, რას გვერჩი, გასაკილ-გასამასხრებელი სხვა ვერა ნახე რაო?“

ალბათ, საფილტრო დანადგარების გამართვის ბედი გაინტერესებთ. მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ იაპონელებმა თავი არ შეირცხვინეს, გაანაღდეს სიტყვა. ფილტრების მისამონტაჟებლად საკვამლე მილების დანგრევა და ქარხნის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია აღარ გახდა საჭირო, ოთხივე მილს ქვედა მხარე ცოტაზე მოუნგრიეს, თეთრი, გამომწვარი აგურით ყელი ამოუშენეს და ფილტრი მიუყენ-მიუქანჩ-მიუმონტაჟეს. აქ შემეძლო ერთი სიტყვა „მიამაგრეს“ მეხმარა, მაგრამ სამი ზმნა იმიტომ შევაწუხე, რომ სამუშაოს მთელ სიძნელეს გავუსვი ხაზი. „მიმაგრება“ ძალიან მარტივად ჟღერს.

პიწკზე მიიყვანეს საქმე, საფილტრი დანადგარების გამოსაცდელი გაშვება მოასწრეს და კიდეც გაუთავდათ იაპონელებს სსრკ-ში ყოფნის ვადა. წასვლისას მასპინძლებს დაუბარეს: საფილტრ დანადგარს წელიწადში ერთხელ ზეთის გამოცვლა და სარქვლების გაწმენდა სჭირდება. ეს ერთი, მეორეც, ჩვენ ვერ ვასწრებთ ფილტრსა და მილს შორის დარჩენილი ღრიჭოების ამოვსებას და ერთი თვის თავზე „სამაგრი მოჭერის“

გაკეთებას. ეს ყველაფერი ერთი დღის საქმეა. უმორჩილესად გთხოვთ, თათბირს ნუ გამართავთ, ნებისმიერ სამ დაბაზონელ ინჟინერს შეუძლია ამ საქმის გაკეთებაო.

მეექვსე წელია შეუფერხებლივ მუშაობენ ფილტრები. იაპონელების წასვლის დღიდან ხელით არავინ შეხებია. როგორ არ ახსოვთ დანაბარები, მაგრამ ვერ ბედავენ „სამაგრი მოჭერისა“ და სარქველების გაწმენდას, ვაი თუ, მერე ვეღარ ავაწყოთო. ღრიჭოების ამოვსებაზე არც უფიქრიათ, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაიხსენოს კაცმა, რანაირად ბოლავდა ქარხანა მთელი სახელოვანი ხუთწლედების განმავლობაში.

ფილტრის გამართულ მუშაობაში დარწმუნებული დაბაზონელები მხნედ და ხალისიანად გამოიყურებიან. ოღონდ ეგ არის, იმ ცხრა კილომეტრიან ზონაში ამ ბოლო დროს სიმინდი კვლავ უდღეურად გამოიყურება და თუთასაც საეჭვოდ ღიამწვანე ფოთოლი აქვს.

უნაგირი

იმ ფასად მაინც ვერ გაყიდა ნაპოლეონ სიჭინავამ უნაგირი, რა ფასადაც ვარაუდობდა. დიდხანს იდგა მარიფათიან გამყიდველებში, ერთი-ორჯერ გაუბედავად კიდეც ჩაილაპარაკა: „აბა, კაი უნაგირი აქეთო“, მაგრამ თავისივე ხმისა შერცხვა და გაჩუმდა. ნაცნობმა არავინ დამინახოსო, წაბლის ძირში ისეთი სახით მიდგა, თითქოსდა ვიღაცას ელოდებოდა, ხოლო უნაგირი ისე, სილამაზისთვის ჰქონდა მკლავზე გადებული. ხვდებოდა სიჭინავა, რომ უნაგირს მოქალაქენი იმ მიზეზითვე არ ყიდულობდნენ, რა მიზეზითაც თვითონ ჰყიდდა. ცხენის მოსაკაზმ-მოსართავს მაზანდა დაჰკარგოდა. ბაბუამისის დანატოვარი, ეს ერთდროს ძვირფასი ნივთი დიდხანს ინახა საოჯახო რელიკვიად ნაპოლეონმა, მაგრამ ახლა, როცა თვითონაც მობერდა და რაღა დაგიმალოთ, რელიკვიებისადმი რწმენაც გაუნელდა, იფიქრა, სანამ ჩრჩილი შეჭამდეს, გავყიდი, ვისარგებლებ მაინცო.

დილითვე ჰკითხა ვიღაცა ფართოყურებიანმა წითურმა – „ჰყიდი უნაგირსო“? ნაპოლენმა მიიხედ-მოიხედა და თავი დაუქნია. რა ჰქონდა მისახედ-მოსახედი, კაცმა რომ თქვას, ნაქურდალს ხომ არ ჰყიდდა? „რას აფასებო“, – ფართოყურებამ. სიჭინავამ ხუთი თუმანი დაუფასა, იმ ვარაუდით, რომ გახურებულ ვაჭრობაში ორმოც მანეთზე ჩამოვიდოდა, ნაკლებად გაყიდვას არ აპირებდა. მუშტარმა ოცი მანეთი რომ შეაძლია, უნაგირის პატრონი აიმრიზა: „ოცმანეთიანი უნაგირია ეეს? ასი მანეთის მარტო ვერცხლი აქვს კეხზე და ლაგამზე, დოუკვირდი. ოც მანათს, რომ იძახი, ღმერთს ვერ უყურებ? ბოვში რომ იყო, ვიტყოდი, არ იცის თქვა. კაი უნაგირის ფასი გეშლება ახლა, ვითომ, შეენ? ფული დამჭირდა რაღაცაზე სასწრაფოდ, თვარა ჭკვიანი კაცი გასაყიდად

გამეიტანდა ამას?“ ბოხოხიანმა ჯერ თვალები მოჭუტა, მერე სქელი ტუჩები მარჯვენა მხარეს გადაქაჩა და ისე გაიღიმა, როგორც დამბლიან ადამიანებს შეუძლიათ გაღიმება: „რას მეჩხუბები, შე კაი კაცო. აქანა ბაზარია, ათასი ჭკუის კაცი შემოდის, შენ ასე აფასებ, მე ასე მიღირს. თუ არ გაძლევს ხელს, წავალ ჩემს გზაზე. ვაჭრობის წესი ასეა, – ცოტას ორივე მხარე აგებს და ცოტას ორივე მხარე იგებს. აბა, რავა გინდა. შენ თუ ასე წამოჭარხლდი, ქე გადაყვები ამ უნაგირს და რათ გინდა რამე“. წელში ამპარტავნულად გამართული ნაპოლეონი წაბლისკენ შებრუნდა. ბოხოხიანს გამყიდველის ამგვარი საქციელი, რა თქმა უნდა, არ მოეწონა. ერთხანს უყურა, ეტყობოდა რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ხელი ჩაიქნია, ვინმე ნაგიჟართან არ მქონდეს საქმეო, და უკმაყოფილო ჩიფჩიფით ხალხს შეერია.

ჩათავებული მარტის გადარეული ამინდი იყო. უცებ რომ წვიმა მოალბობდა ქვეყანას, მეორე წუთს მზე აგიწვავდა კისერს.

ჩრდილმა ნახევრად შემოუარა წაბლს, მაგრამ უნაგირის მყიდველი არა და არ გამოჩნდა. დაიღალა სიჭინავა ფეხზე დგომით, მკლავიც დაუბუჟდა. „ეტყობა, გაყიდვას სხვა მუღამი უნდა, თორემ ყველაფერი გასაღდა ამ ბაზარში დღეს და რაღა ჩემი უნაგირი არ გაიყიდაო“. ნაშუადღევს, თეთრმოკლეხალათიანი, თეძოსრული რუსის ქალის ჩამოტარებული ხაჭაპურით ცოტათი მაინც რომ დანაყრდა, უნაგირი მხარზე გადაიგდო და ჩრდილს გამოშორდა. ბაზარი დილანდელთან შედარებით შეთხელებულიყო, მაგრამ ისე არა, რომ უნაგირიან კაცს თავისუფლად გასვლა-გამოსვლა შეძლებოდა. წამდაუწუმ „გამატარეთ“ და „ჩვენ ბოდიშმა“ ენა გაუშრო და, ის იყო, კვლავ წაბლისკენ შებრუნება გადაწყვიტა, რომ გაზიანი წყლის ჯიხურთან ფართოყურება ბოხოხიანს მოჰკრა თვალი და მისკენ გაეშურა.

– შენ გეუბნები, – ნაპოლეონმა უნაგირი მხრიდან ჩამოიღო

და გაზონის რკინის მოაჯირზე შემოდო, – მოვილაპარაკოთ მე და შენ, არ გაძლევ გლახა საქონელს, სიყრმეს და მოხუცებულობას გეფიცები.

– რა ჰქენი, ვერ გაყიდე? – წითური მიხვდა, რა საქმეზეც იყო მოსული გაწბილებული მეუნაგირე და თავი დაიფასა, ცივად შეხედა, განზე გაიხედა.

– მეჩქარება თვარა, გაყიდვით ქე გეიყიდება, აბა, რა სიკვდილს იზამს.

– მასე გგონია შენ. ცხენი აღარავის ყავს და რად უნდა უნაგირი. ჩემსავით სულელი კი არაა ყველა, რომ ვერ იქნა და ვერ შევეშვი ამ საქმეს.

– რავა?

– ბაბუაჩემიც ამ საქმეს მისდევდა და მამაჩემიც, მეცხენეები იყვნენ ყველანი და ხომ იცი, დაჩვეული ჭირის არ იყოს, მეც ამ გზას გავყევი. ხუთი ცხენი მყავს ახლა, ასე რომ მიყურებ მე შენ, – თან ამას ამბობდა ფართოყურება და თან, მალმალე, მარჯვნივ, ყანისკენ იმზირებოდა. ამით ნაპოლეონს აგრძნობინებდა; კაცი ხარ და გამოგელაპარაკე, თორემ სად მცალია შენთვის, ათასი საქმე მაქვს დღესო.

– ჰოდა, კაი ხელს უვარდება ეს უნაგირი, ისე ვატყობ მე.

– უნაგირის მეტი რა მიყრია სახლში. ჩემიც ოხრად მრჩება. რაღაცა აბჟანდი მომეწონა ამ დილას, თუ გახსოვს, და მგონია, შეგევაჭრე კიდეც. კიდევ კარგი, რომ ვერ მოვრიგდით, თვარა, მე რომ კიდევ უნაგირი მიმეტანა დღეს სახლში, წყევლით გადამაშენებდა ოჯახობა. ვერ ვატევთ, ისედაც, ცხენის მოსართავ-მოსაკაზმებს ვერსად.

– იყიდე, დამიჯერე, არ წააგებ. არ გექნება შენ ამნაირი უნაგირი, – ხვეწნა გაერია ხმაში ნაპოლეონს.

– მადლობელი ვარ, მარა, რომ მაჩუქო, არ მინდა. ხომ გითხარი, უნაგირს მიაქვს ჩემი სახლი-თქვა. – ბოხოხი წითელ, შესივებულ შუბლ-ქუთუთოზე ჩამოიწია და წასვლა დააპირა.

– მოიცა. ნუ დაკარგავ ამ საქონელს, მეცხენე კაცი ხარ.

მეც გული დამშვიდებული მექნება, კაი კაცს გავატანე-მეთქი.

– აგაშენა ღმერთმა, მარა რომ არ მჭირდება? – ფეხი აითრია ფართოყურებამ.

– სამ თუმნად დაგითმობ.

– სამ მანეთსაც ვერ მოგცემ, არ გეწყინოს. გაიარე პატარა და გამოჩნდება მუშტარი. ეგება მეტადაც ქე გაყიდო, არა მგონია, მარა...

– რატომღაც შენ მინდა გაგატანო, იმნაირი თვალით შეგხედე. თან ცხენები გყოლია. სხვა, რა ვიცი მე... სხვამ შეიძლება შეაგდოს სხვენზე და თაგვს შეაჭამოს ეს ოქროსავით უნაგირი.

– ეგეც მართალია.

– ცოდა ვარ, მარა წეიღე ოც მანეთად, რა ვქნა აბა.

– მე არ ვარ ცოდო? მეცხრე უნაგირი იქნება ახლა ეს, სახლში რომ მივიტან. გამიტეხავენ თავს ოჯახში და ის იქნება. ადგილი მაინც გვქონდეს შესანახი. ცხრა უნაგირი, მე მგონია, დადიანს არ ექნებოდა თავლაში.

– წეიღე, წეიღე, არ წააგებ, მამაჩემსა აქვს ცხონება.

– მოკლედ, ჩემნაირი ხათრიანი კაცი არ უნდა გამევიდეს ბაზარში. გაგიგონია, კაცს არ გჭირდებოდეს და ყიდულობდე მაინც? – ფართოყურებამ სერთუკის ღილები შეიხსნა და გულისჯიბეში იკრა ხელი.

– ახლა მთლად ძალადმაცხონესავით არ გამომივიდეს, თუ ძმა ხარ. თუ არ გინდა, ნუ იყიდი. ამის ორი კაპიკი არ ამაშენებს, ქე იცი შენ. თუ არ გეიყიდა, მეტი სადარდო არ მომცეს გამჩენმა. წევიღებ სახლში და დავკიდებ, სადაც მეკიდა, – მძიმედ, იხტიბარგატეხილად, მაგრამ დაჯერებულად თქვა ნაპოლეონმა.

– მომეცი, მომეცი. რაცაა, ეგაა. მე მყიდველად არ ვვარგოდე და უნაგირზე სული მიმდიოდეს, რა შენი ბრალია. მე თუ არაფერში გამომადგა, შვილიშვილებს მაინც შოვუნახავ შენს სახელზე, – სიტყვები არ დაემთავრებინა, ფართოყურებამ დააძრო ორი წითელი თუმნიანი და სიჭინავას გაუწოდა.

– მხარზე გადამადევი, თუ კაცი ხარ, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს ეს ფული.

ნაპოლეონმა ფული გამოართვა, უნაგირს დაწვდა, მყიდველს მარჯვენა ბეჭზე ჩამოდებაში უშველა და თან დააყოლა:

– შენც კეთილად მოგახმაროს ეს უნაგირი ღმერთმა, ჩემო, შენი სახელი?

– ჭიპიტო.

– ჩემო ჭიპიტო, რავარც მე შენ ბარე ორჯერ დამლოცო ამ საქონლისთვის, ისე სიმხნე და ჯანმრთელობა ჩემს ნაგრამს ამ ქვეყანაზე. ბაბუაჩემის ნაქონი უნაგირია, მარა თვითონ ორჯერ არ მჯდარა ზედ. არ დააცალეს. ბაბუაჩემის დაკლებული დღეები წლებად შეგმატოს ბუნებამ. ზუგდიდელი ქირიების ნამუშევარია. შენ ქე მიხვდებოდი, უნაგირზე და ცხენზე გაქვს ჭიპი მოჭრილი.

ამ სიტყვებით ორი დროული მოქალაქე ერთმანეთს დაშორდა. უნაგირის ახალი მფლობელი მარჯვნივ, პატეფონების და გრამოფონების შემკეთებელ-გამსაღებელი სახელოსნოსკენ წავიდა, ნაპოლეონმა კი წაბლს მოაშურა, ცოტა ხანს ჩამოვჯდები, გავაბოლებ და თვალს წყალს დავალევინებო.

ჩიბუხს რომ აწყობდა, გულში უხაროდა კიდეც, უნაგირი რომ გაასაღა. „მართალია, იაფად გავყიდე, მაგრამ ერთი არაკის არ იყოს, ჩემნაირი უგერგილო ვაჭრისთვის ეს ოცი მანეთიც სიზმარში შემოძლეული ფულივითაა, დრო უნაგირის საზიანოდ მუშაობს, ხვალ, შეიძლება, ამ ფასადაც ვერ გამეყიდაო“. ერთი-ორი ნაფაზი რომ დაარტყა და სააღებმიცემო აღტკინებამ გაუარა, გულზე სევდა შემოაწვა. ეს ის ბუნებრივი სევდა გახლავთ, ძვირფასო მკითხველო, შეჩვეული ნივთის ნებითი თუ უნებლიე დაკარგვის გამო რომ გვეწვევა ხოლმე. „რამ ამაკვინტილა ამ სიბერეში. წევე ბევრი რამე მქონდა ჩემი წინაპრების სახსოვარი. ყოფილიყო ეს უნაგირი, რას მიშლიდა. საჭმელს არ მთხოვდა და სასმელს. ეს ოცი მანეთი, ეს

დალოცვილი, თვალის წამას დეიხარჯება რაღაც პაჭი-პუჭში, უკვალოდ გაქრება და აორთქლდება, უნაგირი კი, თავიანი პატრონის ხელში ქონებაა და, ვინ იცის, რავა წავა საქმე. ეგება ქე მობრუნდეს ცხენების დრო უკანო“.

ბოლოს თავის გულჩვილობის და წაუკანტირების თვითონვე შერცხვა. „ნამეტანი მგრძნობიარე გავმხდარვარ ამ სიბერეში. რაც იყო, იყო. გასროლილ ტყვიას უკან ვეღარ დააბრუნებ. წაგება და მოგება ძმებია. ახლა ცოტას გავივლ-გამოვივლი, ეგება ტრაპეზუნის თუთუნს წავაწყდე სადმე, თუ არა და, წავალ სახლში და ჩემს საქმეს მივხედავო“.

ბაზარმა შეტყუება იცის. ჯერ რკინა-თუნუქეულობის რიგს ჩამოუარა. შავტუხა ბოშები სანაკვერჩხლე მაშებს და სამფეხა საცეცხლურებს ყაყანითა და ერთმანეთში დავიდარაბით ჰყიდდნენ. იმ ადგილიდან ადევნებულ ხელბავშვიან მკითხავ ქალს ებრაელ მექუდეებამდე ძლივს დააღწია თავი. საზაფხულო თხელი ქუდის ყიდვა სურდა, მაგრამ არც ერთი არ ჩამოეტია თავზე. „ზომას აგიღებ და ხვალ ჩაგაბარებ შენს სარგო ქუდს, დაგენაცვლეო“, დაჰპირდა ცხვირპაჭუა კოჭლი მექუდე, მაგრამ ნაპოლეონმა იუარა: „ხვალ აქეთ აღარ მექნება გზა და ვერ მოგატყუებო“. ბეჯით მექუდეს მუშტრის გაშვება არ უნდოდა: „დამიტოვე ხუთი მანეთი და, იმანეულ გეფიცები, გექნება ხვალ აქეთ გზა. არ უნდა ამ საქმეს გადადებაო“. „პიანი ბაზართან ვცხოვრობ, ვბერდები კაცი და ამ თქვენს ბაზარში მეორეჯერ ვარ. დღესაც აუცილებელი საქმე მქონდა, თვარა აქეთ პირს არ ვიზამდიო“, გულწრფელად აუხსნა სიჭინავამ. იგი მართალს ამბობდა. შეეძლო „თავის ბაზარზე“ უნაგირი უფრო სარფიანად გაეყიდა, მაგრამ ნაცნობებს მოერიდა და ქალაქის მეორე მხარეს, რიონგაღმა, ეგრეთწოდებულ მწვანე ბაზარს ამიტომ მოაკითხა, მერე ფართლეულის დახლები ათვალიერა და ცოტა არ იყოს ნაწყენი დარჩა იმ გარემოებით, რომ ამ ათასნაირი ფერისა და ხარისხის ქსოვილს თითქმის არავინ ყიდულობდა. საღამოვდებოდა, ბაზრის ჭიშკრისკენ რომ გაიკვლია გზა და,

ჭიშკართან ისევ ის ბოშა ქალი ჩამოეპორწიალა ხელზე. „უნდა გიმკითხავო. შენ თავზე ერთი ამბავი არის, აუცილებლად უნდა გითხრა. ფული წინასწარ არ მინდა. თუ მოგეწონოს მარჩიელობა, მერე მომეციო“. „ჩემი ოჯახის წევრების სახელებს თუ მეტყვიო?“, სიცილით ჰკითხა ნაპოლეონმა, იცოდა რა, აბეზარ მკითხავს ვეღარ გაექცეოდა. მანეთიანი მარცხენაში დაიჭირა და გააფრთხილა: „არ დამიწყო: გული კეთილი გაქვს, მარა მტრები გყავსო, ყველას რომ ერთნაირად ელაპარაკები. თუ რამე იცი, სწორად მითხარი, თუ არა და, კაპიკს არ მოგცემ, იცოდეო“. ამასობაში თავისი საქმის მცოდნე მკითხავს სიჭინავას მარჯვენა უკვე ხელში ეჭირა და ხელისგულს ისე გულმოდგინედ დასცქეროდა, თითქოსდა, მართლა ბედისწერის ამომკითხავი გახლდათ და არა ბაზრის აბეზარი მარჩიელ-ყალთაბანდი. უეცრად ნაპოლეონმა მანეთიანი მკითხავს ხელში შეაჩეჩა და გასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მაღალსა და გახინკულ, იმერულქუდიან კაცს დაედევნა.

– ჩვენი ძმა!

უცნობს არ მოუხედავს. მხარზე უნაგირგადებული გულდაგულ მიიჩქაროდა.

– იმანო? აქანა იყიდე ეს უნაგირი?! – ამასობაში ნაპოლეონი დაეწია ახმახს და ჯერ მარჯვენა მხრიდან ამოუდგა, მერე მარცხნიდან, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ მოქალაქეს სწორედ მის მიერ ორიოდე საათის წინ გაყიდული, ბაბუასეული უნაგირი მიჰქონდა.

– კიე, – უნაგირიანმა გვერდულად გამოხედა და ნაბიჯი, ზრდილობისათვის, ოდნავ შეანელა.

– აქანა, ამ ბაზარში? – ძლივს აუწყო ფეხი ორმეტრიან, თუთიყუშისცხვირა იმერელს სიჭინავამ.

– კიე. მოგწონს?! – სერიოზული და ალალი სახე ჰქონდა უნაგირის ახალ პატრონს.

– გაჩერდი ერთწუთს, თუ ღმერთი გწამს, ვნახო რა უნაგირია, ამომაგჯა გული, – შეევედრა ნაპოლეონი.

უცნობი მწვანედშეღებილ ჭიშკართან შეჩერდა. უნაგირი მხრიდან არ ჩამოუღია, შეტრიალდ-შემოტრიალდა, რითაც ახირებულ გამვლელს უნაგირის დათვალიერების საშუალება მისცა.

– ჭიპიტია სპეკულიანტმა მომყიდა, მე მგონია, არ უნდა იყოს გლახა უნაგირი. ახალს მაინც აჯობებს, ჩემი მოკლე ჭკუით. ისე მე ბევრი არაფერი მესმის, მარა ვისაც ვკითხე, ძველი ურჩევნიათყენ. გადაატყავა ცხენს ზურგი კოოპერატივში ერთი თვის წინ ნაყიდმა უნაგირმა.

– რა მიეცი, თუ ღმერთი გწამს? – უზანგი შეაბრუნა სიჭინავამ.

– სამთუმანნახევარს კაპიკი არ დააკლო, არ იცი, ჭიპიტიის ამბავი? ძვირია, ვითომ?..

– ვერ გეტყვი ვერაფერს... საერთოდ მასე ღირს უნაგირი... გააჩნია... ხან ასე შეგხვდება, ხან ისე... – მაღალი მეცხენე დარწმუნდა, რომ ადევნებული მოქალაქე საინტერესოს ვერაფერს ეტყოდა და გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ ნაპოლეონმა ხელით შეაჩერა და გაფითრებული ტუჩებით აუწყა:

– ერთი უნდა გთხოვო და ვარი არ მითხრა, მამაშვილობას გაფიცებ.

– რა იყო? უნაგირიანი მაღლიდან ეჭვშეპარულად დაჰყურებდა ნაპოლეონს. – „რამ ააღელვა ასე, წარბი რომ უთამაშებს და ტუჩებს თავს ვერ უყრის, რამე შარს ხომ არ გადამკიდა, ჭიპიტია მომსპარმაო“.

– სადაური ხარ შენ? – ჰკითხა ნაპოლეონმა.

– ნატანები თუ გაგიგონია, არაა შორს. იქვე ვარ, შესასვლელში.

– გიორგაძე იქნები ან რევიშვილი.

– კიე, რევიშვილი ვარ.

– რაშია, ბიძია, საქმე, იცი? ორი წელიწადია დავსდევ ამ უნაგირს, ჭიპიტიაც დაპირებული იყო. გადასარევი კი არაფერია მარა, სხვა უნაგირზე ვერ ვჯდები, მიჩვეული ვარ მაგნაირ უნაგირს. თუ არ გეწყინება, უნდა დამითმო.

ახმახი ჯერ დაიბნა, მერე, როცა დარწმუნდა, ფარსაგი არაფერია და ეს დარბაისელი კაცი მართლა უნაგირის დათმობას მთხოვსო, უარი განაცხადა.

– რომ არ მომწონებოდა, არც მე ვიყიდდი, ჩემო ბიძია, არ გამოვა ეს საქმე.

– არ გამომჭრა ყელი, – ადამიანისფერი აღარ ედო სიჭინავას, – გაფიცებ სინდისს და ყველაფერს, რაც გეფიცება, შენთვის ისეთი არაფერია ეგ უნაგირი, შეიძლება დღესვე იშოვო უკეთესი და, მე, გითხარი მისი არ იყოს, ასეთ უნაგირს დავსდევ რამდენი ხანია.

რაც უფრო ეხვეწებოდა ნაპოლეონი, ადამიანის ბუნება ხომ იცით, მით უფრო ეჩვენებოდა ნატანებელს, რომ რაღაცაში მის მოტყუებას ცდილობდნენ და მტკიცე უარზე დგებოდა. „ეტყობა, მართლა გადასარევი რამ ჩავიგდე ხელში, თორემ ეს კაცი ასე ყელგაწვდით რატომ შემეხვეწებოდაო“.

– ვერ იშოვი, ვითომ, სხვას ამნაირს? შეასახელე ჭიპიტია და უნაგირს კი არა, მთვარეს ჩამოგიღებს ციდან და მოგყიდის, – დაიმედა ნატანებელმა.

– ვერ გამიგე შენ. ჩემი საქმე სხვანაირადაა, თვარა უნაგირი უნაგირია, ბოლოს და ბოლოს.

– მით უმეტეს, – ნატანებელმა კიდევ ერთხელ გაიწია.

– ჩემი საქმე სხვანაირადაა-თქვა, არ გესმის? ხომ ვერ გეტყვი, ყველაფერს, მუზეუმში ვმუშაობ მე და დავკარგე ამნაირი უნაგირი, რომ შემამოწმონ, მოხსნა არ ამცდება. ამიტომ ვაკლავ თავს, მეტი კი არაფერია. მივიტან და დავდებ თავის ადგილზე, – იცრუა ნაპოლეონ სიჭინავამ.

– აბა, ვერ ვჯდები სხვა უნაგირზეო? – ეშმაკურად მოწკურა თვალები ნატანების მკვიდრმა.

– ისე გითხარი, სიტყვის მასალად. მიმიხვდი ახლა მაინც? ნუ შეჯდები ჯორზე. ეგება მეც რამეში დაგჭირდე და გამოგადგე. კაცნი ვართ. სამთუმანნახევარი ხომ მიეცი, მე ოთხ თუმანს გაძლევ.

ვინ იცის, მუზეუმის ტყუილმა გაჭრა თუ ოთხ თუმნად გაყიდვის ცდუნებამ სძლია, ახმახმა კაცმა ყელში გაჩხერილი ადამის ვაშლი ერთხელ კიდევ აათამაშა, უნაგირი მხრიდან ჩამოიღო და თვითმარქვია „მემუზეუმეს“ ფეხებთან დაუდო.

– ა, ბატონო, დამითმია. თუ ასეა, ვინ მამაძაღლი, მთლად უუნაგიროდ რომ დავრჩე, ამაზე გაწყენინებ? სწორს ამბობ, ალბათ, ამხელა კაცი ტყუილს რავა იკადრებ და თუ მატყუებ, მაინც ალალი იყოს შენზე.

ნატანებელმა ოთხი თუმანი გამოართვა და ბაზარში შებრუნდა. ნაპოლეონმა კი ბაბუამისის ნაქონი უნაგირი ძვირფასი ნადავლივით ამოიიღლიავა და ციმციმ გასწია სახლისკენ.

ყუნცულით მიაბიჯებდა სახეგაბადრული, წელში გამართული, ფეხამჩატებული და კმაყოფილი.

ღალატი

იმ წელსაც სახალხო თეატრების დათვალიერებაზე გელა ქადაგიძემ მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლის პრიზი რომ მიიღო, მტკიცედ გადაწყვიტა, პროფესიონალებში გადასულიყო და დედაქალაქის რომელიმე თეატრს შეხიზვნოდა. ოცდარვა წელი თვრამეტ მარიამობისთვეს შესრულდებოდა, რაც ქადაგიძე თავის მიერვე დაარსებულ სახალხო თეატრს ჩაუდგა სათავეში. ამ ოცდარვა წლის მანძილზე სამოცდაათამდე სპექტაკლი დადგა და, როგორც ესთეტიკოსებს უყვართ ხოლმე თქმა: შემოქმედებით სიხარულსაც ბევრჯერ ეზიარა. სპექტაკლებში მთავარ როლებს, როგორც წესი, თვითონვე თამაშობდა, მუსიკალურადაც თვით ახმოვანებდა და მხატვარ-გამფორმებელიც გელა გახლდათ. ქალაქ დაბაუნში გელა უყვარდათ და პატივს სცემდნენ ისე, როგორც შეიძლებოდა ამ მაღალმთიან ქალაქში სახალხო თეატრის მთავარი რეჟისორი ჰყვარებოდათ. არც მეტი და არც ნაკლები. სახალხო თეატრის გარდა დაბაუნს ათასი სხვა საზრუნავი ჰქონდა. გელა დგამდა სპექტაკლებს, წერდა პიესებს, რომ იტყვიან, შემოქმედებითად იწვოდა სცენაზე და მოთმინებით ელოდა იმ დროს, როცა დაბაუნელები თეატრს ისევე მოაწყდებოდნენ, როგორც დიდი ქალაქების მცხოვრებნი ეფლობიან თეატრალური ცხოვრების წიაღში. წელი წელს მისდევდა, დაბაუნში კი თეატრის ტრიუმფის დრო არა და არ მოდიოდა. თეატრი თავისთვის ცხოვრობდა, დაბაუნი თავისთვის. მხოლოდ და მხოლოდ წელიწადში სამჯერ, პრემიერის დროს ივსებოდა თეატრის მშვენიერი შენობა. პრემიერა ნამდვილი ზეიმი იყო. სპექტაკლს ესწრებოდნენ ქალაქის ხელმძღვანელები, რედაქციის მუშაკები, ქალაქის სამედიცინო ინტელიგენცია, ზოგჯერ ადგილობრივი პოეტები და თქვენ წარმოიდგინეთ, მმაჩის ბიუროს თანამშრომლებიც. პრემიერა რომ ჩაიგრიალებდა, თეატრში

ისევ ისადგურებდა უსიამოვნო, ცივი სიჩუმე. მესამე დღეს (სახალხო თეატრებს კვირაში ორი სპექტაკლი აქვთ) პარტერში მხოლოდ მსახიობ-შემსრულებელთა ოჯახის წევრები და გელა ქადაგიძის პირადი მტრები ისხდნენ, რათა მათ, კაცმა არ იცის რაზე განაწყენებულთ, კულტურის სამინისტროში ანონიმური წერილების გასაგზავნად მასალები შეეგროვებინათ. რა ხერხს არ მიმართა გელა ქადაგიძემ, რათა სახალხო თეატრი იმ ტრიბუნად ექცია, საიდანაც, როგორც თვითონ ამბობდა, „ნასროლ მართალ სიტყვას ქალაქი აიტაცებდა და გულის ფიცარზე დაიწერდა“, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა. ვერაფრით აეხსნა, რაში იყო საქმე. სპექტაკლების მხატვრული დონე, როგორც დათვალიერებებზე მიღებული პრიზებიდან ჩანდა, ურიგო არ იყო. რეპეტუარი? რა ექსპერიმენტს არ მიმართა ქადაგიძემ, ქართული კლასიკური და თანამედროვე დრამატურგიით რომ ვერ დაინტერესა მაყურებელი, შექსპირს ეცა და ევრიპიდეს წმინდა აჩრდილიც შეაწუხა, მაგრამ მაყურებელთა დიდი უმრავლესობა გულგრილად შესცქეროდა, როგორ იკლაკნებოდა სცენაზე მოწამლული დაშნით განგმირული პოლონიუსი და არც მაშინ აღვარღვარებდა ცრემლებს, გამძვინვარებული მედეა თავის შვილებს შავტარიანი დანით რომ დასდევდა სცენაზე, რათა უდანაშაულო ჩვილთათვის ყელი გამოეღადრა და ამით თავისი მოღალატე ქმარი დაესაჯა. ბოლოს თვითონვე დაწერა რამდენიმე პიესა, სწორედ დაბაუნის ცხოვრებაზე. სცენაზე თავიანთ თავს რომ იხილავენ, იქნებ მაშინ მაინც ირწმუნონ თანამოქალაქეებმა თეატრის სასწაულმოქმედი ძალაო, პიესები ერთი-ორი კონკრეტული პირითაც დაასახლა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ის ეფექტი, გელა რომ მოელოდა და ჭეშმარიტ თეატრალებს რომ სურდათ, არა და არ მოჰყვა სცენაზე დაბაუნის პიესის დაბადებას. პრემიერაზე ქალაქმა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად ბევრი იხარხარა, მეორე დღეს კი თავის რთულ ცხოვრებაში გადაერთო და სახალხო თეატრი ლამის დაივიწყა. გარდა ამ მთავარი მიზეზისა, გელას სხვა წვრილმანმა მიზეზებმაც გაუტეხეს გული თეატრის დაარსების სწორედ

ოცდამერვე წელს. თეატრს სახელმწიფო დოტაცია, მოგეხსენებათ, არ ჰქონდა და სპექტაკლის დადგმა-გაფორმება ხშირად საქველმოქმედო საწყისებზე იყო დამოკიდებული. მსახიობები კოსტიუმებს თვითონ იკერავდნენ, გრიმ-პარიკსაც, როგორც იყო, ახერხებდნენ, დეკორაციების გაკეთებაზე კი საავეჯო ფაბრიკა, მერამდენეჯერ, თეატრს ოფიციალურად უარს უთვლიდა, მუზეუმი ხმლებს და მუზარადებს ხელწერილითაც არ იძლეოდა, თეატრის ერთ-ერთი მთავარი კაცი – ცეცხლფარეში როსტომა ყოველ წელიწადს გარბოდა თეატრიდან და დასის სრული შემადგენლობის ხვეწნა-მუდარა ყოველთვის დროებით აბრუნებდა. მორიგ კონკურს – ოლიმპიადებში გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში გელა ქადაგიძე კითხვაზე – აპირებდა თუ არა დედაქალაქის რომელიმე თეატრში გადასვლას, მუდამ უარყოფითად პასუხობდა: დაბაუნი ჩემი მშობლიური ქალაქია. მე ვთვლი, რომ ჩემს ხალხს ყველაზე მეტად სწორედ აქ ვჭირდები. თეატრი დაბაუნისთვის უფრო მეტი რამ არის, ვიდრე ჩვეულებრივი თეატრი, ამიტომ წასვლას არა თუ ახლა არ ვფიქრობ, მომავალშიც არასოდეს ვიფიქრებო.

მაგრამ ქადაგიძე საბოლოოდ მაინც გატყდა. შარშან სამოცი შეუსრულდა. პატარა იუბილეც გაუმართეს და კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდებაც მიანიჭეს, მერე ის იყო, მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლის პრიზი მიიღო და სრულიად დამშვიდებულ გუნებაზე გაიფიქრა: „ცხოვრება მთავრდება. ეს არის სულ, რასაც ხელოვნებისადმი ჩემი თავშეწირვით მივაღწიე – სიბერეში თავის შესაყოლებლად და ტკბილ მოგონებათა კრიალოსნის მძივებად მოცემული პატარ-პატარა ჯილდოები და სიგელ-გუჯრები? არ მინდოდა, ბატონო, მე, არაფერი ამ ქვეყანაზე, გარდა მაყურებლით გაჭედილი თეატრის და დარბაზში ხოშკაკალასავით უეცრად წამოშენილი ტაშისა. რა მოუვიდა, რა სნება შეეყარა ამ ჩემს ქალაქს ასეთი? ყოველგვარი სიახლის მიმართ სულსწრაფსა და ინტერესიანს, თეატრის მიმართ რამ გაუცივა გული? ათასი წლის წინანდელი თეატრის ნანგრევებია დაბაუნში და შორს რომ არ წავიდეთ,

აგერ, ა, საუკუნის დასაწყისში, ერთი მოხეტიალე დასი ორ თვეს არ გაუშვეს ქალაქიდან, ხელში აყვანილი დაჰყავდათ არტისტები იქეთ-აქეთო. იგონებენ მომსწრე მოხუცები. ცოდვას ვერ დავიდებ, თეატრი ახლაც ბევრს უყვარს დაბაუნში და ვინმე სულელს რომ აზრად მოუვიდეს მისი დახურვა, მთელი ქალაქი საპროტესტო დემონსტრაციებით დაიქსელება და თეატრის დასაცავად ბარიკადებს აღმართავენ. ასე იქნება ნამდვილად. ახლა დაბაუნელები მშვიდად არიან, თავიანთი სახალხო თეატრი აქვთ, მორჩა და გათავდა. თეატრის პური რომ მაყურებელია, ეს ვერ შევაგნებინე ამ დარბაისელ ხალხს. რად მინდა მე სიტყვით სიყვარული და გულზე ხელის ბრაგუნი. თეატრი მაშინაა შენი სიბრძნის სახლი, როცა კვირაში ერთხელ მაინც შეივლი, როგორც ეკლესიაში – მორწმუნე. რისთვის ჩავკალი თავი ამ ცივკედლებიან შენობაში? გაზეთ „წინსვლაში“ დაბეჭდილი რაჟდენ არჩვაძის რეცენზიებისთვის და წლიდანწლამდე სახალხო თეატრის რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის ლოდინისთვის? რას აძლევს მერე ჩემს ქალაქს დედაქალაქის სცენაზე სახელდახელოდ, ნახევრადგამართული დეკორაციებით, ფაცხაფუცხით ჩატარებული სპექტაკლი და მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლის მეექვსედ აღებული ჯილდო? ხომ არ შევცდი და სხვა გზით ხომ არ მივმართე ეს ამხელა ნიჭი და ენერგია. სხვა არის მაინც სახელმწიფო თეატრის სცენაზე ცხოვრება. პროვინცია, როგორც ჩანს, მაინც პროვინციაა. ჩიხში შეყენებული მატარებელივით ვიყავი ლამის ოცდაათი წელი; ვისზე ნაკლები სახელი და გამავლობა მექნებოდა, ცურტაველის თეატრში რომ მემსახურა“. ავტორი უმორჩილესად სთხოვს მკითხველს, გელა ქადაგიძის ამ წუწუნმა არ გააკვირვოს. როგორც ჩანს მსგავსი ფიქრი ყველა ხელოვანს ეწვევა ხოლმე ცხოვრების სხვადასხვა მოსახვევში.

ნუ გამოვუდგებით დაწვრილებით აღწერას იმისას, თუ რა მიდგომ-მოდგომა, ხალხის შეწუხება და ჩირთიფირთი დასჭირდა ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რომ შტატებით გადაჭედილი ცურტაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დასში ჩაერიცხათ. არც იმ წვრილმანი ამბებით გადავღლი მკითხველს, თუ როგორ გამოიკეტა ერთ მშვენიერ დღეს თავისი მამაპაპეული, რიკულებიანი ოდა ბატონმა გელამ, რა მხურვალე სიტყვით გამოემშვიდობა აქვითინებულ მსახიობებს, როგორ გამოაცილეს სადგურზე თეატრის ყოფილი ხელმძღვანელი იმათაც კი, ვისაც გელა გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდა და მისი დაბაუნიდან წასვლა ახალი ასპარეზის იმედებს უსახავდა. ნოველას ბევრს არაფერს ჰმატებს, მაგრამ აქვე, მკითხველის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, აღვნიშნავ, რომ გელა მარტოხელა კაცი გახლდათ. ცოლი არ შეურთავს. მარტოდ შთენის ოფიციალური მიზეზი, ამ შემთხვევაში, ზუსტად ის იყო, რა მიზეზსაც თვით ქადაგიძე ასახელებდა: სახელოვნო მუშაობაში ცოლ-შვილი ხელს შემიშლიდაო. ჩამოვიდა დედაქალაქში გელა და ცურტაველის თეატრის საერთო საცხოვრებელში დაიდო ბინა. მისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. ვერ გეტყვით „სრულიად უცხო გარემოში-მეთქი“, რადგანაც თეატრი ბოლოს და ბოლოს თეატრია და რეჟისორ-მსახიობთა უმეტესობას გელა სალმით მანამდეც იცნობდა.

მე ვიცი, პატივცემული მკითხველი ახლა ეშმაკურად იღიმება თავისი მიხვედრით თავმოწონებული და ცხოვრების ლოგიკით, თუ რატომღაც დაკანონებული ლიტერატურული ტრადიციით უხვად ნასაზრდოვები, ჩვენი ნოველის ასეთ ფინალს მოელის: გელა ქადაგიძე ვერ შეეგუება დიდი ქალაქის და დიდი თეატრის ცხოვრების სტილს. მარტო ის კი არ აღიზიანებს, მთავარ როლებს რომ არ აძლევენ და წლიდან წლამდე იმედის თითს ლოკავს. იგი თეატრის კაცია და მოითმენდა მესამე მგზავრის ან მეორე მესაფლავის ეპიზოდურ როლებს, მაგრამ ქადაგიძის სულის აფორიაქება თეატრის შესასვლელიდან იწყება – კარისკაცი მუდამ ჯიუტად რომ სთხოვს საშვს, ოთახიდან, – სადაც ყოველ საღამოს გელა თავის უმნიშვნელო როლებისათვის მთელი სერიოზულობით რომ იკეთებს გრიმს, მისი გვარის გარდა ცხრამეტი მსახიობის გვარიც რომ აწერია. გელა ვერ შეეგუება თეატრის კასტებად დაყოფის ტრადიციას – ყოველ რეჟისორს

თავისი მიკროდასი რომ შემოხვევია ირგვლივ და ჩაიგდებს თუ არა პიესას ხელში, როლებს პირველ რიგში თავის „შემოქმედებით თანამოაზრეებს“ დაუნაწილებს. თეატრის პირველი ვიოლინოდან ჩამორიგითების ფსიქოლოგიურ კონტრასტს ვერ გაუძლებს გელა. მერე თეატრის მთავარ რეჟისორთან სერიოზული შელაპარაკება მოუხდება სარეპერტუარო პოლიტიკის გამო. ამას დაემატება მთის სანახების ნოსტალგია, მაჯლაჯუნასავით რომ აწევს ყოველღამ და არ აძინებს. ეს, ყველაფერი, სრულიად საკმარისი აღმოჩნდება იმისათვის, რათა გაწყდეს ისედაც სუსტი თოკი, ჩვენს გმირს დედაქალაქთან რომ აკავშირებდა. ერთ წვიმიან საღამოს ჩაჯდება მატარებელში გელა და ისევ თავის მოწყენილ პროვინციას, თავის ცივ თეატრს, თავის დაბაუნს მიაკითხავს. აი, ამგვარ ფინალს ელის ძვირფასი მკითხველი, მაგრამ ამჯერად იმედი უნდა გავუცრუო. ამ ნოველაში მსგავსი არაფერი მოხდება.

თეატრს და მაყურებელსაც გელა მშვენივრად შეეგუა. დედაქალაქის მაყურებელი უფრო თავდაჭერილი იყო. იგი სპექტაკლის მსვლელობაში არ ერეოდა დაბაუნელი მაყურებლის მსგავსად. მაგალითად, როცა სცენაზე ოთარბეგი სამშობლოს სადღეგრძელოს წარმოსთქვამდა და ფიალას ტუჩთან მიიტანდა, დარბაზში არ გაისმოდა „ლიმონათს სვამსო“, არც დეზდემონას ყელზე შემოჭდობილ ოტელოს თითებს უკეთებდა აღელვებული მაყურებელი კომენტარს – „ნუ გეშინიათ, მართლა კი არ ახრჩობსო“. მაგრამ სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე ქადაგიძე გრძნობდა, რომ დარბაზში მაღალი გემოვნების მქონე, ალღოიანი მაყურებელი იჯდა. მალე ქადაგიძემ ისე „გაითავისა“ დარბაზი, რომ შეუცდომლად გამოიცნობდა ხოლმე, როდის დაირხეოდა ტაში, ან როდის გადაურბენდა სიცილი პირმოღებულ მაყურებელს.

იმხანად ცურტაველის თეატრი გმირულ-ჰეროიკულ გზას ადგა. ვერ გეტყვით, გელა ქადაგიძის შემოქმედებითი პროფილი დაემთხვა თეატრისას, თუ დასში უბრალოდ აღარ იყო „გმირი მსახიობი“. ფაქტი ის გახლდათ, რომ დაბაუნელი, სულ

რაღაც ოთხიოდე თვის შემდეგ სრული დატვირთვით ამუშავდა. ჯერ პეპიას („გლახის ნაამბობი“) როლი მისცეს, მერე „კახაბრის ხმალში“ დავით მერვე ითამაშა, სეზონის დასასრულს ყურებს არ დაუჯერა, როდესაც მთავარმა რეჟისორმა თეატრის საერთო კრებაზე განაცხადა; ახალ სეზონში „მეფე ლირს“ ვდგამ და მთავარ როლს ბატონი გელა შეასრულებსო. ერთი სიტყვით, დედაქალაქში ქადაგიძის ტრიუმფი დაიწყო, ცურტაველის თეატრში ბრწყინვალე ნიჭის მქონე, მრავალსახოვანი ახალი მსახიობის გამოჩენაზე აღფრთოვანებით გაჰყვიროდნენ გაზეთები, გელას წამდაუწუმ უხმობდნენ კინოსა და რადიოტელევიზიაში. ერთი სიტყვით, წარმატებამ თვით შემოქმედისვე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მოახერხა ჩამოსვლა გელამ დაბაუნში. ორი შვებულება შინ გაატარა. მესამე შვებულების დროს კი თეატრი ფესტივალზე იყო რომელიღაც ნეიტრალურ ქვეყანაში და ქადაგიძეც, რასაკვირველია, თან ახლდა, რადაგანაც საგასტროლო რეპერტუარში „მეფე ლირიც“ იყო შეტანილი. ჩამოვიდოდა გელა დაბაუნში, გააღებდა თავისი ბებერი ოდის კარს და ნიადაგ აივანზე იჯდა. საღამოს, თუ სპექტაკლის დღე იყო, თეატრში მიდიოდა, თუ არა და აბგაში თბილ საცვლებს და წინდა-მესტებს ჩაილაგებდა და ჟიჟვის აბანოსკენ გაუტევდა. დაბაუნის გარეუბანში მდინარე ქვეჟიჟვის ნაპირას მინერალური თბილი წყალი ამოჩქეფდა. სანამ წყალს ადგილმრეწველობის სამმართველო დაეპატრონებოდა (და ის დრო ალბათ საკმაოდ შორს იყო), ენთუზიასტებმა შადრევანს პატარა ქოხი შემოუშენეს, აი, ამ „ჟიჟვის“ აბანოში დიდხანს იდგა გელა თბილი ჩქერალის ქვეშ და თავის საფიქრალს ფიქრობდა. სამშაბათობით და შაბათობით კი ქადაგიძე თეატრის სტუმარი იყო. მესამე ზარის შემდეგ შემოიპარებოდა და ამფითეატრის განაპირა სკამზე ჩამოჯდებოდა. ცდილობდა, შეუმჩნევლად დარჩენილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. „ქადაგიძე გვესწრება“ ნიავივით გაურბენდა კულისებს. ანტრაქტის დროს გელას ირგვლივ ცნობისმოყვარეთა წრე იკრიბებოდა და

მსახიობიც იძულებული იყო, მისი აქ ყოფნისთვის სათანადო ოფიციალური სახე მიეცა. ღიმილით ესალმებოდა ნაცნობებს და სპექტაკლის დასასრულს კულისებში შედიოდა, რათა კოლეგებისთვის გამარჯვება მიელოცა, მიუხედავად იმისა, რომ მისი წამოსვლის შემდეგ დადგმული სპექტაკლები არ მოსწონდა. სხვა შემთხვევაში გელა, რა თქმა უნდა, ამ სიყალბეს არ ჩაიდენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა გზა არ ჰქონდა. მის მიერ დაარსებული თეატრის წარმოდგენას დუმილით ვერ შეხვდებოდა და ვერც შენიშვნების მიცემას მოჰყვებოდა, რაკი დიდი იმედი არა ჰქონდა იმისა, რომ სწორად გაუგებდნენ. როცა ქადაგიძე დაბაუნში არ იყო, სახლს მისი ბიძაშვილის ქვრივი, ქალბატონი მატრონა უვლიდა. სახლის მოვლა იმით გამოიხატებოდა, რომ ათ დღეში ერთხელ მატრონა ოდის კარს და დარაბებს გააღებდა და, თუ დარი იდგა, ქვეშაგებს გაამზეურებდა. მეტი რა ექნა, მატრონას თავისი საქმეც თავზე საყრელად ჰქონდა.

შარშან, სამშვიდნოემბროდ, თვით დაბაუნი ეწვია გელას. დედაქალაქის სამი ათას შვიდასი წლისთავის ზეიმზე დაბაუნის მშრომელთა ოთხასკაციანი დელეგაცია ჩამოვიდა და წინასწარ შედგენილი კულტმასობრივი გეგმის მიხედვით ხუთ ნოემბერს მთელი დელეგაცია „მეფე ლირს“ დაესწრო. სპექტაკლის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ქადაგიძე უჩვეულო მღელვარებამ შეიპყრო. ნერვები ვერ იქნა და ვერ დაიოკა. ვალერიანის სამი ტაბლეტი ერთად გადაყლაპა, მაგრამ გრიმს რომ იკეთებდა, ხელი მაინც უკანკალებდა. „რა მემართება, მთელი ცხოვრება დაბაუნელი მაყურებლის თვალწინ გავატარე და ახლა რა სნაკვი მეცაო“, უკვირდა. გაიხსნა ფარდა. სანამ სცენაზე შევიდოდა, „მეფე ლირი“ თვალთან მოჭმუჭვნილი ფარდის ნაოჭიდან უჭვრეტდა დარბაზს. თითქმის ყველა სახე ნაცნობი და მშობლიური იყო. მაყურებელთან იმდენი ძაფი აკავშირებდა, ისე კარგად იცოდა მათი ცხოვრების წვრილმანებიც კი, რომ გელა შიშმა აიტანა – ვაითუ დაბაუნელთა აზრების მოძრაობის ზედმიწევნითმა ცოდნამ ხელი შემიშალოს, გადავსახლდე მეფე

ლირის ტრაგიკულ-რომანტიკულ სამყაროშიო. და მისი შიში უსაფუძვლო როდი აღმოჩნდა. იმ საღამოს გელამ დაუჯერებლად სუსტად ითამაშა. ვერ იქნა და ვერ მოახერხა მაყურებლისთვის თვალი აერიდებინა. შეხედავდა თუ არა სიბნელიდან ამოსულ სახეებს, ლირად გარდასახვას თავი დავანებოთ, ხმაც კი არაბუნებრივი ამოსდიოდა ყელიდან. სეიოზულად და წყნარად ისხდნენ დაბაუნელები. ტაშსაც მძიმედ, თავშეკავებულად, კანტიკუნტად უკრავდნენ. სპექტაკლი რომ ჩამთავრდ-ჩაჯახირდა, გელამ სწრაფად მოიშორა გრიმ-პარიკი, ვაზელინით სახე შეიწმინდა და ერთხანს იჯდა თავის სატუალეტო კაბინეტში, მაგრამ არც ერთ დაბაუნელს არ დაუკაკუნებია მისთვის „გამარჯვების“ მისალოცად. „არა, ისინი მე, როგორც ჩანს, ღალატს არასოდეს მაპატიებენ“, დაასკვნა ქადაგიძემ და თეატრის უკანა გასასვლელიდან, საყელოაწეულმა, ფეხაკრეებით, შეთქმულივით გამოაბიჯა თუმცა ქუჩაში არც მის შესახვედრად იდგა ვინმე და არც საერთოდ ისე, თავისი საქმისთვის.

თვრამეტ თებერვალს წერილი მიიღო. „აღმასკომიდან ორჯერ იყვნენო“ – მატრონა სწერდა – „მიწის და სახლის საკითხი დროზე თუ არ გაარკვია, მიწას ჩამოვართმევთ და სახლს საჯაროდ გავუყიდითო. სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდე და მიხედო საქმესო“.

ამ წერილს რომ კითხულობდა, წელში გააცივა. ფიქრადაც არასოდეს მოსვლია, შელეოდა მამის დანატოვარ სახლს. ის ოდა იყო ყველაზე ძვირფასი რელიკვია, რაც მშობელთა ხსოვნასთან და თავის უიღბლო ბავშვობასთან აკავშირებდა. მეორე დღეს, ოთხშაბათს, სპექტაკლი ჰქონდა, ხუთშაბათს დილით ავტობუსით ჩავიდა დაბაუნში. ამ ბოლო წლებში, ზამთრობით, ქვეჭიშკარის უღელტეხილი აღარ იკეტებოდა და ტრანსპორტი მთელი წლის განმავლობაში თავისუფლად მოძრაბდა, ავტოსადგურიდან პირდაპირ აღმასკომისკენ გაეშურა. აღმასკომის რუხი შენობა, კამოს ბაღს გადაჭრიდა და, იქვე იდგა, სასტუმროს პირდაპირ.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ბეგლარ ქვემოკლიძე მოსა-

ლოდნელზე უფრო გულთბილად შეხვდა. მოახსენა თუ არა მდივანმა, გელა ქადაგიძე მიღებას თხოულობსო, კარშივე შეეგება სტუმარს გაღიმებული და ხელგაშლილი.

– ბატონ გელას ვახლავართ, როგორ მოგვანატრე თავი, გელა ბატონო, უცხო სანახავი გახდით დაბაუნში.

– რას ვიზამ, ჩემო ბეგლარ, დრომ მოიტანა ყველაფერი.

გელა ქვემოკლიძეს ბავშვობიდანვე იცნობდა. უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დიდხანს ფინგანის გამგედ მუშაობდა. გელას წასვლის დროს თავმჯდომარის მოადგილე იყო. შარშან, ოქტომბერში, გაზეთში რომ წაიკითხა, ბეგლარ ქვემოკლიძე რაიაღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიესო, გელამ მისალოცი დეპეშა გამოუგზავნა.

– რა კარგია, გზას რომ აღარ კეტავენ. დიდებული საშუალებაა ეს ავტობუსი. ათი არც კი იყო, ამ დილით რომ გამოვედით და უკვე დაბაუნში ვარ.

– უღელტეხილზე მარმარილო გადააქვთ და ამიტომ გააუმჯობესეს საგზაო სამსახური, თორემ ჩვენი გულისთვის, ნუ გეშინია, არ იკლავენ თავს.

გელა ამ ბოლოხანს მობერებულიყო. თმა შეთხელებოდა, თვალები თითქოს დაპატარავებოდა და ულვაშში თეთრი გარეოდა.

– ჩემი საქმე როგორ იქნება, რას მიპირებთ, ბეგლარ ბატონო, – ამას რომ ამბობდა, მარცხენა ხელის ნეკა თითს ლოყაზე ისვამდა გელა და განზე იხედებოდა.

– რა საქმის? – გაიკვირვა თავმჯდომარემ.

– წერილი მივიღე, სახლთან და მიწასთან დაკავშირებით.

– აა, ხოოო, ნეტავ აქ არ ვმუშაობდე და, რა უნდა გამჩენს, რატომ უნდა მიხდებოდეს მე ამნაირი ამბის თქმა შენთვის, ბავშვობის ამხანაგისთვის.

– რა ამბის?

– რა და წესი რომ არ იყოს, ვინ მამაძაღლი ამოიღებდა ხმას, რომ დავარღვიოთ, ტყავს გაგვაძრობენ, ჩვენ პატარა ხალხი ვართ, ვინც ქალაქში არ ცხოვრობს და ადგილობრივ

საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში არ მონაწილეობს, მიწის ნაკვეთი უნდა ჩამოერთვასო.

– კი, მაგრამ მე... ის სახლი და მიწა მამაჩემმა არ დამიტოვა?

– კი, ბატონო. სახლს არავინ ერჩის. მიწაო, მიწაზეა ლაპარაკი. შეგვამოწმებენ და კუდით ქვას გვასროლინებენ.

– სახლი მიწაზე არ დგას?

– ისე მელპარაკები, ჩემო გელა, თითქოს ჩემი მოგონილი იყოს ეს ამბავი. სახლი შენი საკუთრებაა და ხმას უბატონოდ ვერავინ გაგცემს. მიწას მამაშენი ვერ დაგიტოვებდა. მიწა მემკვიდრეობით არ გადადის.

– აბა, მოვიკიდო ის სახლი ზურგზე? როგორ მირჩევთ, მაგალითად? – სიბრაზისგან ყელი გაუშრა გელას.

– მცირეწლოვანი რომ გყავდეს ვინმე, ჩაწერდი და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. – თავმჯდომარემ მშვენივრად იცოდა, რომ გელას ცოლშვილი არ ჰყავდა.

– კი მარა, აქ არ დავიბადე და თითქმის მთელი ცხოვრება აქ არ ვიმსახურე?

– კი, ბატონო. ვინ უარყოფს მაგას. ახლა სად არისო, ამაზეა ლაპარაკი. კანონი წარსულს მაინცდამაინც არ დაგიდევს.

– კი მარა, მე, არტისტ კაცს, ჩემს მშობლიურ ქალაქში არ მეკუთვნის ერთი მტკაველი მიწა?

– რა ვქნა, ჩემო გელა, არ წერია არტისტებზე გამონაკლისი ამ დალოცვილ კანონში, რომ ეწეროს, პირველს მე გამეხარდებოდა. დაბაუნში შენი სახლი რომ დგას, მარტო ეს რად ღირს. ამხელა არტისტი ხარ, იქით უნდა გეხვეწებოდეთ, რომ არ გქონდეს სახლს ჩვენ უნდა გიდგამდეთ.

– ის სახლი, შენ მაინც იცი, ბეგლარ, ყველაფერია ჩემთვის. – ცრემლი გაერია ხმაში ქადაგიძეს.

– სახლი ყველაფერი არ შეიძლება იყოს. სახლი სახლია.

– რა ქვა ვიცე, აბა, შენ მითხარი, არ ეშველება არაფერი ამ საქმეს?

– რად გინდა, ამხელა კაცმა თავი გაილანძღო იმ დაჩრჩი-

ლული სახლისთვის. ჩემი თავი ჯანდაბას, ვილაცამ რომ დაგიწეროს და საყვედური გითხრან, ღირს ამ ამბად? შენ რომ რამე შეგხვდეს, თავი უნდა მოვიკლა, აბა, რისთვის ვარ მე აქ? – თავმჯდომარე მშვენივრად მელიაობდა.

– მამაპაპური სახლია-თქო, ვერ შეელია-თქო.

– არ შეიძლება, ჩემო გელა, ორ ადგილას ერთსა და იმავე დროს ცხოვრება, არ იცი ვითომ შეენ? დაბაუნი ქალაქია. სოფელი რომ იყოს, საბოსტნე-სააგარაკე სახლად გაგიფორმებდი.

გელამ თავი ჩაჰქინდრა. საფეთქელზე თითქოს რკინის სალტე შემოუჭირეს, სუნთქვა გაუძნელდა და ყურში წუილი ჩაესმა. თავმჯდომარე მგრძნობიარე კაცი გახლდათ. რაკი სტუმარს ფერნაკლულობა შეატყო, დაუყვავა.

– შენ მაგაზე არ ინაღვლო. სახლსაც და აგარაკსაც უკეთესს მოგცემენ. ჩვენ ვიკითხოთ, თორემ შენ რა გიჭირს, დიდი არტისტი ხარ, ჩემო გელა, ძალიან დიდი. ახლა, ყელში კი არავინ გიჭერს ხელს. ერთ-ორ თვეში მოიცალე და გაყიდე ის ძველი ოდა. ასე აჯობებს შენთვისაც და მეც გადამარჩენ ამ დავიდარაბას. გინდა გაყიდე, გინდა გაასხვისე. სულაც ჩუქება შეგიძლია ვისმესთვის.

გელა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ქვევით, ქუჩის პირას, ტალახიან თოვლზე ყვავი იჯდა და აღმა მიმავალ ოთხთვალას გაჰყურებდა. ოთხთვალაში შებმული აგურისფერი ცხენი თავის კანტურით ნელა მიდიოდა. კოფოზე შავნაბდიანი, ყაბალახიანი კაცი შესკუპულიყო და აქედან ისე ჩანდა, თითქოს თვლემდა. ტალახიანი გზა მაღლა-მაღლა მიიწევდა და გაუქმებული აბანოს უკან, ტყეში იკარგებოდა.

„კურდღელმა თქვა ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო“ – გაჰყვიროდა სადღაც რადიო.

გელას თავი სტკიოდა და ყელის ძარღვები დასკდომაზე ჰქონდა. ეჩვენებოდა რომ მარტო იყო ამოდენა დუნიაზე, მარტო და სრულიად უმწეო. მოიხედა და თავმჯდომარის გაოცებულ მზერას რომ წააწყდა, „ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვისო“, ჩაილაპარაკა იმ კაცის კილოთი, შემთხვევით სხვის ბინაში რომ

შევიდა სწუხს, რომ უცნობ ადამიანს მყუდროება დაურღვია. მოტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა.

საათზე დაიხედა. ცხრა იყო. ათზე მატარებელი გადიოდა. შინ მისვლას და გამობრუნებას ვერც მოასწრებდა და არც სურდა. რა უნდა ეთქვა მატრონასთვის?

ბილეთის შოვნა არ გასჭირვებია. ეს მატარებელი მხოლოდ უქმეებში და დღესასწაულის წინა დღეებში ივსებოდა.

დილით, მატარებელი მცხეთას რომ გამოცდა, საერთაშორისო ვაგონის გამცილებელმა მესამეჯერ დაუკაკუნა კუპეს, რომლითაც ერთადერთი მგზავრი მსახიობი გელა ქადაგიძე მგზავრობდა. „თუ შეიძლება, თეთრეული ჩამაბარეთო“, რამდენადაც შეეძლო ზრდილობიანად გაუმეორა რკინიგზელმა და პასუხი რომ არ გასცეს, კარი გააღო.

...ერთი უხერხული უფლება გვაქვს მწერლებს ბუნებისაგან ბოძებული. როცა მოგვესურვება, იმ ქვეყნად გავგზავნით ხოლმე ჩვენს პერსონაჟს. დამერწმუნეთ, ამ უფლებით ნოველის ავტორი იშვიათად სარგებლობს და ახლაც ძალიან სურდა, გამოჩენილი მსახიობი ცოცხალთა შორის დაეტოვებინა, მაგრამ დასჯის სხვა ფორმა ვერ გამოუძებნა მან აღმასკომის თავმჯდომარეს ბეგლარ ქვემოკლიძეს. ბეგლარისთვის ქადაგიძის სიკვდილი ოფიციალურად არავის დაუბრალებია, მაგრამ მე და თქვენ ხომ ყველაფერი ვიცით, ძვირფასო მკითხველო, და დასაწყისისთვის ესეც საკმარისია.

დიოგენი

სამსახურში ადრე მოსვლა მემანქანე ვარდენ მამაკაიშვილს წესად ჰქონდა-მეთქი, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი. ჩიხიდან ხშირად მოწაფე-მემანქანეს გამოჰყავდა შემადგენლობა (ოღონდ ამ ხელოვნურ სიტყვას უფრო მოხუჯური ტერმინით შემიცვლიდეს რედაქტორი და კარგა ხანს არაფერს ვინატრებ). ჩასხდომა რომ დამთავრდებოდა და სადგურის დიქტორი მინაზებული ხმით გამოაცხადებდა – „მატარებელი ნომერი ორას სამოცდახუთი ქაქუჩეთი-სალიხე ხუთი წუთის შემდეგ გავა პირველი ლიანდაგიდანო“, სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა ბაქანზე ჩქარი ნაბიჯით მომავალი ვარდენი, გზადაგზა ვაგონის გამცილებლებს შეეხმიან-შეეღლაბუცებოდა, ხელფეხგაჩიკინებულივით აფორთხდებოდა ლოკომოტივზე, გულგახეთქილ თანაშემწეს ცხვირს მოუსრესდა – „რავაა აჩიკო, საქმეო“. ქუდს უკუღმა შეაბრუნებდა და საყვირის სახელურს მიწვდებოდა.

დღეს საათმა მოატყუა და ჩვეულებრივზე ათი წუთით ადრე მოუწია მოსვლა. ლოკომოტივის სარკმელზე ნიკაპჩამოდებულმა ბაქანს ზარმაცად გახედა და მისკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალ ხუთიოდე კაცს ჰკიდა თვალი. სადგურის უფროსი რობაქიძე და მისი ორი მოადგილე მაშინვე იცნო. მდივანი გოგონას გვერდით მარათონული ნაბიჯით მომავალი ადგილკომის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო (და არც შემცდარა), პროცესიას ხუთიოდე ნაბიჯით ჩამორჩენილ შავკოსტუმიან, სათვალიან, ტანმძიმე ახალგაზრდას პირველად ხედავდა. ვარდენი კიბეზე დაეშვა და სტუმრებს შეეგება.

მომილოცავსო, სადგურის უფროსმა, გვასახელე ნამდვილად, ჩემო ვარდენო, ასე გამარჯვებული გევლოს ყოველთვისო. ასანთის კოლოფზე ოდნავ დიდი, თეთრ ქაღალდში შეხვეული რაღაც და გაზეთი „ინდუსტრიული ქაქუჩეთი“ გადასცა. ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი, კოცნით მარტო უფროსის მომხიბვლელმა მდივანმა აკოცა. ის იყო, საზეიმო ცერემონიალის შემდგომი უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დიქტორის გამტკნარებული ხმაც გაისმა და ხელმძღვანელი ამხანაგები ჰაეროვანი კოცნებითა და უკანსვლა-თავისკანტურით დაადგნენ ბაქანს, მემანქანე კი ლოკომოტივის სახელურს დაეპორწიალა.

ასვლისთანავე ყუთი გახსნა და საპატიო რკინიგზელის ნიშანი გაიკეთა, გაზეთი კი აჩიკოს წაუკითხა, „ინდუსტრიული ქაქუჩეთი“ იტყობინებოდა: – „ლიანდაგზე კაცია! – შესძახა მამაკაიშვილმა და სასწრაფო დამუხრუჭების ონკანის სახელურს მძლავრად მოსწია. გაისმა ღრჭიალი, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ ლოკომოტივს დროზე ვერ შეაჩერებდა. სწრაფად გახსნა კარი და ლიანდაგზე გადახტა. მატარებელი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ადამიანს. მემანქანემ ლოკომოტივს გაუსწრო. რამდენიმე წამიც და წაქცეულ კაცს საყელოში ხელი სტაცა და პირდაპირ თვლებიდან გამოათრია.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი დიდი სიფხიზლისათვის გზათა მინისტრმა მამაცი მემანქანე „საპატიო რკინიგზელის“ ნიშნით დააჯილდოვა“. ცნობას სათაურად „შემთხვევა“ ჰქონდა, ხელს კორესპონდენტი ბუცხრიკიძე აწერდა.

მატარებელი მცხეთას რომ გაცდა, ვარდენმა გაზეთი დაკეცა და გულის ჯიბეში შეინახა, „ბორჯომი“ ალუმინის ჩარჩოს ჩამოსხლიტა, აჩიკოს გადასცა და სანამ შუბლზე თმებამოსული ყმაწვილი ბორჯომს ყლურწავდა, სიამოვნებით გაიზნიქა. „ამ ერთი თვის წინ რომ მხსნიდნენ, გახსოვს? უყურებ, როგორ შეიცვალა საქმე?“ თანაშემწე ემოციების კაცი არ იყო, „ბორჯომი“ ეტიკეტის ქაღალდამდე ჩაათავა, ოდნავ გადაღვარა და ვარდენს უთქმელად დაუბრუნა.

მატარებელი „ქაქუჩეთი-სალიხე“ ქაქუჩეთიდან სალიხეში ჩასვლას განრიგით გათვალისწინებული ხუთი საათის ნაცვლად შვიდ საათს ანდომებდა, ხოლო უკან დაბრუნებისას მხოლოდ საათ-ნახევრით იგვიანებდა. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ეს რეისი აღმოჩნდა, მაგრამ სადგურის მორიგეებს ვარდენისთვის უბატონოდ ხმა არ გაუციათ. ჩვენ შორის დარჩეს და, მორიგეებს ისიც ვერ ეპატიებინათ თავისთვის, რომ საპატიო რკინიგზელს, პრესის გმირს, აქამდე ასე აგდებულად ელაპარაკებოდნენ. დაგვიანებისთვის ხშირად საყვედურობდნენ და ზოგჯერ მოხსნითაც კი ემუქრებოდნენ, თუმცა მემანქანეების მოხსნა მათს კომპეტენციაში სრულიადაც არ შედიოდა.

ვისთვისაც ეს ნოველა იწერება, იმ მკითხველმა იცის, რომ მატარებლის დაგვიანება ყველაზე ნაკლებადაა მემანქანის ბრალი. კაცმა რომ თქვას, იგი არც სადგურის მორიგის, მეისრე-მეთვალყურისა და მეგანრიგე-დისპეტჩერის ბრალია. გაუთვალისწინებელ საგზაო შემთხვევას დავიხვევთ ხოლმე ხელზე, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მატარებლები მაშინაც მშვენივრად იგვიანებენ, როცა ტრასაზე საგზაო შემთხვევა არ ხდება – ხიდი არ ინგრევა და ზვავებიც საიმედოდ არიან შეკრული რკინაბეტონით რკინიგზისპირა კლდეების თავზე. მატარებლის დაგვიანების მიზეზებზე ჩემგან ამაოდ ელით კომპეტენტურ პასუხს, მით უმეტეს, რომ ამ მიზეზთა ამოსახსნელად, მე რომ ვიცი, ამ წუთში ოცდაცხრამეტი საქმიანი კომისია ამაოდ მუშაობს.

თერთმეტს აღარაფერი აკლდა, მხარზე რკინიგზელის პიჯაკგადაგდებული ვარდენი ფიზიოლოგ ბერიტაშვილის ქუჩაზე თავის ჭიშკარს რომ მიადგა.

ივლისის ცხელი საღამო იყო.

დაიღალა დღეს ვარდენი. ჯერ სალიხეში ჩასვლისას შეხვდნენ ერთი ტაშ-ფანდურით რკინიგზელები. ლოკომოტივის კიბიდანვე ხელში აიყვანეს და მაღლა უნდა გისროლოთო, იმდენი აჯანჯღარეს, ნაღველი კინაღამ გაუხეთქეს. არ ვიცით, წესიერად კაცის მაღლა სროლა, რაც მართალია, მართალია. მერე ქაქუჩეთში ჩამოსვლისას ისევ ისინი დახვდნენ, ვინც გააცილა.

წყალწითელაზე უალკოჰოლო ბანკეტი გაუმართეს. ისე მოეფერნენ და იმდენი ტკბილი სიტყვა უთხრეს, რომ მემანქანეს წამდაუწუმ ყურები უწითლდებოდა. სახელიც კაი ტვირთი ყოფილა, ასე თუ გაგრძელდა, მარტო მუდმივი ღიმილი და წაღმა-უკუღმა თავის კანტური მომიღებს ბოლოსო, გაიფიქრა ბანკეტის დასასრულს ვარდენ მამაკაიშვილმა, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ფიქრი ხმამაღლა არ გამოუთქვამს და კარგადაც მოიქცა – უმადურობაში ჩამოართმევდნენ.

ძაღლი აუშვა და გაუკვირდა, რომ ყურშამ ჩვეულებისამებრ სიხარულის ყეფა-წკმუტუნით ეზოს არ შემოურბინა და ტრიფოლიატის ღობის ხვრელში არ გაძვრა დილამდე დასაკარგავად. ყელსაბმელი რომ შეხსნეს, ძაღლმა ერთი გაუბათქუნა კუდი მიწას, მერე თავი წინათათებშუა ჩაიდო და ასე გაწოლილმა პატრონს ამოხედა.

– რა მოგივიდა, ყურშა?

ძაღლმა რამდენჯერმე კვლავ დაუბათქუნა მიწას კუდი, რითაც ვარდენს აგრძნობინა, ავად არა ვარ, მაგრამ, ხომ შეიძლება, ამ ერთხელ აშვებით გახარება დიდი ალიაქოთით არ გამოვხატო, ქუჩაში გასვლის ხასიათზე მაინცდამაინც არ გახლავარ, დიდად საინტერესო არაფერი ხდება და მომწყინდაო.

მემანქანემ მოიშილიფა. ცხელ წყალში ფეხები ჩაყარა და შუშაბანდის ფანჯრიდან ცას ააჩერდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა არც ამაღამ იძლეოდა იმის იმედს, რომ წვიმა თუ არ მოვიდოდა, ცვარი მაინც მოასველებდა კოინდარს.

მამაკაიშვილი მარტო ცხოვრობდა. ცოლი ამ თვრამეტიოდე წლის წინათ გაექცა. ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც დედამ გაზარდა, სალიხეში ჰყავდა გათხოვილი. სიძე

ურიგო ბიჭი არ იყო, მაგრამ ყოფილი მეუღლის ჭკუა-რწმენაზე მდგარი ქალიშვილი მამის მიმართ დიდ სიყვარულს არ ამჟღავნებდა და ვარდენიც ათასში ერთხელ, შვილიშვილების მოსანახულებლად თუ ჩააკითხავდა მათ, ხელში საზამთროთი და ჯიბეში ფოჩიანი კანფეტებით.

ჭიშკარს ვიღაც მოადგა.

მაინძელოვო რომ დაიძახა, ვარდენს ხმა ეცნაურა, მაგრამ მაინც ვერ გაარკვია, ვინ ესტუმრა ამ შუაღამისას.

– რომელი ხარ, შემობრძანდი, – გაეხმიანა მასპინძელი, ტაშტიდან ფეხები ამოიღო, გაუმშრალებლად ფოსტლებში წაჰყო და ჭიშკრისკენ წაფშლატუნდა.

– მე ვარ, გოგიტა ვარ, – მშვიდად თქვა მოსულმა.

„ვიღაცა ნამეტანი ახლობელია, დავბერდი ნამდვილად“, ამ ფიქრით მიირბინა ვარდენმა ჭიშკართან და სტუმარს ფარანი რომ მიანათა, გულმა რეჩხი უყო, წინ ხელგაშლილი ედგა ის კაცი, ვის მოსვლასაც, გითხრათ სიმართლე, მამაკაიშვილი აქამდეც ელოდა – გოგიტა ჩიტაია. ამ ორი კვირის წინათ სწორედ, დღეისწორ ოთხშაბათს, რელსებზე გარდიგარდმო გაშხლართულ გოგიტას მემანქანის თავგანწირულმა ნახტომმა სიცოცხლე აჩუქა, ხოლო ჩიტაიას გადარჩენამ კი, თავის მხრივ, ფხიზელ მემანქანეს სახელი და დიდება მოუტანა.

მაშინ ვერც კი მოასწრეს გამოლაპარაკება, შემკრთალი გოგიტა სასწრაფო დახმარების მანქანამ წაიყვანა, ვარდენმა თავისი ვინაობა აცნობა რკინიგზაზე შეგროვილ ცნობისმოყვარე მოქალაქეებს და ლოკომოტივის კიბიდან ჩამოშვებულ აჩიკოს მარჯვენა ხელი შეაგება. ეგონა, გადარჩენილი თვითონ მოძებნიდა და ლაზათიან მადლობას მაინც ეტყოდა, მაგრამ დღე-ღამეს მისდევდა და გოგიტა არ ჩანდა. ამ ბოლო დროს, ჩვენ შორის დარჩეს და მემანქანემ დაივიწყა კიდეც ეს ამბავი და აი, დღეს რკინიგზაზე მისი მალაყების შედეგი – ჯილდო და პატივი ერთის მხრივ და

მეორეს მხრივ სასურველი სტუმარი – უეჭველ სიკვდილს გადარჩენილი გოგიტა ჩიტაია. ეს მისი სახელი და გვარიც იმიტომ დაამახსოვრდა, რომ გოგიტა მის ცხონებულ უფროს ძმას ერქვა, ხოლო ჩიტაიების გვარი ქაქუჩეთში სახელოვანი თერძების თაობებს უკავშირდებოდა და ფრიად გავრცელებული გვარი იყო.

– სად ხარ, გოგიტა ბატონო, რავა მომანატრე თავი, – ასე შინაურული მოკითხვა მხოლოდ იმერელმა მასპინძლებმა იციან, რომ სტუმარს უცხოობის უხერხულობა ჩამოაცილონ, თორემ რა მონატრებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა გოგიტას საპატიო რკინიგზელი იმ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ პირველად ხედავდა.

– მეკუთვნის საყვედური, ვარდენ ბატონო, გადავყევი ხელს და ვერ მოვიცალე, – სტუმარმა ხელი ჩამოართვა და გულით მოულოცა დღევანდელი დღე.

– ნამეტანი ვიცით, თავი ნუ მომიკვდება, – დაიმორცხვა მასპინძელმა და სტუმარს ეზოში შემოუძღვა, – მრცხვენია პირდაპირ, ეს გაზეთიო, ეს ჯილდოვო. ბანკეტიც გამიმართეს. რა ვქენი ამნაირი. სხვაც ამას არ იზამდა? – გოგიტას პასუხი არ დააცალა, – შუშაბანდში ინებებთ, თუ ეზოში დაბრძანებას? რაი და, ღამეა. მაინც არ დაგიბეროსთქვა.

– თქვენ საითაც გირჩევნიათ, ბევრ დროს არ წაგართმევთ, პატარა წევიმუსაიფოთ და გეახლებით, თუ არ შეგაწუხებთ, – ბოდიშობდა სტუმარი.

– აბა, რაღაი ასეა, შუშაბანდში ამობრძანდით, მეც ნამგზავრი ვარ დღეს და მეშინია, არ დამგრილოს.

მასპინძელი დაფაცურდა. შუშაბანდში ტაბლას თეთრი სუფრის ტილო გადააფარა, ხმელი ხილი და ფქვილწაყრილი ჩურჩხელები ამოალაგა სკივრიდან, მაცივარში დიდხანს შენახული, დაცვარული არყის ბოთლი დაუკაკუნა მაგიდას, სარდაფიდან პატარა დოქით იზაბელა ამოიტანა და კველაზე

მუხლი რომ ჩახარა, გოგიტას მუდარით სავსე თვალებით შეხედა: – არ დამძრახო, გოგიტა ბატონო, არ გელოდი. ხომ იცი, მარტოხელა კაცის ამბავი. ხან აგერ წევიჭამ, ხან ეგერ და მაცივარი სულ გამოფხეკილი მაქვს.

– რავა გეკადრებათ, ბატონო, ყველაფერი ბევრია. რომ შეგაწუხე და ძილი გაგიტეხე ამ შუაღამისას, ეს ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის.

– არ თქვა ეგ ამბავი. პირიქით, რომ იცოდე, როგორ გამახარე. რას ვაკეთებ მეტს. ხვალ მე არ ვმუშაობ და უნდა გამოვყრუებულიყავი მთელი ღამე. გულით საყვარელს გაფიცებ, რავარც მოგიხერხდეს, არ წახვიდე. ვიჭუკჭუკოთ, სანამ არ მოგწყინდება. წლის ღამე ჩამოდის.

დიდხანს ისხდნენ გაჩახჩახებულ შუშაბანდში. ფარვანებმა და კოღოებმა რომ შეაწუხეს, სინათლე ჩააქვრეს და მთვარის შუქზე განაგრძეს საუბარი. თითქმის თანატოლები იყვნენ – ორმოცდაათს ახალგადაშორებულები. გოგიტა ენაწყლიანი კაცი აღმოჩნდა, ფარმაცევტული მაქვს დამთავრებული და სკოლებში სანჰიგიენას ვასწავლიო. სალიხეში დაბადებულა და ამჟამადაც იქვე ცხოვრობს, თურმე, ელექტრონის წისქვილთან, ურიცკის შესახვევში.

რას ილაპარაკებდნენ, რა დარდსა და წუხილს და საზრუნავს და საჩირთიფირთოს შეეხებოდნენ ღვინოშეპარული ჩვენი გმირები, იმის გადმოცემით თავს როგორ შეგაწყენთ. მე მხოლოდ იმას გიამბობთ, რისი წარმოდგენაც ალღოიან მკითხველსაც გაუჭირდება და რისთვისაც ეს ნოველა იწერება;

მამლებმა მეორედ რომ იყივლეს, გოგიტამ თავი აიღო, აბურდულ ჭაღარაზე ხელი გადაისვა, სათვალე მოიხსნა, დაკეცა, ფუტლიარში ჩადო და თეთრი კიტელის ჯიბეში შეინახა. ფეხი ფეხზე გადაიკვანტილა, მიტყუპებული თითები ბარძაყებშუა ჩაიდო და მასპინძელს მიაჩერდა:

– ესეც ასე, ჩემო ვარდენ.

ვარდენს ეგონა, წასვლას აპირებსო და თადარიგი დაიჭირა:

– ცოტა ხანიც და გათენდება, გოგიტა ბატონო, ახლა მაინც სად ივლი ამ სიბნელეში. ინათებს და გაყვები რამეს. არ იჩქარო, თუ გიყვარდე.

– არ მოგწყინდი, ვარდენ ბატონო?

– თუ გულით არ გელაპარაკებოდე, შეხედე, ე, იმ ცისკრის ვარსკვლავის მადლი გამიწყრეს, – თქვა მასპინძელმა.

– აბა, ერთ რამეს გეტყვი და კარგად დამიგდე ყური. თუ გაგეცინოს, გამცინე, თუ სისულელედ მოგეჩვენოს ჩემი საქციელი, მითხარი – სულელი ყოფილხართქვა. მარა, შეწყვეტით არ შემაწყვეტინო, ამას გთხოვ ძალიან. სხვას არ გავუმხელდი ამ ამბავს, მაგრამ შენ სხვა კაცი ხარ და უნდა გითხრა. სიმართლე შენ მაინც უნდა იცოდე. თუ გახსოვს, რომ გადამარჩინე და რელსებს გამომარიდე, პირველი ეს მკითხე: თავს რაზე იღუპავდი, აქ რა გინდოდა, შე კაცოვო. მე გიპასუხე, ფეხი ვიღრძე, გული შემიღონდა და რელსებზე წავიქეცი-მეთქი. ეს შენ დაიჯერე, მე მგონი, მაშინ და სასწრაფოშიც ასე ირწმუნეს. ქირურგი თუ ტრავმატოლოგი – არ ყავდათ, ფეხი შემიხვიეს და გამომიშვეს. სინამდვილეში მე ვიცრუე – ფეხიც საღ-სალამათი მქონდა და გულიც, ჯერჯერობით, არ ვიცი სადა მაქვს.

– აბა, თავს იკლავდი, კაცო? – ცნობისმოყვარეობა ვერ დაიოკა ვარდენმა.

გოგიტამ ცალი თვალი მოჭუტა და ნათქვამს ირონია გაურია:

– თავის მომკვლელს და საწყალს ვგავარ მეე? დამიგდე ყური-მეთქი, ხომ გითხარი. ორი წელი გახდება მალე, რაც ამ საქმეს ვეწევი. არაა გლახა საქმე, შენ რომ იცოდე. ზოგი, შე კაცო, მარკებს აგროვებს და ზოგი, რას ეძახიან, ჰობიო თუ რაღაცა, სხვადასხვა მარკის ზაჟიგალკებს და ცარიელ ბოთლებს აგროვებს, მარა დაძრახვით მათაც არავინ

ძრახავს. მე საჰობავოთ და საღადავოდ არ მცალია, კაცურ საქმეს ვაკეთებ. აჩემებული კი არ მაქვს, კი არ დამიბრალებია ჩემი თავისთვის – მოდი, ახლა ამას ვიზამ-მეთქი. შენ არ მომიკვდე. დავიძინე ერთ ღამეს და ასეთ კაცად გავიღვიძე. ჯერჯერობით დაშლითაც არავინ მიშლის. შენ გიტყდები პირველად, ჯერ, ორი წელი სრულდება-მეთქი, არავისთვის გამიმხელია. თუ გამიგეს, მე მგონი, მადლობას არავინ მეტყვის. შენ რატომ გიტყდები, იცი? სხვა კაცი ჩანხარ, – სუფთა და გემრიელი. თუ გამცემ, ალალი იყოს შენზე. ბოლოს და ბოლოს ათასი ჯურის თვალთმაქცი დადის ამ ქვეყანაზე და იმ ყალთაბანდობებში ამ ჩემსას ყველაზე უმტკივნეულო აფიორას დაარქმევენ. ბოლოს, ალბათ, მეც მომწყინდება და თავს გავანებებ. ჯერ კი ძალიან გამიტაცა, გითხრა სიმართლე, ნამეტანი გავერთე. ვერ ხვდები, რაშია საქმე?

– ვერა, – შეაგება ვარდენმა. ორივე მუშტზე ყბები ჩამოადო და სმენად იქცა.

– გადავეჩვიეთ ერთმანეთის მოფერებას და პატვისცემას ადამიანები, ჩემო ვარდენ. არ ვიცი, რამ მოიტანა ეს ამბავი, მარა, ძალიან გავუტურამგელდით ერთმანეთს. მთელი ცხოვრება ვასწავლით კაცს ქურდობას და კარგად რომ ისწავლის, სწორედ მაშინ წავუჭერთ ყელში ხელს. ვინ გასწავლა, საიდან შეითვისე ეს მურტალი საქმეო. რა თქმა უნდა, გაქსუებულს და სინდისგარეცხილს რაც ეკუთვნის, უნდა მივუზღოთ, მაგრამ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძნელი რომ ხდება ავი კაცის კარგისაგან გამიჯვნა? რა დახვეწილი მანერებით, რა ანგელოზის ნიღბებით დააბიჯებენ მგლები ცხოვართა შორის. შენ არ იცი, რა ცუდ გუნებაზე მაყენებს, აგერ, ჩემ გვერდით რომ კაცი ცხოვრობს და ერთ მშვენიერ დღეს რომ გამოგიცხადებენ – ჟულიკი აღმოჩნდაო. ძალიან ბევრი დამნაშავე ხომ არ დავგროვდითმეთქი, ხანდახან ვეტყვი ჩემს თავს. გუშინ ის იმას იჭერდა და ასამართლებდა, იმ გამსამართლებელს კი დღეს, სრულიად კანონიერად, თვით ასამართლებენ. ეს რატომ ხდება, იცი? ბევრმა დაივიწყა, რომ ერთი ანგარიშის ჩაბარება, სამსჯავროზე ერთი წარდგომა, თუ გინდა, ერთი განკითხვის დღე – ყველას ელის. ყოველდღე იმდენი უსიამოვნო ამბავი მესმის, იმდენი ავაზაკი ტრიალებს ქვეყანაზე, რომ წესიერი ხალხი სანთლით საძებარი გახდა. რაკიღა ბრძნული თვალი არ ადგას ქვეყანას, მე გადავწყვიტე, მართალი ადამიანების ლაშქარი შევქმნა და მათს აღმოსაჩენად ასეთ მუღამს მივაგენი: რაღა ქურდობაზე და სიგლახეზე იყოს, ეწეროს ქაქუჩეთელი კაცი კაი საქმეზე გაზეთში-მეთქი. ასეთი ამოცანა დავუსვი ჩემს თავს. რას ჩავდივარ, თუ იცი, ახლაც ვერ მიხვდი?

– ვერა, – თვალგაშტერებით თქვა ვარდენმა, თუმცა გონების ერთ კუნჭულში რაღაცას ხვდებოდა.

– რას ვაკეთებ და კაი კაცის აღმოჩენაზე ვმუშაობ. ჩემი ფანარი ასეთია: დავდივარ ამ ქვეყანაზე მიამიტი კაცის ნიღბით და ხალხს საგმირო საქმეების ჩადენის პირობებს ვუქმნი. ძნელი არ არის, მარა არც მთლად იოლი საქმეა. რამდენჯერმე ტაქსში განზრახ ჩავტოვე ფული და საბუთები, მაგრამ ამ ხერხმა ბოლომდე ვერ გაამართლა; ორმა ტაქსის შოფერმა გარაჟში მიიტანა „დარჩენილი“ ნივთები და მადლობა მიიღო, მესამემ ქე მიითვისა მშვენივრად ჩემი ხუთი თუმანი, საბუთები კი ფოსტით შინ გამომიგზავნა. ახლა უფრო მარტივ ილეთებზე ვარ გადასული. დავდგები წყლის პირას და რომ გამისწორდება კაცი, ვისკუპებ ტანსაცმლიანად. ზოგს არც უნდა საშველად მოხმობა, დაუფიქრებლად გადმომყვება. ზოგი, თუ შეეშინდა, ყვირილს მაინც ატეხავს. ერთმა, ამასწინათ, კაი ხანს მაყურყუმალავა რიონში, თეთრი ხიდიდან გადავხტი, ამოვყავი თავი და მიშველეთ-მეთქი შევბღავლე. დგას და ჩამომჩერებია ზემოდან. შენ არ მომიკვდე, არც ინძრევა, ხმასაც არ იღებს. ბოლოსწინა ჩაყვინთვის დროს მიიხედ-მოიხედა, ხელი ჩაიქნია და წავიდა. კაცია მაგი?

– მერე: შენ?

– რა მერე. გამოვცურე და გამოვედი, რაც იმას ვაგინე გულში, რომ იცოდე. ერთხანს ხანძარზე ვაპირებდი დასპეციალებას, მარა, ჯერ ერთი, ხანძარი იშვიათადაა და მეორეც – ხანძარში მუშაობა ჭირს. მოგეხსენება, ცეცხლში უნდა შევარდე, რომ კაცს გადაარჩენიო თავი. წარბების და ულვაშის შეტრუსვას თავი დაანებე. ვაი თუ ვერ გადაგარჩინოს, სად მიდიხარ მაშინ? რკინიგზაზე, შენს თავს ვფიცავარ, პირველად გავედი იმ დღეს ამ საქმისთვის და გაამართლა. რით გაკეთდა ცუდი საქმე? ჯერ ერთი, მე და შენ ვიპოვეთ ერთმანეთი, მეორეც – უფროსობა სხვა თვალით დაგიწყებს ყურებას და მესამეც, აწი, შენ თვითონაც არ ჩაიდენ გლახა საქმეს – საპატიო რკინიგზელი ხარ.

ვარდენი ერთბაშად გამოფხიზლდა. ყურებმა გუგუნი დაუწყეს. თითქოს გაუნათებელ გვირაბში შევიდა ძველი, ქშუტუნა ორთქლმავლით. არ იცოდა, რა სახე მიეღო. წყენას ერეოდა ამ უცნაური კაცის, თითქოსდა, კეთილი სურვილი და ძნელად დასაჯერებელი, ლამის მოუხელთებელი თვალთმაქცობა.

– კი მარა, რომ არ ჩამოვმხტარიყავი, მაშინ?

– ცალი თვალი შენსკენ მქონდა. როგორც კი მომიახლოვდებოდა ლოკომოტივი, გავგორდებოდი განზე, აბა, შენ მოგაკვლევინებდი თავს? – გაიცინა გოგიტამ.

– ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ აქამდე რატომ არ მითხარი. – დიდი პაუზის შემდეგ, გულდაწყვეტილი კაცის კილოთი თქვა ვარდენმა.

– არ გიცნობდი. შენი იმედი არ მქონდა, შეიძლება გაფხუკიანებულიყავი და ყველაფერი წყალში ჩაგეყარა. ახლაც რომ გაგიტყდი, შენი მიმნდობი ხასიათის და იზაბელას ბრალია. რომ ვუფიქრდები, მაინც არ უნდა მეთქვა.

– თქმა რა შუაშია, არ უნდა გექნა. ხომ გავმასხარავდი კაცი.

– რატომ, შე კაცო?

– აბა, არაფრისთვის, მაიმუნობისთვის მივიღე ეს ჯილდოც და სახელიც? რათ მინდოდა, თვარა კი.

– რატომ, ჩემო ვარდენ? შენ შენი საქმე ხომ გულით გააკეთე. შენ კაი კაცი ხარ და გეკუთვნოდა, ასე არ არის? ჩემი საქმე მედლის მეორე მხარეა, ეგ ამბავი შენ სულ არ გეხება. მე ჩემი მოწყენა მაქვს და ჩემი ფუნქცია მაქვს ამ ქვეყანაზე. ჩათვალე, რომ მე შენთვის არაფერი მითქვამს.

კარგა ხანს თავჩაქინდრულნი ისხდნენ.

რას ფიქრობდნენ, ღმერთმა უწყის.

ბაგრატის ტაძარს ღვთიური ციაგი რომ დაადგა და გრილ ცისკამარას ტოროლები დაეპატრონენ, გოგიტა უხმოდ წამოდგა, მასპინძელს ხელი ჩამოართვა და ჭიშკრისკენ გააბიჯა.

პიჯაკმოხურული მემანქანე გაუნძრევლად იდგა ჭიშკართან და მიმავალს შეჰყურებდა.

რა აღარ ხდება ადამიანის თავს, ძვირფასო მკითხველო.

ცვრიან ბალახზე

ეს ბუხარი, ჩემო პავლუშა, მე თვითონ ავაშენე. ხარჯს კი არ მოვრიდებივარ, მებუხრე ვერ ვიშოვე. აღარ არიან მებუხრეები. იქნებ სადღაც სხედან კიდეც და მუშტარს ელიან, მაგრამ ვერ მივაგენი და ხელი ჩავიქნიე. კედლები აყვანილი და სახლი დახურული მქონდა, ბუხრის აშენება რომ გადავწყვიტე. ჩემს სოფელში, თურმე, ჯერ ბუხარს ააშენებდნენ და მერე სახლს. მე თვითონ ასეთი რამ არ მახსოვს, მამაჩემმა მითხრა, ვერ გეტყვი, მართალია თუ არა. ეს ნაკვეთები რომ დაგვირიგეს, ბუხარი ვის ახსოვდა, ვეცით ყველამ და, არ წაგვართვანო, ჯერ სარდაფის დუღაბი ჩავასხით. ზოგმა, წინდახედულმა საბუხრე მილი ჩააყოლა თავიდანვე, მე ამის გამოცდილება სად მქონდა. მერე მოვდექი და ლომით ვამტვრიე ორი მტკაველი ბეტონი. დავიდე წინ „საბაღე მეურნეობის“ სერიით გამოშვებული ბროშურა „ბუხარი“ და შევუდექი საქმეს. სხვათა შორის, შესახედავად მშვენიერი ბუხარი გამომივიდა, მაგრამ კვამლს უკან აბრუნებს. საბუხრე მილიც დავაგრძელე, ბუხრის პირიც ერთი აგურით დავაპატარავე, მაგრამ არაფერმა უშველა. წევა არა აქვს. ამ ჩემს ბუხარს კი არა, ოსტატებს რომ გააკეთებინეს, ის ბუხრებიც უკლებლივ უკან ახვევენ კვამლს. ვერ გეტყვი, რისი ბრალია, შეიძლება ადგილია ასეთი. ეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, სამზარეულოსავითაა. ჩემი ცოლი ამბობდა – ნესტიან ასფალტზე დგომამ მუხლები ამატკივაო და გაზქურის სიახლოვეს ფიცრები დავულაგე. ახლა აღარ წუწუნებს. გარეთ გავიდეთ? ამ ნერგებს რომ უყურებ, მეოთხე წლის გახლავს. რომ დავრგე, მე მგონი მაშინ უფრო დიდები იყვნენ. წყალსაც ვუსხამ, გამომწვარი ნაკელიც დავუყარე შარშან, მაგრამ არ ჰქნეს სიკეთე. არ იზრდება ხე და ხომ არ შეულოცავ კაცი. ვერ გეტყვი, შეიძლება ადგილის ბრალიცაა. ეს ბოსტანია, რა მიხ-

ვედრა უნდა. ქინძი ხარობს კარგად და სტაფილო. პამიდორს თუ კარგად მოუვლი, სამწნილედ რომ ივარგოს, ისეთს მოიყვან. იზრდება, მაგრამ დამწიფებას ვერ ასწრებს, ღია მწვანე რჩება. მშვენიერი ფერის პამიდორი იცის, სხვათა შორის. წყალს სხვები ცისტერნებით ყიდულობენ. მე პატარა ავზი მაქვს – ტონანახევრიანი. ასე ცოტა წყლის წამოღება ასტონიან მანქანებს უჭირთ. თუ რისკზე წავა და წყალს ამოგიტანს, სავსე ცისტერნით უნდა წამოვიდეს და თავისი ოცდახუთი მანეთი უნდა მიიღოს. ხუთ მანეთს ამოსახვევთან ავტოინსპექციას ვაძლევთო. ეგებ არც აძლევენ, და ჩვენ გვაცოდებენ თავს. მძღოლებს რას გაუგებ. ამასაც ვუპოვე მუღამი. ჟოლობზე პლასტმასის ძაბრი დავკიდე, ძაბრს ნახევარდიუმიანი მილი გამოვაბი და ავზში ჩავაყოფინე თავი, წვიმა რომ მოვა, წყალი წანწკარ-წანწკარით ჩადის და ავზს მივსებს. გვალვიან ამინდებს რომ დაიჭერს, მაშინ ვარ ცოდვა, მაგრამ უსაშველო არც მჭირს. ალუმინის ბიდონებით წყაროდან ამომაქვს წყალი. წყარო იქვეა, სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრში, თუ დრო დაგვრჩა, წაგიყვან, დაგათვალიერებინებ.

მეორე წელია ეს ციცქნა სახლი ავაშენე და იმანუელს გეფიცები, ქარვასლებს მირჩევნია. შაბათ-კვირას როგორ გავაცდენ, თუ თბილისში ვარ, რომ არ ამოვიდე და რამე საქმე არ გამოვჩხრიკო. ქურდობა სხვა ადგილებთან შედარებით ნაკლებია. მე ერთხელ გამიტეხეს კარი მარტო და გიტარა მომპარეს. გადასაგდები გიტარა იყო, შვიდმანეთიანი, ჟანგისგან შეჭმული, სიმები თავისით ეშვებოდნენ, ყოველ ათ წუთში მომართვა უნდოდა. სხვა რაღაცებიც მქონდა მოსაპარავად გამოსადეგი ძველი პერანგები, წიგნები... მაგრამ იმ ოჯახაშენებულს მხოლოდ გიტარა წაეღო. ისე, ჭიშკარს ბოქლომით ვკეტავდი ადრე და ქურდები ღობეზე ხტებოდნენ. მავთულის ღობეა, ქე ხედავ და, მენანებოდა. უფრო ღობე მენანებოდა, ვიდრე ბარი და წერაქვი ამ ჯიხურიდან რომ მიჰქონდათ. ავდექი და ჭიშკარს ფანერის ფირფიტა გავაკარი წარწერით: „ქურდების საყურ-

ადღებოდ! გთხოვთ ღობეს ნუ მოანგრევთ, ბოქლომი დაკეტილი არ არის, გააღეთ და შებრძანდით“. მართლაც ბოქლომის დაკეტვას აზრი არა ჰქონდა. რაც ის წარწერა დავკიდე, ჩემს ეზოში ქურდი არ გაჭაჭანებულა. ამასწინათ წარწერა და ბოქლომი ერთად მოუპარავს ვიღაცას. ან უგასაღებო ბოქლომი რად უნდოდა, ან იმ წარწერას რაში გამოიყენებდა. ხვადაგი იქნებოდა ამის ჩამდენი, ადამიანი ამას არ იზამდა. ულოგიკო, უმიზნო ხელმრუდობა უფრო გაგაღიზიანებს ზოგჯერ კაცს. ხომ არიან ბუნებით გლახაკები და ბოროტნი. რა გააფუჭონ, იმაზე რომ არიან გამეცადინებული. ხელი ექავებოდა ალბათ. ერთი ფინჩხა იუმორის გრძნობაც რომ ჰქონოდა (ადამიანის პირუტყვისგან განმასხვავებელი ერთ-ერთი ნიშანი), ამას იზამდა? ქურდს ეზოში ვეპატიჟები, მე, მასპინძელი; გაიღიმე, შე კაცო და გაიარე შენს გზაზე. ასეთებია თეატრში ტყავის საავარძლებს დანით რომ ჭრიან და ლიფტში ანერწყვებენ. ჩემი საქმე რომ იყოს, მე მათ უმკაცრესად გავასამართლებდი, როგორც განსაკუთრებით საშიშ ბოროტმოქმედებს.

შარშან პირველი ზაფხული გავატარე ამ ჩემს აგარაკზე. სიტყვა აგარაკმა არ შეგაშინოს, სად ისვენებდიო, რომ მეკითხებიან, ჩემს აგარაკზე-მეთქი, რიხით ვპასუხობ. სინამდვილეში აგარაკი კი არ ჰქვია, საბაღე-საბოსტნე ნაკვეთადაა მონათლული საბაღე წიგნაკში, ხოლო ეს ჩემი სახლი საბოსტნე სახლად, რომელსაც მხოლოდ წვიმისგან თავშესაფრის და სამეურნეო იარაღების შესანახი პუნქტის დანიშნულება აქვს თურმე. აგარაკი ფუფუნების სიტყვაა და ძალიან ჰყვირის. აგარაკებს სხვებს ურიგებენ, ჩვენ კი, კეთილ ვინებოთ და, საბაღე-საბოსტნე ნაკვეთებს დავჯერდეთ.

თუ მოინდომებ კაცი, თურმე, ამნაირ პატარა ხუხულას ააშენებ კი არა, ცაზე მისადგმელ კიბეს იშოვი. ქე იცი ჩემი ჯიბის პატრონი, რა მასალის მშოვნელი და ოსტატ-დურგლების დამქირავებელი ვიქნებოდი, მარა გავწირე წლების განმავლობაში სიმწრით დანაზოგი საჟიგულე ორი კაპიკი და შევუყავი ლომს ხახაში თავი. ნათესავ-მეგობრებმაც ხელი გამიმართეს. ზოგმა გამონაცვალი კარები ამომიტანა, ზოგმა ფანჯარა-ლარძაყინი. ნგრევადი სახლების ახლოს ვიტრიალე და გადასაყრელად განწირული მასალა ლამის მუქთად ჩავიგდე ხელში. ოსტატს რომ დავიქირავებდი, შავ მუშებად მკლავებდაკაპიწებული მე და ჩემი ოჯახის წევრები ვიწყვეტდით წელს. რავარც იქნა, გადავხურეთ და შარშან, ივნისის დასაწყისში, ზედა ორი ოთახიც კი შევალესინეთ გაჯით. ერთი სული მქონდა, ღამეს როდის გავათევდი ჩემს კარაველაში.

არც ვაციე, არც ვაცხელე, გამოვუცხადე ოჯახს; ამ ზაფხულს ჩვენს აგარაკზე გავატარებთ-მეთქი. ცოლმა შეიცხადა: ჯერ სახლი მოთავებული არა გვაქვს, უწყლოდ, უსინათლოდ, უმეზობლოდ რა გაძლებს ამ ქარ-სისინა ზეგანზეო, მაგრამ რაკი ერთხელ ვთქვი, არ დავიშალე. მომწყინდა ყოველ წელიწადს საგზურებზე ღრიტინი და ხალხის შეწუხება. ბოლოს და ბოლოს, აგარაკიანი კაცი ვარ. რას მიქვიან კომფორტი და ბურჟუაზიული კოხტა-პრუწობა, ავალთ და, როგორც იქნება, დავისვენებთ-მეთქი. სამ ივლისს დავაწყვეთ ჩემს ბზუილა ზაპოროჟეცზე შეზლონგები და სხვა საველე ბარგი-ბარხანა, ბაზარში შევიარეთ, ერთი კვირის სამყოფი პროდუქტი მოვიმარაგეთ და ლისის აღმართს შევუყევით.

არ დაიჯერებ, პავლუშა, შარშანდელი ზაფხული რა ბედნიერი ზაფხული იყო ჩემთვის. ხომ გგონია, გავწვალდებოდით უწყლოდ და უსინათლოდ, შენ არ მომიკვდე. პატარ-პატარა ყოფითი უხერხულობანი რა მოსატანია იმასთან, რაც მოვიგეთ და რა სიამოვნებაც განვიცადეთ. სიტყვით, ალბათ, ვერც მოვახერხებ ყველაფერი გაგაგებინო. მთელი ზაფხული ასე მეგონა, ერთმანეთს ხანგრძლივი განშორების შემდეგ ისევ შევხვდით სამი მონატრებული ადამიანი მე, ჩემი ცოლი და ბიჭი. რა ბედნიერი ყოფილა ის ხალხი, მთის კორტოხზე წამოდგმულ ოდაში თავისთვის რომ ცხოვრობდა საუკუნეების განმავლობაში. სამივემ ერთმანეთი აღმოვაჩინეთ იმ ზაფ-

ხულს. გელაპარაკები ახლა და ვგრძნობ, ნამეტანი მყვირალა სიტყვები ამომდის პირიდან, არადა ნამდვილად ასე იყო, ერთმანეთი აღმოვაჩინეთ. ქალაქში ჩვენ ჩვენი ცხოვრება გვაქვს სამივეს. საღამო უმეტესად სულ ერთნაირია: გაზეთების თვალიერება, ტელევიზორი, ტელეფონით ლაპარაკი და დღიური ჯაფით გასიებული თავის ბალიშამდე მიტანა. დილით ისევ ერთი და იგივე – მაღვიძარას წკრიალი და დროგამოშვებით სამზარეულოდან ჩემი ცოლის გაბრაზებული ხმა: „აჩიკო, გეოგრაფიის წიგნი არ დაგავიწყდეს... აჩიკო, დღეს საკონტროლო გაქვს... აჩიკო, რას აკეთებ ამდენ ხანს... აჩიკო, ხომ გეუბნებოდი წუხელის, დროზე დაიძინე-მეთქი... რას შვრებით ამდენხანს, გაცივდა ჩაი!“ ისე ჩავუთრევივართ დროის კონვეიერს, ისე დაგვიკარგავს ერთმანეთი, რომ არც კი გაგვიგია. მხოლოდ აქ, აქ აღმოვაჩინე, რომ ჩვენ ამ ქვეყანაზე ყველაზე ახლობელი და მშობლიური ადამიანები, იქ ქალაქში, კარგა ხანია ერთმანეთს აღარ ველაპარაკებით წყნარი, მშვიდი მუსაიფით. ჯარასავით ვტრიალებთ და კანტიკუნტად რაღაც სიტყვებს ვეძახით ერთმანეთს, იმ წუთისთვის აუცილებელ სიტყვებს. მერე გამოვდივართ ქუჩაში და ჩვენ-ჩვენს საფიქრალ-საზრუნავში ვიძირებით.

აქ კი მთელი ზაფხული სამივენი ერთად ვიყავით. დასასვენებლად სხვა დროს და სხვაგან როგორ არ ვყოფილვართ, მაგრამ იქ, სანატორიუმში თუ დასასვენებლ სახლში, დამღლელი და განზოგადებულია შენი დასვენება. მარტო თითქმის არასოდეს არა ხარ. გგონია, რეჟიმს გამოექეცი და გინდა ცოტა ხანს მაინც შეიცვალო ცხოვრების წესი. შენს თავთან მარტო გინდა დარჩე, მაგრამ არ გამოდის. ყველა თავის წრეს მოძებნის. ბავშვი ბავშვებში დაშლიგინობს, ცოლი ძელსკამზე ჩამომსხდარ დედაკაცებში ჭორაობს, შენ, საგულდაგულოდ გამოწყობილი (საზოგადოებაში შილიფად გამოსვლა უტაქტობაა), ჩრდილში ზიხარ; ან ნარდს ამღერებ ან პოლიტიკაზე ბაასით იქცევთ თავს. ასეთი „დასვენება“, სხვებისა არ ვიცი,

და მე პირიქით, მღლის. სულ დაძაბული ხარ, სულ ჩახმახივით შემართული. არიქა, სადილზე არ დაგვაგვიანდეს, არიქა, ბავშვს ვინმემ ქვა არ ესროლოს... სიტყვებს ეძებ, ახალგაცნობილ კაცს რამე ჭკვიანური ხომ უნდა უთხრა. წამდაუწუმ საათზე იხედები, თითქოს ვიღაცას ელი, ვიღაც უნდა მოვიდეს და თან წაგიყვანოს. ნელა გადის დრო საუზმიდან, სადილამდე, სადილიდან ვახშმამდე. ვახშმის მერე ოთახიდან გამოტანილი სკამით სადმე ჩაეკვეხები ხმაჩახრინწულ ტელევიზორთან, ან წინდების სუნით აყროლებულ, სულისშემხუთველ დარბაზში გაუთავებელი სისულელეებით დაზუზღულ ფილმს ნახავ და შუაღამისას ნერვებმოშლილი, გასავათებული ბრუნდები, რათა დილით, ძილ-ღვიძილში მყოფი, ზედ სარკმელთან აღრიალებულმა, სავარჯიშოდ მომხმობმა აკორდეონმა გამოგაღვიძოს.

წარმოიდგინე, პავლუშა, დილით ფანჯრიდან დაშვებული სხივის ჭიატი ფრთხილად, გაუმეტებლად გაღვიძებს. ირგვლივ საყდრული სიჩუმეა. შორს, ტყეში მარტოხელა ჩიტის ჭიკჭიკიღა სწვდება სმენას და ისიც თუ გულდაგულ მიაყურადებ, სიჩუმე – ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდი განძი, ჩაღვრილა ყველგან. ფეხაკრეფით გამოდიხარ აივანზე და სვეტსმიყრდნობილი ჩაჰყურებ რუხფრად აბოლებულ ქალაქს. დგახარ დიდხანს, დიდხანს ბალახზე ოქროდდაფენილ მზისა და გრილი, მოალერსე დილის სიოს ამარა.

ნაცნობი ფაჩუნით კატის ნაბიჯებით გამოვა ცოლი და გვერდით დაგიდგება. აივნის ფარდას გადასწევს, რომ მძინარე ბავშვი მზემ არ შეაწუხოს. „სძინავს?“ ეკითხები. „მთელი ღამე არ გადაბრუნებულა“, გპასუხობს. „ხომ ხედავ, ძილი რომ აკლია, ტელევიზორზე დიდი მტერი ბავშვისთვის არ არსებობს“. „აა? გამარჯობა შენი, მე რომ ვეტყოდი, აჩიკო, წადი, დაიძინე-მეთქი, ხომ გახსოვს, შენ შემოგეხვეოდა კისერზე და მაშინვე დართავდი ნებას“. „ეგ ილუზიონის დროს იყო, ილუზიონი კვირაში ერთხელაა. თქვენ არ იყო, ყოველღამე თორმეტ საათამდე რომ ყუყდით ტელევიზორთან?“ „გათავდა, აწი მკა-

ცრად დავიცავ, სექტემბრიდან ათ საათზე ლოგინში იქნება“. „აბა, შენ იცი“. ჩხიკვის ჩხავილი ისარივით შემოიჭრება ჩვენს იდილიაში. „მოვიდა“, გაიღიმებს ცოლი. ეს ჩხიკვი ისე შემოგვეჩვია, ლამის მხრებზე დაგვაჯდეს და ოთახში შემოფრთხიალდეს. ეზოს ბოლოში პანტა მსხალს მიბმულ ჩვენს ერთადერთ ვარიასთან (რომლის დაკვლაც საბოლოოდ გადავიფიქრეთ) დახტუნაობს მთელი დღე. საკენკში ხომ შეეზიარა, წყალსაც ვარიასავით გადატეხილი მინის ქილიდან მიირთმევს, გვერდით რომ ჩავუვლი, ყოველ შემთხვევისათვის იქვე, გამხმარ ტოტზე შესკუპდება და დაიჩხავლებს. ჩხიკვის ხმაზე ფეხშიშველი აჩიკო გამოტანტალდება და აივანს გადაეკიდება, „მარტოა?“ თვალების ფშვნეტით გვეკითხება – „გუშინ მეორე ჩხიკვიც მოიყვანა“. როცა დარწმუნდება, რომ ტყის სტუმარი ამ დილით მარტო გვეწვია, დაამთქნარებს და იტყვის – „მალე მეორეც მოფრინდება“. ჯღაზე დაკიდებული ტომსიკიდან მუჭით ხორბალი ამოაქვს და ფრინველებისკენ მიტანტალებს, ჩხიკვი ორმაგი ჩხავილით ეგებება.

საუზმის შემდეგ წყაროზე მივდივართ. გუშინდელი წყალი ბლომად გვაქვს, მაგრამ წყაროზე წასვლა საბაბი უფროა მუხლის გასამართავად. ტყეში გასასეირნებლად. გზა შხუნაზე გადის: მუხისა და ნეკერჩხლის ახალაქოჩრილ ტყეში ალაგ-ალაგ ჩარღვეულ ბილიკზე მივაბიჯებთ. მე, კომბალზე მკლავებჩამოდებული, წინ მივდივარ და მაშინ მოვიხედავ, როცა დედაშვილის დუეტში მშფოთვარე ხმა გაერევა: „გამიშვი ხელი, მე თვითონ ჩავალ!“ ან „აჩიკო! ჩამოვარდები, ხომ ხედავ, ტოტი გამხმარია!“ ხანდახან სამივენი რიგრიგობით ვტკვირავთ უცნობი ბალახის ღეროს და ვცდილობთ გავიხსენოთ, რომელ გვერდზე ხატია, ან რა ჰქვია ამ მცენარეს მოკლე ბიოლოგიურ ენციკლოპედიაში.

დიდი, მშვიდი დღე ჩამოდის. თითქოსდა ყველაფერს ვასწრებთ და დრო მაინც ბევრი გვრჩება. თუ მაინცდამაინც მოგვწყინდა, ტირის თოფით სროლაში ვეჯიბრებით ერთმანეთს. თოფის ტკაცუნი ჩვენს ჩხიკვს არ მოსწონს, მაშინვე ჩხავილით გამოხატავს პროტესტს და გაფრინდება. შინ შესულებს რომ დაგვიგულებს, გამოჩნდება და თავის დობილ ვარიას წინ დაუსკუპდება. ვარიას ადრე აფრთხობდა ტყის ფრინველის ფრთების შრიალი, წამოხტებოდა და რამხელაზეც თოკი გაუშვებდა, განზე გაიწეოდა. ჭრუჭუნით შესცქეროდა საკენკს დაპატრონებულ სტუმარს. ახლა კი ისე შეეჩვია, ჩხავილსაც არად დაგიდევთ, თავის შებრუნებით ახედავს ჩხიკვს და თავის საქექ-საზრუნავს განაგრძობს.

როცა დაღამდებოდა, აივანზე ვსხდებოდით და ვარსკვლავებით დაცხრილულ ცას შევცქეროდით. იყო „მეორე დიდი დათვის“ აღმოჩენის ცდებიც და გზააბნეული ვარსკვლავის თვალდევნება, სანამ ეს უკანასკნელი სადღაც, დიდი ციური სხეულების ნისლოვანებაში ჩაიკარგებოდა.

თუ გაწვიმდა, ბუხარი და მისი ჯანი. ქალაქში უცებ რომ დაგაცხრება ჭუჭყიანი წვიმა თავზე და ვერ გაიგებ, საიდან მოვიდა, აქ მთაში, ასე როდია. ჯერ ბუნება საეჭვოდ გაიტრუნება და ზეგანს ჩრდილი გადაუვლის. მერე ქარი ამოგორგილდება და ყველაფერს ააწრიალ-ააფორიაქებს. დატრიალდება, დააცხრება აქაურობას, ხეებს და ბუჩქებს წაქაჩ-წამოქაჩავს, სარეცხს ააფართხუნებს, ბალახს ტალღასავით გადაუვლის და წამით გაუჩინარდება. ჯერ გაუბედავად, კანტიკუნტად ჩამოცვივდება წვეთები, თითქოსდა გაფრთხილებს, მოვდივარ და თავშესაფარი მოძებნეო, მერე ერთბაშად წამოუშენს და სახურავზე ტაშ-ფანდურას გამართავს.

ავაგუზგუზებთ ბუხარს. ვზივართ და შევცქერით ულამაზეს ცეცხლს. უკეთესს რას ნახავ. გარეთ წვიმა მღერის. შენ არსად გეჩქარება, არსად გიბარებენ, არსად გეძახიან. თავზე არ გაწვიმს და ღვთის წყალობით არ გშია. ასე გგონია, სტუმრად ხარ სადღაც, აღთქმულ ქვეყანაში და, როცა იქნება, ისევ შენს აბურდულ საქმეებთან, შენს ორომტრიალთან, ქალაქთან, ტელეფონთან და ტელევიზორთან უნდა დაბრუნდე.

ამას მე გეუბნები, ჩემო პავლუშა, მე, რომელმაც გუშინწინ ჩვენი საბაღე კოოპერატივის კოლექტიურ საჩივარს მოვაწერე ხელი. არ ვიცი, ვის ვუჩიოდით, მაგრამ საჩივარში გარკვევით ეწერა: „სანამ შეიძლება ვითმინოთ, რომ ელექტრონის გაყვანა ჩვენს აგარაკზე უმოწყალოდ ჭიანურდება. მებაღე-დამსვენებლები მოკლებული ვართ ყოველგვარ კომფორტს. განა რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ, რომ კოჭობის ანაბარა ვისხდეთ საბაღე სახლებშიო“.

იმას, ვინც ქაღალდი ხელმოსაწერად ჩამოატარა, გაუბედავად შევკადრე: – „იქნებ არ ღირდეს დავაჩქაროთ ელექტრონის გამოყვანა. მე შარშან უსინათლოდ დავისვენე და უბედნიერესი კაცი ვიყავი-მეთქი“. ისეთი ეჭვის მზერა მესროლა, ჭკუიდან ახალშექანებულ კაცს რომ შეხედავენ: „ელექტრონი მარტო სინათლე ხომ არ არის, შე კაცო. ვთქვათ, უსინათლოდ გასძელი კაცმა. უტელევიზოროდ როგორღა გაძლებო. ტელევიზორს და მაგნიტოფონს რას უშვრებიო?!“

კამათის გაგრძელება უაზრო იყო.

მოვაწერე ხელი გრძელ სიას, მივემატე მეც რიგს ჩემი მეზობლებისას, რომლებიც ყელგაწვდით ითხოვდნენ, დროზე შეგვაბით აქაც ნერვებზე ჩვენი დგანდგარი, ხმაური, ფორიაქი, თვალების აბრჭყვიალება, ყალბი ღიმილი, განუხორციელებელი ოცნებანი და უძილო ღამეებიო.

გუმანი

ილუმინატორს თეთრი წყვდიადი ებურა. თითქოსდა თვითმფრინავი რძეში მიცურავდა. დროდადრო, წყვდიადი რომ ოდნავ შეთხელდებოდა, ფრთებზე ელვასავით გაკრთებოდა წითელი ნათურა. შასები რომ გრუხუნით ჩამოიშალნენ, იმის შემდეგაც კარგა ხანი გავიდა. რატის ეგონა, ეს-ესაა ერთხელ კიდევ ჩავქანდებით და გაცრეცილი ღრუბლებიდან მუქლურჯი მიწა გამოჩნდებაო, მაგრამ ძრავებმა ღონივრად ამოიწუილეს და თვითმფრინავი კვლავ თეთრ ბურუსში გაეხვია. ათიოდე წუთში კი სტიუარდესას მშვიდი ხმა გაისმა: „ყურადღება, თვითმფრინავი ორმოცი წუთის შემდეგ დაეშვება ბაობაოს აეროპორტზე. ჰაერის ტემპერატურა თხუთმეტი გრადუსია“. ესეც ასე. რატი თვე-ნახევარია შინ არ ყოფილა. ლამის მსოფლიოს შემოუფრინა ამ ხნის განმავლობაში. საერთაშორისო მეტეოროლოგიური კონფერენციის მონაწილეს მეცნიერული მისიით მეტეოროლოგიური დაზვერვის ჩატარება მოუხდა სხვადასხვა კონტინენტის შვიდ დიდ სამრეწველო ქალაქში. რა ამინდში და რა პირობებში იფრინა, ვინ მოსთვლის, მაგრამ ახლა, როცა სახლთან ასე ახლოს იყო, სწორედ ახლა დაწყდა ყველაზე მეტად გული, საჰაერო ტრანსპორტმა რომ დააღალატა. „რაღა ახლა დაიკეტა უტაუტას აეროპორტი. ცოლ-შვილი მაინც არ გამეფრთხილებინა, აეროპორტის რკინის მოაჯირთან დგანან ახლა და ტყვიისფერ ცას აჰყურებენ. ამ ბოლო ხანს სანტიმენტალური გავხდი. სხვა დროს მოულოდნელად მივადგებოდი ჩემი სახლის პარმაღს. მაინცდამაინც დღეს საოცრად მომინდა, დამხვედროდნენ. თვითმფრინავის ტრაპიდანვე დამენახა სამივენი. ესეც შენ რატი გურგენიძე. ბაობაოს აეროპორტის მოსაცდელის ნაბიჯ-ნაბიჯ გაზომვა მოგიწევს“, ამ ფიქრებით გართულ რატის ზურგსუკან ბავშვის ტირილი მოესმა. მი-

იხედა. ახალგაზრდა შავთვალწარბა დედიკოს ჩვილი გულზე აეხუტებინა და მთელი ტანით ირწეოდა, მაგრამ ბავშვს მოსწყენოდა თვითმფრინავი და პროტესტს ისე გულამოსკვნით გამოთქვამდა, რომ რატის გული შეეკუმშა. ჯიბე მოიქექა, გასაღებების შეკვრა ამოიღო და ცხვირთან გაუჩხრიალა. პატარა მოქალაქემ ტირილი შეწყვიტა, გასაღებს ფუნჩულა თითებით მისწვდა, მაგრამ მსწრაფლ მოისროლა და უფრო ენერგიულად ატირდა.

თვითმფრინავი ნელა, ღუღუნით ეშვებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ნისლდაფენილი მიწა, რომელიც თანდათან ამოიწია, გაცხადდა. ჯერ ქარხნების აბოლებული მილები გამოიკვეთა, მერე ქუჩები და მეჩეთები. დაჯდომისას თითქოს თვითმფრინავმა სიჩქარეს მოუმატაო, ელვისსისწრაფით შემოტრიალდა. უზარმაზარი მწვანე მინდორი, თვითმფრინავისკენ შუაზე ჩაშვებული, მტკვრის სიფართე ბეტონის გზატკეცილი გამოქანდა. მანქანა წითელ ნათურებშუა მოექცა, შხუილით გაიქროლა და ზღართანით შეეხო ასფალტს. მეორე მუხრუჭმა თვითმფრინავი საბოლოოდ დაიმორჩილა, მესამემ კი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკიდან გადაახვევინა და მარჯვნივ, აეროპორტის შენობისკენ „ჩინდრიკით“ წაიყვანა.

სტიუარდესამ მგზავრებს აეროპორტის მოსაცდელში დასვენება შესთავაზა და გააფრთხილა, ყურადღებით ყოფილიყვნენ, რადგანაც თვითმფრინავის გაფრენის ზუსტ დროზე დამატებით იქნებოდნენ ინფორმირებულნი.

რატიმ იცოდა, რას ნიშნავდა „აეროპორტის მოსაცდელში დასვენება“ და ისიც მშვენივრად უწყოდა, რომ მგზავრთათვის გაურკვეველი მიზეზის გამო მორიგე აეროპორტზე დაშვებული თვითმფრინავი, სულ მცირე, ოთხ საათს მაინც არ დაიძვროდა ადგილიდან, ამიტომაც ხელჩანთა ამოიიღლიავა და ჩქარი ნაბიჯით აეროპორტის სასტუმროსკენ გასწია.

ბაობაოში ქარიანი, მშრალი ამინდი იდგა. თვითმფრინავების

გრგვინვა-სისინისაგან ყურთასმენა არ იყო. რატიმ ყურადღება მიაქცია: შენობის გასწვრივ, ქუჩის პირას სავარძლები პირწმინდად დაკავებული იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ახლომახლო აეროპორტთაგან მხოლოდ ბაობაო იღებდა თვითმფრინავებს და მოსაცდელში ახლა ნემსის ჩასავარდნი ადგილიც არ მოიძევებოდა.

საათზე დაიხედა, ათს აღარაფერი აკლდა.

სასტუმროს ვესტიბიულში ერთმანეთზე მიწყობილი მგზავრები თვლემდნენ. კიბეზეც კი არ იყო ტევა. ჩალმიანი ადმინისტრატორი თეთრი კბილებით ულვაშს იწიწკნიდა და ხვადი კატის ბღვერით შესცქეროდა ტელევიზორს. იქვე, მუყაოს შავ ფირფიტაზე დიდი, ბატიფეხური ასოებით რუსულად ეწერა: „სასტუმროში და ბარგის შესანახ საკანში თავისუფალი ადგილები არ არის“. ამ უიმედო განცხადების ავტორს მოეხერხებინა და ნაწერში ოთხიოდე გრამატიკულ-ორთოგრაფიული შეცდომა დაეშვა.

რატი ადმინისტრატორის მაგიდასთან, ყოველ შემთხვევისათვის, მაინც მივიდა. ტელევიზორსაც კი შეავლო თვალი. ეკრანზე ქალაქში მოსეირნე ჩანთოსანი კენგურუ მოჩანდა. ტელევიზორს ხმა ჩავარდნოდა და ვერ გაარკვია, რომელ კონტინენტზე და რატომ დასეირნობდა კენგურუ ასე თავისუფლად. ჩვენს გმირს თავისი დარდი ჰქონდა და ცნობისმოყვარეობა დაიოკა. „ამ შმორის სუნს გავშორდები, ჰაერზე მაინც გავივლიო“, გაიფიქრა. ქუჩაში გამოსულს სასტუმროდან ვიღაცამ გამოსდია.

– ბოდიში, თქვენ ადგილი გნებავთ, ალბათ, – ინტელიგენტური გარეგნობის, რუხმოსასხამიანი, მაღალი კაცი ედგა წინ.

– მინდოდა, კი.

– იცით რა. ამ წუთში განთავისუფლდა ერთი ნომერი. ადმინისტრატორმა ჯერ არც კი იცის. გამომყევით. მე მოგიხერხებთ ამ საქმეს.

რატი გაჰყვა. მესამე სართულზე ავიდნენ. წელზე შალშე-

მოხვეული, ტანსრული, გადაბმულწარბებიანი მორიგე ქალი ჩაის სვამდა. რატის პასპორტი და ოცი მანეთი დაატოვებინა და თავაზიანად სთხოვა, გარეთ გაიარეთ, თხუთმეტ-ოც წუთში მობრძანდით, დავალაგებთ. სამოცდარვა იქნება თქვენი ნომერიო.

რუხმოსასხამიან ქველმოქმედს მადლობა გადაუხადა და კიბეზე დაეშვა. ახლა გაახსენდა, რომ შიოდა. წელან აეროპორტის სკვერში მანდარინს ჰყიდდნენ, თუ მივუსწარი, პირს მაინც გავისველებო.

რიგში ათიოდე მყიდველი იდგა. მემანდარინე, თეთრხალათიანი, ცხვირკაუჭა კაცი წამდაუწუმ გაიძახოდა: „ვისაც ჭურჭელი არა გაქვთ, ნუ დადგებით, პარკები გამითავდაო“.

– თქვენ იქნებით ცოტა ხანს? – მიუბრუნდა რატის წინ მდგომი ვაჟურად, მოკლედ თმაშეკრეჭილი გოგონა, რომელსაც სწორი, ლამაზი ცხვირი და რბილი, ალერსიანი ხმა ჰქონდა. ასეთი ხმა მხოლოდ ახლადგაღვიძებულ ქალიშვილებს აქვთ.

რატიმ თავი დაუქნია.

– თუ შეიძლება, ახლავე მოვალ. იქნებ პარკი ან გაზეთი ვიშოვო სადმე, – ქალიშვილი შეწუხებული, დაღლილი, მაგრამ საოცრად ლამაზი, დიდრონი ცისფერი თვალებით შესცქეროდა.

– მოითმინეთ, – რატიმ ხელჩანთა გახსნა, – მქონდა რაღაც. აი, აქ არის, – „სოლანის“ ფირმის თხელი, ნეილონის პარკი გაუწოდა, – თუ გამოგადგებათ.

– კი, მაგრამ თქვენ? – გამოართვა გოგონამ და პარკზე დახატულ ტორშემართულ ლომს დააჩერდა.

– მე ნახევარ კილოს ვყიდულობ, მეტი არ მინდა, ჯიბეში ჩავიყრი.

– დიდი მადლობა.

– არ ღირს მადლობად, საით მიფრინავთ?

– უტაუტაში. აეროპორტმა არ მიგვიღო და აქ დაგვსვეს. თქვენ? – რატის გაეცინა.

– ერთ ბედქვეშ ვყოფილვართ.

– თქვენ ცხრაას ოცდაშვიდი რეისით მგზავრობთ? რატომ ვერ შეგნიშნეთ თვითმფრინავში?

– უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ მე ვერ შეგნიშნეთ, პირველ სალონში იჯექით?

– არა, მეორეში, მესამე რიგზე.

– თქვენ წინ ყოფილხართ. მე მეცამეტეზე.

– რამდენი წელია დავფრინავ და პირველად მოვხვდი საჰაერო შეფერხებაში, – ამოიოხრა გოგონამ.

– თქვენი შესახედაობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფრენის დიდი სტაჟი არ უნდა გქონდეთ.

– გმადლობთ კომპლიმენტისთვის, მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირად მიწევს. მარტო ამ თვეში, მეორედ მოვფრინავ.

– უტაუტელი არ უნდა იყოთ.

– რატომღაც ყველას ასე ჰგონია. ძირძველი უტაუტელი ვარ. პაპაჩემიც იქ დაიბადა. მაკუტიაში კურსებზე ვსწავლობ.

– რის კურსებზე, თუ საიდუმლოება არ არის?

– ბავშვთა ფეხსაცმელების ქარხანაში ვმუშაობ. ახალი დანადგარები მივიღეთ, გერმანული. რეზინის ჩექმების მოდელისთვის. იმ მანქანების გამართვა-პატრონობას გვასწავლიან, აგერ, მესამე თვეა.

– მარტო ხართ?

– ორნი ვართ, მაგრამ ჩემი ამხანაგი მაკუტიაში დარჩა. საერთოდ, მორიგეობით მოვდივართ. რო რამე იყოს, ერთი მაინც ადგილზე იქნება.

– თქვენი ქარხანა მანსვეტაშვილის ქუჩაზე არ არის?

– დიახ.

– სახელი თქვენი?

– ლია.

– მე რატი მქვია. ოჯახური მდგომარეობა, ლია?

– გაუთხოვარი, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს?

– უფრო ზუსტად, გასათხოვარი. მნიშვნელობა თქვენზე უი-

მედოდ შეყვარებული ბიჭებისთვის აქვს, ალბათ, უპირველეს ყოვლისა. ასეთები ბევრნი არიან?

ლიას ჩაეღიმა.

– არც მაინცდამაინც.

– თუ ყოფილა თქვენს რთულ ცხოვრებაში მოტაცების მცდელობის ან ღამით საწოლიდან მოპარვის შემთხვევები?

– ჯერ არა.

– ამაშია საქმე. ამიტომ მიკვირს შენი ტოლი ბიჭების. მათი ვერაფერი გამიგია. შეიძლება შენისთანა ლამაზი გოგო არ მოიტაცონ?

– აბა, აბა, – აჰყვა ხუმრობაში ლია ახალგაცნობილ მამაკაცს, – თქვენ რამდენი წლისა ბრძანდებით?

– ოცდაჩვიდმეტის. ძალინ დიდი ვარ?

– არც ისე. მე რამდენის ვიქნები?

– ოცის.

– უფრო ზუსტად?

– ოცდაერთის.

– ოცდახუთი თებერვალში შემისრულდა.

– ვერ დავიჯერებ?! – შეიცხადა რატიმ.

– არც სხვებს სჯერათ.

– ჰოდა, ჩვენს დროს რომ ყოფილიყავი, აუცილებლად მოგიტაცებდნენ. შენისთანა საყვარელ გოგოს ვინ გაუშვებდა. მე მოტაცებით შევირთე ცოლი. ჩემმა ძმამაც. მამაჩემსაც მონატაცები ჰყავს დედაჩემი.

– რა საშინელებაა.

– რა? მოტაცება? სულაც არა. პირველი ხუთი საათი ჭირს, თორემ მერე ყველაფერი უზურში დგება. ახლა ნამეტანი სასიამოვნო პროცედურაა-მეთქი რომ გითხრა, განსაკუთრებით იმისთვის, ვისაც იტაცებენ-მეთქი, არ ვიქნები მართალი. განსაკუთრებით პირში ჩვრის ჩაჩრაზე გამოთქვამენ პროტესტს.

– ხომ შევიშლები!

– გააჩნია, ვინ მოგიტაცებს. თუ ცხრათავიანმა დევმა მოგიტაცა, შეიძლება ნერვული სტრესები დაგეწყოს, მეტი არაფერი. შეშლას ვერ მოასწრებ. ახალი ცხოვრება თავის ცოტა არ იყოს უხეშ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც სასიამოვნო კანონებს მოგახვევს თავზე და შენც შეეგუები. მეტსაც გეტყვი; მონატაცებ ქალებს რაღაცნაირი სიამაყის, თუ უპირატესობის განცდაც დაჰყვებათ მთელი ცხოვრების მანძილზე.– „ისე კარგი ვიყავი, რომ მომიტაცეს“, პატარა ამბავია?

ამას რატი ირონიულ-სერიოზული ღიმილით ამბობდა. მარჯვენა ხელის ცერა და შუათითს დროდადრო ერთმანეთს გაუტკაცუნებდა, ხოლო მარცხენათი მოსასხამიდან ჩამოცურებულ გრძელსამკლაურიან, ოვალურ ჩანთას ისწორებდა. ლია იცინოდა, მორიდებული მოგუდული სიცილით, რადგანაც არ უნდოდა რიგში მდგომთა ყურადღება მიექცია, ხოლო ის, რასაც რატი ამბობდა, იმდენად სასაცილოდ ეჩვენებოდა, რომ პირზე ოთხივე თითს აიფარებდა და სუნთქვაშეკრული, შავწამწამშემოსალტული, სხივჩამდგარი თვალებითღა იცინოდა.

ერთი კილოგრამი მანდარინი იყიდეს, სკვერში გავიდნენ და უწყლო აუზის პირას ამოტრიალებულ, მოჭიქულ დელფინზე ჩამოსხდნენ.

– ღმერთო, რა მოსაწყენია უაზრო ლოდინი, – თქვა გოგომ და ცას ახედა.

– უაზრო, ალბათ, მოსაწყენია, მაგრამ როცა საქმე გაქვს, არც ისე აუტანელი უნდა იყოს, – წაიფილოსოფა რატიმ.

– საქმეს გააჩნია, რა საქმე გაქვთ თქვენ ახლა ამ წუთში?

– ძალიან დიდი. თქვენ უნდა გაგართოთ.

– ოჰო, ძნელი მისია გიკისრიათ.

– მე არ მიკისრია, ღმერთმა იცოდეს, გარემოებამ მიკარნახა.

– ხომ არ გაგანთავისუფლოთ ამ ტვირთისაგან?

– ამაზე დიდ მტრობას ახლა ჩემ მიმართ ვერაფერს ჩაიდენდით.

– წინათგრძნობა როგორი გაქვთ?

– რაზე მეკითხებით?

– გული რას გეუბნებათ, როდის გავფრინდებით?

– ხვალ დღის მეორე ნახევარში თუ გავფრინდით, დიდი შეღავათი იქნება.

– გაგიჟდით? ხვალ თორმეტ საათზე ჩემი მეგობარი ხელს აწერს, უსიკვდილოდ უნდა ჩავუსწრო.

– ხელისმომკიდე ხართ?

– არა, მაგრამ, სპეციალურად ამისთვის წამოვედი.

– ჩატარებულა უთქვენოდ ქორწილი და ეგაა.

– კარგი რა, ნუ გამიხეთქავთ გულს.

ამის შემდეგ სამ საათს ისაუბრებენ ლია და რატი დაახლოებით ამგვარ თემაზე: ქალი – „მაღლებზე სიარულს გადავეჩვიე, ისევ მოდაში რომ შემოვიდეს, რა მეშველება?... ვაჟი – „ნებისყოფა არ მივარგა, ხუთი წელია, წვერის მოშვება მინდა და ვერაფრით ვერ მოვახერხე“.

ორს გადაშორებული იყო, როცა დიქტორმა გამოაცხადა: „ცხრაასოცდაშვიდი მარშრუტის თვითმფრინავის გაფრენა ექვს საათს დაიგვიანებს, აეროფლოტი ბოდიშს გიხდით მეტეოროლოგიური მიზეზით გამოწვეულ შეფერხებაზე, თქვენს განკარგულებაშია აეროპორტის ფეშენებელური სასტუმრო და მოისვენეთო“.

– ხომ ვამბობდი, – ჩაილაპარაკა რატიმ, იმგვარი კილოთი, თვითონვე რომ ეჭვი ეპარება კაცს წინასწარმეტყველებაში და შემთხვევით რომ გაუმართლებს.

– რა მეშველება? – ფეხზე წამოდგა ლია.

– დილის ცხრა საათზე თუ მაინც გავფრინდით, ჩაუსწრებთ, უტაუტამდე ერთი საათის საფრენია.

– სხვა ტრანსპორტით რომ წავსულიყავი?

– აქამდე უნდა გვეზრუნა, მატარებელი, ალბათ, უკვე გავიდა.

– იქნებ გაგვეგო?

ცნობათა ბიუროს რკინიგზის სადგურის ტელეფონი რომ ჰკითხეს, გოგონამ თითქოს ცნობისწადილს მიუხვდაო, შეაგება, – უტაუტისკენ ბოლო მატარებელი პირველის ნახევარზე გავიდა. საღამოს შვიდ საათამდე აღარაფერი გადის. ავტობუსი დილის ცხრა საათზე უნდა წავიდეს. ათ საათს მაინც მოუნდება უტაუტამდე ჩასვლასო“.

– სასტუმროში ადგილს მაინც თუ იშოვის კაცი? – საოწარკვეთილის ხმით იკითხა ლიამ.

– ვერ გეტყვით, სასტუმრო აქვეა და მიბრძანდით, – გაუღიმა ცნობათა ბიუროს თავაზიანმა თანამშრომელმა.

მანამ სასტუმრომდე მივიდოდნენ, რატიმ მოასწრო ეთქვა გოგონასთვის, რომ სასტუმროზე უკვე იზრუნა, იღბლად, ვიღაც ღვთიან მადლიანმა მოუგვარა ეს საქმე არცთუ უანგაროდ და, თუ გაჭირდა, ცისფერთვალება პრინცესას თავის ნომერს დაუთმობს.

– მერე თქვენ? – თავმოუბრუნებლად ჰკითხა ლიამ

– მე გარეთ კიბეზე ჩამოვჯდები, ან ცხენივით ფეხზე გავათევ ღამეს ვალმოხდილი რაინდის სასიამოვნო ფიქრით გამსჭვალული.

– არ ვიზამ ამას.

– რატომ? არ გინდათ რაინდობაში ხელი შემიწყოთ?

– ძალიან დიდი მსხვერპლი იქნება. კაცებს უფრო გინდათ მოსვენება.

– რატომ?

– ქალები ხომ გაცილებით უფრო ამტანი ვართ.

– ეგ ჰიპოტეზა ჯერჯერობით ბოლომდე დამტკიცებული არ არის.

სასტუმროს ადმინისტრატორი დახლსმოჯარულ მგზავრებს წამდაუწუმ უცხადებდა: „ტყუილად დგახართ, არც ერთი ადგილი არა მაქვს და დილამდე არც განთავისუფლდებაო“. კარებშივე გამოტრიალდნენ და კიბესთან რომ მივიდნენ, ლია ალაპარაკდა.

– ძილი ნებისა, ბატონო რატი, ხვალ თვითმფრინავში შეხვე-

დრამდე – ხელი დაუქნია და წასვლა დააპირა, მაგრამ მეტეოროლოგი წინ გადაუდგა.

– მოითმინეთ, ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ.

– ჩვენ ვერ მოვილაპარაკებდით, სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ახლა კი მე მოსაცდელში შევალ, თქვენ თქვენს კუთვნილ ნომერში.

– ასე არ გამოვა. ნუთუ?

– ძალიან, გთხოვთ, ნუ შეშფოთდებით, ნომერში ჩვენი ერთად ყოფნა რომ გამორიცხულია, მე მგონი ეჭვი არ გეპარებათ, ხოლო თქვენი ოთახის ჩემთვის დათმობის ჯენტლმენურ წინადადებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიღებ.

– რატომ?

– ჯერ ერთი, მეცოდებით და მეორეც, მე არაფერი არა ვარ თქვენი. ბოლოს და ბოლოს სიტყვაზე ხომ არ დაგიჭერთ უცხო კაცს.

– ავიდეთ, იქნებ უფრო უმტკივნეულოდ მოგვარდეს საქმე.

– მაინც?

– იქნებ კიდევ აღმოჩნდეს ნომერი, მოველაპარაკები. ავიდნენ. შავწარბება მორიგე კვლავ ჩაის შეექცეოდა, მან გაბუტულივით გახედა მოსულებს და რატის უსაყვედურა: სადა ხართ აქამდე თქვენი ოთახი კინაღამ გავეციო. ქალიშვილს ახედ-დახედა და წარბები შეიკრა; ჩვენ ასე არ მოგვილაპარაკნია. სტუმრისთვის დამატებით ოცი მანეთი უნდა გადაიხადოთო.

ღია ფანჯრის გვერდით გაკრულ ქალაქის გეგმას მიუახლოვდა და განგებ დააჩერდა, გულისყური აქეთ ჰქონდა. რატიმ კი ენის ბორძიკით აუხსნა მორიგეს, რომ ეს ქალიშვილი, მისი ახლო ნაცნობი, შემთხვევით შეხვდა, თუ ადგილს მოუძებნის მორიგე, ძალიან მადლობელი დარჩება და უპატივცემლოდ არ დატოვებს, თუ არა და, თავისი ნომერი უნდა დაუთმოს. სასტუმროს თანამშრომელმა დაამთქნარა, პირზე სამჯერ რბილად მიირტყა ხელი და როდის, როდის

ამოღერღა – ადგილზე ლაპარაკი ზედმეტია, ერთად ვერ დაეტევით?

– ვერა, – მიუგო რატიმ.

– თქვენი საქმისა თქვენ იცით, – მორიგემ სცადა, მკლავიმკლავში ჩაეხვია, მაგრამ, როგორც ჩანს, სუნთქვა შეეკრა და კვლავ მაგიდაზე დააწყო თავისი ქვირითით გატენილი ორაგულებივით სრული და მძიმე მკლავები.

თანამგზავრების კამათმა ქალაქის გეგმასთან გადაინაცვლა, როცა შეიტყო, რომ რატი უადგილოდ რჩებოდა, ლიამ კვლავ წასვლა დააპირა. რატიმ ბავშვები დაიფიცა, რომ ლია თავისას თუ არ დაიშლიდა, ამ ნომერში ამაღამ ფეხს არ შედგამდა.

– რატომ? რატომ? – ეკითხებოდა გოგონა.

– ასე ძნელი მისახვედრია? თქვენ ქუჩაში დაგტოვებთ და მე მშვიდად დავიძინებ სასტუმროში? ასეთ უზრდელს ვგავარ?

– კი, მაგრამ ჩემი მხრივ რა გამოვა? გამოგელაპარაკეთ, გაგიცინ-გამოგიცინეთ და დაღლილ, ცოლშვილიან კაცს თავშესაფარი წაგართვით?

– ასე რთულად არ არის საქმე. ამ შემთხვევაში მე უბრალოდ ჩემს მამაკაცურ მოვალეობას ვასრულებ.

– სხვასაც ასე დაუთმობდით ნომერს? – ლიას ხმაში სილბო გაერია.

– უყოყმანოდ.

– კეთილი, ოღონდ დილით კიბეზე ჯდომით განაწამები და უძინარი თქვენს თავს სარკეში რომ შეათვალიერებთ, არ ინანოთ და არ გამკიცხოთ, კარგი?

– პირიქით. ჩემი უძილობა მოსატანიც არ იქნება იმ სიამაყესთან, რომელიც დამეუფლება, როცა გავიფიქრებ, რომ ჩემთვის განკუთვნილ საწოლში უმშვენიერეს უტაუტელ ასულს ეძინა.

– აბა, ღამე ნებისა. თქვენ მაინც სად იქნებით?

– ჩემზე ნუ იდარდებთ. თუ მორიგესთან საუბარი მომწყინდა, ან, რაც უფრო საფიქრებელია, თვითონვე დამითხოვა

თავისი რთული, ინტელექტუალური საქმეების გადამკიდემ, სულაც ფანჯრის რაფაზე შემოვჯდები და კაცობრიობის ნათელ მომავალზე ფიქრით გავათევ ღამეს.

ლიამ გასაღები გამოართვა, სამასოცდარვა ნომერს რომ მოარგო, ერთხელ კიდევ გამოხედა მამაკაცს და გაუღიმა.

დაფანჩულწარბება მორიგე ზანტად, უხალისოდ შესცქეროდა უცნაურ სტუმრებს. როცა რატიმ სკამი კედლისკენ გააჩოჩა, ფეხები გაშალა და ჭერს ააცქერდა, მორიგემ ირწმუნა, რომ აქ ერთმანეთთან პასპორტით დაუკავშირებელ ქალისა და მამაკაცის წინასწარმოფიქრებული, სასტუმროს ადმინისტრაციის წარმომადგენლის თვალის ასახვევად გამიზნული სცენა კი არ გათამაშდა, უბრალოდ ამ ორ მგზავრს ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ დაგვიანებული თვითმფრინავი აკავშირებდა.

მორიგე უფრო ენაწყლიანი აღმოჩნდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. რატის ჩაით გაუმასპინძლდა და რევოლუციამდელი ქალის უუფლებო მდგომარეობაზე საკმაოდ ვრცელი (თუმცა შიგა და შიგ მოსაწყენი) ლექციაც წაუკითხა, მერე, როცა შენიშნა, რომ სტუმარს თვალები ელულებოდა; ჩაიდანი გამორთო და მშვიდად, დაბეჯითებით უთხრა:

– ფულის დამატება მაინც მოგიწევთ,

– რატომ? – ჰკითხა რატიმ.

– თქვენი ნაცნობი გოგონა დაახლოებით თხუთმეტ წუთში დაგიძახებთ და ნომერში შეგიპატიჟებთ.

– რა იცით? – რატის ხმაში შეშფოთებაც გაკრთა.

– რა ცოდნა უნდა, მეც ხომ ქალი ვარ, გუმანით ვხვდები.

მორიგეს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ სამასოცდარვა ნომრის კარი გაიღო და ლია გამოვიდა, ბანანის სისტემის თხელ შარვალზე გრძელი, ბეჭებზე თექადატნეული სვიტრი ეცვა, მოდიოდა ლამაზად, ტანის რხევით, წელში გამართული და ტანკენარი.

– იცით, რა, როგორც მახსოვს, ჩანთა გქონდათ, სად უნდა ატაროთ ამ ღამეში. მომეცით, შევინახავ.

რატიმ ჩანთა გაუწოდა.

– ღამე ნებისა, – თქვა გოგომ, ჩანთა მხარზე გადაიკიდა და გატრიალდა, შეჩერდა, მოიხედა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა.

როცა ლია თვალს მიეფარა, სართულის მორიგემ რატის რომელიღაც შინაური ცხოველის ფართო და წყლიანი თვალები მიანათა და ეშმაკურად ჩაიღიმა.

– ხომ გითხარით.

– ეს ჯერ არაფერს ნიშნავს, – რატის აშკარად არ სურდა სართულის მორიგესთან ფამილიარულ-საიდუმლო სჯა-ბაასში ჩაბმულიყო და. ღმერთო შეგცოდე, მგონი არც ის უნდოდა, რომ ბაობაოელი მანდილოსნის გუმანი გამართლებულიყო. ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და სცადა, დამძიმებული ქუთუთოები დაესვენებინა.

მორიგემ წიგნი ამოიღო და შუაზე გადაშალა. სიჩუმეს მხოლოდ მისი ხვნეშიანი სუნთქვა და წიგნის გადაფურცვლა არღვევდა.

– რატი! – თითქოსდა ძილბურანში ჩაესმა.

თავი ასწია.

– მანდ ძალიან გაწვალდებით, აქ დივანი დგას, იქნებ დივანზე მოისვენოთ?!

– დიდი მადლობა, არა მიშავს.

– იქნებ მორიგეს ერთი თბილი ზეწარიც გამოართვათ.

კარი რომ მიიკეტა, რატი წამოდგა და ჯიბეში ხელჩაწყობილიმა მორიგეს შეხედა. ქალმა კარადა გამოაღო, მრგვალად დახვეული ზეწარი გაუწოდა რატის.

– მე ცხრა საათზე გამოვიცვლები, ანგარიშის გასწორება არ დაგავიწყდეს.

ბულდოგი

აღმართზე ბულდოგი რომ ამოზვავდა და ჯიქურ წამოვიდა ჩემკენ, ვის დავუმალო, ცოტა შემეშინდა, მაგრამ შიშის ქარმა მაშინვე გამიარა, ბალახზე ჭილოფისქუდიანი კაცი რომ ამოხარხალდა.

– ჯეკა!

ჯეკა არ შეჩერებულა, აქელებული, ღონიერი მკერდითა და გაფარჩხული ფეხებით ჩემკენ მოათრევდა კაფანდარა, ჯარისკაცისჩექმებიან მოხუცს, რომელსაც ძაღლი ორივე ხელზე დახვეული ღვედით ეჭირა, იქნებ „ეჭირა“ მთლად ზუსტი სიტყვა არ იყოს ამ ვითარების დასახატავად, რადგანაც უეჭველია, ამოდენა აღმართი ღონიერმა პირუტყვმა ეს ჭარმაგი კაცი სულმოუთქმელად ამოარბენინა. რატომ და რისთვის? ამის დამდგენი ვინღაა დღეს. ყოველ შემთხვევაში სანამ ჩემთან მოაჩიქჩიქებდეს, ახლავე ვიტყვი (თორემ ბულდოგი საეჭვოდ მიახლოვდება და მერე, იქნებ თქმის ხალისი დავკარგო), რომ მე არაფერ შუაში ვარ. ამ ბულდოგს და, რასაკვირველია, მის, მჩატე წონის პატრონს პირველად ვხედავ.

– ჯეკა! – ახლა უფრო მკაცრად დაუძახა მომთვინიერებელმა, მაგრამ ძაღლს, ეტყობა, ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა, გაეგო, რა სულის პატრონი გახლდით მე, შემოდგომის ამ გრილ საღამოს მარტოდმარტო მჯდარი კუს ტბის განაპირა ხეივანში, წარწერებით აჭრელებულ სავარძელზე.

მომვარდა, ჯერ ფეხებზე დამსუნა. მერე ზევით ამოჰყვა და მუხლებზე დადებულ ხელზე ვიგრძენი მისი ცხელი სუნთქვა, დრუნჩითაც შემეხო.

წარბიც კი არ გამიტოკებია. გაგონილი მაქვს, ასეთ დროს არ უნდა აღშფოთდე და ხელების ქნევა არ უნდა დაიწყო.

თითქოს არაფერიც არ ხდება, სვანური კოშკის უგემოვნო ასლს მივჩერებივარ.

– ჯეკა! – ცხვირ-პირზე შავ-ყავისფრად დახაზულმა ვეებერთელა ბულდოგმა უკან დაიხია და თხის ყურისხელა კუდი გააქნია. ჯერ პატრონს შეხედა, მერე მე. ბოლოს დაამთქნარა და წინა თათებზე ლამაზად დაეშვა.

– სუფთა სისხლისაა? – ვკითხე ჩემ გვერდით წამოსკუპებულ ჭილოფისქუდიანს, რასაკვირველია, იმის შემდეგ, როცა მან შუბლი მოიწმინდა, ჩანთიდან პურის ნაჭერი დააძრო და ძაღლს გადაუგდო.

– სუფთაა, კი, – მიპასუხა მოხუცმა. სათვალე გაიკეთა და დამაკვირდა, მაგრამ ვერ მიცნო და როგორც შევატყვე, გულიც არ დაწყვეტია, რომ ნაცნობთაგან ვერავის მიმასგავსა.

პური, ეტყობა, გამხმარია. ძაღლი ხიტკინ-ხიტკინით შეექცევა და ხანდახან გამომხედავს, ყოველ შემთხვევისათვის; აქაოდა, არას გერჩი, შენ ცუდი არაფერი გაივლო გულში, თორემ განა ისე ძვირფასია ეს გამხმარი პურის ნაჭერი ჩემთვის, ჭამა არ მივატოვო და ანგელოზები არ დაგიფეთოვო.

ჭილოფის ქუდი მოიხადა და მუხლზე ჩამოიდო. გულისჯიბიდან ჩიბუხი და სათუთუნე ქისა ამოიღო. ორი თითით ირისისფერი თუთუნის ბღუჯა ეკავა და კარგა ხანს ყნოსავდა. მერე ცერა თითით ჩიბუხში გულმოდგინედ ჩატენა, გააჩაღა და ერთი-ორჯერ რომ დაუპლაკუნა, ვკითხე:

– ჯიუტს ამბობენ ამ ჯიშზე.

– რა გაგებით?

– წვრთნას ნაკლებად ემორჩილებიანო.

– რა მოგახსენოთ. ცოტა არ იყოს, მძიმე ესეც გახლავთ. დამოუკიდებლობა უყვარს. რაც არ მოსწონს, მოკალი და არ გააკეთებს. ისე, უჭკვიანესი ცხოველია, მაგრამ თავნებაც გახლავთ.

– ლეკვი გაზარდეთ?

– არა. მე მესამე პატრონი ვარ.

– ბაზარში შეიძინეთ?

– მაჩუქა ყოფილმა მეზობელმა. ძაღლი არასოდეს მყოლია და არც დიდი სურვილი მქონდა, მაინცდამაინც, ახლა, არ დაიჯერებთ და უამისოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ამ ძაღლმა გამომათრია სახლიდან გარეთ და თქვენ წარმოიდგინეთ, სიცოცხლე გამიხანგრძლივა. თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ და ისე დავბერდი, კუს ტბაზე და ვაკის პარკში ფეხი არ დამიდგამს. დასვენება და სუფთა ჰაერის გადაყლაპვა სუფრაზე, ჩაის ჭიქით ხელში ჯდომა მეგონა მარტო. მაჩუქა მეზობელმა, აშენდა მისი ოჯახი, თორემ ამის ყიდვის თავი მქონდა? მაჩუქა როგორ, სხვა გზა არ ჰქონდა, თორემ იქნებ არც ეჩუქებინა.

– ვერ გავიგე?

ჩიბუხი მუჭში დაიჭირა და პირში რომ ჩაიდო, ისედაც შევარდნილი ყბები ძვალ-ტყავზე დაიყვანა, რამდენჯერმე ჩაკეცა ძვლებში საბერველივით მოჩვარული კანი და ჩიბუხის კვამლი რომ ვერ გამოადინა, უკმაყოფილოდ ჩაიხრინწ-ჩაიკრუსუნა, ასანთს გაჰკრა და კარგა ხანს ათამაშა თუთუნზე ბატის აპკივით გათხელებული ცერა თითი.

– თუთუნი ჰქვია ამასაც, სანამ წუმწუმას ჯიბეში ჩაიდებდე, ქვრება, ეს უპატრონო. თუთუნი კი არა, მტვერია მეტი არაფერი. ატყუებენ ხალხს...

მოხუცის წალამივით წვრილი და დაკვარჯღული თითები ისე იყვნენ მორგებულ-შეყვითლებული ჩიბუხზე, თითქოს ჩიბუხი ამ კაცს დაბადებითვე დაჰყოლიაო.

– რას ვამბობდი: გადამვარდა გულზე.

– მეზობელმა მაჩუქაო, – შევაშველე.

– რაი?

– ძაღლზე ბრძანებდით.

– ჰოო... პენსიაზე რომ გავედი, შარშანწინ იყო ეგ ამბავი, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, ჩვენ შორის დარჩეს. ახლა ოთხმოცდაოთხია, დიახ, ორი წელი გათავდა და მესამე დაიწყო

სექტემბერში, რაც პენსიაზე ვარ. ჯერ ერთი, უსაქმობა ვერ ავიტანე. ძნელია შრომას მიჩვეული კაცისთვის. ხაბაზად ვიმუშავე ორმოცდარვა წელიწადი ოქროყანის ასახვევთან, ქვევით ქართულ პურს რომ აცხობენ, გეცოდინება. კუჭი დამიავადმყოფდა და აღარ შეიძლებოდა ჩემი მუშაობა, თორემ ჯანი ძველებურად მომდევდა. ამ ორ წელიწადში გავნახევრდი კაცი. ასე კი არ ვიყავი. ახლა ჩემს ხელებს რომ დავცქერი, მეცინება, რაც ამ ხელებს ცომი უზილავთ, ეტყობა რამე? ორ წელიწადში ისე გამინაზდა თითები, ბუღალტრის ხელები გეგონება. მკლავში ჭყანაც აღარ მაქვს, ძაღლს ძლივს ვიმაგრებ. დასვენებამ უარესი მიქნა. არ უნდა მიატოვო, როგორც ჩანს, კაცმა შენი საქმე, თუ სიკვდილია, შენს საქმეზე მოკვდე სჯობია, ვიდრე ამ პარკში სკამეიკაზე, დასვენებული და გაბითურებული. პენსია პენსიაა მაინც და, მე ვთქვი, ცოტას ხელს წავაშველებ ამ ჩემს პენსიას, რაღაცა იოლ საქმეს გამოვძებნი-მეთქი. გეჩქარებათ?

– არა, ბატონო, ბრძანეთ.

მაკლერობას ვერ ვიკადრებდი და ინტრიგანობის დაწყება ჩემთვის უკვე გვიან იყო. შეგიმჩნევიათ ალბათ, სიბერეში მოინდომა ზოგმა ქვეყნის გასწორება: გაიკეთებს წითელ ჭინჭს მკლავზე და არის ერთ ამბავში. მე სხვის საქმეში ჯეელობაში არ ჩავრეულვარ და ახლა მით უმეტეს. ყველა თავისას აჩირთიფირთებს, ვინ მკითხავს მე – „ბალი ორშაურიას“, ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს გამჩენმა. ჰოდა, იმას ვამბობდი, არ გამცინოთ და ქაღალდის პარკების კეთება დავიწყე. „ლევი პარკებს“ რომ ეძახიან, მგონი, თხუთმეტ კაპიკზე ავიდა ახლა ბაზარში, ჩვენ სამ კაპიკად ვაკეთებთ. ქაღალდი და წებო, რასაკვირველია, დამკვეთისაა. ვაკეთებ ამ პარკებს და თავს ვიქცევ, თორემ შემოსავალი დიდი არაფერი მაინცდამაინც. სამ-სამ კაპიკად შეგროვებული ფული რას გიზამს დღეს, რაზე მოვყევი ეს ამბავი?

– ძაღლი მაჩუქაო მეზობელმა.

– ჰო, რასაკვირველია, მაშინ ბარნოვის ქუჩაზე ვცხოვ-

რობდი, ზევითკენ, დასაწყისში. ერთი პატარა ოთახი მქონდა პირველ სართულზე. ნგრევაშია ის ჩიხი და ჩემს ძმისშვილს გადავუცვალე საბურთალოზე ერთოთახიანში. მე მარტოხელა კაცი ვარ, სიკვდილამდე მეყოფა. ძმიშვილი ცოლშვილიანი ბიჭია, ოროთახიანი ბინის გარანტია მისცეს. ჩაწერა და გადაფორმება დაუჯდა ორი კაპიკი, მოგეხსენება, ისე ვინ გაგიკეთებს, ნგრევის ზონაში მით უმეტეს. ჩვენს ეზოში მეორე სართულზე სახერხის გამგე შიო ბალთაძე ცხოვრობდა. ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს. ახლაც ხე-ტყეზე მუშაობს სადღაც. სახერხი დამიხურესო, მაშინ ამბობდა, რა ვიცი, მართალია, ტყუილია. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შიომ მოიყვანა ეს ძაღლი. წლინახევრის იყო, მაშინ ისრაელში წამსვლელი ებრაელისგან ეყიდა. ძაღლს და საერთოდ შინაურ ცხოველებს არ ატანენ თურმე. იაფადაც გაყიდდა, ხომ იცი, წამსვლელი კაცი. ძაღლი იყო და მერე რა, თავის სახლში კაცი უნდა ძაღლს გააჩერებს და უნდა ბეჰემოტს, მარა უცნაურია, როგორც ჩანს, ცხოველი მაინც. ჩამოუშვებდა თუ არა ეზოში, ჩემს ოთახში შემოჯლიგინდებოდა ჯეკა, დაჯდებოდა იატაკზე და ისე ყურადღებით მომაჩერდებოდა ხელებში, გეგონებოდა, რაღაც სასწაულს ელისო. ადგებოდა და ამ ჩემს გაკეთებულ პარკებს დასუნავდა, მიივლ-მოივლიდა და ოთახში ისევ იმ ადგილას, კუთხეში გაქვავდებოდა, მონუსხული მიყურებდა ხელებში, წამწამსაც არ ახამხამებდა. ძაღლები, ჩემი სიგლახე რომ გითხრა, მაინცდამაინც არ მიყვარდა რომ აღარ მომეშვა, გასაგდებად ვერ გავიმეტე, მაგრამ დავუძახე პატრონს და ვუთხარი, მომაცილე შენი ძაღლი-მეთქი. საქმეში ხარ? საბლით ჩამოყავდა მერე შიოს სასეირნოდ, მაგრამ პირდაპირ ჩემს კარებს მოადგებოდა ბულდოგი, ყეფდა, წკმუტუნებდა, მეხვეწებოდა, შემომიშვიო. სასწაულია, აბა რა არის? შემოვუშვებდი და საათობით, თავგაუნძრევლად შეეძლო ეცქირა ქაღალდის პარკის კეთებისთვის. სამი თვის მოყვანილი იყო ჯეკა, მე რომ ბინა გადავცვალე. რომ გითხარით, ჩემს ძმიშვილს გადავუცვალე-მეთქი, სწორედ მაშინ იყო ეგ ამბავი. ცოლშვილიანი ბიჭია, ოროთახიანის გარანტია მისცეს, მისთვის ხელსაყრელია. ცოტას გაიჭირვებს და ოროთახიანში შევა. საბურთალოს ბოლოში გადავედი მე, ვაჟა-ფშაველაზე, ერთოთახიანში. არაა ცუდი ადგილი, სხვათა შორის, ახალი გადასული ვარ საბურთალოზე და ჩემი ძმიშვილი მეუბნება, შენ მოგეცა იმ ძაღლის ცოდვა, ორჯერ შემოგვივარდა ოთახში, დარბის, წკმუტუნებს, დაგეძებს გამწარებულიო. არ მივაქციე ამ ნათქვამს ყურადღება. ნამეტანი ჩვილი გულის არც ახალგაზრდობაში ვყოფილვარ. იწკმუტუნებს და გაჩერდება, ძაღლი ძაღლია-მეთქი. ერთადერთხელ, ფიცში ვერ ჩავიყოლებ, ჩემი ძველი მეზობლების სანახავად რომ წავედი, ძეხვის ნაჭერიც გავიყოლე და აივანზე დაბმულ ჯეკას ავუგდე. შიო და მისი ოჯახის წევრები შინ არ იყვნენ. ძეხვს პირი არ ახლო, უნდა გენახათ, რა იყეფა, რა იტირა, რა ითავცემა, ლამის აიწყვიტა, რას ჰქვია, მე აქ მტოვებ და შენ მიდიხარო. კბილით ღრღნიდა ჯაჭვს, მოკლედ ადამიანი ვერ შეგეხვეწება ისე ეს ძაღლი რომ მეხვეწებოდა, წამიყვანეო.

ბულდოგს გავხედე. ყურადღებით უსმენდა პატრონს. თითქოს ხვდებოდა, რასაც მიამბობდა, შიგადაშიგ რბილად, დაყვავებით დაჰყეფდა და დაამთქნარებდა.

– მერე, ბატონო?

მოხუცმა ისევ შეიკეცა ლოყები და გადააფურთხა.

– ა, კიდევ ჩაქვრა, თუთუნია ახლა ეეს?

ჩიბუხი სავარძლის კიდეს დააფერთხა ჩაბერა და გულის ჯიბეში შეინახა.

სად გავჩერდით? – სათვალე გაიკეთა და ერთხელ კიდევ შემათვალიერა.

– ძეხვი რომ მიუტანეთ.

– არ გასულა ერთი კვირა ამ ამბიდან, ვზივარ ჩემთვის ოთახში და ვმუშაობ. ეს დროა დაახლოებით, შეღამებას აპირებს. კარს მოაწვა ვიღაცა, ბლაგვი რამე რომ დაარტყა კარს,

ისეთი ხმაც გავიგონე, გავიჭვრიტე საჭვრიტინოში, არავინაა, მომეჩვენა-მეთქი და განვაგრძე პარკის კეთება. ყეფა და ფხაჭუნი რომ მომესმა, გავაღე კარი, ორფეხზე დამდგარი ჯეკა არ შემოვარდა ოთახში? პარკებს ეცა, დაყნოსა, მერე მე მომიბრუნდა და ერთი-ორჯერ ვერგამეტებულად დამიყეფა. რაღაც მითხრა თავის ჭკუით, შემოირბინა ოთახი, გაწვა ტახტის წინ, თათებში ჩაიდო თავი და მომაჩერდა, ცრემლი მომერია, სად მომაგენი, რამ ამოგიყვანა ამ მეოთხე სართულზე, ჩემო ჯეკა-მეთქი. არ არის გასაკვირი? ბარნოვის დასაწყისიდან საბურთალოს ბოლომდე გაწიე-გამოწიე, ოთხი კილომეტრი ხომ იქნება? ოთხი კილომეტრი გამოიარა, მეოთხე სართულზე ჩემი ოთახი მოძებნა და მეწვია, მეტს რას თხოვ ძაღლს, მითხარი, თუ კაცი ხარ, ჩემი მუშფაკის ამხანაგი შემხვდა ამას წინათ ბაზარში. ჰა, ჰა, არ მინახავს, ალბათ ოთხი წელი იქნება, მეტი არა, გავუცინე, იქით მიაბრუნა სახე, მეც აღარ გამოვეცნაურე, აბა, თვითონ თუ მიცნობს-მეთქი, ხან აქედან მოვუვლი, ხან იქიდან, ერთი-ორჯერ პირდაპირ შემომხედა.შენც არ მომიკვდე. ვკითხე, ხომ არ იცით, წითელი ფხალი სად იყიდება-მეთქი, გაჩერდა, დამაკვირდა, ამიხსნა, ფხალი სადაც იყიდება და განაგრძო გზა. ა, კაცი, დავიჯერო ახლა ისე შევიცვალე ამ ოთხ წელიწადში? კაცმა ვერ მიცნო, ხუთი წელი რომ ერთად გავატარეთ იმ კაცმა და ძაღლმა, ხომ ხედავ, რა ჰქნა: სად ამომაკითხა. გავართე სამ საათს, ვეცი პატივი რაც შემეძლო, პარკის კეთებაც ვაყურებინე, გვიან ღამით ჩავაბი ღვედი და მივუყვანე შიოს. არ დაიჯერა, რომ ვუთხარი თვითონ მომძებნა-მეთქი. მატყუებ, ალბათ, ეზოდან გაგყვაო, ის დღე და ის დღე შიომ ბულდოგი ველარ გადაიბირა, ვერ დაამაგრა, როგორც კი აუშვებდა, ძაღლი ჩემთან გამორბოდა, სასეირნოდაც აღარ დაყვებოდა შიოს. გაჩაჩხავდა ფეხებს და ყეფას უწყებდა, მეოთხეჯერ რომ მივუყვანე უკან, შიომ აივნიდან გადმომძახა, შენია ეგ ძაღლი, ალალი იყოს შენზე, მიჩუქნია და გყავდესო. ჩემი მაინც აღარაფერი ეყურებაო.

ვცხოვრობთ ასე მე და ჯეკა, იმ დღიდან, ერთ ჭერქვეშ. დამყავს, დავასეირნებ, მეც ქარს ამოვაღებინებ ხოლმე მუხლებს. მომიხდა-მეთქი სუფთა ჰაერზე სეირნობა, ხომ გითხარი. ერთ-ორჯერ გამოფენაზეც გავიყვანე, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა. იქ ისეთი გაწვრთნილი ძაღლები ჰყავთ, ლაპარაკი არ იციან, თორემ ყველაფერს აკეთებენ, ჯეკას ვერ დააროკებ შენს დუდუკზე, ჯიუტია, ყველაზე უფრო მაინც პარკებით ერთობა, ყველაზე დიდ სიამოვნებას ქაღალდის შრიალი ანიჭებს. უნდა ნახო, ჩემი მუშაობის დრო რომ მოახლოვდება, როგორ ემზადება თვითონაც. მოკალათდება იატაკზე და ნერწყვგამშრალი უცქერის ჩემი თითების მოძრაობას. რატომ მოსწონს, რატომ ართობს ასე პარკის კეთება, ვერაფრით ამიხსნია.

ერთი უცნაურობა სჭირს კიდევ. ხომ ასე უშიშარია, ლომს შეებრძოლება რომ გაუშვა, ზოოპარკში მყავდა იმ დღეს და დათვის გალიას დრუნჩით ეძგერა, კინაღამ კბილები ჩაილეწა, ძლივს გამოვარიდე. ბავშვების ეშინია წარმოუდგენლად, ბავშვს რომ დაინახავს, კუდამოძუებული, წკმუტუნით მოვა და ფეხებში ჩამივარდება, დამმალეო. ტელევიზორშიც კი თვალს არიდებს ბავშვებს, როგორც კი ბავშვს დალანდავს, სკამეიკის ქვეშ შეხოხდება და წკმუტუნებს, რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო ეშინია მისი და ერიდება.

ჯეკას გავხედე, წამომდგარიყო და ჰაერს შავ ხახას უწკლაპუნებდა, ბუზის დაჭერა სურდა და გამეტებით ურტყამდა ერთმანეთს ბასრ, ჩაბრუნებულ კბილებს.

მერე გაიზნიქა, ზურგზე ბალანი აათახთახა, ზავის მაუწყებელი თვალებით შემომხედა და პურის ქერქს დაუბრუნდა.

მიცვალეგულთა გამცოცხლეგელი

კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსმა ლევან ჩხობაძემ მდივანს უხმო. თავშუბლწაკრულმა შუახანსგადაცილებულმა მდივანმა კარი შეაღო.

– ის ქალი ისევ იცდის? – ჰკითხა ლევანმა.

– კი.

– არ უთხარი, არ სცალია-თქო?

– დავიცდიო. პირადი საქმე მაქვს, დღეს უსათუოდ უნდა ვნახოვო.

– პირადი აბა, პირად საქმეს ეძახიან ყველაფერს. რა უნდა, მაინც, ვერ შეატყვე?

– რაღაც მაქვს გადასაცემიო.

– გადასაცემიო?

– გაზეთში შეხვეული ბოთლი უჭირავს, წამალიაო, მე აღარ ჩავეკითხე.

– რა წამალი, რისი წამალი, დამიძახე ერთი.

მდივანი გავიდა და წამის შემდეგ კარში გამოჩნდა ცისფერკაბიანი, მაღალფეხება, მზედაკრული, ზღვისთვალება, მხრებზე შავდალალგადაყრილი, მოხდენილი ქალი. მხედრული ნაბიჯით რომ არ წამოსულიყო იგი ლევანისკენ, კაცს ციდან ჩამოფრენილი ეგონებოდა. სამმართველოს უფროსმა სათვალე გაიკეთა და ცისფერ სტუმარს შეაჩერდა. ქალმა ბოთლს ქაღალდი შემოახია, მკლავის ჰაეროვანი მოძრაობით მაგიდის შუაში დადგა, უკან დაიხია და მასპინძელს პათეტიკურად განუცხადა:

– ეს წამალი, ბატონო ლევან, მკვდარს აცოცხლებს.

– რომელ მკვდარს? – აშკარად წამოცდა ლევანს, თორემ, ჩვეულებრივად, მის მდგომარეობაში მყოფი კაცი იკითხავდა, რაშია საქმე, ვინ ბრძანდებით, რამ შეგაწუხათო.

– ახალსაც და ძველსაც. ასი გრამი უნდა დაასხათ საფლავზე და მიცვალებული წამოდგება. აქ ერთი ლიტრია. ესე იგი ათი მკვდრის გაცოცხლება შეგიძლიათ. ჯერჯერობით მეტი ვერ მოვახერხე. თუ კიდევ დაგჭირდეთ, ვინმეს დააბარეთ და გამოგიგზავნით. კარგად ბრძანდებოდეთ.

ლევანს მადლობაც არ უთქვამს. ქალმა ძველბერძნულ მოდაზე შეკერილი ცისფერი კაბა ტალღასავით გაასრიალა და გაუჩინარდა. კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მორიგ მანიაკთან ჰქონდა საქმე და მიცვალებულთა გამცოცხლებელი დიაცის ვიზიტისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუცია. კაბინეტების ბინადართ კარგად მოეხსენებათ, რომ ჩვეულებრივ მთხოვნელთა შორის ხანდახან გამოერევა კაცი, რომელიც არც მეტი არც ნაკლები პერპეტუუმ-მობილეს სქემას უფასოდ სთავაზობს კაცობრიობას, სხვა მსოფლიო კონსტიტუციის პროექტს დაატარებს სამ ადგილას დაკერებული ჩანთით, ხოლო კიდევ უფრო სხვა მთვარის მეორე მხარის დასახლების იდეითაა შეპყრობილი. ახალდაწინაურებული მეკაბინეტენი ემოციებს ვერ მალავენ და აღშფოთებით ხვდებიან ისედაც ნერვებსუსტ „თანამედროვე ჯორდანო ბრუნოებს“. ხოლო გამოცდილ კაბინეტოსნებს მშვენივრად აქვთ დამუშავებული „აბეზარ გენიოსებთან“ ურთიერთობის სისტემა. ისინი ღიმილით ხვდებიან კაცობრიობის მხსნელ პიროვნებებს, დახმარებას აღუთქვამენ და, რაც შეიძლება, ჩქარა მიაცილებენ კარისკენ, რათა მერე თავიანთ, არცთუ მუზმუზელა, მდივნებს მსუბუქად მაინც უსაყვედურონ.

ქალი რომ გავიდა, ლევან ჩხობაძემ თავსატეხის ამოხსნა განაგრძო. ფრანგი კომიკოსის ცხრაასოიანი გვარი ვერაფრით ვერ გაიხსენა და გაწვალებული სახით ხან ჭერს აღაპყრობდა მეჩხერწარბებსქვემოთ გომბეშოს თვალებივით გარეთგამოსულ, მინუსოთხსათვალიან თვალებს, ხან კი იმ ძველმოდურ ბოთლს (ასეთი ბოთლით ადრე იაფფასიან ექვს ნომერ ღვინოს ჰყიდიდნენ, ახლა ძმარს ჰყიდიან), რომელშიც ცისფერთვალება

ქალის თქმით მკვდრის გამცოცხლებელი წამალი ესხა. ცდილობდა გაეხსენებინა, სად ენახა ეს ქალი. თითქოსდა სახეც ნაცნობი იყო და მიმოხვრაც, მაგრამ ვერაფრით ვერ მოიგონა. ის კი დაბეჯითებით იცოდა, რომ მის კაბინეტში სხვადასხვა დროს ნამყოფ, უამრავ, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ პირთაგან რა იდეების მატარებელი არ შეხვედრია, მაგრამ ამგვარი წამალი არავის მოურთმევია და ისიც ფეშქაშად, ყოველგვარი პირობა-ანგარიშის გარეშე.

ცოტა ხანში თავსატეხს მოეშვა და მაგიდიდან ბოთლი აიღო. შეაჯანჯღარა და სარკმლის შუქზე გახედა. ოდნავ მომწვანო, გამჭვირვალე სითხე არც ამღვრეულა და არც ჯაჭვი დაუკრავს. პლასტმასის თავი მოხადა ჭურჭელს და ცხვირთან მიიტანა. წამალს არაამქვეყნიური, მძაფრი სუნი ჰქონდა. ანანასის, ომბალოს და ცერეცოს არეულ სუნს აგონებდა. ცერეცოსას კი არა, უფრო ველური პიტნის სუნს, ბოსტნის კიდეზე თავისით ამოსული პიტნისას. ხელისგულზე დაიწვეთა და კიდევ ერთხელ დაჰყნოსა. უცხო სუნმა ცხვირში შეუღიტინა და ნესტოები გულდაგულ რომ არ მოესრისა, დააცემინებდა. სწორედ ამ სუნმა დააეჭვა ლევანი, თორემ ბოთლს ფანჯრიდან გადუძახებდა, რადგანაც, თუ რაიმე არ სჯეროდა ამქვეყნად, სწორედ მკვდრის გაცოცხლება გახლდათ და სწორედ ამ „ბავშვური ტყუილების“ გამო ხალხურ ზღაპრებსაც ალმაცერად უცქეროდა. განსაკუთრებით იმ ზღაპრებს, სადაც მკვდარი უფლისწულის გაცოცხლება და უკვდავების წამალი საერთოდ ჩვეულებრივი, საყველპურო ამბავია.

ხუთი საათი რომ შესრულდა, წამალი ჩანთაში ფრთხილად, ვერტიკალურად ჩადო, ბოთლი რომ არ წაქცეულიყო, იქეთ-აქეთ, კოლექტიური მებაღეობის, ძველი, ყავლგასული ბროშურები შემოუწყო, მდივანს დაუბარა; თუ ვინმემ დარეკოს, გადაეცი, რომ უბნის დასათვალიერებლად გავედი და დღეს აღარ მოვბრუნდებიო. მდივანმა თავი დაუქნია და გაიფიქრა: „რა კარგია, რომ ასე ადრე მიდის. მეტი არა მაქვს საქმე, – დავჯდები და ტელეფონს ვუდარაჯებ, მეც ახლავე გავუტევ შინისკენ, წევე დიდ სარგებელს მაძლევდეს აქ მუშაობა, შევწირე ჩემი ახალგაზრდობა ამ აშმორებულ სამმართველოსო“. თავის სამსახურებრივ იღბალზე უსიამოვნო ფიქრები მდივან ქალს მხოლოდ საღამოსხანს, სამუშაო საათების დამთავრებისას ეწვეოდნენ ხოლმე, დილით კი იგი ისევე ბედნიერი და მხიარული მოიჩქაროდა სამმართველოსკენ, როგორც ჩვენ ყველანი ჩვენ-ჩვენს სამსახურებში მივიჩქარით, ძვირფასო მკითხველო.

ჩხობაძე კაბინეტში შებრუნდა, უჯრაში საღვინე ჭიქა მოძებნა, სული შეუბერა, ჯიბეში ჩაიდო, ქუჩაში გამოვიდა, ჭილოფის ქუდი შუბლზე ჩამოიწია და საქმიანი ნაბიჯით ნინოშვილის ქუჩას დაღმა დაუყვა.

ოქტომბერი ქალაქ სანსკრიტიაში, საერთოდ, ქარ-წვიმიანი იცის, მაგრამ წლეულს ერთობ მშრალი ამინდები დაიჭირა. ზეგ სამი კვირა შესრულდებოდა, რაც ციდან წვეთი არ დაცემულიყო საღორიის ტყეზე და გოჭურას ველებზე. ქუჩაში ასფალტისა და დამწვარი ბენზინის სუნს ღონივრად ერეოდა ხმელი ბალახის დიდებული სურნელი განსაკუთრებით მაშინ, როცა ნიავი ქვიტირის ყანებიდან დაუბერავდა.

სამ ნომერ საქალაქო ბიბლიოთეკას გაცდა და ძელქვიანას სასაფლაოზე შეუხვია. ძელქვიანა სხვა არაერთი სასაფლაოს მსგავსად კარგა ხანია მიცვალებულთა სიჭარბის გამო დახურულიყო. შაშვებით სავსე, ველურად ამწვან-აყვავებულ სასაფლაოს სიცოცხლის ნიშანს მხოლოდ კანტიკუნტად შემოსული, დარდგაქარვებული ჭირისუფლები და ძელქვიანას უხელფასო დარაჯი გიგლაია ხამაშურიძე აძლევდნენ. გიგლაიამ სასაფლაოს დახურვისთანავე არღანი შეიძინა და რესტორან „ლეწეში“ მორიგე მეარღნედ მოეწყო, მაგრამ ახალმა ხელობამ კმაყოფილება ვერ მიანიჭა. მეარღნეობის მეორე თვეს ჭომელმა მოქეიფეებმა დაათვრეს და არღანი მოჰპარეს. ახალი არღნის შეძენაზე არც უფიქრია, კვლავ მესაფლავის უდრტვინველ პროფესიას დაუბრუნდა. მართალია, ხელფასს არ აძლევდნენ,

მაგრამ გიგლაია მესაფლავე შეუცვლელი კაცი იყო ძელქვიანაზე და საქმე თავზე საყრელი ჰქონდა. ჯერ ერთი, ნარდად ურიგდებოდა ჭირისუფლებს და „მასზე გაპიროვნებულ“ (ახ, ეს ჟურნალიზმი!) საფლავებს უვლიდა, მეორეც, ერთადერთი სულიერი გიგლაია ხვდებოდა ძელქვიანაზე შემოხეტებულ, შეზარხოშებულ მოქალაქეს, რომელსაც თავისი ახლობლის მივიწყებული საფლავის მონახულება გადაეწყვიტა. ცრემლმოწოლილი მოქალაქე ეკალბარდებში ამაო ბღოტიალის მერე სასოწარკვეთილი მიადგებოდა გიგლაიას და ამა და ამ კაცის საფლავის მოძებნაში შემწეობას სთხოვდა. ერთს ახედავდა გიგლა ცრემლისღვრის მოსურნეს, მოკიდებდა ხელს, ჟანგისგან შეჭმულ რკინის გისოსებში გააძვრ-გამოაძვრენდა. ღრმად ბალახმორეულ ნასაფლავართან დააყენებდა და ეტყოდა: „აგერაა, ბატონო, აქ მარხია“. განა მცირე შვება იყო ეს ახლობლის საფლავდაკარგული ჭირისუფლისთვის? მართალია, ღმერთო, შეგცოდე, გზაარეულ ჭირისუფალს გიგლაია ხშირად სხვის მიცვალებულსაც მშვენივრად ატირებდა, მაგრამ რომ ვუფიქრდები, არც ამით სჩადიოდა დიდ ცოდვას მსოფლიოს ყველა უპატრონო მიცვალებულის წინაშე. აბა ის აჯობებდა, უბოდიშოდ ეთქვა: არ ვიცი, ბატონო, ყველამ მისი მკვდარი ეძებოსო?

სასაფლაოს შესასვლელთან ძველთაძველი „მოსკვიჩის“ ჩონჩხის ჩრდილში გიგლაია ხამაშურიძე ჭილოფის ფარდაზე გაშხლართულიყო. მარჯვენა ხელში გულდაგულ დახვეული გაზეთების დასტა ეჭირა, მარცხენა თავქვეშ ამოედო და მშვიდად ეძინა. ლევანმა კატის ნაბიჯით ჩაუარა. კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსს ნახევრადლოთი მესაფლავე, ამჯერად, არ სჭირდებოდა.

გიგლაიას კარგა მანძილზე რომ გაშორდა, ტირიფის ტოტებქვეშ გაძვრა და ხავსმოდებულ საფლავის ქვას დაადგა თვალი. „კ. ქევხელიძე 1883–1940“ – ძლივს აჩნდა ქარწვიმისგან გადარეცხილი წარწერა. საფლავი ბალახმორეული და მოსწორებული იყო. აშკარად ჩანდა, რომ უახლოეს სამ ხუთწლედში მაინც კ. ქევხელიძის საფლავს ჭირისუფლის მზრუნველი ხელი არ მიჰკარებოდა.

ლევანმა ჭილოფი ველური ვარდების წკირებს ჩამოადო, ჩანთიდან წამალი ამოიღო, ღვინის ჭიქა პირთამდე შეავსო, დაჰყნოსა და საფლავის ქვის ძირში მიმოასხა. მიიხედ-მოიხედა და ყრუდ ჩაახველა. ბოთლი თავის ადგილას ჩააბრუნა, ჭიქა ჯიბეში ჩაიდო, ერთხელ კიდევ დახედა სველ მიწას და, ის იყო, გამობრუნებას აპირებდა, რომ საფლავის ქვა შეინძრა, მიწიდან ამოზრდილმა ხელებმა განზე გასწიეს ლოდი და თვალისდახამხამებაში საფლავიდან კაცი ამოხოხდა, ზუსტად ისე, როგორც ქვევრის მრეცხავი ამოვა ხოლმე, ქვევრში ფეხებჩაკიდებული ჩამოჯდება, ჯერ თვალებს მოისრესს და მერე დამხვდურს თამბაქოს მოსთხოვს.

ჩხობაძეს შიშისაგან და გაოცებისაგან ენა დაება. პირი გაუშრა. გაქცევა უნდოდა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შეძლო. გაცოცხლებული მიცვალებული თავისი საფლავის ქვაზე იჯდა და ლევანს შესცქეროდა. ფართო გულისჯიბეებიანი, ფართხუნა ბლუზა ეცვა, წელზე ვერცხლისბალთიანი წვრილი ქამარი ეკეთა, გალიფე შარვალი აზიაცკებში ჩაეტნია. ჭაღარა თმა, მკვირცხლი თვალები, თითისსიმსხო ულვაში და ორად გაჭრილი ნიკაპი ჰქონდა.

– რა ჰქენით, აბა ჰა, უჩემოდ, ააშენეთ ქვეყანა? მე გიშლიდით ხელს თურმე? რავა შეატყვეთ, რავა არი საქმე?

ეშმაკური ღიმილით ჰკითხა კ. ქევხელიძემ და მიწაზე დაჭედებულ ლევანს თვალებში შეხედა.

– ააა... მმმ... – რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სახმო სიმები ვერ დაიმორჩილა, ყელიდან არაამქვეყნიური ზმუილი აღმოხდა ლევანს.

– ნუ ნერვიულობ; – დაამშვიდა ქევხელიძემ, – ნუ გეშინია, მე შენთან საქმე არა მაქვს. არ გიცნობ, ვისაც მივადგები, და დავუფრთხობ დღეს ოფოფებს, მე ვიცი.

წამოდგა, საფლავის ლოდი გადმოაბრუნა და წარწერა წაიკითხა. თავის საფლავს ბალახის რამდენიმე ბღუჯა აა-გლიჯა, ლოდი ისევ თავის ადგილას ჩადო, ხელები გაიფერთხა და ლევანს მიუბრუნდა:

– გამამტყუნებ რამეში? ეს მეკუთვნოდა მე? ესაა, თუ ძმა ხარ, საფლავის მოვლა? ამის ღირსი ვიყავი?.. არ მინდა არაფერი. აწი მე ვიცი, აწი მე მივხედავ ჩემს თავს, აწი მაინც ვიცი, რაფერ უნდა ვიცხოვრო, კარგად იყავი!

ქევხელიძემ ხელი აუწია, ჯერ უკანსვლით წავიდა, მაგრამ სხვა საფლავის რკინის მოაჯირს რომ წამოედო, შეტრიალდა და ჩქარა გააბიჯა გასასვლელისკენ. მანქანის ჩონჩხის ჩრდილში ძილად მიგდებულ გიგლაიას არც მისი გვერდით ჩავლა გაუგია.

ლევან ჩხობაძემ სული მოითქვა, შუბლზე ცივი ოფლი სახელოთი შეიწმინდა, ღრმად ჩაისუნთქა, მარჯვენაში ბოთლი დაიჭირა, მარცხენაში ჭიქა და სასაფლაოს ბილიკს დაადგა. მეც რომ არ ვუთხრა, ისედაც მშვენივრად ხვდება პატივცემული მკითხველი, რომ ჩანთა და განუყრელი ჭილოფის ქუდი ლევანს იქვე კ. ქევხელიძის ნასაფლავართან დარჩა.

ორმოცდაათიოდე ნაბიჯი არც კი გადაუდგამს, მარმარილოს ფილაქანზე ნაცნობ გვარს მოჰკრა თვალი და შეჩერდა. „საყვარელ დომენტ მამას ხვამლაძეს შვილებისაგან“ – იუწყებოდა წარწერა. დომენტი ბაზრის ქვემოთ ცხოვრობდა, ჭონი გახლდათ ხელობით. შარშანწინ გულის გაჩერებით უეცრად გარდაიცვალა. ტკბილი სალამი იცოდა, ლევანს ჭონისგან სიკეთის გარდა არაფერი ახსოვდა და მსწრაფლ გაიფიქრა, დომენტის გავაცოცხლებო. რკინის ჭიშკარი შეაღო და სანამ თავის ჩანაფიქრს ფრთებს შეასხამდა, ერთხელ კიდევ ამჯერად უკვე საფუძვლიანად დაფიქრდა.

„დომენტის ორმოცზევე წაიკიდნენ მისი შვილები და ახლაც ერთმანეთს ჭამენ. მამისეული სახლი საფიჩხიელ ძაძამიას მიჰყიდეს და ფული დაინაწილეს. ძაძამიამ დომენტის ვარდების ბაღი ამოძირკვა და დაფნა ჩაყარა. დომენტის უფროსი ვაჟი – კურკუტია ცოლს გაშორდა, მამის ქონებიდან თავისი წილი კარტში წააგო და ახლა და-ძმას სასამართლოში უჩივის: მომაღორეს, ცოტა შემახვედრეს, მეტი მერგებოდაო. ხვამლაძის ქვრივი – ქალბატონი მატრონა ქალიშვილთანაა ლეგენდარული კამოს ქუჩაზე. სიძეებს საერთოდ სიდედრები სძულთ, თორემ მატრონა ისეთი მოკრძალებული ქალია, ენას უბრალოდ არ დაასველებს. დომენტის ქალიშვილი სიძისთვის მეორე ცოლია. პირველ სიდედრსო, მეზობლები ხუმრობენ, სიძემ ხველების წამლის მაგივრად ნავთი დაალევინაო. შეიძლება ეს მართალი არც იყოს, მაგრამ მატრონას ყურამდის რაკიღა მიწვდა, ეშინია ქალს და სიძეს გამუდმებით ხელებში შეჰყურებს. ერთი სიტყვით, სიძე-სიდედრს შორის ურთიერთობა ფრიად დაძაბულია. დომენტის სახელოსნოს მისი გარე მამიდაშვილიშვილი დიტოია დაეპატრონა. დიტოია, როგორც მექუდე, ნაკლებია, მაგრამ ხმა აქვს კარგი და მუშტრები ეტანებიან. ვთქვათ, გავაცოცხლე ახლა დომენტი, გაეხარდება ვითომ მეორედ მოსვლა ამ ქვეყანაზე? სახლი გაუყიდეს, ვარდების ბაღი აღარა აქვს, შვილები ერთმანეთს ჭამენ, მეუღლეს შევიწროვებული სიდედრის დღე ადგა, დიტოია კი დომენტის ყოფილ საჭონო-სახელოსნოს ცოცხალი თავით აღარ დათმობს. ნერვიულობის მეტი არაფერი შეგხვდება, ჩემო დომენტი, თორემ გაგაცოცხლებდი. ღმერთმა იცოდეს, ასი გრამი წამალი არ მენანება შენთვის“.

ფიქრი ფიქრად მოათავა ლევანმა. გამოტრიალდა, ბოთლი და ჭიქა ცალ ხელში დაიჭირა, ჭიშკარი ჩაკეტა. მერე ბოთლი და ჭიქა ისევ ორივე ხელებში გადაინაწილა და გზა განაგრძო.

მალე იგი სავლე ჩლიქაძის საფლავთან იდგა. საფლავი უწარწერო გახლდათ. მაგრამ ჩხობაძეს კარგად ახსოვდა, სავლეს გახმაურებული სიკვდილიც და მისი დაკრძალვის დღეც. ჩლიქაძე მომემალებელი ქარხნის მთავარ ინჟინრად

მუშაობდა. ერთ უბედურ დღეს ქარხანა დაიწვა. ჩლიქაძე მეორე დღესვე მოხსნეს დამწვარი ქარხნის მთავარი ინჟინრის თანამდებობიდან (დირექტორი, რატომღაც დატოვეს). გამოძიებამ დამნაშავედ ჩლიქაძე სცნო და, ბუნებრივია, მოხსნა არ აკმარეს, დააპატიმრეს, გაასამართლეს და თოთხმეტი წელი მიუსაჯეს მკაცრი რეჟიმით. ლევანი იმ სასამართლოსაც ესწრებოდა. ახლაც თვალწინ უდგას ახალგაზრდა, ულვაშა პროკურორი, რომელიც რიხით ამბობდა: „რაკი ჩლიქაძემ დანაშაული არ აღიარა, მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოსო“. იმ დღეებში მთელ ქალაქს სძულდა ქარხნის დამწველი. განაჩენსაც მოწონებით შეხვდნენ. გასამართლებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ხმა გავრცელდა, ჩლიქაძემ ციხეში თავი ჩამოიხრჩოო. ეს ხმა მართალი აღმოჩნდა. სავლეს მეუღლემ ვერ გაუძლო ამ უბედურებას, იოდი დალია და ვერ უშველეს. ჩლიქაძეებს ერთი ვაჟი დარჩათ, თავიდან კარგად მიჰყვებოდა საქმეს, სკოლა რომ დაამთავრა, ცოტა აურია. საეჭვოდ დადიოდა, არ მუშაობდა, გულჩათხრობილი იყო, შარშანწინ ავტოავარიაში მოჰყვა და დაიღუპა. რამდენი სავლეზე უფრო პატივსაცემი მიცვალებულია გასაცოცხლებელი ამ ქვეყანაზე, მაგრამ ლევანი ამ სამ (სავლე, ცოლი, შვილი) საფლავთან იმიტომ შეჩერდა, რომ ახლახანს ჟურნალმა „ძიებამ“ გამოაქვეყნა ჟურნალისტ ღვალაძის სტატია, რომელიც ნათელს ჰფენს ამ ოცდაოთხი წლის წინათ მომემალებელი ქარხნის დაწვის ისტორიას. თურმე, ნუ იტყვით, ქარხანა სწორედ დირექტორს დაუწვავს და ჩლიქაძე უდანაშაულოდ დაუსჯიათ. დირექტორი ახლახან გარდაცვლილა. ანდერძში დაწვრილებით ჩამოუთვლია თავისი დანაშაულებრივი საქმეები და ამ დანაშაულთა ჩადენის მიზეზებიც. ჟურნალისტი წერდა: „სამწუხაროდ, დირექტორის მიერ ჩამოთვლილი სხვა მავნებლობანი დადასტურდა, ხოლო ქარხნის დაწვის სავალალო საქმის შემოწმება არ ხერხდება, თუმცა ჩლიქაძე რომ უდანაშაულოდ დაისაჯა, ჩემი მოკლე მოსაზრებით, უეჭველიაო“. საფლავებს მზრუნველი ხელი ეტყობა. ბალახგადაცლილია და თითო მიხაკიც გარდიგარდმო დევს სამარის ბორცვზე. ნეტავ, ვინ უვლის ამ საფლავებს?

„გავაცოცხლებ, ახლა ბატონო, სავლეს, მის ცოლსაც გავაცოცხლებ – საწყალ თამარს და ამ გაუბედურებულ შვილსაც. აეწყობა ოჯახი თავიდან. სავლე გამრჯეა. ისევ ფეხზე დააყენებს ოჯახს. ბიჭიც უფრო მუყაითად გაუხდება სწავლას. ესენი კარგი ხალხია და არ უნდა დაიკარგონ, მაგრამ ინდომებს სიცოცხლეს ტყუილუბრალოდ ჩირქმოცხებული და ამდენი დამცირების გადამტანი სავლე? თავმოყვარე კაცი იყო, სხვათა შორის. მაშინ ის დირექტორიც უნდა გავუცოცხლო, რომ თვალებში შეაფურთხოს სავლემ და პასუხი აგებინოს უდანაშაულოდ სდევნისთვის, მაგრამ ახლა იმ დირექტორის საფლავის მოძებნა არ გინდა? დირექტორს მიაგნებს კაცი, მაგრამ ის მოსამართლე და პროკურორი? ვინც უდანაშაულო კაცს თხუთმეტი წელი მისცა? ჯერ ერთი ახლა, ალბათ, აღარც მუშაობენ იმ ადგილებზე, მაგრამ კიდეც რომ აღმოჩნდნენ, ასე ადვილად, ერთი ჟურნალისტის დასკვნით და იმ დირექტორის ანდერძით ისურვებენ უკანდახევას? ადვილად იტყვიან, შევცდით და ტყუილად გავამწარეთ კაციო? შენ არ მომიკვდე. ყველაფერი თავიდან დაიწყება. ისევ გამოძიებას დაუბრუნდება საქმე, ისევ გაწვალდება სავლე და ვინ იცის, თავისი სიმართლე იქნებ მაინც ვერ დაამტკიცოს.

აიღო ხელი სავლე ჩლიქაძის და მისი ამომწყდარი ოჯახის გაცოცხლების განზრახვაზე ლევანმა და თავის საგვარეულო სასაფლაოსკენ გააბიჯა.

აღდგომის მერე აქ არ ყოფილა. ვინ მოიცალა. ჩანს, გიგლაიაც გადაყვა ამ ბოლო დროს ხელს და ბალახი მორევია საფლავებს. მტკავლისსიმაღლე გრანიტის ღრიჭოში ხელი შეჰყო, გასაღები იპოვა, ძლივს გახსნა ჩაჟანგული ბოქლომი, რკინის მოაჯირს გადაჰკიდა ბოქლომიანი ჯაჭვი და იქვე, ლურჯად შეღებილ სკამეიკაზე ჩამოჯდა.

მამა – მეფაიტონე აბრია ჩხობაძე შვიდი წლის მკვდარია. ოთხმოცდასამი წლისა ძილში გაიპარა. რასაკვირველია, აღარც ეტლი ჰყავდა და არც ცხენები, მამაპაპისეული სახლიც, მწვანეყვავილას რომ გადმოჰყურებდა, თავის დროზე ჩამოართვეს, მაგრამ ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, წუთისოფლის ძვირს ვერ ათქმევინებდი. დედა შარშან გარდაიცვალა. ვირუსული გრიპი შეხვდა და წელთა სიმრავლით დასუსტებულმა ორგანიზმმა ვერ გადაიტანა.

ზის შვილი – ლევან ჩხობაძე თავისი მშობლების საფლავთან მკვდრის გამცოცხლებელი წამლით ხელში. რამდენიმე წუთში წამალი სასწაულს მოახდენს: ლევანი დედას და მამას გადაეხვევა. შვილი თვალებს ხუჭავს მოსალოდნელ სიხარულის მოლოდინში. გულს ბაგაბუგი გააქვს. ბაგე უთრთის და საფეთქელს სისხლი ბარაბანივით ურტყამს.

„უფრო დედაჩემის მეშინია. რომ ამოვა საფლავიდან და დამინახავს, ვაი თუ სიხარულისგან გული გაუსკდეს. სუსტი გული აქვს. ისე, კაცმა რომ თქვას, მამაჩემის, ცოტა არ იყოს, მრცხვენია, ვერ შევუსრულე დანაბარები – მათხოჯში დაგვასაფლავე, მამაპაპურ სასაფლაოზეო. მოხუცი იყო და ჭირვეულობდა, თორემ ერთადერთი შვილი აგერ ვყავდი სანსკრიტიაში, ჩემსავით ვინ მიხედავდა მიწაში. არ გადავრევ ქვეყანას ახლა ა, ნახევარ საათში ჩემი ბებრებით რომ ჩავალ ეზოში? ამბავი მაშინ ნახე. დავჯდებით ამ საღამოს ყველანი ერთად და ვიჭუკჭუკებთ. ერთი, იქაურ ამბავს რომ ვაამბობინებ უტყუარად მამაჩემს, მარტო ეს რად ღირს.

დამავივწყდა იმ ქალისთვის მეკითხა, რამდენი ხნით აცოცხლებს ეს წამალი მკვდარს. თუ ცოტა ხნითღა მოაბრუნებს ამ ქვეყანაზე, ღმერთო შეგცოდე, ასეთ შემთხვევაში ღირს გაცოცხლება საერთოდ? რავარი გადასატანია თავიდან ძილში გაპარული მამაჩემის ნახვა დილით საწოლში. ჩემი თავი ჯანდაბას, დედაჩემს ისევ უნდა დაემართოს ის ვერაგი გრიპი, ისევ უნდა ეწამოს და თავიდან უნდა დაასხას სიკვდილის

ოფლმა? გავიმეტო მშობლები რაღაც ორი დღის განმავლობაში მათი ნახვის სიამოვნებისთვის ასე? ვთქვათ, სამუდამოდ აცოცხლებს ეს წამალი, მაშინ? არც მაშინაა დიდი სახარბიელო. ჩემს სიკვდილს და დაბერება-დაგლახავებას გადაიტანს დედაჩემი? თქვენს სანაცვლოდ წავსულიყვეო, სიკვდილის წინ არ ამბობდა?

რა ხალხში მაქვს საქმე, არ ვიცი? ახლა წავა საჩივრები, თუ წავა. შეისწავლეთ და გამოარკვიეთ ერთი, რა გზით და ჩირთიფირთით გააცოცხლა მაგან მშობლებიო. ჩვენი მიცვალებულები ვისზე რით ნაკლები არიანო. ვინ დაგიჯერებს, რომ რაღაცას არ მაიმუნობ და ვიღაცასთან კავშირი არა გაქვს. რომ სრულიად უცნობმა, ცისფერმა ქალმა მოგიტანა ეს წამალი და გისაჩუქრა.

ვინ გაპატიებს მკვდრის გაცოცხლებას დღეს. ქვეყანა დამესევა. ჯერ მარტო ჟურნალისტები ამიკლებენ, მერე მსოფლიოს სამედიცინო აზრი დაინტერესდება. ცალკე კვლევით ინსტიტუტებს გახსნიან დედაჩემის და მამაჩემის მკვდრეთით აღდგომის შესასწავლად. დაუწყებენ პორწიალს იქეთ-აქეთ. თვითმფრინავ-მატარებლებში ძიგძიგის თავი აქვთ ბებრებს? საქვეყნო ფხიზელი თვალი დღემუდამ დააკვირდება ჩემს ცხოვრებასაც. კაცი ვერაფერს მეიჩუმათებ შენთვის.

არ ღირს, არ ღირს ნამდვილად. მაპატიეთ, ძვირფასებო. ახლა, ასე თუ ისე, მოსტუმრებული მყავხართ. გადატანილი მაქვს თქვენი წასვლა ამ ქვეყნიდან. წყნარადაა ახლა ყველაფერი და მივყვები ჩემს გზას ავად თუ კარგად. ხმაურის და დავიდარაბის, ორომტრიალის და დაფდაფ-იუპიტერების თავი არა მაქვს მე. სხვანაირ ცხოვრებას ვერ დავიწყებ აწი. არც თქვენთვისაა მეორედ მოსვლა მთლად სერიოზული და სოლიდური საქმე. თქვენი მატარებელი წასულია. თქვენი ადგილი აღარ არის. არ სჭირდება ქვეყანას გაცოცხლებული მკვდრები“.

რომ დაგენახათ ახლა ლევან ჩხობაძე, შეგეცოდებოდათ. თავიდან ფეხებამდე ცახცახებდა. მდუღარეგადასხმულივით

ეწვოდა ყურ-კისერი. ხელ-ფეხი დაბუჟებოდა და ნესტოები მღელვარებისგან ერთთავად გათეთრებოდა. საღვინე ჭიქა შარვლის ჯიბეში ჩაიდო, ბოთლი კი ღონივრად მოიქნია და სასაფლაოს კიდეში გრძელი ბორცვისკენ გადააგდო. ამით ოდნავ დამშვიდდა და გალიის მგელივით წინდაუკან სიარულს მოჰყვა.

ჩოჩქოლმა ბორცვისკენ მიახედა. ოციოდე გაცოცხლებული მიცვალებული ომახიანი ყიჟინით მისკენ გამორბოდა. ჩხობაძე შეშინდა, უკან დაიხია და რკინის მოაჯირს ჩაებღაუჭა. გაცოცხლებულთა რაზმი ძეწნასთან წამით გაქვავდა, ლევანს ერთი გამოხედეს და მაშინვე ზურგი უჩვენეს, სირბილ-ყიჟინით აუყვნენ აღმართს...

როცა გაეღვიძა, სიხარულის სითბო ჩაეღვარა სხეულში და გრძლად, სიამოვნებით გაიზმორა: „რა კარგია, რომ სიზმარი ყოფილა და მეტი არაფერიო“.

საათს დახედა. სამსახურში წასვლამდე მთელი საათი რჩებოდა. დაუფიქრდა სიზმარს და ნელ-ნელა სიბრაზე შეეპარა: „რა ჯანდაბამ დამასიზმრა ეს აბურდული სიზმარიო“.

მართლაცდა, კაცმა რომ თქვას, რა დასასიზმრებელი იყო ყოველივე ეს, ძვირფასო მკითხველო?

თავსატეხი

მაჭახელას ქუჩაზე, კომუნალურ, ერთოთახიან ბინაში მცხოვრებმა პენსიონერმა ფილიპე ბოლოთაშვილმა, ერთ უქარო დილას, მოგვიანებით გაიღვიძა და მაწონს რომ შეექცეოდა, გაიფიქრა: „მოდი, არ წავალ დღეს კიროვის პარკში, ქვეყანა არ დაიქცევა. მომწყინდა ერთი და იგივეს მოსმენა-ლაპარაკი. იაკინთეს ვინახულებ, გაეხარდება კიდეც და გულსაც გადავაყოლებო“.

ფილიპეს სხვა მეგობრებიც ჰყავდა, მაგრამ იაკინთე პაპიაშვილი განსაკუთრებით უყვარდა. იაკინთე მსხალოვანის ქუჩაზე ცხოვრობდა. ფილიპეს სახლიდან იქამდე სულ რვა გაჩერება იყო და ძეწნიოს აღმართი ასასვლელი. იაკინთეც მარტოხელა გახლდათ, ოღონდ ფილიპესაგან განსხვავებით კიროვის პარკის პენსიონერთა კლუბის წევრი არ იყო. უფრო აქტიურ საქმიანობას ამჯობინებდა. ხან სახალხო რაზმელის წითელი სამკლაურით დააბიჯებდა ქუჩაში, ხან ავტოინსპექტორს თანაშემწეობდა მილიციური ჯოხით ხელში, ხან საკოლმეურნეო ბაზარზე მოხალისე კონტროლიორის მანტიით იხილავდით მოქალაქეებით გარშემორყტმულს და ბაზარში ჯერ კიდევ შემორჩენილი უწესრიგობებით აღშფოთებულს.

სწორედ ამ უქარო დილით იაკინთე პაპიაშვილმაც გვიან გაიღვიძა და გაიფიქრა: „მოდი, ფილიპეს ვეწვევი, კარგა ხანია არ მინახავს, წავიმუსაიფებ და ნასადილევს მოვბრუნდებიო“.

დაახლოებით ასე, თერთმეტ საათზე, ორივენი ტროლეიბუსში ისხდნენ და შემხვედრი მიმართულებით მიიჩქაროდნენ, ისე, როგორც საქალაქო ტრანსპორტი ამის საშუალებას იძლეოდა, მგზავრობა, ღვთისა და კაცის შეწევნით, უფასო ჰქონდათ.

ფილიპემ როგორც იქნა, აიძეწნიოსაღმართა, კარგა ხანს

აწვალა იაკინთეს კარის ზარი, „ალბათ ჩემთან წამოვიდაო, გაიფიქრა. იქვე, საფოსტო ყუთიდან ახალი გაზეთი ამოაცოცა, ყური წაახია და დააწერა: „ვიყავი, არ დამხვდი, ფილიპე“, ქაღალდი კარის ღრიჭოში სანახევროდ შეაცურა და უკან გამობრუნდა იმ იმედით, რომ მეგობარს შინ მიუსწრებდა.

სწორედ ამ დროს მაჭახელას ქუჩაზე, ფილიპეს ერთოთახიანი კომუნალური ბინის უზარო კარზე ენერგიულად აკაკუნებდა იაკინთე პაპიაშვილი. მასპინძლის შინ ყოფნის იმედი რომ გადაეწურა, „ალბათ ჩემთან წამოვიდაო“, გაიფიქრა, უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოხია და დააწერა: „ვიყავი, არ დამხვდი, იაკინთე“. მერე წერილი დაახვია, გასაღების ჭუჭრუტანაში შეჩურთა და უკან დაბრუნდა. ე, მანდ ფილიპეს ჩემს სახლთან მივუსწროვო.

სადილობას აღარაფერი აკლდა, როცა ფილიპე თავისი ბინის კარს მიადგა. ჭუჭრუტანას ჰკიდა თვალი, წერილი გამოიღო, წაიკითხა და სითბო ჩაეღვარა სულში. „ხომ ვთქვი, ჩემთან წამოვიდოდა-მეთქი“. ეს ფიქრი რომ ჩაამთავრა, შინ არ შესულა, გამოტრიალდა და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ წავიდა. მგზავრობა როგორც მოგახსენეთ, უფასო ჰქონდა.

როცა იაკინთე შინ დაბრუნდა და კარის ღრიჭოში შეცურებული წერილი წაიკითხა: „გზაში ავცდენილვართ ერთმანეთსო,“ გაიფიქრა და ძეწნიოს აღმართი ყუნცულით ჩამოათავა, რომ სამარშრუტო ტაქსისთვის მიესწრო.

მზე შუბის ტარს გადაშორებული იყო, როცა ფილიპე ბოლოთაშვილი ოფლის წმენდით მიადგა იაკინთეს სადარბაზოს, გაზეთის ნაგლეჯი რომ ადგილზე აღარ დახვდა, „ჩანს მოსულა, წერილი წაუკითხავს და ჩემთან გამოქცეულაო, გაიფიქრა, გაზეთს მეორე ყური აახია და დააწერა: „მეორედ ვიყავი, ფილიპე“.

იაკინთემ მაჭახელას ქუჩა უადგილო ადგილას სირბილით გადაჭრა, მოსახვევთან ედიტა პიეხას კონცერტის მაუწყებელ აფიშასთან წამით შეჩერდა და ორიდე წუთის შემდეგ იგი

ფილიპეს კომუნალური ბინის კარის ჭუჭრუტანაში ამაოდ ეძებდა მის მიერ ერთი საათის წინ დატოვებულ წერილს. „წერილი უნახავს, ჩანს, ჩემთან წამოსულა“, გაიფიქრა, უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოხია, „მეორედ ვიყავი, იაკინთე“, დააწერა, ფურცელი ისევ ჭუჭრუტანაში შეაკვეხა და უკან გამობრუნდა.

იმ დღეს კიდვ სამ-სამი რეისის გაკეთება მოასწრეს ერთმანეთისკენ მეგობრებმა, „მეხუთედ ვიყავი, არ დამხვდი“, იუწყებოდნენ ბოლო წერილები. ამასობაში დაღამდა კიდეც და უსადილოდ დარჩენილმა ბებრებმა თავთავიანთ დიეტურ სასადილოებს მიაკითხეს, ნავახშმევს შინ დაბრუნდნენ და დღიური შრომით დაღლილებს ტკბილად ჩაეძინათ.

დილით რომ გაიღვიძა, ფილიპეს ტერფები სტკიოდა, ფანჯარაში გაიხედა, ღრუბლიანი დილა იყო, რასაკვირველია პირველ რიგში იაკინთე გაიხსენა. „ჭკუას ვიხმარ, შინ დაველოდები, რომ კიდევ არ ავცდეთ ერთმანეთსო“. გაიფიქრა, ბალიში კედელს ააკრა, ზედ ზურგით მიეყრდნო და ირაკლი აბაშიძის „პალესტინის დღიურის“ კითხვა განაგრძო.

იაკინთემაც გვიან გაიღვიძა, კვირისტავი ტეხდა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. „ამ დილით, თქმა არ უნდა, ფილიპე მეწვევა, გზაში რომ არ ავცდეთ ერთმანეთს, შინ დაველოდებიო“. გაიფიქრა, საათს შეხედა, ხალათი მოიხურა და საფოსტო ყუთს ჩააკითხა, ახალი გაზეთები, რასაკვირველია, მოპარული დახვდა, მიიხედ-მოიხედა, ხმადაბლა შეიგინა და კიბეს ამოუყვა, ხმამაღლადაც რომ შეეგინებინა, გამგონე არავინ იყო, მეხუთე წელი მალე შესრულდებოდა, რაც იაკინთეს გაზეთებს დილით ვიღაც იპარავდა და ნასადილევს გაუგონარი კეთილსინდისიერებით უკან აბრუნებდა.

ის დღე ისე ჩამთავრდა, მეგობრებს თავიანთი ბინებიდან ფეხი არ გამოუდგამთ. ერთმანეთს ერთგულად ელოდებოდნენ.

მესამე დღეს ფილიპემ გაიფიქრა, „ალბათ, გზაში რომ ერთ-

მანეთს არ ავცდეთ, შინ მელოდებაო“, სწრაფად ჩაიცვა და მსხალოვანის ქუჩისკენ გასწია.

იაკინთემ გუშინდელი გაზეთები რომ გადაათვალიერა, სარკეში ჩაიხედა, „წვერის გაპარსვას ვეღარ მოვასწრებ, ფილიპეს შინ უნდა მივუსწროვო“ გაიფიქრა, სწრაფად ჩაიცვა და ძეწნიოს აღმართზე დაეშვა.

ის იყო, დაიძრა მაჭახელას ქუჩისკენ მიმავალი ოცდაცხრა ნომერი ტროლეიბუსი, რომ ძეწნიოს აღმართს ფილიპე ბოლოთაშვილი დაადგა.

ყველაფერი თავიდან დიწყო. წერილების ტექსტი თანდათანობით იხვეწებოდა, „ვიყავი“ „შენთან წამოვედით“ შეიცვალა. „არ დამხვდის“ მაგივრად ძახილის ნიშნებს სწერენ. ტროლეიბუსში (რომელშიც, მადლობა ღმერთს, მგზავრობა უფასო აქვთ) სერიოზული სახით სხედან მეგობრები და დილიდან საღამომდე ერთმანეთისკენ მიიჩქარიან.

სამი დღეა, სახალხო რაზმელთა შტაბში იაკინთე პაპიაშვილს წამდაუწუმ კითხულობენ, ქუჩაში მოძრაობის წესები კვლავ უმოწყალოდ ირღვევა, არც ბაზარს ადგას კარგი დღე.

სამი დღეა კიროვის პარკს დააკლდა ენაწყლიანი ფილიპე ბოლოთაშვილი, ფილიპე – ყველა საკაცობრიო კითხვაზე პასუხის გამცემი, „მოგონებათა სკივრი“ – ფილიპე.

თქვენ როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოიმოქმედონ ჩვენმა გმირებმა, ერთმანეთს რომ არ აცდნენ, ძვირფასო მკითხველო?

ორაგული

მივლინებაში მყოფ კაცს ერთი ცუღლუტობა მაინც რომ არ მოუვიდეს თავში, იშვიათია, მაგრამ პარმენ კოტრიკაძე მორალურად მდგრადი და თავდაჭერილი კაცი გახლდათ. მივლინებაში სად არ ყოფილა და რა მაცდუნებელ გარემოებაში არ ჩავარდნილა, მაგრამ იმ სავალალო ფაქტამდე არ მიუყვანია საქმე, რისთვისაც ასე გმინავენ მივლინებულ ქმართა ცოლები და, რა დასამალია, შფოთავენ არცთუ უსაფუძვლოდ.

სამი დღით მოავლინეს საოლქო ცენტრ რიაში ფანტასტიკის მოყვარულთა კლუბის წევრი პარმენ კოტრიკაძე. ვერ დავმალავ, ფანტასტიკის ხაზით იგი მივლინებაში პირველად იყო, კლუბის თავმჯდომარე შეუძლოდ გახდა და წინა დღეს კლუბის რიგით წევრს – პარმენს დაავალა არცთუ იოლი მისია – გამგზავრებულიყო რიაში და ფანტასტიკის მოყვარულთა კლუბების თათბირ-სემინარს დასწრებოდა. თავმჯდომარეს, თუ სადმე სამართალია, ჯერ მოადგილეს, მსოფლიოს სხვა მოადგილეებისაგან განსხვავებით, ზედმეტად თავის გამოჩენა უყვარდა და, ვინ იცის, იქნებ სწორადაც მოიქცა კლუბის თავი, რომ თათბირ-სემინარში მონაწილეობა თავის მზარდ, ენერგიულ მოადგილეს კი არა, ისეთ უპრეტენზიო და ჩუმ კაცს დაავალა, როგორიც იყო პარმენ კოტრიკაძე.

თავად პარმენი დამკრძალავ ბიუროში უმცროს მორიგე-დამკრძალავად მუშაობდა და ნიადაგ მოღუშული დადიოდა. მოღუშული იმიტომ კი არ დადიოდა, რომ ხელფასზე ცხოვრობდა და სამი „ღლაპის“ (როგორც თვითონ ეძახდა) მამამრჩენელი იყო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ შემოქმედებით სიხარულს თითქმის არ ანიჭებდა მისი სევდიანი პროფესია. პარმენი ბავშვობიდანვე წყნარი და გულჩახვეული გახლდათ. აღტყინებულ და გართობისმოყვარულ ხალხს ვერ იტანდა.

ხუმრობის უნარით დაჯილდოებულებსაც, კაცმა რომ თქვას, დიდ პატივს არ სცემდა და მათთან ურთიერთობას გაურბოდა. ანეკდოტის გაგონებაზე თითქმის არ იცინოდა, ან გაიცინებდა მოგვიანებით და მაშინაც ფრთხილად და მოზომილად.

სადილობის დრო იყო, პარმენი ლეგენდარულ მზვერავ ჩიჩეს გამზირს მიუყვებოდა და იმგვარ კაფეს ეძებდა, სადაც შედარებით ხალვათობა იყო. დღევანდელი თათბირ-სემინარით კმაყოფილი ბრძანდებოდა-მეთქი, რომ გითხრათ, არ ვიქნები გულწრფელი, პარმენს ფანტასტიკური წიგნების კითხვა უყვარდა, მაგრამ იცოდა, რომ ფანტასტიკის მიღმა არსებობდა სხვა ცხოვრებაც.

საქმიანი და კონკრეტული გამოსვლებით არც დამკრძალავ ბიუროთა გაერთიანებულ სემინარებზე იყო პარმენი განებივრებული, მაგრამ რაც დღეს მოისმინა, ჭკუასთან ცა და მიწასავით დაშორებულად მოეჩვენა. მომხსენებელი და კამათში გამოსული ამხანაგები, პრეზიდიუმში როცა ისხდნენ სერიოზული ადამიანების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ, მაგრამ სიტყვას მისცემდნენ თუ არა, რაღაც არაამქვეყნიური, მოცისფრო-მოვარდისფრო ათინათი დაადგებოდათ სახეზე და ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ იმის შესახებ, რომ ადამიანთა შორის სათნოებისა და ჰარმონიის დამყარების ერთადერთი გზა ფანტასტიკის კლუბების მუშაობაზე გადის. რომ ისტორიის ამ ეტაპზე ხსნა მხოლოდ ფანტასტიკის კლუბებშია, რომ მხოლოდ ფანტასტიკის მიმდევართ შეუძლიათ ურთულესი სოციალური და ეკონომიური საკითხების გადაჭრა და აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმ ჩამორჩენილ პირთა მიმართ, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად აფერხებდა ფანტასტიკის მოყვარულთა კლუბების ფართოდ გაშლილ მოძრაობას.

„ოქროსავით მთავრობა გვყავს. ვინ მოგისმენდა, ვინ გაცლიდა, ან ვინ მოგითმენდა ამდენ ბჟუტურს. რა მინდოდა ამგენთან? მე ვთქვი, ცოტას გადავხალისდები-თქვა და უარესი მემართება“, ფიქრობდა პარმენი და თანდათან, დაბეჯითებით

მიდიოდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შინ დაბრუნებისას ფანტასტიკის მოყვარულთა კლუბისთვის ხელი დაექნია და სხვა, უფრო მარტივ კლუბში ჩაწერილიყო.

სექტემბერი იწურებოდა. რაკი რიაში ადრე ზამთრდება ხოლმე, პარმენს თადარიგი დაეჭირა და თბილად ჩაეცვა. გუშინ საღამოს მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, დიდი სამრეწველო ქალაქისათვის დამახასიათებელმა ჭვარტლმა შეუღიტინა ცხვირში და სიცივემ ყურები აუწვა. ამ დილითაც არ უნანია დაბამბული პალტო და თბილი წინდები რომ ეცვა, ახლა ნანობს. რიას მტვრიანი ზეცა ერთბაშად ოქროსფრად აკიაფდა. ჩვენი გმირი მზეს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ იგი სადღაც ახლო იყო და შემოდგომის სითბოში დაეჭვებულ მოქალაქეებს თავის ძალას აგრძნობინებდა. კოტრიკაძემ ჯერ კაშნე მოიხსნა, დაახვია და გულის ჯიბეში შეინახა, მერე ერთდღიანი ბუკლეს ქუდი იშვლიპა და საკვერცხულივით მოაქნევდა, მაგრამ სიცხეს მაინც ვერ დაემალა... ბოლოს პალტო უკან გადაიწია და ბეჭებს ქვევით მკლავებზე ჩამოიკიდა. პალტოაფარებული, კისერწაწვდილი, აჩაბაჩად მიმავალი პარმენი შორიდან სირაქლემა გეგონებოდათ, ახლოს რომ მიხვიდოდით, უეჭველად მიხვდებოდით, რომ ჩამოსული კაცი გახლდათ და ელეგანტურ ჩაცმა-სიარულზე უარი იმიტომ ეთქვა, რომ მაინცდამაინც არ ენაღვლებოდა: რას იტყოდნენ მასზე რიას პატიოსანი მოქალაქენი – მათს მყუდრო ქალაქში გამოჩენილ ამ „უცხო კამეჩს“ ირონიულ მზერას რომ მიაყოლებდნენ ხოლმე.

კაფეებთან და „შესარბენ სასადილოებთან“ დიდი რიგი იდგა. რაკი პარმენს რიგში დგომა ჭირივით სძულდა, შეიძლებოდა ლეგენდარულ მზვერავ ჩიჩეს გამზირზე ფანტასტიკის მოყვარულთა კლუბის წევრის მარათონული რბოლა უშედეგოდ დამთავრებულიყო. ჩვენს უკიდეგანო ქვეყანაში სასადილო შესვენება, მადლობა ღმერთს, ყველგან ერთდროულად მიმდინარეობს, ხოლო მშრომელი მოსახლეობის უმეტესობა დროის მოგების მიზნით დასანაყრებლად კაფე-სასადილოებს

უფრო ეტანება, ვიდრე ორკესტრებითა და შავფრაკიანი ოფიციანტებით აელვებულ რესტორნებს.

საათზე რომ დაიხედა, დარწმუნდა, რომ სემინარის თავმჯდომარის მიერ თავაზიანად დათმობილი ორი თავისუფალი საათიდან ერთი ლამის უკვე ამოწურულიყო. ამ ძებნა-ძებნაში ე მანდ მშიერი არ დავრჩეო, პარმენმა იკადრა რიგში ჩადგომა და თვითმომსახურების კაფე „მისტერიას“ სამზარეულოსაც ჩაუარა ყვავილოვანი ლამბაქით ხელში, მაგრამ მხოლოდ ჩაუარა და მეტი არაფერი. ასორტიმენტი არ მოეწონა.

იმ გარდამავალ წლებში, როცა ეს ამბავი მოხდა, საოლქო ცენტრ რიას კაფე-სასადილოები მენიუს დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდნენ. თითქოს შეთანხმებულანო, ყველანი ერთნაირად, პირველ კერძად ნაკრებ-სალიანკას სთავაზობდნენ მუშტარს, მეორე კერძად – კატლეტს ან გაყინული ქათმის მოლურჯო ნაწილებს, ხოლო დასაყოლებლად – იისფერ კისელს აწვდიდნენ. კისელი ღრმა, რვაკუთხად თლილ ჭიქებში ესხა და მოანგარიშის გვერდით, მაგიდაზე იყო გამწკრივებული.

მზვერავ ჩიჩეს გამზირი რომელიღაც ფართო პროსპექტზე გადიოდა, მაგრამ პარმენი პროსპექტის სახელწოდებით ამჯერად არ დაინტერესებულა. იცოდა, რომ ქალაქის მთავარ არტერიებს უმეტესწილად ჩვენში ერთნაირი სახელით ნათლავენ. რიას ღირსშესანიშნაობებზე მეტად მას ამჯერად საზოგადოებრივი კვების პუნქტი აინტერესებდა და როცა კაფე „საერთოშიც“ მისთვის სანუგეშო ვერაფერი შესთავაზეს (განსაკუთრებით ცუდ გუნებაზე სამზარეულოს სპეციფიური სუნი აყენებდა), ლამის სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

შუბლ-კისერზე ოფლი ცხვირსახოცით შეიწმინდა, პალტო ბეჭებზე დაიბრუნა და, ის იყო, უკან წამოსვლას აპირებდა, რომ კოტოვსკის ძეგლთან შეჯგუფებულ-შეჩოჩოქოლებულ ხალხს ჰკიდა თვალი. ახლაღა შეამჩნია, რომ მის წინ ჩავლილი მოქალაქეებიც იმ ადგილისკენ გარბოდნენ. ზოგნი დარბაისლური ძუნძულით; აქაოდა რა უნდა იყოს დასაფეთებელიო, ზოგი კი ხელების იმგვარი ქნევით, რომ ფუტკარდასეული გეგონებოდათ.

პარმენ კოტრიკაძეც, რასაკვირველია, მუშტად შეკრულ ბრბოს მიეახლა და თვალს არ დაუჯერა: თეთრხალათიანი, ლოყებღაჟღაჟა, ძალუმად დამჩნეულ მუცელსა და ბარძაყებზე შავბრეზენტაფარებული ქალი, თევზს ჰყიდდა. გაყინულ, ერთმანეთზე მიკრულ-მიპრესილ კაპარჭინას კი არა – ცოცხალ ორაგულს. უზარმაზარ კასრში ახლადჩაყრილი ორაგულები პირს აღებდნენ, ლაყუჩებს ბერავდნენ, ღონივრად დგაფუნობდნენ და აწონვის დროს ცოტა საზრუნავს როდი უჩენდნენ, ისედაც ნერვებმოშლილ გამყიდველს. პარმენი არც დაფიქრებულა, რიგი დაიკავა და ორი საზუალო ზომის ორაგულის აწონვა სთხოვა თევზის ვაჭარს. უკან მდგომნი აყაყანდნენ; ერთი წაიღოს, ჩვენ არ შეგვხვდებაო, მაგრამ ლოყებღაჟღაჟა, რატომღაც სიმპათიურად განეწყო პარმენისადმი და სწორედ ორი ორაგული (ერთად სამკილონახევარი გამოვიდა) აუწონა. მერე უფრო დიდი უხერხულობა იმ გარემოებამ შექმნა, რომ მყიდველს, პარკი კი არა, გაზეთიც არ აღმოაჩნდა, რომ თევზი გაეხვია. გაბრაზებული გამყიდველი ის იყო, აწონილი ორაგულის სხვისთვის გადაცემას აპირებდა, რომ ვიღაც ღვთიანმადლიანმა შეიცოდა და ნეილონის პარკი მიაწოდა ელდანაცემ პარმენს. რიგს რომ გაშორდა, კოტრიკაძემ უბედნიერეს კაცად იგრძნო თავი. რა მოსატანი იყო პატარა ნერვიულობა, მაშინ, როდესაც მას, რიაში სტუმრად ჩასულ კაცს, ხელთ ორი ულამაზესი ორაგული ეჭირა. იქნებ არც კი იყო საჭირო იმის ხაზგასმა, რომ პარმენს თევზი ძალიან უყვარდა.

ქუჩა გადაჭრა და ლამის ცეკვა-ფრენით იარა კაფე „მისტერიამდე“. მზარეულს ვთხოვ, შევაწვევინებ ორაგულს და უგემრიელესი სადილიც განაღდებული მაქვსო, მაგრამ ხომ გაგიგონია, ძვირფასო მკითხველო, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

მზარეულმა გამგესთან გაგზავნა, თუ ნებას დამრთავენ, ზეთი არ მენანება და ტაფაო. გამგემ მოუსმინა უჩვეულო მომხმარებელს, ორაგულებიც უხალისოდ შეათვალიერა, დაამთქნარა, პომადიან, სქელ ტუჩებზე ხელისგული სამჯერ მიირტყა და ჰკითხა: „თქვენ ამას სერიოზულად მეუბნებით, თუ მეხუმრებით“. „სერიოზულად“, მიუგო პარმენმა. „მერე, შე კაი კაცო, რა დაგიშავე, რომ ციხეში ჩემი გაშვება გადაგიწყვეტია“. სანამ გაოცებული პარმენი პირს გააღებდა, გამგემ აუხსნა: „იცი, რას ნიშნავს „მარცხენა საქონლის“ შეტანა კაფეში? სახკონტროლი რომ შემოვა, შენ ggონია დამიჯერებს, რომ ხათრი ვერ გაგიტეხე და სტუმარ-მასპინძლობის იდეით შეგიწვი შენი კუთვნილი ორაგული? სახკონტროლიც რომ არ შემოვიდეს, მინიმუმ სამი მომხმარებელი მაინც დაწერს ანონიმურ ბარათს: აქაო და ესაო, ჩვენ გაყინული ხორცის კატლეტს მივირთმევდით და ვიღაც შავბეწვას და ფართოყურებიანს შემწვარი ორაგული მიართვეს.

გამგის დამაჯერებელი კილო თხოვნის გაგრძელების კი არა, შეკითხვის მიცემის ადგილსაც არ ტოვებდა; ისე საფუძვლიანად იყო ყველაფერი განმარტებული. პარმენი ქუჩაში გამოვიდა და ჩიჩეს გამზირს აღმა აუყვა.

კაფე „საეროდანაც“ უარით გამოისტუმრეს, ხოლო სასადილო „მხოლოდ თქვენთვის“ სანიტარული დღის მომიზეზებით დაკეტილი აღმოჩნდა. სასტუმროში მისვლას ვერ მოასწრებდა, მაგრამ დრო თავზესაყრელადაც რომ ჰქონოდა, არც სასტუმროს ბუფეტში (რესტორანს არემონტებდნენ) შეხვდებოდნენ თანხმობითა და სიამოვნებით პარმენის თხოვნას. ამ დილით საუზმისას შეესწრო – არაბ მოხელეს, მებუფეტემ, შვედური ლუდის ბრჭყვიალა ქილა ჩანთაში რომ ჩააბრუნებინა: ხალხს ნერვებს ნუ უშლიო. რესტორან „კაფეთესეს“ კიბეები წელმოწყვეტით აიარა, კარისკაცმა, რომელსაც კატეგორიულ მკაცრ კილოზე ეტყობოდა, რომ მისი ფუნქციები გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე კარის უწყინარი გამღებ-დამკეტავისა, ჯერ პალტო გაახდევინა, მერე საქმიანი იერით, მარცხენაში ორაგულიანი პარკით და მარჯვენით თმის ვარცხნით მიმავალი პარმენი ერთხელ კიდევ შეაჩერა; დარბაზში პარკით შესვლა არ შეიძლებაო. თევზის მოყვარული გამობრუნდა და მეგარდერობეს თევზი გაუწოდა. მეგარდერობე არც წამომდგარა: – გარდერობში ხორცეულს, თევზეულს და საკონდიტრო ნაწარმს არ ვინახავთო. აბა, სად წავიღო, ვთქვათ სიტყვაზეო? – წყრომამორეულად ჰკითხა პარმენმა. მეგარდერობეს სულ არ აინტერესებდა, სად წაიღებდა თევზს მოქალაქე. თვალის ჩაკვრას პარმენმა – „არ გაწყენინებ, კაი კაცი ვარო“ – რომ დაამატა, გარდერობის პასუხისმგებელმა პირმა გატეხა ადმინისტრაციის წინაშე დადებული ფიცი და ნეილონის პარკი დახლსქვემოთ, იმ ადგილას შეჩურთა, სადაც ჩვეულებრივად, მომხმარებელთა ფეხსაცმელებს, ხელჩანთებს და ქოლგებს ინახავენ ხოლმე.

როცა მკლავზე თეთრტილოგადაფარებულმა, მერცხლისიერიანმა (ფრაკი ეცვა და თეთრ კვართზე, ყელთან, შავი პეპელა-ჰალსტუხი უჩანდა) ოფიციანტმა მოინტერვიუე ჟურნალისტივით უბის წიგნაკი და ფანქარი მოიმარჯვა, პარმენმა მაგიდაზე თითები აათამაშა და ჰკითხა:

– თევზეული გაქვთ რამე?

– არა, – დაბეჯითებით მიუგო მომტანმა.

– აბა რა გაქვთ?

– პირველი „ნაკრები-სალიანკა“, მეორე კატლეტი, მესამე კისელი. მეორედ ქათამიც გვაქვს. სხვათა შორის – „ქათამი“ – მცირე პაუზის შემდეგ დაამატა.

– თევზს ვერ შემიწვავთ? – იდუმალი ჩურჩულით ჰკითხა.

– რომელ თევზს?

– ქუჩაში რომ იყიდება – ორაგულს.

– ქუჩაში სხვაც ბევრი რამ იყიდება, – ჩანს მეხუმრებაო და ხუმრობითვე ლაღად და თამამად უპასუხა ოფიციანტმა.

– თქვენ ვერ გამიგეთ. შევიძინე თევზი და აქა მაქვს გარდ-

ერობში. თუ შემინვავთ, ვალში არ დავრჩები. ორი მოზრდილი ორაგულია. ერთი თქვენი ფეშქაში იყოს.

ოფიციანტს, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა ეს გარიგება. ახლავე მოვალ, მზარეულს შევუთანხმდებიო, თქვა და ფრაკის ბოლოების ქნევით მაგიდებს შორის გასრიალდა, მალევე მობრუნდა შეწუხებული სახით: დღეს არაფერი გამოდისო – პარმენს აუწყა – ზეგ, ხუთშაბათს, თევზის დღეს მობრძანდით და გაგიხერხებთ რამესო. ზეგ აქ არ ვიქნებიო და რომც ვიქნე, ორაგულს ასე ხომ არ ვატარებ აღმა-დაღმაო – ცრემლი მოერია კოტრიკაძეს. სად მიბრძანდებითო, დაინტერესდა ოფიციანტი, მაგრამ კოტრიკაძემ ამჯერად შეგნებულად არ დააკმაყოფილა რესტორნის მოხელის ცნობისმოყვარეობა. ხუთიოდე წუთის შემდეგ იგი ისევ ქუჩაში იყო მძიმე პალტოთი ზურგზე და ჩამქრალ-ჩაძინებული ორაგულებით ხელში.

– უკაცრავად, ეს ორაგული?

პარმენმა უხალისოდ, ზანტად მოიხედა და მაშინვე სამხედრო წესით გაიმართა წელში. მის წინ მომხიბვლელი ფერფლისფერთმიანი მაღალი, მწვანეთვალება ახალგაზრდა ქალი იდგა. ქალს ლამაზ თვალებში დაღლა ემჩნეოდა, საქმიანი და მისი სილამაზის ქალისთვის, ზედმეტად მკაცრი იერი ჰქონდა.

– აგერ ჰყიდნენ ახლოს, მოსახვევში კოტოვსკის ძეგლთან.

– გმადლობთ. ალბათ ბარათებზე.

– არა, ნაღდ ფულზე.

ქალმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა და მსუბუქი, ჩქარი სიარულით იქეთ გასწია, საითაც პარმენმა მიუთითა. ვინც რიაში ყოფილა, დამეთანხმება, რომ ამგვარი ქარამოღებული, კოხტა სიარული მხოლოდ რიელმა ქალებმა იციან. ისინი ყველგან ასწრებენ, ქალაქური ცხოვრების წესს განსაცვიფრებელი გეშით გრძნობენ. ჩამოსულივით დაბნეულად არ იხედებიან და მომაბეზრებელი შეკითხვით არ აწუხებენ გამვლელ-გამომვლელთ. ზუსტად იციან, სად რა იშოვება და რა გზით უნდა შეიძინო. არც წესრიგს

დაარღვევენ და სტუმარზე დაახლოებით შვიდჯერ უფრო სწრაფად გაახერხებენ ყველაფერს. რიგს შორიდან რომ შეავლებენ თვალს, უკვე იციან, რას „არიგებენ“ და შეხვდებათ თუ არა. თუ გრძელ რიგში დგას ქალი და თანაც მოწყენილობისაგან ამთქნარებს, მწვანე სვიტრი და რეზინის წითელი ჩექმები კიდეც რომ არ ეცვას, უნდა მიხვდე, ძვირფასო მკითხველო, რომ იგი თუ შორეული დაბიდან არა, ახლომახლო სოფლიდან მაინც არის ჩამოსული.

ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ პარმენი ერთბაშად მოტრიალდა და ფერფლისფერთმიან ქალს გამოუდგა. სირბილით დაეწია, მერე, თითქოსდა მეც ჩქარი სიარული მიყვარსო, შეეცადა გვერდით გაჰყოლოდა, მაგრამ ჩამორჩა და ისევ ძუნძულზე გადავიდა. ქალმა, რასაკვირველია, შეამჩნია, მის გვერდით მოფართხუნე თევზიანი მამაკაცი, მაგრამ არც რაიმე უთქვამს და არც მიუხედავს მისკენ.

იმ ადგილას სადაც წეღან თევზს ჰყიდდნენ, კაციშვილი აღარ იდგა. წაქცეული ცარიელი კასრი მოჩანდა და თეთრსაღებავგადაცლილი, გადაქანჯული მაგიდა. სასწორიც კი წაეღოთ, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, რომ თევზს გასაყიდად დღეს აღარ მოიტანდნენ და, ვინ იცის, იქნებ ხვალაც არ მოეტანათ.

– გათავებულა, – ისე მორცხვად და მობოდიშებით თქვა პარმენმა, თითქოს მისი ბრალი იყო.

– ასეც ვიცოდი, – ქალმა ერთხელ კიდევ შეავლო კოტრიკაძის ფართო ყურებს თავისი მწვანე, წყლიანი თვალები, კარგად ბრძანდებოდეთო, დაუბარა და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ წავიდა.

პარმენმა თავი დაუქნია, საათზე დაიხედა და ჩიჩეს გამზირს გაუყვა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, შემობრუნდა და გაჩერებასთან მდგარ ქალს კვლავ გვერდით ამოუდგა.

– იცით, რა, – ცხვირი ლამაზ თმა-ყურთან მიუტანა ანგელოზისმსგავს მოქალაქეს, – თუ არ გეწყინებათ, მე შემიძლია თევზი დაგითმოთ.

ქალმა მოიხედა, ერთხანს უყურა და ამოიოხრა. აბეზარ მამაკაცებს იგი საერთოდ ორიოდე უკმეხი სიტყვით იშორებდა, მაგრამ ისე ალალად შესცქეროდა უცნობი, რომ საუკმეხსიტყვებოდ ვერ გაიმეტა.

– ერთს?

– ორივეს, – პარმენმა პარკი გაუწოდა.

ქალმა არ ჩამოართვა. ჯერ კიდევ ზოგი რამ დასაზუსტებელი იყო.

– თქვენ რა, არ გინდათ?

– აიღეთ, არა უშავს, მე კიდევ ვიშოვი... არა და, უთევზოდაც იოლად გავალ.

– უღრმესი მადლობა, – ქალმა თევზი ინსტინქტურად გამოართვა, ფეხებშუა დადო ასფალტზე და რედიკული (ზუსტად ვერ გეტყვით რას ეძახიან, პატარა ტყავის ხელჩანთას ქალები რომ ფულს, პომადას და სახელდახელო რაღაცებს დებენ შიგ. შეიძლება რედიკული ძალიან ძველმოდური სიტყვაა, მაგრამ ადრე, ჩემს დროს, რედიკულს ეძახდნენ) ტკაპანით გახსნა.

– რამდენი მოგართვათ?

– არაფერი... რას ბრძანებთ... კაპიკებია... ნახვამდის, – პარმენმა სახტად დარჩენილ ქალს ზურგი უჩვენა, პალტოს ჯიბეში ხელები ჩაიწყო და „აგიტატორის ბლოკნოტის“ რედაქციის მაღალი შენობისკენ წავიდა. ამ შენობას წეღანვე მიაქცია ყურადღება, არქიტექტურულად ორიგინალური რომ იყო. რვასართულიანი შენობა ზემოთკენ თანდათანობით ფართოვდებოდა და მარჯვნივ ისე საგრძნობლად იყო გადახრილი, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს ეგონებოდა, სადაცაა წაიქცევაო.

– მოითმინეთ, მოითმინეთ, – ფეხდაფეხ მისდევდა კოტრიკაძეს ფერფლისფერთმიანი ბანოვანი, მის კატეგორიულ კილოში, ღმერთო შეგცოდე, საყვედურიც კი კრთებოდა, – წაიღეთ თქვენი თევზი... თქვენ რა... და საერთოდ... ჩვენთან ასეთი რამეები მიღებული არ არის!

პარმენი შეჩერდა და მდევარს გაუღიმა. მის წინ ანგელოზივით დედაკაცი იდგა – ლამაზნესტოებიანი, გაბუტულტუჩება, შავგრძელწამწამიანი. მწვანე თვალებით შორის იცქირებოდა, მარჯვენა ხელით ახირებულ მოქალაქეს თევზს აწვდიდა და ღიმილზე, რასაკვირველია, არ პასუხობდა.

– ქალბატონო, თქვენ გგონიათ ასე დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო პროგრესული მოძრაობისთვის ახლა ჩვენს ანგარიშსწორებას?

– როგორ? წესი წესია... ან ფული უნდა გამომართვათ, ან... ქალმა ისევ ჩაიდო ჯიშიან ფეხებშორის პარკი და რედიკული ისევ გაატკაცუნა.

– ქალბატონო, ეს ორაგული ჩემთვის, ასე ვთქვათ, მაინც გამოუსადეგარია, – პირზე ღიმილს არ იშორებდა ჩვენი გმირი.

– როგორ გავიგოთ? – ქალს საულვაშეზე, მარცხენა მხარეს, ასანთის თავისსისხო ლურჯი ხალი ჰქონდა.

– ჩამოსული კაცი ვარ, მივლინებით, ვიყიდე ეს ორაგული, მაპატიეთ და ახალი თევზი მიყვარს ბავშვობიდანვე. რა სათქმელია. ჩამოვიარე კაფე-სასადილოები, რესტორანშიც გახლდით. ბევრი ვეღრიჯე გამგე-მზარეულებს – შემიწვითმეთქი, მაგრამ ამაოდ. რას ვერჩი იმ ხალხს. ყველას ეშინია, „მარცხენა“ თევზი გამოდის. ჩემი გულისთვის რატომ ჩაიგდებენ თავს. არც სასტუმროში მაქვს შეწვის პირობები და დროც აღარ მაქვს. კაცმა რომ თქვას, შიმშილმაც გამიარა. წავალ ახლა და თათბირ-სემინარს დავესწრები. თქვენ ჩემზე და იმ ორ კაპიკზე ნუ იდარდებთ. წაიღეთ ეს ორაგულები და ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ.

ქალი ოდნავ დამშვიდდა.

– გასაგებია... რანაირად... გამოდის, ჩემთვის გიყიდიათ... უღრმესი მადლობა...

დაახლოებით ამის მსგავსი რამ ჩაილაპარაკა მწვანეთვალებამ. მსგავსი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ფული კიდევ არ შემომთავაზოსო, პარმენი, ორივე ხელით მისწვდა ქალის

ნაზ, რედიკულიან ხელებს, ოდნავ მოუჭირა გამომშვიდობების ნიშნად და „აგიტატორის ბლოკნოტის“ შენობისკენ განაგრძო გზა. ქალის ბოლო სიტყვები, ამ მიზეზის გამო, კანტიკუნტად ჩაესმა.

რედაქციის შენობაში არ შეუშვეს. ბუფეტი მხოლოდ თანამშრომლებს ემსახურებაო. გამოვიდა და ფერფლისფერთმიანი, ტანკენარი კართან დახვდა.

– იცით რა, თქვენი სახელი? – ქალი მორცხვად შესცქეროდა. თითქოსდა ბოდიშს იხდიდა სითამამისთვის და სურდა ეს სითამამე სწორად გაეგოთ.

– პარმენი.

– მე ნატო მქვია. ნატაშა დამიძახეთ, – ქალმა ერთხელ კიდევ ააყოლ-ჩააყოლა თვალი კოტრიკაძეს და მზერა რატომღაც ფართო ყურებზე შეაჩერა. პარმენს არ უყვარდა როცა ყურებს უთვალიერებდნენ. – იცით რა, ბატონო პარმენ, იქნებ ჩემთან წამოსულიყავით... გვესადილა... ვერ გეტყვით, შევძლებ თუ არა თქვენი გემოვნებისდარად შევწვა ეს ორაგულები, მაგრამ ცდას არ დავაკლებ. თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, რასაკვირველია, – ქალმა კიდევ უფრო მორცხვად დაამატა, – მარტო ვცხოვრობ.

პარმენ კოტრიკაძეს საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდა.

სანამ ტროლეიბუსი მოვიდოდა, მოასწრო ეთქვა ციდან დაშვებული მწვანეთვალება ქალისთვის, რომ უპატრონო მიცვალებულთა დამკრძალავ ბიუროში მუშაობდა და ქალაქ რიაში ამჯერად, ფანტასტიკის მოყვარულთა ნებაყოფლობით კლუბს წარმოადგენდა.

ქალი ჭკვიანი მოწაფესავით უსმენდა და ხანდახან თავს უქნევდა.

ტროლეიბუსი რომ დაიძრა, ფერფლისფერთმიანმა ჰკითხა:

– უპატრონო მკვდრები კიდევ არიან?

– არიან, შიგადაშიგ, იშვიათად, – მიუგო პარმენმა.

შეიძლება აქ შემეწყვიტა ნოველა, მაგრამ ცნობისმოყვარე

მკითხველებმა წერილობითი შეკითხვებით რომ აღარ შემაწუხონ, დავსძენ, რომ პარმენი, რასაკვირველია, თათბირ-სემინარზე აღარ დაბრუნებულა და იმ ღამეს ქალბატონ ნატოსთან დარჩა.

დილით, გაბურბუსალებულს ფანტასტიკის მოყვარულთა ომახიანი გამოსვლებიდან მხოლოდ შორისდებულები ჩაესმოდა. შორისდებულსა და შორისდებულს შორის კი თვლემდა. წუხანდელი ღამის გახსენება სიამოვნებით აჟრჟოლებდა. ფიქრობდა; მაინც კარგადაა მოწყობილი ცხოვრება. ვთქვათ და უარი არ ეთქვათ მზარეულებს ორაგულის შეწვაზე, ხომ ავცდებოდი სამუდამოდ ფერფლისფერთმიან ნატაშასო...

ცოცხალნი

სოფელ სხლტეში ბევრი მარტოხელა მოხუცი ცხოვრობს. ეს ორი წელია ნიკუშა თაგვიაშვილიც მარტო დარჩა. სოფლად, გრძელი მოსაწყენი დღეებისა და მუნჯი ცარგვალის ანაბარა შთენილი ბებრების ეულად ყოფნას უმთავრესად ერთი მიზეზი აქვს – თანამეცხედრე გარდაიცვალა, შვილები ქალაქს შეეხიზნენ, ნიკუშასაც ასე დაემართა.

სხლტედან სულ რაღაც ხუთ კილომეტრში, ხუხას მთის გადაღმა, ხეობაში ჩაქანებულ ფერდობს შეჰფენია კოპწია სოფელი ღუ. ღუ ჩვენ ამჟამად მხოლოდ იმიტომ გვაინტერესებს, რომ იქ ცხოვრობს ნიკუშას განუყრელი მეგობარი რობინზონ ცქვიტინიძე. რობინზონიც სამოცდაათს მიტანებულია და, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, – რობინზონიც მარტოხელა გახლავთ.

რობინზონის და ნიკუშას მეგობრობა ამ ორმოცი წლის წინ უბრალოდ დაიწყო. ომის დამთავრების შემდეგ, დემობილიზებულები ტყიბულის მატარებელში დაემგზავრნენ ერთმანეთს. ბევრი ლაპარაკის თავი არც ერთს არ ჰქონდა, ორივენი იმ ტკბილ მოგონება-მოლოდინში ჩაძირულიყვნენ, მშობლიური სანახებისა და ახლობლების ნახვას რომ მოსდევს ხოლმე ხანგრძლივი, მტანჯველი განშორების შემდეგ. მათი დიალოგი მოკლე იყო და იმერული მუსაიფისთვის საკმაოდ ძუნწი.

– სად მოგიწია?

– მეორე უკრაინულში. შენ?

– როკოსოვსკისთან. ბერლინამდე ჩავედით.

– ჩვენ არა. პრაღაში ვიდექით.

– დაჭრილი?

– მხარში. ასკოლკა. არაფერი ისეთი. შენ?

– შენ წარმოიდგინე, გაკაწრულიც არ ვარ.

– იღბლის ამბავია.

– რა ვიცი.

– აქეთ?

– სხლტედან ვარ. აქედან ცხრამეტი კილომეტრია.

– ღუელი ვარ მე. – რობინზონს სახე გაებადრა.

– მეზობლები ვყოფილვართ.

– რატო არსად შეგხვდი?

– მე ორმოცდაორში დამიძახეს.

– აბა, სად გნახავდი. ოცდაორ ივნისს ომი დაიწყო და მე რვა ივლისს უკვე ფორმა მეცვა.

– იმ პირველ გაწვევაში მოხვედრილხარ.

– პირველში, კი.

ჭურიის პლატფორმაზე ერთად ჩამოხტნენ, ბოგირამდე საუბრით მოვიდნენ. ახლა ღუში წამსვლელი მარჯვნივ უნდა შეყოლოდა საურმე გზას, სხლტის მგზავრს კი მდინარის ნაპირზე უნდა ევლო ბილიკ-ბილიკ.

– წავედი, აბა, მე.

– ამეიარე, როცა მეიცალო.

– გამოდი შენც: სახელი ქე დამავიწყდა.

– რობინზონი, რობინზონი ცქვიტინიძე.

– მე თაგვიაშვილი ვარ, ნიკუშა. გინახულებ, თუ მშვიდობა იქნა.

– ღმერთი შენკენ.

ნეტავი იმ დროს, ორივეს ხის ჩემოდნები ეჭირა, გახუნებულ ჯარისკაცულ ფორმაზე გარდიგარდმო გულმოდგინედ დახვეული შინელები გადმოეკიდათ, გვერდზე გადახრილი პილოტურებიდან ორივეს შავი, ხუჭუჭა, ქოჩორი მოუჩანდა.

იდინა, იდინა წუთისოფლის მდინარემ და მეგობრები სიჭარმაგის იმ ნაპირზე გაიყვანა, მუხლი რომ დამძიმდება, დრო რომ ჩვეულებრივ უფრო ნელა გადის, მოგონებების

კრიალოსანს რომ ხშირად ფურცლავ და ეზოდან გადასვლა რომ გულს მაინცდამაინც არ ეხალისება.

ამ ხნის განმავლობაში უერთმანეთოდ ჭიქა არ აუწევიათ-მეთქი, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ ფიც-ვერცხლის ძმადნაფიცები იყვნენ, ჭირ-ლხინში ერთმანეთი ეიმედებოდათ, გარემოების შესაფერისად ხშირად მოიკითხავდნენ და სანამ შეეძლოთ, ტუჩწატეხილი დოქისთვისაც ფსკერი არაერთხელ მოუნახავთ.

ახლა, მარტო რომ დარჩნენ, უფრო გატკბილდა და განაზდა ნაჯარისკაცალთა მეგობრობა. დრო თავზე საყრელად როდი აქვთ. მგლის მუხლმაც ჭირი მოგვჭამა, მისვლა-მოსვლას მოუხშირეს. მე შენ გეტყვი, სალაპარაკო შემოელევათ.

იმ დღეს ნიკუშამ ადრიანად გაიღვიძა. სიმინდის გამარგვლას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, წუხელის ეწვიმა და ატალახებულ ყანაში თოხით შესვლა არ ივარგებდა. ჩექმები ჩაიცვა და ერთხანს ეზოში იბუჯურა. საქონელი არ ჰყავდა. ხუთიოდე ქათამი დაუკინკილებდა ეზოში და ისინიც უნდა მიეყიდა, კვერცხს არ დებდნენ და ოხრახუშს ფოთოლი არ შეარჩინეს.

ივნისი იწურებოდა. უგემური დილა იყო. ცრიდა. ხუხას მთას ჯანღი დასწოლოდა.

აივანზე ამოვიდა, ტალახიანი ჩექმები ფეხი-ფეხ გაიხადა და ჯერ ისევ თბილ ლოგინს მიაშურა. რადიოს ხრიალში მალე ჩაეძინა.

მალე გაეღვიძა. სათოხნი ამინდი მაინც არ არის, რობინზონს მოვინახულებო, გადაწყვიტა. ბლუზა-გალიფე და ჩექმები ჩაიცვა, მამამისის ნაქონი ტყაპუჭი მოიგდო მხრებზე, ნაბდის ქუდი დაიხურა და ჭიშკარი გამოიკეტა. ძაღლმა გამოსდია. დაუცაცხანა და ეზოში შეაბრუნა.

ასაქცევამდე იოლად მივიდა, მაგრამ აღმართზე ტალახმა, ცოტა არ იყოს, გააწვალა. ჟანგისფერ ტალახში ჩექმები ეზლიტებოდა და ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. ხანდახან ჩექმის ძირს ისე მიიკრავდა ტალახი, რომ სიარულის დროს ერთი ზაპან-ტკაპანი ისმოდა. გზადაგზა იელისა და გარეული თხილის ბუჩქებს ეპორწიალებოდა, რომ უკან არ გასრიალებულიყო. როცა ჩაიაღმართა, წამით შეისვენა, შუბლ-კისერი ნაბდის ქუდით შეიწმინდა, მუხლებს ქარი ამოაღებინა და საურმე გზას კი არ ჩაჰყვა, ზემოთ, გაუკვალავში, ბალახ-ბალახ იარა.

წყაროს რომ გაცდა, მზემ გამოიხედა და სველ მიწას ოხშივარი აუყენა, ნიკუშამ ტყაპუჭი გაიხადა და მკლავზე გადაიკიდა.

– მაინძელო! – დაიძახა ხის ბოძებზე შემდგარი, სანახევროდ კრამიტით და სანახევროდ ყავრით დახურული ოდის ჭიშკართან. პასუხს არ დაელოდა, კიბეზე აალაჯა და სასტუმრო ოთახის ღია კარში შეიძახა: – რობინზონ!

არავინ გაეპასუხა. შევიდა. სასტუმრო ოთახიდან საწოლ ოთახშიც შეიხედა. ლოგინი აულაგებელი იყო. გადაშლილ საბანზე სათვალე იდო, იატაკზე გაზეთები ეყარა.

ნიკუშა ეზოში გამოვიდა და მარჯვნივ, ალაგეს გადააბიჯა, ვენახში იქნებაო. რობინზონს ორასიოდე ძირი ბებერი ცოლიკაური მოსავალს ბევრს ვერას აძლევდა, მაგრამ თავს იქცევდა და ნიადაგ ვენახში ფათურობდა.

სტუმარს ათიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ იქვე ფოთოლშეწამლული მსხლის ძირში პირაღმა წამოწოლილი რობინზონი დაინახა. თვალები ცისკენ გაშტერებოდა, მარცხენა თავქვეშ ამოედო; ბალახებსგადაწვენილ მარჯვენა ხელში ჩამქრალი სიგარეტი ეჭირა.

– რობინზონ!

მიცვალებულის თვალები შორს და მაღლა იცქირებოდნენ.

ნიკუშას ცივმა ოფლმა დაასხა. ჯერ წაიმუხლა და მაჯა გაუსინჯა, მერე მკერდი გაუღეღა და ყური დაადო. რობ-

ინზონი სიცოცხლის ნიშან-წყალს არ ამჟღავნებდა. შუბლი გალიგვებული ჰქონდა და ხელები ქვასავით გამყიფებული. თვალები დაუხუჭა და ჭიშკრისკენ გაიქცა, რომ მეზობლებისთვის შეეტყობინებინა. ჭიშკართან მისულმა მიშველეთ! მიშველეთო! დაიძახა, მაგრამ არავინ გაეპასუხა, ყველაზე ახლო მეზობელი, ქვევით, ხევისპირს სახლობდა. ნიკუშა გამოტრიალდა, მკვდარს იღლიებში წაუყო ხელი და რამდენიმე ნაბიჯზე გამოარიდა ვენახს, მაგრამ იგრძნო, რომ კიბეზე ვერ აიყვანდა. ჩიატანის მოხუცი ტყვიასავით დამძიმებულიყო. სამზადიდან ჭილოფის ფარდაგი გამოარბენინა და ზედ ჭაპანწყვეტით გადმოაჩოჩა მიცვალებული. მერე ფარდაგს მოჰკიდა ყურებში ხელი და ბალახზე გამოსწია, მაგრამ ჭილოფის ნაგლეჯები შერჩა ხელთ, ისევ ჭიშკრისაკენ გაყუნცულდა და გულაბრაგუნებულმა მეზობლებთან ჩაირბინა.

გამხმარ კაკლის ხესთან ფეხი დაუცურდა და სასხლავივით მოკეცილი საჯდომზე გასრიალდა. ძლივს წამოდგა. წელის ტკივილს ვინღა ჩიოდა, საქონლის სკორეზე დაედგა ფეხი და იმიტომ დაცემულიყო. შარვალი და ბლუზა-გალიფე ზურგის მხარეს მოსვრილი ჰქონდა. უკან დაბრუნდა, ჭიდან ვედროთი წყალი ამოიღო, სამზადიდან ტაშტი გამოიტანა, დაასხა და სასიმინდეს უკან მოფარებულში ტანთ გაიხადა. ჭოჭყო-სკორეს ნიფხავ-პერანგიც დაესველებინა. ოდის კიბე აათავა, სკივრიდან რობინზონის საცვალი ამოიღო, კედლიდან უკანალზე დაკერებული, ოდესღაც ლურჯი გალიფეს შარვალი ჩამოხსნა, ჩაიცვა და ტაშტს დაუბრუნდა. თავისი ტანსაცმელი სახელდახელოდ ამორეცხა და იქვე, ბჟოლის ტოტებს მიაფინა.

ახლა წეღანდელზე უფრო ფრთხილად ჩადიოდა თავდაღმართზე. მეზობლის ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, ძაღლი გამოქანდა და გამეტებული ყეფით მოასკდა რკინის გისოსებს. დაძახება არ დაჭირვებია. ძაღლს სამზადიდან

თავ-ყბაშეხვეული, შაოსანი დედაბერი გამოჰყვა და წელში მოხრილი, ხელების უცნაური ქნევით ეზოში გამოლასლასდა. პატრონის გამოსვლისთანავე ძაღლმა თავისი მოვალეობა დამთავრებულად ჩათვალა, გატრიალდა და კიბის ქვეშ მიეგდო.

დედაკაცმა ჭიშკარსმომდგარი კაცი რომ დაინახა, რამდენადაც შეეძლო, ნაბიჯს მოუჩქარა.

– შემობრძანდით, – მავთულის რგოლი მესერს გადააძრო, – დიდი ხანია იძახით, ბატონო?

– სხვა არავინაა შინ, ქალბატონო? – ნიკუშა იდაყვებით ჭიშკარს ჩამოეყრდნო.

– მუხუდოს სამოროდოთ წეიყვანეს ამ დილას. შემობრძანდით, ბატონო.

– რა თოხს მეიქნევენ ამ ტალახში?

– მაგას ვინ კითხულობს, ბატონო. წამოდითო, დეიძახეს ამ დილას და გავარდა. ჩვენი, ხომ ხედავთ, ბალახმა შეჭამა. არაა დროი. რა ქნას, ერთი კაცია, ვერ წვდება ყველაფერს.

– გლახა საქმე დაგვემართა ამ დილას, ქალბატონო.

– რავა? – ნიკაპზე მიიდო ხელი დედაბერმა.

– რობინზონი გარდაიცვალა.

– რას ლაპარაკობ?! – იყვირა, ამ დილას აქ იყო, შაბი წეიღო ჩემგან, ბატონო?

– ჰო, მე ახლა მევედი და ვენახში, იქავე იყოს, მკვდარი დამხვდა.

– სად, რანაირად ასე უცებ, ეგება?! – კალთაზე ხელებს იტყაპუნებდა ქალი და წაღმა-უკუღმა ტრიალებდა.

– არა, ბატონო, გაციებულია. სამი საათის გარდაცვლილი მაინც არის.

– რაღა ვქნათ ახლა. ე, კაცი მაინც იყოს სახლში, – წრიალებდა მოხუცი.

– რაღას ვიზამთ, ბატონო. თქვენ მაინც უნდა წამობრძანდეთ, მიცვალებულს შეცხადება უნდა.

– ამ წუთას, თქვენ შემოგევლეთ, წამოვალ, აბა რას ვიზამ, – დედაბერი სამზადში შეფარფატდა და მალევე გამოვიდა თავშალმოხვეული და წინსაფარმოხსნილი. ოდის კიბეზე ახანხალდა, ფეხის წვერებზე აიწია და ხევგაღმა, კბოდეზე წამოყუდებულ ოდას გასძახა:

– ანეტა! ანეტა!.. – მიაყურა და რომ არავინ გაეპასუხა, ნიკუშას მოუბრუნდა, – გაგიგონია? ანეტას ამ დროს სახლში ჯაჭვით ვერ დააბამ.

აღმართი უხმოდ, ბებრული ყუნცულით ამოათავეს. ეზოში რომ შემოვიდნენ და ქალმა ჭილოფის ფარდაგზე პირაღმაგაშოტილი მიცვალებული დაინახა – ახ, ჩემო რობინზონო, ხმადაბლა თქვა და ლოყაზე იტკიცა ხელი.

ოდისქვევით, ბუხრისძირს აყუდებული ტახტი მოძებნეს, გამოიტანეს, ცაცხვის ძირას დადგეს და ობობის ქსელები ცოცხით მოაშორეს. ვენახიდან ჩოჩიალით, ხვნეშა-წვალებით გამოიტანეს მიცვალებული და ტახტზე დაასვენეს. ნიკუშამ სკივრიდან თეთრი, გატკიცინებული ზეწარი ამოიღო და გადააფარა. ზეწარი მოკლე აღმოჩნდა. მკვდარს სახემკერდი დაუფარეს.

მერე დედაბერი აივანზე ავიდა. ერთი გამოხედა ცაცხვის ხის ძირში ქუდმოხდილ, მობუზულ ნიკუშას და ცივი ხმით იკივლა.

– უი! უი! უი!

ნიკუშას კივილზე გააჟრჟოლა: „რა ხმა ჰქონია ამ მამაცხონებულს“.

ერთხანს იკივლა შაოსანმა. მერე აივნიდან ტაბურეტის სკამი ჩამოიტანა და ცაცხვის ძირას დაჯდა.

– თქვენ? აქანა ხშირად მინახავხართ, ბატონო, – ნიკუშას წყნარად, მშვიდად ჰკითხა.

– რობინზონის ძველი მეგობარი გახლავართ, სხლტედან ვარ. ამეევედი, ვინახულებთქვა და ა.

– არ თქვა, ბატონო, ერთწამსაა კაცი. მაინც, ასე უცებ...

– უცებაა, ქალბატონო? პატარა ნაუბედურალი და ნაწვალები ვართ იმ დაწყევლილ ომში? აქამდე რომ გავძელით, არ გიკვირს?

– ერთად იყავით, ბატონო?

– კი, ჩემო ბატონო, ერთად ვიბრძოდით, – ნიკუშამ იცრუა, რადგანაც მიიჩნია, რომ ომის დამთავრების შემდეგ, ტყიბულის მატარებელში რობინზონის გაცნობას ომის ცხელი დღეების მოგონება აჯობებდა, ამ ქალის თვალში.

– სიმინდი რავა არი სხლტეში, ბატონო?

– სიმინდს არა უშავს. ხეხილმა მოგჭამა წროულს ჭირი.

– აქაც ასეა. ყვავილშივე მოყინა და ჩეიტანა ყველაფერი.

ერთხანს ჩუმად იყვნენ.

– ვერავის გავაგონეთ, ვითომ, ქალბატონო? – ჰკითხა ნიკუშამ და ამოწეულ თეთრ ზეწარზე ზედ მიცვალებულის ცხვირთან დაფრენილ ბუზს ხელი აუქნია.

დედაბერი წამოდგა, ჯოხზედაყრდნობილმა კიბე აათავა, აივანს ორივე ხელით დაეყრდნო, გაიმართა და ხუხას მთის მხარეს შეფენილ სახლებს გაჰკივლა:

– უი! უი! უი! უი!

თავისი ხმის ექოს მიაყურადა. ერთხელ კიდევ გაჰკვეთა ჰაერი კივილით. აივნიდან სკამი ჩამოიტანა და ნიკუშას დაუდგა.

– დაბრძანდით, ბატონო, ჩამოწყდებოდით ფეხზე.

– დიდი მადლობა, რატომ წუხდებით, ქალბატონო.

ნიკუშამ სკამი გვერდზე გასწია, მიწას მოარგო და რომ დარწმუნდა, აღარ კოჩავსო, ფრთხილად დაჯდა.

– რავარი დროა მერე, რაღა ახლა მოუწია ამ უბედურ დღეზე გაჩენილს, – ჩაილაპარაკა პირნიკაპზე თითებმიფარებულმა დედაბერმა.

– რა ბრძანეთ, ბატონო? – ნიკუშამ მარჯვენა ყურს ხელი მოახმარა.

– გლახა დროა-თქვა, გაკრეფილია ხალხი; თუ სამუშა-

ოდ, თუ საშოვარზე, ბაჭული მაინც არ იქნებოდეს წასული სადმე.

ბაჭული რობინზონის ერთადერთს შვილ ერქვა. ცოლ-შვილით ქალაქში ცხოვრობდა. ავეჯის ფაბრიკაში ნახერხის წნეხვის საამქროს გამგედ მუშაობდა.

– რავა? მიდიოდა სადმე?

– ამ წუთას არ ვიცი და, საერთოდ, სულ არ დადის? ახალია მაგენის საქმე და დააპორწიალებენ იქით-აქეთ.

ღია ჭიშკარში უღლიანი თხა შემოვიდა, ერთი გამოხედა ცაცხვის ძირის სერობას და პირდაპირ ვენახში დურთა თავი. ნიკუშა წამოხტა და დაედევნა.

– აქეთ, შე სამგლე!

თხამ იგრძნო, რომ მისი საქციელი მაინცდამაინც არ მოეწონათ, ტყემლის ნერგს თავი მოაკვნიტა, მოიხედა და წინ გავარდა. კარგა ხანს სდია ნიკუშამ პირუტყვს, ბოლოს, როგორც იქნა, კუთხეში მიიმწყვდია, უღელში სტაცა ხელი, ქიჩავქიჩავით გამოათრია, გზაზე გააგდო და ჭიშკარი მიუკეტა.

მზემ გამოანათა და დამბალ მიწას ოხშივარი აუყენა.

ღობეს თავნიკაპწაკრული, არწივისცხვირა, მაღალი, გამხდარი ქალი მოადგა, ბროწეულის ტოტი გადასწია და იკითხა:

– შენ კიოდი, ელენე?! – აშკარა იყო ქალი ყველაფერს ხედავდა და ხვდებოდა, მაგრამ მაინც იკითხა.

დედაბერი წამოდგა და დოინჯი გაიკეთა.

– შემოდი ანეტა ეზოში, ვერ ხედავ, რა გვჭირს?

– რაი?! – ხმაში კივილი გაურია ანეტამ.

– რობინზონი!

– უი! უი! უი! – შუკაშივე მიაკივლა ანეტამ. ეზოში შემოირბინა, ცხედარს დახედა და მუხლებზე ხელი გაიტყაპუნა. აკეცილი, გაბერილი წინსაფარი მოიხსნა, თავი მოუკრა და ცაცხვის ძირას მიაგდო – ჭინჭარს ვკრეფდი, ეს უპატრონო,

როდის, რანაირად, რატომ ვერაფერი გავიგეთ, თუ ღმერთი გწამს? – იმ კივილშეცხადებიდან მშვიდ ჩურჩულზე წარმოუდგენლად ბუნებრივად გადავიდა ანეტა.

– რას გევიგებდით, ა, ეს პატიოსანი კაცი სტუმრად რომ არ მოსულიყო.

– თქვენ, ბატონო? – ანეტამ ნიკუშას გახედა.

– ძმაკაცი გახლავართ რობინზონის, სხლტედან ვარ.

– ჰო... კი... ხშირად უთქვამს, ბატონო.

ხუხას წვერიდან ძერა დაეშვა. ისე ახლოს ჩაუქროლა ცაცხვს, რომ ფრთების შრიალზე სამივენი მაღლა აახედა.

– ჰაუ! ჰაუ! შე თვალებდასაფსებო! – ასძახა ანეტამ და ნიკუშას აუწყა, – წიწილა აღარ შეგვარჩინა, გუშინ ორიპეშვისხელა მოჩოთა მომტაცა ამ ბალანდამწვარმა.

ნიკუშა წამოდგა და ცხედარს შემოუარა.

– ახლა, ბოდიშს კი ვიხდი, მარა, ჩემგან რაღა გესწავლებათ, პატარა მივალაგოთ, ეგება, ეზო-სახლი. ხალხი მოვა და უხერხულია.

– ამ წუთას, ბატონო!

ელენე და ანეტა ეზოში რომ ფათურობდნენ, ნიკუშამ მზეს გახედა და გაიფიქრა: „ნეტავი თუ გაშრა ჩემი ნიფხავ-შარვალი და რანაირად მოვახერხო ამ დარბაისელ ქალებთან ტანზე გამოცვლა“.

ამასობაში ანეტამ სამჯერ ჩაუარა სახლის უკან გაფენილ სარეცხს, მობრუნდა, ბჟოლის ტოტიდან ნიკუშას ტანსაცმელი ჩამოხსნა და მკლავზე გადაიკიდა.

– იყოს, ბატონო, გაშრეს, ჩემია მაგი. უნდა ჩევიცვა, რავარც გაშრება.

ანეტა კიბისკენ წამოვიდა.

– მე მითხარით რამე, ბატონო?

– ნუ ჩამოხსნით-მეთქი მაგ სარეცხს. ჩემია; უნდა გამევიცვალო. წელან ქვევით რომ ჩავდიოდი, ფეხი დამისხლტა.

ანეტა შედგა, ღიმილმა გაუელვა ნესტოებზე, მაგრამ თავი შეიკავა.

– გლახა ტალახი იცის მაინც ამ დასაწვავში, სხლტება ფეხი, ბატონო. – გაბრუნდა და სარეცხი ისევ სახლის უკან გაიტანა.

ამასობაში ელენემ ეზო მოაწერსიგა და მხარზე ფოცხგადადებულმა ანეტას ჩაუარა. ანეტამ შეაჩერა და რაღაც უთხრა. ორივენი მხრებაძიგძიგებით, ტუჩებზე ხელებაფარებულები, კარგა ხანს იცინოდნენ.

ნიკუშამ, ვითომ ვერაფერს ვხედავ და ვამჩნევო, ჯიბეში ხელი ჩაიწყო, ქალებს ზურგი შეაქცია და მზისგულზე მწვანე ფარდად დაშვებულ ხუხას მთას გახედა.

ერთი საათის შემდეგ ანეტა და ელენე რობინზონის სახლის აივანზე იდგნენ და ჰკიოდნენ. მათი ხმები ერთმანეთს ავსებდა, ერთ ზარად იკრიბებოდა და ექოდ უბრუნდებოდა ფოთლებაშრიალებულ ბებერ ცაცხვს. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ჰკიოდნენ თმის ამბურძგლავი, ამაზრზენი კივილით, დროგამოშვებით ერთმანეთს გადახედავდნენ, თითქოსდა რიტუალს ასრულებენო; სერიოზული და, ღმერთო, შეგცოდე, მშვიდი სახეები ჰქონდათ.

ურვა

მე და გერვასი გრძელიძე ერთ სკოლაში ვსწავლობდით. მერვე კლასამდე პარალელურ კლასში იყო, მერვეში ჩვენთან გადმოიყვანეს. მიზეზი, მგონი, ვკითხე მაშინ და რაღაც მიპასუხა, ახლა აღარ მახსოვს, ვერ მოგატყუებთ, ჩანს, უმნიშვნელო მიზეზი გახლდათ და აღარ დამამახსოვრდა. მაშინ ადვილად გადავყავდით მოსწავლეები კლასიდან კლასში. საკმარისი იყო მშობელს განცხადება დაეწერა ჩემს შვილს ესა და ეს მასწავლებელი „ჩააჯინდაო“ და მესამე დღესვე სხვა კლასში ამოყოფდა თავს, ხოლო თუ დირექტორი „ჩაგაჯინდებოდა“, სულაც სხვა სკოლაში გადახვიდოდი და მოისვენებდი.

სკოლა რომ დავამთავრეთ, რასაკვირველია, ჩვენი გზები გაიყარა. საერთოდ, ისე აეწყო ჩვენი ცხოვრება, რომ ყველას ხშირ-ხშირად ვხვდებოდი, ჩემი კლასელების და კურსელების გარდა. ასე ყოფილა, დაამთავრებ სკოლას – კლასელები გაერევიან ცხოვრების ორომტრიალში და წიწილებივით მიმოიფანტებიან. დაამთავრებ უმაღლესს – ახლა თანაკურსელები გაგიხდება საძებარი. მიდიხარ ხანდახან ქუჩაში და ფიქრობ: „სადაა, სად შეიყუჟა ეს ხალხი, რამ ჩაყლაპა და რაში გაითქვიფა, განზრახ ხომ არ მემალებიანო“. კარგა ხანი გაივლის და რომ არ ელი, ისე შეგეფეთება რომელიმე მათგანი. ან ავტობუსის რიგში, ან მეტროს ესკალატორზე, რას მოასწრებ, რა გინდა უთხრა; გეჩქარება შენც, გარბის ისიც. „გამარჯობა, რავა ხარ? იქ ხარ ისევ? ცოლ-შვილი? ჩვენებს თუ ნახულობ!“ მიაყრი ტქყვიმფრქვევივით, ისიც ზუსტად ამ შეკითხვებს დაგაჯახებს, „ვერა! ვერა, კუპრავა ვნახე ამას წინათ, მარტო!“ – მიჰყვირი შენ. ირკვევა, რომ კუპრავა იმასაც უნახავს. მეტს ველარაფერს ასწრებ. წაგართმევს ავტობუსი, ან მეტროს ესკალატორი მონატრებულ თანაკლასელს ან თანაკურსელს. საქმეა ეეს?

სად გავრბივართ, საით მივექანებით? გავჩერდეთ ცოტა ხანს და ჩამოვუაროთ ერთმანეთს. ვბერდებით! ვბერდებით! მალე სახეებიც დაგვავიწყდება, ველარ ვიცნობთ ერთმანეთს. ამაზე დიდი სირცხვილი რაღა იქნება. იქნებ მე მჭირს მარტო სიყრმის მეგობრების ნოსტალგია, თუ ასეა, ჯანდაბა ჩემს თავს, მაგრამ ყველანი რომ ასე ხართ? ამისთვის იყო ის ტკბილმწარე ბავშვობა და ყმაწვილკაცობა? იმიტომ ვეფიცებოდით ძმობას და ვარკვევდით ცხოვრებასთან ჩვენს გულუბრყვილო ურთიერთობას, რომ მერე სამუდამოდ დაგვეკარგა ერთმანეთი? – ჩემს მაგალითზე ვამბობ, რაიმე საგანგებო გარემოება რომ ყოფილიყო, ხმას არ ამოვიღებდი. მე რო საზღვაო დამემთავრებინა და შორეული ცურვის ბოცმანი ვყოფილიყავი, ვინ მამაძაღლი იწუწუნებდა, სად შეგხვდება გაშლილ ზღვაში ბავშვობის მეგობარი, მაგრამ მე ხომ ისეთი მშვიდი ფაკულტეტი დავამთავრე, როგორიც სამკურნალო ფიზკულტურული გახლავთ. მე ხომ გოჭოურადან ფეხი არ გამიდგამს. სადაც დავიბადე, იქ ვცხოვრობ ახლაც. ცოლიც არ შემირთავს „უცხო მხრის“. ჩემგან მეხუთე მოსახლეა ჩემი სიმამრი, მუშაობითაც ბაზრის გვერდით, „ფხიზელთა“ კლუბში ვმუშაობ. მაშ, სად არიან, სად მიიმალნენ ჩემი ბავშვობის პატატვრანი ბიჭები და გოგონები? წუთისოფლის წყევლა-კრულვიანი საკითხავი, იმ რვა საკითხავთან ერთად, მე მგონი, ესეც არის.

გერვასით დავიწყე და და სად გამიტყუა ფიქრმა. ბოდიშს ვიხდი, ბატონო, ვერ ვისწავლეთ, ვერა, მოკლედ, ლაპარაკი. ამ ბოლო რვა თვეში სამჯერ შემხვდა გერვასი გრძელიძე და სამივეჯერ ბავშვები დამაფიცა, შინ მეწვიეო, შარშან შვიდ ნოემბერს პარადზე გავდივარ, კინო „ქუთაისთან“ წამით გაგვაჩერეს. „ზაური!“ მესმის მარჯვენა მხრიდან, მივიხედე, მაშინვე ვიცანი. ოცდასამი წელია არ მენახა, მაგრამ სიცილზე ვიცანი. ცხენივით ჭიხვინი იცოდა ბავშვობაშიც, ამასობაში დავიძარით. მწყობრიდან გამოსვლა აღარ შეიძლება. რა ვქნა. „რავა ხარ, გერვასი, სად ხარ დაკარგული-მეთქი!“ ეს მივაძახე.

ორივე ხელი პირზე მივიფარე და ჰაეროვან კოცნას რომ ეძახიან, ვსტყორცნე სიარულში „გამომიარე, გამომიარე, სალაპაკო მაქვს შენთან, გამომიარე გაფიცებ ბავშვებს!“ დამაწია გერვასიმ და მარშის ხმაში სადღაც, უკან ჩაიკარგა. მეორედ შაბათობაზე მოვკარი თვალი წლეულს აპრილში. ტყის გასაშენებლად გაგვიყვანეს მოწამეთისკენ, ბარები რომ ჩამოგვირიგეს და რკინიგზის გადაღმა გაგვამწკრივეს, ჩვენ წინ ავტობუსი გაჩერდა. „ზაური!“ გერვასის გამოუყვია ავტობუსიდან თავი და მიღიმის. „გაუმარჯოს ჩემს ძმას, ჩემს გერვასის“, ამასობაში დაიძრა ავტობუსი, მივსდევ, „საით, ჩემო გერვასი?! „ჩვენ ნერგების ამოსაღებად მივყავართ, მოგისწრებთ, მე მგონია, რატომ არ მოხვედი, ხომ გითხარი, სალაპარაკო მაქვს-თქვა! გამომიარე, გაფიცებ ბავშვებს!“ „მოვალ! მოვალ!“ მეტის თქმა ვერ მოვასწარი. ჩვენ საღამომდე ორმოები გვათხრევინეს, ნერგები აღარ მოუტანიათ. ამას წინათ მატარებლით ჩავიარე ჩვენი ამოთხრილი ორმოები შენახულია მშვენივრად. ნერგებს, ალბათ, გაისად ჩარგავენ. ახლახან, მესამედ შემხვდა გერვასი სამაისო მარშირებაზე, სახანძრო მანქანის კიბეზე იდგა და ტრანსპარანტს იქნევდა, „გერვასი!“ მეთქი, რომ მივაძახე, მთელი ტანით შემობრუნდა და კინაღამ გადმოვარდა კიბიდან. რომ დამინახა, გულდაწყვეტით ჩამომძახა: „სად ხარო, ბიჭო, არ გრცხვენია? ეს ვართ ჩვენ ერთმანეთისთვის!?“ „მოვალ, გერვასი, მოვალ!“ დავაიმედე და ამჯერად უკვე მტკიცედ გადავწყვიტე მივსულიყავი, „გაფიცებ ბავშვებს!“ ყოველ შემთხვევისათვის დაამატა, მაგრამ შეეძლო არ დაემატებინა, ისედაც მივიდოდი.

მახსოვდა არხსგაღმა ცხოვრობდა, იქვე ახლოს ყოფილა „ფეზეოსთან“, ცოლსაც ვიცნობდი, ჩვენზე ერთი წლით უკან სწავლობდა. ვალიდა ერქვა. მემწვანილის გოგო იყო, შაბათ დღეს, ნასადილევს, ასე ხუთ საათზე ფირმა „ლომისის“ კიოსკში მოჭიქული სურა ვიყიდე. ჩვენთან ახლა ამნაირ, წარწერიან სურას საჩუქრად დიდი მაზანდა აქვს, ლამაზია და არც ძვირი

ჯდება მაინცდამაინც. იქვე წავაწერინე მტვიფრავს – „სიყრ-
მის მეგობარს გერვასის და მის ძვირფას მეუღლეს ვალიდას
ზაურ მაქვაძისაგან“. შევახვევინე გაზეთში, ამოვიიღლიავე
და გავუდექი არხის ქუჩას. კითხვა-კითხვით მივაგენი გერვა-
სის სახლს. კარი თავწაკრულმა მწვანეფლანელისხალათიანმა,
გამხდარმა ქალმა გამიღო, თვალებით ვიცანი ვალიდა.

„მობრძანდი“, „ნუ წუხდებით“, „დაბრძანდი“, „ფეხზე და-
ვიცდის“ ცერემონიალი რომ ჩამთავრდა – „გერვასი როდის
მოვა-მეთქი“ ვკითხე ქალბატონ ვალიდას.

– გერვასი ჩვენთან აღარ ცხოვრობს, – განზე გაიხედა და
ამოიოხრა.

– რანაირად? რამდენი ხნის ამბავია? – შევიცხადე.

– არ გაგიგიათ? კი, ბევრმა არ იცის, წელიწადი მალე შეს-
რულდება, აიკრა გუდა-ნაბადი და წავიდა. ერთხანს საფიჩხი-
აზე ცხოვრობდა ნაქირავებში, ახლა აღარ ვიცი.

– კი მარა?

– არაფერი მიზეზი, ბატონო, იმ ერთ ბავშვს ვფიცავარ.
ჩხუბი კი არა, ხმამაღალი, ლაპარაკიც არ მოგვსვლია. წა-
ვალ მეო, ჩაის რომ ვსვამდით დილას, ასე გამომიცხადა. სად
წახვალ-მეთქი, ვკითხე. საერთოდ წავალ სახლიდანო. რა იყო,
რა გაწყენინეთ, რა ბზიკმა გიკბინა-მეთქი. არაფერიო, შენ ძა-
ლიან კარგი ქალი ხარ, მაგრამ აქ მეტს ვეღარ გავჩერდები.
მე თვითონ არ ვიცი, რა მემართებაო. ბავშვს ყურადღებას
არ მოვაკლებ, რაც შემეძლება შენც გაგიმართავ ხელს. ა, ეს
სახლი, ეს კარი, ჩემი ტანსაცმლის მეტს არ წავიღებ არაფერს,
ოღონდ ახლა არაფერი მკითხო. ერთ დღესაც ვეღარ გავათევ
ამ ჭერქვეშო. დაფიქრდი კარგად, რაზე ანგრევ ოჯახს-მეთქი.
არ მკითხო, ხომ გთხოვე, ნურაფერს მკითხავო. ბიჭი სკოლაში
იყო, ჩაალაგა ერთ პატარა ჩემოდანში საცვალ-სამზერი და
წავიდა. ჭიშკარს ისე გაცილდა, ერთიც არ მოუხედავს.

მოვიხურე თავშალი და დავეწიე ქუჩაში. გერვასი, ნუ და-
მიმალავ, ეგებ ავად ხარ, რამე გჭირს, ყველაფერი მითხარი,

ყველაფერს გავიგებ-მეთქი. არაო, არაფერიო, საღ-სალამათი
ვარ, ნუ გეშინიაო, შებრუნდი სახლში, ნუ მომსდევ ამ ქუჩაშიო.
გაჩერდა, ხელი ჩამომართვა გზაში ატორღიალებული აბეზარი
ნაცნობივით და, წავიდა. რა უნდა მექნა, კივილს ხომ არ
ავტეხავდი. მოვბრუნდი სახლში, სკოლიდან რომ დაბრუნდა,
ბავშვს ვუთხარი, მამაშენი სამუშაოდ სხვაგან გადავიდა-მეთქი.
ერთ თვეს ვუმალე სიმართლე, იმედი მქონდა, გაუვლის ხუშ-
ტური ჩემს ქმარს და მობრუნდება-მეთქი, სამსახურში მივა-
კითხე ერთი-ორჯერ; არ ესიამოვნა ჩემი დანახვა. მაშინ ახალი
წასული იყო სახლიდან. ორ თვეს ჩვენკენ არ გამოუხედავს,
ახლა ბავშვს აკითხავს ხანდახან, სკოლაში. ბიჭი პატარა კი
არაა, მეშვიდეშია. ხვდება, რაც მოხდა; მაგრამ მე არ მეკითხე-
ბა არაფერს, ჯერ არ მინდოდა ნათესავებში გამემხილა, მერე
ყველამ გაიგო. ვინ არ მიაკითხა, რა ჭკუა არ არიგეს, მაგრამ
აღარ ქნა პირი აქეთ. საფიჩხიაზე, კეჭაღმაძის ბინაზე ცხოვ-
რობს იქვე სანავთესთანო. დავაპირე მისვლა, მაგრამ რომ
მითხრეს, ვიღაცა ქალი დაუდისო, გავბრაზდი და აღარ მივ-
სულვარ. ქალი თუ უნდოდა, მე თუ აღარ ვუყვარდი, დაუშა-
ლა ვინმემ? ამ ოჯახს რაღაზე ანგრევდა, რომელი ეჭვიანი და
ფეთიანი ცოლი მე ვიყავი. არასდროს არ მიკითხავს, რატომ
დაგაგვიანდა-მეთქი, ახლა ხელფასის ნახევარს თავისი ძმაკა-
ცის ხელით გვიგზავნის, მთავრობას არ გავრევ ჩემს საქმეშიო.
არც სასამართლოზე ძრავს სიტყვას, ხელს ჯერ არ გავაწერო.
ჩემი საქმე მე ვიციო. ასე ხომ არ იქნება, უნდა დაამთავროს,
ან ისე ან ასე, შორდება ხალხი ცოლს, რა ქვეყნის დაქცევა ეგ
არის. ღმერთმა ნუ ქნას, რამე რომ მოუვიდეს, მე უნდა მომი-
ვარდეს ვიღაც ქალი და ოჯახი ამიწიოკოს? ადამიანი საიდან
უნდა გასვენდეს, ეს არ უნდა ქონდეს გარკვეული?

– სიავისგან ღმერთმა დაგიფაროთ. გასასვენებელი ჯერ რა
გჭირთ, ან ერთს, ან მეორეს. – წავილუღლუღე.

– ორმოცდაათს მალე მივუკაკუნებთ, ზაურ ბატონო, ბავშ-
ვები აღარ ვართ ადამიანი ერთწამსაა, ყველაფერზე უნდა

იფიქრო დღეს კაცმა. იმნაირი დროა, პანტა-პუნტით ცვივა ხალხი, მე შენ გეტყვი, ჰაერი არაა მოწამლული, ხომ ნახეთ, რა ეწერა გუშინდელ გაზეთში – მექსიკის მიწისძვრა ატომური აფეთქების ბრალიაო, არეულია ქვეყანა და აერია ტვინი ხალხსაც, მგელს გადარჩენილი თხებივით ვაწყდებით იქეთ-აქეთ.

გაზეთში გახვეული სურა, რომელიც ხელში მეჭირა, გვერდით, ტაბურეტზე დავდე და წამოვდექი.

– მივალ აბა ერთი მეც დაველაპარაკები, ქალბატონო ვალიდა. მაინტერესებს, რაშია საქმე, ეგება ჩემი შეისმინოს.

– ძალიან დაგვავალებთ, ზაურ ბატონო. ჰკითხეთ ერთი, რას აპირებს, რას ფიქრობს. სიყრმის მეგობრის დალაპარაკება სხვაა, ხომ იცით, მაინც. ისე ნამეტანი ხვეწნას ნუ დაუწყებთ. იქნება მართლა აღარ ვუნდივართ, იქნებ ასე სჯობია მისთვის. კაცია, თავისი საქმე თვითონ იცის. ჯანმრთელად იყოს და რა ვქნა ახლა, როგორც არი-არი. ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს.

– სად ცხოვრობსო, რა ბრძანეთ? – კართან მოვტრიალდი.

– რკინიგზის საავადმყოფოს რომ გაცდები, იქვე, ურიცკის ქუჩაზე სანავთიდან მეორე მოსახლეაო. კეჭაღმაძე ყოფილა, არ ვიცნობ, არ გამიგია.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

– ახლა სახლში იქნება. სამსახურიდან საერთოდ შვიდზე მოდის, მარა დღეს მოკლე დღეა და შინ იქნება. სახანძრო, მოგეხსენებათ, შაბათ-კვირასაც მუშაობს. უნდა გვაპატიოთ, ბატონო ზაურ, ვერ დაგხვდით საკადრისად.

– რავა გეკადრებათ, ქალბატონო ვალიდა. აბა კარგად, გავარკვევ ყველაფერს, გამოსწორდება ეგ საქმე. როგორც თქვენ ბრძანეთ, არაფერი სერიოზული არ არის.

– ან გამოსწორდება, ან არა, ბატონო. რა ვქნა ახლა, თავს ხელმეორედ ვერვინ იშობს. თვითონ კარგად იყოს და... აბა, კარგად, სულ კარგად.

– კარგად, კარგად.

კეჭაღმაძის სახლის მოძებნა არ გამჭირვებია. ოღონდ ეგ იყო, ქარი უბერავდა და ძლივს გავაგონე მასპინძლებს. ბერეტიანმა ჯუბაჩამოსხმულმა გოგომ მოირბინა ჭიშკართან. „გვაპატიეთ, ბატონო, ალბათ დიდი ხანია იძახით, ტელევიზორს ვუყურებთ უკანა ოთახში და არ გვესმის არაფერი“. არა უშავს, შვილო, მე გერვასისთან ვარ, ხომ არ გადასულა, ხომ თქვენთან ცხოვრობს-მეთქი. კი, ბატონოვო, ვნახავ, თუა სახლშიო, – აივანზე ავარდა და ფანჯარას მიუკაკუნა. მდგმური რომ შეეპასუხა, ისევ ჩემთან მოირბინა და აივანზე ამიძღვა. „გერვასი ბიძია, სტუმარია შენთანო“, დაკეტილ კარს შესძახა. ავდგები ამ წუთშიო, – გერვასის ხმა ვიცანი, გოგომ ბოდიში მომიხადა, ფეხსატუცები კიბესთან დატოვა და წინდებისამარა შევიდა სასტუმრო ოთახში.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაეხარდა ჩემი ნახვა. ახლავე გავვარდები და ღვინოს მოვიტან, მაღაზია აქვეა. ნაცნობი ნოქარი ჩუმად მომცემს ღვინოსო. არ გავუშვი. „ჩაი დავლიოთ, აგერ და ვილაპარაკოთ. არ ვსვამ, ჩემო გერვასი-მეთქი. ჩაი როგორ გკადრო ძვირფას სტუმარსო. აღარ გელოდი, სიმართლე გითხრა და საერთოდ აღარავის აღარ ველი, შემცივდა ცოტა და შევწექი ლოგინშიო. „მაინძელოს“ ძახილი მესმოდა, მაგრამ შენ თუ იყავი, რას წარმოვიდგენდიო.

დაფაცურდა, ჩაი გამოაწყო. შავი პური ხელით დატეხა, საველე მაცივრიდან გამხმარი ყველი გამოიღო, ფანჯრის რაფაზე ქილები ეწყო. მანდარინის მურაბა ამოარჩია და გახსნა. „მთლად მშრალზე არ ივარგებს ჩვენი შეხვედრაო, საწოლს უკან ხელი გადაყო, „ენისელი“ დააძრო და სანამ უარის თქმას მოვასწრებდი, კბილით წააგლიჯა თავი. ჩაის ჭიქები ნახევრამდე შეავსო და თითო ყლუპი რომ მოვსვით, დაიწყო:

– ჩემს ამბავს გაიგებდი, რასაკვირველია.

– კი, სხვათა შორის არ ვიცოდი. ახლა შენი სახლიდან მოვდივარ.

– ვალიდა ნახე?

– რა თქმა უნდა.

– რაო? რა გითხრა, თუ კაცი ხარ.

– არ მესმის არაფერიო, რა ბზიკმა უკბინა გერვასის, ვერაფერი გამიგიაო. მიდი, დაელაპარაკე, იქნებ შენ მიხვდე რამესო.

– შენ ვერაფერი შეატყვე?

– რა უნდა შემეტყო?

– თუმცა რა უნდა შეგეტყო. ერთხელ დალაპარაკებით რომ გვესმოდეს ჩვენ ერთმანეთის, სხვანაირად იქნებოდა ცხოვრება აწყობილი.

კონიაკიანი ჭიქა პირში გადაიპირქვავა, პურის ნატეხი (პური საკმაოდ გამხმარი იყო, თორემ ნაჭერს ვიტყოდი) დააყოლა და განაგრძო:

– ზაურ, გადაბმული ძმაკაცები ჩვენ არ ვყოფილვართ სკოლაში, მართალია, მარა ახლა რომ ვუკვირდები, მგონია ყოველთვის გვესმოდა ჩვენ ერთმანეთის. რა ვიცი, იქნებ მეჩვენებოდა. ან ახლა მეჩვენება. ეს ამბავი რომ შემემთხვა, პირველი, რაც გავიფიქრე ეგ იყო: ზაურის მოვუყვები. მარტო ზაურს გავანდობ; ზაური სხვა კაცია-მეთქი. აქ ვინ არ მოვიდა ჭკუის დასარიგებლად, რა ნატაციები არ მიკითხეს, ხომ იცი, სხვას ყოველთვის სხვაზე ჭკვიანი ჰგონია თავი, მარა არავისთვის არ მითქვამს, რაშია საქმე. რაღაც მივკიბ-მოვკიბე. ათასი მიზეზი აქვს ცოლ-ქმრის გაშორებას. ახლა შენ უნდა გითხრა სიმართლე. შეიძლება სისულელეა ეს სიმართლე და ყველაზე მეტად ჰგავს ტყუილს, მარა ჩემი სიმართლე ეგ არის და გინდ დაიჯერე, გინდ არა. რატომ გკითხე, შენ ვერაფერი შეატყვე-მეთქი, იცი? ხომ ჭკვიანურად, ბრძნულად გითხრა ყველაფერი. გეტყოდა, არ უნდა ლაპარაკი. არ ვიცი, რამდენ ხანს ილაპარაკეთ, მარა ხომ მოასწრო ჩემზე ზრუნვის გამოხატვაც, ბავშვის მომავალზე სიტყვის ჩამოგდებაც, საფლავის მიწა რომ აღარ იშოვება იმაზე წუხილიც, საერთოდ ხომ გამოგყვა ფიქრი, ჭკვიან, დალაგებულ ქალს ველაპარაკეო, გაფიცებ გულით საყვარელს, მისმა განსჯამ და ანალიზმა, მისმა წინდახედულებამ და სიდარბაისლემ არ დაგღალა ცოტათი მაინც?

– რა ვიცი, ამაზე არ მიფიქრია, საერთოდ, ძალიან ჭკვიანი ქალია. თუ მისთვის ასე სჯობია, ხვეწნას ნუ დაუწყებო, ოღონდ თვითონ კარგად იყოსო.

– რისი მეშინოდა, იცი? მეშინოდა, რომ ვერ გეტყოდი, ვერ აგიხსნიდი, სიტყვები არ მეყოფოდა სახლიდან ჩემი წამოსვლის მიზეზის ასახსნელად და ვატყობ, გულუბრყვილო, ჩურჩუტი კაცი გამოვჩნდები შენ თვალში. არ უნდა კითხო კაცს საერთოდ ასეთ დროს, როგორც ჩანს, მიზეზი. ცოლქმრობა რაღაც სხვანაირი, იდუმალი, საიდუმლოებით მოცული ამბავია და მესამე პირის ჩარევას, განსჯა-გაშიშვლებას ვერ უძლებს. ათასი მიზეზით შორდებიან-მეთქი ცოლ-ქმარი ერთმანეთს, მაგრამ ჩემი მიზეზი ათას მეერთეა. შეიძლება, კაცო, ყველაფერი იცოდე, ყველაფერი გაანგარიშებულ-აწონილი გქონდეს, არაფერი გეშლებოდეს ადამიანს? შეიძლება ერთხელ არ წაგეჩხუბოს, არ წაგეკამათოს მაინც? ყველაფერი თავის დროზე, ყველაფერი გაუთოვებულ-განმტკიცებული იყოს ოჯახში? შენიშვნის მიცემის საშუალება არ უნდა მოგცეს ცოლმა? არ უნდა იგრძნო მამაკაცმა, რომ შენ ოჯახის თავი ხარ, უფროსი ხარ; ხან რაღაც არ მოგეწონება, ხან დაარიგებ, ხან დატუქსავ შენს თანამეცხედრეს? ასეთი მოწესრიგებულობა გამიგონია? ვერ გაგაგებინებ, ვიცი, ვატყობ, მარა რამ ამიშალა, იცი ნერვები? ხვდები? ჩემი ცოლის ნამეტანმა, ზედმეტმა დამღლელმა წესრიგიანობამ. ქალი იმისია, რომ ცოტა, სულ ცოტა არეული მაინც უნდა იყოს. დილას რომ გადავხედავდი ლოგინში, ასე მეგონა, მსოფლიო ცოდნით დაზუზღული მისანი მეწვა გვერდით, ქალი კი არა. ვერ წამოკრავდი უკანალზე ხელს, როგორც ქალს წამოკრავ ხოლმე ხანდახან, ისე, ხუმრობით. თვითონ კი არაფერს გეტყოდა, ისე წესიერად, ისე სერიოზულად (მაინც ვერ მოვძებნე ის სიტყვა), იქცეოდა,

აღარ გიტოვებდა ღლაბუცის ან შეთამაშების საშუალებას. ქალი ქალი უნდა იყოს, მე მგონია. ქალი უნდა იყოს და მეტი არაფერი. ვალიდამ ყველაფერი იცის, რისგან რა გამოვა, რას რა მოყვება, რა სად და რანაირადაა საჭირო. ერთი სიტყვა ზედმეტი; ან იეჭვიანე, ქალმა, ყასიდად მაინც; სად იყავი გერვასი, ამდენხანს თქვა, ერთხელ მაინც აიშალე ნერვები, თავი ძალად მოიგიჟიანე-მეთქი კი არ ვამბობ. ნუ ხარ ასე სულ ერთნაირი, სულ კარგი, სულ ჭკვიანი. სულ წინგამხედავი. მოკლედ, ვერ გეუბნები, ვერ აგიხსნი. მე თვითონვე ვგრძნობ, რომ არა მაქვს მე იმის ძალა და უნარი, სხვას გავაგებინო. სხვები სხვა მიზეზით შორდებიან, რაღაც ნაკლი აქვს, რაღაც ვერ გაუგეს ერთმანეთს, – მე ნაკლი რომ არა მქონდა, ჩემი ძალიან, ზედმიწევნით კარგად რომ ესმოდა, ნამეტანი კარგი ცოლი რომ იყო, – იმიტომ გავშორდი. ასე იტყვის საქმეში ჩაუხედავი კაცი, ალბათ, ჩემს ბჟუტურს რომ მოისმენს. დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. რა სევდა მოვიდა ჩემთან, რა სასწაულმა მიქცია მხარი, ვერ გეტყვი. კარგი არ მომიხდა? ერთფეროვნებამ დამღალა? შენ თვითონ, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, რომ წახვალ, შენ თვითონ მიუმატე ამ ჩემს ნათქვამს, შენი ფიქრიდან რაღაცა, მე ზუსტად ვერ გითხარი სათქმელი, მარა, შეიძლება თუ არა ასეთი მიზეზი ჰქონდეს ოჯახის დამნგრევ კაცსო, სხვას ნუღარ კითხავ. ჩემს მაგალითზე უნდა დაასკვნა, რომ თურმე შეიძლება. მე არც ვაჭარბებ და, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით სრულ ჭკუაზე ვარ.

– ქალი დაუდის ვიღაცაო? ჩვენს ასაკში მოჩვენებითი ახალგაზრდობის ილუზია ბუნებრივია. ბოლო ძახილი სიყვარულის?

– არა, შენ არ მომიკვდე. ქალი კი მოდის, მარა არავითარ შუაში არ არის ამ ამბავთან. სიყვარულობიის თამაში მინდა მეე? არავითარი მაგის მსგავსი. იგი ჩემს ცხოვრებაში სულ არაფერს ცვლის. რომ გავა ამ ოთახიდან, მთელი კვირა ისე გაივლის, არც კი გამახსენდება. ცარიელი საათების შემვსები ქალია. თავისი საქმე იცის. დღეს ჩემთანაა, ხვალ სხვასთან

წავა. მე სხვა უფრო დიდ რაღაცას გეუბნები. ეს ქალი, ეს... უმნიშვნელო რაღაცაა. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის.

– საერთოდ... რა ვიცი... რას აპირებ?

– შენ ეს მითხარი, გამიგე, ცოტათი მაინც? ხომ გამიგე? ეს იყო ჩემთვის მთავარი. რა ვიცი, რას ვაპირებ. ხვალ რა იქნება ვერ გეტყვი, შეიძლება გამიაროს, უფრო შეიძლება არ გამიაროს. აგერ წელიწადი თავდება და უკან მიხედვაც არ მინდა. მეშინია ვალიდას უჭკვიანესი თვალების და მისი დაწყობილი სჯა-ბაასის გახსენებისაც კი.

– რა გითხრა. ნახე, დააკვირდი... შენი საქმე შენ იცი, იცვლება კაცი. დრო რომ გავა, შეიძლება სხვანაირად შეხედო ამ ამბავს. შეიძლება მერე სწორედ ასეთი ცოლი სჯობდეს.

– რა ვიცი... რა უცნაური ყოფილა ეს ცხოვრება, ეს უპატრონო.

გვიან ღამით დავემშვიდობე მასპინძელს. სხვაც ბევრი რამ ვილაპარაკეთ, მაგრამ ამ ნოველას ვერაფერს შესძენს და მკითხველს აღარ გადავღლი. ყოველ შემთხვევაში იმ კითხვას, რაც თქვენც გაინტერესებთ („დაბრუნდება თუ არა გერვასი შინ“), ჩვენი საუბრის გაგრძელებამ ნათელი ვერ მოჰფინა.

დაუოკებელი

აგვისტოს ცხელი, მაგრამ სამაგიეროდ მშვიდი საღამოა.

მოგეხსენებათ, ამ დროს ძირითადად ქალაქში აბიტურიენტებთან დაკავშირებული ადამიანები და ის ჯიუტი მამაკაცები სჭარბობენ, რომელთაც ცოლშვილი კარგა ხანია აგარაკებზე გახიზნეს, თვით კი ბინის არმიტოვების საბაბით დასვენება სექტემბრისთვის გადადეს. მართალია, ისინი ხვატით გათანგული, ოჯახისათვის შეწირული კაცის სევდიან წერილებს იწერებიან, მაგრამ, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, არც ისე გულუბრყვილონი გახლავან, როგორც ზოგიერთ დარწმუნებულ დიასახლისს ჰგონია. დასმენასავით გამომდის, მაგრამ ჭეშმარიტებას როგორ ვუღალატო. ამ დროს შესაბამისად ქალაქში რჩებიან ისინიც, ვის გმირობასაც ოდესმე მაინც სათანადოდ დააფასებს მემატიანე – ცოლშვილიან მამაკაცებზე ნახევრადსაიმედოდ შეყვარებული ქალები. ისინი ზაფხულის ცხელ თვეებში შეთანხმებულებივით უარს ამბობენ არალეგალურ საქმიანობაზე და ლეგალურ ცხოვრებაზე გადმოდიან. სწორედ ისინი დააბიჯებენ ახლა თქვენ მიერ საგანგებოდ მოპრიალებულ პარკეტზე, ძვირფასო ცოლებო, ურცხვად აღებენ მაცივრებს და, ღმერთო შეგცოდე (ასეთი შემთხვევებიც არის), თქვენეულ, გაფუმფულებულ საწოლებშიც დილამდე ნებივრობენ.

ოჯახის ბოლომდე ერთგულ არაერთ მამაკაცს რომ არ ვიცნობდე, მეც კარგა ხანია ვირწმუნებდი ეკზისტენციონალისტების მიერ დაჟინებულ იმ ყბადაღებულ აზრს, რომ ცივილიზებული ადამიანის ცხოვრება ორი ნაწილისაგან – ოფიციალური და გასაიდუმლოებული მხარისაგან შედგება. რომ ადამიანური ინსტინქტების უმეტესობას ვერა დააკლო რა მის მიერვე შემოღებულმა ეთიკურმა კანონებმა, რომ აკრძალული ხილის

გემო ადამის ნაშიერს ჩვენს დღეებამდე მოჰყვა და ვინ იცის, იქნებ ამ ორსახეობის – დაფარულის და ცხადის თანაარსებობა ადამიანთა ცხოვრებას ინტერესს ჰმატებს.

ვინც თავისი ერთსახოვანი და თანმიმდევრული ცხოვრების წესით მაიძულებენ, მედგრად შევებრძოლო ბურჟუაზიული ფილოსოფიის ამ ნაბოძვარს, ახლა, აგერ, დავითაშვილის მეორე ჩიხში, ერთ მორყეულ სამეზობლო ძელსკამზე სხედან და გულიანად საუბრობენ.

ჯერჯერობით სამნი არიან; ბუღჰალტერი გრიშა ასათიანი, მეთუნუქე გიგლა ჩირაძე-მელიქიანი და ტყიბულის მოქალაქე, აბიტურიენტის მამა, გაურკვეველი პროფესიის კასიანე ლუკავა. კასიანემ კარგა ხანია აუწყა მეზობლებს მისი გოგონას ჩაჭრის სამწუხარო ფაქტი და, უნდა აღინიშნოს, თანაგრძნობის მხურვალე სიტყვებიც უხვად მიიღო. ლუკავა ხვალ აპირებს გამგზავრებას. გოგონა აგრეთვე ჩაჭრილ მეზობლის ყმაწვილთან ერთად ვაკის პარკში – კინოში გაუშვა (იქნებ, დაჩაგრულმა ბავშვებმა ცოტა გული გადააყოლონო), თვით კი ახლადშეძენილ მეგობრებთან საუბარი არჩია.

რა მიმართულების იყო სამი თავისუფალი მოქალაქის უეშმაკო მსჯელობა. ჩემი ალღოიანი მკითხველი გიგლა ჩირაძე-მელიქიანის ამ ალალ, გულიდან წამოსულ შეკითხვასაც შეატყობს:

– მიკვირს და გამკვირვებია. ორი ერთნაირი ჭკუის ადამიანი ხომ არ არსებობს. ყველას თავისი ოფოფები ჰყავს, ისე მე, რატომ სხვა რამეებში ეგრე არ არის?

– სხვა რამეებში რას ჰგულისხმობ? – ჰკითხა გრიშამ.

– გინდა საქონელი ავიღოთ, გინდამც ფრინველები. გინდამც სხვა რამე. იქ ხომ არ არიან ჯიბგირები, ხულიგნები, აფერისტები. არ გიკვირთ ლოთიანად? – კასიანეს შეხედა გიგლამ, მაგრამ კასიანეს თავისი დარდი უდაგავს გულ-მუცელს და, არიან თუ არა ცხოველებში ხულიგნები, ნაკლებად აინტერესებს. დიალოგის კოცონი რომ არ ჩაქრეს, ზრდილობის გუ-

ლისთვის, რასაკვირველია, თავს უქნევს შეკითხვის დამსმელს.

– შენ ეგრე გეგონოს. ჩვენი თვალიდან ასე ჩანს, თორემ, არ დაიჯერო, ცხოველ-ფრინველთა სამყარო ჩვენზე უფრო მოწესრიგებული ერთეულებისგან შედგებოდეს. იქაც არიან თავისებური ზარმაცნი და ფარისეველნი, ხულიგნები და თქვენ წარმოიდგინეთ, ჯიბიდან გავარდნილნიც. ერთ ამბავს გიამბობთ და თქვენვე დარწმუნდებით.

გიგლამ და კასიანემ ერთდროულად დაიწყეს მუხლებზე ხელები და სმენად იქცნენ, გრიშამ სიგარეტს თავი მოუსრისა, ამოწეული თამბაქო ამოაკლო და ერთხელ კიდევ გაისვა თითებზე სიგარეტი, მოუკიდა, გააბოლა და ფეხებთან ჯირკს ჩამოადო. ასე იცის სანამ სიგარეტი ბოლომდე დაიწვებოდეს, ერთ ნაფაზს კიდევ დაარტყამს. შეიძლება მეტი აღარც დაარტყას; გააჩნია, როგორ გაიტაცებს ამბავი, რომლის მოყოლასაც აპირებს, საერთოდ სამ ათეულ წელზე მეტია, მეზობლები ამ ძელსკამთან იკრიბებიან (კასიანე, როგორც მოგახსენეთ, ახალია) და ყოველდღე, თითქმის, ერთი და იგივე მეორდება; ჯერ ცოტას წაისაუბრებენ მერე კი გრიშა ასათიანი ჰყვება, ხოლო სხვები უსმენენ, თქვენსკენაც ხომ ასეა, ძვირფასო მკითხველო, სამეზობლო ჯგუფში, ძირითადად ერთია მთხრობელი, თუ მეორე მთხრობელიც გაჩნდა, ჯგუფი იყოფა და ეზო-ყურეში ახალი ძელსკამი ჩნდება. ყოვლისმცოდნე და ლამაზად მოლაპარაკე მთხრობელებს ერთმანეთი ძალიან უყვართ-მეთქი რომ გიმტკიცოთ, მართალი არ ვიქნები.

– რომელი წელი იყო, ხორცი და პური რომ ცოტა შემოგვაკლდა? – დაიწყო გრიშამ.

– სამოცდაორი, – წააშველა გიგლამ.

– სამოცდაორი, სწორი ხარ. ეს ამბავი კი სამოცდაოთხში მოხდა. მაშინ ჭრა-კერვაში ვმუშაობდი; მთავარ ბუღთალტრად, ვახტანგი ხომ იცით, ჩემი ძმაკაცი – საბაძე, ცირკის სასტუმროს ადმინისტრატორია ახლაც. ჰოდა, ვახტანგმა ამტეხა, კათაყვავკავში თურმე გოჭ-ქათმეული ნახევარ ფასად იყიდება,

წავიდეთ ერთ შაბათ-კვირას, რატომ უნდა გვაჯობოს სხვამ – კათაყვავკური ენა არ ვიცით თუ ვაჟკაცობა გვაკლიაო. ჭკუაში დამიჯდა. არ დავმალავ, ვიცუღლუტე პატარა; გამოვაწერინე ჩემს უფროსს რვაკაციანი ავტობუსები რომაა, ახლა რაფს ეძახიან, მაშინ აღარ მახსოვს, რა ერქვა. ეს, ახლანდელი, ცოტა გაუმჯობესებულია, მაშინდელი უფრო მაღალ ბორბლებზე იდგა და თუ ოცზე მეტი სიჩქარით მოუხვევდი, გადაბრუნება ხელში გეკავა. ერთი სიტყვით, გავუყევით გზას. მანქანა, რა თქმა უნდა, ძველი და დანჯღრეული გახლდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მძღოლი შეგვხვდა გამოცდილი. სამოცსგადაშორებული კაცი იყო, მარცხენა ლოყა დიდი, ბადრიჯნისფერი ტყირპით ჰქონდა ჩაბნელებული, დილით, ცოტა არ იყოს, დააგვიანა მოსვლა და შეგვაშინა, ღვთის წინაშე, ბოდიში მოგვიხადა, მანქანას ვაკეთებდი, დაბერდა და დღედღეზე ჩამოსაწერია, მაგრამ არ ვეშვებითო, მე რომ ცოტა შეცბუნებულმა განვუცხადე, ექსკურსიის სხვა წევრები არ ჩანან-მეთქი, გაიღიმა და თვალი ჩამიკრა – არ გინდათ, ბატონო, ჩემთან მასეთი ლაპარაკი. გუშინდელი ხომ არ გგონივართ. მშვენივრად ვიცი, რის საყიდლადაც მიდიხართ კათაყვავკავში. ექსკურსიებზე ვინღა დადის ახლაო.

გიგლამ იცის, მე გაჭიანურება არ მიყვარს და თავს აღარ შეგაწყენთ იმის მოყოლით თუ იქეთობას რამდენი გვაწვალა და გაგვაძაღლა მანქანამ, განსაკუთრებით ფასანაურს რომ გავცდით, რადიატორში წყალი დუღდებოდა და წამდაუწუმ ვასვენებდით, ერთ კინოდ ღირდა ჩვენი „დასვენება“. ძრავა რომ ხლიწინ-ჩლახუნს დაიწყებდა და მანქანა ჩორთით მიმავალ ჯაგლაგზე უფრო ნელ სიჩქარეზე დაეშვებოდა, გავჩერდებოდით. მძღოლი სახეზე შემდუღებელთა ნიღაბ-სარკეს აიფარებდა (წინდახედული კაცი იყო, იცოდა თავისი მანქანის ამბავი და თადარიგი დაეჭირა) და კაპოტს ახდიდა. ბრეზენტის ერთთითიანი, ჭუჭყისგან ჯალაშასავით გასქელებული ხელთათმანებით რადიატორის სახურავს მოხსნიდა და უკან

მიასკდებოდა, რომ ადუღებული წყლის შადრევანი თავზე არ გადავლებოდა. როცა რადიატორის ამოფრქვევა მინელდებოდა და ცხელი წყალი ბუყბუყზე გადავიდოდა, პირნიღბიანი მძღოლი ონკანს გახსნიდა, მდუღარეს ჩამოღვრიდა, რადიატორს ცივი, მინერალური, ბუჟბუჟა წყლით გაავსებდა და გზას განვაგრძობდით. კილომეტრნახევარში, ჰა, ორკილომეტრში კვლავ დაიწყებდა ძრავა თუხთუხ-ჩლახუნს და ყველაფერი თავიდან მეორდებოდა. დარიალს რომ გავცდით და გავივაკეთ, თითქოს სული ჩაედგაო, აიწყვიტა ჩვენმა რაფმა და რაც ჯვრის უღელტეხილზე სიმწარე გვანახა, ლამის დაგვავიწყა.

შაბათ დილით წასულები, ასე, ღამის თერთმეტ საათზე ჩავედით კათაყვავკავში. სასტუმროში ადგილს ვინ მოგვცემდა და, სხვათა შორის, არც გვქონდა პრეტენზია, ღამე გლეხის სახლში გავათენეთ.

ახალგათენებულზე დავაცხრით ბაზარს. ოთხფეხს აქაც ცეცხლი ეკიდა. გოჭს სამ თუმანზე ნაკლებ არ დაგალაპარაკებდნენ, ქათამი კი, ცოდვას ვერ ვიტყვი, ჩვენს ბაზართან შედარებით იაფი იყო. ვიყიდეთ მე და ვახტანგმა თითო მოზრდილი გოჭი, ხუთ-ხუთი მომსებული დედალი და ცხრა იყო, თუ თერთმეტ-თერთმეტი ვარია. მძღოლმაც ამდენი, თუ ცოტა მეტი, აღარ მახსოვს, შეიძინა. ავკარგიანი კაცი იყო. ცხოველ-ფრინველთათვის ყუთებიც მოემარაგებინა და ტომრებიც წამოეღო. მთავარი კინაღამ დამავიწყდა, მეორე გზობაზე ბაზრიდან რომ გამოვდივართ და თითოს თითო გოჭი ატატებული მოგვყავს, ვახტანგი ბაზრის გამოსასვლელში არწივისცხვირიან, ფაფახოსან ჩერქეზს შავხალებიან გოჭზე შეევაჭრა. გოჭი ჭყვირილით იღებდა იქაურობას. თავდაღმადაკიდებაზე სასტიკ პროტესტს აცხადებდა. ჩერქეზმა საკმაოდ ძვირი დაუფასა, ვახტანგმა გაიკვირვა, რა ამბავიაო და ჩავიარეთ. მე მეგონა, ვახტანგმაც ისე, ყასიდად, ფასის გასაგებად ჰკითხამეთქი, რაკიღა თავიდან თითო გოჭის ყიდვა გვქონდა ნავარაუდევი. ნავაჭრი მანქანაში რომ დავაბინავეთ და ის-ის იყო

უნდა დავძრულიყავით, ვახტანგმა ამ წუთში მოვალო და ბაზრის ხახაში გაუჩინარდა. ხუთიოდე წუთში უკან მოდის და ჭყვირილით გაქაფულ ხალებიან გოჭს მოათრევს. გოჭი ხტუნავს, იკვარღება, ჭირვეულობს, ტანს ზამბარასავით ათამაშებს. ძლივს დავამაგრეთ სამივემ. ტომარაში ძალით ჩავტენეთ და თავი რომ მოვუკარით, ამოვისუნთქეთ. მძღოლმა ტომრიანად ყუთში ჩაუშვა, ზემოთ ფანერის ნაჭერი დაადო და ფანერს, ყოველ შემთხვევისათვის, აგური დაამატა. გულმა არ მომითმინაო, წაიბოდიშა ვახტანგმა, საერთოდ შავხალებიან გოჭს გემრიელი ხორცი აქვსო.

მანქანა პირველ მოსახვევს გამოცილებული არც კი იყო, ჩერქეზულმა გოჭმა რომ ჭყვიტინი ატეხა. ჩერქეზულმა-მეთქი ასე დაბეჯითებით იმიტომ ვამბობ, რომ რაღაც თავისებური, დანადაბჯენილი ქალივით ცივი, გამგმინავი ხმა ჰქონდა. დანარჩენი სამი გოჭი ერთ ყუთში გვყავდა. ყოველ შემთხვევისთვის თავი ავხადე ყუთს. იწვნენ მშვიდად, უდრტვინველად, ღრუტუნითაც კი არ ღრუტუნებდნენ. გოჭები არ იყვნენ ახლა ისინიც? გეკითხები მე შენ.

ასე არ გამოვაო, მძღოლმა. თუ რამე არ ვისაშველეთ, კარანტინია და, შეიძლება მთელი ნავაჭრი ჩამოგვართვანო. რატომღაც მე მომიბრუნდა, შეირბინე ერთი იმ მაღაზიაში, იქნებ ერთი ბოთლი არაყი გაახერხოვო. გავიქეცი. სადაა არაყი წამლად რომ გინდოდეს, იშოვი? ჩემთვის როდი მინდა, ასე და ასეა ჩემი საქმე, გოჭებისთვის მინდა-მეთქი, დაველრიჯე გამყიდველს. შეწუხდა, ხომ იცი. რა ვქნა ახლა, სტუმარი როგორ გაგაწბილო, მით უმეტეს, შენთვის თუ არ გინდაო. მიიკეცა წითელი თუმნიანი და გამომიტანა გაზეთ „წინსვლის“ ნაგლეჯში გამოხვეული არაყი, ავშენდი კაცი! მაღაზიიდან გამოსვლისას ვიღაცამ მკლავში მომკიდა ხელი. მოვიხედე, ჩემ წინ მეზღვაურისქუდიანი, ბუკლესპიჯაკიანი, გახუნებულულვაშა მაღალი კაცი დგას. საბუთი ნახევრად ამოსწია ჯიბიდან და არც მეტი, არც ნაკლები – მილიციის ქვეგანყოფილებაში გაყ-

ოლა მიბრძანა. ვაი ამ ჭამას. ეს მინდოდა ახლა მეე? ჩემთვის კი არ მიყიდია, პატივცემულო, მე ღვიძლი მტკივა, საერთოდ გრამს არა ვსვამ, გოჭისთვის შევიძინე-მეთქი. ადგილზე გავარკვევთ ყველაფერსო. მე ხომ ვიცი, ადგილზე გარკვევა რას ნიშნავს. ჯერ ერთი, საექსკურსიო ავტობუსის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის დაგვსჯიდნენ, მერე კარანტინის დროს ცხოველების რესპუბლიკის გარეთ გაყვანისათვის მოგვცხებდნენ და ვინ იცის, კიდევ რა შარს მოგვდებდნენ. გავწირე მეორე თუმნიანი, ვუყიდე არაყი მგრძნობიარე თანამშრომელს და რომ იცოდეთ, რა მადლობელი დავრჩი მისი, ხელი რომ ჩამომართვა და გზა მშვიდობისა მისურვა.

სამ მშვიდ გოჭს თითო ყლუპი დავალევინეთ, ჩერქეზულს ნახევარ ბოთლზე მეტი ჩავაცალეთ ხახაში. ცოტა ხანს გაბურბუსალებული მოგვჩერებოდა, ისევ ტომარაში ჩავამწყვდიეთ და დაიმედებულებმა გზა განვაგრძეთ.

კათაყვავკავის გამოსასვლელში რასაკვირველია, გაგვაჩერეს. ჩვენკენ ხანშიშესული, ტანმძიმე სერჟანტი წამოვიდა: მძღოლს საბუთები გაუსინჯა და საეჭვოდ შეგვათვალიერა. სულდგმული ხომ არაფერი გიყიდიათო. შოფერმა უარი განუცხადა და, ის იყო, უნდა დავძრულიყავით, ჩერქეზულმა ტყვემ ისეთი ჭყვირილი ატეხა, შენი მოწონებული. – მიაყენეთ მანქანა, თქვენი პატრონი ქვეყანაცაო, სერჟანტმა.

– არ დაგვღუპო, – ვეხვეწებით, – წვრილი ცოლ-შვილის პატრონები ვართ, ხელფასზე დანაზოგი ფულით გოჭი და ქათმები გვიყიდია, ნუ ჩადგები ჩვენს ცოდვაში. გიცნობთ, რა ანგელოზებიც ბრძანდებითო, ნამუსგარეცხილი სპეკულანტები ხართ, ჩემი გაცურება გინდოდათო, – მძვინვარებს სერჟანტი. მერე ხმას დაუწია და მივხვდით, რომ მთლად არ გაგვწირა გამჩენმა. მცირე პაუზის დროს ხუთი ვარია ავუფრთხიალეთ ხელებში. ეცოტავა, ორიც დავუმატეთ და მოგვეშვა.

მოვდივართ და მივიმღერით-მეთქი რომ გითხრათ, არ იქნება მართალი. სიმღერა ვის ახსოვს, მაგრამ გულის სიღრმეში

მაინც გვიხარია, რომ ხიფათს გადავრჩით, არ გავილანძღეთ.

ქალაქ ქაქუჩეთამდე ხუთიოდე კილომეტრში ახალი, მშვენიერი ცისფერფრთებიანი ჯიხური დგას – ავტოინსპექციის საგუშაგო. ფხიზელმა მორიგემ შორიდანვე შეგვნიშნა, ჯიხურიდან გამოვიდა და თავაზიანად შეგვეგება. მესმის ყურადღებიანი ხალხი.

რასაკვირველია, შავხალება გოჭის ჭყვირილი ქვეყანას იღებს. უქუდო, წაქისფერთვალება ავტოინსპექტორმა მანქანაში შემოიხედა, გაიღიმა და თავი გადააქნია. მძღოლი იახლა, საბუთებიანად შეიყვანა ჯიხურში და კარგა ხანს დააყოვნა.

– ქათმებზე უარს ამბობს, ერთ გოჭს უნდა შეველიოთ, – გამოგვიცხადა მძღოლმა უკან დაბრუნებისას და თავი ჩაჰკიდა.

– ჩერქეზული მივცეთ, – ანგარიშმიუცემლად ვთქვი მე – დავისვენებთ ქე მაინც, თავიდანაც არ უნდა გვეყიდა.

ასეც გადაწყდა.

როგორც იქნა, ამოვაღვარკალეთ ტომრიდან ურჩი გოჭი და შემოგებებულ მასპინძელს ხელებში მივაჩეჩეთ. ეტყობოდა, ასეთ საქმეებში ჩვენი დამხვდური ხამი არ გახლდათ. უკანა ფეხებში სტაცა ხელი და ჯიხურისკენ გაარბენინა. მძღოლმა საბუთები საჩრდილობელს ამოუდვა და საჭეს მიუჯდა თუ არა, ბარაქიანმა ხალხურმა გინებამ ავტოინსპექტორის ჯიხურისკენ მიგვიღრიჯა კისრები. მორბის ჩვენკენ გზის გუშაგი. გოჭი ისევ ისე მარჯვენა ხელში უჭირავს და ჩექმით სცემს ცხვირპირზე, მარცხენა საჩვენებელი თითი პირში ჩაუდვია და სისხლი სახელოზე მოწვეთავს. – გადააყენეთ მანქანა, თქვენ ბანდიტებოვო. თქვენგან რა ხეირს ნახავს კაცი. ველური გოჭი შემომაჩეჩეთ, თითი კინაღამ მომაკვნიტაო. დასანდობი არა ხართ არც ერთი. მე ადამიანები მეგონეთ, პატივი გეცითო.

მოკლედ, დავიბრუნეთ უკან ჩვენი არამზადა და ნერვებმოშლილი გზის დარაჯი სხვა, მშვიდი, ფუმფულა თვალებმი-

ლულული გოჭით დავასაჩუქრეთ.

ბრუთის მყინვართან, ჩამოსახვევში, გზა გადაკეტილი იყო. ორი წითელსამკლაურიანი მთიელი მოგვიახლოვდა. დაბეჯითებით უნდა ვთქვა, პირდაპირ, პატიოსანი ხალხი აღმოჩნდა. საბუთები არც კი მოუთხოვიათ, ექვსი შვილივით ნაზარდი დედალი ამოიღლიავეს და გაგვიშვეს.

შვიდს აღარაფერი აკლდა, მიმინოსჭალას რომ მოვუახლოვდით. პირი გავისველოთო, ვახტანგმა, ჯერ მჟავე წყალს დავეწაფეთ, ხელები დავიბანეთ, სახეზე შევისხით და მერე სახინკლეს მივაშურეთ. ხინკლის გარდა ყველაფერი ჰქონდათ. გვარიანად დავნაყრდით, თითო გავაბოლეთ და ავტობუსს დავუბრუნდით, მაგრამ სანამ კარს გავაღებდით, ჭყვირილ-კაკანმა გული გადაგვიბრუნა. საშინელი სანახაობა გადაგვეშალა თვალწინ. ჩერქეზ ავაზაკს ტომარა გამოეჭამა, ფანერ-აგური ამოერღვია და ამოსულიყო. ჯერ ვარიებს დარეოდა და დაეჯიჯგნა, ახლა ტკუტკუბიროდ მოხტუნავე, ფეხებშეკრულ ქათმებს დასდევდა ავტობუსში. სანამ თავაწყვეტილ გოჭს მოვიხელთებდით და რაფს ხელში ჩავიგდებდით, ჩვენი დაგვემართა. ავტობუსის ოკუპირების შემდეგ გაირკვა, რომ სამი დედალი და რვა ვარია ამქვეყნისა აღარ იყო, გოჭის კბილებით მოგუდულები გადავყარეთ, თავწაწყვეტილ-სისხლგამდინარენი ყუთში ჩავყარეთ და დანა პირს არ გვიხსნიდა, ქვასანაყურს რომ მოვადექით.

არც დაბა ქვასანაყურის საგზაო შემთხვევების მეთვალყურეობის სამსახურმა დაგვაყენა კარგი დღე. გულდასმით გაგვსინჯეს და, ცოტა არ იყოს, მოიწყინეს, რომ ჩვენს მანქანაში ნარკოტიკები ვერ აღმოაჩინეს. პირადობის მოწმობები ჩამოგვართვეს და კარგა ხანს იდუმალი მზერით გვცდიდნენ სწრაფად, თვალის დაუხამხამებლად შეგვეძლო თუ არა ჩვენი სახელისა და გვარის, სამუშაო ადგილის და დაბადების თარიღის დასახელება. როცა დარწმუნდნენ, რომ საზოგადოებისთვის დიდ საშიშროებას არ წარმოვადგენდით, გაგვიშვეს

და ერთი ქათქათა გოჭი მძევლად დაიტოვეს.

ვისაც მოვუყევი, არავინ დაგვიჯერა და რაღა თქვენ დაიჯერებთ; გასავათებულები, ქანცგაწყვეტილები შუაღამისას შემოვედით თბილისში. ჩვენი სავაჭრო ეპოპეის დასასრულს მანქანაში ჩერქეზული გოჭი და სამი თავწაწყვეტილი დედალი-ღა დაგვრჩენოდა.

ვახტანგ საბაძე ქვემოთ ცხოვრობს, მოგეხსენებათ, ამოსასვლელში და, ბუნებრივია, პირველად მის სახლთან შევჩერდით. ხელების ფშვნეტით გადავიდა და დაგვემშვიდობა, – გოჭს ვის უტოვებ-მეთქი. – შენი იყოს, მე მაგის სახლში შემყვანი არ ვარო. – როგორ გეკადრება, გოჭი შენ შეიძინე და შენი საკუთრებაა. ხომ იცი, ხალიან გოჭს რა გემრიელი ხორცი აქვს-მეთქი. ცოცხალი თავით არ ვიზამ მაგასო, მიპასუხა და გააბიჯა.

წამოვხტი, გოჭს ტომრიანად ხელი დავავლე, ავტობუსიდან ჩამოვხტი და გამოვეკიდე. ხუთიოდე ნაბიჯი არ გადამედგა, ხელში სიმსუბუქე ვიგრძენი და ჭონქაძის ქუჩისკენ გაქცეულ გოჭს მოვკარი თვალი. თურმე ეს ტომარაც გამოუღრღნია და ამდენ ძიძგილაობაში თავს უშველა. არიქა, ბიჭებო-მეთქი, შევყვირე და გამოვუდექი. ვახტანგმა, თავს დავუვლიო და ჩიტაძეზე ჩაირბინა, მძღოლმა რაფი დაქოქა და ფარებანთებული უკან მოგვდევს. გოჭი წინ და ჩვენ უკან. ესმის შემხვედრი მანქანების გაბმული სიგნალი, ვიღას ეხამუშება აივანზე გადმომდგარი გაღვიძებული მოქალაქეების სიცილ-ხარხარი. უკანასკნელად ფუნიკულიორის სადგურთან მოვკარი თვალი. კიბიდან კისრისტეხით ჩამორბოდა, მერე ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვეღარ ვიპოვეთ. რას ეძებთო, ღამეულ მთაწმინდას შეფენილებს გვკითხა თოფიანმა დარაჯმა. – გოჭსო, – უკანმოუხედავად ესროლა საბაძემ, – რომელ გოჭს? – არ მოგვეშვა დარაჯი. – ჩერქეზულს! – ისე ხაზგასმულად, კბილების ღრჭიალით მივუგე მე, რომ დარაჯს მეტი შეკითხვის სურვილი არ გასჩენია.

დაახლოებით ასე, ღამის სამ საათზე, დევნა შევწყვიტეთ

და თავი დამარცხებულად ვცანით. იქნებ აღმართს არც კი შედგომია, რომელიმე კუსტარ-მარტოხელას სარდაფში ტუცა თავი. ვინ იცის, გოჭს და, მით უმეტეს ჩერქეზულს, შენ გაუგებ რამეს?

მინაწერი: ეს ნოველა შარშან, ერთ ოჯახში, ნაცნობების ვიწრო წრეში წავიკითხე. დიდი მოწონება ხვდა-მეთქი, რომ გითხრათ, სიცრუე იქნება, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ამას წინათ, იმ წრიდან ერთი კაცი შემხვდა და მითხრა: რამდენი ვიცინეთ მაშინ გოჭზე დაწერილ შენს ნოველაზე, რატომ არსად ბეჭდავო.

მაშინ არ მითქვამს, მაგრამ, თუ სადმე შეგხვდეთ, იქნებ თქვენ მაინც აუხსნათ, ძვირფასო მკითხველო, რომ ეს ნოველა გოჭზე არ გახლავთ დაწერილი.

ძნელია, ძნელი

მინისტრობაზე არ მიოცნებია. ბევრიც რომ მეოცნება, რა გამოვიდოდა, მე რომ სამსახური დავიწყე, ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა კარგა ხნის დაკავებული იყო. კადრების უძრაობის ეპოქა გახლდათ, თუ ქვეყანას არ დააქცევდი, არ დაგძრავდნენ „მოკავებული თანამდებობიდან“, ხოლო თუ დააქცევდი ქვეყანას, უთანამდებობოდ არ დაგტოვებდნენ; „ორბიტაზე გასული“ კაცია, ბევრი რამ იცის, ე მანდ პირი არ მოაღოს და არ ილაპარაკოსო. დამყაყებულ საკადრო პოლიტიკას რომ შეუტიეს და დემოკრატიზმმა ფრთები გაშალა იმ თვეებში მოხდა ჩემი დაწინაურება. მინისტრი უნდა ავირჩიოთო, რომ გამოგვიცხადეს, ყურებს არ ვუჯერებდი. გვატყუებენ-მეთქი რაღაცას, ალბათ, წინასწარ ჰყავთ დანიშნული და ახლა ჩვენ გვათამაშებენ-მეთქი „არჩევნობიას“, როდის იყო დანიშვნა-მოხსნას ჩვენ გვითანხმებდნენ-მეთქი.

ამ ფიქრებში ვარ, ეკლებზე ვზივარ, არ მიყვარს კრება-თათბირები, თვალი კარებისაკენ მიჭირავს და ჩემს გვარს მოვკარი ყური. ერიჰაა, ესენი არ ხუმრობენ, ჩემი გამასხარავება რაში დაჭირდათ, გამოგვიცხადონ, ვინ იქნება მინისტრი, როგორც ადრე გვეტყოდნენ („წარმომადგენელთა თათბირმა გადაწყვიტაო“) და გაგვიშვან-მეთქი სახლებში. ასე და ამრიგადო, ახლა ბიულეტენები დაიბეჭდება და ფარული კენჭისყრით ავირჩევთო მინისტრს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამირჩიეს მინისტრად. დაბნეული დავბრუნდი შინ. რა გჭირს, ადამიანის ფერი აღარ გადევსო, ცოლმა. რომ ავუხსენი დღეს მინისტრად ამირჩიეს-მეთქი, ხმა არ ამოუღია, საკერავს დაუბრუნდა. ვერ გეტყვით, არ დაიჯერა, თუ ეგონა, ასე უნდა ყოფილიყო. ქალებს რას გაუგებ.

საღამოს, როგორც იქნა, შევაჩვიე ოჯახი იმ აზრს, რომ მინისტრი ვარ, მაგრამ მე თვითონ, გითხრა სიმართლე, ვერა და ვერ ვირწმუნე. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. „საქმეს როგორ ვერ შევძლებ, ჩვენს სამინისტროში თავდაყირაა ყველაფერი დაყენებული და ხვალიდანვე შევუდგები მართლად ჭრას და მართლად კერვას – ვფიქრობ ჭერსაშტერებული – კოლეგიას ბევრჯერ დავსწრებივარ და არც სხდომების ჩატარება გამიჭირდება, სიტყვაც, ასე თუ ისე, მიჭრის, მეტი რა, ერთი სიტყვით, ახლა უკან დასახევი გზა აღარ გაქვს. აგირჩიეს, გენდნენ, უნდა გასწიო ჭაპანი, შენზე გამოუცდელი და იქნებ შენზე ნაკლები უნარის მქონეც ბევრი იჯდა ამ სკამზე. მაგრამ მცირეოდენი შეცდომებისათვის ცეცხლი არავისთვის შეუნთიათ. დანარჩენს საქმე გიჩვენებს“.

რაც ყველაზე ადვილი მეგონა, სწორედ ის გამიჭირდა ყველაზე მეტად – მინისტრული ცხოვრების წესთან შეგუება. რა გეცინება? ფიქრობ, ალბათ, გულში, რა ძნელი შესაგუებელი ეგ არის; მოგაკითხავს შინ შავი „ვოლგა“ ჩაჯდები, მიხვალ სამსახურში, მდივანს გაუღიმებ, შეხვალ კაბინეტში, გაზეთებს გადახედავ, განცხადებებს გაეცნობი, თათბირს ჩაატარებ, სათანადო უწყებებს მითითებებს მისცემ, მოადგილეებთან ერთად ერთ-ორ საჩივარს განიხილავ, შუადღისას ისევ ჩაჯდები შავ „ვოლგაში“, ისადილებ, სამსახურში მიბრუნებული კვლავ შეეჭიდები მიმდინარე საქმეებს, საღამოთი „ვრემიას“ ნახავ და დაიძინებ. ხომ ასე გგონია? არ არის იოლი უბრალო კაცობიდან მინისტრობაზე გადაწყობა.

ყველაზე მარტივ საქმედ პერსონალური მანქანის მოხმარება ჩანს, ხომ? ჩახვალ ლიფტით, ჩაჯდები, მძღოლს ეტყვი: იქ მიმიყვანე, აქ მიმიყვანე და ამით მთავრდება ყველაფერი, ამაზე ადვილი რაღა უნდა იყოს, ხომ? ჩემი მინისტრობის პირველ დღეზე გიამბობ. დანარჩენი შენვე განსაჯე. დამიგდე ყური, როგორც მოხდა, ზუსტად ისე გიამბობ, და გთხოვ, თუ შეძლებ, სხვას ნუ მოუყვები. ყველა ვერ გაიგებს, როგორც საჭიროა.

ხალხის ყბაში ჩავარდნა მინდა მეე? თუ შეძლო-მეთქი, მაგრამ შენ რამე დაგამაგრდება ენაზე? შენგან საიდუმლოს შენახვის დიდი იმედი არა მაქვს. ილაპარაკე, რა ვქნა, ამაზე დიდი სირცხვილი ნუ მაჭამოს გამჩენმა.

ჩემი ჩვეულებრივი დღე ასე იწყებოდა. რვის ნახევარზე ვდგებოდი. სანამ მეუღლე ჩემს თოთხმეტი წლის შვილს ფერებამუქარით იმ დონემდე მიიყვანდა, რომ ქუჩაში გასვლა შესაძლებელი ყოფილიყო. ლოჯიაში ჰანტელებით ვვარჯიშობდი. დედაშვილი რომ ფაცხაფუცხით ჩაცვივდებოდნენ კიბეზე და სახლში სიჩუმე დაისადგურებდა, მოხალისე მეხანძრეთა სუფრასავით მიყრილ-მიტოვებულ მაგიდას მოვაწესრიგებდი, ვისაუზმებდი, ადრიანად ჩავაკითხავდი ჩემს ძველთაძველ „ჟიგულს“. ადრიანად იმიტომ, რომ თუ ნისლიანი დღე იყო ან ციოდა, არ იქოქებოდა და მიწოლის მეთოდით უნდა ამემუშავებინა. ეს საქმეც მოგვარებული მქონდა. ჩემი სახლის უკან თავდაღმართია, კარღია მანქანას მხრით მივაწვებოდი და თავდაღმართზე რომ დაეშვებოდა, კარგი ჯომარდივით შევხტებოდი შიგ. მართალია, არცთუ უსაფრთხო შეხტომაა (შეიძლება უეცრად მუხრუჭის მოძებნა გაგიჭირდეს), მაგრამ მიჩვეული გახლდით და რომ იტყვიან, ოქრო გამომდიოდა ხელიდან.

დღეს კი ჩემი ბებერი „ჟიგული“ არ დამჭირდება. პირველად ჩემს ცხოვრებაში ე. წ. პერსონალური, სახელმწიფო მანქანა მომაკითხავს სახელმწიფო შოფრით.

რვას აღარაფერი უკლდა, ხელში ჰანტელებით, ტრუსისამარა აივანზე რომ გავედი და ქუჩაში გადავიხედე, მანქანა მოსული არ იყოს და დიდხანს არ ვალოდინო ჩემი პატიოსანი მძღოლი-მეთქი. ვიცნობ, ყოფილი მინისტრის შოფერს, ერთიორჯერ გამოვლაპარაკებივარ კიდეც, რომელიღაც ლილოდან (დიდ, პატარა, ზემო, ქვემო) უნდა იყოს. ჯერ არ ჩანს შუბლშეკრულმა ჩავუარე შვილს საწოლთან, მეგონა სძინავს-მეთქი, ტრუსიკში მსტაცა ხელი და კინაღამ ჩემი ჰანტელებიანად წამაქცია.

– არ მოსულა? – მეკითხება.

– არა, – გულმოსული ვპასუხობ – კინაღამ დამამტვრიე, შე ვირო.

იცინის, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ასე უწყინარი ხუმრობისთვის არ გაილახება.

ცოტა ხანში ჩემმა ცოლმა გააღო აივნის კარი და გადაიხედა. პერანგს ვიცვამდი, ცივმა ჰაერმა უსიამოვნოდ შემაჟრჟოლა.

– დაკეტე კარი, გავცივდი კაცი!

– რომელ საათზე გყავს დაბარებული – მშვიდად მეკითხება ცოლი.

– თქვენ ამ დილით საქმე არაფერი გაქვთ? თვითონ იცის, რომელზეც უნდა მოვიდეს.

საუზმობა, რასაკვირველია, ვერც ამ დილით მოასწრეს. კარი რომ გაიხურეს, გაზსა და უთოს ჩამოვუარე. წესად მაქვს, სხვათა შორის, ურიგო ჩვევა არ გახლავთ. გაიქცევიან და ან გაზს დატოვებენ ანთებულს, ან უთოს ჩართულს. სახლი რომ მოვაწესრიგე და ტელეფონით ორ ახლობელ-მომლოცველს მადლობა მოვახსენე (ვერ დავიტრაბახებ, მინისტრობა ბევრმა მომილოცა-მეთქი და არც ის იქნება მართალი, დაწინაურებასთან დაკავშირებით უამრავი დეპეშა მივიღე-მეთქი, რომ გითხრათ საზღვარშიგნიდან, ან საზღვარგარეთიდან). ერთხელ კიდევ გადავიხედე აივნიდან. დგას შავი „ვოლგა“. სწორედ ჩემს სადარბაზოსთან დგას. აქედან ნომრებს ვერ ვხედავ, მაგრამ უეჭველად ჩემი მძღოლია. სადარბაზოში კი არა, ჩვენს სახლში საერთოდ თანამდებობის პირი ჩემს მეტი არავინ ცხოვრობს.

არ ვიცი, რა დავარქვა ამ გრძნობას, მე რომ დამეუფლა და ამაფორიაქა. უხერხულობის, მორიდების, სირცხვილის გრძნობათა სინთეზი შეიძლება ადამიანს ერთდროულად მოაწვეს შუბლზე? ჰაიჰარად გავიპარსე, სარეკორდო სიჩქარით გადავივლე გრილი წყლის ჭავლი, მეხანძრესავით სწრაფად ჩავიცვი, ორი ვაშლი გავრეცხე, ჩანთაში ჩავიწყე და

ლიფტს ვეცი. სანახევროდაც არ ვიყავი დაშვებული, ლიფტი რომ გავაჩერე, ისევ მაღლა ავედი, კარის სახელური ერთხელ კიდევ მოვსინჯე, ნამდვილად დავკეტე თუ არა-მეთქი და აქლოშინებულმა ლილოელ მძღოლს გავუღიმე:

– გამარჯობა, – კარი გამოვაღე, ჩავჯექი და დამნაშავესავით მორცხვად ვკითხე, – დიდი ხანია მელოდები?

– არა, ბატონო... რა სათქმელია.

სამინისტროსთან რომ მიმიყვანა, მადლობა მოვახსენე და ისე ყურადღებისათვის ვუთხარი:

– ამინდი გამოკეთდა მგონი, როგორც იქნა.

– საღამომდე კიდევ შეიცვლება, მოასწრებს.

– შენ... სად გააჩერებ მანქანას, სად დგახარ ხოლმე საერთოდ?

შენობის გვერდზე დახაზული მოედნისკენ მიმითითა და თან გაკვირვებით ამომხედა. კაცმა რომ თქვას, რამ მაკითხვინა, მეც იქ არ ვაყენებდი ჩემს „ჟიგულს“?

– შენ ახლა... თუ გინდა... წადი... მიხედე შენს საქმეს.... სამ საათს, ალბათ, არ დამჭირდები. სამი საათის მერე მოდი, – საათზე დავიხედე, – ახლა ათის ნახევარია.

თავი დამიქნია და მანქანა დაძრა.

თორმეტ საათზე, თათბირზე გამომიძახეს. ჩამოვედი, იქნებ დროზე ადრე მოვიდა-მეთქი. შენც არ მომიკვდე, არ ჩანს. პირველის ნახევარზე თათბირი მეწყება, იღბლად ტაქსმა გამოიარა. ჩავხტი და მოვუსვი.

თათბირი რომ დამთავრდა, ტაქსითვე დავბრუნდი სამინისტროში. ასე არ ივარგებს. მართალია, ხელფასი მომემატა, მაგრამ არც იმდენს ვიღებ, ტაქსით ვისეირნო და ოჯახის ბიუჯეტს ავად არ დაეტყოს.

ოთხს აღარაფერი აკლდა, მძღოლმა კაბინეტში რომ შემოიხედა.

ვუამბე რაც შემემთხვა, ახლა ერთ საათს აღარ დამჭირდები-მეთქი. სახეზე ვერ შევატყვე, ეწყინა თუ გაეხარდა, პერ-

სონალური მანქანის მფლობელმა ტაქსით რომ ვიჯირითე იქეთ-აქეთ.

ხუთზე გამახსენდა, რომ კუკიაზე უნდა ავსულიყავი, ობიექტისათვის თვალი უნდა შემევლო. ჩამოვედი. მანქანა არ ჩანს. ხომ შეიძლება შეეშალოს კაცს ხელი, არადა რამდენ ხანს ვიდგე ასე, ქუჩაში. ტაქს დავუქნიე ხელი. ჩავჯექი და შინისაკენ გავსწიე. იღბლად ჩემი „ჟიგულის“ დაქოქვა არ გამჭირვებია. ავვარდი კუკიაზე და ექვსს აღარაფერი აკლდა სამინისტროში რომ მოვბრუნდი. ტროტუარზე შევაყენე მანქანა და კარებისაკენ წასული შევჩერდი, მივიხედ-მოვიხედე, ჩემი მძღოლი გაკვირვებით მათვალიერებს.

ვითომც არაფერი-მეთქი, სტვენით ჩავუარე, გავუღიმე და მანქანის წინა ფრთაზე („კრილო“) თითები ავათამაშე.

საათი თუ საათნახევარი კიდევ წავიმუშავე კაბინეტში. „წასამუშავებელი“ ძირითადად ის მქონდა, რომ ორ განყოფილების გამგეს ერთად ვეხვეწებოდი, ნუ გადადგებით თანამდებობიდან, არას გერჩით, პირიქით, იდეალურ პირობებს შეგიქმნით-მეთქი, მაგრამ ვერ დავიყოლიე. წინა მინისტრთან იყვნენ ჩაფსკვნილნი და აღარ მენდნენ, გასაგები გრძნობაა.

რვის ნახევარზე დავეშვი ლიფტით. ჩავჯექი ჩემს პერსონალურ მანქანაში ხვნეშით. დაღლას ვგრძნობ, მაგრამ რაღაცნაირი უსიამოვნო დაღლილობაა. ეს მაშინ გემართება კაცს, როცა არ იცი, რისთვის დაიღალე, შედეგს ვერაფერს ხედავ.

– რას იზამს, ნეტავ, ამინდი ხვალ? – აბა სხვაზე რაზე უნდა ელაპარაკო შოფერს, რა ვიცი.

– ამაღამ ხუთჯერ შეიცვლება, ვინ იცის.

ჯერ მიპასუხა, მერე თავი შეაბრუნა და ცას ახედა.

ჩემს სადარბაზოსთან ადგილი არ იყო, ცოტა წინ გამიჩერა. გადმოვედი.

– ხვალ, ცხრაზე. კარგად.

– კი, ბატონო.

ლიფტთან მისულს გამახსენდა, რომ ჩემი „ჟიგული“ სამინისტროსთან დავტოვე და ისიც ტროტუარზე შეყენებული. ადვილი შესაძლებელია, ნომერი მოხსნილი დამხვდეს.

ტაქსი და მისი ჯანი. ჩვენს ქუჩაზე ტაქსი ადვილი დასაჭერი არაა. როგორც იქნა ჩამოიარა, ჩავხტი და ოც წუთში ჩემი მანქანის სტარტერს ვატრიალებდი.

გამიჭირდა დაქოქვა. ვიღაც ღვთიან-მადლიანები წამომეშველნენ, გრიგოლ ორბელიანის ძეგლისაკენ გამაგორეს, მეორე სიჩქარეში ჩავაგდე და დაიქოქა. ხელი დავუქნიე ჩემს მხსნელებს და კვარაკვახიძის დაღმართზე დავეშვი. ათს აღარაფერი აკლდა, შინ რომ დავბრუნდი. ჩვეულებრივ ექვს საათზე შინ მყოფ მამაკაცთა რიცხვს ვეკუთვნოდი, მაგრამ ეს იმ დროს იყო, როცა სამინისტროს რიგითი მუშაკი გახლდით და პერსონალური მანქანა არ მემსახურებოდა.

ასე რომ, ყველამ, ვისაც კარიერის კიბეზე აღმასვლა გელით, იცოდეთ, რომ მინისტრობა იოლი საქმე სრულიადაც არ არის.

გალოგით დაღლილი გულგული

ჰამლეტ გონაშვილის ხსოვნას

ჩამობრძანდით, შვილო, მაგათაც უთხარი, შემოვიდნენ, ნახონ დამწვარი დედის ეზო-მიდამო. მაპატიეთ, ალბათ, დიდხანს მეძახდით, ვერ გავიგონე ყურებდასავსებმა, მაღლა ვიყავ სერზე, მითამ ასკილსა ვკრეფდი ჩემი დასამხობი ჭკუითა. აბა, რა მეასკილება ჩემს დღეში მყოფსა, ხვალ მეზობელი ქალაქს აპირებს, ბალღებს გავუგზავნი-მეთქი. ეგრე ღობე-ყორეს ვედები შვილო, ქალი კი არა, კლდე ვყოფილვარ, ეშმაკის ნაშობი გავჩენილვარ ქვეყანაზედა. სხვებისა მიკვირდა ხოლმე, შვილმკვდარი დედები ცოცხალი როგორღა არიან-მეთქი, იმათთვი ხო სამუდამოდ დაღამდა, ამ ცოდვილ მიწას რაღათვინ ამძიმებენ-მეთქი. მე კი, ხომ ნახე, ასკილსა ვკრეფდი. ეგრე ყოფილა. არ გიკვირს, თავი რომ ვერ მოვიკალ? იმ წყეულ დღესა, ყველაფერი რომ გათავდა და ზეცა ჩამაინგრა-ჩამაიქცა ჩემთვისა, განა არ ვიფიქრე, გადავწყვიტე კიდეც; ჩემი შვილის საწოლ ოთახში ავალ და მთავარ ძარღვს გადავიხსნი-მეთქი. ვერ შევძელ, შვილო. ი ჩემი ცოდვით სავსე ხმამ ჩამძახა; ამოტოლა ხალხი უნდა მოვიდეს, დაუმარხავ შვილს მაღლა სტოვებ, ქვეყანას რა პასუხი უნდა გასცე, რა მარტო შენი თავმკვდრისთვინ ფიქრობ, დედაკაცო. ახლაც ეგ ხმა მიღრღნის სულსა. ასე მგონია, რაღაც დანაშაული მიმიძღვის ღმერთის წინაშე და ეგრე დასჯილმა უნდა ვათრიო-მეთქი ჩემი უბედური დღეები. ასე მგონია, შვილო, თავი რომ მოვიკლა, სულ მარტო დარჩებამეთქი ჩემი გულმკერდდაფლეთილი შვილი, მე ბედდამწვარი ახლა უფრო საჭირო ვარ-მეთქი მისთვინა. და აი, იქამდეც მიველ, ასკილსა ვკრეფდი. დილაუთენია სერზე რამ ამიყვანა? ჯერ მთელ საათს გაქვავებული ვიდექ და გზას გავცქეროდი.

სუ გზისკენ გამირბის თვალი, შვილო, ასე მგონია, სადღაც წავიდა და მალე უნდა მობრუნდეს-მეთქი. ვერა, ვერ დაიჯერა ამ სამიწე გულმა, ვერ დაიჯერა და რა ჰქმნას. ზემოდან მანქანა რო შევნიშნე, ჩემით ვეშვებოდი და მეზობლიანთ ბალღიც ამომეგება; მარგო ბაბო, გეძახიანო.

მეძახით და მეც აქა ვარ. განა არ ვიცი, კარგა ხანია შავ მიწას ამოდებული უნდა ვიყო, შვილო, მრცხვენიან, დილით საწოლიდან რომ ვდგები, ე დილა მაინც რაღად გამითენა-მეთქი, მაგრამ მაინცა ვდგები, ჩემი სანთელივით ჩამქრალი შვილის ხათრითვინა ვდგები. რო გამაივლიდა და შინ არ დავხვდებოდი, არ უყვარდა. დედი, ნუ იცი სახლის მიტოვება, შინ რომ ვერა გნახავ, გული მეკუმუშება ხოლმეო. ისე უეცრად, გაუფრთხილებლად იცოდა ჩამოსვლა. თუ მეზობლად ვიყავ გასული, არ შამეხმიანებოდა, მოულოდნელად რომ მნახავს, გაიხარებს დედაჩემიო, დედა მოუკვდეს ჩემს მოსწრებასა და თვალისჩინსა. დაილოცა ღმერთის სამართალიო, ვიტყოდით სოფელში. არა, შვილო, მეშინიან ამის თქმაი, მაგრამ აღარც ღვთი სასწორისა მჯერა და აღარც მისი სამართლისა. ე ჩემი დასჯა-დატოვება რაღა იყო. მეც რატო გვერდით არ მიმაწვინა ჩემი დატანჯული შვილის საფლავის გამთბობადა.

მაპატიეთ, ენად გავიკრიფები ხოლმე, ხალხ რო დავინახამ. ასე მგონია, ჩემი ამ ლაპარაკით და ამ ეზოში ღოღიალით ჩემს შვილს ვეხმარები-მეთქი, აგრე მგონია, ჩემი გასახმობი თავითა, ეწყინება-მეთქი, შვილო, კარი გამოკეტილი და ხმის გამცემი რო აღარ დახვდეს მის მომკითხავსა. მომკითხავნი და ნუგეშისმცემელნი ბევრი მოდიან, აგრე, თქვენსავითა. მე რაღა ნუგეში მინდა გულმკვდარ დედასა, შვილო, მაგრამ იმდენი ცრემლი დაიღვარა ამ ეზოში, ეს ერთი წელია, ქვესკნელში გაჟონავდა, ჩემმა მზემა. ზოგი სულ უცნობი ამაივლის, დგას, დგას, მე კი ვეტიტინები, ვუყვები: ეგრე მოხდა და აგრე მოხდა-მეთქი. გარს ვუვლი, გულში ვფიქრობ: ნეტა ვინ არი, ნეტა რა ძმაკაცი იყო ჩემი ბიჭისა, აგრე გულმდუღარედ რო

სტირის, ნეტა ორ სიტყვას თვითონაც მეტყოდეს-მეთქი ჩემ შვილზედა. ის კი, ცრემლ მაიწურავს და მხრებზე ხელს გადამისვამს, „მეო, დედი, პირადად არც კი ვიცნობდიო. მის ხმას რადიოში რო მოვჰკრამდი ყურსა, მანქანას გვერდზე გადავაყენებდი, ბორბლების ხმაურს რო ხელი არ შაეშალაო, თვალებს დავხუჭავდი და ვუსმენდიო“.

იმ დღესაც ტელევიზორში მღეროდაო. ისევ ძველებურად იდგაო, წელში მისებურად, პეწიან-თავადურად გაზნექილი, ჩაიღიმებდა კიდეცაო. აბა მე იმ ტელევიზორს როგორა ვნახამ, ხო ჭკუიდან შავიშლები, ჩემი შვილი რო საღსალამათი გამოვიდეს, თავის ბიჭებში ჩადგეს და „წინწყარო“ წამოიწყოს. ზოგი იტყვის: რათა, დედი, განა შენთვის შეღავათი არ არი, შვილ ცოცხალივით რო დაინახამო. არა გენაცვალეთ, მე მაგი ძალი ვინ მამცა, ფეხზე მოსიარულე ჩემ მამღერალს შევავლო თვალი. ეგ კი არა, ხმაც ვერ ამიტანია. იმ შავბნელ დღეს, უკანასკნელად რომ მყავდა სახლში, მიწაში რო დებდნენ დედამისსა, ვიღაცამ ფირფიტა ჩართო. წამოვფარფატდი, დავიკივლე და გარეთ გავარდნას ვლამობდი, არ გამიშვეს და ქვეყანა დავაქციე; აგე, ცოცხალია, ეზოს ბოლოში დგას და მღერის-მეთქი. სხვებმა ნახონ ცოცხალივითა და სხვებმა უსმინონ ჩემს მოჭიკჭიკე შვილსა. მე ისედაც მალე ვნახამ, მალე ჩავაკითხავ სულეთშია და სუ ერთად ვიქნებით.

რაც ეს ზარი დამეცა, სიზმარ-ცხადი არეული მაქვს, შვილო. ისე შევდივარ სიზმარშია და ისე გამოვდივარ, ანგარიში ვეღარ მიმიცია. იმ ღამეს წამით ჩამთვლიმა და მესიზმრა, მითამ მამიყვანეს და კალთაში ჩამიგორეს. ძუძუთა ჩვილი იყო, ისევ ისე კოხტად გახვეული, როგორცა მყავდა ამ სამოცი წლის წინათა. ეგ იყო ბავშვის თვალები არა ჰქონდა, ეხლანდელი თვალები ჰქონდა, ქორივით იმზირებოდა აქეთ-იქითა. უი ქა, ამას რა გაზრდის-მეთქი მეორეჯერა. ყოფილიყო ეგრე, როგორც იყო, განა ცუდი გავზარდე-მეთქი. ამას როდისღა მოვესწრებიმეთქი. დროული ქალი ვარ, სადღა შემიძლია ხელმეორედ კაცის გაზრდა-მეთქი. რო გამეღვიძა, ხელში ჩემი შვილის გალსტუკი მეჭირა და აცახცახებული შავ ღამეს შავჰყურებდი. ნეტა ხომ არ გავგიჟდი-მეთქი და განგებ ხველება დავიწყე, მითამ გიჟებმა არ იციან ხველება.

შვილი ვის მოსწყენია, მაგრამ ეგა სხვა შვილი იყო. სხვა ვარსკვლავზე იყო გაჩენილი, სხვა მთვარე ადგა თავზედა. არავის ჰგავდა. დამიჯერეთ, გენაცვალე, განა ჩემი რომ იყო და გული რომ დამინაცრა, ეგ მალაპარაკებს. თითქოსდა ამქვეყნიური არ იყო. სულ შიშით შავცქეროდი, შვილო, ისეთი კარგია, მე არ შამარჩენენ, წამართმევს-მეთქი ავი თვალი მის თავსა. აკი წამართვა.

აკვანში ნანას რომ ვუმღეროდი, უცნაურად გაილურსებოდა ქა, მტკავლისოდენა ბავშვი. ნათელი გადაეფინებოდა სახეზე. პირს შოშიის ბარტყივით დააღებდა. პაწუა ტუჩებს გამაჰბერავდა და ღულუნით ამყვებოდა.

სიმღერა იყო, შვილო, მისთვის პურიცა და ჰაერიცა. ჯერ კიდევ ოთხწლედის ბალღი იყო, ურმულს რო გაიგონებდა, შუაღამისას, სახლიდან გაიქცეოდა, სიღნაღს მიმავალ ურემს შეუმჩნევლად გაეკვრებოდა და კარგა მანძილზე მიჰყვებოდა. სად დაეხეტები-მეთქი ამ შუაღამეზე, შვილო? დედი, ურმულს ვსწავლობდიო. ყველანი სხვადასხვანაირად მღერიანო, გული სწყდებოდა.

ერთხელ ძროხის გადასაბმელად გავგზავნე. ყანა აუღებელი იყო და ხბო-ძროხა ცალ-ცალკე გვება. მთელი დღე ბღაოდნენ დედა და მისი ნიშაბოჩოლა. წადი, შვილო ძროხა ტყისკენ გადააბი, ერთმანეთ რო ვეღარ დაინახავენ, ინგრე აღარ იბღავლებენ-მეთქი. წავიდა და დაიკარგა... გავიდა საათი, ორი. მერმე გამოჩნდა, წკნელს მოიქნევს და იცინის. არ გამიჯავრდე, დედი, ბოჩოლამ ძროხა გამამიღეჭაო. შენ რას აკეთებდი, სად იყავ-მეთქი, შვილო? ჩიტების ჭიკჭიკს ვუსმენდიო. ჩიტის სიმღერაი რა კონტროლი უნდა, იმათ თავიანთი საქმე არ ეშლებათ-მეთქი. გადაგება ძროხა და მერე მოგეს-

მინა-მეთქი. ოღონდაც, დედი, ოღონდაც, მაგრამ ძროხა რომ ავუშვი, ჩიტების ხმით ისე გავერთე, დაბმა დამავიწყდა. ერთი ჩიტი ისე გულამოსკვნით ტიროდა, ცრემლი მომადგაო თვალზედა. რათ იტირებდა, იქნებ მღეროდა-მეთქი, არა, დედი, ნამდვილად ტიროდაო.

ეგეთი იყო. რაც უფრო იზრდებოდა და კაცდებოდა, მეც უფრო მიათკეცდებოდა შიში. ღამით რომ დაიგვიანებდა, მოწიფული ვაჟკაცი იყო, თითების მტვრევით დავდიოდი წინკარში. რა იყო, ქალო, განა კიდევ ბავშვია, რას შაიცხადებ ხოლმე მის დაგვიანებასაო, მეტყოდა ჩემი ცხონებული მეუღლე. სწორედ რომ ბავშვია, ეგ ისეთი ალალი და სხვანაირია, მეშინიან-მეთქი. სულ ჩემს უბეში მსურდა მყოლოდა, ცხოვრებაში გასაშვებად არ მემეტებოდა.

ჯარში რომ გაიწვიეს, ისე განვიცადე, მითამ ომ-ცეცხლში მიჰყავდათ. ზედმეტად ხათრიანი ჯეელი იყო, ეგეთები ცოდონი არიან. აზიზადა მყავს გაზრდილი, იქ ვინ მიმიხედავს-მეთქი, ვეუბნებოდი კომისარსა, ანდე მეც თან გავყვები, იქ, სადმე ახლოს, გომურს ვიქირავებ და ვიცხოვრებ-მეთქი. ნუ გეშინიან, დედი, შენი ბიჭუნა ორ წელიწადში ვაჟკაცად დაგიბრუნდებაო. მართლაც რო ბიჭუნა იყო, უწვერული, გამხდარი და წრიპა. სამსახურის ვადა რო გაუთავდა, განა გაგვაფრთხილა, ჩამოვდივარ და დამხვდითო. ხომ გითხარი, ზედმეტად მორიდებული იყო-მეთქი. თბილისში გახლდით რაღაც ჯანდაბა საქმისთვინ, ახლა აღარ მახსოვს და უკან დაბრუნებისას ვაგონის ფანჯარასთან მივჯექი ჩემის გლეხური ფიქრებითა. უეცრად სიმღერა შამომესმა. გვერდითა კუპეში ვიღაც მღეროდა. ნაცნობი ხმა არი-მეთქი, ერთი გაფიქრება გავიფიქრე, მაგრამ ხმა ხმასა ჰგავს და ალბათ შამეშალაა-მეთქი. მღერის ის ყელდალოცვილი ისე მოხდენილად, რომ იტყვიან: კამეჩსაც კი ბალანს აუწვავსო. ნეტა ვინ არი, ნეტა შენს დედას-მეთქი, შვილო. ხან სხვებიც აჰყვებიან და ეგრე გუგუნ-გუგუნით ვიმგზავრეთ წნორამდე. ჩამოვხტი ვაგონიდან და ვხედამ; ე ჩემი შვილი, სამხედრო ტანსაცმელში გამოწკეპილი, დგას და მიცინის. აქ რა გინდა, შვილო-მეთქი, ამ მატარებელს ჩამოვყევ, დედი, გაგვანთავისუფლეს ჯარიდან. მაშ შენ იყავ გვერდით კუპეში რო მღეროდი-მეთქი. მე ვიყავ, ბიჭები არ მეშვებოდნენ და მამღერებდნენო. შემოვიკარ თავში ხელი, შვილის ხმა ვერ ვიცან, ჩასაქოლი ვარ-მეთქი. ხელში ამიტაცა და იცინოდა. რას ვიცნობდი, იმ ორ წელში ხმაც გამოცვლოდა, დაბოხებ-დავაჟკაცებოდა, სხვა ხავერდი ჩაჰფენოდა ხმაშია. იმის მერე სულ გამახსენდება ხოლმე. როგორ იყო, დედი, შვილის ხმა რომ ვერ გაარჩიეო. ვენაცვალე იმის ჩრდილსა, მის ხმას მე კი არა მთელი დუნია სცნობდა. სიმღერა კი არა, ღუღუნი იცოდა, სხვების ხმა თუ ყელიდამ მოდის, მისი ხმა გულიდამ მოდიოდა.

იმ დღით ვიღაცამ მითხრა, ქალაქს ეგრე იციან, თითქო ალუჩას კრეფდა, ტოტი მაუტყდა და ჩამოვარდაო. აი, აქ მოხდა, შვილო, ეგ ამბავი, აი, აქ დავემხე და დავიღუპე სამუდამოდა. დღემდე დანამდვილებით არავინ იცის, როგორ დამეცა მეხი და გამანიავა. თბილისს მიდიოდნენ. ჩაცმული იყო. მგზავრობისას წვეთს არ დალევდა, ეჩქარებოდათ და მისი ხათრით სტუმრებმაც არ დალიეს. მანქანაში რო სხდებოდნენ, მე ვუთხარ, ამ ჩემის დასამიწებელი ენითა, შვილო, ახალ მწნილს გამოგიტან, თან წაიღე-მეთქი. კარგი, დედიო. მე მარანში შევირბინე, თვითონაც გამომყოლოდა. სხვები მანქანაში ისხდნენ სასხლავი აეღო და ამ ყორეზე ასულიყო, ბუჩქებს ორიოდე განზე გასულ ტოტს შევაჭრიო. აბა აქ ჩამოსავარდნი, რა არი, კედელი ორიოდე მეტრი ძლივსღა იქნება. არც წვიმიანი იყო, რო ფეხი დაცურებოდა, არც ჩამოსტყდომია, ხეზე არ გასულა, შვილო, ბუჩქსა სხლავდა, კედელზე მდგომი. ეს ლომი, რაც თავი მახსომს, სულ აქ ესო, მიწაში, ინდაურებს ვაბამდი ხოლმე ზედა. ჩოჩქოლი რომ მამესმა, მწნილიანი ქილით ხელში გამოვიხედე. პირაღმა ეგდო. რა მოხდა, რა მოხდა-მეთქი. ამობრუნდა, თავისი ხელით ამაიძ-

რო ლომი მკერდიდან და სულიც დალია. ერთ წამში მოხდა ყველაფერი. კივილიც ვერ ჩავატანე მომაკვდავსა.

ამ კედელზე რო ფეხი დაცურებოდა, კვალს ხომ დატოვებდაო. ჩამოვარდნით კიდევ, როგორ უნდა ჩამოვარდნილიყო, ეგეთი ჩაუქი კაცი, განა ბლი წკნელით იყო მოწნული, ალბათ გული გაუსკდაო, ექიმებმა, გრძნობა დაჰკარგა და ჩამოვარდაო. მერე იმის გარკვევის თავი ვიღას ჰქონდა, ან ვიღას აინტერესებდა.

რა მოხდა, რაღა მე გამწირა ბუნებამ, რაღა მე უნდა დამტყდომოდა ზეცის რისხვა თავზე. რაღა ჩემი მგალობელი შვილი უნდა დანარცხებოდა მიწასა, რაღა ჩემს დამმარხველს უნდა სწვეოდა ეგეთი უცნაური სიკვდილი.

მკვდრი მზე რომ მოანათებს, ეზოში გამოვალ, დავდგები, შავჰყურებ, შავჰყურებ ამ დასაწვავ კედელ-ყორეს და ვერაფერი ვერ ამიხსნია, მამა-პაპიანთ ყორეა ქვიტკირისა, უფრო სწორად, ამ ადგილას ძველად რო სახლი მდგარა, იმი ბურჯი ყოფილა, ასეთი მკვრივია, წერაქვით ვერ მოარყევ ერთ ქვასაცა. ყორე ჩარღვევიაო. ესეც უთქვამთ, არა, შვილო, ნეტა ყორე კი არა, სახლი ჩამნგრეოდა და ქვესკნელს ჩავეტანე, ოღონდ ამას არ მოვსწრებოდი. ხომ გითხარი, ასე უხმაუროდ და უფათერაკოდ ჭალაში მხოლოდ ბულბულები კვდებიან.

...მე კი, მისი სისხლგამშრალი დედა, ამ დილით სერზე აველ და ასკილსა ვკრეფდი ჩემი გასახმობი ჭკუითა. ხვალ მეზობელი ქალაქს აპირებს, ბალღებს გავუგზავნი-მეთქი.

კიაზო

აგაბომ, როგორც კი თვალი ჰკიდა კიბეზე აჩა-ბაჩად ჩამომავალ კიაზო თვალავაძეს, გველცემულივით შემოტრიალდა და დერეფანს ლამის სირბილით გამოუყვა. ანატომიის კაბინეტის კარს მიაწვა, მაგრამ, მისდაიღბლად, მაინცდამაინც ახლა აღმოჩნდა დაკეტილი კაბინეტის მუდამ მოღიავებული კარი. „ეტყობა, ვერ დამინახა; გადავრჩი“, გაიფიქრა მან და ნაბიჯს აუჩქარა. სამასწავლებლოს ჩაუარა. იქ რომ შესულიყო, კიაზო სამასწავლებლოში უეჭველად მოძებნიდა. დერეფნის ბოლოში, ცეკვა-აკრობატიკის დარბაზის ღია კარში ტუცა თავი და კარიც მოიკეტა. ღრუბლის ხალიჩაზე სამი გოგონა მეცადინეობდა, სამივეს ე. წ. „შპაკატი“ გაეჭიმა და წინა, მარცხენა მუხლთან ლამაზი თავების მიტანაში ვარჯიშობდნენ. აგაბოს ერთი გამოხედეს, ამოიხვნეშეს და კვლავ თავიანთ სერიოზულ საქმიანობას დაუბრუნდნენ. მესამე კურსელები იყვნენ. ორ კვირაში ავტორიტეტიანი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე წარდგომა ელოდათ.

აგაბომ იანგარიშა, სასწავლო ნაწილის გამგე უკვე ჩაივლიდაო და ის იყო, საფარიდან გამოსვლას აპირებდა, რომ კარს ვიღაც მოაწვა და ფანჯარასთან მირბენილ აგაბოს ავტომატის ჯერივით მიაყარა:

– აგაბო, აქ ხარ, კაცო? მოვკვდი შენი ძებნით.

– შენ ხარ? შემთხვევით შემოვიხედე... ცარცი გამითავდა... წვიმას აპირებს, – სიტყვებს ეძებდა ბავშვივით დაბნეული „მსხვერპლი“.

კიაზომ ხელი გამოსდო, დარბაზს გამოარიდა, დერეფანში გამოიყვანა და სწორედ იქ, სადაც ეროვნული ილუზიონიის პიონერის – შაჰრუჰ დეისაძის ბიუსტი დგას, შეაჩერა და ჰკითხა:

– რა ჰქენი ჩემი კორკიმლის?

– ხომ გითხარი, გავაკეთებ, ჯერ ვერ მოვიცალე, – დამნაშავის იერით განზე გაიხედა აგაბომ.

– ხომ იცი, საშენო საქმეა, – ცოტა არ იყოს, მოწყენილი, მაგრამ საქმიანი კილოთი უთხრა თვალავაძემ.

– ვიცი, მონიშნული მაქვს.

– მოპარვის ამბავი უნდა გაათამაშო, ხომ იცი, კარგად. დღე იყო, მაგრამ შენ შეგიძლია ღამე გადაიტანო მოქმედება. ხომ იცი, ასე შუაღამეგადასულზე. მაგ დროისაა, ხომ იცი, საერთოდ ქურდობა.

– ვიცი. მოპარვას მოვუხერხებ რამეს.

– იქ შეგიძლია ძაღლიც გამოიყენო. ძაღლი საერთოდ არ ჰყავდა აგრაფინას, მაგრამ რა გენაღვლება, ვინ გამოწმებს. ვითომ შაქრის კვნიტა იპოვა ჯიბეში და ძაღლს გადაუგდო. ძაღლი, ხომ იცი, ისე არ დაგანებებს თავს. ჩვენებური ძაღლი, ეზოს ძაღლს რომ ეძახიან, სახელს ქე მოუძებნი, შენ ეგ არ გაგიჭირდება.

– კი, კაცო. ეგ იოლია.

– ახლა, ხომ იცი, ტალახია, ხომ იცი, მთავარია, მთლად სუფთა ტალახი კი არ იყოს, საქონლის სკორეც იყოს შიგ გარეული, წყალ-ჭოჭყოიანი ტალახი, კორკიმელი რომ ვეღარ ამოკრიბოს, ხომ იცი.

– კი, კი. შენ ფიქრი ნუ გაქვს, ტალახს მშვენიერს დავხატავ, – დააიმედა აგაბომ.

– აბა, ნუ გადადებ, ხომ იცი, შორს ამ საქმეს. ზედგამოჭრილი თემაა შენთვის.

– არა... არ გადავდებ... ახლა პატარა ხელი შემეშალა. სხვა საქმეები მომაწვა... მოვიცლი პატარას და ჩავუჯდები.

– აბა, ჰე, ხომ იცი, ოქრო მასალაა. ღმერთი შენკენ.

კიაზო სამასწავლებლოსკენ წავიდა, აგაბომ კი გულხელი დაიკრიფა და კედელს ზურგით მიეყრდნო.

გულხელდაკრეფილ აგაბო გეგუჩაძეს ეჩვენებოდა, რომ ამ წუთში მასზე უბედური ცოტა ვინმე თუ იყო ამოდენა დუნიაზე.

აღარ გავაწვალებ პატივცემულ, თითქმის უკვე ყველაფერს მიმხვდარ, მკითხველს და, ბარემ, ამთავითვე ვუამბობ, რაც ხდება მწერალთა კავშირის წევრ აგაბო გეგუჩაძის თავს.

აგაბო ორმოცსგადაცილებული, ტანთხელი, საშუალოზე ოდნავ მაღალი, ფერჭამელებით სახედაისრული, მაჩვივით ჩუმი და ფუტკარივით მშრომელი კაცია. კრიტიკოსების ერთხმად აღიარებით, საშუალო მხატვრული დონის ნოველებს სწერს. ხოლო მკითხველი მასის აზრი ხშირად იყოფა: ერთნი თვლიან, რომ აგაბო გეგუჩაძე შესანიშნავ ნოველებს სწერს, მეორენი კი რადიკალურად საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამენ. კიდევ კარგი, აგაბოს ნაცნობთა შორის პირველნი ჭარბობენ, თორემ ჩვენს უპრეტენზიო ნოველისტს გული გაუტყდებოდა და, ვინ იცის, იქნებ წერაზეც აეღო ხელი. ამით, მსოფლიო ნოველისტიკის ისტორია ბევრს არაფერს დაკარგავდა, მაგრამ, ვერ დავმალავ, აგაბოს წვრილშვილს ეკონომიურად, როგორც იტყვიან, საგრძნობლად დაეტყობოდა.

მოკლედ, აგაბო ნოველების წერაში გაწაფული მწერალი გახლდათ. არც ჟურნალისტებს მოუკლავთ თავი შეკითხვების მიცემით (აგაბოს ერთადერთი ინტერვიუ ადგილობრივი სპორტული გაზეთის კორესპონდენტმა ჩამოართვა ამ ოთხი წლის წინ. ინტერვიუ, რა თქმა უნდა, მეშვიდე ლიგაში მოთამაშე გუნდს – „ნათურას“ შეეხებოდა) და არც აგაბოს ახსოვს როდის და რატომ დაიწყო წერა. პირველი ნოველა პირველი ნოველის დაწერიდან ცხრა წლის თავზე გამოაქვეყნა. სახელის მოხვეჭის მერე შედარებით აეწყო საქმე. ჟურნალები წელიწადში თითო ნოველას უბეჭდავენ და ყოველ მეოთხე წელს გამომცემლობის გულკეთილ დირექტორს მისი თხზულებების წიგნი შეაქვს გეგმაში. განცხადებით აგაბო გეგუჩაძე ყოველ მეოთხე წელს თვრამეტ საავტორო თაბახს მოითხოვს, იმის იმედით, რომ გამომცემლობა სამს ჩამოაკლებს და თხუთმეტზე დაიყვანს, მაგრამ რატომღაც გამომცემლობის მკაცრი

მესვეურნი თორმეტ თაბახზე მაღლა არ უშვებენ აგაბოს. ლამის ოცი წელია მწერლობს აგაბო გეგუჩაძე და იმდენს ვერ მიხვდა, რომ, თუ თხუთმეტფორმატიანი წიგნის გამოცემა გინდა, გამომცემლობას სულ ცოტა ოცდახუთი ფორმა მაინც უნდა მოსთხოვო. ათფორმიან წიგნში აგაბო ყოველ მეოთხე წელს ურიგო ჰონორარს როდი იღებს, მაგრამ არც იმდენს, ძვირფასო მკითხველო, სამსახურს თავი გაანებოს და პროფესიონალი მწერლის ფათერაკებით აღსავსე გზას დაადგეს. უხარისხო აგაბო გეგუჩაძე ცირკო-ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე კურსს კითხულობს.

წესად აქვს ნოველისტ გეგუჩაძეს, ახალ წიგნს რომ გამოსცემს, ოცდაათიოდე ცალს სასწავლებელში მიიტანს და ჩამოარიგებს – გულისამაჩუყებელი წარწერით დამშვენებულს. ხელმძღვანელობის გარდა, ღმერთო შეგცოდე, მედპერსონალიდან რამდენიმე ისეთ კაცსაც ერგება აგაბოს ავტოგრაფიანი წიგნი, ვინც წიგნების კითხვას თავი ჯერ კიდევ მეხუთე ხუთწლედის შუა წლებში გაანება. ისინი დიდი მადლობით ხვდებიან გეგუჩაძის საჩუქარს და მერე, უკეტეს სემთხვევაში, სამასწავლებლოს ფანჯრის რაფაზე რჩებათ წიგნი, ხოლო, უარეს შემთხვევაში – ტროლეიბუსში. აგაბო გეგუჩაძეს ამ საქციელზეც ეტყობა, რომ, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო კაცია. გულუბრყვილობაა აბა რა არის; ნოველისტს სჯერა რომ მისი ახალი წიგნის გამოსვლა ნაცნობ-მეგობართაგან ყველას უნდა გაუხარდეს, კიდევ მეტი – არათუ უნდა გაუხარდეს, გეგუჩაძე ღრმადაა დარწმუნებული, რომ ავტოგრაფით ნაჩუქარი წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოს. შინაგანი კულტურის ამბავიაო, იტყვის ხოლმე. რატომ არ უნდა ესმოდეს ამ ხნის კაცს, რომ ადამიანთა გონება მილიონი უფრო სარფიანი საქმით არის დაკავებული, ვიდრე აგაბო გეგუჩაძის უპრეტენზიო ნოველების კითხვა გახლავთ.

ასე იყო თუ ისე, შარშანდლამდე მშვიდად მიუყვებოდა აგაბო თავისი წილი ცხოვრების გზას. შარშან, თვრამეტ ოქტომბერს (ზეგ წელი შესრულდება) ცირკო-ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ხალხური გართობა-თამაშის დარგში, ყოფილი მოჭიდავე კიაზო თვალავაძე კიბეზე დაეწია და ახარა: ნოველისთვის ბრწყინვალე თემა უნდა მოგცე და ყურადღებით მომისმინეო.

ეზოში ჩავიდნენ, გადაბერებული თუთის ძირას, მორზე ჩამოჯდნენ. აგაბომ ფანქარი მოიმარჯვა და სმენად იქცა. კიაზო თვალავაძემ, რასაკვირველია, იცოდა რომ აგაბო მწერალი იყო (წინააღმდეგ შემთხვევაში სიუჟეტის „ჩუქების“ ახირებული სურვილი არ გაუჩნდებოდა, რ. მ.), მაგრამ წაკითხვით კი, სანაძლეოს ჩამოვალ, აგაბოს ხელიდან გამოსული არც ერთი ნოველა არ წაეკითხა. მან სულმოუთქმელად, აღტაცებით უამბო გეგუჩაძეს ერთი სევდიანი ამბავი, რომელიც სიყმაწვილეში გადახდენოდა, აგაბოს მომავალი ნოველის თვალავაძისეული სიუჟეტი ასეთი გახლდათ: თვრამეტი წლის კიაზოს მეზობლის ქვრივ აგრაფინასთვის კორკიმელი მოეპარა. ნაქურდალით უბეგავსებული, სოფლის ორღობეში, ტალახში წაქცეულიყო და კორკიმელი დაბნეოდა. ამ ბოლო დეტალს ისეთი სიცილით ჰყვებოდა თვალებში ცრემლჩამდგარი კიაზო, რომ აგაბოსაც კინაღამ გაეცინა, მაგრამ ამბის მთელი სიღატაკე რომ წარმოიდგინა, გული შეეკუმშა და თვალებში სასოწარკვეთა ჩაუდგა.

– მდაა, – თქვა მან და ფანქარი კიტელის ჯიბეში ჩააცურა.

– ხომ კარგი თემაა? – აღტაცებით ჰკითხა კიაზომ.

– რა უჭირს, – განზე გაიხედა მწერალმა.

– შენი ფეშქაში იყო. დაწერე. მე არაფერი მინდა, სადმე კუთხეში თუ მიაწერ, – „ვუძღვნი კიაზო თვალავაძესო“, ხომ კარგი, თუ არა და, არც მაგაზე დაგემდურები.

მაშინ აგაბოს არაფერი უთქვამს და მე მგონი, პირველი შეცდომა სწორედ აქ დაუშვა. გულუბრყვილო მწერალს ეგონა, დი-

რექტორის მოადგილემ თავისი საქმე გააკეთა, მწერალს თემა მომაწოდა, რა ვუყოთ, რომ ნოველისთვის ყოვლად აუტანელი სიუჟეტია, კაცმა პატივი მცა მისი ჭკუით, მადლობის მეტი რა მეთქმისო. ხელისჩამორთმევით დაშორდნენ ერთმანეთს და აგაბოს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ყოფილი მოჭიდავე ამ შემთხვევას აღარც კი გაიხსენებდა, მაგრამ ღრმად მოტყუვდა.

თემის ჩუქების მესამე დღეს აგაბო გეგუჩაძეს დირექტორის მოადგილის კაბინეტში უხმეს. სასწავლებლის თავისებურ ცხოვრებაში მწერალს, სხვადასხვა მიზეზის გამო, მაინცდამაინც აქტიურად არ რევდნენ და აგაბოს გაუკვირდა კიდეც ხალხური გართობა-თამაშობების დარგის შეფმა თავაზიანად რომ მიიღო, სკამი შესთავაზა და მდივან-გოგონასაც შეეხმიანა, ცოტა ხანს არავინ შემოუშვაო.

თვალავაძემ ხელის თითები ერთმანეთს შეაწება და ჭერს ახედა.

– შენ კორკიმელი ხომ იცი რა არის? – გრძელი მოსაწყენი პაუზის შემდეგ ჰკითხა.

– მეტი რა ვიცი, – თავი დახარა აგაბომ.

– გეცოდინება კი. ახლა ვფიქრობდი, ხომ იცი, ჩემთვის. ამ პატიოსანმა კაცმა, იქნებ, კორკიმელი არც კი იცის-მეთქი.

– ქლიავის ბუშს ეძახიან. ქლიავზე უფრო წვრილია, მაგრამ უფრო ტკბილიც არის.

– ო, ო, – კვერი დაუკრა კიაზომ – აგაშენა ღმერთმა, გცოდნია. ახლანდელმა ახალგაზრდებმა შეიძლება აღარც იცოდნენ. სადღაა ახლა კორკიმელი. კაი ხანია ბაზარშიც არ მომიკრავს თვალი.

– არის ხანდახან. გოდოგნიდან შემოაქვთ, – გეგუჩაძე სასწავლებლის ხელმძღვანელთაგანს თვალს არ აშორებდა; რა უნდა, რაზე დამიძახაო.

– ახლა, მე რომ შემემთხვა ეს საქმე, ხომ იცი, მკითხველმა არ უნდა გაიგოს. გეგუჩაძე არ ჩაწერო შიგ.

– გაფრთხილება მინდა? მაგდენი არ მესმის მეე?

– ხომ იცი, ხალხი ჭორიკანაა. სხვაგან გადაიტანე მოქმედება, სხვა ქალაქში. თუ გინდა, ქალაქი ნურც იქნება. დაბა იყოს, რამე დასახლებასავით.

– დაბაც შეიძლება.

– გვარი გაგოშიძე, ან გუგუციძე, რომელიც გაგეხარდება.

– მთლად ჩიბურდანიძეს ჩავწერ. ნეიტრალური გვარია.

– ო, ო, ყოჩაღ, აგაშენა ღმერთმა. ჩიბურდანიძე მშვენიერია. კიდევ რა მინდოდა მეთქვა? – კიაზომ კვლავ შეაწება თითები ერთმანეთს და ჭერს შეაცქერდა, – მე მგონია, მეტი არაფერი. თუ გამახსენდა მერე გეტყვი. აგერ არა ხარ?

აგაბო გეგუჩაძემ კარი გამოიხურა და დერეფანს მარჯვნივ გაუყვა, მაშინ, როცა მარჯვნივ არაფერი ესაქმებოდა, წესით მარცხნივ უნდა წასულიყო.

კვირა არ გასულა ამ ერთი წლის განმავლობაში, რომ დირექტორის მოადგილეს აგაბო არ მოეძებნა და „კორკიმელის“ ამბავი არ ეკითხა. ჯერ დაინტერესდებოდა, დაიწყო თუ არა მწერალმა მის მიერ ნაჩუქარი თემით ნოველის წერა, მერე სიუჟეტის ცალკეულ ფრაგმენტების განმარტებებს მოჰყვებოდა. ამბის ძირითად ჩონჩხს (კორკიმელის მოპარვა – ტალახი), რასაკვირველია, იგივეს სტოვებდა, მაგრამ ჩანართ ეპიზოდებში ბევრ რამეს ცვლიდა. ისე იყო გატაცებული „შემოქმედებითი მუშაობით“ კიაზო თვალავაძე, რომ ყველგან და ყოველთვის აგაბოს დაეძებდა. პედსაბჭოს სხდომის შემდეგ სალაპარაკოდ სტოვებდა, ზოგჯერ ლექციიდან გამოჰყავდა, საპარადო მსვლელობისას გვერდით დაიყენებდა და კორკიმელზე საუბარს გაუბამდა. ბოლო დღეებში აგაბო აბეზარი მესიუჟეტისგან დამალვას თითქმის ვეღარ ახერხებდა. იგი დამნაშავესავით ფეხაკრეფით, მოწყენილი დააბიჯებდა და თანდათან უფრო რწმუნდებოდა, რომ კიაზო თვალავაძეს ყველა საკაცობრიო საზრუნავი გვერდზე გადაედო და აგაბოს შემოქმედებით ავტონომიაზე იერიშის მიტანის გარდა არაფერი აწუხებდა.

გუშინწინ, შაბათობაზე არ აპირებდა აგაბო წასვლას. ტანი უგრძნობდა, რომ კიაზოსთან უსიამოვნო საუბარი ელოდა, მაგრამ ამ წელს წინა ექვსი შაბათობა გააცდინა და ეშინოდა, ვერ გამიგებენო.

მეშაბათეებს დიმიტრი ხუროძის სახელობის დიდი აუდიტორიის დალაგება-დასუფთავება არც კი დაემთავრებინათ, რომ მეორე კურსელი აქტივისტი გოგონა შემოვიდა და გამოაცხადა: – ბატონ აგაბოს ბატონი კიაზო უხმობსო.

– რა ჰქენი? – უბოდიშოდ, კარშივე შეაგება დირექტორის მოადგილემ.

– ვმუშაობთ, იატაკი მოვამთავრეთ, ფანჯრის წმენდაზე გადავდივართ, – თავი მოიმიამიტა აგაბომ.

– შენ კარგად იცი, რომ სხვა რამეს გეკითხები! – კიაზო არ ხუმრობდა.

– აი, ხოო – თითქოსდა ახლა მოაგონდაო, კეფა მოიფხანა გეგუჩაძემ – მიდის ნელ-ნელა.

– რა ნელ-ნელა, შენ მე სულელი ხომ არ გგონივარ?! ხალხური გართობა-თამაშობების მებაირახტრე აშკარად ადუღებულ გუნებაზე იყო.

– რატომ კადრულობთ ასეთ რამეს? – მწერალი მაგიდის კუთხესთან დადგა და მელანჩამშრალ სამელნეს დაუწყო წვალება.

– მე კი არა, შენ რატომ კადრულობ. შენი საგლახაო ვარ ვითომ მეე?

– ვინ გკადრათ, ბატონო?

– რას ჰქვია ვინ მკადრა ოქროსავით თემა მოგეცი. შემიყოლიე მთელი წელი. შენი მოსატყუარი კბილები კარგა ხანია მოვიცვალე, ხომ იცი შენ?

– არ მომერგო, ბატონო, გუნებაზე და რა ვქნა მე.

– არ მოგერგო კი არა, არ მოირგე. გლახა მასალა იყო, ხომ იცი, შენმა მზემ. ერთი უნდა ჩავჯდე და უნდა წევიკითხო, რას წერ უკეთესს.

– შეიძლება მშვენიერი თემა იყოს, მაგრამ არ ზის ჩემს ხასიათში და რა ვქნა.

– თავის მართლებას ნუ კადრულობ, ხომ იცი, ახლა. გაგამაიმუნე-თქვა მითხარი, ეს სჯობია ყველაფერს. არაფერი მორგება მაგას არ უნდოდა, საათივით იყო აწყობილი. შენთვის მინდოდა პატარა ხელი გამემართა, თვარა, შენ როგორ ფიქრობ? შენზე ნაკლებად იცის წერა-კითხვა კიაზო თვალავაძემ?

– წერა-კითხვა რა შუაშია, ბატონო.

– შენი გამოჩენა მინდოდა, თვარა შენზე ნაკლებ ნოველას დავწერდი, შენ გგონია, მე თვითონ? ამისთანა თემები ქუჩაში ყრია, ხომ იცი, მიდი და აკრიბე!

– დაწერეთ ბატონო, ვინ გიშლით.

– ხომ იცი, არა შეჯდა მწყერი ხესაო. არამია შენთვის ამნაირი თემა. კორკიმელის ამბავს მე მოვუძებნი ადგილს, მაგრამ ჩემს მასხრად აგდებას არავის არ შევარჩენ, ეს იცოდე შენ, მწერალო აგაბო გეგუჩაძე!

უკანასკნელი სამი სიტყვა კიაზომ განსაკუთრებული ხაზგასმით ღრანჭების კანკალით, კბილებში გამოსცრა.

ამ საუბრიდან ორი თვეც არ გასულა, რომ ცირკო-ქორეოგრაფიული სასწავლებლის უფროსმა მასწავლებელმა აგაბო გეგუჩაძემ სასწავლებლის დირექტორს, ვეტერან კეჟერაძეს განცხადებით მიმართა – სამსახურიდან გამანთავისუფლეთო.

– რაშია საქმე, ხომ არაფერი გაწყენინეთ, აგაბო? – შეიცხადა ეს ამბავი დირექტორმა.

– არაფერი, ბატონო, – თავი ჩაქინდრა გეგუჩაძემ.

– არა, მართლა? თუ გიყვარდე.

– არაფერი ნამდვილად.

– აბა, მოგწყინდით, აგაბოს ჭირიმე?

– მოსაწყენი რა გჭირთ, ბატონო.

– სხვაგან იშოვე უკეთესი სამსახური? არ გეწყინოს, ასე რომ ჩაგაცივდი, ჩემო აგაბო. შენი წასვლა, რასაკვირველია,

დიდი დანაკლისია ჩვენი სასწავლებლისთვის. გვესახელები, მწერალი კაცი ხარ.

– არა, არაფერი, რაღაც დაღლილობას ვატყობ თავს. ცოტა ხანს მინდა დავისვენო. მერე ვნახოთ, თუ მოწყენილობამ გამიარა, შეიძლება სხვაგან დავიწყო მუშაობა უბრალო საქმეზე. ლექციების კითხვა მღლის ძალიან.

– ეგ მიზეზია, ვითომ მეტი არაფერი, დავიჯერო? – თვალები მოჭუტა ყოფილმა არტილერისტმა.

– ნამდვილად, სიყრმეს გეფიცები.

– კაი აბა, თუ ასეა... რაღაი გადაწყვეტილი გაქვს... ხელს არ შეგიშლი, – დირექტორმა განცხადებას რეზოლუცია დაადო. აქ ვერც იმის მტკიცებას მოვყვები, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელს სამსახურიდან მწერლის წასვლა ძალიან ეწყინა.

ჩვენ შორის დარჩეს და სასწავლებლის მიტოვების ნამდვილი მიზეზი აგაბო გეგუჩაძეს მაშინ კი არა, მერეც არავისთვის გაუმხელია და, ალბათ, კარგადაც მოიქცა; მაინც არ დაუჯერებდნენ.

ხეო სიცოცხლისა

სიკვდილი თავზე რომ დაგადგება, ერთი მაინც უნდა იყვირო. თუ შეგიძლია, ზეაღიმართო, საწოლის თავს ჩაეჭიდო, ფეხები გააბაჯარჯგინო, შეუძახო უნდა სიკვდილს. რას ჰქვია, მშვიდად უნდა შეხვდე. რომელი ერთ საათს გადასაპატიჟებლად მოსული ნათლიმამა ეგ არი, სამუდამოდ მიყავხარ ამ ქვეყნიდან. საით მიყავხარ? მოუსავლეთში, შავეთში, გადასაშენებლად. გასაქრობად, ჭია-ღუის დასაჭმელად. სიკვდილს ღრიალი, ხრიალი, კბილთა ღრჭიალი, სისხლის ამოხველება და კივილი ახლავს, აბა როგორ? მაგრამ მე რომ სიკვდილი მინახავს, სხვა სიკვდილი იყო – ჩუმი, თეთრი სიკვდილი. ჩვეულებრივად ერთი-ორი კვდება და ოცდახუთი ცოცხალი რჩება, ხომ ასეა? მე რომ სიკვდილში მოვხვდი, იქ ყველანი ერთად უნდა მოვმკვდარიყავით, არავინ გადარჩებოდა. წყნარი სიკვდილით, ჩუმი სიკვდილით, უსისხლო სიკვდილით რომ კვდება დაბა-ქალაქი, იცი შენ რას ნიშნავს ეს? არ იცი.

ოცდასამი წელია ფოსტალიონად ვმუშაობ. ამ დუნიაზე თუ რამე ახალი მოხდება, პირველ რიგში ჩვენ ვიცით, ფოსტალიონებმა. იმიტომ კი არა, ყველაზე ადრე რომ ვდგებით და დილის გაზეთებს პირველები ჩვენ ვათვალიერებთ. კაცმა რომ თქვას, სწორედ იმიტომ. აბა სხვა რა მიზეზი უნდა ჰქონდეს, რა ვიცი, „რა ხდება ქვეყანაზეო“, შეგეკითხებიან გაზეთების ჩანთით ხელში რომ დაგინახავენ, „გაიგებ?“ – თუ უპასუხე, ვერ არის შენი საქმე კარგად, ხელად დაკარგავ ავტორიტეტს.

შვიდს აღარაფერი აკლდა, ეზოში რომ გამოვედი. მაისი კარზე იყო მომდგარი, მაგრამ საკმაოდ გრილოდა. ამ დროს, ჩვენში ჯერ კიდევ გრილა. ქურთუკმოხურული პახომი ჭიშ-

კარს გადაკიდებოდა, აბოლებდა და წითლადშეფერილ აღ-
მოსავლეთს გასცქეროდა. „რამ ააყენა ამ დილაუთენია,
ეს ღვთისპირიდან გადავარდნილი-მეთქი“, გავიფიქრე და
ხველებით ჩავუარე: არ მივსალმებივარ. ორ წელზე მეტი
იქნება უბრად ვართ.

არა და რა მეზობლობა გვქონდა – წყალი და პური გაუყ-
ოფელი, რომ იტყვიან, სულში ვიძვრენდით ერთმანეთს.
სტუმარი ხომ საერთო გვყავდა და იყო ყოველდღე ღობეზე
ბლინ-ნამცხვრების გადაწოდ-გადმოწოდება. თურმე მეზო-
ბელთან მეზობლურად უნდა იყო. არც მეტი – არც ნაკ-
ლები. არც ღობის მოშლა და ნამეტანი გაშინაურება ვარგა
და არც, რასაკვირველია, ცხვირაბზუებით განგან სიარული.
დათვრა ერთ დღესაც ჩვენი პახომი. დაგრეხქანაობს ეზო-
ში, ცოლს დედმამის სულს უტრიალებს, ხანდახან ჩემკენ
გამოიხედავს, მწყრალად შეტრიალდება, კეტს აიღებს, კიბეს
ღონივრად დაჰკრავს, ცოლს შეუკურთხებს და ისევ წინ და
უკან სიარულს მოჰყვება. აშკარაა, რაღაცამ გააგიჟა, თო-
რემ მთლად ასე მყრალი სიმთვრალე არ იცოდა. მაყვლის
ბარდს ვსხლავდი; ასე, სასხლავით ხელში გადავდექი ღობე-
ზე „რა იყო, პახომ ვასილიჩ, ხომ არავინ გაწყენინა-მეთქი“,
შედგა, შემობრუნდა, ჯოხი მუხლზე გადაიმტვრია, შორიდან
მთვრალი კაცის კისერგაჩიკინებით დამაშტერდა და თითი
დამიქნია: „ვიცი მე! ვხედავ ყველაფერს. პახომი ბრმა გვრი-
ტი არ არის, პახომს თქვენ ვერაფერს გამოაპარებთ. ჯერ
ამ ჩემს კახპას მოვუვლი და მერე არც შენ შეგარჩენ ჩემს
შერცხვენას, თუ ვყოფილვარ კაციო“.

„ერიჰაა, ამას ფარსაგი არ სჭირს-მეთქი“ გავიფიქრე და ის
იყო ეზოში შესვლას ვაპირებდი, პაშა გამოვარდა: „ვიქტორ
აუხსენი ერთი ამ სულელს, ვარ თუ არა შენი საყვარელი,
აღარ შემიძლია, ორი თვეა შემჭამა, პირდაპირ, მთვრალიც
და ფხიზელიც დილიდანვე ამას ჩამჩიჩინებს, სისხლი გამიშ-
რო. უთხარი ყველაფერი; როდის გაგიყავი ლოგინი, სად ვხ-

ვდებით ჩუმად ერთმანეთს. ხომ ხედავ, არც მეზობლობა
იცის, ამ ღმერთგამწყრალმა, და არც ნათელ-მირონობაო!“

გამეცინა, ეს რა გიფიქრია, ვასილიჩ, ასე რამ წაგახდინა
კაკალი კაცი. ვინ გგონივარ მე შენ, ასე გაწუწკებული კაცის
რა შემატყვე; მეზობლებს რომ დავრეოდი-მეთქი. რაკი ასეა,
დღეიდან ამ ალაგეზე გადმოსული არ დაგინახო, შენ შენთ-
ვის და მე ჩემთვის-მეთქი“. ის დღე და ის დღე, ჩვენს შო-
რის კეთილმეზობლობა და მიმოსვლა შეწყდა. ჯალაბიც მკა-
ცრად გავაფრთხილე; არ დაგინახოთ, მაგ ღორის ჭერქვეშ
შესული-მეთქი. მე, პირადად, ორი წელი თავდება, პახომს
არ მივსალმებივარ. ბიჭები ჯარში გვყავს, ახლა ბრუნდე-
ბიან ოქტომბერში. იმათ რასაკვირველია, არაფერი იციან.
ჩემი ცოლიც, ვატყობ, იმ შემთხვევის მერე პაშას მთლად
შუბლგახსნილად არ ხვდება. ქალი მაინც ქალია, ვინ იცის,
იქნებ მასაც შეეპარა სულელური ეჭვი. მითუმეტეს იმის
შემდეგ, რაც მთელმა დაბამ მეორე დღესვე გაიგო ჩვენი
ჩხუბის მიზეზი და პახომის „სიმართლეს“ ჭორის ბეჭედიც
დაარტყა. ორღობეში რომ ვხვდებით მე და პაშა, ღიმილით
ვუვლით ერთმანეთს გვერდს. ხალხის ყბაში მტერი ჩავარდა,
მარტო ჩემი ქალიშვილი დუნია და პაშა არიან ძველებურად
დიდი მესაიდუმლენი. რა აქვთ ამდენი საჩუმათო და საჩურ-
ჩულო, ღმერთმა იცის.

გამოვიხურე ჭიშკარი და წამოვედი ფოსტისკენ. ჩვეუ-
ლებრივი დილა იყო, ალბათ, მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ,
მგონია, არ იყო ასე. თითქოს სხვანაირად წითელი იყო აღ-
მოსავლეთი. შიშგარეული ხმით ყეფდნენ ძაღლები და სასი-
ლოსე ორმოსთან ალვის ხეზე შეკრებილი მთელი ქვეყნის
ბეღურები ჭყიპინ-ჟღივილით აწყდებოდნენ ერთმანეთს.
სამი ფოსტალიონი ვართ ფოსტაში. გაზეთების მიღება-
ჩაკომპლექტებას რომ მოვრჩი, ცხრას აღარაფერი აკლდა,
არცერთი მათგანი არ იყო მოსული. რა მოხდა მერე, კაცს
რაღაცაზე ხელი შეეშალა და ვერ გამოცხადდა სამსახურ-

ში, ახლა რომ ვუკვირდები, თითქოს, ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა, რაღაცნაირი იდუმალი დღე იყო. თითქოსდა, ყველამ ყველაფერი იცოდა ჩემს გარდა. ჩვეულებრივზე უფრო ჩქარა და მოღუშული დადიოდა ქუჩაში ხალხი. ნაცნობები თავს დამიქნევდნენ და გარბოდნენ. თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო. თითქოს უცნობი და საშინელი დრაკონი დაფრენილიყო შორიახლოს და მსხვერპლს ითხოვდა. ფოსტა ისე ჩამოვარიგე, კაციშვილს არ გამოვლაპარაკებივარ. შინ რომ მოვბრუნდი, პახომი ისევ ისე იდგა ჭიშკართან და აბოლებდა.

თუნუქის ვარცლი ჟანგმა გამოჭამა. ეზოში გამოვიტანე და შევაკეთებ-მეთქი ჩემი ჭკუით. სახლში არავინ დამხვედრია. ცოლი სასადილოშია მზარეულად, დუნიამ საშოფრო კურსებზე აიჩემა სიარული. რად გინდა, „ჟიგულს“ იმხელა ფასი ადევს, შვილო, მაგის მყიდველი ჩვენ არ ვიქნებით-მეთქი. მაგრამ დამიჯერა? ჟიგულიან ქმარს წავყვები, მამაჩემოვო. მეც აღარ დავუშალე. იცოდეს-მეთქი გოგომ მანქანის მართვაც, ვინ იცის, სად გამოადგება.

ჩაქუჩის ბრაგუნ-რახუნში აფეთქების ხმა, ვერ მოგატყუებთ, მე პირადად არ გამიგონია. მერე გავიგე, არც ისე დიდი ხმა ჰქონია. ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე ყრუდ მოულწევია. კიდეც რომ გამეგონა, დიდ ყურადღებას არ მივაქცევდი. ქვეყანაა, ხან გაზის მშენებლობაზე ისმის აფეთქების ხმა, ხან რა ვიცი, რა ხმები არ ასკდება ჩვენს ყურის ბარაბანს ამ ტექნიკურ დროში.

მეორე დღე იყო ჯოჯოხეთის. შიშს დიდი თვალები აქვს. დილიდანვე დარბოდნენ მილიციის ბიჭები და აღმასკომის ინსტრუქტორები. ყოველ ჭიშკართან ჩერდებოდნენ. „გითხრათ ვინმემ რამე? ჩვეულებრივად მიხედეთ საქმეს, ჩვენ არაფერი გვეხება, წადით თქვენ-თქვენს სამსახურებში!“ „ამხანაგო, ამხანაგო! ბავშვები გავუშვათ სკოლაში?“ მაინც ეკითხებოდნენ ჭიშკარს მომდგარი დედები. „ყველაფერი ჩვეულებრივად, წადით, იმუშავეთ, არ გესმით, რას ჰქვია ჩვეულებრივად?!“ – ჰყვიროდნენ სამსახურის კაცები, თუმცა თვითონაც მშვენივრად იცოდნენ, რომ „ჩვეულებრივად“ ამ დღეს ვეღარ გადააქცევდნენ.

მე რა, მე გაზეთები მაინც დავარიგე. შინ რა გამაჩერებდა. ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი. ვინ რას ამბობდა და ვინ რას. ნაშუადღევისკენ ცოტა დაწყნარდა დაბა, თითქოსდა ჭორის გრიგალმა გადაიარა და ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგა. შინ დავბრუნდი, ჩანთა ტახტზე მოვისროლე, თითქოს შემცივდა და გვარიანად მომშივდა კიდეც. ლამის გაუფცქვნელად ვჭამ კარტოფილს. შიშის შიმშილი იყო, თუ რა იყო, ვერ გეტყვით.

აღარ გათავდა დღე. თითქოს არ გადიოდა დრო. საათს დავხედე, ხუთს აღარაფერი აკლდა. რატომ დააგვიანდათ ჩემებს? რა დაემართათ, რაშია საქმე? შიშს დიდი თვალები აქვს-მეთქი გითხარით, ამ დროს, თურმე, პირველ რიგში შენი ოჯახის წევრებს მოისაკლისებ.

ჩავიცვი ჩექმები და გავუდექი გზას. საშოფრო კურსები ნოტარიუსის კანტორაშია. მიტოვებულ ქალაქში გაგივლია? დანიელა ურიას საქუდეში შევიხედე, სინათლე ბჟუტავს, ჯიხურის კარი ღიაა, შიგ არავინ არის. არაფერი მოპარონ-მეთქი და ურდულს მავთული შემოვახვიე. ალუმინის მავთული, ასე მახსოვს, იქვე ღობეს შევხსენი. სხვა ყველაფერი დაკეტილია – საპურე, კანცელარიის მაღაზია. სად გაილალა ეს ხალხი? ნოტარიუსის კანტორას ბოქლომი ადევს. გვერდზე მინის საჭრელი საამქროა. შევიხედე, ღია კარებში თოფიან დარაჯს წავაწყდი. პირტიტველა სამხედროა, ჩვენს დაბაში არასოდეს მინახავს. იქნებ მინახავს კიდეც, მაგრამ აღარ მეცნობა, შიშმა გონება ამირია. „თუ იცი, კურსების ხალხი დიდი ხანია წავიდა-მეთქი?“ ჩავეკითხ-ჩაველუღლუღე. „რა კურსები, ძია კაცო, აქ არავინ აღარ არის, წადი სახლში ახლავეო“. „რაშია საქმე, სად გაიკრიფა ეს ხალხი-მეთქი? არ მოვეშვი. „შენ ჭურში ხომ არ ზიხარ, საშიშ ზონაში ვართ,

ქუჩაში სიარული არ შეიძლება წადი სახლში, იქ მოგაკითხავენო“, – ჩემკენ არც გამოუხედავს, დარაბები ჩაკეტა და თოფიანად კუთხეში მოიკეცა.

ცოტა ხანს გაოგნებული ვიდექი. „ესე იგი ყველაფერი მართალია – საშიშ ზონაში ვართ“. გამოვბრუნდი და შინისკენ მოვუსვი. ზურგსუკან საბარგო მანქანების ღრიალი მესმოდა, მაგრამ ჩემი ჩექმების წვერთა მიღმა არ გამიხედავს. აქელებული მივაწყდი ჭიშკარს. პახომის სარდაფში სინათლე ბჟუტავს. ჩემთან, ეტყობა, არავინ არის. „სად არიან, რა მოუვიდათ?“ დარდისგან გულმუცელი მეწვის. დუნიას ჯავრი უფრო მაქვს, უმწეო გოგოა, თორემ ჩემი ცოლი რაღაცნაირად უშველის-მეთქი თავს, ყისმათიანი ქალია.

შეყუჟული ვარ სარდაფში, როგორც მგელი სოროში და ლამის ყმუილი დავიწყო. ჭიშკარს უაზროდ შევცქერი. მაშ, მოვიწამლეთ? ყველაფერი მაშინებს ახლა; ჩემი ტანსაცმელი, ხელები, სახე. პირი მიშრება და ტანში მცრის. ვედრიდან ფინჯნით წყალი ამოვიღე, იქნებ ენა გავისველო-მეთქი. მომეჩვენა, რომ წყალსაც რაღაცნაირი მწკლარტე, არაამქვეყნიური გემო აქვს. გავიღმიჭე და პირიდან გადმოვღვარე.

ჭიშკართან მწვანედ შეღებილი საბარგო მანქანა გაჩერდა: ძარაზე რამდენიმე კაცი ზის. სიგნალი არ მოუციათ. ოთხი სამხედრო ჩამოხტა. ორმა პახომის ჭიშკარი შეაღო. ორი თითქოს სარდაფში დამლანდესო, პირდაპირ ჩემკენ გამოემართა, გავეგებე. დაბალმა, სათვალიანმა ცხვირჭორფლიანმა ჯარისკაცმა დავთარი გაშალა: – გვარი? – მეკითხება – პანჩენკო-მეთქი – ოჯახის წევრთა რაოდენობა? – ჩავაწერინე – სხვები სად არიანო, – მიიხედ-მოიხედა. – ვერ გეტყვით, აქამდე უნდა მოსულიყვნენ-მეთქი.

– აბა, გაემზადე. ხუთ წუთს გაძლევთ. მეტი დრო არა გვაქვს. საჭმელ-სასმელი არ გინდა. საცვალ-საცმელი გამოიყოლიე და წავედით! – ნერვიულად მითხრა მაღალმა, ჩექმაზე წკნელი მიირტყა და შეტრიალდა.

– რას ჰქვია გაემზადე. როგორ? რატომ? ჯერ ერთი, მე მარტო ხომ არ წამოვალ და საერთოდ სად მივდივართ? – ჩავილუღლუღე.

– ევაკუაციაა, ბიძაჩემო, სასწრაფო ევაკუაცია. აქ გაჩერება არ შეიძლება. იცით თქვენ რაშიცაა საქმე. თქვენები, ალბათ, უკვე გაიყვანეს. სამსახურებში არავინ დაგვიტოვებია, სათვალიანმა ჯარისკაცმა დავთარი დაკეცა და ტყავის ჩანთაში ჩაიდო.

– რა წამოვიღო, რამდენი ხნით მივდივართ, ეს რა უბედურებაა! – მუხლები მომეკვეთა. აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი. ოჯახია, ძაღლია, კატაა. რა ვქნა, რომელ ერთს მივხედო. ვტრიალებ ტარაბუასავით. ვერაფერს თავი ვერ მოვაბი. თან, ჩემი ჭკუით დროც გამყავს, იქნებ, ამასობაში გამოჩნდეს ჩემი ცოლშვილი. შენ არ მომიკვდე, მეტად. რა ვქნა, გავიქცე? სად გაიქცევი. ფუთაში ჩექმები, საწვიმარი პლაში და ნიფხავ-პერანგი ჩამიტენია, აღარც მახსოვს.

ერთი სიტყვით, „ჩქარა-ჩქარაში“ სამზარეულოს კარზე ურდულის დადება და ქათმების გამოშვებაც კი დამავიწყდა. არა და მე თვითონ მივუგდე საქათმის კარი. დამეტოვებინა ღია. იქნებ ცოცხალი დამხვედროდნენ, თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა. ძაღლებს და კატებს თურმე, ჩვენს არყოფნაში ავტომატით ხოცავდნენ ქუჩაში. ჩემს პუსკაზე, გული ძალიან დამწყდა, ციმბირული ლაიკა იყო. ხვადი. ციმბირული ლაიკა, მოგეხსენებათ, გადასარევად იწვრთნება. ღონიერი, გამომდგარი ძაღლია.

მანქანის ძარაზე გარდიგარდმო ფიცრები ეწყო. ბარგი ერთ კუთხეში მიეყარათ, ფიცრებზე გაფითრებული მეზობლები ისხდნენ. პაშა და პახომი ბოლო რიგში მიყუჟულიყვნენ. წინ კაბინას დაყრდნობილი ჯარისკაცი იდგა. პაშა განზე გაჩოჩდა და მის გვერდით ადგილი გამითავისუფლა. დავჯექი, დავიძარით. ხმას არავინ იღებს. რაკი ასე საბარგო მანქანით, სახელდახელოდ მიგვაჩიქჩიქებენ, ეტყობა, შორს

არ მივყავართ და არც დიდი ხნით, ალბათ, ჩემი ჭკუით. თუმცა ვინ იცის. მივიხედ-მოვიხედე. ვის კითხავ, ან ამათ რა იციან.

ორი საათი მაინც ვიარეთ. ამ ორ საათში მხოლოდ პაშას თბილ სუნთქვას ვგრძნობდი გვერდით. თავი არ მიმიტრიალებია, მისკენ არ გამიხედავს. ირგვლივ, შორს უკუნი სიბნელეა. მარტო მანქანების შუქითაა მტვრიანბულიანი გზა განათებული. ელექტრონი ეტყობა, მთელს ოლქში გამორთეს. ჩვენს წინაც და უკანაც გრძელი კოლონა მოდის. დაბისკენ ცარიელი მანქანები მიდიან. ხანდახან შუქი რომ გაუსწორდება გვერდზე ჩავლილ მანქანას, ვხედავ კეპიან მძღოლს და გვერდით მჯდომ სამხედროს. ორივეს მოღუშული სახეები აქვთ.

სოფელ იაბლონნაიაში კოლმეურნეობის კანტორასთან შევჩერდით. მე აქ ნამყოფი არ გახლდით, „იაბლონნაია“ გადმოსახვევთან საგზაო ნიშანზე ამოვიკითხე. კანტორასთან უკვე გველოდნენ. ყველანი ჩამოგვსხეს ბარგიანად. პირდაპირ, თვლით, სამ-სამად დაგვანაწილეს ოჯახებში. მე, პახომი და პაშა ანასტასია ვლასოვნა სიდოროვამ შეგვიკედლა, მოხუცი, მარტოხელა დედაბერი გახლავთ. ორთვალიან ხატაში ცხოვრობდა. დიდი ოთახი ჩვენ დაგვითმო, თვითონ პატარაში ეძინა. პირველივე ღამეს დიასახლისმა ლოგინი რომ გაგვიშალა და სანამ პაშა თავის ჩემოდანში ბუჯურობდა, მე და პახომი მოსაწევად გარეთ გამოვედით, მხოლოდ მაშინ ამოიღო ჩემმა მეზობელმა ხმა:

– როგორ ფიქრობ, ვიტია, ყველაფერი დამთავრდა?

– ასე არ ხდება... ასე არ მთავრდება... ნუ გეშინია, ვასილიჩ. – სიტყვებს ძლივს მოვუყარე თავი. ყელში ბურთივით რაღაც მაწვება. სად არიან ახლა ჩემები?!

– შენ რა იცი... ვინ იცის... რადიაცია ვერაგი რამაა, აბა, ასე უწაუწად რატომ გამოგვაქცუნეს?

პასუხი არ მიმიცია. რა უნდა მეთქვა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, თვე და თერთმეტი დღე ვცხოვრობდით ვლასოვნასთან სამნი. ერთ ოთახში გვეძინა. ჭირმა თუ ასე გამოცვლა იცოდა კაცის, ვერ წარმოვიდგენდი. პახომი, შფოთისთავი და არეული პახომი, ისე დატკბა და დასერიოზულდა, გეგონებოდათ, ჭიანჭველას აღარასოდეს დაადგამსო ფეხს. რისი ეჭვიანობა, რა ეჭვიანობა, დილით ალიონზე დგებოდა და სოკოს მოსაკრეფად ტყეში მიდიოდა. მე და პაშას ოთახში – მარტო გვტოვებდა. გატრუნული, თვალებდახუჭული ვიწექი პირაღმა, დახველებითაც არ ვახველებდი, დედაკაცმა სხვა რამ არ იფიქროს-მეთქი. არ მქონდა სიგლახე გუნებაში, არა, ხომ არიან ჩემნაირი კაცებიც, ქალი კი, დამანებე თავი თუ ძმა ხარ, ქალი ეშმაკის მოგონილია. როდის რას მოიგუნებებს, რას გაუგებ.

ჩემი გასაჭირი მქონდა, ჩემი დარდი მიღრღნიდა გულმუცელს. ცოლ-შვილისა არაფერი ვიცოდი ამდენი ხნის მანძილზე, ორჯერ მივადექი საბჭოს შენობაში ევაკუაციის კომისარს, ორივეჯერ ერთი და იმავე პასუხით გამომისტუმრა – ან „კრასნი რაბოჩის“ ოლქში იქნებიან, ან პერვომაისკაიაშიო. ნუ გეშინია, არაფერი უჭირთ. დამთავრდება ახლა მალე ევაკუაციის ვადა და შეხვდებით ერთმანეთსო. წასვლა მინდოდა, მაგრამ მიმოსვლის ნებას, ჩვვენ, ევაკუირებულებს, არ გვაძლევდნენ. საექიმო შემოწმებას ყოველ მეორე დღეს გავდიოდით და, ალბათ, ამ მიზეზით. კიდეც რომ გავპარულიყავ, სად მომეძებნა, არ ვიცოდი. უმისამართოდ და დაუკვალიანებლად ვის მივდგომოდი კარზე.

შაბათი საღამო იყო, შინ რომ დავბრუნდით. ასე, შვიდს აღარაფერი აკლდა, სამივენი მანქანიდან რომ ჩამოვხტით და უთქმელად ჩვენს ჭიშკრებს მივაშურეთ. თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ბუნებას თავისი გაეგრძელებინა, ეზოს ბალახი მოსდებოდა, ალუბლები ჰყვაოდნენ. გაცოცხლებულ დაბას რომ მივაყურე, პირველი, რაც მოწვდა ჩემს სმენას, ფერთხვა-ბერტყვის ხმა იყო. ყველაფერი დაფერთხ-

ეთო, გაგვაფრთხილეს და ჩვენც მკლავების დაწყვეტამდე ვფერთხავდით, რისი ფერთხვაც შეიძლებოდა. მერე, ამ ფერთხვა-წმენდის ჟინმა რომ გამიარა და სახლში მარტო დავრჩი, ისევ შიში დამეუფლა. ყველაფერი მოწამლული მეგონა, მეჩვენებოდა, რომ ყველაფერს ედო სიკვდილის თეთრი მტვერი. შენ არ იცი, ეს რა გრძნობაა. მეორე დღეს ქუჩაში ნაცნობებს რომ ვხვდებოდი, კითხვის თვალებს არ ვაშორებდი: „მე არა მიშავს, მაგრამ ამას ფერი გაცრეცია და თვალებიც შეშუპებული აქვს, ჩანს სასიკვდილოდაა-მეთქი განწირული“, ისინიც, ალბათ, ასე ფიქრობდნენ ჩემზე. ღამით, შამფურივით ვტრიალებდი ლოგინში, კოშმარულ სიზმრებს ვხედავდი, მეჩვენებოდა რომ სიკვდილი დადიოდა დაბაში და ყველაფერს ჰყნოსავდა, ჭიშკრებს, ხეებს, კიბეებს, ტანსაცმელს, ლოგინს...

ლამის წელიწადი მიილიოს ამ ამბის შემდეგ და ახლა გაგვიარა ავმა მოლოდინმა, ახლა ნამდვილად გვჯერა, რომ გადავრჩით.

ჩემს პირად ცხოვრებას კი, ვიღას დავუმალო, მართალია, ამ ევაკუაციამ თავისი ტორი დაადო. დუნიას პერვომაისკაიაში შოფერი შეჰყვარებოდა და გაჰყოლოდა. ცოლმა (მესამე დღეს ჩამოვიდა) ჭიშკარშივე მომახარა: ვიტია, ქალიშვილი გაგითხოვდაო. დედა-შვილი სხვადასხვა სოფელში მოხვედრილან, მაგრამ ევაკუაციის მეცხრე დღეს უპოვნიათ ერთმანეთი.

ვერც ჩემს ცოლს ვატყობ მშვიდად ყოფნას. მარტოხელა ექიმის, ვიღაც კრავჩენკოს ხიზანი ყოფილა. ასეთი და ასეთი კაცი იყოვო, დღედაღამ ერთსა და იმავეს მეტიტინება და ხანდახან ისე ამოიოხრებს, გეგონება, გული ამოაყოლაო. ცოლს მიუტოვებია და სვერდლოვსკში მოლარეს გაკიდებიაო. ასეთ კაცს რომ ქალი მიატოვებს, ქალია ისო? ყველაფერს ვხვდები, მაგრამ რა უნდა ვუთხრა. ცხოვრებაა ეს ოხერი და მუდრეგი. არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს.

ახლა აუჩემებია, უნდა ჩავიდე და ვინახულოვო. არ ვუშლი. რომ დავუშალო, მაინც წავა.

პახომთან ჩვენი მეზობლობა-მეგობრობა, რასაკვირველია განახლდა, მაგრამ მთლად ისე, ძველებურად ვერა. პაშა გამოიცვალა რაღაც. შუა ლაპარაკში ხანდახან გაჩერდება, შემომხედავს, ეშმაკურად ჩაიღიმებს და თუ მარტო ვართ, ან საკინძეს შემიკრავს, ან თმაზე ხელს გადამისვამს.

ცოცხლები ვიყოთ, ბატონო, ცოცხლები და სხვას ყველაფერს მოევლება ამ ქვეყანაზე.

კატასტროფა

მეანეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი დამთავრდა ხუთშაბათს, ჩვიდმეტ ივნისს. საბოლოო სხდომაზე, რასაკვირველია, მოხსენებები არ ყოფილა, მოკლედ გაგვაცნეს სიმპოზიუმის შედეგები და წინადადებებისა თუ სურვილებისათვის სამ-სამი წუთი მოგვცეს. ჩვენი დელეგაციის სახელით მე მომიწია გამოსვლამ. მეცნიერულ მუშაობაში პარალელიზმის შესახებ ვისაუბრე და გარდა იმისა, რომ ორგანიზატორებს მადლობა გადავუხადე, მგონი ისიც ვთქვი: კარგი იქნებოდა, ტელევიზიას მეტი ყურადღება გამოეჩინა ჩვენი გამოსვლების მეცნიერულ სიახლეთა პოპულარიზების ხაზით-მეთქი. შემაჯამებელ სხდომაზე ჩემი გამოსვლა დელეგაციის ხელმძღვანელის სტატუსმა განაპირობა. თუმცა რა ხელმძღვანელობა უნდოდა, მთელ დელეგაციას სამი პროფესორი შევადგენდით, გერასიმე ხელაძე, სამსონ რეხვიაშვილი და მე – ქსენია მინდაძე. რაკი ქალი გახლდით, კოლეგებმა ხელმძღვანელის პორტფელი მე მიბოძეს. თავიდან მეც მეცინებოდა ჩემს ადმინისტრაციულ ამპლუაზე. სამსონი და გერასიმე (განსაკუთრებით გერასიმე – ცხონებული) ხომ სიტყვას არ მოაბრუნებდნენ, რომ არ ჩაერთოთ, „როგორც ჩვენი უფროსი გვიბრძანებს“, „უფროსი თუ ნებას მოგვცემსო“, მაგრამ სიმპოზიუმმა რომ ტემპი აიღო, მერე დავრწმუნდი, არცთუ სახუმარო ყოფილა ჩემი საუფროსო სკამი. მასპინძლები ხშირად აწყობდნენ დელეგაციის თავთან სამწუთიან თათბირებს და ექსკურსიებზე ან საქმიან შეხვედრებზე ჩემი, როგორც ხელმძღვანელის, გვარიც ხშირად გაისმოდა.

თვრამეტ ივნისს, ოცდაორ საათსა და ნოლ წუთზე, მომქანცველი საბაჟო ტერმინალის გავლის შემდეგ თვითმფრინავში ვიჯექით და რეაქტიული ძრავების გუგუნს ვისმენდით. ქალაქი ლატრაპეზო დიდი ქალაქი არ არის, მაგრამ ავიოხაზების თავისებური ცენტრი გახლავთ წყნარ ოკეანეში. ლატრაპეზოს საერთაშორისო აეროპორტი ზღვის ნაპირას მდებარეობს და, საკმაოდ კომფორტაბელურ აეროპორტთა რიცხვს განეკუთვნება. ჩვენი საკონსულოს თავაზიანმა თანამშრომელმა რიჩარდ შმაკოვსკიმ ტრაპამდე მოგვაცილა და სანამ თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე გავიდოდა, ნეონის შუქით გაჩახჩახებული ბაქნიდან დიდხანს გვიქნევდა ხელს. ბელგიის ავიაკომპანიის „ბოინგ-535“ გახლდათ ჩვენი თვითმფრინავი. პარიზამდე ამით უნდა გვეფრინა, ხოლო პარიზიდან აეროფლოტით ვიმგზავრებდით მოსკოვამდე.

ყველაფერი ზუსტად მახსოვს. შიშს დიდი თვალები აქვს და ხიფათს გადარჩენილი კაცი რას არ შეთხზავს; იტყვის, წინა ღამეს საშინელი სიზმარი ვნახეო, გული მეურჩებოდა მთელი დღეო, ავი წინათგრძნობა ტვინს მიბურღავდაო. ვგრძნობდი, რაღაც მოხდებოდაო. ეკიპაჟის წევრები განწირულებივით შემოლაგდნენ სალონში და გაფითრებული მიაბიჯებდნენ კაბინისკენო. სტიუარდესები დამფრთხალი სახეებით გარბი-გამორბოდნენ და შეკითხვებზე დაბნეულად, ორაზროვნად გვპასუხობდნენო. არავითარი მსგავსი არ მიგრძვნია. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. დავჯექი თუ არა, ფეხზე გავიხადე. ფეხსაცმელი მიჭერდა და საბაჟოს რიგში რომ ვიდექით, ერთი სული მქონდა; როდის ჩათავდება ეს დავიდარაბა რომ თვითმფრინავში შევიდე, ფეხზე გავიხადო, სავარძელი უკან გადავწიო და დავისვენო-მეთქი. უნდა გამოგიტყდეთ, უსაფრთხოების ქამრის შეკვრა ყოველთვის მძულდა და თუ სტიუარდესაც სპეციალურად არ შემამოწმებდა, ვცდილობდი თავი ამერიდებინა. თუ მაინცდამაინც; ქამრის ბალთებს კალთაში ჩავიდებდი, აქაოდა შეკრული მაქვს-მეთქი. ილუმინატორის მხარეს გერასიმე და სამსონი ისხდნენ და თავიანთ კაცურ თემაზე საუბრობდნენ. ამ-

ჯერად დიდ ყურადღებას არ მითმობდნენ და მსიამოვნებდა კიდეც ეს ამბავი. ხომ იღლებიან ადამიანები ერთმანეთით. ჩვენც დავიღალეთ. ისე მივეჩვიეთ, რომ მგონი ინტერესიც კი დავკარგეთ ერთმანეთის მიმართ. ბოლოს და ბოლოს რა არის ადამიანი; რამდენი საინტერესო ისტორია უდევს თავის მახსოვრობის აბგაში, რამდენიმე ანეკდოტი იცის და თითქმის ერთი და იგივე მანერა აქვს ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა. ლამის ამოვწურეთ ერთმანეთი ამ თხუთმეტი დღის განმავლობაში. დილით სასაუზმო მაგიდასთან რომ შევხვდებოდით, უკვე ვიცოდით, რომ სამსონი ხელებს გაშლიდა – „რა ლამაზია დღეს ჩვენი ხელმძღვანელი?!“ ხოლო გერასიმე სათვალეს მოიხსნიდა და ჩაიხითხითებდა; „არა, ძმაო, ხატზე დავიფიცებ, რომ ჩვენისთანა უფროსი მთელს დუნიაზე არავის ჰყავს“. მე კი, ქათინაურშეფერებული ქალი, კეკლუცად დავეშვებოდი სკამზე და მორცხვობაგაშვებით ჩავილაპარაკებდი – „ჯერ სადა ხართ“.

სტიუარდესამ ასაფრენად მოგვამზადა, ეკიპაჟი გაგვაცნო და წარმატებით ფრენა რომ გვისურვა, ბოინგი უკვე საფრენ ბილიკზე იყო. ერთი მძლავრად ამოისუნთქეს რეაქტიულმა ძრავებმა და ადგილს მოვწყდით. ამ დროს ჩვეულებრივ თვალებს ვხუჭავ ხოლმე და მაშინ ვახელ, როცა რახრახდგანდგარი უეცრად შეწყდება და ჰაერში ვართ. მაშინ კი აი, რა მოხდა; წამის მეათედით ჩამოვარდა სიჩუმე და რომ მეგონა ჰაერში ვართ-მეთქი, საშინელმა დარტყმამ წამომაგდო, კიდევ დარტყმა, ფხოჭნა-ღრჭიალი და შეშინებაც ვერ მოვასწარით, რომ კიდევ ერთხელ დავენარცხეთ და გავსრიალდით. ვინმეს რომ ეთქვა მაშინ, წყალზე დავეცითო, არ დავიჯერებდით, მეგონა აეროპორტის ბეტონს დავენარცხეთ და თვითმფრინავი შუაზე გატყდა-მეთქი. არ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი ისევ ჩემს სავარძელში. შუბლს ზემოთ თავისქალა მეწვის, მაგრამ პირველი რაც გავიფიქრე, იყო – „მგონი ცოცხალი ვარ“. გაბმულად წკრიალებს ზარი. სალონში დამწვრის სუნი ტრიალებს. კატასტროფის ის პირველი წამია, როცა პანიკა და ჟივილ-ზრიალი ჯერ კიდევ არ დაწყებულა და მგზავრები გონს ვერ მოსულან პირველი ელდის შემდეგ. ქალის განწირულმა კივილმა გადატეხა წელში წამით ჩამოვარდნილი ავი სიჩუმე და თითქოს ნიშანს ელოდაო, სალონი ერთბაშად ახმაურდა, აწრიალდა, ავიშვიშდა. „წყალზე ვზივართ!“ „ვიძირებით!“ ჩამესმა იქეთ-აქედან და მაშინვე ილუმინატორს ვეცი, მაგრამ გარეთ უკუნი სიბნელეა. მგზავრებმა ლამის ერთმანეთი გადათელონ. ზოგნი მეორე სალონიდან აქეთ კაბინისაკენ გამორბიან, კაბინის სიახლოვეს მსხდომნი პირიქით, უკან სალონისკენ გასვლას ცდილობენ. თვითმფრინავის ცენტრალურ ნაწილში ლამის ზედახორა გაიმართოს. ჩემგან მარჯვენა მხარეს დაახლოებით მეცხრე თუ მეათე რიგში ვიღაც სათადარიგო გასასვლელის კარს ებღაუჭება: „არ გააღოთ! წყალი შემოვა! ამოვიხრჩობით!“ – ღრიალებს ვიღაც. „არ შეგეშინდეს, ქსენია, გადარჩენილი ვართ!“ ჩამყვირის სამსონი და ხელზე მიჭერს. მე შიშისგან ენადაბმული რაღაცას ვლუღლუღებ და ფეხით ჩემს ტუფლებს დავეძებ, რად მინდოდა ტუფლები, თუ ღმერთი გწამს.

უეცრად მიკროფონი ახრიალდა და სალონში გამაყრუებელი სისასტიკით გაისმა: „ყურადღება, ლაპარაკობს კაპიტანი! თქვენი გადარჩენა იცოდეთ, თქვენს ხელთაა! შეწყვიტეთ პანიკა! დაუბრუნდით ადგილებს. მოგვეცით საშუალება გადაგარჩინოთ!“ სასწაული მოხდა, კივილ-ხრიალი შეწყდა და წამის წინ ყვირილისგან ქაფმომდგარი მგზავრები, მართალია, ადგილებს არ დაბრუნებიან, მაგრამ სავარძლებს შორის წიწილებივით შეიყუჟნენ და გასასვლელი გაანთავისუფლეს. „მიგვიშვით ლუკთან! ნუ გეშინიათ, ყველაფერი რიგზე იქნება!“ ჩასძახის მეგაფონს სახეშეშლილი სტიუარდესა და ხალხს მოარღვევს. უკან ეკიპაჟის წევრები მოჰყვებიან. მაშინ ყურადღება არ მივაქციე, ახლა ნათლად მიდგას ეს

სურათი: ოთხივე პილოტს ხელთ უზარმაზარი ჩემოდნები ეჭირა. ასე ყვირილ-ბრძანებით გააღწიეს ლუკამდე. დანარჩენები ცდილობდნენ კარებისკენ წასულ ეკიპაჟს უკან ახლოს გაჰყოლოდნენ. აი, მაშინ გაიმართა ერთი ჭყლეტა-ჯგლეთა. ყველას თავის თავი უჭირდა და რევერანს-ჯენტლმენობის თავი აღარავის ჰქონდა. ხომ სამსავარძლიანი რიგებია თვითმფრინავში, იმ სამი მგზავრიდანაც თითოეული ცდილობდა წინ გავარდნას, ერთმანეთს უბოდიშოდ ზურგზე ახტებოდნენ და გასასვლელისკენ გასხლტომას ლამობდნენ. „რა მოგივიდათ! ვაცალოთ ერთმანეთს!“ ყასიდად ჰყვიროდა ზოგი და თვითონ ამ ფანდით ლამობდა წინ გასვლას. სალონში დამწვრის სუნი და კვამლი მატულობდა. ჩვენ, მე და სამსონი ფეხზე ვიდექით, გერასიმე ილუმინატორთან იჯდა. სათვალეს მოიხსნიდა, ისევ გეიკეთებდა და ირგვლივ ატეხილ ალიაქოთს ისე მშვიდად ათვალიერებდა, რომ გამიკვირდა კიდეც; მშვიდად-მეთქი რომ ვამბობ, გარეგნულად არაფერი ეტყობოდა, თორემ დიდ ნერვიულ სტრესს რომ განიცდიდა, მაშინ დავრწმუნდი, სავარცხელი რომ ამოიღო და თმის ვარცხნა დაიწყო.

კვამლი ერთბაშად დაიძრა იმ მხარეს, საითკენაც ეკიპაჟის წევრები წავიდნენ. „ლუკი გახსნეს?!“ ვეკითხები ჩემ წინ აღმართულ ზურგებს, მაგრამ პასუხს არავინ იძლევა. „რას ამბობენ, პირადი ნივთები წამოვიღოთ?! მაღლა საბარგულზე ბოღჩას ებღაუჭება თმაგაძეძილი ქალი. „დატოვეთ ყველაფერი!“ თავმოუბრუნებლად პასუხობს ჩემ წინ მდგარი აყლაყუდა, რომელსაც თვითონ ერთი ჩანთა ზურგზე აქვს მოკიდებული და მეორე ხელში უჭირავს. „აცალეთ ერთმანეთს! დრო კიდევ გვაქვს! მამაკაცებო, გამოიჩინეთ კეთილგონიერება, მოხუცები და ქალები გამოატარეთ!“ ჩასძახის მეგაფონს სტიუარდესა. ბავშვებზე არას ამბობს, ღვთის წინაშე ვერ დავიფიცებ, მაგრამ თვითმფრინავში ჩასხდომისას და არც მერე, მე იქ ბავშვები არ შემინიშნავს.

უეცრად ფეხებში სისველე ვიგრძენი და არც დამიხედავს, მივხვდი რომ ძირს, ჩვენს ფეხებთან წყალი აჭყვამპალდა. „წყალი!“ – ვიყვირე რაც ძალა და ღონე მქონდა. ეს მთელი ამ ხნის მანძილზე ჩემი პირველი ყვირილი იყო. „ვიძირებით!“ მომესმა აქეთ-იქიდან და მგზავრები ახალი ენერგიით მიაწვნენ გასასვლელისკენ. აქეთ ვიღაც თავმოტვლეპილი ამაოდ ცდილობს სათადარიგო გასასვლელის გაღებას. „ინსტრუქცია წაიკითხე, მანდ წერია!“ ჩასძახის ვიღაც. „ყველაფერი ინსტრუქციით გავაკეთე! არ იღება!“ ტირილგარეული ხმით ამბობს სათვალიანი და წითლადშეღებილ სახელურს იქეთ-აქეთ ატრიალებს. კვამლმა იმატა. ორ მეტროში ვეღარაფერს ვხედავთ. ჩახლართულ ჩაბურდული რიგი წინ მიიწევს. „ჩავდგეთ, რაღას ველოდებით!“ ვყვირი და გაჭედილ რიგში ფეხის შედგმას ვცდილობ. „გერასიმე ადექი!“ ფანჯარასთან წყნარად მიყუჟულ პროფესორს ხელს ჰკიდებს სამსონი და თანაც მარცხენათი მე მაკავებს, რომ წელში არ გადამტეხონ. „მე ცურვა არ ვიცი!“ ამოსძახა გერასიმემ. „წამოდი, წამოდი, კაცო, იქ რაღაც იქნება, ნავები აქვთ!“ ებღაუჭება სამსონი. „არაფერიც არ იქნება!“ ამბობს გერასიმე. „ადექი, გერასიმე, ხვეწნის დროს გვაქვს ახლა?“ „გადით, გადით თქვენ, მე ბოლოს გამოვალ!“ „არ დაგტოვებ, შენ არ მომიკვდე“ – სამსონი სახელოში ჰკიდებს, ლამის ძალით წამოაყენოს. გერასიმე უძალიანდება. „გადით, გადით, თქვენ, მოგყვებით, ნუ გეშინიათ!“ ამასობაში მე და სამსონი ხალხის ტალღამ გაგვიყოლია, გერასიმე კი, თითქოსდა ჩვენს გასატყუებლად, ერთი წამოიწია და ისევ დაჯდა. „ბატონო, გერასიმე, არ დარჩეთ, გემუდარებით!“ – ყელგაწვდილი ვყვირი და თავის მობრუნებას ვცდილობ. „წადით, წადით! დაგეწევით!“ გვამშვიდებს გერასიმე. წყალი ლამის მუხლებამდე მომწვდეს. ფეხები საშინლად დამიმძიმდა. წამით თითქოს გონებაც კი დავკარგე და განსჯის უნარი რომ დამიბრუნდა, წყალზე ვტივტივებდი. თვითმფრი-

ნავის თვალიერების თავი აღარ მაქვს, მაგრამ ვგრძნობ, რომ რაღაცას ცეცხლი უკიდია. შავ წყალს წითელი ათინათი დაჰკიაფებს. ირგვლივ წივილ-ღრიალი და წყალზე ხელების ტყაპა-ტყუპი ისმის. „ქსენია ამ სახელურს ჩაეჭიდე! არ მოშორდე!“ ჩამძახის სამსონი. „სად მიდიხარ! არ დამტოვო! ვემუდარები. „ახლავე დავბრუნდები! გერასიმეს გამოვიყვან!“ სამსონი ლუკის კვამლიან ხახაში გაუჩინარდა. გულს მაზიდვინებს. წყლის ზედაპირზე ატივტივებულ ხელჩანთებს და ქუდებს ხელით ვიშორებ. ახლა ვიგრძენი, რომ კაბა საშინლად დამიმძიმდა, ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიჭირდა გახდა, მაგრამ გავიხადე თუ არა არაჩვეულებრივი სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს არტახები შემომხსნესო, სამსონმა ნახევრადჩაძირული კარიდან თავი ამოყო „ქსენია!“ „აქა ვარ!“ – „არ მოდის, ცურვა არ ვიციო!“ „ძალით გამოგეყვანა!“ „ვერ ავაგლიჯე სავარძელს. შეშინებულია, ცურვა არ ვიციო... ქამარიც კი შეუკრავს. დაიღუპება!“ „ეჰეი, არავინ ხართ?! თვითმფრინავში კაცი დარჩა, ღვთის გულისათვის, გამოიყვანეთ!“ გავყვირით ორივენი, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

„მოშორდით თვითმფრინავს! შეიძლება აფეთქდეს!“ გერმანულად ყვირის ჩემ წინ აფართხალებული შუბლწაკრული მამაკაცი. იგი აფრენის დროსაც შევნიშნე, გაღეღილ მკერდზე ჯვარი მოუჩანდა. ჯერ ვიღაც შლაპოსან კაცს მიაწვა და თვითმფრინავს გაარიდა. „გაიხადეთ ყველაფერი! რა ბავშვივით იქცევით!“ უბრძანა ისე მკაცრად, როგორც განსაცდელში ჩავარდნილმა გერმანელებმა იციან ბრძანება. მერე ჩემთან მოცურა, სახელურისთვის ხელი გამაშვებინა და წყალში საკმაოზე უფრო უხეშად მიბიძგა. „სამსონ!“ სიბნელეს გავძახი. „აქა ვარ, გამოცურე სწრაფად! თვითმფრინავი უნდა აფეთქდეს“. სიმწრის ცურვით დავშორდით თითქმის უკვე ჩაძირულ თვითმფრინავს ოცდაათი-ორმოცი მეტრით. ჩემ ირგვლივ წყლის ჭყაპუნ-შრიალი და ერთმანეთში არეული ყვირილი, ტირილი, ხვეწნა, მუდარა, სხვადასხვა ენაზე გადაძახილ-გადმოძახილი მოისმის. თითქოსდა ცეცხლი თვითმფრინავს კი არა, წყალს უკიდია. თვითმფრინავი კი ნელა, რწევით იძირება. ლუკი უკვე წყალს დაუფარავს. „სამსონ, გერასიმე სამსონ?!“ შეცხადების ხმით, ტირილით ვამბობ. „რა უნდა მექნა. თვითონ გადაწყვიტა ასე. უნდა გენახა როგორ ვევედრებოდი, ბოლოს ძალით მინდოდა გამომეყვანა. ქამარს საშინელი ძალით ჩაებღაუჭა. წადი, ასე მირჩევნია. გული ცუდად მაქვს, ნუ მაყვირებო“. ვგრძნობ, როგორ ერევა ხმაში ცრემლი სამსონს. ერთი სული აქვს – იღრიალოს და გული ამოაყოლოს.

ზღვა ისევ იწვის. წყალს ბენზინის სუნი დაჰკრავს. აქამდე არ მიგრძვნია, ახლა ვგრძნობ, რომ წყალი ცივია და უსიამოვნო. მივცურავთ ქშენით, კვნესით, ტყაპატყუპით. ჩემ ირგვლივ ცეცხლით განათებულ სახეებს ვხედავ. „სამსონ!“ გავძახი დროდადრო. „აქ ვარ, ხომ არ დაიღალე?“ „არა, ნუ გეშინია, გავუძლებ!..“ „როცა დაღლა იგრძნო, მხარზე დამეყრდენი“. „ჯერჯერობით არა მიშავს, ოღონდ შენ არ დამეკარგო, ახლოს იყავი ჩემთან!“ „ნუ გეშინია, აი, სულ ახლოს ვარ!“

თითქოს ოდნავ დავმშვიდდი კიდეც. ჯერჯერობით ხელფეხი მემორჩილება და ძალაც მერჩის. ცოტა თავი მტკივა, ისე, გასაძლებად. „შეჩერდით, არასწორად მივცურავთ, ნაპირი იქეთ არის!“ ისევ იმ გერმანელის ხმაა. „საით, საით! ნუთუ არ მოგვეშველებიან?!“ – „მომყევით!“ ამ დროს აუცილებლად გამოჩნდება ხოლმე წინამძღოლი და, ვინც გადავრჩით, სიცოცხლეს სწორედ იმ გერმანელს უნდა ვუმადლოდეთ. „რა იცით, რომ ნაპირი იქეთაა?!“ „საერთოდ, რა მანძილზე ვართ ნაპირიდან? შევძლებთ გაცურვას?“ გაისმა სკეპტიკოსთა ხმები, მაგრამ გერმანელის ხაფიანი ხმა გვაიძულებს მივყვეთ. „ახლა ახსნა-განმარტების დრო არ არის!“ გაჰყვირის იგი და დელფინივით მიარღვევს ოკეანეს.

ხანდახან ზედაპირზე მისი შუბლზონარიანი, ლამაზი თავი გაიელვებს.

ხომ ასე უწესრიგოდ და არეულ-აბურდულად ვიქცეოდით აქამდე, ახლა, თითქოს, ყველაფერი წესრიგში ჩადგა. სიცოცხლის გადარჩენისთვის კვეთებამ ყველანი გაგვაერთიანა, ერთ ჯგუფად შეგვკრა, ერთ სურვილს დაგვიმორჩილა. მიუხედავად გერმანელის წამდაუწუმ გაფრთხილებისა „არ იჩქაროთ, ნელა, შესვენებებით იცურეთ, წინ საკმაო მანძილი გვაქვსო“, ყველანი ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ და შეძლებისამებრ წინა რიგებში ვიყოთ. რატომღაც მგონია, რომ ჩამორჩენა სიკვდილს ნიშნავს. „მიშველეთ, დავიღალე, ვეღარ ვცურავ!“ განწირული ხმით ამოიხრიალებს დროდადრო ვიღაც. წამით შებრუნდებიან მისკენ, მიაყურადებენ და თითქოს ეს ყვირილი ჩვენ არ გვეხებოდაო, ცურვას მოუჩქარებენ, საშველად მომხმობს კეთროვანივით გაშორდებიან. ზურგს უკან ზღვაზე ცეცხლი ისე ბრიალებს. ჩვენდა იღბლად, თვითმფრინავი არ აფეთქდა იმ მიზეზის გამო, რომ როგორც შემდგომ გავიგე, წყალზე დაშვებისას პილოტებმა მოისაზრეს და ბენზინის ავზი გახსნეს. ბენზინი რომ დაიღვარა, თვითმფრინავი ცოტათი წინ გაასრიალეს და სწორედ ამიტომ ჩანდა, რომ ცეცხლი თვითმფრინავს კი არა, ზღვას ეკიდა.

რატომ არ მეკითხები, გრძელი მარშრუტის „ბოინგს“ მაშველი კოსტუმები ხომ სავარძლის ქვემოთ აქვს, რატომ არ გამოიყენეთო. შენ წარმოიდგინე, არც გაგვხსენებია. შეიძლება სხვებმა დაუწყეს ძებნა, ჩვენ კი, ჩვენ სამს – არც გაგვხსენებია. კატასტროფის მეორე დღეს გავიგე, რომ სწორედ (ესეც ბედია) ჩვენს თვითმფრინავს არ გააჩნდა მაშველი კოსტუმები. რაღაც მიზეზიც გვითხრეს; საერთოდ, ეს თვითმფრინავი სხვა მიმართულებით უნდა გაფრენილიყო და ხმელეთზე უნდა გადაეფრინა (ჩვეულებრივ ამგვარი დანიშნულებისა გახლდათ), მაგრამ გაფრენის წინა საათებში

კომპანიამ რისკი გასწია და უმაშველკოსტუმო თვითფმრინავი „ლატრაპეზო-პარიზის“ მარშრუტით გააფრინა. იქნებ მართლაც ასე იყო. ახლა ამის დადგენა ძნელია.

„შესვენება! გაწექით წყალზე პირაღმა, თავი უკან გადასწიეთ, წელში გაიზნიქეთ, ხელები გაშალეთ და წყალზე დააწყვეთ!“ – კვლავ გერმანელის ხმაა. ყველანი სიტყვისშეუბრუნებლად ვემორჩილებით. კატასტროფის მოხდენიდან ალბათ თხუთმეტი წუთიც არ არის გასული. მე კი მგონია მთელი საუკუნეა წყალში ვართ. შიშის ქარმა გამიარა და სულ სხვა ადამიანად ვიქეცი. სადღაც წავიდა განსჯისა და დაფიქრების უნარი, ურომლისოდაც, მგონი, რაც აზროვნება დავიწყე, ნაბიჯი არ გადამიდგამს. ახლა უმორჩილესი ჯარისკაცი ვარ, რასაც მიბრძანებენ, უყოყმანოდ შევასრულებ, ოღონდ ცოცხალი გადავრჩე.

პირაღმა ვწევარ და ცას შევცქერი. ცაც ისეთივე შავი და ალაგ ციმციმაა, როგორც ზღვა. თითქოს ცასაც გადაუვლის ხოლმე დროდადრო ჭავლი და ვარსკვლავების ნაშლას ცდილობს.

წყლის შხუილმა და ძრავის რახრახმა გამომარკვია. ყურები წყალში მედო და ამიტომ უფრო ჩქარა მოვიდა ჩემამდე ძრავის ხმა. ორი პროჟექტორი გამოსულა წყალში და ჩვენ დაგვეძებს. გვიპოვეს როგორც იქნა. დაგვანათეს და სინათლე მანამ არ მოგვშორდა, სანამ პროჟექტორიანი ორი კატერი შემოგვეწყო. „გადავრჩით!“ – სიხარულისგან გული ლამის ბუდიდან ამომიხტეს. კატერიდან არავინ შეგვხმიანებია, სიტყვაც არ გამიგონია. ბაწრის კიბეები რომ ჩამოუშვეს ერთი ზედახორა მაშინ გაიმართა. ყველას უნდა, სხვაზე ადრე მიწვდეს თოკის საფეხურს – სიცოცხლეს და ოკეანის შავ ხახას განერიდოს. კიბეზე ასვლა მოსალოდნელზე უფრო გამიჭირდა, სამსონი რომ არ მომშველებოდა, ალბათ, ტანს ვერ ავიტანდი, ამოვყავი თუ არა ფეხები წყლიდან, საშინელი სიმძიმე და დაღლილობა ვიგრძენი. აღარც კი მახსოვს,

როგორ ვიდექი კატერის მოაჯირთან მოთენთილი და მოშვებული. ძრავის ღუღუნი მესმოდა, სხვა არაფერი.

დავიდარაბა ნაპირზეც გადაგხვდა. სანამ სასწრაფო დახმარების მანქანებამდე მიგვიყვანდნენ, ჟურნალისტებმა, ფოტოგრაფებმა და ტელერეპორტიორებმა სული ამოგვხადეს. ისედაც ქანცმილეულებს ხელებით გვაკავებდნენ, არ გვიშვებდნენ, გვეკითხებოდნენ, რა გავიფიქრეთ და რა განვიცადეთ კატასტროფის პირველ წამებში. რაღაც აბდაუბდა სიტყვებს ვისროდი იქეთ-აქეთ და სამსონისხელ-ჩაბღუჯული, განაწამები სახით მივარღვევდი ჟურნალისტებისა და სეირის მოყვარულების დერეფანს.

კლინიკაში გაჩახჩახებულ თეთრ დარბაზში რომ შეგვიყვანეს, მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ შიშველი ვიყავი. თეთრ, ნეილონის ბიუსტჰალტერისა და ცისფერი პერანგის ამხანაგის ამარა ვიდექი გადარჩენილთა გრძელ რიგში, სანამ ვიღაც ღვთიანმა თეთრი ხალათი მომახურა.

შვიდ მაგიდასთან მაინც მივედით. ერთგან ანკეტები შეგვივსეს, მეორეგან წნევა გაგვიზომეს, მესამე მაგიდასთან უბრალოდ გვკითხეს: თავი ხომ არაფრისთვის მიგირტყამთო და ა. შ. დაშავებულები იქვე გაამწესეს სტაციონარში. მე და სამსონი უვნებლად ჩაგვთვალეს და კვლავ სასწრაფო დახმარების მანქანაში შეგვაბრუნეს. მანქანაში რომ ვსხდებოდით, თეთრწარბება რეპორტიორმა მოგვახარა: ასოცდაშვიდი მგზავრიდან მხოლოდ ორმოცდაექვსი გადარჩა ცოცხალი. იმ ორმოცდაექვსიდან ცხრამეტი საავადმყოფოში მოათავსეს, თქვენ ბედნიერ ოცდაშვიდთა შორის ბრძანდებითო.

ქალაქგარეთ პატარა სასტუმრო „ბონასერაში“ მიგვიყვანეს და ორსაწოლიან ღარიბულ ნომერში მოგვათავსეს. სიმართლე გითხრათ, მგონი, მაშინ გამახსენდა, რომ ქალი ვიყავი და სასტუმროს დიასახლისისთვის თქმაც კი დავაპირე; ჩვენ ცოლ-ქმარი არ გახლავართ და იქნებ ცალ-ცალკე ნომერი გამოგვიყოთ-მეთქი, მაგრამ ხელი ჩავიქნიე; მეტისმეტი ფუფუნება გამოდიოდა სასტუმროში მიყვანილი, ლამის დედიშობილა, ორი უცნაური კლიენტისაგან.

ოთახში ტელეფონი არ გვქონდა და როგორც შედარებით „ჩაცმულმა“ მე ვითავე საკონსულოში დარეკვა.

როგორც იქნა, დავადგინე საკონსულოს ნომერი. ყურმილში ქალის ხმა გაისმა.

– გისმენთ.

– თუ შეიძლება რიჩარდ შმაკოვსკის სთხოვეთ.

– რიჩარდ შმაკოვსკი კარგა ხანია ისვენებს. თქვენ რა, საათი არა გაქვთ?

ყურმილი ყელთან ჩამოვწიე და კედლის ელექტროსაათს შევხედე, თორმეტს აღარაფერი უკლია.

– ქალბატონო, იქნებ ბინის ტელეფონი მითხრათ?

– ბინის ტელეფონის გაცემის უფლება არა გვაქვს, ვერაფერში დაგეხმარებით. ნახვამდის.

– ქალბატონო, არ დადოთ ყურმილი. ვისთან მაქვს საუბრის პატივი?

– მორიგე ვარ.

– თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა.

– რომელმა თვითმფრინავმა? – გამოცოცხლება არც ახლა შეტყობია მორიგეს ხმაში.

– ჩვენ მეანეთა სიმპოზიუმის წევრები ვართ. დღეს უნდა გავფრენილიყავით პარიზში. შმაკოვსკიმ გამოგვაცილა, მაგრამ თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. ერთი წევრი დაგვეღუპა. ორნი გადავრჩით. ახლა სასტუმრო „ბონასერაში“ ვართ შეფარებულები. უფულოდ, უსაბუთოდ, უტანსაცმლოდ, „უვახშმოდ“-მეთქი მინდოდა დამემატებინა, მაგრამ ზედმეტი იყო. ვახშამი ვიღას ახსოვდა.

– რომელ სასტუმროში ხართ?

– „ბონასერაში“.

– იცით რა, ახლა აქ არავინ არის. არ შეგიძლიათ, ერთი

საათის შემდეგ დარეკოთ?

– თქვენ იცით, რას ჰქვია კატასტროფა?! – ლამის ყელის ძარღვები გავიგლიჯო.

– რა გაყვირებთ, ძალიან კარგად გავიგე ყველაფერი. მე აქ მხოლოდ მორიგე ვარ, მეტი არაფერი. მე რა შემიძლია? შევატყობინებ, ვისაც საჭიროა. თუ შეძლებთ, ერთი საათის შემდეგ დარეკეთ.

– მომეცით ახლავე შმაკოვსკის ბინის ტელეფონი!

– მე მგონი, გასაგებად გითხარით, ბინის ტელეფონის გაცემის უფლება არა გვაქვს...

საკონსულოს თანამშრომელი რიჩარდ შმაკოვსკი მხოლოდ მეორე დღეს, ათის ნახევარზე, მოვიდა.

შენ რას წაიღებ

ცისფერ აბრეშუმში გამოწყობილი სამოთხის მკვიდრნი ხასხასა ბალახზე ფეხაუწყობლად, ტაატით მიაბიჯებდნენ. პირამიდისებურ მარჯნის მთასთან შემობრუნდნენ და კვლავ ტკბილი მასლაათით გამოუყვებოდნენ მწვანე მინდორს.

ორკესტრი არ უკრავდა.

მზე ისე თბილად და გაუმეტებლად ანათებდა, როგორც ჩვენში სექტემბრის მიწურულს იცის ხოლმე.

ყველას ერთნაირად და ლამაზად ეცვა. კოხტად მორგებული კვართ-საწმერთული და ზურგზე ჩანჩქერივით გადმოშვებული აბრეშუმისვე მანტია. ფეხზე თახვის ტყავის თასმებით დამაგრებული ხის ქოშები.

მიმოდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, მათ შორის ეულად მოსიარულე შაქრო ხელაძესაც შენიშნავდით. ეს უკანასკნელი ოდნავ აჩქარებული ნაბიჯით, თავაწეულად მიდიოდა, მარჯნის მთასთან შემდგარი იდუმალ მზერას აყოლებდა ციცაბოდან დაძრულ რძისფერ ნისლს, მერე სწრაფად შემოტრიალდებოდა და შთაგონებული პირისახით განაგრძობდა ეულ მსვლელობას.

შაქრო ლეღვის ხესთან შეჩერდა. ბიბლიური ხე დამძიმებულ ტოტებს ძლივს იკავებდა. ირგვლივ მწიფე ლეღვის დამათრობელი სურნელი იდგა.

ჯგუფს ვიღაც გამოეყო და შაქროს შორიდან გაუცინა. ათიოდე ნაბიჯზე რომ მოახლოვდა, მაშინღა იცნო ლეო ჯინჯალაძე. ეს ორი დღეა ნაცნობი არავინ დამილანდავს და რაღა ეს გამომეცხადა, ეს მამაცხონებული აქაო, გაიფიქრა შაქრომ და გადაწყვიტა ლეღვის ხეს ამოფარებოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო, სიცოცხლეში დაუძინებელი მტერი ახლა, აგერ, სამოთხეში, მისკენ ხელგაშლილი და სახეგაბადრული მოდიოდა.

ხელაძეს ლეოს საზეიმო შეგებება არ გაკვირვებია. სიცოცხლეშიც ასე იცოდა ჯინჯალაძემ. თვალს რომ მოგკრავდა, ისეთ გამომეტყველებას მიიღებდა, თითქოსდა შენზე სანატრელი არავინ ჰყავდა დუნიაზე. ეს ყელსაცილებული „შენ შემოგევლე“ ბევრს თვალს უხვევდა. ლეო არ იყო იმხელა ვაჟკაცი, რომ კაცისთვის პირდაპირ ეთქვა – „მე შენ არ მიყვარხარ“, ან „ჩვენ ერთმანეთის მტრები ვართო“, პირიქით, ყველას უღიმოდა, გარეგნულად ყველასთან კარგად იყო, მაგრამ თავის განუყრელ მეგობართან კვირიონ სანაიასთან მარტო რომ დარჩებოდა, მაშინ გახსნიდა გულს და ამოალაგებდა: „ამას მაინც რაღა უნდა, ამ მათხოვარს. ხომ გახსოვს, სანამ დირექტორი გავხდებოდი, რა დიდ გულზე იყო, ბავშვობაში მაგის სახელით მაშინებდნენ. იხტუნოს და იყოს. ბარე ორ დღეს ივლის. სანამ მაგან ის ქაღალდი ვერ წაიღოს აქედან, მანამ არ აუდგა გვერდები...“

მკითხველს რომ ეს ნოველა სხვა ვინმეზე დაწერილი არ ეგონოს და თავის გარდაცვლილ ნაცნობებში მსგავს კაცს არ დაუწყოს ძებნა, ამთავითვე ვაუწყებ: ლეო ჯინჯალაძე საქარიელი ინჟინერი გახლდათ. გარდაცვალებამდე საპნის ქარხნის დირექტორად მუშაობდა. ამ ორი წლის წინ მიიცვალა პანკრეასის ჯირკვლის სიმსივნით. მაშინ მხოლოდ სამოცდასამისა ბრძანდებოდა. შაქრო ხელაძეც ინჟინერი იყო. საპნის ქარხანაში წუნმდებლად მუშაობდა. მტრები ასაკით თანატოლები იყვნენ. ამ ორ პატიოსან ინჟინერს შორის შუღლი ოცდათორმეტი წლის წინ ისევე დაიწყო, როგორც საერთოდ შუღლი იწყება ხოლმე. ლეო და შაქრო რაკი ერთ დაწესებულებაში მოღვაწეობდნენ და ორივენი საპნის კეთების რთულ საქმეს ემსახურებოდნენ, ხშირად საქმიანად ბაასობდნენ, ტელეფონითაც ურეკავდნენ ერთმანეთს, მაგრამ მთელმა საქარიამ იცოდა, რომ სახელოვანი მესაპნენი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ. ძალთა გადაადგილებაც ორი მოქიშპის ირგვლივ ამ პრინციპს ემორჩილებოდა.

და აი, საიქიოს უნეტარეს განყოფილებაში – სამოთხეში ყოფილი მტრები სრულიად მოულოდნელად კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

– შენ ხარ?! – ლეომ მკლავები დაუჭირა და ერთ ნაბიჯზე უკან დაიწია, რომ კარგად დაკვირვებოდა.

– მე ვარ. – გაუღიმა შაქრომ.

– რამდენი ხანია, აქეთ ხარ?

– დღეს თოთხმეტი არ არის? რვაში დამასაფლავეს.

– რა მოგივიდა?

– ვიცი? უცებ გავთავდი ტელევიზორთან.

ლეოს გაეცინა.

– რას გადმოსცემდნენ ასეთს?

– ტელევიზორთან ვიჯექი ისე, უბრალოდ. ჩართული არც კი მქონდა. შენზე ვფიქრობდი:

– ოჰო?

– არ დაიჯერებ, შენი სიკვდილის მერე უფრო მეტს ვფიქრობდი შენზე. რას შვრები, როგორ ხარ?

– რა მიჭირს. – ლეომ განზე გაიხედა. ხელაძეს იგი გაახალგაზრდავებული ეჩვენა. მზით გარუჯულ პირისახეზე ნაოჭები აღარც კი აჩნდა და არც თვალები ჰქონდა შეშუპებული.

– სად დაგასაფლავეს? – ლეომ მცირე დუმილის შემდეგ ჰკითხა.

– ვერ გეტყვი. ძელქვიანაზე იყო ადგილი, ჭომაშიც, მწვანეყვავილაზეც გამოძებნიდა კაცი. ოღასკურაზე მე არავინ ამიყვანდა და არც მქონია ამის სურვილი. რა მნიშვნელობა აქვს, კაცმა რომ თქვას.

– მართლაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. ვინ უყურებს, სად ხარ დამარხული. აქ?

– საბუთებში არც კი ჩაუხედავთ. დამასაფლავეს თუ არა, ნახევარ საათში სამოთხემობილზე ვიჯექი. საგზური უკვე გამოწერილი და ყველაფერი გაფორმებული იყო.

– ბინა?

– ზეთისხილის ქუჩაზე იქვე, ბაზართან. მერვე შესახვევში. მეექვსე ბლოკია.

– მეზობელი?

– ჯერ არც გამოვლაპარაკებივარ. იტალიელიაო, მითხრეს, კასკადიორი ყოფილა და გადაღების დროს ხანძრიდან ვერ გამოსულა.

ლეომ ლეღვისკენ გაიწია.

– ხომ არსად გეჩქარება, მივჯდეთ აგერ, ცოტა ხანს.

„მეჩქარება“ გაუკვირდა ხელაძეს. ეს ხუთი დღეა აჩქარებული კაცი არ დაუნახავს. „მეჩქარებამ დაღუპა ზევით ადამიანთა უმრავლესობა“, გაიფიქრა.

– კი, ბატონო, სად მეჩქარება.

ლეღვის ხის ქვეშ მწვანედშეღებილ ბამბუკის სავარძელზე ჩამოსხდნენ.

მარჯნის მთას ნათელივით დაადგა მეწამული მზე.

– ჩემს საფლავს უვლიან? – ლეომ განზე გაიხედა.

– იდეალურად.

– შარშან, ახალი ჩამოსული ვარ სამოთხეში და რეჟისორი კვანტრე შემხვდა, ა, რავარც შენ შემხვდი ასე. ეგ ავარიაში მოჰყვა, თუ გახსოვს. ჩემი ამბიდან ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა. სად დამასაფლავეს-მეთქი, პირველი ეს ვკითხე. გაიკვირვა, მართლა არ იცით? სად და სადაც დაიბადე, იქ დაგასაფლავესო. იმას ეგონა, იმ სულელს, უღასკურაზე დასაფლავება მე დავიბარე.

– ხმაც ასე გავრცელდა საქარიაში, სხვათა შორის. მე იმთავითვე არ მჯეროდა. ლეო მაგის დამბარებელი არ იყო-მეთქი, ყველას ვეუბნებოდი.

– ვითომ რატომ არ დავიბარებდი?

– რატომ და შენ სიკვდილისთვის არ ემზადებოდი, მთელი ცხოვრება ისე გაატარე, რომ გეგონა, სხვები ყველანი უნდა მომკვდარიყვნენ და შენ ცას უნდა გამოკერებოდი.

– დაიწყე? – ლეოს ხმაში საყვედური გამოკრთა.

– რაღა დროს დაწყებაა, კი არ დავიწყე, დავამთავრე. საერთოდ, შენ რომ მოკვდი, ძალიან მოვიწყინე. ყველაფერი სისულელედ მომეჩვენა. თითქოს მთავარი საქმე დავკარგე. მოვდუნდი. მთელი ცხოვრება რომ გამიმწარე, თუ გახსოვს მაინც რაზე დაიწყო ჩვენი შუღლი.

– აღარ მახსოვს.

– რაზე და დირექტორად რომ გნიშნავდნენ, ვიღაცას ვუთხარი, მაგას ლითონთა ტექნოლოგია აქვს დამთავრებული. საპნის საქმე გაუჭირდება-მეთქი. ეს იყო და ეს.

– კი. მასე იყო, გამახსენდა.

– ამაზე გადამეკიდე. ღირდა? მაინც ვერ გავიგე, რატომ მიგაჩნდი შენს მოსისხლე მტრად.

– არც შენ მაკლებდი ხელს. შენც არ გადმოდგი ერთი ნაბიჯი ჩემკენ.

– მეც ამაყი ვიყავი. შენ რომ ნამეტანი გაიწიე. მეც აღარ გამომიშვა თავმოყვარეობამ. შენი ნაკლი რა იყო იცი? ენის მომტანებს გაფაციცებული უსმენდი.

– რა მექნა. დღე ერთი იყო და ხუთ კაცს მაინც შემოჰქონდა შენი ამბავი – აქ ეს თქვა, იქ ის თქვაო. თანაც, რომ დავფიქრდებოდი, ბევრი რამ ჰგავდა შენს ნათქვამს. მე ხომ ვიცი შენი ენის ამბავი.

– რა ენის ამბავი? მთელი ცხოვრება ერთად ვიმუშავეთ, მაგრამ სრულებით არ მიცნობდი. შენ სულ სხვა გეგონე, მე სულ სხვა ვიყავი. ენა რატომ მოჰქონდათ იცი? გატყობდნენ რომ ენატანიობა გსიამოვნებდა, თორემ აბა ერთი დაგებღვირა იმისთვის, ვინც პირველად მლანძღა შენს წინაშე.

– მაგრამ გულის სიღრმეში მე მაინც მიყვარდი!

– ნამეტანი სიყვარული იყო. ოცდათორმეტი წელი არ გამახარე. არც წინ წამწიე. მრცხვენოდა პატარა ბიჭების გვერდით წუნმდებლად რომ ვჯახირობდი ამხელა კაცი. სადმე სიტყვას იტყოდი და მე უხსენებელივით გამომტოვებდი.

არადა შენც ხომ იცი, არ ვიყავი ცუდი მუშაკი მე.

– აშენებით ვერც სხვები ავაშენე, მაგრამ გაიხსენე, ცუდი ხომ არაფერი გამიკეთებია შენთვის.

– ვერაფერში გამომიჭირე, თორემ არც მაგაში დამაკლებდი ხელს.

– აბა, სინდისში ჩაიხედე? ბაღარაძის საქმე ისე ჩაგივლიდა, მე რომ ჩავსდევნებოდი ბოლომდე?

– მე რა, ბაღარაძეს ჩემთან რა კავშირი ჰქონდა, შენ არ გაძლევდა ხელს მაგ საქმის გახმაურება.

– ყველაფერს ვერ გეტყვი. შენ არ იცი, რა საქმეები იყო შენზე შედგენილი, მაგრამ ყოველთვის ხელს გაფარებდი.

– ამას ჩემი სიყვარულით კი არ აკეთებდი, გეშინოდა. იცოდი, რომ შენ დაგბრალდებოდა და არ გინდოდა შენი სახელი ქალაქში საბურთაოდ გამოგეტანა. მაგას ძალად სიკეთე ჰქვია და მეტი არაფერი...

– აბა გულზე ხელი დაიდე? ხომ გეხარბებოდა ჩემი აღზევება?

– აი, სწორედ მანდ არა ხარ მართალი. სულ გეჩვენებოდა, რომ შენი ეხარბებოდათ, შურით გიცქეროდნენ. ვფიცავარ ზევით დარჩენილ ჩემს ერთადერთ შვილიშვილს, შენი არასოდეს არაფერი შემხარბებია, პირიქით, ყოველთვის მეცოდებოდი, ჯერ ერთი, ავადმყოფი კაცი რომ იყავი იმიტომ და მეორეც, რა იყო სანატრელი შენს დირექტორობაში – კაბინეტში ჯდომა და შენს იმდენ სნეულებებზე კიდევ ბუასილის მომატება? უფროსებისთვის სულ ოცდათორმეტი კბილის ჩენა და ლაქუცი, ურომლისოდაც, რა ვაჟკაციც უნდა ყოფილიყავი, ვინ გაგაჩერებდა საპნის ქარხნის დირექტორად? ეს უნდა შემხარბებოდა?

– აბა, რა იყო, შე კაი კაცო, დანიშნული არ ვიყავი დირექტორად და კბენა დამიწყე.

– რა კბენა დაგიწყე, თუ ძმა ხარ? კაცი რაღაცას წამოაყრანტალებს, ან სიტყვას მოყვება, ან წამოცდება, ასე მომაკვდინებელი ნესტარივით უნდა განსაჯოთ ერთი მოუზომავი ნათქვამი?

– სიტყვა კლავს და სიტყვა არჩენსო, ხომ გაგიგონია.

– კი, ბატონო, მაგრამ ცოტა საქმესაც არ უნდა შეხედო? არ ვიყავი შენს ქარხანაში ერთი მუყაითი წუნმდებელი? არ მიხაროდა შენი წინსვლა? დაგიწერე ერთი საჩივარი, ან, თუნდაც უსახელო წერილი?

– ესე იგი, თუ საჩივარს ან უსახელო წერილს არ დაგიწერს დღეს კაცი, იმისი მადლობელი უნდა იყო?

– მაგას არ გეუბნები, მაგრამ სიგლახის გაკეთება, ხომ იცი, ძნელი საქმე არაა და ყველას შეუძლია. თუ გახსოვს, რა აღტაცებული წერილი მოგწერე, ჩვენმა ქარხანამ გარდამავალი დროშა რომ მიიღო. რა მრჯიდა, მაგრამ გამეხარდა და იმიტომ მოგწერე. შენ კი მაინც მიბღვერდი.

– არ დაგიმალავ, ისე მქონდა გული გატეხილი შენზე, რომ ის წერილიც ფარისევლობა მეგონა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, ხომ არ დამცინის-მეთქი.

– ხომ ხედავ, როგორ დაგვაშორეს ერთმანეთს...

– მარტო ბოროტმა ენებმა არა. ეტყობა ჩვენ ერთნაირი ხასიათები გვქონდა და ერთ-ერთს უნდა დაეთმო.

– ახლა მეც ვხვდები, მაგრამ რაღა დროსია.

– ავად რომ გავხდი, კარგა ხანს მეგონა, რომ ჩემი უდროო სიკვდილი შენი ბრალიც იყო.

– და მარტო ერთმანეთს კი არ გავუმწარეთ ცხოვრება, ჩვენი ოჯახის წევრებიც უბღვერდნენ ერთმანეთს ჩვენი სიგლახის გამო, საქმეა ეს?

– მაგაში ვერ დაგეთანხმები. ჩემს გოგონებს შენ ყოველთვის უყვარდი. სახლში დიდი კამათი გვქონდა.

– მეტსაც გეტყვი. შენს პანაშვიდზე რომ მოვდიოდი, მუხლები მიკანკალებდა: ვაითუ ადგეს შენი მეუღლე და სამძიმარზე მისულს დამიყვიროს – შენ აქ რა გინდა, შე მკვლელოო, მაგრამ ვენაცვალე, ოქრო ადამიანია, არათუ

დამტუქსა, მხარზე ჩამომადო თავი და აქვითინდა, ახლა მაინც ხომ შერიგდით, შაქრო, ახლა მაინც ხომ აპატიეთ ყველაფერი ერთმანეთსო.

– გეწყინა ჩემი სიკვდილი? ადამიანობას გაფიცებ...

– რა სისულელეს მეკითხები, ლეო. აბა არ მეწყინებოდა? ასე რამ დაგაავადმყოფა ეჭვით, შე კაცო. მეწყინა კი არა, რომ გავიგე გარდაიცვალაო, ჩავიკეტე წითელი კუთხის ოთახი რომ გვქონდა მეორე სართულზე და კარგა ხანს ჩემთვის ვზლუქუნებდი. სასიკვდილოდ მემეტებოდი, შე კაცო?

– არ დაიჯერებ და მეც ბევრს ვფიქრობდი შენზე, აქ ჩამოსვლის შემდეგ. ყველაზე უფრო იმაზე მწყდებოდა გული, რომ ერთხელ მაინც გულახდილად ვერ ვილაპარაკეთ. ჩვენი ურთიერთობა ვერ გავარკვიეთ. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ-მეთქი და გადადებული საქმე, ხომ იცი, ეშმაკისაა. მაინც რა ჩქარა გათავდა ეს წუთისოფელი, ეს უღმერთო.

– არ მითხრა, დამანებე თავი, თუ კაცი ხარ, მასხარაობა ყოფილა ყველაფერი.

– მომდურებული კაცი არ უნდა დატოვო თურმე ზევით, თორემ სამოთხეში არ მოგასვენებს.

– ახლა კი ვიცით, მარა რა დროსია. ესმით ეს ზევით დარჩენილებს?

– შეიძლება ცხოვრების მარილიც მაგაშია, რომ არ ესმით.

– რაღა მარილი, შე კაცო, ერთმანეთს ვჭამთ.

– შენ რომ „ჭამას“ ეძახი, იმით, იქნება, ცხოვრებას ინტერესი ეძლევა. დაძაბულობა ემატება და დროც ჩქარა გადის ხელის ამ გადაწევ-გადმოწევაში.

– ვინ იცის, იქნება მართალიც ხარ.

– შენ გიშველა ღმერთმა, რა ტვირთი მომხსენი, რომ იცოდე, ამ შეხვედრით.

– არადა, პირველად თვალის არიდებაც კი მინდოდა, სისულელეს არ ვიზამდი, რომ დაგმალვოდი?

– კაი ერთი, თუ კაცი ხარ.

მზე ჩავიდა. სამოთხის შემოგარენს საღამოს თბილმა სიომ დაჰქროლა.

შაქრო და ლეო წამოდგნენ და ხეივანს მარჯნის მთისკენ დაუყვნენ.

თავჩაქინდრულნი მიაბიჯებდნენ.

– ღვიძლი ხომ არ გაწუხებს? – ჰკითხა შაქრომ.

ლეო შეჩერდა. მართლა მეკითხება თუ არაო.

– აქ ჩემო შაქრო, სნეულებანი საერთოდ არ არსებობს, მაგისგან მაინც დავისვენე. არ იცოდი მართლა?

– სულ დამავიწყდა! – კეფა მოიფხანა შაქრომ.

– ვახსოვართ ზევით? – ყრუ ხმით იკითხა ლეომ.

– ახლობლებს და ნათესავებს უფრო მეტად.

– იტყვი კიდევ, არ მაქვს მწარე ენაო? რად მინდა ეგ ხანჯალივით სიმართლე, მითხარი: რას ჰქვია არ ახსოვხართ, შენს მზეს ფიცულობენ-თქვა, რა გეხარჯება.

– რომ არ შემიძლია?

– მაგ „არ შეძლებით“ იყო, ბევრი რამ დაკარგე ცხოვრებაში.

– რა ვუყო ახლა. ასეთად გამაჩინა დედამ.

– კვანტრემ რაც მითხრა, მართალი იყო?

– რა გითხრა ასეთი?

– შენი დამარხვის მეორე დღიდანვე ჯვაროსნული ლაშქრობა გაიმართა დირექტორობისთვისო.

– მაგისთვის ნუ დაემდურები შენს ძმაკაცებს. ყველამ თავისი ნიჩაბი მოიქნია. ვერც გაამტყუნებ. შერცხვენით თავი კვირიონ სანაიამ შეირცხვინა. ლეომ ანდერძი დამიბარა, საპნის ქარხანას შენ გაბარებ, შენ უნდა მოუაროო, ჰყვიროდა თურმე აღმასკომში.

– დამიბარაო რა, საპნის ქარხანა ბაბუაჩემის ქონება კი არ იყო.

– მეცინებოდა. მე ხომ ვიცი, შენს ადგილზე არავის დამ-

ტოვებელი რომ არ იყავი.

– მე ვინ მკითხავდა დირექტორობის სამემკვიდრეოდ გამოცხადებას.

– მაგიტომ კი არა, შენ სიკვდილზე არ ფიქრობდი. სიკვდილისთვის არ ემზადებოდი, შენი ყველაზე დიდი ნაკლი ეგ იყო.

– დაანებე ლამაზ სიტყვებს თავი, შაქრო, ვინ ემზადება სიკვდილისთვის, შენ ემზადებოდი?

– ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობდი სიკვდილზე.

– ფიქრით მეც ვფიქრობდი, მაგრამ ასე ახლოს თუ არაჩხუნებდა ძვლებს, არ მეგონა. შენც ხომ არ გეგონა?

– რა ვიცი... შენ მაინც აღარ დამიჯერებ. შენმა სიკვდილმა მაგრძნობინა სიკვდილის ფასი. სხვა რაღაც უნდა მეთქვა. სიკვდილი გამიადვილა, გესმის, ლეო?

ლეომ შუბლზე თითებით ჩამოივარცხნა ჭაღარა თმა და კბილები გამოაჩინა.

– რაღაცაში მაინც გამოგდგომივარ. რა მაგის პასუხია და ჩვენი ნაცნობებიდან ხომ არავინ აპირებდა აქეთ?

– პატარ-პატარა ყველას რაღაც აწუხებდა. ისე რა ვიცი... რას გაუგებ კაცს...

– მაპატიე, შაქრო, რა სულელური რამ გკითხე.

– რატომ, შე კაცო, სულელური ცოტა რამაა მაგ კიტხვაში. გენატრება ვინმე?

– არა! არავინ!

ცხარედ და ხმამაღლა წამოცდა ლეოს. საპნის ქარხნის ყოფილ დირექტორს პირველად თავის ცხოვრებაში თავისი ნატვრისა შეეშინდა. „ღმერთმა ყველანი კარგად ამყოფოთ, იქ, ზევით, ყველაფერი კარგად მიდის, ყველაფერი გასაგებია. იქეთ წამოსვლას ნურავინ იჩქარებს. ერთ-ორ კაცს რაღაც უნდა ვკითხო, მაგრამ თავის დროზე ვკითხავ, ასი წლის მერე. ასი წლის მერე... ასი წლის მერე... ასი წლის მერე...“

ვერცხლისფრად განათებულ მოედანს ორღანოს ღვთიური ჰანგები ეფრქვეოდა.

ანგელოზებს საღამოს კონცერტი დაეწყოთ.

ნახევარმთვარეზე თეთრი მზეთუნახავი ჩამომჯდარიყო და ნელა აქანავებდა მნათს.

ფუღუ

ფოტოგრაფი კაცს სურათს ზემოდან რომ გადაუღებს, თავმხარი რომ დიდი ჩანს და ფეხებისკენ რომ წვრილდება, სწორედ ისეთი იყო ქვაზო იაშვილი. ვეებერთელა თავი განიერ ბეჭებზე პირდაპირ, უკისროდ ჰქონდა დადებული. კისრის უქონლობის გამო შემოტრიალებისას მთელი ტანით ტრიალდებოდა. წვრილი, თითქმის უფერო თვალები, მოკლე, წვეტიანი ცხვირი და უზედატუჩო პირი ერთ ადგილას მოგროვებოდა ხორბლის ნიჩაბივით ფართო სახეზე. სახის დანარჩენი ტერიტორია წინგამოსულ, ორადგაყოფილ ფართო შუბლს და პითეკანტროპის ყბებივით გრანდიოზულ ყბებს ეკავა. შუბლს, და ისიც უქარო ამინდში, ოდნავღა ფარავდა კეფიდან გადმოვარცხნილი, ღარიბი კაცის ყანასავით მეჩხერი გაჭაღარავებული კი არა, გაყვითლებული თმა, ხოლო ყბებს რომ ამოძრავებდა, ყურთან და ღაბაბთან მრავალკეცად დაშვებული კანი მაღლა აიწევდა და ყვრიმალის ძვლებს გაეფინებოდა. პერანგის ღილებივით წვრილი თვალები, თხელი ცხვირი და მრგვალი, დედაკაცური ტუჩები თითქმის ერთი ხელისგულის გაწვდენაზე რომ მოთავსებულიყვნენ, ერთობ უსიამოვნო კონტრასტს ჰქმნიდნენ დიდშუბლყბება სახეზე და ქვაზოს შემხედვარე ყველაზე კეთილგანწყობილიც ვერ იტყოდა, სიმპათიური მამაკაციაო. მოკლე, დაძარღვული ხელები უმეტესწილად ზურგზე ეწყო. განიერ ბეჭ-ზურგს ძლივს აწვდენდა ხელებს და ამის გამო ბეჭებში არაბუნებრივად გაშლილი დადიოდა. მარცხენათი, ზურგს უკან მარჯვენა ხელის ცერა თითიღა ჩაებღუჯა, თავი კი, დიდი და მძიმე თავი, განიერ მკერდთან ეკიდა და მაღლა ახედვისას, ან წაქცევამდე უკან გადაიწეოდა, ან მხოლოდ თვალებს აღაპყრობდა. მაღლა ახედვისას კისრის ძარღვები დასკდომამდე ებერებოდა და ადამის ვაშლი ყელიდან ლამის გამომხტარიყო.

მართალი გითხრათ, მაღლა ახედვისთვის არ იყო მისი ტანი მოწყობილი და, იქნებ ამიტომაც, მაღლა ახედვა არ უყვარდა.

მუსიკალურ არქივში, სადაც ქვაზო დირექტორის მოადგილედ და პირველი და მეორე ხუთწლედების დროს ჩაწერილი ფირფიტების განყოფილების გამგედ მუშაობდა, უფროს არქივარიუსს ყველანი პატივისცემით ეპყრობოდნენ, არქივში სტაჟის დასაგროვებლად მომუშავე აბითურიენტობა-გახანგრძლივებული გოგონების გარდა. ლაბორანტ გოგონებს, ქვაზოს დანახვისას, თუ აღტაცებით არ გაუნათდებოდათ თვალები, იმის გამო, რომ ასაკის გოგონებს აღფრთოვანებისთვის სხვა, ჩვენგან განსხვავებული, საზომები აქვთ და ვერც დაემდურები.

დაწესებულებაში ავტორიტეტის მოპოვების ორი გზა არსებობს. პირველი სახელის გახმაურებასთან, აქტიურობასთან, საერთო საქმისთვის მუხლჩაუხრელ ზრუნვა-მცდელობასთანაა დაკავშირებული და, სხვათა შორის, საკმაოდ სახიფათოცაა. ამ გზით, უკეთეს შემთხვევაში, მართლაც შეიძლება მუყაითი კაცის სახელი დაიგდო, მაგრამ ისეც მომხდარა; ენერგიულ კაცს მტრები გაუმრავლებია და რაც ჰქონდა, ის მცირე ავტორიტეტიც დაუკარგავს. მეორე გზა, შედარებით, უმტკივნეულოა და არც რისკთანაა დაკავშირებული. ჩუმად, უთქმელად, უპრეტენზიოდ უნდა მუშაობდე. რომ იტყვიან შენთვის უნდა იყო. არვის საქმეში ერეოდე და მოვლენებზე შენი აზრი ხმამაღლა არ გამოთქვა. მიკერძოება არ შეგატყონ და თავის გამოჩენის სურვილი. ასეთი პირები თანამშრომლებს განსაკუთრებით უყვართ. ხელქვეითებს მიუდგომლობისა და სხვის საქმეში ჩაურევლობის გამო, უფროსებს იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ მასში პოტენციურ მოწინააღმდეგეს ვერ ხედავენ. ქვაზო, ნებით თუ უნებლიეთ, ამ მეორე გზას ადგა და მხოლოდ ეს იყო მიზეზი, რომ არქივში, სტაჟიორი ქალიშვილების გარდა, ყველანი პატივისცემით შესცქეროდნენ. ტექნიკური პერსონალის ამ თამამმა წარმომადგენლებმა შეარქვეს იაშვილს

მეტსახელად ფუღუ, რაც ძველიმერულ კილოკავზე თხუნელას ნიშნავს.

ქვაზო იაშვილისთანა კაცებს სამსახურში, „შემსრულებელ“ კაცებს ეძახიან. ისინი ინიციატივიანობით არ გამოირჩევიან, ფანტაზიას გასაქანს თითქმის არ აძლევენ, მაგრამ რასაც დაავალებენ, ჩუმად, უხმაუროდ აკეთებენ. ქვაზოს ქცევა-ყოფას სამსახურში რომ დაკვირვებოდით, გეგონებოდათ, ეს კაცი აქ იმიტომ დადის, რომ კვირიდან კვირამდე დრო გაიყვანოს და ხელფასი აიღოსო. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ქვაზოსთვის მთავარი საქმე არქივი არ იყო. ბარემ აქვე გავამხელ, რომ ისე, როგორც ჩვენ, ყველას, ქვაზოსაც ჰქონდა თავის მთავარი საქმე; ქალაქიდან ოცდაათიოდე კილომეტრზე სოფელი კანდა მდებარეობს. იგი ქვაზოს მამაპაპეული სოფელი გახლავთ. შაბათ-კვირას ქვაზო სტოვებდა თბილისს და თავის სოფელში მიეშურებოდა. ორდღიანი გამარქაფებული მუშაობის შემდეგ, მზით გარუჯული და გახალისებული ბრუნდებოდა ქვაზო და ორშაბათ დილით სულ სხვა კაცი გახლდათ. თანამშრომლებს უამბობდა, რა გააკეთა, რა დღეში იყო ყანა-ვენახი, შიგადაშიგ სოფლის იდილიურ სურათებსაც ჩაურთავდა (განსაკუთრებით ფრინველებზე, ხოლო ფრინველებიდან კაჭკაჭზე უყვარდა საუბარი) და მერე მთელი კვირა ნელ-ნელა ქრებოდა არქივში. იღვენთებოდა სანთელივით, თითქოსდა აბრეშუმის ჭიასავით თავის ჭუპრს იკეთებდა, რათა მომავალ კვირას ახალ სიცოცხლედ გაფაჩუნებულიყო. არქივში ქვაზოს შაბათ-კვირის საზოგადოებრივი დავალებებით არ აწუხებდნენ. იცოდნენ, მაინც არ დარჩებოდა. კანდას არ უღალატებდა.

მუსიკალური არქივის დირექტორი იმხანად მუსიკათმცოდნე შალვა ნებაძე გახლდათ. შალვა ადრე არსად მუშაობდა და, რა თქმა უნდა, თანამდებობისმაძიებელთა სიაში არ იხსენიებოდა, ამიტომ ყველას გაუკვირდა არქივის უფროსად მისი დაწინაურება. შალვა პროფესიონალი იყო და არქივის გაძღოლა არ გასჭირვებია. ერთი ეგ იყო, დილით ადგომას ვერ შეეგუა და რაკი სამსახურში ხშირად აგვიანებდა, არც თანამშრომლებს სთხოვდა მაინცდამაინც შინაგანაწესის ამ პუნქტის მკაცრად დაცვას. „არქივი ვართ, ბოლოს და ბოლოს, ნახევარი საათით დაგვიანებისთვის ქვეყანა არ დაიქცევაო“. შალვა ნებაძემ არქივს თავისი ელფერი მაინც შემატა. რამდენიმე სასარგებლო საქმე წამოიწყო და ბოლომდე მიიყვანა. მათ შორის უმთავრესი 1909–12 წლებში ჩაწერილი ხალხური სიმღერების ფირფიტების აღმოჩენა გახლდათ, „დედას ლევანას“ და საუკუნის გარიჟრაჟის სახელგანთქმულ გურულ მომღერალთა ფირფიტები ყველას რომ დაკარგული ეგონა, შალვამ ბევრი ძებნის შემდეგ ევროპის ერთი ნეიტრალური სახელმწიფოს ხმის ჩამწერი სტუდიის არქივში აღმოაჩინა. არქივის დირექტორი ნაცნობებს ხშირად შესჩიოდა, მუსიკათმცოდნის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელს მიშლის არქივი, დიდ დროს მაკარგვინებსო, მაგრამ, გულის სიღრმეში, არ უნდოდა არქივიდან წასვლა. ყოველ შემთხვევაში ისე მაინც არ უნდოდა, როგორც გაუშვეს. რაკი შალვას განთავისუფლებაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე მოგახსენებთ, რომ მუსიკალური არქივის დირექტორს სამი მოადგილე ჰყავდა. პავლე ქვისტანი, რომელიც რატომღაც პირველ მოადგილედ აცხადებდა თავს, თუმცა არქივში პირველი მოადგილის შტატი საერთოდ არ არსებობდა, მიმი კულუმბერია, რომელიც ათი წლის განმავლობაში ამაოდ ითხოვდა თურმე სამსახურს სხვადასხვა ინსტანციაში, მერე, თხოვნით რომ აღარაფერი გაუვიდა, თავისთავს ანონიმური წერილი დაუწერა – სალახანაა, არ მუშაობსო, გაასამართლეს და შრომითი მოწყობის კომისიამ არქივის დირექტორის მოადგილედ დანიშნა. მესამე მოადგილე, როგორც მოგახსენეთ, ქვაზო იაშვილი გახლდათ.

იმ დღესაც ოთხშაბათი იყო. თორმეტს აღარაფერი აკლდა. ქვაზო იჯდა თავის კაბინეტში და ვერაფრით გაეხსენებინა, გამოიხურა თუ არა კანდაში ჭიშკარი კვირას, წამოსვლისას. საღამოისხანს ჟიგულიანმა მეზობელმა გადმოსძახა, ქალაქს

მივდივარ და, თუ მორჩი საქმეს, წაგიყვანო. მოვდივარ, მოვდივარო. ქვაზოს ავტობუსით ჩიქჩიქს, რასაკვირველია, „ჟიგულით“ მგზავრობა ერჩია. დაფაცურდა პირზე წყალი შეისხა. შაბიამნისფერი ჩექმები და ბლუზა-შარვალი სამზადში შეყარა, საგარეო ჩაიცვა და გამოვარდა. ამ სიჩქარეში ჭიშკარი დაკეტა თუ არა, აღარ ახსოვს. თუ არ დაუკეტავს, ცუდადაა საქმე. ღორები გადაჯეგავდნენ ახალნარგავებს და გადათხრიდნენ ეზოს.

კარი გაიღო და პავლე ქვისტანმა შემოიხედა.

– შეიძლება? – იკითხა მან და დადებითი პასუხი რომ მიიღო, მოღლიავებულ კარს გასძახა, – შემოდი! პავლეს ფეხდაფეხ შემოჰყვა მიმი კულუმბერია. მოადგილეები შეჩერდნენ. გარდიგარდმო შემოუსხდნენ და ერთმანეთს შეაჩერდნენ.

– თქვი, – მიმის შეხედა და მუჭაში ჩაახველა პავლემ.

– შენ დაიწყე, – მიმი კულუმბერიამ სათვალე მოიხსნა, დაკეცა და, რაკი პიჯაკის ჯიბეში ლამაზად გასკვნილი ცხვირსახოცი უქათქათებდა, მაგიდაზე დადო.

– რა დაწყება უნდა, მე მგონი თვითონ უნდა ხვდებოდეს, – ხმადაბლა, შეთქმულივით თქვა პავლემ და საულვაშე მოისრისა.

ქვაზო ხან ერთს შესცქეროდა და ხან მეორეს. მერე მაგიდაზე ხელები დააწყო და იკითხა:

– აღარ იტყვით, კაცო, რამ დაგაღონათ?

– შალვას ატანა აღარ შეიძლება, – დიდი პაუზის შემდეგ თქვა ქვისტანმა.

– რათა, კაცო?

– არ არის ეგ კაცი სადირექტოროდ გაჩენილი, – დაამატა მიმიმ.

– ამას თვითონვე ამბობს, მაგრამ ჩვენ რა, იყოი და იდირექტოროი.

– ქვაზო, ასე ხომ არ არის საქმე, ჩვენ არქივის ბედი უნდა გვაწუხებდეს. ეგ კაცი არქივს დაღუპავს, – ეს რომ თქვა პავლემ, კარს შეხედა. მიმი კულუმბერიამ სათვალე გაიკეთა, წამოდგა, კართან მივიდა, გამოაღო და ისევ დაკეტა.

– რათა, კაცო, რათ უნდა დაღუპოს?

– თვითნებურად იქცევა, – ქვისტანმა ჭერს ახედა.

– როგორა?

– თვითნებურად, – დამარცვლით თქვა მიმიმ, – იმ დღესაც, ჩვენთან შეუთანხმებლად, ერკემლიძე მივლინებაში გაუშვია.

– მერე, რა დაშავდა. ერკემლიძე განა არქივი საქმითვინ არ დადის მივლინებებში?

– ეგრე იოლად არ არის საქმე. არც ისე გულუბრყვილო ხარ ქვაზო, ვერ ხვდებოდე, რას მოასწავებს ერკემლიძის მივლინებებში სიარული.

– რასა? – ქვაზო საერთოდ გულუბრყვილო არ იყო, მაგრამ ამჟამად მართლა ვერ ხვდებოდა, რას მოასწავებდა ერკემლიძის ხშირი მივლინებები.

– რასა და ერთ მშვენიერ დღეს ერთ-ერთ ჩვენთაგანს ნიჩაბზე დასვამს და ერკემლიძეს მოიყვანს მოადგილედ, – თქვა მიმიმ.

– ჩემს ადგილას ვერ მოიყვანს. მე ეგ ვერ გამათავისუფლებს, პირველი მოადგილე ვარ და სხვა ნომენკლატურას წარმოვადგენ. მიმი შრომითი მოწყობის კომისიის მიერაა გამოგზავნილი და ვერც მიმის გასცემს, ჯერჯერობით, ხმას უბატონოდ. ასე რომ, ჩვენ შორის პირველს შენ მოგიწევს მოადგილის სკამის დათმობა, – ამას რომ ამბობდა, პავლე ქვისტანი იაშვილს თვალებში შესცქეროდა.

– რათა კაცო? რა დავაშავე? – ხმა გაებზარა ქვაზოს.

პავლემ ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდები ამოიღო, მაგიდაზე დააწყო და ხელით გაასწორა, მაგრამ ხელი რომ მოაცილა, ქაღალდები ისევ შეიკეც-შეიჭმუჭნენ.

– მომისმინე ქვაზო, – პავლემ ღრმად ამოისუნთქა, პირთან მუშტი მიიტანა და ჩაახველა – ღმერთი, რჯული, ჩვენ მხოლოდ არქივის ინტერესები გვამოძრავებს, თორემ ჩვენი თავი

ჯანდაბას. წაიკითხე ეს. მე და მიმიმ ობიექტურად ჩამოვწერეთ ყველაფერი.

– რა ჩამოწერეთ, კაცო? – შიშით იკითხა ქვაზომ.

– თუ რატომ არ შეიძლება შალვა ნებაძის დირექტორობა.

– მერე?

– არაფერი, წაიკითხე – კბილებში გამოსცრა მიმიმ და ქაღალდები გაუწოდა, – წაიკითხე და მერე ვილაპარაკოთ.

ქვაზო დიდხანს, ბუტბუტით კითხულობდა. დასკვნა-საჩივარში სათანადო ფაქტებით დასაბუთებული იყო, რომ შალვა ხშირად არაკოლეგიალურად წყვეტდა არქივთან დაკავშირებულ საკითხებს და მისი დირექტორად დატოვება მოადგილეებს მიზანშეუწონლად მიაჩნდათ. ქვაზოს, წერილში მოტანილი ფაქტების უმეტესობა აღარ ახსოვდა, ხოლო ზოგი მათგანი, სულო ცოდვილო, სიმართლედ მოეჩვენა. მაგრამ კითხვა რომ დაამთავრა, საჩივარი ორივე ხელით გასწია და მაგიდაზე ისევ იმ ადგილას დააბრუნა, სადაც პავლემ დადო.

– რას იტყვი? – ჰკითხა მიმიმ.

– არაფერს. თქვენი საქმისა თქვენ იცით, მაგრამ მე მაგ ქაღალდს ხელს არ მოვაწერ, – ქვაზომ გაიფიქრა, ხომ არ ვიჩქარე, იქნებ ჩემგან ხელის მოწერას საერთოდ არ მოითხოვენო. მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ცდებოდა. თუმცა, რა მიხვედრა უნდოდა; საჩივარს ქვემოთ პავლეს და მიმის ხელმოწერები უკვე ჰქონდა, ხოლო ქვაზოს გვარი მიბეჭდილი იყო და, რასაკვირველია, ხელმოუწერელი.

– რატომ არ მოაწერ? – პავლემ ქვაზოს თვალი აარიდა და ისევ დაკეტილი კარისკენ გაექცა მზერა.

– იმიტომ რომა, თქვენ კარგად იცით, მე ჯერ არც ერთი საჩივარი არ დამიწერია და არც სხვის საქმეში ჩავრეულვარ. არც ჩავერევი.

– ასე ლაპარაკი როგორ შეიძლება. ეს არქივი სხვის საქმედ მიგაჩნია? – წყრომა შეეტყო ხმაში მიმი კულუმბერიას.

– არქივი არა.

– დაფიქრდი, ქვაზო. ჩვენ შენკენ და შენ ეშმაკებისკენ? ერკემლიძე პირდაპირ შენს სკამზეა დამიზნებული. ეს საჩივარი კი არ არის, ჩვენ მიერ, მოადგილეების მიერ, არქივში შექმნილი სინამდვილის ასახვაა.

– მაინც საჩივარია. მე ხელს ვერ მოგიწერთ, – ქვაზო ნიკაპს ნერვიულად ისრესდა.

– ჩვენ კი ნუ მოგვიწერ, შენს თავს მოუწერე. კარგია ასე ცხოვრება, მე და ჩემმა ღმერთმა. „მე არავის საქმეში არ ვერევი“. ეგ პოზაა, – ფართო სათვალიდან მიმის თევზისფერი თვალები ავად უმზერდნენ იაშვილს.

– რაკი დირექტორის მოადგილე ხარ, თავისთავად სხვის საქმეში ჩარეულად ითვლები. ერთხელ კიდევ გადაიკითხე, თუ მართლები არ ვართ, გვითხარი, თუ მართლები ვართ, ნუ გაგვიდგები, მერე სანანებლად დაგრჩება.

– რათ უნდა დამრჩეს სანანებლად? მე საერთოდ, საჩივარ-ინტრიგების წინააღმდეგი ვარ-მეთქი, აქამდე აგრე მიცხოვრია...

ამის შემდეგ კარგა ხანს სდუმდნენ. თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს. სიჩუმე კულუმბერიამ დაარღვია.

– ქვაზო, არ გვინდოდა გვეთქვა, მაგრამ, როგორც ჩანს, უნდა იცოდე. შალვას საკითხი უკვე გადაწყვეტილია, ანთავისუფლებენ. გუშინ საარქივო სამმართველოში შემთხვევით შევიარე და ჩემი თვალით ვნახე პროექტი.

– გინდა გითხრა, ვის ნიშნავენ დირექტორად? – სიტყვა წაართვა მიმის პავლე ქვისტანმა – მე, მე მნიშნავენ. ეს წერილი, უბრალოდ მოტივირებისთვის სჭირდებათ. ამას არც გამოაჩენენ. სამმართველოს სურს დარწმუნდეს; ერთსულოვანი ვართ თუ არა ჩვენ, მოადგილეები, მუსიკალური არქივის მიმართ ჩვენ კეთილ სურვილებში. მეტი არაფერი.

– ასე რომ, არჩევანი შენზეა. ან ჩვენთან, ესე იგი სიმართლის მხარეს უნდა იყო, ან უკან მიყვე არქივიდან უკვე წასულ დირექტორს, – მიმი ამ სიტყვებს მისი პიროვნებისთვის შეუფერებელი სიმტკიცით ამბობდა.

– კაცმა რომ თქვას, შენ არჩევანი არც გაქვს. შენი ხელმოუწერლობა არაფერს შეცვლის. უბრალოდ ჩვენ გვიყვარხარ. ჩვენი ძმაკაცი ხარ. აქამდე ნაღდი იყავი და გვინდა, კვლავაც ჩვენთან იყო, – პავლემ საჩივარი ერთხელ კიდევ გასწია ქვაზოსკენ.

დაახლოებით საათ-ნახევრის შემდეგ პავლე და მიმი იაშვილის კაბინეტიდან ერთად გამოვიდნენ, ერთმანეთს შეხედეს, თავი დაუქნიეს და თავიანთ კაბინეტებში შევარდნენ.

ქვაზოს გუნება აემღვრა. მოადგილეების გასვლის შემდეგ, ერთხანს, უაზროდ დასცქეროდა თავის ხელებს, მერე გამოვიდა და დერეფანში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. გვერდით ჩავლილ თანამშრომლებს უმწეო ღიმილით შესცქეროდა. ეგონა, ყველამ იცოდა დირექტორის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მისი მონაწილეობის შესახებ. მიხვედრილი იყო, რომ რაღაც დაკარგა, სამუდამოდ დაუბრუნებელი და აუნაზღაურებელი. ადგილს ვერ პოულობდა. თუ ვინმე გაუჩერდებოდა, მორცხვი თვალებით მიაცივდებოდა, როგორც მხსნელს და როცა მეარქივის საუბარში სანუგეშოს ვერაფერს აღმოაჩენდა, ხელს ჩაიქნევდა და გზას განაგრძობდა. მერე ზურგზე ხელებდაწყობილი დიდხანს, გაუნძრევლად იდგა ფანჯარასთან.

საათზე დაიხედა. ექვსს აღარაფერი უკლდა. გამობრუნდა და დირექტორის კაბინეტისკენ წავიდა.

– ჰყავს ვინმე? – ჰკითხე გაზეთზე თავდახრილ, სანდომიანი სახის მდივან გოგონას.

– არა, – გაზეთისთვის თვალი არ მოუცილებია მდივანს.

შალვა ნებაძე ღიმილით შეეგება. ხელი ჩამოართვა და სკამზე მიუთითა.

– გმადლობთ, დასაჯდომად არ მცალია, კაცო, ეს ოხერი, ვერა ვარ, რაღაც, კარგად. ასე მგონია, უბეში ზღარბი მიზისმეთქი.

– არა უშავს, გაგივლის, – შალვას ხმაში თანაგრძნობის თუ შეცოდების მსგავსი ინტონაცია გაკრთა.

– რა გაცინებს? – ჰკითხა ქვაზომ.

– არაფერი. ისე...

– დირექტორს დირექტორობა უნდა ეტყობოდეს. შენ კიდევ საკითხებს, ზოგჯერა, თვითნებურად სწყვიტამ, რას ამოიჩემე ეგ ერკემლიძე. რას აღიზიანებ ხალხსა. იქნებაო, ერკემლიძემაო პირველსა შალვას ურქინოს, როცაი მამაგრდებაო.

– ეგ შენი სიტყვები არ არის, – შალვას სახიდან ღიმილი არ შორდებოდა.

– აბა, ვისი სიტყვებია?

– სხვისი. შენ იცი, ვისიც არის.

– შენ იღიმე, იღიმე და შენ კი არ იცი, რა ხდება შენს თავსა. ამ დილით შენზე საჩივარს მოვაწერე ხელი.

– ვიცი, – ყრუ ხმით თქვა შალვამ.

– იქნებ არ უნდა მამეწერა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მოვაწერე. ახლა არც კი ვიცი, ამასა შენ რად გეუბნები, მაგრამ, რომ არ გითხრა, უფრო დიდი არაკაცობა იქნება. განა ვინმემ დამაძალა, ჩემით მოვაწერე.

– ვიცი.

– ახლა იმიტომ მოვედი შენთანა, რო არ მემეტები, ეს ოხერი გამაბრიყვეს-მეთქი რომ გითხრა, მართალი არ იქნება, არ გამაბრიყვეს-მეთქი, არც ეგ იქნება მართალი. მე რას მერჩით, ჩემგან რა გინდათ? თქვენი საქმისა თქვენ უნდა იცოდეთ. ახლა შენა, უნდა მიხედო ამ საქმეს. არ მინდა სხვა მოგერიოს. ის სხვაი არა ჩანს შენზე კარგი კაცი, თორემ ვინ მამაძაღლი, რაო, რა სთქვი, ვიციო?

შალვამ თავი დაუქნია. სახეზე ღიმილი არ შორდებოდა. ცოტა არ იყოს ირონიულიც, რაღაც უპირატესობის შემცველი ღიმილი.

– საიდან იცი, ვინ გითხრა? – თუ ადამიანის ფრინველთან შედარება საერთოდ შეიძლება, იაშვილი ამ წუთში ბუს ჰგავდა.

– მიმი კულუმბერიამ.

– არ გამაგიჟო.

– ჰო, ხელმოსაწერად რომ შემოგიტანეს, ისიც ვიცოდი. მიმი ყოველდღე მოდის ჩემთან და ყველაფერს მიამბობს.

– რატომ, რისთვის?

– ეგ კი ვერ ამიხსნია.

– თვითონ რომ ხელი აქვს მოწერილი იმ საჩივარზე, ეგეც გითხრა?

– ეგ არ უთქვამს, თვითონ მივხვდი.

– გაიძვერა და ეგეთი? ეს რა გაიგონა, კაცო, ჩემმა ყურებმა, – ქვაზო ფუტკარდასეულივით იქნევდა ხელს, კაბინეტში გარბოდ-გამორბოდა და რაღაცას ლუღლუღებდა. მერე კარი გამოაღო, შალვას შეხედა, ქვედა ტუჩი კბილებში შეიკუჭა და გარეთ გავარდა.

ნებაძემ ღიმილით გააცილა. მარტო რომ დარჩა, ღიმილი ელვისსისწრაფით ჩამოირეცხა სახიდან. თვითონაც არ იცოდა, რად იღიმებოდა დღეს ლამის მთელი დღის განმავლობაში.

ერთი კვირის შემდეგ საარქივო სამმართველოს კოლეგიაზე შალვა ნებაძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს მოადგილეების მიმართ არაკოლეგიალური დამოკიდებულებისა და არქივის შინაგანაწესის 39-ე ქვემუხლის მეორე პუნქტის დარღვევის გამო.

მუსიკალური არქივის დირექტორად, ყველასაგან მოულოდნელად, პავლე ქვისტანი არ დაუნიშნავთ. გამოცდილი მუსიკათმცოდნე გაბრიელ ჩიქოვანი დანიშნეს.

– აკი გადაწყვეტილიაო?! – პავლეს გაფითრებულ სახეს მიაჩერდა ქვაზო იაშვილი, – აკი, მე მნიშნავენო?!

პავლემ მხრები აიჩეჩა და განზე გაიხედა.

კიდევ კარგი, ეს შეკითხვა პავლეს გარდა არავის გაუგონია.

კოლეგიის წევრები საქმიანი სჯა-ბაასით მიეშურებოდნენ გასასვლელისაკენ.

კითხვა-ძახილის ნიშანი

ნურავინ დაიჩემებს, ბატონო, ვიცნობ ადამიანსო. ისეთს მოიმოქმედებს კაცი ხანდახან, თვითონ ვერ გაუგებს თავის საქციელს გასაგისს და სხვა მიუხვდება? ამიტომ აღარ მიკვირს ქვეყანაზე არაფერი. ვერავინ გამოიცნობს წინასწარ, რას ჩაიდენს ადამიანი. საქებარი ძაღლის და ნიახურის არ იყოს, ამ ბოლო დროს ერთმა-ორმა იმნაირი სიგლახე იკისრა, ველოდით კი არა, სასამართლოზე ბრალდებას რომ კითხულობდნენ, ყურებს არ ვუჯერებდით. იურისტი? იურისტიც, ბატონო, ჩვენნაირი ადამიანია. ადამიანის სულში ბოლომდე ჩახედვის იმას არც უნარი აქვს და არც დრო. ხომ გეუბნებით, ვერანაირი გულთმისანი ვერ ჩასწვდება-მეთქი, ადამის გაჩენილს. გამომძიებელს მომარჯვებული აქვს კანონის ფარანი და იმით ანათებს კაცის ნაქიჩმაჩ-ნაბურჯღალებს, კანონს ვერ გასცდება. არადა, ყოველთვის ვერ მოაქცევ კაცის ნამოქმედარს კანონისა თუ უკანონობის ჩარჩოებში. კაციშვილი სხვა ვიღაცაა, ჯერ ამოუცნობი და წაუკითხავი. ფსიქოლოგებმა იციან ადამიანის ამოცნობაზე პრეტენზიის გამოცხადება, შენ არ მომიკვდე მეტად, ისინი პიროვნების საქციელს ჩამხვდარნი არ იყვნენ. აიხირებენ ხანდახან, ადამიანის მოქმედებას ინსტინქტი მართავსო, არაო, სხვანი ამტკიცებენ, ინსტინქტი კი არა, გონებაო; გონებაც და თანდაყოლილი გენიცო, – მესამენი გაჰყვირიან, მაგრამ ხომ არის საქციელი, ლოგიკას რომ არ ემორჩილება და მეცნიერის განსჯის ფარგლებში არ ექცევა? ზოგადად ყველაფრის პასუხს მოძებნი კაცი, მაგრამ კონკრეტულ საქმეს რომ მიადგები, მაშინ ხარ ცოდვა და სათაგურის თაგვივით გასაძრომს ეძებ. სხვის დახასიათებას მე ვინ მკითხავს, აგერ, ა, ჩემს ამბავს მოგიყვები. თუ ტყუილი გითხრა, ტყვია მოხვდეს შუბლში ჩვენს მტერს და ავის მდომს.

ოცდაათის მთლად არ ვიყავი მაშინ და არც აღარაფერი მაკლდა. ამ ხნის კაცი რომ ბავშვად აღარ ჩაითვლება, მოგეხსენებათ. ნაქირავებში ვცხოვრობდი ზევით, ურიცკის ქუჩაზე, მეწაღე ჯიქიასთან. ოჯახს გვიან მოვეკიდე მე, საერთოდ, მაშინ უცოლო გახლდით და მწვანეყვავილაში ვმუშაობდი საააგურეზე. ოთახი პატარა დავიქირავე, ხელმოკლედ ვცხოვრობდი და ფულს ნაკლებს გადავიხდი-მეთქი. მეორე სართულზე, ქუჩის მხარეს იყო ჩემი ოთახი, მართალია, თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა, მაგრამ სამაგიეროდ მზიანი და მშრალი გახლდათ. კაცმა რომ თქვას, რად მინდოდა დიდი ოთახი. თუნუქის ღუმელი მედგა და ყინვაშიც კი ხელად თბებოდა. ზაფხულში, მუშაობას რომ მოვრჩებოდი, გვიანობამდე რიონში ვგრილდებოდი. ზამთარში ერთ პირ ცეცხლს შევანთებდი და შევწვებოდი ლოგინში.

ერთ საღამოს, გუშინდელივით მახსოვს, ძველით ახალი წელი ჩათავებული იყო, ვზივარ ღუმელთან და ცეცხლის ჩუილს ვუსმენ. გარეთ ცივა და ზენა ქარი უბერავს. დააკაკუნა ჩემს კარზე ვიღაცამ. ახალი დაღამებულია. ზამთარში, ხომ იცი, მოიხედავ და, დაღამებულია. ვინ უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ ზოგიერთმა რომ შეკითხვა იცის; „ვინ ხარ, რომელი ხარო“, ასეთი რამ ჩვევად არა მაქვს, ღმერთმა იცოდეს, კარგია თუ ცუდია, რომ დამიკაკუნებენ, ახლაც, ა, ამ ხნის კაცი ვარ და, იმ წუთში უთქმელ-ულაპარაკოდ ვაღებ კარს. გავაღე. ჩვენი უბნის რწმუნებული მორგოშია შემრჩა ხელში. მორგოშია პირმრგვალი, პუტკუნა ბიჭი იყო. ბარე ორჯერ მყავდა ნანახი, გემრიელი „გამარჯობა“ იცოდა. პირველად, ოთახი რომ დავიქირავე, მაშინ გამომეცხადა, ჩაიწერა ვინ ვიყავი – რა ვიყავი, ერთ დოქ ცოლიკაურს მოვუძებნეთ ფსკერი და წავიდა. იმის მერე ტკბილად ვუღიმოდით ერთმანეთს. რა ჰქონდა ჩემთან საქმე, რომელი უხუჯური და უბედური მე ვიყავი.

გახსნა ჩანთა მორგოშიამ, ქაღალდი ამოიღო და უსიტყვოდ გამომიწოდა. რა იყო-მეთქი, ვკითხე დაბნეულმა. მეზობელი

გიჩივისო. ვინ მეზობელი, რა მეზობელი, ვისთვის რა დამიშავებია, რწყილივით უხმაუროდ ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე. სანამ საჩივარს ჩავიკითხავდი, ჩემი დამემართა. რომ ჩავიკითხე, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ჯერ სიცილი ამიტყდა, მერე მორგოშიას სერიოზულ თავ-ღრანჭს რომ შევხედე, ვცადე, საქმიანი იერი მიმეღო, მაგრამ ტუჩებს თავი ვერ მოვუყარე.

არ იკითხავ, რაში მედება ბრალი? კედელგაღმა, მეზობლად ვინმე უჩა ჭუმბურიძე ცხოვრობდა. ისიც ჩემსავით მარტოხელა იყო. ასე, ორმოცდაათს გადაშორებული იქნებოდა მაშინ. ახლა აღარც ვიცი. ცოცხალია თუ არა. ერთი დაბალი, დაბასკული კაცი იყო, თავკოტორა, ტყირპიანი. მგონი, მექუდედ მუშაობდა. სახლიდან იშვიათად გამოდიოდა. რაც იქ ვცხოვრობდი, არ დავლაპარაკებივარ. მის ბინას შემოსასვლელი მეორე ქუჩიდან ჰქონდა. ეზო გადაკავებული იყო. ამ ჩემ მასპინძელს და მაგას სანახევროდ აეშენებინათ სახლი. მერე რაღაცაზე შელაპარაკება მოსვლოდათ და, მოკლედ, უბრად იყვნენ. მიჩიოდა ჭუმბურიძე: ესა და ეს კაციო (არც კი ვიცოდი, ან სახელი თუ იცოდა ჩემი და ან ის, რომ საააგურეში ვმუშაობდი) შუაღამისას სხვენზე ახოხდება, ჩემი ბინის მხარეს გადმოვა, ჭერის ხუფს ახდის და ჩემს ოთახში იმზირებაო. გთხოვთ გაარკვიოთ, მილიციას სთხოვდა, რა უნდა ჩემგანო.

„მაგი ჭკუაზე შუშუთ ხომ არაა-მეთქი, – მეტს რას ვეტყოდი მორგოშიას, – მაგის ტყირპის სანახავად სახურავზე ვიღოღიალებ, მეტი საქმე არა მაქვს, რამ მოაფიქრა ამნაირი სისულელე-მეთქი“.

მორგოშიამ ჯერ ჩემი ოთახი მიათვალიერ-მოათვალიერა, მერე შუშაბანდში გავიდა და ჭერს დააკვირდა, „საიდანაა აქ სხვენზე ასასვლელიო“, მკითხა, „რა ვიცი-მეთქი“ წარბშეკრულმა, – რა მინდა სხვენზე, რომელი მებუხრე მე ვარ. დამთხვეული ჭუმბურიძეს ჭკუაზე იარა შენმა დამაწყევარმა, შენ მართლა ხომ არ მამოწმებ, მორგოშია-მეთქი“.

„არაო, ისე ჩემთვის მაინტერესებსო, ხომ უნდა გავერკვე საქმეში და ხომ უნდა ავუხსნა იმ კაცს, რომ გლახა სიზმარს გამოყოლიაო“. ეზოში ჩავედით. მანსარდაზე ასასვლელი რკინის კიბე გარედან აგურის კედელზე იყო მიმაგრებული. სიმართლე გითხრა, ის კიბე აქამდე არც შემინიშნავს. ამ სიცივეში, თურმე გარეთ უნდა გამოვსულიყავი, ავფორთხებულიყავი კიბით მანსარდაში, იქედან თუნუქის მილს ავყოლოდი ჭუმბურიძის სხვენამდე, სიბნელეში ხუფი უნდა მომეძებნა და ჭერიდან მექუდის სურსულებით დაჭმული სახე მეთვალიერებინა. მორგოშიამ კაი დეტექტივივით გააკეთა თავისი საქმე, შენ წარმოიდგინე, სხვენზე ამიყვანა, ჯიბის ფარნით გაანათა ჭერი ჩასასვლელიდან ჭუმბურიძის ხუფამდე და რაკი დარწმუნდა, რომ ჭერზე ახლა კი არა, ბოლო ხუთწლედში საერთოდ არავის გაევლო (თითის დადებაზე იყო ხელუხლებელი მტვერი. კაცს რომ გაევლო, ამსტრონგმა და მისმა ძმაკაცებმა რომ მთვარეზე ნაფეხურები დატოვეს, ისეთ ნაფეხურებს დატოვებდა), ისევ უხმოდ ჩამომიყვანა ძირს და მიწაზე ფეხის დადგმისას ჩაილაპარაკა:

– ჭუმბურიძის ქოქი არ გეიშვა, არ გვაყლაპია ტყუილად მტვერი? მაგის მოჩვენებები და ვოფოფები მინდა მეე? შედი შენ, დეიძინე მშვიდად. მაგას მე მოვიყვან აზამბარში, ვასწავლი, როგორ უნდა ცილის დაწამება“.

ჩემი მასპინძლის ოჯახს, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია მილიციის რწმუნებულის ვიზიტი. ყველანი გარეთ გამოსულიყვნენ და მდუმარედ შესცქეროდნენ ჩვენს სეირნობას სახურავზე. მორგოშიას სიტყვა რომ მოისმინეს, სახლში შებრუნდნენ. ჩემთვის, ღვთის წინაშე, არაფერი უკითხავთ. იცოდნენ, რა ბელენძუხა და ღვთის პირიდან გადავარდნილი ჰყავდათ სახლის მენახევრე.

მორგოშია ქუჩაში გავიდა, ეზოს შემოუარა და ჭუმბურიძის კიბეს აუყვა. რა ილაპარაკეს, მე რა ვიცი, კაი ხანს არ გამოსულა. შუაღამემდე ენთო სინათლე მექუდის ბინაში. დაწოლას

ვაპირებდი, ხმამაღალი ლაპარაკი რომ შემომესმა, ფანჯარა გამოვაღე და მივაყურადე.

– ექიმთან მიდი, ექიმთან! – გულმოსული ეუბნებოდა მორგოშია.

– მე საექიმო არაფერი მჭირს. შენ მასეთ ლაპარაკს და, დანაშაულის დასაფარავად, კეხის აქეთ შემობრუნებას თავი დაანებე, თვარა დაკარგავ მაგ პაგონებს! – არ ეპუებოდა უჩა.

მორგოშია ამ საუბრის დროს ეზოში იდგა. „რა უნდა გითხრა, ჩხუბში რომ აგყვე, უფლება არა მაქვს. არადა, ენა უძვლოა, თქვი, რაც გინდაო, ოღონდ იმ პატიოსან ბიჭს თავი დაანებე, თავისი გასაჭირი ეყოფა, ტყვილად ნერვებს ნუ მოუშლი. შენი ჭერისთვის არ ცხელა მაგასო“. ერთი ჩემი ფანჯრისკენ ამოიხედა მორგოშიამ და სიბნელეში გააბიჯა.

მეორე დილით, ჩვეულებრივ, სამსახურში წავედი და, სიმართლე გითხრა, ეს ამბავი კიდეც გადამვარდა გულიდან. დიდი ანგარიში არ მიმიცია, ათასნაირ ჭკუაზეა კაცი. რა მოხდა მერე, იქნებ მოეჩვენა ან ცუდ ფეხზე დაიძინა და დაესიზმრა. ამის გულისთვის ხომ არ შევჭამ კაცს-მეთქი. ის დღე ჩათავდა, მეორე დღესაც არაფერი და მესამე დღეს, ახალშეღამებულზე, ისევ მოვიდა მორგოშია.

„ნასადილევს რომ მოვიდა, ახლა ძლივს მოვიცილეთ შენი მეზობელიო. ამტკიცებს, ვითომ წუხელის ორჯერ ჩამოგეხედოს ჭერიდან მის ოთახში. როგორც კი მოჩვენებაზე და დასიზმრებაზე ჩამოვაგდებ სიტყვას, თავს ურტყამს კედელს. შენ მე გადარეული ხომ არ გგონივარო. როგორც ახლა მე გიყურებ, ისე მივჩერებოდით ერთმანეთს წუხელისო. რა უნდა, რას მერჩის, რას მათვალიერებს სხვენიდანო. რატომ აქამდე არ მეჩვენებოდა, რატომ სხვაზე არ გეუბნებით, რატომ სხვა არაფერი მეშლება და ქვას რატომ არ ვისვრი ქუჩაშიო. მეოთხე ღამეა იხედება ჩემს ბინაში, მოსვენება დავკარგე კაცმაო. – აჭედე ის ხუფი და მოისვენებ-მეთქი. ავჭედე, მაგრამ ააგლიჯაო. ვითომ შენ აგიგლეჯია. რა სიკვდილი ვუყო, არ

ვიცი. ვეუბნები: ჩიტი ხომ არაა, რომ ჩამოფრენილიყო, კვალს ხომ დატოვებდა ჭერზე-მეთქი, მაგრამ ესმის?“ სხაპასხუპით, სუნთქვააჩქარებით ლაპარაკობდა მორგოშია და სიტყვასა და სიტყვას შორის ლოყებს საბერველივით ბერავდა.

– რა ვქნა ახლა მე-მეთქი, – ვკითხე.

– დამიწერე, რომ ჭუმბურიძე ცილს გწამებს, რომ სხვენზე ასვლა აზრადაც არ მოგსვლია და იმ კაცთან კეთილგანწყობილი ხარ. გულში ცუდი არაფერი გიდევს და, რაც აქ ცხოვრობ, ერთი გადაკრული სიტყვაც არ გითქვამთ ერთმანეთისთვის, – მირჩია მორგოშიამ.

დავწერე ყველაფერი ისე, როგორც მითხრა და, მორგოშია რომ წავიდა, გავიხადე და უვახშმოდ შევწექი ლოგინში; იმის ფიქრით, რომ ხვალ თუ რამეს არ ვისაშველებდი, ეს დამთხვეული ჭუმბურიძე არ მომასვენებდა.

აი, სწორედ მაშინ მოხდა ჩემს არსებაში ის აუხსნელი და გაუგონარი, რისთვისაც ამ ამბავს გიყვები.

ვწევარ და რული არ მეკარება.

მუნიანივით ვწრიალებ საწოლში. თვალ-გონებიდან ჭუმბურიძე და მისი დაზეთილი, წყალმანკიანივით უპეებშესივებული სახე არ მშორდება.

„რა უნდა ჩემგან? – ვფიქრობ. – ჩემზე გადამტერებული რატომ უნდა იყოს, რა დამიშავებია. აშკარაა, რომ ეჩვენება, მაგრამ რაღა მე ამომიჩემა ამ ოჯახქორმა, რომ შევიდე ახლა და ველაპარაკო, მოდი, ერთი კაცურად გავარკვიოთ, რას მექირჩიმალები, რა გინდა ჩემგან-მეთქი, ვაითუ, მიხტომად ჩამითვალოს და ყვირილი ატეხოს ან, უფრო უარესი, – კეტი მდრუზოს თავში. ამნაირისგან ყველაფერს უნდა ელოდე. მე რომ ვუჩივლო პირიქით, ცილს მწამებს და არ მასვენებს-მეთქი? რა მოჰყვება ამას, საქმე ისედაც დაწყებულია. მორგოშია ქე მაინც მიცნობს. ახალი გამომძიებელი დაგიწყებს გამოკითხვას, ვინ ხარ, რა ხარ, რატომ ჩამოხვედი სოფლიდან, რამდენს იხდი ამ ოთახში; არც მე მაძლევს

ხელს ეს კითხვები და არც ჩემს მასპინძელს – ჯიქიას. რა ვქნა აბა, რა ქვას ვეცე? ნეტავი გამაგებინა, რას აკეთებს ისეთს შუაღამისას თავის ბინაში ეს მურთხი მექუდე, ასე რომ ეშინია კაცის თვალის? რაღაცაშია საქმე, თვარა მიყუროს ჭერიდან ვისაც უნდა, რას დაინახავს დოუნახავს. მაგაზე დევითხრი თვალებს? ნეტავი სძინავს ახლა თუ დაჭყეტილი აქვს თვალები და ელოდება სხვენიდან მესიასავით ჩემს გამოცხადებას. მართლა რომ ჩავიხედო, ნეტავი რა სახეს მიღებს?“

აღარ მახსოვს, როგორ წამოვხტი, ჩავიცვი და ეზოში გამოვედი. ერთი სურვილით ვიყავი შეპყრობილი, ჩამეხედა ჭერიდან და უჩა ჭუმბურიძის საქციელწამხდარი სახე დამენახა. გამეგო, რას ჩიჩმაგურობდა ამ შუაღამისას. ავფორთხდი კიბეზე, კატის ნაბიჯებით გავიარე მანსარდა, გადავძვერი ფანჯრიდან ჭუმბურიძის სხვენში, მოვძებნე ხუფი და ავხადე თუ არა, პირველად მექუდის დაჭყეტილ თვალებს წავაწყდი და არაადამიანური ყვირილიც მომესმა:

– მორგოშია მიშველე!..

– აქ ვარ! – ჩემს ყურთან დაიღრიალა მორგოშიამ და მის ღრიალს ჭუმბურიძის მგზნებარე ხმა მოჰყვა:

– ახლაც მეჩვენება?! ახლაც იტყვი სიზმარიაო?!

მერე ჭერზე ფეხის ბრაგუნი ატყდა, ფარანმა ზურგში მომანათა და მორგოშიას ბრძანებაც გავიგონე:

– არ გაინძრე, გესვრი! – მცირე პაუზის შემდეგ რწმუნებულმა ჩაილაპარაკა, – ამოდი ზევით, კიბეს ჩამოყევი და ჩამოდი ძირს, ქვევით გელოდები.

კიბეს დარცხვენილი რომ მოვყვებოდი, მაშინ მივხვდი, რაც ჩავიდინე. მანამდე რაღაც სასწაული, რაღაც უცხო ძალა მართავდა ჩემს საქციელს.

ქვემოთ მორგოშია, ჩემი მასპინძლის ოჯახი, ტაფამომარჯვებული ჭუმბურიძე და მილიციის მანქანა მიცდიდა.

პირველი ჩვენება ისე აბდაუბდა მივეცი გამომძიებელს, რომ

მამაზეციერი ვერ მიხვდებოდა, რა მინდოდა სხვენზე. მერე ვიღაცამ მასწავლა: ვითომ ხუმრობით, შესაშინებლად ახვედიო, ერთი სიტყვით, ამხანაგურ სასამართლოს გადაუგზავნეს ჩემი საქმე და, თავის მხრივ, ორმოცდაათი მანეთით დამაჯარიმეს, რა თქმა უნდა, ხელწერილი ჩამომართვეს, რომ მსგავს „ხუმრობას“ აღარასოდეს ჩავიდენდი.

იმ სახლში აღარ დამედგომებოდა, მეორე დღესვე ავიკარი გუდა-ნაბადი და ორიოდე თვის მერე სააგურესთანაც გავასწორე ანგარიში.

ტყიბულში გადმოვედი საცხოვრებლად.

პროვინცია

კუპის კარი წუხელაც ძნელად იღებოდა. ჭოლამ პირსახოცი კისერზე გადაიფარა, ორივე ხელით შეატოკ-შეაჯანჯღარა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა განზე გასწია და, როგორც იქნა, გააღო. ჯონდოს ეძინა. შავბეწვოვანი მარჯვენა თავქვეშ ამოიდო, მარცხენა ხელის ზურგი თვალებზე დაეფარებინა და ფშვინავდა. ჭოლამ თმა დაივარცხნა, ჰალსტუხ-პერანგი მოირგო და ფანჯარასთან მოკალათდა.

მატარებელი ნელა, ჭრიჭინითა და რაწკა-რუწკით მიირწეოდა.

შორს ოქროსფრად განათებული ივერიონის თეთრი მთაგრეხილი მოჩანდა. რაც ჯგაჯგას გამოცდნენ, თოვლიანი მთები ერთგულად მოაცილებდნენ მატარებელს. ხანდახან თვალს გაბარჯღული ცაცხვი, ან რკინიგზის გაღმა ასვეტებული მანსარდიანი სახლი ჩამოეფარებოდა. წამიც და ისევ გამოჩნდებოდა დიდებული ივერიონი – თეთრი და იდუმალად უდაბური.

ახლოს კი მთელი გზა გადაუღებლად წვიმდა.

ეზოებში წყლის გუბეები და შეშავებული ჩალის ზვინები ჩანდა. მობუზული ინდაურები, უღლიანი ღორები და შუკაში მწკრივად, განიგანად მიმავალი ბატები მთლიანად რომ ვერ დაპატრონებოდნენ ქვეყანას ორი რამიდან ჩანდა: ზედ რკინიგზასთან შეწყვეტილ, უშლაგბაუმო, მოუკირწყლავ გზაზე თითქმის ყველგან იდგა საწვიმარჩაცმული მგზავრი, რომელსაც ცალი ფეხი ველოსიპედიდან ჩამოეღო და ორივე ხელით ყოჩის რქებივით გაშლილი საჭე ჩაებღუჯა. ეზოებში აქა-იქ დალანდავდით ქოლგის ქვეშ მდგარ, ფლანელისკაბიან, კალოშებში ფეხჩაწყობილ ქალიშვილებს, წამით გარინდულნი და თავიანთ ქალიშვილურ ფიქრებში გართულნი მატარებელს

რომ შესცქეროდნენ და აბეზარი მგზავრის მისალმებას ხელის ქნევით რომ აღარ პასუხობდნენ, აქაოდა, ჩვენ უკვე დიდები ვართ, აღარ შეგვფერისო.

ჭოლამ მეგობარი შეანჯღრია და როცა ეს უკანასკნელი ჯერ ფინთიხნაცემივით შეხტა, მერე სახე მოისრისა და ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფი თვალებით თანამგზავრს შეაჩერდა, მშვიდად, ღიმილით უთხრა:

– გეყოფა, ჰოვლეთში შევდივართ. ტუალეტს დაკეტავენ.

ჯონდო წამოჯდა. ჯერ ფანჯარაში გაიხედა, მერე კვართის ღილები შეიკრა და წინდებს დაუწყო ძებნა.

– გავწამდი მთელი ღამე. ბორბლების ღრჭიალმა სული ამომართვა. არ ზეთავენ, ეს ოჯახაშენებულები. შენ ყოჩაღ, რკინის ნერვები გაქვს – ჭოლა შეორთქლილ მინაზე ბუდიონი-სულვაშა კაცს ხატავდა.

– შენ არ მომიკვდე, სად იყო ძილი. აგერ ა, დილით ჩამთვლიმა და შენც გამაღვიძე.

ჯონდომ ბადიდან მოთეთრო ფერის, იაფფასიანი პირსახოცი აიღო, ჩანთიდან საპონ-ჯაგრისიანი ნეილონის პარკი დააძრო, წელში გაიმართა და სარკეს შეხედა. აბურდულ თმაში რკინის სავარცხელიც ვერ გაივლიდა, ამიტომ ცდილობდა ხელით იმდენად მაინც დაეწყო თავისი ურჩი, ყვავისბუდა ქოჩორი, რომ დერეფანში გასვლისას მგზავრები არ დაეფრთხო. ძილისგან თუ უძილობისგან თვალთა უპეები შესივებოდა. ოთხკუთხედ, სქელ ულვაშს ჭაღარა მორეოდა. რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად აჩნდებოდა სიყმაწვილის იარა, მტკვარში ბანაობისას თუნუქზე შეხეული ლოყა ამ სიჭარმაგეში უფრო და უფრო ახსენებდა თავს. ასე გასინჯეთ, ხანდახან ეჩვენებოდა, რომ სტკიოდა კიდეც.

მატარებელმა ჰოვლეს სადგურს რომ მიაკივლა, თითქოს წვიმაში მობუზულ ბეღურებს ალალმა ჩამოუქროლაო, ბაქანი ერთბაშად გაცოცხლდა და ამოძრავდა. მგზავრებმა ქოლგები ლამის ერთბაშად დაკეცეს, ფუთა-ჩემოდნებს ხელი სტაცეს და

მი და მო აწყდებოდნენ. ზოგმა ვაგონის ნომერს მოჰკრა თვალი და კისერწაწვდილი მოსდევდა შემუხრუჭებულ შემადგენლობას. ურიკებიანი მეტვირთენი დინჯი ნაბიჯით მოჰყვებოდნენ ბაქანს. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ჰოვლეში მატარებელი ცოტა ხანს ჩერდებოდა.

– შეხედე, შეხედე, რა დღეშია ხალხი, – ჭოლამ სათვალე გაწმინდა და ისევ გაიკეთა, – ქვეყანა იქცევაო, არ გეგონება? რაზე წყდებიან წელში, თუ იცი? თავის ვაგონს რომ მიუსწრონ. ამას მაინც არ უნდა ფილოსოფია. ხომ შეიძლება, ასფალტს დააწერონ; ეს ნომერი ვაგონი აქ გაჩერდებაო. შვიდჯერ დავწერე გაზეთში, მაგრამ რაი მერე, წერე და იკითხე.

ჭოლა ხმას უმატებდა, ჰალსტუხს ხელით ისწორებდა ლაპარაკის დროს ფუმფულა ლოყები საბერველივით ებერებოდა. ყურსჩაყოლებული ძარღვიც მაშინ აჩნდებოდა ლურჯ ხაზად, როცა სანერვიულოს ამბობდა რამეს.

ვიღაცამ კარი გადასწია. შავტუხა ქურთმა უბოდიშოდ შემოყო თავი:

– მუშა გინდათ?

– არა. არ ჩავდივართ, – ჯონდო გაეპასუხა.

წვიმამ მოუხშირა. ასფალტზე ჭავლები ისე ღონივრად სხლტებოდნენ, თითქოს ისევ უკან, ცაში დაბრუნება უნდათო. ვაგონის ფანჯარასთან თავით-ფეხამდე გაწუწულმა, კალანჩხიანმა ზონზროხა კაცმა გაირბინა. კალანჩხიდან იხვებს ამოეყოთ თავები და წვიმისგან გაროზგილ გაქცევისძალამომატებულ ადამიანებს გაკვირვებით შესცქეროდნენ. ხუთიოდე წუთის შემდეგ ზონზროხა უკან გამორბოდა და გვერდით ჩარლი ჩაპლინის შლაპოსანი, ფართხუნაპალტოიანი გოგო, მოსდევდა. გოგონას შლიაპა თვალებზე, ალბათ, იმიტომაც ჩამოეწია, რომ არ უნდოდა ვინმეს ეცნო იხვებიან ესკორტში მიმავალი.

ბოლოს მაინც ყველაფერი დალაგდა. ვეება მატარებელმა, როგორც კრუხმა წიწილები, თავის უბეში შეიყუჟა სადგურს

ქოლგებად მოდებული მგზავრები და ზარს რომ შემოჰკრეს, რუხი ასფალტიანად ნელ-ნელა უკან გასრიალდა გამოკეტილი ჯიხური, რომლის ვიტრინაში ლიმონათი და უხვად დაზვინული ძეხვის ბუტერბროდი მოჩანდა. გარდა ამისა, ბაქანზე დარჩა წვიმა და ვაგზლის შენობის წინ ცის ანაბარა დაყრილი ურიკები.

თებერვალი იწურებოდა. საქართველოს ერთ უხვნალექიან კუთხეში გრძელი წვიმების მოსაწყენი სეზონი დაწყებულიყო.

ჟურნალისტი ჭოლა ნეიძე და მისი მეგობარი ეკვილიბრისტი ჯონდო ტოგონიძე დაბა ფონში ჩამოხტნენ და სასტუმრო „ორიანტში“ დაიდეს ბინა. ფონი ძველთაძველი, ისტორიული ძეგლებით მდიდარი დაბაა. მწვანე გორაკებზეა გაშენებული და ახლომახლო მდინარე არ ჩაუდის. რატომ ჰქვია ფონი – კაცმა არ იცის. აქამდე ცხრაჯერ შეეძლო ქალაქად ხელდასხმა, მაგრამ სიძველეთა და ტრადიციათა ერთგულმა ქალაქის ხელმძღვანელობამ არ მოინდომა. ქალაქი ბევრია, დაბა – თითზე ჩამოსათვლელი, ამიტომ დაბად ყოფნა უფრო ორიგინალურიაო. ფონში ჭოლა ნეიძე მივლინებული გახლავთ. ამჯერად ისეთ ნაკლებადჟურნალისტურ საქმეზე, როგორიცაა ლექციის წაკითხვა მავნე ტრადიციებსა და მოძველებულ წეს-ჩვეულებებზე. წამოსვლის წინა დღეს თავისი კლასის ამხანაგს – ჯონდოს შეხვდა ქუჩაში. ჯონდო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბარე ოცდახუთი წელია, არ უნახავს და ძალიან გაეხარდა. ტოგონიძემ საცირკო სასწავლებელი დაამთავრა და რუსეთში, პროვინციულ ქალაქ მაკუთიაში მუშაობს წამყვან ეკვილიბრისტად. გამხდარია და თავისი პროფესიის შესაფერისად მოქნილ-დაკუნთული. ცირკში, ძირითადად, ორი ნომერი აქვს: ბაგირზე გავლა და პლასტმასის ბურთზე ცეკვა. რაც დრო გადის, ბურთზე ცეკვა თანდათან მიძნელდებაო, ამბობს, შეიძლება მომავალში შედარებით უსაფრთხო ფოკუსურ-ილუზიონისტურ ნომრებზე დავსპეციალდეო. დაბა ფონში ნამყოფი არ იყო და სიამოვნებით დათანხმდა ჭოლას წინადადებაზე, წავიდეთ ერთად, გავივლ-გამოვივლით, თვალს წყალს დავალევინებთ, ცოტას გადავხალისდებითო.

ჩამოვიდნენ, მაგრამ ჭოლას პირველი დღიდანვე რომ აემღვრა გუნება, არ იქნა, არ გამოუკეთდა, რას მოაყოლა, აღარ ახსოვს, მაგრამ მატარებელში ჭოლამ ჰკითხა ჯონდოს – ჩემს წერილებს თუ კითხულობო. გაირკვა, რომ ტოგონიძე ქართულ გაზეთებს რეგულარულად ვერ კითხულობდა მაკუთიაში. ახალი წლიდან უნდა გამოვიწერო ერთი-ორი გაზეთი მაინც, აქამდე იმიტომ არ ვიწერდი, რომ სულ წამოსვლას ვაპირებდი, ახლა როგორც ჩანს, პენსიამდე იქ მომიწევს დარჩენა და უსათუოდ გამოვიწერო. დარჩენა-არდარჩენაზე კი არაა საქმე, თქვენ, ცირკის ხალხი, საერთოდ ცოტას კითხულობთო, ღიმილით შეარბილა საყვედური ჭოლამ და ჯონდოც არ შეკამათებია. მოეჩვენა რომ მისი ჟურნალისტი მეგობარი რაღაცაში მართალიც კი იყო. გზა გრძელი ედოთ და ჯონდომ ჰკითხა, რა საკითხებზე წერ გაზეთშიო. ჯონდომ დაწვრილებით, უამბო, რომ ძირითადად საყოფაცხოვრებო საკითხებზე იყო დასპეციალებული, უფრო კონკრეტულად კი ოჯახის დანგრევაზე, ცოლ-ქმრულ უთანხმოებებზე, ალიმენტის ურჩ გადამხდელებზე წერდა. ეს ისეთი თემებია, მკითხველს რომ არასოდეს მოსწყინდებაო. ამიტომაც, რა დაგიმალო და, საკმაოდ პოპულარული ჟურნალისტი ვარ. ნარკვევების ხუთი წიგნი მაქვს გამოცემული და ხუთივე მაშინვე დაიტაცესო. რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის წოდება რომ მომანიჭეს, დეპეშით ასამდე ნაცნობ-უცნობმა მომილოცაო. ამას ტრაბახით კი არ ამბობდა, სიმართლეს აღნიშნავდა. მართლაც ასე იყო. რატომ უნდა ითვლებოდეს შენს თავზე ლაპარაკი ტრაბახად, სიმართლე გითხრათ, მეც ვერ გამიგია.

სასტუმრო ადგილის დაჯავშნაზე არ უზრუნვიათ. ჭოლამ იცოდა, რომ ფონს ახალი დიდი სასტუმრო ჰქონდა და ისიც უწყოდა, რომ ზამთრის თვეებში ამ მხარეს სტუმარი იშვიათად აწუხებდა. ამ შვიდი წლის წინათ მოუწია ჟურნალისტს ფონში

ჩამოსვლამ, მაგრამ მაშინ სასტუმრო დამთავრებული არ იყო და სტუმარმა ადგილობრივი გაზეთის მაშინდელი რედაქტორის სახლში გაათია ღამე.

ჭოლას უხასიათობა სწორედ რომ სასტუმროდან დაიწყო. ჩინურ კიტელში გამოწყობილმა, ულვაშგაპარსულმა ადმინისტრატორმა, სანამ მეგობრები პირს გააღებდნენ, სწრაფად შეაგება; არც ერთი თავისუფალი ნომერი არ გვაქვს, დაბაში; მოგეხსენებათ, წისქვილკომბინატი მონტაჟდება და სასტუმროში იუგოსლავიიდან ჩამობრძანებული მემონტაჟე სტუმარსპეციალისტებს ძლივს ვატევთო.

ჭოლამ მივლინების ფურცელი და პირადობის მოწმობა გაუწოდა, მაგრამ ადმინისტრატორმა არც დახედა. ამ ადმინისტრატორს პირადობის მოწმობები და მივლინების ფურცლები საერთოდ არ უყვარდა და ვერც იმას იტანდა, ზოგჯერ, იძულებულს რომ ხდიდნენ, სტუმრის თანამდებობა-მდგომარეობისათვის ანგარიში გაეწია.

– მე ნეიძე ვარ, – კბილებში გამოსცრა ჟურნალისტმა.

ამ დროს სასტუმროების ცხოვრებაში არცთუ უჩვეულო, მაგრამ ეკვილიბრისტისათვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი რამ მოხდა. ადმინისტრატორმა სათვალე მოიხსნა გულზე ხელები დაიკრიფა, აბეზარ სტუმარს ჯიუტად შეხედა და დაისისინა:

– მე გაბრიელი გახლავართ, ბერაძე.

ჭოლას ადმინისტრატორის თავხედობისგან ტუჩები გაუშრა, მაგრამ არ შეიმჩნია და ჩაპაევის სურათსმიშტერებულ ტოგონიძეს ცერა თითი მიაშვირა.

– მე ნეიძე ვარ, ეს კაცი ეკვილიბრისტია, მაკუთიიდან. როგორც ჩანს, „ეკვილიბრისტმა“ მაგიურად იმოქმედა, რაკი სიტყვის მნიშვნელობა ვერ გაიგო, ვინ იცის, რად მიიჩნია ჩვენი უპრეტენზიო ბაგირზე მცოცავი. ან იქნებ, მაკუთიიდან ჩამოსულების მიმართ ჰქონდა გაბრიელს განსაკუთრებული პატივისცემა? ფაქტი ის გახლავთ, რომ ადმინისტრატორმა თავი

დახარა, ასე თავდახრილმა გაუწოდა ანკეტები სტუმრებს და ნახევრადშერიგებული კაცის ინტონაციით თქვა:

– შეავსეთ.

მესამე დღეს ჭოლამ კულტურის სასახლეში ლექცია წაიკითხა. აფიშებიც გააკრეს, „ცოდნის“ რეფერენტმა ჟივიძემ ტელეფონითაც გააფრთხილა დაწესებულებები, მაგრამ ლექციის დაწყებისას დარბაზში ჯონდოიანად ექვსი კაცი იჯდა. ჭოლამ ნახევარი საათი ადროვა, მაგრამ რომ არავინ გამოჩნდა და მოსულთაც უკმაყოფილო შმუშვნა დაიწყეს, ესენიც არ წავიდნენო, ტრიბუნა დაიკავა, მაგრამ შესავალშივე ჩაურთო; დავიწყოთ, ალბათ, თანდათანობით შემოგვემატებიანო.

ლექცია რომ დამთავრდა, ხუთ მსმენელს ხმა არ ამოუღია. მეექვსემ კი იმერულქუდიანმა, სახეგადატკეცილმა, სამოცსმიღწეულმა კაცმა, ბიბლიოთეკის გამგედ რომ გააცნო სტუმარს თავი, ჯერ რამდენიმე მაკვარანცხი შეკითხვა მისცა ლექტორს საერთაშორისო ვითარებაზე (შეკითხვები ლექციის თემას, მართალია, არ ეხებოდა, მაგრამ ნეიძე იძულებული გახდა ეპასუხნა), მერე არც აცია, არც აცხელა, უბოდიშოდ გამოაცხადა: „უნდა ვიცოდეთ ყველამ, რომ მავნე ტრადიციები არ არსებობს. რაკი ტრადიცია დავარქვით. ეს იმას ნიშნავს რომ ერი მავნე რაიმეს ტრადიციად არ აქცევდაო. უმჯობესია ვილაპარაკოთ იმ მშვენიერი ტრადიციის იმ მახინჯ ფორმებზე, ზოგიერთ სოფელში თუ ოჯახში რომ გვხვდება, თორემ ჩვენ რომ ასე ხელაღებით, ტრადიციებს დავუშინოთ ქვა და გუნდა, კარგს რას მივიმკითო“.

ღამით, სასტუმროში რომ ბრუნდებოდნენ, ჯონდომ, იქნებ ფონზე აღრენილ მეგობარს გუნება გამოვუკეთოვო, საუბარი წამოიწყო:

– რა მშვენიერია პროვინცია. თუ შეამჩნიე, რა თვითდაჯერებული ტონი და რიხიანი ხმა ჰქონდა იმ ბიბლიოთეკარს.

– ეტყობა, ლექციას არ უსმენდა. სახლიდანვე იმ ბოლო

ფრაზის სათქმელად მოვიდა. თორემ მთელი საათი იმას არ ვამტკიცებდი, რაც მან ასე მენტორულად ჩამომიყალიბა?

– მეც მაგის თქმა მინდოდა.

– გული რაზე მწყდება იცი? ეს ოხერი, გაზეთის ყოველ მეორე ნომერში ჩემი წერილია. ერთი ვირი ვერ აიკიდებს, რაც მე მორალის და ოჯახის თემებზე მიწერია.

არ მეგონა; ფონი თუ ასე კუნძულივით, ცალკე, თავისთვის ცხოვრობდა. ვისაც ეს ორი დღეა შევხვდით, ვერც ერთს ვერ შევატყვე, რომ ჭოლა ნეიძის სახელი და გვარი გაგონილი ჰქონდა, წაკითხვას თავი დაანებე.

– იქნებ პირიქით, წაკითხული რომ ჰქონდათ, იმიტომ არ მოვიდნენ ლექციაზე, ახალს რას გვეტყვისო.

– ლექცია, ეგ არაფერი. ლექცია რომ ბევრს ყელში აქვს ამოსული, ეგ ამბავი კარგა ხანია ცნობილია ჩემთვის. სხვას ვამბობ, თუ შემატყვე, მე თვითონ არ შევაწუხე არავინ, რომ მიხვალ და გამოეცხადები კაცს – შენი სტუმარი ვარო, რასაკვირველია, უნდა მოგხედოს, მეტი გზა არა აქვს. მინდოდა ჩემთვის გამერკვია; დაბა ფონში მიცნობენ, მკითხულობენ თუ არა-მეთქი, შენც არ მომიკვდე.

– მაგ დასკვნის გასაკეთებლად ჯერ ცოტა საბუთი გაქვს, ჩემო ჭოლა.

– კარგი თუ ძმა ხარ. იმ ანეკდოტის არ იყოს; ბრმას ცოლი რო მოუკვდა და ნუ ეტყვითო, გვერდით რომ არ მოუწვება, ვერ გაიგებსო? იმისი არ იყოს, ვერ ვხვდები რა მჭირს? ტყუილია ყველაფერი. მესამე დღეა აფიშები გამოკრულია. შენ გგონია არ ნახეს? ნახეს, მაგრამ ჩემთვის არ სცალიათ. ნაცნობებიც კი შემუდრულან სადღაც. რაკი აქეთ არ მომაკითხა, იქეთ რად მივეძალოვო, ფიქრობენ, ტყუილია ყველაფერი.

– რატომ არის ტყუილი?

– რა არის, იცი, ტყუილი? ჩვენი ჩალიჩი ამ ქვეყანაზე, ავიჩემებთ რაღაცას და მივერეკებით ჩვენთვის. ვის დაეკარგე, ვინ გკითხულობს. მე რომ მგონია, ახლა კი ვიმოქმედე ჩემი

წერილებით, ახლა კი აღვზარდე საზოგადოება-მეთქი – არ შეგჭამოს რუხმა მგელმა, ხალხი რაღაც უფრო დიდი, გასაიდუმლოებული საქმით არის გართული, ერთი ის საქმე მაცოდინა და რა უნდა გამჩენს.

– იქნებ სწორედ შენი აღზრდის შედეგია, დღეს რომ არ მოვიდნენ. შენს წერილებში ერთხელ მაინც უეჭველად ეტყოდი მკითხველს; საქმეს მიხედე, ფუჭად დრო არ დაკარგოვო, – იუმორით სცადა სიტუაციის განმუხტვა ეკვილიბრისტმა.

„უფრო რას ვაბრალებ იცი? გული ხომ არ გაუტყდათ ჩვენზე საერთოდ, ჟურნალისტებზე. იმდენჯერ მოვატყუეთ, იმდენი წაჯექ-უკუჯექობა ვეთამაშეთ, რომ იქნებ ჩვენი სიმართლისაც აღარ სჯერათ“.

– არ გინდა, რად გინდა ეგ მაქსიმალიზმი. არ მოვიდნენ მორჩა და გათავდა. თუ მაინცდამაინც მიზეზს ეძებ; ან ლექციის თემას დააბრალე, ან არასაკმაო ინფორმირებას. მე პირადად, აღარც კი მახსოვს, უკანასკნელად როდის შევხედე აფიშას. ხომ ცირკის კაცი ვარ; სინდისს გეფიცები ასეა.

– სხვა უფრო სერიოზული რამ არ იყოს და ეგ არაფერი, – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ნეიძემ და იმ საღამოს ამ თემაზე მეტი აღარ ულაპარაკნიათ, სასტუმროს ცივ რესტორანში მსუბუქად ივახშმეს და დაიძინეს.

დილით ჭოლამ თავი ცუდად იგრძნო. სახსრები მტეხს, გვერდები ნაცემივით მტკივა და ნერწყვს ძლივს ვყლაპავო. ჯონდომ სიცხე გაუზომა (ეკვილიბრისტი თერმომეტრს ყოველთვის თან ატარებდა), ოცდაჩვიდმეტზე და რვა ხაზზე შეჩერდა ვერცხლისწყლის სვეტი. დღეს, კიდევ კარგი, ლექცია არ მაქვს, ხვალამდე გამოვშუშდები, აშკარაა, წუხელ გავცივდი კულტურის სასახლის ცივ სცენაზე, პალტო არ უნდა გამეხადაო, თქვა ნეიძემ თავსახიანად საბანში გაეხვია და მეგობარს მოუბოდიშა; მაპატიე, ასე რომ მოხდა, მე არაფერი მინდა, ვიცი ჩემი თავის ამბავი. ოფლს მოვიდენ და საღამოსკენ კარგად ვიქნები. შენ სუფთა ჰაერზე გაიარე, დღე არ გაიფუჭო,

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შეიარე, ღალღას ციხის ნანგრევებიც დაათვალიერეო. ჯონდომ რესტორანს ჩააკითხა, ჩაიდანი ინათხოვრა, ღოღნოშოს მურაბიანი (თრითინისთვალება მორიგემ უწილადა), არაყგარეული ჩაი დაალევინა ჭოლას. მერე ცოტა ხანს ფანჯარასთან იდგა და გამოკეტილ ნავთის კიოსკს უაზროდ შესცქეროდა. ბოლოს ჭოლამ რომ აღარ მოასვენა, – კარგი ამინდია, ჩაიცვი და გაიარეო, სასტუმროდან გამოვიდა, მაგრამ შორს არ წასულა. იქვე, სკვერში გავიდა, ცოტა მუხლს გავმართავ, მერე ვინმე გამოივლის და მუზეუმის გზას ვკითხავო.

ცოტა ხანს ბოლთას სცემდა, მერე ავტობუსის გაჩერებაზე მდგარი ბუკლესქუდიანი, ტყავის სერთუკში გამოწყობილი კაცი დალანდა და მისკენ წავიდა. სანამ უცნობისკენ ნაბიჯს გადადგამდა, მუზეუმში წასვლა უკვე გადაფიქრებული ჰქონდა, როგორ და რატომ, ახლავე შეიტყობთ.

– ბოდიში, აქაური ბრძანდებით, ბატონო?

წითურმა, ცხვირკიტრა კაცმა სერთუკის ჯიბეებიდან ორივე ხელი ერთბაშად დააძრო.

– კი, ბატონო.

– ერთი სათხოვარი მაქვს, თუ არ გაგიკვირდებათ.

– ბრძანეთ, ბატონო.

– სტუმრად ვართ აქეთ. ამ სასტუმროში ვცხოვრობთ... ძმაკაცი ავად გამიხდა. ნომერში წევს, სიცხე აქვს, გაცივდა ცოტა.

ყურადღებადქცეული უცნობი ელვისსისწრაფით აწრიალდა:

– ნუ გეშინიათ, ბატონო, ვერ მოგსვლიათ მთლად კაი საქმე, მარა რა ვუყოთ, ყველაფერი ხდება. თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. ახლავე გავვარდები და ყველაფერს გაგიჩენთ. ექიმი, წამალი, ამ წუთას ფეხზე დავაყენებ. ღმერთო კი მომკალი. სტუმარი კაცი, ავადმყოფობა, რავარი საწყენია.

– არა, ბატონო, ამდენს არ შეგაწუხებთ.

წითურმა ჯიბეზე გაიკრა ხელი.

– მითხარით, თქვენ შემოგევლეთ, არ მომერიდოთ, – ხელში ორი წითელი თუმნიანი გაატკიცინა, – ა, ბატონო, არ გეწყინოთ, ხანდახან ხდება, არ დაგრჩება ჯიბეზე ფული კაცს, რა ვუყოთ მერე, გამმოართვი, თუ ღმერთი გწამს.

– არა, როგორ გეკადრებათ, დიდი მადლობა, მაგრამ მე სხვა სათხოვარი მაქვს, – ჯონდომ უკან დაიწია, ამ ღვთისნიერმა კაცმა თავი არ მომჭრას, ფული ჯიბეში არ ჩამიკუჭოსო.

მოქალაქემ ნაბიჯი გადმოდგა და უცნაურ სტუმარს თვალებში შეაჩერდა, იქნებ ამოვიცნო, რა უნდა მთხოვოსო.

– თუ არ შეწუხდებით, დაკარგეთ ათი წუთი, აბრძანდით ორასმეცხრე ნომერში. ჩემი მეგობარი ცნობილი ჟურნალისტია – ჭოლა ნეიძე. გაელაპარაკეთ ცოტა. შეგვაწუხა თქვენმა ავადმყოფობამ-თქო. თქვენს ნაწერებს ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობთ-თქო. ხომ იცით, კაცია ყურადღება გაეხარდება, მეტი არაფერი. თქვენ არ მომიკვდეთ, ა, ეს მინდოდა მეთხოვა, თუ არ შეწუხდებით.

– მაგას რავა დაგამადლით, ბატონო, – ცოტა ეჭვიანად, ცოტა დაბნეულადაც ჩაილაპარაკა წითურმა, სასტუმროსკენ გააბიჯა, შეჩერდა, მოტრიალდა.

– ორასმეცხრე?

– დიახ, მე თუ გაგაგზავნეთ, არ შეატყობინოთ. ასე სჯობია.

– სახელი რა ჰქვიაო, რა ბრძანეთ?

– ჭოლა, ჭოლა ნეიძე.

– ახლავე, ჩემო ბატონო. სხვა არაფერი ნამდვილად? მშობელ დედას გაფიცებთ, არ მომერიდოთ.

– არაფერი, ბატონო. მხოლოდ ინახულეთ. ფრიად მადლობელი დაგრჩებით.

სერთუკიანმა თავი დაუქნია, ქუჩა გადაჭრა და სასტუმროს ჩუქურთმიან კარებში გაუჩინარდა.

ჯონდო გამოტრიალდა, სკვერში გადახერხილ მორზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებშუა ჩაიმწყვდია და ოდნავ მოჭუტული თვალებით ნაცრისფერ ბორცვზე აღმართულ ღალღას ციხეს

ააჩერდა. ციხის მარჯვნივ ცას შავ, კლაკნილ ხაზებად მოდებულ უზარმაზარი ხის გვერდზე (ზამთარში ის ხე გადმობრუნებული გეგონებოდათ; იფიქრებდით ფესვები მაღლა აუშვერიაო) პარაშუტით გადმოსახტომი, გაუქმებული კოშკი იდგა. მსგავსი კოშკი ჯონდოს ყმაწვილობაში უქიმერიონზეც უნახავს. ფონის კოშკი უქიმერიონის კოშკთან შედარებით უფრო მაღალი იყო და აქაურობას არცთუ უხდებოდა.

მყუდროება ყვირილმა და სასტვენის ჟღივილმა დაარღვია. სანაყინე ჯიხურის უკან თეძოზე მარჯვენამიდებული მილიციელი გაუჩინარდა. წამიც და ზვინივით ბრგე მილიციელს ყურზეჩავლებით მოჰყავდა ცამეტიოდე წლის ცხვირპაჭუა ყმაწვილი. ყმაწვილს მოსწავლის ფორმა ეცვა, უკან ქამარში ერთადერთი წიგნი გაერჭო და რასაკვირველია, ტიროდა.

ჯონდო თავის საფარს დაუბრუნდა და სასტუმროს შესასვლელს თვალს არ აშორებდა. მალე სერთუკიანიც გამოჩნდა. ქუჩაში გამოსვლისთანავე საყელო აიწია, ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიწყო და სკვერისკენ არ გამოუხედავს, ნელი ნაბიჯით დაადგა აკაკი წერეთლის გამზირს.

ჯონდოს სტვენა მოესმა და მოიხედა. უქუდო, მწვანესაწვიმრიანი, ასე ოცდაათიოდე წლის, თავბურძგლა კაცი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა გასასვლელისაკენ და კინოფილმ „დარიკოდან“ დარიკოს სიმღერას უსტვენდა. ჩანდა, რომ იგი სკვერში სასეირნოდ არ შემოსულიყო; გზა მოკლეზე მოეჭრა.

– ახალგაზრდა, – დაუძახა ჯონდომ და წამოდგა.

„ახალგაზრდა“ შეჩერდა, მოიხედა და რაკი დამძახებელი ვერ იცნო, ადგილზე დარჩა. შესახვედრად ნაბიჯი არ გამოუდგამს.

ეკვილიბრისტმა სიგარეტს თავი მოუსრისა და მიახლოებისას ბიჭს ასანთი სთხოვა.

თავბურძგლამ ასანთი ამოიღო, გაჰკრა და მოუკიდა. მერე ასანთის კოლოფი გააჩხაკუნა და ჯონდოს გაუწოდა.

– წეიღე მთლიანად, დაგჭირდება.

– გმადლობთ, ვიშოვი.

– წეიღე, წეიღე. მაინც აღარაფერია შიგ.

ტოგონიძემ გამოართვა, მადლობა გადაუხადა, კიდევ ერთხელ მოიბოდიშა. სიგარეტის კოლოფი ამოიღო და შესთავაზა:

– მოსწიეთ, პირველი ფაბრიკისაა.

– არ ვეწევი, გმადლობთ, – ბიჭმა თეთრი კბილები გამოაჩინა, მაგრამ ღიმილი უცებ დაიოკა, – ნამეტანი შეთამამება არ გამომივიდესო, სერიოზულად თქვა, – მე თვითონ არ ვეწევი, მარა ასანთი სულ მაქვს ჯიბეში. რა ვიცი, ვის დასჭირდება. კაი მწეველ ხალხსაც, ისე ვატყობ, ორივე ერთად იშვიათად აქვს ჯიბეში. ვისაც ასანთი აქვს, სიგარეტს თხოულობს და ვისაც სიგარეტი აქვს, მოკიდებაზე დასდევს ხალხს.

ჯონდომ გააბოლა და სასტუმროს გახედა.

– ამხანაგი გამიხდა ავად და ცოტა დაბნეული გამოვედი. ასანთი დამვიწყნია.

– სასტუმროში ხართ? – თავბურძგლამაც ხმადაბლა, მისივე ინტონაციით ჰკითხა.

– დიახ.

– რა მოუვიდა?

– არაფერი ისეთი, გაცივდა ცოტა, – ჯონდომ უცნობს ახედ-დახედა და საქმეზე გადავიდა – მეცი პატივი, ადი ორასმეცხრეში, ინახულე, დიდი კაცია, ჟურნალისტი. გაეხარდება. ხომ იცი, ადამიანი ყურადღებითაა. მე თუ მნახე, არ უთხრა, ვითომ შენით მიხვედი. როგორ ბრძანდებით-თქო. მთელ ჩვენს დაბას ძალიან უყვარხარ-თქო. ჭოლა ჰქვია, თქვენი სახელი?

– ჭიჭია.

– თუ დრო გაქვს, რასაკვირველია, ჭიჭია ბატონო.

ჭიჭიამ ჯერ სასტუმროსკენ გაიხედა, მერე ჯონდო აათვალიერ-ჩაათვალიერა და რაკი დარწმუნდა, არ ხუმრობსო, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ინსტრუმენტები წავიღო?

– რა ინსტრუმენტები? – ფერი გაუკრთა ჯონდოს.

– მე პარიკმახერი გახლავართ. ეგერ ვმუშაობ, თეატრის გვერდზე სალონში, წამევიღებ პატარა ჩემოდანს. ხუთი წუთის საქმეა და გავპარსავ კიდეც, რა ვიცი, ასე არ აჯობებს?

– ნუ შეწუხდებით, – ჯონდო დაიბნა, – საერთოდ, ორ დღეში ერთხელ იპარსავს, დღეს არ უნდა, იყოს გასაპარსი. ლოგინში წევს მაინც, დღეს არ დგება.

– რა შეწუხებაა, შე კაცო. მოვბრუნდები ხელათ, შენ ხომ აქ იქნები?

– მე, შეიძლება, აქ ვერ დაგხვდე. წამალზე ვარ გასაქცევი. – იცრუა ჯონდომ. – ორასმეცხრეა, ჭოლა ჰქვია.

– არ გინდა ლაპარაკი, დიდი დიდი ათ-თორმეტ წუთში იქ ვიქნები.

– გაპარსკვის ფულს წინასწარ მოგართმევთ, – ჯონდომ საფულე ამოიღო.

– ა, მაგით გააფუჭეთ ყველაფერი, ბატონო. ფულს ღორიც არ ჭამს, იმნაირი გლახა სუნი აქვს, ხომ იცით თქვენ. მთლად ისე არ წავმხდარვართ, სტუმარ კაცს ფული გამოვართვათ ამნაირ, უბრალო საქმეში.

– აბა, რითი გადაგიხადოთ, ბატონო ჭიჭია... ამხელა დავალების ღირსი არ ვართ თქვენგან... შეიძლება კიდევ შევხვდეთ და ჩვენზე იქნება, – სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს ჯონდო.

– შენ კარგად იყავი, მაგის ჯავრი ნუ გაქვს, - ჭიჭიამ ორი ნაბიჯით გადაათავა ტროტუარი, შხუილით მომავალი ავტობუსი გაატარა და ქუჩა გადაირბინა.

ჯონდო წერეთლის გამზირით თეატრის მოედანზე გავიდა. იქ მილიციელს ჰკითხა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმამდე რა ნომერი ტროლეიბუსი მიმიყვანსო, თუ მოედანს საპატიო წრე უნდა დაარტყათ, რომელ ნომერზეც გაგეხარდებათ, იმაზე დაჯექით, თუ არა და მუზეუმი აგერ, თქვენს წინაა. ეკვილიბრისტმა მილიციურ ჭრელ ჯოხს გააყოლა თვალი. მუზეუმამდე, მართლაც, ოცდაათი-ორმოცი ნაბიჯი იქნებოდა, შეიძლება ერთი ორი ნაბიჯით ნაკლები – მეტი არა.

მუზეუმი ამ კუთხეში ლამის ყველა ერთმანეთს ჰგავს. იწყება ქვის ხანის ადამიანის იარაღებით, (პირველი ექსპონატი ბრტყელი სიპი ქვაა, რომელსაც რატომღაც წალდს უწოდებენ) და მთავრდება წარმოების მოწინავე, თანამედროვე ადამიანთა პორტრეტებით, ან ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოთი“. ტოგონიძემ, რა დაგიმალოთ და გულგრილად ჩაუარა მუზეუმის მინის ვიტრინებს. ჯერ ერთი მსგავსი გამოფენა (ჩაის საკრეფი მანქანის გამოკლებით) მაკუთიაშიც ენახა და მეორეც, მუზეუმებს და მის ექსპონატებს, მცირე გამონაკლისის გარდა, ეჭვის თვალით უცქეროდა.

ერთი საათის შემდეგ ჩვენი გმირი ისევ სკვერში იჯდა და თებერვლის უღიმღამო მზეს მიფიცხებოდა. მზე რბილად, თბილად ეღვრებოდა სახეზე და სხეულში სასიამოვნო მოთენთილობას გრძნობდა.

სხვამ რომ აღარავინ გამოიარა, სასტუმროს წინ მოფუსფუსე, კოჭლ დამლაგებელ ქალს სთხოვა; ორასმეცხრეში ჩემი მეგობარი წევს, ჭოლა ჰქვია, თუ ქალი ხარ, წუთით შეუღე კარი და მოიკითხე, ვერ არის კარგად, გაცივდაო.

დამლაგებელმა ისე ახლოს მიიტანა გულთან ჭოლას ავადმყოფობა, რომ ფანჯრების წმენდა შეწყვიტა, რაფაზე ჩამოჯდა და თავსაფრის ბოლოებით ცრემლი შეიმშრალა. ტანსაცმელს გამოვიცვლი, ჩემო ბატონო, აქვე ვცხოვრობ, ჩემს კაცსაც წამოვიყვანო, ჩაილაპარაკა, თავსაფარი მოიხსნა და ისევ გაიკეთა (ახლა უფრო კოხტად გაინასკვა კეფასთან), ვედრო და ჩვარი კუთხეში მიაქუჩა და გარეთ გავიდა. ოციოდე წუთში უკან დაბრუნდა. გრძელი, ფართხუნა კაბა ეცვა, თეთრი თავშალი ბეჭებზე შემოეხვია, ხელში გაზეთის ქაღალდში შეხვეული რაღაც ეჭირა და გვერდით მაღალხმელი, ბეჭებში წახრილი, მოდიდან ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში გამოსულ ვერცხლისქამარა ბლუზა-შარვლიანი, ფეხზე წვივთან

გადაჭრილი მონადირის ჩექმებმორგებული ქმარი მოსდევდა. ორივენი ისე გაფაციცებული სახეებით, სერიოზული გამომეტყველებით და ხელების ერთნაირი ქნევით არბოდნენ კიბეზე, კაცს ეგონებოდა, მდუღარეგადასხმულის საშველად მიიჩქარიანო. ეკვილიბრისტი თავით ტერფამდე შესძრა ამ სურათმა. სული აუფორიაქა, სადღაც, გულის სიღრმიდან დაძრული ცრემლი ქუთუთოზე შეეყინა.

სადილობას ბევრი აღარაფერი უკლდა, ეკვილიბრისტი ორასმეცხრე ნომრის კარს ზურგით რომ მიაწვა. ზურგით იმ უბრალო მიზეზის გამო მიაწვა, რომ ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა: ცალ ხელში ცხელჩაშუშულიანი, პატარა ქვაბი ეჭირა, მეორეში – პური და ლიმონათი. ცდილობდა, აღარაფერი შეემჩნია და, როგორც ცირკის პროფესიონალი მსახიობი, მშვენივრად აღწევდა ამას. პატარა კარადის თავზე გაზეთშემოცლილი ჩურჩხელები და ხურმის ჩირი იდო. ჯონდოს არც ამ „სიახლისთვის“ მიუქცევია ყურადღება.

ჭოლა განსაცვიფრებლად გახალისებული, სუფთად გაპარსული, მხნე და ლაპარაკის იშტაზე მოსული იწვა. გემრიელად ისადილა და მეგობარს ჰკითხა: სად იყავი, რა ნახეო.

ეკვილიბრისტმა ჭოლას აღტკინებულ, აღფრთოვანებულ განწყობილებას სევდიანი, მელანქოლიური ტონი დაახვედრა. ფანჯარაში გაიხედა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, პაუზებით ამოღერღა:

– მუზეუმი დავათვალიერე. არაფერი ისეთი... დაბამ გამაოცა. ზედაც არავინ გიყურებს. შენ მართალი იყავი წუხელის. იქნებ რაღაც მუღამს მიაგნეს და იმით არიან დაკავებული... ან იქნებ დაიღალა ხალხი. ქუჩაშიც აღარ დასეირნობენ. ასე როგორ გამოიბა ტელევიზორმა მთელი ქვეყანა ქამარზე. ყველგან ერთნაირია... ყველგან შეაბიჯა ურბანიზმმა... პროვინცია აღარ არსებობს. ახლა, როგორც ჩანს, თოვლი რომ თეთრი მოდის, ისიც უნდა გიკვირდეს კაცს.

ჭოლა აჭიკჭიკდა: – ნება მომეცი, არ დაგეთანხმოვო, წუხელის ნაჩქარევად დავასკვენი რაღაც-რაღაცეებიო. შენ ვერ წარმოიდგენ, დღეს რა მოხდა, არ ველოდი, სიმართლე გითხრაო. არა, არ ჩავიქნიოთ ხელი. ფონი სულ სხვა სამყაროა, ყურადღებიანი, სტუმართმოყვარე, ტრადიციების ერთგული. შენ წარმოიდგინე, თურმე კითხვითაც საკმაოდ კითხულობენო.

...და ჭოლა ჰყვებოდა, როგორ ინახულეს და მოიკითხეს სრულიად უცნობებმა, რა მშვენივრად გაპარსა პარიკმახერმა და ფული არ გამოართვა, რა დიდებული სიტყვები უთხრეს კოჭლმა დამლაგებელმა და მისმა დარბაისელმა მეუღლემ.

ჯონდო ფანჯარასთან იდგა და დაბოქლომილ ნავთის ჯიხურს გასცქეროდა. სკვერის შესასვლელთან წყლის გუბეს წვიმის წვეთები უფრო და უფრო ენერგიულად ჩხვლეტდნენ. როცა გადაიღებდა, ტოგონიძე თბილად ჩაიცვამდა და გასეირნების მომიზეზებით ქუჩაში გავიდოდა; იმაზეც დღეიდანვე უნდა ეზრუნა, რომ ხვალ ჭოლა ნეიძის ლექციას გუშინდელზე გაცილებით მეტი მსმენელი დასწრებოდა.

ქალი

ცაცა ერქვა. ბრმა იყო. მეხუთე კლასში გახლდით, პირველად რომ დავინახე. გრძელნაწნავებიანი, მაღალი ქალი თავის ჭიშკართან სასხლავიან მოხუცს – ჭიჭიას ესაუბრებოდა და მარჯვენა ხელით გულზე ჩამოშვებულ ნაწნავს აწვალებდა. ჯარისკაცისფარაჯიანი ჭიჭია ტრიფოლიატის ღობეს სხლავდა და თან ცაცას ელაპარაკებოდა დაგუდული ღიმილით, რაღაცნაირი ძალადმორცხვობით, თვალგაშტერებით, ეშმაკურად. ცაცა ხმამაღლა იცინოდა და სიცილსა და სიცილს შუა, სანამ მეზობელი ახალ ამბავს წამოუწყებდა, პირს ისე აღებდა, რომ მის ჩაწიკწიკებულ, მარგალიტივით მბზინვარე კბილებს დაითვლიდი.

მეც მოვაღე პირი და მანამ მივჩერებოდი, სანამ მსხვლელი არ მომიბრუნდა: რას უყურებ, ბიძია, წაი შენს გზაზეო. ჩანთა ზურგზე გადავიქნიე და ჩემს გზას ვეწიე, მაგრამ სიბრაზისგან თმის ძირები ამეწვა, ცაცას კისკისი რომ გავიგონე. რა უთხრა ასეთი ჭიჭიამ – სასხლავიანმა წითელმა ტურამ, ან რაზე ხითხითებდნენ ასე გულიანად, არ გამიგონია. ეტყოდა, ალბათ, ხშირად ნუ გამოხვალ ქუჩაში, თორემ მაგ ბავშვს სწავლაში ჩამოარჩენო. ისე, მონუსხულივით გიყურებდა, ამ სასხლავით ყური რომ მომეჭრა, ვერ გაიგებდაო.

ცაცას ამბავი ყველამ იცოდა და აბა, ჩვენ, ბავშვებს, რა გამოგვეპარებოდა. საღამოობით შევიკრიბებოდით ჩვენი სამეზობლოს ლირფი ბიჭები. ვენახბოლოდან შევიპარებოდით ბაგრატია დაბეხილის ეზოში, ჩავძვრებოდით მითაჟამისდროინდელ, ცხრა ადგილას გამოჭმულ საწნახელში და იობის მოთმინებით ვუთვალთვალებდით ცაცას ფანჯრებს. მკითხველს რაღა დავუმალო; ისიც ვიცოდით, რა ხდებოდა იმ ფანჯრებს მიღმა. გუმანით ვიცოდით, თორემ დანახვით მარტო იმას ვხედავდით, რომ მოვიდოდა დარბაისელი მოქალაქე (ზოგს ვიცნობდით სახეზე, ზოგს – არა), ჯერ ცაცას ფანჯარას შეავლებდა თვალს, მერე ჭიშკარს შეაღებდა და მზრუნველი კაცივით შიგნიდან ჩაკეტავდა. სამსაფეხურიან კიბეს რომ აივლიდა და განზე გადაქანჯული, რიკულებიანი პატარა ოდის კარს შეაღებდა, ჩვენ თვლას ვიწყებდით. ასე ასათიდან-ასოცამდე დათვლაში ჩაქრებოდა სინათლე. კარგა ხნის მერე, სინათლე რომ კვლავ გაავსებდა ცაცას იდუმალ ფანჯრებს, ოცდახუთ დათვლაში გამოდიოდა სტუმარი. ჭიშკარს გარედან გულდაგულ დაკეტავდა და გზას ყოველთვის ბაზრის მხარეს, აღმა გაუყვებოდა. ვინ არ გვინახავს ცაცას სახლიდან გამოსული, მაგრამ აქეთ, ჩვენკენ, ბაგრატიას სახლისკენ არავინ წამოსულა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ცაცას სტუმრები ყველანი ქალაქიდან, ცენტრიდან მოდიოდნენ და ბაკისუმელი კაცი ბრმა ქალს არასოდეს აწუხებდა.

სამმა წელმა ისე გაირბინა, რომ დღე არ ყოფილა, ცაცაზე და მის ფანჯრებზე არ მეფიქრა. მეგონა, დრო მხოლოდ იმიტომ გადიოდა და ფეხსაცმელებიც იმიტომ მიმოკლდებოდა ასე ჩქარ-ჩქარა, ერთ მშვენიერ დღეს ცაცას ოდის კიბე ამევლო, კართან კაცურად ჩამეხველებინა და გაოცებული მასპინძლისთვის მეხარებინა – „მე ვარ!“

ეს დღეც დადგა. მერვე კლასს ვამთავრებდი, ტყემლობის დრო იყო. საკონსერვოს კინოში მივდივარ-მეთქი, დედაჩემს დავუბარე, მარდალეიშვილის ქუჩას შემოვურბინე, ბაგრატიას საწნახელს გვერდი ავუარე და ცაცას ჭიშკარს მივაწექი. ახალშებინდებული იყო, მაგრამ ბრმა ქალი ჩვენს ქუჩაზე ყველაზე ადრე ანთებდა შუქს. ჭიშკარს მავთულის რგოლი თავზე დავახურე და ისე ერთგულად ჩავკეტე შიგნიდან, კაცს ეგონებოდა, გარეთ გამოსვლას აღარ აპირებსო. ოცნებით რამდენჯერ მოვსულვარ აქ, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგა, სანამ კიბეს ავივლიდი და კარზე დავაკაკუნებდი, ჩემი დამემართა. ვაითუ წამიბილიკოს ერთი თავში და გამომაგდოს-მეთქი.

ბოლოს თავი იმით ვინუგეშე, რომ არავინ მხედავდა. ყოველ შემთხვევაში, ბაგრატიას საწნახელში წეღან არავინ იჯდა.

მეორეჯერ უფრო გაბედულად და უფრო ჯიუტად დავაკაკუნე.

– რომელი ხარ? – რატომღაც მომეჩვენა, რომ ცაცა პირდაპირ საწოლიდან გამეპასუხა.

– მე ვარ, – რამდენადაც შევძელი დაჯერებულად ვთქვი და, ალბათ, ამიტომ იყო, რომ მასპინძელს ჩემი ვინაობის რკვევა აღარ გაუგრძელებია.

– შემოდი.

კარი შევაღე და ზღურბლზევე შევჩერდი.

წითელფარდაგიან საწოლზე იჯდა. ერთი ფეხი შეეკეცა, ხოლო მეორე ყვითელფოჩებიან ქოშში სანახევროდ წაეყო, ეტყობოდა, წამოდგომას აპირებდა და გადაიფიქრა. შავი, სქელი თმა ყელს, მხრებს, გულმკერდს უფარავდა. ლამაზ ცხენს რომ ფაფარი აყრია, ისე ეყარა თმა. მარცხენა ხელით შიშველ მუხლისთავს იზელდა. შევკრთი. ძალიან დიდი მეჩვენა. კართან ატუზულმა ცხადად ვიგრძენი, რომ, ამხელა ქალთან შედარებით, ძალიან პატარა და უმწეო ვიყავი. ხალიჩაზე დახატული დევის ლამაზ ქალს ჰგავდა ცაცა და უკან გაბრუნებაც კი გავივლე გუნებაში, მაგრამ თავს ძალა დავატანე.

– აღარ იტყვი, რომელი ხარ? – ისე თბილად და ალერსიანად მკითხა ქალმა, თითქოს მისი უახლოესი ადამიანი გახლდით, რომელიც უკნიდან მიეპარა და ხუმრობით ააფარა თვალებზე ხელი, თუმცა ეჭვი არ ეპარება, რომ იცნობენ, რადგანაც მის მეტი ამ ოთახში არავის ელიან.

– გიგლა ვარ, – ვიცრუე.

– სად ცხოვრობ?

– ბალახვანში.

– მერე? ჩემთან რაზე მოხვედი, გიგლა? – ცაცამ თავი ჩემკენ მოაბრუნა.

– ვითომ არ იცი, – ფეხსაცმლის წვერით იატაკს დავუწყე ბურღვა, ყურები გამიწითლდა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე, – რა შეკითხვაა ახლა მაგი.

– რა შეკითხვაა და ნამეტანი ბოვშის ხმა გაქვს, გიგლა. რამდენი წლის ხარ?

– ოცის.

– არ იქნები შენ ოცი წლის. მატყუებ რაცხას.

– დედა მომიკვდეს.

– დედას დოურჩი შენ. კი მარა, ვინ მოგასწავლა, რანაირად, ასე... დაკაკუნება გამიგონია?

– მე... ერთხელ... ნამყოფი ვარ შენთან, – დამარცვლით და ისე ყალბად ვთქვი, მართალიც რომ ყოფილიყო, არავინ დამიჯერებდა.

– გიგლა, ტყვილებს დაანებე თავი, თვარა გავბრაზდები და ხმას აღარ გაგცემ. მე ბრმაი ვარ, სულელი კი არა, შე კაი კაცო. რას ჰქვია ნამყოფი ხარ. ხმაზე, ჩემს სახლში ნამყოფს კი არა, ავტობუსში რომ ვინცხა-ვინცხას დაელაპარაკება, იმას ვცნობ. არ გინდა ჩემთან მაგნაირი ლაპარაკი.

– კაი, ბოდიშს ვიხდი, – ოღონდ ახლა აქედან არ გამაგდოს და ბოდიშს მოვუხდი კი არა, ფეხის თითებზე არ ვაკოცებ?

ცაცამ გაიღიმა, მუშტშეკრული ხელები მხრებთან მიიტანა, გაიზმორა და თეთრი, ფუნჩულა ოთხი თითი პირზე რამდენჯერმე რბილად მიირტყა.

პირველმა ელდამ თითქოს გამიარა, ოთახი უფრო განათდა. ცოტა არ იყოს, გავშინაურდი და კარის გასწვრივ გავიარ-გამოვიარე. ცაცას მხარეს გავლას ჯერ, რასაკვირველია, ვერ ვბედავ. თეთრი მაგიდის შუაგულში ჭილოფის ხახალზე წითელი ვაშლები აწყვია. მაგიდის მარჯვენა კუთხეში, ხვიპია თეფშზე ერთადერთი ლურჯი ხუთმანეთიანი მოჩანს. ფულზე ვიღაცას, სამკაპიკიანი დაუდვია, ალბათ, იმიტომ, რომ არ აფრიალდეს.

– დღეს დილიდან მეძინება, ეს ოხერი. რომელი საათია ახლა?

– წეღან იყვირა. ცხრა იქნება.
– ცხრაზე მეტი არაა? რა ნელა გადის ეს დრო, ეს ოხერი.
– მოიმატა დღემ, – დაბეჯითებით ვთქვი.
– მოიმატა, კი. მამაშენი რა მოხელეა, გიგლა?
– მამა არ მყავს, – კვლავ ვიცრუე.
– ბავშვი ხარ, ბიჭო, ნამეტანი, წადი ახლა სახლში. ჯერ ადრეა შენთვის. ჯერ მეცხრე კლასში არ იქნები. ხომ მართალს ვამბობ, დედას გაფიცებ?
– მეცხრეში გადავდივარ.
– ჰოდა, ადრეა-მეთქი, სწორს გეუბნები.
– არაფერი ადრე არაა.
– ბიჭო, მე რამდენი წლის ვარ, იცი შენ? – მცირე პაუზის შემდეგ მკითხა ცაცამ. იცით როგორ მკითხა? ღიმილით, იქნებ ცოტა ირონიითაც, ოსტატი რომ შეგირდს შეეკითხება.
– მაგას რა მნიშვნელობა აქვს.
– როგორ არა აქვს გიგლა. ოცდათხუთმეტი წლის ქალი ვარ მე და, შენ პირველი წვერი არ გაგიპარსია ჯერ. მოდი ჩემთან ერთ წუთს.
შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ მაინც მივედი. ცაცა არ ამდგარა, მარჯვენა ხელი გამოიწოდა ჩემკენ, პერანგის ღილებს მაღლა აჰყვა და სახეზე მომისვა.
– ხომ გითხარი, ბავშვი ხარ, – კვლავ გაიღიმა, – წადი სახლში.
– არაფერი ბავშვი არა ვარ მე, – ისე მტკიცე გადაწყვეტილებით ვთქვი, რომ ცაცა გაჩუმდა.
იქვე სკამზე ჩამოვჯექი და შევყურებდი. ახლოდან უფრო დიდი მეჩვენა. ჩემს თავს ვტუქსავდი. ვინ დამაძალა აქ მოსვლა, რა ხათაბალა ავუტეხე ჩემს თავს, ქალი, საერთოდ, ამხელა თუ იყო, რატომ არ ვიცოდი-მეთქი.
– გიგლა, – კარგა ხნის შემდეგ მიხმო.
– ბატონო.
– ზიხარ თუ ფეხზე დგახარ, გიგლა?

– აგერ ვზივარ, მაგიდასთან.
– მანდ ვაშლი დევს, ჭამე.
– არ მიყვარს ვაშლი.
– ერთი ცალი შეჭამე, დედას გაფიცებ.
– კაი, შენი ხათრით შევჭამ, – ავიღე და გაუბედავად ჩავკბიჩე.
– ჭამე, გემრიელად, ახრაშუნე, ბიჭო. მიყვარს კაცი რომ ვაშლს ჭამს და ახრაშუნებს. საერთოდ, ვაშლს ხრაშუნი უხდება.
„რა დროის ვაშლია, ხომ არ დამცინის-მეთქი“, – შიშმა გამკრა გულში, მაგრამ ცაცას ანგელოზივით მშვიდ სახეს და დახატულ ცხვირს რომ შევავლე თვალი, მაშინვე ვირწმუნე, რომ ამ შესახედაობის პატრონი საერთოდ არავის გაამასხარავებდა და მით უმეტეს, ჩემისთანა გასაცოდავებულ ყმაწვილს.
– თვალები რა ფერის გაქვს, გიგლა? – ისევ ისე, კედლის გასწვრივ, მაღლა და შორს იმზირება.
– სულ ვერ ხედავ? – კითხვა შევუბრუნე.
– ვერა.
– აბა, რა ჭკუა აქვს, რა ფერის თვალები მექნება, – ცოტა არ იყოს, უხეშად წამომცდა და მაშინვე ვინანე.
– ისე გეკითხები. მე ხომ ფერიც არ ვიცი, რა არის. ცისფერიო, რომ იძახიან, ერთი მარტო ცისფერი დამანახვა-მეთქი, რამდენჯერ მინატრია.
– შენ რომ ფერს ხედავ, ის შავი ფერია. ერთი ფერი ხომ ჯიბეში გაქვს. შავი.
– შავი კი. შავი ფერით ყელამდე ვარ.
ახლა რამე გამამხნევებელი თუ არ ვუთხარი, ნამეტანი წავიფილოსოფოსე, და მასპინძელს გული არ ვატკინო-მეთქი და აი, რა მოვიფიქრე:
– ისე, შენთვის სჯობია, რომ ვერ ხედავ. ნეტავ არც მე ვხედავდე ახლა, ამ წუთს.
– რატომ, გიგლა, ასე უშნო ვარ?

– სწორედ ლამაზი რომ ხარ, იმიტომ... რა ვიცი... რაცხა სინათლე... სინათლემ სირცხვილი იცის... სიბნელეს რა სჯობია, – სიტყვებს თავი ვერ მოვუყარე, რას ვლულლულებ, მე თვითონ არ მესმის.

– ლამაზი ვარ მართლა, გიგლა?

– გადასარევი.

– რა მაქვს ლამაზი. შენ როდის მნახე?

– ყოველდღე არ გხედავ? – თითქოს დიდად საამაყო რამ ვთქვი და ამ ჩემს წამონაროშზე კინაღამ ფეხი წავიტეხე.

– ყოველდღე? როდის, ბიჭო, მე გარეთ რომ იშვიათად გამოვდივარ?

– რა უნდა შენს ნახვას, დილდილობით ჭიჭიას ხომ ელოდები ჭიშკართან, პური და ბაზრიდან რაცხა-რაცხეები რომ უნდა მოგიტანოს.

– უი, ჭიჭიაც იცი? შენ მთლად მეზობელი ხარ, ასე ჩანს. წადი ახლა, გიგლა, თუ გიყვარდე. დედაშენმა რომ გაიგოს შენი აქ ყოფნა, თმით დამითრევს, ცოდვა არა ვარ?

– დედაჩემი რას მოგაგნებს, ბალახვანში ვცხოვრობ-თქვა, ხომ გითხარი.

– აბა, აქეთ რაზე დადიხარ?

– მეთხუთმეტეში ვსწავლობ.

– ბალახვანში სკოლა არაა?

– გეომეტრია გადამეკიდა და აქეთ გადმოვედი.

– აბა, დედა დაიფიცე.

ქამრის ბალთას ხელი დავადე და დედა დავიფიცე. ვიცოდი, თუ რკინას ხელს დაადებდი, ყოველგვარი ფიცი თავის სასწაულებრივ ძალას ჰკარგავდა.

არც მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავით ჩუმად. ბოლოს, ცაცამ, წამოიწია და მეორე, შეკეცილი ფეხიც ძირს ჩამოუშვა. ღაზლის წინდები ეცვა. ცალ ქოშში ტერფი რომ წაჰყო; მეორეს დიდხანს ეძებდა თავის ლამაზი ფეხით. როგორც იქნა, მივხვდი, ქოში მოვუძებნე და ოთხზე დამდგარმა ჩავაცვი. მადლობა გადამიხადა, ყბებზე ორივე ხელი ამომდო და გულზე მიმიკრა. სული კინაღამ შემიგუბდა. „რა მშვენივრად ვიჯექით ცალ-ცალკე, ნეტავ ისე გაგრძელებულიყო-მეთქი“. დაიჯერებთ? გულზე მიმიკრა, მაგრამ ქალი არ მიგრძვნია, ჯიუტად გავიწიე განზე. სიამოვნებით წავიდოდი ახლა შინ და არც არასოდეს მოვიხედავდი ცაცასკენ, მაგრამ რაღაც ძალა მაკავებდა, ინტერესი იმისა, რომ რაღაც სხვა, რაღაც იდუმალი უნდა დაწყებულიყო ჩემს ცხოვრებაში. ან იქნებ სულაც ჩემი თავის გამოცდა მსურდა. ისევ სკამს დავუბრუნდი. ხელის თითები გამიცივდა. გული ბაგაბუგით მიცემდა. ლურსმანივით ჩამერჭო თავში ფიქრი: „როგორც ჩანს, ჯერ პატარა ვარ, შევრცხვები“.

ცაცა საწოლის უკან ჩუქურთმებიანი კარადის თავზე დადგმულ ძველთაძველ რადიომიმღებს მიუახლოვდა. კარგა ხანს ატრიალა, მაგრამ შიქასტის მეტი ვერაფერი დაიჭირა. ტიროდა თუ მღეროდა, ვიღაც მუსულმანური აღმოსავლეთის რომელიღაც ქვეყნიდან, ვერ გაარკვევდი.

– იყოს? – მკითხა მასპინძელმა.

დუმილით რომ ვუპასუხე, ცაცამ რადიო გამორთო და კარგად მოიქცა. სტამბულის რადიოს გრძელი მოთქმა-გალობანი ბავშვობიდანვე ნერვებს მიშლიდა.

...მთვარით სავსე იყო ოთახი, და ყველაფერს მშვენივრად ვხედავდი. კაცმა რომ თქვას, სინათლე არც კი იყო საჭირო, მაგრამ მახსოვდა, რომ ყველანი ასე იქცეოდნენ და მეც ავანთე.

„მე უკვე კაცი ვარ!“ ლამის ვიყვირო.

ჩაცმული კიდევ ერთხელ მივუბრუნდი ცაცას. საწოლზე ჩამოვუჯექი და გულში ჩავიხუტე.

– კაი, ნუ დამახრჩვე, შე გადარეულო. დამისივდება ტუჩები, კბილებით კოცნა გამიგონია?

ხბოს რომ ძალათი მოწყვეტენ ძუძუს, ისე მომიშორა, როგორც იქნა, ცაცამ.

– წადი ახლა, გეყოფა, ვინმემ არ მოგისწროს.

თითქოს ზარს შემოჰკრესო. გამოვფხიზლდი. ხელი გავუშვი

და წამოვდექი. ელდამ თავიდან-ფეხებამდე გამიარა.

„სხვამ არ მოგისწროს!“

ფულის ტკაცუნზე ცაცა საწოლზე წამოჯდა.

– ფული არ დატოვო, დედას გაფიცებ. გიგლა, თუ ჩემი ხათრი გაქვს. არ დატოვო, თორემ მეორეჯერ არ გაგიღებ, იცოდე, კარს.

ხუთმანეთიანი დავდევი თეფშზე და გამოვედი.

მოვრბოდი ქუჩაზე და ყურებში მიწიოდა: „წადი ახლა, ვინმემ არ მოგისწროს!“

მეჩვენებოდა, რომ მთელ ქვეყანას მერჩივნა ცაცა და რანაირად შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ერთი საათის შემდეგ ზუსტად ჩემსავით შეეღო ვიღაცას კარი და ჩემნაირად მოფერებოდა.

ღობეს გადავახტი, ეზო ოთხი ნახტომით გავირბინე, ჩვენი პოინტერი ბროლია გულში ჩავიხუტე და ლაშები დავუკოცნე. სახლში არ შევსულვარ. გამოვბრუნდი და ბაგრატიას ქვევრში ჩავჯექი.

„ნეტავ დღეს მაინც აღარ მოვიდოდეს ვინმე“.

მაინც მოვიდა. გრძელკეპიანმა კაცმა ჭიშკარი ფრთხილად გააღო. შიგნიდან ჩაკეტა და კიბეზე აალაჯა.

სინათლის ჩაქრობისთვის აღარ დამიცდია.

ის დღე და ის დღე, ცაცასთან აღარ მივსულვარ.

გულისთქმა

ნიკუშას დამყოლი ხასიათი ჰქონდა. დამყოლი და რბილი ხასიათისა რომ არ ყოფილიყო, რა უნდოდა ორმოცი წლის კაცს ამ გადარეულების გვერდით სამი ათას ოთხასი მეტრის სიმაღლეზე, თოვლისა და ყინულის საბრძანებელში. მთელს საპროექტო ინსტიტუტში სამი ადამიანი იყო სათხილამურო სპორტით დაავადებული და იღბლად სამივე ნიკუშას შეახვედრა გამჩენმა. ერთ ოთახში ისხდნენ: ქალიშვილობაგახანგრძლივებული, ცხვირპაჭუა და იისფერთმიანი, ასაკთან შედარებით საეჭვოდ გამხდარი ზემფირა, სამცოლშვილოსანი, სპორტის ოთხ სახეობაში ყოფილი სპორტის ოსტატი, მაღალი და კაფანდარა, ზანგისთმება და გოჭისთვალება მათე, ენციკლოპედიურად განათლებული, სულ მომღიმარი და განზე გამყურე, ქილიკოსი და მოქარაგამე, ყოფილი კოჭლი – იურა და თვითონ ნიკუშა. თუ რამ სიტყვები ისმოდა ამ ოთახში ყველაზე უფრო ხშირად, ეს გახლდათ „ფიშერი“ და „როსიგნოლი“, „ელანი“ და „კნეისლი“, „მარკერი“ და „სალომინი“, „უვექსი“ და „კოლტი“. რაზეც უნდა დაეწყო სამაიას საუბარი, ბოლოს მაინც თხილამურებით ამთავრებდნენ. ნიკუშა მდუმარედ და მოწყენილად ისმენდა ამ საუბრებს, რადგანაც წელიწადის დროებიდან ყველაზე ნაკლებად ზამთარი უყვარდა, სწორედ თოვლისა და სიცივის გამო.

– ვთქვათ, ჩამოსრიალდით, მერე? – ნერვებმა უმტყუნეს ერთხელ ნიკუშას და კამათში ჩაება.

– რა მერე? ახვალ და ხელმეორედ ჩამოსრიალდები, – განუმარტა იურამ.

– რა არის მერე, ესაა სულ? ამაზე ეფეთებით ბავშვებივით? ბავშვს რომ ჩამოსრიალება უხაროდეს, მესმის, გასაგებია. თქვენ? სერიოზულ ხალხს? ვთქვათ, ერთხელ ჩამოსრიალდი, შარშან, შარშანწინ, წელს, გაისად? რა სიამოვნებაა ერთი და იგივე გზაზე სრიალი, არ მოგწყინდათ?

– შენ არ იცი ეს რა გრძნობაა! – თითები თითებში გაუყარა და კულტსახლის მსახიობის რომანტიულობით ჭერს ახედა ზემფირამ.

რა იცოდა ნიკუშამ, რომ იმ დღეს სამი მეგობრის საუბარში ჩარევით საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მომდევნო კვირეებმა სათხილამურო სპორტის მომხიბვლელობასა და სარგებლიანობაზე დეკლარაციულ ღაღადისში ჩაიარა, ბოლოს ნიკუშას ცოლსათხოვი დანაზოგის ყულაბას თავი უწყეს და ერთმანეთის მიყოლებით შეაძენინეს ცხრანახევარი ზომის „ალპინები“ და პოლსპორტის თხილამურები, ინდური პატენტის „მარკერებითურთ“. გუშინწინ, ბორჯომის მატარებელში რომ სხდებოდნენ, ნიკუშამ ნაღვლიანად მიმოიხედა და ამ კვირაში ოცდამეჩვიდმეტეჯერ განაცხადა: „იცოდეთ, ფეხს მოვიტეხავ“. სამეულმა გადაიხარხარა იმგვერი ხარხარით, წარმოუდგენელ და დაუჯერებელ ნათქვამზე რომ იცინიან ნახევრადდარბაისელი ადამიანები.

თხილამურებზე პირველად რომ შედგა და ოდნავ დაქანებულზე დაეშვა, შიშისაგან ყვირილი მორთო. ეგონა, თოვლიანმიწიანად მოწყდა ქვეყანას და ეს თეთრი მეწყერი სადღაც უფსკრულში მიაქანებდა.

რა უბრალოდ და ლამაზად სრიალებდნენ ეკრანზე და სინამდვილეში, რა ჯოჯოხეთი ყოფილა თხილამურებით სრიალი.

გუშინ მთელი დღე „პლუგში“ ავარჯიშებდნენ. სამივენი აღტყინებულნი და აცეტებულნი ჩანდნენ, ერთმანეთს არ აცდიდნენ, ტყვიმფრქვევივით აყრიდნენ ჯოხებს საეჭვოდ დაყრდნობილ, დამწყებ მოთხილამურეს.

– „პლუგი“ ფრანგების მოგონილია, ყველაზე საიმედო სრიალია! – გაჰყვიროდა იურა.

– თხილამურები სამკუთხედისებურად გაშალე და კანტებზე დადექი! – ბუხუნებდა მათე.

– მუხლები ახლოს, ჯოხები მკერდთან გეჭიროს! – კაკანებდა ზემფირა.

–„პლუგით“ ერთ დროს ტონი ზაილერიც დადიოდა, – იგონებდა იურა.

– როცა მარჯვნივ უხვევ, სიმძიმე მარცხენა ფეხზე გადაიტანე და მარჯვენა ფეხი გამოინთავისუფლე! – კატეგორიულად ურჩევდა მათე.

– წინ გადაიხარე, სამკუთხედი არ დაკარგო. ხელები უკან ნუ გრჩება! – იჭაჭებოდა ზემფირა.

სხვა რა გზა ჰქონდა; ნიკუშა მორჩილად, მაგრამ მოუხეშავად და ზოგჯერ სასაცილოდაც ასრულებდა მწვრთნელთა მითითებებს. დროდადრო შეჩერდებოდა, ლურჯი ციდან დაშვებულ ქათქათა კოხტაგორას გახედავდა, ამოიოხრებდა და სრულიად დაჯერებით იტყოდა:

– იცოდეთ, ფეხს მოვიტეხავ.

მწვრთნელები გულიანად იცინოდნენ.

ამ დილით ნიკუშა სპორტდარბაზის უკან, საბაგიროზე დასვეს და მთაზე აიყვანეს. სკამიდან რომ ჩამოხტა, ჩვენი გმირი უკან გასრიალდა, განზე გადაიქანჯა და ჩაიკეცა. მხრებში შეუდგნენ, წამოაყენეს და ე. წ. სასტარტო ადგილამდე მიაჩოჩეს. იქ ნიკუშამ ღონივრად გაფარჩხა ფეხები, ჯოხები ორივე მხარეს შეიბიჯგა და დადგა.

რანაირად არ სთხოვეს, რა სიტყვები არ აკადრეს, რა მეთოდებით არ დაანამუსეს, ბოლოს მუქარაზეც გადავიდნენ, მაგრამ ნიკუშამ ფეხი არ მოიცვალა. თითქოს შუბლის ძარღვი გაიწყვიტა, დამამცირებელ ხუმრობებსაც არად დაგიდევდათ. ეშინოდა, მორჩა და გათავდა. მწვრთნელთა ქაქანი ფუტკრის ბზუილად ჩაესმოდა, ბოლოს სიტყვებსაც ვეღარ არჩევდა, ფრაზათა კორიანტელში თუ მცირე დერეფანს მოიხელთებდა, მაშინვე ჩაურთავდა:

– იცოდეთ, ფეხს მოვიტეხავ.

ნაძვთა თეთრ კენწეროებს სიო არხევდა, ნერვებისმომშლელად მშვიდსახეებიანი, პეპელასფრად გამოწყობილი მოთხილამურენი, თითქოს თეთრი წყვდიადიდან გამოიჩეკნენო, სკამიდან ჩამოხტებოდნენ, თხილამურს ყინულს გაუტყაპუნებდნენ, ხელთათმანებს გაისწორებდნენ, ჩაიხრებოდნენ და ფეხთა

მიმოსროლით თვალისდახამხამებაში უჩინარდებოდნენ, ოთხმოცდაათიანი ტრამპლინიდან დაშვებულ მფრინავთა გიგანტური თხილამურების წუილ-ქშუილი აქამდე აღწევდა.

– არ გამოვა ჩემგან კამიკაძე, მეშინია, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ფეხს მოვიტეხავ! – თვალებში აციმციმებული ცრემლით, ყელგამშრალი ეუბნებოდა ნიკუშა მის წინ ავად მოხტუნავე მეგობრებს,

მწვრთნელებს გაგონებაც კი არ სურდათ.

– ცნობილი შემთხვევაა. ფსიქოლოგიური შოკის მდგომარეობა, მოჩვენებითი კატასტროფა, სწორედ ეგ შიში უნდა დაძლიო და ყველაფერი კარგად იქნება, – ფილოსოფოსობდა იურა.

– რატომ არ გჯერა ჩვენი, ბოლოს და ბოლოს, მშვენივრად იცი, რომ შენი მტრები არა ვართ და ამ სპორტში საკმაო ავტორიტეტებსაც წარმოვადგენთ. შენ „პლუგს“ უკვე დაუფლებული ხარ, თავისუფლად შეგიძლია დაეშვა! – გაფუჭებული მაგნიტოფონივით იმეორებდა მათე.

– რა შეგვიკალი, შე კაცო, ხელში, გაბედე, ვაჟკაცი არა ხარ? – წყრებოდა ზემფირა.

ნიკუშამ ჯოხს იღლია დააყრდნო და ქალიშვილს შეხედა.

– როდის ვთქვი მე, ზემფირა, ვაჟკაცი ვარ-მეთქი, არ ვარ მე ვაჟკაცი, ბატონო, და ძალაა?

განა თვითონ არ გრძნობდა ნიკუშა, რომ მისი სამომავლო ავტორიტეტი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ რა ექნა, სხვანაირად არ შეეძლო. ყინულის უფსკრულს გულისფანცქალით ჩასცქეროდა და იმ წუთში მარტო აქ ამოსვლას კი არ ნანობდა, საერთოდ თავის გაჩენას ამ ქვეყანაზე.

– რაც დრო გადის, უფრო და უფრო შეგეშინდება. თავს უნდა მოერიო, შიში ბუნებრივი მოვლენაა. ესკიმოსებსაც კი ეშინიათ, – არ იშლიდა დამოძღვრას იურა.

– სამივენი აქა ვართ, შენს გვერდით, ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობის ამბავია, ხომ ხედავ, თითის სიგრძე ბავშვები სრიალებენ, – მაგალითის ძალას იშველიებდა მათე.

– რატომ გვჭრი თავს, ქვეყანა ჩვენ შემოგვცქერის, ნამეტანს ნუ იზამ, მართლა და მართლა, – ქაქანებდა ზემფირა.

საქვეყნოდ შერცხვენას ნიკუშამ რისკი არჩია.

თუმცა გული ამხედრებით ეურჩებოდა, მაინც დააწვა ჯოხებს და სანამ გასრიალდებოდა, მოასწრო ერთხელ კიდევ ზიზღნარევი სიჯიუტით ეთქვა სამეულისთვის:

– იცოდეთ, ფეხს მოვიტეხავ.

წამიც არ იყო გასული, იგრძნო, როგორ აყირავდა თეთრი უფსკრული, ღონივრად აისხლიტა თხილამურები საგულდაგულოდ დაუთავებულმა თოვლმა, ყურში ღრჭიალი ჩაესმა და სადღაც, წვივის ქვემოთ, საშინელი ტკივილი იგრძნო.

ასე რომ, შორს ჩასრიალება არც კი დასჭირვებია, იქვე სამიოდე მეტროში მოიტეხა ფეხი ნიკუშამ.

...მშველელნი დროზე მოვიდნენ. გადმობრუნებული კუ რომ თავის ბაკანზე წევს და ფეხებს ასავსავებს, ისე იწვა საკაცეზე ნიკუშა, მაგრამ ხელ-ფეხს არ ამოძრავებდა, ხმასაც არ იღებდა. მრისხანებით აღსავსე თვალებით ათვალიერებდა შესხვაფერებულ გარემოს და მშველელთა გვერდით თავდახრით მომავალ მეგობრებს.

მათეს, იურას და ზემფირას სიკეთის მეტი რა სურდათ ნიკუშასთვის, მაგრამ, როცა გული უგრძნობს კაცს, ნუ აუხირდებით, თქვე კაი ხალხო, ზოგი რამ გულისთქმასაც დაეჯერება.

ელდა

გლახა წელი დადგა, ნამეტანი გლახა წელი. ხანძრები და აფეთქებები გახშირდა ჩვენს ქალაქში. სხვაგანაც იყო, მაგრამ ასე ხშირად არა. ხალხიც დამფრთხალი და მოწყენილი დააბიჯებდა, შიშის მიზეზი მეტი რა გინდა; დადიოდა ქალაქში ვიღაცა ღვთისპირიდან გადავარდნილი. რა უნდოდა, ვისი ინტერესი ჰქონდა, ვერ მიხვდებოდი. ხან გაზეთის კიოსკს შეჩურთავდა ამონალს, ხან პარკში რომელიმე სტენდს ააფეთქებდა, ერთხელ ავტობუსის გაჩერების თავშესაფარი წნური ავარდა ჰაერში. ხალხს მაინცდამაინც არ ერჩოდა. იმ დროს ფეთქდებოდა, ბიბლიოთეკა იყო თუ მჟავე წყლის ჯიხური, როცა ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა. აფეთქებები რომ მოწყინდებოდა, ხანძრების სერიას იწყებდა. სამ თვეში, მარტ-აპრილ-მაისში უპა-უპაში რვაჯერ გაჩნდა ხანძარი. ვერავითარ აზრს და ლოგიკას ამ ხანძრებიდან ვერ გამოიტანდი. ხან ნოტარიუსის კანტორა იწვოდა და ხან საჭადრაკო კლუბი. აშკარა იყო, დამნაშავეთა ბანდას იმდენად ქალაქისათვის მატერიალური ზარალის მიყენება არ სურდა, რამდენადაც ვიღაცის სიძულვილით, თუ დაშინების სურვილით ხდებოდა ყოველივე. კაცმა არ იცის, აშინებდნენ თუ არა იმ ვიღაცას, მაგრამ ეს ფაქტია, რომ ჩვენ, უბრალო მოქალაქეები ძალიან შევჩქვიფდ-შევფიქრიანდით. ომის დროს არ ვყოფილვართ ამნაირ ფსიქოზში. როგორი საქმეა, ყოველ ღამე ხანძრის მოლოდინში ხარ. სახანძროს ზარების რეკვა და მილიციის მანქანის სირენის კივილი არ გაძინებს ისედაც ძილგამტყდარს. უმწეო ხარ. შენ შეუიარაღებელი და უდანაშაულო, ელოდები, როდის აგიფეთქებენ ცხვირწინ თვითნაკეთ ბომბს, ან გამოგწვავენ ბეღელში თაგვივით. ბოლოს, ის იყო, კულტურის სასახლე

დაიწვა და ამით დამთავრდა ჩემთვის ის უბედური წელი. გამთენიისას რომ დამირეკეს, კულტურის სასახლე იწვისო, ჯერ გული შემეკუმშა და სული ვეღარ მოვითქვი, მერე ერთბაშად მომეშვა, პლაშში ხელგაყრით გავრბოდი ხანძრისკენ და იცი რაზე ვფიქრობდი? აღსრულდა, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, აწი ბომბის და ხანძრის გაგონება წარბსაც ვერ შემიხრის-მეთქი. რას ერჩოდა კულტურის სასახლეს, ჩვენი ქალაქის სიამაყის ახალთახალ, ულამაზეს შენობას, ან ჩვენ რას გვემართლებოდა ის ოჯახამოსაწყვეტი, აგერ, ა, ოცდაცხრა წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ და დღემდე ვერ გამირკვევია.

თერთმეტ ივნისს დაიწვა კულტურის სასახლე და თექვსმეტ ივნისს დაგვიჭირეს ჩვენ, მე – დირექტორი პაპუნა კიპაროიძე, ღამის დარაჯი ბაგრატ კუკულავა და მნე – დურმიშხან ყიფიანი. მე გამთენიისას წამიყვანეს, იმათი დაჭერის ამბავი მესამე დღეს გავიგე.

ხუთ-ხუთი წელი მოვათიეთ ციხეში და კაი ხანია სამივე გარეთ ვართ. ღვთის წყალობით ასაკის შესაფერისად ჯანი გვივარგა და ვმუშაობთ სხვადასხვა ადგილზე. მე დრამწრეებს ვხელმძღვანელობ სკოლებში და გამაქვს თავი რავარცხაა. ბედს არ ვემდური. მაშინაც მთელმა ქალაქმა იცოდა, კულტურის სასახლე ჩვენ რომ არ დაგვიწვავს და ახლა ხომ იცის და იცის. ვხვდებით ხანდახან ერთმანეთს და სიცილით ვიგუდებით. ახლა, აქედან მართლა სასაცილო ჩანს ეს ყველაფერი. მეტი სასაცილო რა გინდა, ვიდექით ეს სამი სერიოზული, ცოლშვილიანი კაცი სასამართლოზე და ვყვებოდით, როგორ დავწვით კულტურის სასახლე. როგორ გადავწყვიტეთ სამივემ ეს საქმე, როგორ ვატარებდით საიდუმლო თათბირებს, როგორ დავთქვით დაწვის დღედ თერთმეტი ივნისი, როგორ შემოვაპარეთ ბიდონებით კულტურის სასახლის სახანძრო კარიდან ნავთი და შუაღამეგადასულზე, როცა სასახლეში წრეობრივი მუშაობა და

რეპეტიციები დამთავრებული იყო, როგორ „აღვასრულეთ“ ჩვენი ბნელი საქმე. მახსოვს ჩემს ადვოკატს, რომელმაც აშკარად დაამტკიცა; ამათ, ამ საწყლებს, არავითარი კავშირი არა აქვთ სასახლის დაწვასთანო, რა რისხვით შევუტიეთ სამივემ. სულ პრავაკატორი და უნიჭო ვუძახეთ.

როგორ დაგვიყოლია გამომძიებელმა გიგი მარშანიამ, ჩვენს თავზე აგვეღო დანაშაული. მახსოვს და წვრილად გიამბობთ, ჩვენს ამბავში მე რა მაინტერესებს, იცი? ადამიანი თურმე სრულყოფილი არსება ჯერ კიდევ არ არის. სხვა სისუსტეებს შორის ერთი სისუსტეც აქვს თავში და იმ სისუსტეს ნებისყოფის სისუსტე ჰქვია. ახლა ხომ ამ ხნის კაცი ვარ და ამდენი მაჯანჯღარა ცხოვრებამ. ამ გამოცდილების დროსაც ვერ დავდებ თავს, რომ ამა და ამ სიტუაციაში მაინცდამაინც ასე და ასე მოვიქცევი-მეთქი. ალბათ, ათასში ერთ კაცს შეუძლია დაჩემებული ბოლომდე გაიტანოს. ჩვენ ძმაო, უბრალო ხალხს, ამდენი ძალა არ გაგვაჩნია. ადრე რომ მეტყოდნენ, ამა და ამ კაცმა ესა და ეს დაიბრალაო, ვერ გაუძლო დაწოლას და თავისი ხელით დაწერა, თითქოს საიდუმლო ბანდის წევრი იყო და ციდან მზის ჩამოგდებას აპირებდაო, აღვშფოთდებოდი ხოლმე. როგორ, ცოცხალმა კაცმა ასეთ სულელურ „აღიარებაზე“ ხელმოწერა როგორ დაუტოვა შთამომავლობას-მეთქი. ახლა სხვაგვარად ვუცქერი ამ ამბავს. სანამ არ გადახტება, „ჰოპს“ ნურავინ დაიძახებს.

პირველ სამ დღეს, რასაკვირველია, ჩემს სიმართლეზე ვიდექი, სასაცილოდ არ მყოფნიდა გიგი მარშანიას დაჟინება და გამოტეხვის მისეული მეთოდები. რა არ მკითხა, საიდან არ მომიარა, მაგრამ რაც ფიქრადაც არ მომსვლია, როგორ უნდა „მეღიარებინა“. სამი დღის მერე სხვანაირად დაგვიწყო ჭიკჭიკი. შუაღამისას ამიყვანეს ზევით. მაგიდას გამომძიებელთან ერთად ბაგრატ კუკულავა და დურმიშხან ყიფიანი უსხდნენ.

გივი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და მოგვიბრუნდა.

– გულახდილად გითხრათ ყველაფერი? არც ისე უბრალოდაა საქმე, თქვენ რომ გგონიათ. მე მშვენივრად ვიცი, რომ კულტურის სასახლე თქვენ არ დაგიწვავთ, თქვენ გგონიათ, არ ვიცი? მაშინაც ვიცოდი, თქვენი დაპატიმრების ორდერი რომ მომიტანეს.

– თუ ასეა, რატომ ვართ ჩვენ აქ?! – თავი ვერ შევიკავე, ცოტა არ იყოს, ხმამაღლა წამომცდა.

– თუ მომისმენთ, გეტყვით ყველაფერს. თუ გამგები ხალხი ხართ, უნდა გაიგოთ. ჩვენ ახლა ორივე მხარეს ერთმანეთის დახმარება გვჭირდება, ჩვენ – თქვენი და თქვენ – ჩვენი. უნდა მოვილაპარაკოთ. მეტი გზა არ არის. აგერ ვართ ოთხივე. ეს საუბარი ჩვენ შორის უნდა მოკვდეს.

– ბატონი ბრძანდები, – ყურს ხელი მიახმარა კუკულავამ. ბაგრატს ყურს მაშინაც აკლდა.

– ჯერ ჩვენს გასაჭირს გეტყვით. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა. ქალაქში რა ამბებიც ხდება, მოგეხსენებათ. აფეთქებებზე და ხანძრებზე ვამბობ.

– მერე ჩვენ რა შუაში ვართ? – აღშფოთდა ყიფიანი.

– თქვენ კი არ ხართ, ჩვენ ვართ შუაში. ისე ვართ შუაში მომწყვდეული, როგორც ღობეში გაჩხერილი გოჭი. ვერც იქით მივდივართ, ვერც აქით. დაიბარა ინასარიძემ ჩვენი უფროსი კულტურის სასახლის დაწვის დღეს და უთხრა: – თუ ერთ კვირაში არ აღმოგიჩენიათ ბანდა, ყველას გაგყრით სამსახურიდანო. რა ვქნათ, მითხარით, ხალხი არა ხართ?

– მოძებნეთ, რა ქნათ და, – ურჩია კუკულავამ.

– შენ გგონია, არ ვეძებთ? ტყლიპი ჩაგვექცა მუცელში. სიქა გაძვრათ ბიჭებს, რომ შეხედო, ადამიანს აღარ ჰგავს არც ერთი. ამნაირი არაფერი გვინახავს. ვინაა, რა ხალხია, მკითხავთან ხომ არ გავიქცევით? ქურდებთან საქმე არა

აქვთ. რამდენიმე კაცი რომ მოქმედებს, აშკარაა. ერთი ვერ შეძლებდა. ყველას შიშის ზაფრა გვკლავს. მე შენ გეტყვი, დაიქადნებს და არ შეასრულებს ინასარიძე. ისედაც ალმაცერად გვიყურებდა. ჩვენი თავი ჯანდაბას; ბავშვები დაგვეხოცება შიმშილით. ჩვენზე უფრო საცოდავი ახლა კაცი არაა მთელ დუნიაზე. ეს ფორმა რომ გვაცვია და რევოლვერი გვკიდია, ამაზე ხვარაა საქმე.

ვეცადე, წარმომედგინა ურევოლვერო და უფორმო მარშანია. მართალია, გამიჭირდა, მაგრამ მაინც წარმოვიდგინე. მერე ვეცადე, შემცოდებოდა უსამსახუროდ და უსახსროდ დარჩენილი, მაგრამ მომკალით და ვერ შევიცოდე.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ რაში დაგეხმაროთ, – რაც შემეძლო, მშვიდად ვკითხე.

– თუ მაცლით, აგიხსნით ბოლომდე ყველაფერს, თუ არა და ვიქნები ჩემთვის, – თავი შეგვაცოდა უფროსმა გამომძიებელმა, – ავდექით და, როგორც ხედავთ, აგიყვანეთ სამივე პატიმრობაში.

– რა უფლების ძალით აგვიყვანეთ? – კუკულავა „უფლებას“ ხშირად ახსენებდა. ახლაც მაღიზიანებს ხოლმე „უფლებას“ რომ იტყვის და „ლ“-ს რბილად წარმოთქვამს. ხუთ სიტყვას არ მიაყოლებს ერთმანეთს, „უფლება“ რომ არ ჩაურთოს.

– ახლა, ჩვენ შორის დარჩეს და, მთლად ტყუილად არც თქვენ ხართ დაჭერილი. მართალია, სასახლე თქვენ არ დაგიწვავთ, მაგრამ ბავშვები არ ხართ არც ერთი და მშვენივრად იცით, რომ მატერიალური პასუხისმგებლობა შენობაზე დირექტორს, მნეს და ღამის დარაჯს ეკისრება. პასუხისგებაში თქვენი მიცემის გამართლება ყოველთვის შეიძლება. დაუსჯელად ვინ დაგტოვებდათ. ჩასაფრებული გამომძიებელი თითოს სამ-სამ მუხლს აგკიდებდათ. პატარა ჯიხური კი არ დამწვარა. ამხელა სასახლე დაიწვა.

– მერე ჩვენ დავწვით?! – ტირილი გაერია ხმაში ყიფიანს.

– თქვენ არ დაგიწვავთ, ქრისტიანულად გეუბნებით და მეტი რა გითხრათ, მაგრამ დამნაშავეები თქვენცა ხართ, სამივე. სამ წელიწადს მოგცემენ თუ ხუთს, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთან უნდა იყოთ კარგად და ხომ იცით, ორგანოს თანამშრომლები სიტყვის ხალხი ვართ და პატივისცემას არ ვივიწყებთ. მერეც ჩვენს ხელში უნდა იყოთ თქვენც და ყველა, საერთოდ. ახლა გლახა დღე გვადგას, თორემ ხვეწნა და მუდარა არ ვიცით ჩვენ, მოგეხსენებათ.

– რა პატივი გცეთ, მაგალითად? – სულმა წასძლია კუკულავას. თორემ სამივენი მშვენივრად ვხვდებოდით, საითაც გვიკაკუნებდა მარშანია.

– უნდა იდოთ თავზე ხანძარი.

– რას ჰქვია ვიდოთ? – ყიფიანი სკამზე შემოტრიალდა.

– უნდა დაიბრალოთ. სხვა გამოსავალი არც თქვენ გაქვთ და არც ჩვენ, გპირდებით, მოსამართლესთან ჩვენი უფროსი მოილაპარაკებს და კაცურ სიტყვას გაძლევთ, იმაზე მეტად არ დაგსჯიან, რაც ისედაც გეკუთვნოდათ, როგორც სასახლის ოფიციალურ, ადმინისტრაციულ პირებს. შეგნებული ხალხი ხართ და მიხვდებით, მგონია, რამდენ კარგ საქმეს გააკეთებთ. თუ ჩემს თხოვნაზე დათანხმდებით. ჯერ ერთი, ჩვენ გადაგვარჩენთ ინასარიძის რისხვისაგან, მეორეც, მილიციის პრესტიჟს მაღლა ასწევთ. არ ვართ ჩვენ გლახა ხალხი, დამიჯერეთ, და საჭიროც ძალიან ვართ საზოგადოებისთვის. ის კუსტარამფეთქებლები რატომ პარპაშობენ, იცით? არ ეშინიათ. აბა, ერთი დარწმუნებული იყვნენ, რომ მილიციას არაფერი გამოეპარება. თქვენი საქმის გახსნით ჩვენი ავტორიტეტი აიწევა.

– თქვენი ავტორიტეტის აწევისთვის ციხეში ვიჯდეთ, ჩვენ, უდანაშაულო ადამიანები? – ყიფიანმა გამშრალი ყელიდან ძლივს ამოღერღა.

– მარტო ჩვენთვის კი არა, ქალაქისთვის, თქვენი მომავლისთვის უნდა ჩაჯდეთ. ჯერ ერთი, გითხარით მისი არ იყოს, თქვენ უკვე ჩამჯდარი ხართ, – მარშანიამ მაგიდაზე

თითები აათამაშა, – ამ ჩემი ულტიმატუმის გარეშეც პასუხს აგებდით. თქვენ რომ ახლა სასახლის დაწვას დაიბრალებთ, ამას რა მოყვება იცი? აფეთქებები და ხანძრები შეწყდება, არ გინდათ, თქვე კაი ხალხო, თქვენმა ცოლ-შვილმა მშვიდად დაიძინოს?

– რა გარანტია გაქვთ, რომ შეწყდება? – ვკითხე.

– ვიცი მე დამნაშავეების ფსიქოლოგია. ჯერ ერთი, ხალხი ირწმუნებს, რომ მილიცია ფხიზლადაა და დამნაშავეს სამაგიერო მიეზღვება. ცოტათი მაინც დაუწყნარდება ნერვები ქალაქს. რაც შეეხება უშუალო დამნაშავეებს, იფიქრებენ, ჩვენი გულისთვის უდანაშაულო ხალხი დაისაჯაო და გაეცლებიან ამ ადგილს. თქვენი ჯინი არავის სჭირდა, ხომ მართალია. ჩვენ ვიცით, ვისი და რის წინააღმდეგაა მიმართული ეს ხანძრები და აფეთქებები. ხომ გამიგეთ?

– ვერა, – თქვა კუკულავამ.

– კი, გამიგეთ, მაგრამ არ მენდობით. არ გჯერათ ჩემი. წინასწარი პატიმრობის სამი დღე გათავდა, ხომ ხედავთ. თქვენი გაშვება რომ შეიძლებოდეს, ამ დილით გაგიშვებდით, არა გვაქვს სხვა გზა, გაგვიგეთ ადამიანურად და დაგვეხმარეთ.

– კი, მაგრამ რაღა ჩვენ დაგეხმაროთ, სხვა დაიხმარიეთ. ათასი ოხერი დადის ქუჩაში, დაიჭირეთ და დააბრალეთ, – გამოსავალი იპოვა ყიფიანმა.

– რამდენჯერ გითხრათ, თქვენ ისედაც დაგიჭერდით. თქვენ აგებთ პასუხს შენობაზე. ახლა, სამი დღე რო გავიდა, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ჩვენ იძულებული ვართ, გავამართლოთ თქვენი დაჭერა. არ გვინდა თქვენთვის ცუდი, თორემ არც ერთი არ ხართ აქ მამა აბრამის ბატკანი, თუ ამოვწიეთ თქვენი საქმეები, ხომ იცით, სახვეწარი აქეთ გექნებათ, მაგრამ ჩვენ არ გვინდა შორს წავიდეთ.

– რა საქმეები, მაგალითად? – გულუბრყვილოდ იკითხა კუკულავამ.

– ჩემზე უკეთესად იცით, რა საქმეებზეცაა ლაპარაკი, ბაგრატ ბატონო. ნეტავი ვინმეს თუ ჰგონია, დანაშაულს რომ ჩაიდენს და არ დავიჭერთ, ვერ გამიგეს, შემრჩაო. არ დაიჯეროთ ეგ ამბავი. ჩვენ ყველაფერი ვიცით. ჩვენი თვალი უფრო მეტს ხედავს, ვიდრე გგონიათ. თქვენი ძმა რომ თამბაქოს ქარხნიდან პაპიროსის გილზებს იპარავდა, სახლში რომ ტენიდით და ჰყიდდით მეორე დღეს, როგორ ფიქრობთ, ამისთვის არ გეკუთვნოდათ ყურზე ხელის მოკიდება? იყო ასე? ხომ იყო? მთელი სამი წელი, – გიგიმ უბის წიგნაკი ამოიღო და ჩაიხედა, – ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტ-ორმოცდათორმეტ წლებში მისდევდით ამ საქმეს; ხომ იყო ეს დანაშაული? ეს ერთი, ჩემო ბატონო, კიდევ გაინტერესებთ? – უბის წიგნაკში ისევ ჩაიხედა, – გავაგრძელო, რა ჩაგიდენიათ თუნდაც მარტო ამ ბოლო შვიდ წელიწადში, ახალგაზრდობის წლებს რომ თავი დავანებოთ?

– არ გინდათ, ნუღარ გააგრძელებთ, – ლოყებზე მუშტები მიიდო ყიფიანმა და მაგიდას დააჩერდა.

– მერე თითო კი არა, ოთხ-ხუთ ისეთ საქმეში გაიჭედებით სამივე, მტკიცებაც რომ არ უნდა.

– აქამდე რატომ არ მოგვკიდეთ ხელი? – ხმადაბლა ჰკითხა ბაგრატმა.

– არ ვართ ჩვენ ცუდი ხალხი და იმიტომ, ჩვენი საქმე მარტო დაჭერა კი არაა, ათასი სხვა საქმითაც ვართ დაკავებული. რატომ აქამდე არ მოგკიდეთ ხელი? ვინ იცის, იქნებ ამ დღეს ველოდებოდით. ახლა ცოტა ჩვენც გვიჭირს და არც თქვენ ხართ დალხინებული. თუ კაცები ვართ, უნდა გავუგოთ ერთმანეთს.

– მაინც არ დაიჯერებს ქალაქი, რომ ჩვენ დავწვით სასახლე, – ვთქვი მე.

– შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს. თუ არ დაიჯერებს, ნუ დაიჯერებს. მთავარია ინასარიძე დააჯეროს ჩვენმა უფროსმა, რომ კულტურის სასახლის დაწვის საქმე გახსნილია. მეტი

ჩვენ არაფერი გვინდა. მერე ჩვენ ვიცოდეთ და ჩვენმა კაცობამ:

– ვთქვათ, დავთანხმდი, მაგალითად, და მოგეცით ჩვენება, მე დავწვი-მეთქი, რატომ უნდა დამეწვა, როგორ ფიქრობ? – შევატყვე ჩემს თავს, რომ უკან გადავდგი პირველი, გაუბედავი ნაბიჯი.

– მაგაზე მოვილაპარაკებთ. რაც შეეხება ქალაქს, ქალაქის ხასიათი ასეთია: თქვენ რომ გაგიშვათ დღესვე, გამოვაცხადოთ; ბრალდება არ დაუმტკიცდათ, უდანაშაულონი აღმოჩნდნენო, უმრავლესობას გული დაწყდება. ქალაქს არ უნდა, – რომ თქვენ არ დაგეწვათ კულტურის სასახლე, გასაგებია? მერე თქვენი გაშვება, რაც პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია, ჩვენ საბოლოოდ ჩაგვცემს ლახვარს. დააყარეს ფული და ჩაფარცხეს საქმეო. საბოლოოდ გავპუსტიაკდებით ინასარიძის თვალში. ვიზამთ ჩვენ ამას? არ ვიზამთ.

– თუ უარი ვთქვით სამივემ? არ დავიბრალეთ ეს ამხელა ცოდვა, რა იქნება? – ყიფიანის ხმაა.

– რა იქნება, ვერ მიხვდით? ნუთუ ასე გაუგებრად ვლაპარაკობ? ჩვენ ჩვენი მოგვივა. ქვეყანა არ დაიქცევა ამ ერთი საქმის გაუხსნელობით. შეიძლება ჩვენს უფროსს და მე საყვედურები ჩამოგვირიგონ. კიდეც, რომ გაგვიშვან ორგანოდან, თქვენთვის რა შეღავათი. იმას მაინც მოვასწრებთ, რომ თქვენი გამოძიება დავამთავროთ, თითოს ცხრაწლიანი მუხლები მაინც აგკიდოთ და გაგიშვათ სასამართლოზე. სხვათა შორის, თქვენი აღიარება საზოგადოებრივი აზრისთვის გვინდა, თორემ თქვენთვის სასახლის დაწვის დაბრალება უკვე დამთავრებულია. ისე გავამაგრებთ, ისეთ ფაქტებს შევთხზავთ, თვითონვე ეჭვი შეგეპარებათ, მართლა ჩვენ ხომ არ დაგვიწვავსო. მაგდენი ფანტაზიის უნარი გვაქვს, ნუ გეშინიათ. ასე რომ, ვისაც ასამართლებენ, ყველა კი არ აღიარებს დანაშაულს, აღიარება, იცოდეთ საერთოდ, სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებაა.

– მაინც რა ვთქვა მე სასამართლოზე, რატომ დავწვიმეთქი, დირექტორმა კაცმა, ჩემი დაწესებულება, რომელსაც რვა წელი ვაშენებედით და სულმოუთქმელად ველოდით, როდის დამთავრდებოდა? რომ გავგიჟებულიყავი და ხელოვნების სიყვარული საერთოდ ამომეღო გულიდან, იმდენად სულელი როგორ ვიქნებოდი, არ მცოდნოდა, რომ სასახლის დაწვასთან ერთად ჩემი დირექტორული სკამიც დაიწვებოდა და ხელოვნებაში ჩემს მომავალსაც ცეცხლი უყოფდა პირს, – თითების მტვრევით, ხმის კანკალით, ვეკითხებოდი მარშანიას.

– საფუძვლიანია თქვენი ეჭვი. მაგრამ მაგასაც ეშველება. ხომ არის შემთხვევა, დირექტორები რომ წვავენ თავიანთ დაწესებულებებს? ვთქვათ, გაფლანგვა-დანაკლისი გქონდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაბრაზებული იყავით, რაღაც წოდების მონიჭებაზე უარი გითხრეს, ამაგი არ დაგიფასეს. აიღეთ და გაგულისებულმა კულტურის სასახლე დაწვით.

– მე, მე რატომ გავერეოდი ამ საქმეში, სასახლის მნე? – ლამის ტირილით თქვა ყიფიანმა.

– შენ შენი ინტერესი გქონდა. რაღაცით შენც მოითბე ხელი ამ ხანძარზე.

– რით, მაგალითად?

– ჯერ მთავარზე მოვილაპარაკოთ და გეტყვით მერე, ამაზე, კონკრეტულად. სულაც ხომ შეიძლება, თქვენ სამივე, ვიღაც მეოთხე კაცის ბრმა იარაღები ყოფილიყავით. დაგაინტერესათ იმ მეოთხემ, მოგისყიდათ, ან ფულით, ან რაღაცით და დაგავალათ სასახლის დაწვა.

– რაღა ჩვენ მოგვისყიდდა, სწორედ იმათ, ვისაც სასახლის მოვლა გვქონდა დავალებული. უფრო იაფი არ დაუჯდებოდა სხვისი მოსყიდვა? – ვთქვი მე.

– იქნებ სხვები ვერ მოახერხებდნენ უთქვენოდ ამ საქმეს.

– მერე, რაღა სამივეს მოგვისყიდიდა. სამი კაცისთვის

შეიძლება ასეთი საქმის განდობა? ერთი ჩვენთაგანი მოესყიდა. რავა, ერთი ვერ შეძლებდა სასახლის დაწვას? – კაცმა რომ თქვას, კუკულავას ეს შეკითხვაც სამართლიანი იყო.

– მაგაში მართალი ხართ. – შევატყვე, პირდაპირ პასუხის გაცემა გაუჭირდა მარშანიას, – ეგ მეც ვუთხარი თავის დროზე უფროსს, მაგრამ ახლა ეგ ლაპარაკი დაგვიანებულია. ახლა რომელიმე თქვენგანი რომ გაგიშვათ, თქვენთვისვე იქნება ცუდი. იმ წუთში გამცემის სახელს მოგაკერებენ.

– ვთქვათ, ჩვენ დავიბრალეთ ეს დანაშაული, გაგვასამართლეთ და მოგვისაჯეთ რაც გვერგება. ვთქვათ და როგორც თქვენ ამბობთ, ამის შემდეგ მართლა შეწყდა ხანძრები და აფეთქებები. მოგვიტრიალდებით მერე და იმ წინა ხანძრებს და აფეთქებებსაც ჩვენ დაგვაბრალებთ?

– როგორ გეკადრებათ, კაცურ სიტყვას გაძლევთ, ჩემი და ჩემი ცოლშვილის თავებით ვაგებ პასუხს ამ პირობაზე, არა თუ სხვა საქმეს არ აგკიდებთ, ამაშიც მინიმუმს მოვაცემინებთ მოსამართლეს.

– რა ვქნათ? – მცირე პაუზის შემდეგ მივმართე ყიფიანს და კუკულავას.

„დამნაშავენი“ სდუმდნენ.

სიჩუმე ისევ გიგიმ დაარღვია.

– დღეს ამით დავამთავროთ, წაბრძანდით ახლა და მოიფიქრეთ. მოსაფიქრებელი, მე რომ მკითხოთ, არაფერია. სხვა გამოსავალი არ არის. უკან დასახევი არა გვაქვს, არც თქვენ და არც ჩვენ. ხვალ გავაგრძელოთ საუბარი.

დილით სამივენი ერთ კამერაში მოგვათავსეს, რომ განსჯის და მოთათბირების საშუალება გვქონოდა. საერთოდ, ერთ საქმეზე დაკავებულნი ერთად არასოდეს სხედან, მაგრამ მარშანიამ იცოდა. რასაც აკეთებდა.

ვიდავეთ, ვიკამათეთ, საიდან არ შემოვუარეთ, რა თვალით არ შევხედეთ ჩვენს მდგომარეობას, გავითვალისწინეთ ყველაფერი, კიდევ და კიდევ არაერთგზის დავაზუსტეთ მარშანიასთან რაღაც-რაღაცები და ორი კვირის შემდეგ „ვაღიარეთ დანაშაული“.

კულტურის სასახლის დაწვა დავიბრალეთ, მაგრამ ჩვენი და მარშანიას წვალება მერე დაიწყო.

ოთხივენი (და ჩვენ გარდა, როგორც გაირკვა, სხვებიც) დიდ შემოქმედებით მუშაობაში ჩავებით. ხუმრობა ხომ არ იყო, უნდა შეგვექმნა დამაჯერებელი იურიდიული დოკუმენტი, რათა სასამართლოს და დამსწრე საზოგადოებას ეჭვი არ შეეტანა ჩვენს დანაშაულში. პირველი ჩვენებები ცალ-ცალკე რომ დავწერეთ, სასაცილომდე გულუბრყვილო იყო, ერთმანეთს არ ემთხვეოდა. იოლად ნურავინ შეხედავს ამ საკითხს. განსაკუთრებით ჭირდა იმის დამტკიცება, რისიც თავიდანვე მეშინოდა; რატომ გადავწყვიტეთ სწორედ ჩვენ სასახლის დაწვა, სასახლის შენახვაზე პასუხისმგებელმა პირებმა? მეორე სიძნელე ის იყო, როგორ მოვილაპარაკეთ სამმა სხვადასხვა ხასიათის, თანამდებობის, შეხედულებების ადამიანმა სასახლის დაწვა. რა ინტერესმა გაგვაერთიანა სამივენი ამ დანაშაულისათვის? გამოსავალი, ერთი პირობა, ის ვიპოვეთ, რომ მე, დირექტორს უნდა ჩამეთრია ჩემი ხელქვეითნი „დანაშაულებრივ ქმედებაში“. ამაზე მე არ დავთანხმდი და არც სხვებმა დამაძალეს. ორგანიზატორობის და მოთავეობის შემთხვევაში ჩემი დანაშაული მძიმდებოდა, ხოლო მე არავითარი სურვილი არ მქონდა თუნდაც ერთი კვირით კუკულავაზე და ყიფიანზე მეტხანს დამეყო ციხეში. ბოლოს, დანაშაულის ფსიქოლოგიური მხარის მოტივირება ძალიან რომ გაგვიჭირდა „მეოთხე კაცზე“ გავედით. მოვძებნეთ, ჩვენთვის ცოტა არ იყოს დამამცირებელი, მაგრამ შედარებით ცოტათი მაინც დამაჯერებელი გადაწყვეტა. თითქოსდა მოდიოდა ჩვენს საიდუმლო სერობებზე ვიღაც შავმანტიიანი, სათვალიანი ბოროტი კაცი, შავი „დიპლომატით“ მოჰქონდა ფული და დაჟინებით მოითხოვდა ფრიად

სოლიდური გასამრჯელოს ფასად დაგვეწვა კულტურის სასახლე. ჩვენ, გამდიდრების სურვილით დაბრმავებულნი, დიდი ჭოჭმანის შემდეგ ვთანხმდებოდით ამ დანაშაულზე. ფული რაღა იქნაო, რომ იკითხავდა გამოძიება? პასუხი ამაზეც გავამზადეთ; გასამრჯელო ჩვენი შრომისთვის უნდა მიგვეღო სასახლის დაწვის მესამე დღეს, მაგრამ რატომღაც შავსათვალიანმა ძიამ „დიპლომატის“ მოტანა დააგვიანა. გვარიანი დეტექტივი შევთხზეთ, მაგრამ ორ საკითხს მაინც ვერ გავეცით პასუხი. ჯერ ერთი, ვინ იყო ის შავმანტიიანი კაცი, რომელსაც ასე ბრმად ვენდეთ, იყო თუ არა ცნობილი მისი ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი დამნაშავეთა ბანდის სხვა წევრებისათვის და მეორე – ნუთუ ერთხელ მაინც არ ვკითხეთ იმ შავსათვალიან ბოროტმოქმედს – თუ ძმა ხარ, ამდენ ფულს რომ ყრი, რა ინტერესი გამოძრავებს, რა ხელს გაძლევს ამ უწყინარი კულტურის სასახლის დაწვაო? ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ ეს ორი პრობლემა ვერა და ვერ გადავწყვიტეთ. მარშანიამ, იურიდიული თვალსაზრისით საკმაოდ პრიმიტიული სვლა შემოგვთავაზა: არ ვიცნობდით შავმანტიიან კაცს, აქამდე არასოდეს გვენახა და რომ შეგვხვდეს, ვერც ახლა ვიცნობთ, რადგანაც შავი სათვალე ეკეთა და, ვინ იცის, იქნებ პარიკსაც ატარებდა. არც ის გვიკითხავს, რატომ ჰქონდა ამოჩემებული მაინცდამაინც კულტურის სასახლის და არა სხვა რომელიმე, არანაკლებ ავტორიტეტული დაწესებულების დაწვა. გამოძიება ამ პასუხებით დაკმაყოფილდა, მეოთხე კაცის ხაზით ძიება არ გაგრძელებულა და არც მოსამართლეს (აშენდა მისი ოჯახი) უკითხავს ჩვენთვის რაიმე შავმანტიიანი და შავსათვალიანი პიროვნების შესახებ.

გასამართლებამდე და იმის შემდეგაც ჩვენს ოჯახებთან წერილობითი კავშირი, რასაკვირველია, გვქონდა. როგორ და რა გზით, ეს ციხის საიდუმლო გახლავთ და თუნდაც იმიტომ არ გაგიმხელთ, რომ ამ საქველმოქმედო საქმით

დაკავებულ დარბაისელ ადამიანებს ჩემმა გულახდილობამ რაიმე არ ავნოს.

უფროსი გამომძიებელი მართალი აღმოჩნდა; ჩვენი დაპატიმრების შემდეგ ქალაქში ხანძრები და აფეთქებები შეწყდა.

გუშინდელივით მახსოვს, სასამართლოს წინა დღით საკანში, ჩვენს ნარებზე რომ ვიჯექით და ფრიადოსანი მოწაფის გულმოდგინებით ვსწავლობდით ჩვენი საბოლოო ჩვენებების ათასჯერ გადაღეჭილ ტექსტს. მარშანია მოსალოდნელ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში გვავარჯიშებდა.

ვერ დავუკარგავ, გიგი მარშანია სიტყვის კაცი აღმოჩნდა; ხუთ-ხუთი წელი მოგვისაჯეს ჩვეულებრივი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

კოლონიაში მშვენიერი პირობებია-მეთქი რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, მაგრამ დამერწმუნეთ, გაძლება იქაც შეიძლება.

შუქი

გურამიშვილის ქუჩაზე დგას გრძელი, ოთხმოცბინიანი ცხრასართულიანი შენობა. იგი კუთხის სახლი გახლავთ; მიგრიაულის ქუჩიდან ცხრა ნომერია, კოჯრის დაღმართიდან – ჩვიდმეტი, ხოლო გურამიშვილის ქუჩის მხრიდან კი ასთხუთმეტი ნომერი აწერია. ადრე ასცამეტი იყო, მაგრამ გვერდით მარცხენა მხარეს, წყალტრესტის ჩვიდმეტსართულიანი სახლი რომ მიუშენეს, ასთხუთმეტი გახდა. შემთხვევა, რომელიც უნდა გიამბოთ, სხვა სახლშიც შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ, მადლობა უფალს, მარტო ამ სახლში მოხდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მეოთხე სადარბაზოში სინათლე ხშირად ქრებოდა. რა სანოველო ამბავი ეგ არიო, იტყვის საქმეში ჩაუხედავი მკითხველი, – მართლა და მართლა, ყველაფერზე ხომ არ შეიძლება ნოველები ვწეროთო. დიდი ამბავი! სინათლე ჩაქრა, დენი გამოირთო. გენიოსების უმრავლესობა ლამპის და ჭრაქის შუქზე გაიზარდა, მაგრამ ამით არაფერი დაკლებიათო. კი, ბატონო, შეიძლება ცოტა რომანტიკულიც იყოს, მოულოდნელად ბინაში რომ შუქი ჩაქრება, მეზობლები რომ მოლაღურებივით გადმოსხდებიან თავიანთ ბუდეებზე, ჯერ გაჩახჩახებულ ქალაქს შეავლებენ თვალს და მერე ერთმანეთს შეეხმიანებიან: „ისევ ჩვენთან ჩაქრა“, „კი, სხვაგან ანთია“, „რა ჯანდაბა გვჭირს, სპეციალურად არ გვიკეთებდეს ვინმე“, „დარეკე ერთი, თუ კაცი ხარ“, „ვრეკავ, მაგრამ დაკავებულს იძლევა“, „გადადვეს, ეტყობა, ყურმილი“, „მაგენიც კაი ეშმაკები არიან“. მეზობლები ერთმანეთს გაესაუბრნენ (რაც ისე ხშირად ხდება), გაჩნდა რაღაც საერთო საზრუნავი, საფიქრალი. გულისყური ცოტა ხნით მაინც მოშორდა ზოგადკაცობრიულ პრობლემებს და ამ პრაქტიკულყოფით დეტალზე გადაირთო. არა, არა, დენის გამორთვით ქვეყანა

როდი იქცევა, მაგრამ მთლად გაიოლებულადაც ნუ შევხედავთ ამ ამბავს, პატივცემულნო. დენის გათიშვას, შორს რომ არ წავიდეთ, ლიფტის, წყლისა და ტელევიზორის გამორთვა მოსდევს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ სიბნელეში, ცივ აბაზანაში მჯდომი გასაპნული სიდედრი კი არა, თქვენი თავი. ან უფრო უარესი მდგომარეობა; საწერ-კალმით ხელში ტელევიზორს მიჭიჭინებული ზიხართ, დაიწყო თქვენი საყვარელი გადაცემა (რამდენ რამეს ჩაიწერთ, რამდენი რამით გაამდიდრებთ გონებას) და უეცრად სინათლე გამოირთო, გადაცემა კი სხვაგან, სინათლიან ბინებში გრძელდება და საკმაოდ წარმატებითაც მიმდინარეობს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ გაუთვალისწინებელმა ლიფტში გაჭედვამ შეიძლება საკუთარი დისერტაციის დაცვაზე დაგაგვიანოს. ასე რომ, ჯერ თავისთავად შუქის გამორთვა პატარა საქმე არ გახლავთ, მაგრამ ეს ნოველა მხოლოდ და მხოლოდ ასეთ უწყინარ ამბავზე რომ არ იწერება, ავტორი შეეცდება შეძლებისდაგვარად დაგარწმუნოთ.

აპრილის ერთ უღრუბლო ღამით, ის იყო, საათმა ათი დარეკა და გურამიშვილის ასთხუთმეტის მეოთხე სადარბაზოში შუქიც გამოირთო. იმ დღეს ეს მეოთხე გამორთვა გახლდათ. მეშვიდე სართულის ბინადარმა, ახალგაზრდა გამომგონებელმა – რატი ჯანაშიამ სიბრაზისაგან ქვედა ტუჩზე იკბინა და, სასტუმრო ოთახში ტელევიზორთან მიმჯდარ ცოლშვილს რომ არ გაეგონა, ხმადაბლა, რუსულად შეიგინა. შეგინება რატის მშობლიურ ენაზეც მშვენივრად შეეძლო, მაგრამ ამჯერად ასე მოიქცა და ამ ნოველის ავტორს თუ შვიდი რამ ვერ აუხსნია ცხოვრებაში, ერთი სწორედ ის გახლავთ, თუ რატომ იგინებიან ადამიანები, ზოგჯერ, სხვა ენაზე. გამომგონებელმა ასანთი მოძებნა, კარტოფილის სანთელს მოუკიდა, ტელეფონთან მიფშლატუნდა, სანთელი მაღლა ასწია და სიბნელეში გასუსულთ შესძახა:

– ნომერი!

– ოცდაცხრა-ჩვიდმეტი-ოცდაერთი, არ აიღებენ, – გამოეპასუხა ცოლი.

ოჯახის მამამ სანოვაგის კარადიდან დამტვრეული შანდალი აიღო, ზედ სანთელი დაამაგრა, იატაკზე მოკალათდა, ტელეფონი მუხლებზე დაიდო და რეკვას შეუდგა, ოცდაცხრა-ჩვიდმეტი-ოცდაერთიდან პირველსავე ზარზე მორიგე შეეხმიანა, ვიცით, ბატონო, უკვე დაგვირეკეს, ერთი ელექტრიკოსი ავად გაგვიხდა, მეორე ახლახან გავიდა ობიექტზე, რომ დაბრუნდება, გამოვაგზავნითო – თავაზიანად უპასუხა ქალმა.

– საავარიო! – შესძახა რატიმ სიბნელეს.

– სამოცდაშვიდი-ნოლერთი-ოცდასამი, – შეაგება მეუღლემ, საავარიომ ჯერ მისამართი გამოჰკითხა და მერე მოჩვენებითი თანაგრძნობით აუწყა: თქვენი სახლი კოოპერატიულია, ჩვენ კი, სამწუხაროდ, კოოპერატიულ სახლებს არ ვემსახურებითო.

სახლმმართველობაში დარეკვა უაზროდ მოეჩვენა, შვიდი საათის შემდეგ ხომ მსოფლიოს ყველა სახლმმართველობა ისვენებს.

სხვა დროს ამ მოსაწყენ საქმიანობას რატის მეუღლე, ქალბატონი მანანა ეწეოდა, მაგრამ ამჯერად შუქის ჩართვით რატის დაინტერესებას ის მიზეზიც ემატებოდა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს საჩქარო სამუშაო ჰქონდა – მოძრავი მაცივრის მარცხენა აგრეგატის გამარტივებული ნახაზი საკონკურსო კომისიისათვის დილით უნდა ჩაებარებინა. რატიმ ამ ცხრა წლის წინათ დაამთავრა ზუსტ და არაზუსტ ხელსაწყოთა საკონსტრუქტორო ფაკულტეტი. წელიწად-ნახევარი იპოდრომზე იმუშავა ინჟინერ-მეთოდისტად და მას შემდეგ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა გაერთიანებაში მსახურობს. სტაჟი არ გასწყვეტია, იპოდრომიდან პირდაპირ გაერთიანებაში მიიწვიეს. ძირითადად რთული აგრეგატების გამარტივებაზე მუშაობს. ზედმეტ დეტალებს ამოხაზავს და გასაუქმებლად წარუდგენს საკონკურსო კომისიას. ხელფასი საშუალოზე ოდნავ მაღალი აქვს. გოგონა მესამე კლასშია, ბედს არ ემდურის. მაღალი, ხმელი, წვრილკისერა კაცია. ბოხი, ბარაქიანი ხმა აქვს და ისეთი ხშირი ხუჭუჭა, საგარცხლისმმტვრევი ქოჩორი, ხვალვე რომ დაუწყოს ენერგიულად თმამ ცვენა, ორმოცდაათ წელიწადს მაინც ვერაფერს დაატყობს. როცა ჰკითხავენ, რა მოხელე ხარო; – გამომგონებელი, – მორცხვად პასუხობს რატი და მზადაა, დამატებით შეკითხვაზე განუმარტოს დაინტერესებულ პირს, თუ რას აკეთებს კონკრეტულად, მაგრამ, რატომღაც, უმეტეს შემთხვევაში, შემკითხველთ ეს პასუხი აკმაყოფილებთ. ისინი მრავალმნიშვნელოვნად აქნევენ თავს და არათუ სხვას არაფერს ეკითხებიან, რაღაცნაირი რიდით და მოწიწებით შეჰყურებენ ახალგაზრდა გამომგონებელს.

რატი ფანჯარას გადაეყუდა და ქალაქს დააკვირდა. მოპირდაპირე სახლში ცხოვრება ჩვეულებრივად დუღდა და გადმოდუღდა.

მეოთხე სართულის აივანზე წინსაფრიანი მოხუცი ქალი კვლავ სარეცხს რეცხავდა.

მეხუთე სართულზე მარტოხელა ცოლ-ქმარი ისევ ჩხუბობდა. კაცი დოინჯშემოყრილი იდგა შუა ოთახში, ქალი მაგიდასთან თავჩამოგდებით მიკუნტულიყო, დროგამოშვებით წამოდგებოდა, ეჭვშეუტანელი თეატრალურობით ორივე ხელს გაიშვერდა მეუღლისაკენ, შეშლილი სახით რაღაც რთულსა და მნიშვნელოვანს წარმოთქვამდნენ მისი ბაგენი, მერე ერთბაშად მოეშვებოდა და კვლავ მაგიდას ჩამოეკიდებოდა, ქმარი დოინჯშემოყრილი იდგა და შეჰყურებდა. მის დამცინავ ღიმილსა და ტუჩების განუწყვეტელ მოძრაობაზე ატყობდა რატი, რომ არც კაცი ეუბნებოდა მთლად საალერსო სიტყვებს თავის თანამეცხედრეს. მალე კაცმა დოინჯი მოიშორა და საწოლზე ჩამოჯდა. გამომგონებელმა იცოდა, ეს ჩხუბის ბოლო ეტაპი იყო. რამდენიმე წუთში ისინი შერიგდებოდნენ და ერთმანეთს მიკრულნი ისეთი მოყვარული ცოლ-ქმარივით გადმოდგებოდნენ აივანზე, რომ საქმეში ჩაუხედავი იფიქრებდა, ამათ არასოდეს ერთი მწარე სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისათვისო.

მარჯვნივ, მეოთხე სართულის ერთოთახიან ბინაში ულვაშა სტუდენტს დღესაც ჰყავდა თავისი განუყრელი სტუმარი, ქერათმიანი, ფაშფაშა მანდილოსანი. სტუდენტი საწოლზე გულაღმა გაშოტილიყო და ხელები თავქვეშ ამოედო, ქერათმიანი მხეთუნახავი სასთუმალთან ეჯდა და მკერდზე უსვამდა ხელს.

სხვა ბინებს იდუმალი მყუდროება დაუფლებოდა. აქა-იქ მხოლოდ სამზარეულოებში ენთო სინათლე, ხოლო სასტუმრო ოთახებში ცისფერი ეკრანი ციმციმებდა.

ვერ გეტყვით, რამდენმა ხანმა გაიარა ამ ყოფაში, რატის შესცივდა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არც მოპირდაპირე სახლის ბინადართა ცხოვრებას შეემჩნეოდა უახლოეს საათებში მაინც დრამატული გამოცოცხლება. დავიძინებ და ხვალ ადრიანად შევუდგები საქმესო, გაიფიქრა, მაგრამ ქვემოთ, ეზოში, ჩოჩქოლი მოესმა და მთვარით განათებულ ასფალტის ბილიკს დააჩერდა.

სარდაფებისა და უნებართვოდ დადგმული გარაჟების სიახლოვეს რამდენიმე კაცი ფუსფუსებდა, ერთმა მათგანმა თავი აიღო და ცხრა სართულს ახედა:

– რატი!

– მოვდივარ! – მყისვე დაუბრუნა გამომგონებელმა პასუხი. ფანჯარა მიხურა. შემოსასვლელში სკამზე გადაკიდებული ბუკლეს პიჯაკი მოისხა და კარი გაიჯახუნა.

სარდაფის შავ ხახასთან ოთხი მეზობელი თათბირობდა. მათგან ერთი ვერ იცნო და დაასკვნა, რომ სწორედ ის იქნებოდა ელექტრიკოსი, მაგრამ ღრმად შეცდა: უცნობი, მეორე სართულზე მცხოვრები უცხო ენის მასწავლებლის თვალჟუჟუნა მერის ახალი ქმარი აღმოჩნდა; მერი, ჯერ მარტო ამ სახლში რაც შესახლდნენ (მერვე წელია), მეოთხედ გათხოვდა. ზედსიძედ შემოსული მისი ყოფილი ქმრები ერთმანეთს იმით ჰგავდნენ, რომ ყველანი მელოტები იყვნენ, თითქოს რაიმე დანაშაული მიუძღვითო, ფეხაკრეფით დააბიჯებდნენ და ყველას მორცხვი ღიმილით ესალმებოდნენ.

– მოვიდა? – ყოველ შემთხვევისათვის იკითხა რატიმ.

სანამ პასუხს მიიღებდა, შუქი ჩაირთო. სანაგვეთა ღია ბუნკერებს, გათბობის შეუფუთავ მილებს, ჩაწოლილ-ჩატეხილი ასფალტის ნაპრალთან თაგვსჩასაფრებულ კატას ერთბაშად მოეფინა სასწაულებრივი ციაგი და სარდაფის შავი ხახიდან პლოცკოგუბცმომარჯვებული ელექტრიკოსიც გამოძვრა.

მან ზედაც არ შეხედა ურიელ აკოსტას ერთი სცენის მსგავსად მისკენ მობრუნებულ სახეებს, შარვალი გაიფერთხა და მარჯვნივ გაუხვია.

– ჩვენი ძმა, – დაუძახა რატიმ.

ხელოსანი შეჩერდა და უხალისოდ მოიხედა. მეზობლები მიუახლოვდნენ.

– რა ჯანდაბა გვჭირს, გაგვაგებინე ერთი, თუ კაცი ხარ, – იაპონური ფილოლოგიის გამოჩენილმა სპეციალისტმა, პროფესორმა ნესტორ ბააძემ ჰკითხა.

– შკაფიდან ითიშება, – მოკლედ, მაგრამ სამაგიეროდ გაუგებრად აუხსნა ულვაშგაპარსულმა, ჟღალკეპიანმა ელექტრიკოსმა.

– რა დოზანა თიშავს, სად ოხრობაში ქვესკნელდება, – არც ბატონი ნესტორის შეკითხვის ლექსიკური მხარე გახლდათ მთლად ნათელ-მოწესრიგებული, მაგრამ სტუმარი ყველაფერს მიხვდა.

– კაბელია დაძველებული, სპილენძი შეჭმულია, ვერ უძლებს, დამცველიც ხშირად იწვება, – მშვიდად თქვა მან.

– ესე იგი კიდევ შეიძლება გაითიშოს?!

– შეიძლება კი არა, უეჭველად გაითიშება.

– რამდენ ხანში? – გულუბრყვილოდ იკითხა მერის ახალმა მეუღლემ.

ამ მიამიტურ შეკითხვას ოსტატმა, რასაკვირველია, გვერდი აუარა.

– რა ეშველება ჩვენს საქმეს? – მკლავებჩახვეულმა მხატვარმა ჰუპიაურმა ჰკითხა.

– კაბელი უნდა გამოიცვალოს, დიდი დამცველები უნდა დაყენდეს და საერთოდ, შკაფი გასარემონტებელია, – თქვა ელექტრიკოსმა.

– მერე?

– რა მერე.

– რატომ არ აკეთებთ?

– ჯერ ერთი, მე ეგეები არ მეხება. კანტორაში შევიარე, მითხრეს, ბნელში სხედანო, და ხათრის გამო მოვედი. სახლმმართველი ხომ გყავთ, დასვით იმასთან საკითხი, გეგმაში შეიტანონ. რამდენადაც მე ვიცი, ახლა მაგათ კაბელი და დამცველები არა აქვთ.

ჰიპიაურმა, ჩანს, იცოდა, რას ნიშნავდა „სახლმმართველობასთან საკითხის დასმა“ და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– მეგობარო, შენი სახელი?

– სამუელ.

– ბატონო სამუელ, თქვენ ვერ გაგვიკეთებთ ამ საქმეს?

სამუელმა მცირე ყოყმანის შემდეგ თქვა:

– ფულის ამბავია.

– მაინც? – დაკონკრეტება ისურვა ბატონმა ნესტორმა.

– მასალა ხელზე უნდა ვიყიდო. ექვსი თუმნის მარტო მასალა დასჭირდება. ხელობაში ფულს არ გამოგართმევთ.

– რატომ, შეკაცო? – მერის ახალ მეუღლეს ვერ წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა ელექტრიკოსთა შორის ქველმოქმედნი, ფულისთვის კი არა, სახელის მოსახვეჭად მოწოდებულნი აღმოჩენილიყვნენ.

იმსჯელეს, აწონ-დაწონეს და ხუთთუმანნახევარზე შეთანხმდნენ. ამაღამ ფულს შეაქუჩებდნენ, სამუელი კი დილიდანვე შეუდგებოდა საქმეს. სადარბაზოს მკვიდრთა შორის სამ-სამი მანეთის შეკრება, როგორც ყველაზე ახალგაზრდას და ენერგიულს, გამომგონებელ რატი ჯანაშიას დაავალეს.

რატიმ ჯერ იუარა, სადა მცალია „ჩამოსავლელად“ აგრეგატის დეტალი მაქვს ამოსახაზავიო, მაგრამ რომ აღარ

მოეშვნენ, დათანხმდა, გაკვირვებით კი გაუკვირდა, ამ უბრალო საქმეს ასე ენერგიულად რომ იცილებდნენ თავიდან მეზობლები. ბოლოს და ბოლოს ნახევარ საათზე მეტს ხომ არ დავკარგავ, ჩამოვირბენ, სალაპარაკოდაც არ ღირს ეგ საქმეო.

მალე საწერ-კალამ და ქაღალდმომარჯვებული რატი მეცხრე სართულზე თეო აბიათარის კართან იდგა და ზარს რეკავდა. თეო მარტოხელა ქალი გახლდათ, მარჯვნივ ოროთახიანში ცხოვრობდა. მეზობლებმა იცოდნენ, რომ თეო თავის მეუღლესთან ერთად ჩვენში პარაშუტით ხტომის პიონერად ითვლებოდა. თირკმლის კიბოთი ქმრის გარდაცვალების შემდეგ (ოთხიოდე წლის ამბავია) თეომ საპარაშუტო სკოლაში მეთოდისტ-ინსტრუქტორად მუშაობას თავი დაანება და კერძო პრაქტიკას ეწეოდა – ქსოვით ირჩენდა თავს.

პირველი დარეკვისთანავე საჭვრეტი დაბნელდა, რატი მიხვდა, რომ შესცქეროდნენ, ამიტომაც უკან დაიხია, რომ მოთვალთვალეს მისი ცნობა არ გასჭირვებოდა. მალე საჭვრეტი კვლავ განათდა და გამომგონებელს მასპინძლის ხმა მოესმა.

– ვინ არის?

– მე ვარ, ქალბატონო, რატი ჯანაშია, თქვენი მეზობელი მეშვიდე სართულიდან.

– ახლავე.

კარის გაღება რომ დაუგვიანეს, რატიმ ხელმეორედ დარეკა, ისევ ჩაბნელდა საჭვრეტი, რატი ახლა კართან პროფილით დადგა და გაიღიმა.

გასაღები აჩხაკუნდა.

კარი ჭრაჭუნით გაიღო და ყბაყურშეხვეული აბიათარი გამოჩნდა. თმაჭაღარა მოხუც ქალს ზევითგასკვნილი კაშნე ძროხისენა ბალახივით ეშლებოდა კეფაზე. ფლანელის მწვანე ხალათზე გრძელი, წითელზოლიანი ხალათი მოეხურა.

– მობრძანდითთ, შვილო რატი, – წყნარად, მშვიდად შეიპატიჟა მასპინძელმა.

– გმადლობთ, ქალბატონო თეო. შემოსასვლელად არა მცალია, სამ-სამი მანეთია შესაკრები, – გამომგონებელმა ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ქაღალდი უჩვენა. ქაღალდზე „რატი ჯანაშია – 3 მან“ ეწერა და კუთხეში სამაგრით 3 მანეთიც იყო მიკრული.

– ეგ რისი სამი მანეთია, შვილო რატი? – ცნობისმოყვარეობამ სძლია ქალბატონ თეოს.

– კაბელი და დამცველია გამოსაცვლელი, დენი რომ ხშირად ითიშება.

ყოფილმა პარაშუტისტმა ნიკაპი მუჭაში მოიმწყვდია, კარგა ხანს უყურა სტუმარს და მერე ისევ მშვიდად, აუღელვებლად აუწყა:

– დიდი ხათრი მაქვს შვილო რატი, შენი, მაგრამ სამი მანეთის გულისათვის ჩემს პრინციპს ვერ გადავალ.

– რა პრინციპს? – რატომღაც ღიმილით ჰკითხა ჯანაშიამ.

– არ გაგიგია? – ჩაიმორცხვა და განზე გაიხედა თეომ, – წელიწად-ნახევარზე მეტია, შვილო რატი, მე აღარაფრის ფულს აღარ ვიხდი. მორჩა და გათავდა. არც კოოპერატივის სესხი შემაქვს, არც ლიფტისას ვიხდი და არც კომუნალურ გადასახადს. ასეა ჩემი საქმე.

– მე ვინ მკითხავს, მაგრამ მერე?

– ჯერ არავინ მოსულა და თუ ვინმე მოვა, ავუხსნი, როგორც საჭიროა, – რატის ურჩი გადამხდელის სულიერი წონასწორობა და სიმშვიდე უკვირდა, – ამას ბევრი მიზეზი აქვს, შვილო რატი, შენ აღარ გაგაცდენ. უმიზეზოდ მარტო მაგათ შეუძლიათ უარის თქმა. უმიზეზოდ არ მითხრეს უარი ჩემი ქმრის პენსიაზე? რატომ არ მომცეს (ორჯერ ვიყავი წარდგენილი) დამსახურებული პარაშუტისტის წოდება? არ მეკუთვნოდა? ჰოდა, მეც არ ვიხდი არაფრის ფულს. ჯერ არავინ მოსულა. მოსასვლელი პირი არა აქვთ. რომ მოვლენ, ავუხსნი,

როგორც საჭიროა. შენ მაგაზე არ ინერვიულო. ბოდიშს ვიხდი, შვილო რატი, რომ გაწბილებ, პრინციპის ამბავია, თორემ სამი მანეთი არავის უჭირს დღეს.

– თქვენი ნებაა, – ამოიოხრა გამომგონებელმა, – კარგად ბრძანდებოდეთ.

– იცოცხლე, შვილო რატი, – აბიათარმა ტკბილად გაუღიმა ჯანაშიას, კარი მიხურა და საჭვრეტს ჩაუღრმავდა. აინტერესებდა, როგორ მოიქცეოდნენ მის პირდაპირ მცხოვრები ხომერიკები. კარის მეზობლები ერთი პატარა, გასამხელად უხერხული, სამეზობლო შფოთის გამო, კარგა ხანია ერთმანეთთან უბრად იყვნენ.

კარი ოჯახის მამამ, ოპტიკის მაღაზიის უფროსმა მესათვალემ, ცხვირნისკარტა ამირან ხომერიკმა გაუღო.

მესათვალემ დაწვრილებით გამოჰკითხა რატის; რა მიზნით აგროვებდნენ სამ მანეთს ამ შუაღამისას, ვინ იყო სამუელი და ჰქონდა თუ არა ამგვარი საქმის გამოცდილება. იქნებოდა თუ არა ეთიკურად გამართლებული კერძო ხელოსანთან საქმის დაჭერა და აიღებდა თუ არა სამუელი თავზე მორალურ პასუხისმგებლობას იმისას, რომ მის მიერ გამოცვლილი კაბელი ხელმეორედ აღარ დაიწვებოდა. ვინ ესწრებოდა ელექტრიკოსთან შინაურული გარიგების ფაქტს და რა გარანტია ჰქონდა რატის იმისა, რომ სადარბაზოს თვრამეტივე მობინადრე კაბელ-დამცველის გამოცვლის თანახმა გახდებოდა.

გამომგონებელმა ყველაფერი, შეძლებისდაგვარად, წვრილად აუხსნა, ხომერიკმა მოუსმინა და რატის რომ ეგონა, ახლა ჩაიყოფს ჯიბეში ხელს და სამ მანეთს დააძრობსო, სრულიად მოულოდნელად განაცხადა:

– იცით რა, მე ამგვარ საქმეებში არ ვერევი, ვერ ვერკვევი და იმიტომ. მოგეხსენებათ, სახლაფორთო ამბავია, შეიძლება შეცდე, ოჯახურ საქმეებს ჩემი მეუღლე უძღვება და ახლავე დავუძახებ, – მესათვალემ სიამის კატის თვალები შეანათა სტუმარს, გასრიალდა-გაუჩინარდა სიბნელეში და ორიოდე

წუთის შემდეგ ნახევრადღია კარში ამირანის მეუღლე, სანდომიანი სახის ქალი ვარვარა გაჩნდა.

ვარვარამაც დაწვრილებით გამოჰკითხა ფულის შემგროვებელს, რა მიზნით და ვისთვის იკრიბებოდა თანხა, იძლეოდა თუ არა ხელწერილს სამუელი; რომ ფულს იღებდა და რა გარანტია ჰქონდა კოოპერატივს, რომ სამუელი გამომძალველი არ გახლდათ და წვრილმან აფიორას არ ეწეოდა.

ამ და სხვა შეკითხვებზე ძირითადად საგულისხმო პასუხი რომ მიიღო, ქალბატონი ვარვარა შებრუნდა, სამმანეთიანი გამოიტანა და რომ გაუწოდა, რატომღაც, მრავალმნიშვნელოვნად, თვალებში შეხედა. ჯანაშიამ დიასახლისის თვალწინ წააწერა ქაღალდს „ხომერიკი – 3 მან“. და ფულიც სამაგრში შეაცურა.

მერვე სართულზე არდევან ქვაჩახია ცხოვრობს. ორმოცდაათს გადაშორებული გახლავთ, უცოლოა. ყოველთვის პეწიანად აცვია და სამეზობლოდაც სასურველი, ავკარგიანი კაცია. სარწყავ-სამელიორაციო სამმართველოში მუშაობს და ხშირად მივლინებებშია. ზაფხულს ყოველთვის გაგრაში, სანატორიუმ – „გურიაში“ ატარებს, სექტემბერში მზისგან გარუჯული კბილებადქცეული ჩამოვა და მომავალი წლის საგზურზე ზრუნვას მაშინვე იწყებს. ერთი ნაკლი აქვს – ქალები უყვარს. იშვიათად უნახავს ვინმეს სადარბაზოსკენ მარტო მომავალი, სამსახურიდან მობრუნებულსაც კი გვერდით აუცილებლად მომხიბვლელი ქალი მოჰყვება. არდევანის ნაცნობი ქალები ნარდის მღერაში გართულ მეზობლებს რომ დაუახლოვდებიან, თავს დახრიან, ნაბიჯს მოუჩქარებენ და ქვედა ტუჩს კბილს დააჭერენ, აქაოდა მოსვენება არ მოგვცა ამ გადარეულმაო, თორემ ამ საქმის ქალები არ გეგონოთო. ცნობისმოყვარეთა მზერამ და ქილიკმა გული რომ გაუწყალა, ამ ბოლო დროს ქვაჩახიამ ხერხს მიმართა; ჯერ ქალს გამოუშვებს პურით ხელში, მერე თვითონ გამოივლის ღიღინით, ნელა, უდარდელად. შეყვარებულები ლიფტში ხვდებიან ერთმანეთს. კონსპირაციის ეს ფორმაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მეზობლებს. პურით ხელში მომავალ ლამაზ ქალს რომ დაინახავენ (იმ დალოცვილსაც პური ხელოვნურად, პიწკად, ორი თითით უჭირავს), მონარდეთა სახეზე ირონიული ღიმილი გადაირბენს. ერთმანეთს თვალს ჩაუკრავენ და მოახლოებულ არდევანს ისეთ მდაბალ სალამს აძლევენ, რომელშიც დაკვირვებული თვალი შორისდებულების გარდა ორ ფრაზასაც ამოიკითხავს: „მიგიხვდით, ჩემო არდევან“ და „ახ, ნეტავი შენ“.

ახლაც არდევანის ბინიდან მაგნიტოფონის თამამი ხმა მოისმის. იუგოსლავიელი ვლადკოვიჩის ცნობილი ანსამბლი „აბბა“ ასრულებს სიმღერას – „ბანანი“. ზარის დარეკვისთანავე მაგნიტოფონი გაჩუმდა და ქალის კისკისი მოისმა. როცა რატომ მეორედ დარეკა, კარის მიღმა გაუბედავი ხმა დაირხა:

– რა გნებავთ?

– ერთი წუთით, თუ შეიძლება.

კარი შუახნის, სერიოზული გამომეტყველების, ლოყებატკლეცილმა მამაკაცმა გააღო. ასეთი სახე თანამდებობის პირებს აქვთ, როცა ცუღლუტობაში დაიჭერენ. სიტუაციას ის გარემოებაც ამძიმებდა, რომ მამაკაცს მუხლებს მოწვდენილი თეთრი ტრუსიკი ეცვა და სტუმრის შეპატიჟებას არც ფიქრობდა. უფრო მეტიც, იგი ცდილობდა, კარს მოფარებოდა, და საკმაოდ უხერხულ პოზაში იდგა.

– არდევანი მინდოდა, – გამომგონებელმა ვითომც მასპინძლის სარწმერთულის ამარა ყოფნა ვერ შევამჩნიეო, განზე გაიხედა.

– არდევანი შინ არ გახლავთ, პატივცემულო, კრება მაქვსო, ახლა წავიდა. ერთ საათში, ასე საათ-ნახევარში, შინ იქნება, – შესამჩნევი კოლხური აქცენტით თქვა კაცმა და მაშინვე დაამატა: – ბოდიშს ვიხდი. მე მისი ნათესავი ვარ რაიონიდან. გული გამიხდა ცუდად და წამოვწექი ცოტა ხანს. ხომ არაფერი გადავცე?

– არაფერი... მეზობელი ვარ... სამ-სამ მანეთს ვკრიბავთ... მერე ვნახავ... არა უშავს, – კეფა მოიფხანა რატიმ.

– ერთი წუთით, პატივცემულო, – იყვირა გახარებულმა ქვაჩახიას ალალმა ნათესავმა, ოთახში შეირბინა, სამმანეთიანი გამოაფრიალა და რატის გაუწოდა, – ინებეთ, პატივცემულო!

– არა, ბატონო, მერე გამოვართმევ, რა საჩქაროა.

– გამომართვით, ჩვენ შორებლები კი არა ვართ, – შეეხვეწა სტუმარი, – სამი მანეთი რა ფულია, პატივცემულო.

– მაინც, უხერხულია.

– გამომართვით, გთხოვთ ადამიანურად, – შეწუხდა ტრუსიკიანი – მე ბიძაშვილი ვარ არდევანის, ჩვენ გაყოფილი არა გვაქვს არაფერი. თქვენ ეს გამომართვით და რომ მოვა, თვითონ მომცემს სამ მანეთს.

რატიმ ვერ გაუძლო „ბიძაშვილის“ მუდარით სავსე თვალებს, ფული გამოართვა; დაკეტეთ კარი, არ გაცივდეთო, სთხოვა და ნესტორ ბააძის ბინისაკენ გააბიჯა.

იაპონური ფილოლოგიის უებრო მცოდნემ კარშივე შეაგება თუმნიანი და მზრუნველი მამის ინტონაციით ჰკითხა:

– როგორაა, რატი, საქმე?

– გროვდება, – მიუგო ჯანაშიამ და ორი სამმანეთიანი გაუწოდა, – მანეთი რომ არა მაქვს?

– იყოს, შე კაცო, მაინც დაგაკლდება. შენ ggონია, ყველა დადებს? აბიათარმა მოგცა?

– არა, პრინციპულად არ ვიხდიო.

– ვერ უთხარი, რაკი ასეთი პრინციპული ხარ, ლიფტითაც ნუ სარგებლობ, პრინციპულად ფეხით ამოდი მეცხრე სართულზე-თქო?

– არ მითქვამს, ვერ შევკადრე.

– ერთი უნდა მივიდე მეცხრეზე ლიფტი გამოვათიშინო. მაინტერესებს, რა გუნებაზე დადგება.

– ხომერიკები?

– შენც მართალი ხარ, ხომერიკებს რას ვერჩი, მიდი ერთი

იმათთან, – ნესტორმა მოპირდაპირე კარისაკენ ანიშნა, – მაინტერესებს, რას გეტყვიან.

– შინ არიან?

– მოიცა, ქრისტინე არ დამინახავს კარგა ხანია და ლავრენტი შინ არის, ძაღლს ვის დაუტოვებს, სად წავა.

– როგორაა მაგათი საქმე?

– მოიცა, სასამართლოთი გაშორდნენ ერთმანეთს, მგონი, არ ელაპარაკებიან და ისე ვერ გეტყვი, როგორც ხედავ, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ.

ლავრენტი ლიმონეიშვილის კარისაკენ წასული რატი ნესტორ ბააძემ ერთხელ კიდევ მოაბრუნა.

– რატი. ეს ფული, შენ ხომ იცი, უკანონოდ რომ გროვდება, ჩვენ ფულის შეკრების უფლება არა გვაქვს. ამიტომ, რომ რამე იყოს, მე არაფერი ვიცი, მე არ დამასახელო, თუ ძმა ხარ, ხომ იცი, ჩემთვის უხერხულია. შენ არაფერს გეტყვიან, ერთი უბრალო გამომგონებელი ხარ. მე მომკიდებენ ყურში ხელს. პროფესორი კაცი თუ იქ იყავი, როგორ დაუშვი ასეთი უმსგავსოებაო.

– მეტი უმსგავსობა ღმერთმა არ ჩაგადენინოთ, ბატონო ნესტორ, ყველა ასე არ აკეთებს? სახლმმართველის იმედზე მტერი გაჩერდა დღეს.

პროფესორმა ღამე ნებისა უსურვა და მუხის მძიმე კარი შეიჯახუნა.

ლიმონეიშვილის ზარს სანამ მისწვდებოდა, კარი გაიღო და ელდა-ქუხილით გამოვარდა უშველებელი სენ-ბერნარი.

რატიმ უკან დაიხია და ლიფტის კარს აეკრა, ძაღლმა შესაშინებლად ერთი შეჰყეფა გამომგონებელს და უკანმოუხედავად კიბეზე დაეშვა. იმწამსვე კარში სპორტულპიჟამიანი ლავრენტი გამოჩნდა, თავი დაუქნია რატის, მოაჯირს გადააწვა და ქვევით ხლიწინ-ხლიწინით გაფრენილ ცხოველს ჩასძახა:

– ჯეკა! ჯეკა! მომიცადე, გაილახები, იცოდე, ჯეკა! – რატის კიდევ ერთხელ მოხედა, კარი მოკეტა და ძაღლს დაედევნა.

– ბატონო ლავრენტი! – რამდენიმე ნახტომით დაეწია რატი.

– გისმენ! – ლიმონეიშვილს დიდი ინერცია ჰქონდა აღებული და შეჩერებას არ აპირებდა.

– სამი მანეთია გადასახდელი! – დააწია ჯანაშიამ და სულიც მოითქვა.

ამ სიტყვამ მაგიურად იმოქმედა, ლავრენტი შეჩერდა, შემობრუნდა, გამჭოლი მზერა ესროლა მოსამმანეთეს, კარგა ხანს უყურა და ბოლოს დაბეჯითებით განუმარტა:

– ჩვენ ყველაფერი გადახდილი გვაქვს!

შეტრიალდა და კიბე შეუკრავი კედების ჩლახუნ-ჩლახუნით ჩაირბინა.

მეშვიდე სართულზე ლიფტით ამობრუნდა. ალავიძეების ზარი გამორთული იყო. აკაკუნა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. ამასობაში მეექვსე სართულზე ლაპარაკი მოესმა, კარს მოშორდა და ქვევით ჩავიდა.

მეექვსეზე თარაშვილებს ორი სამოთახიანი ბინა აქვს გაერთიანებული. ღმერთმა ამრავლოთ და ცხრანი არიან. ბუღალტერ სიმონ თარაშვილს ექვსი შვილი ჰყავს, უფროსმა ბიჭმა ეკონომიური დაამთავრა წელს და ცოლიც შეირთო. მშვენიერი, ცქრიალა გოგო მოიყვანა. ახლაც კიბეზე დგანან ახალყოილნი და მტრედებივით ღუღუნებენ. გოგოს ჩოთქი უჭირავს და ნაზად უსვამს ქმარს პიჯაკზე. უსვამს და, ვინ იცის, რა სისულელეს ეუბნება, რატის შერცხვა, რომ მათს იდილიას ხელი შეუშალა.

– გამარჯობათ.

პატარძალმა უკან დაიხია და თავისი დიდი, ცისფერი თვალები ქმარს შეანათა. სიმონის ვაჟი პალიკო გამომგონებლისაკენ წამოვიდა და ხელი გაუწოდა.

– ბატონი სიმონი სახლშია?

– ამ დროს მამაჩემს სახლში გააჩერებ?

– სამ-სამი მანეთი შეაგროვეთო. კაბელს ვაცვლევინებთ. მე დამავალეს... ჩემდა ჭირად...

პალიკომ ჯიბეზე გაიკრა ხელი. ტყავის საფულედან ხუთმანეთიანი და მანეთიანი დააძრო და რატის გაუწოდა:

– ინებეთ, მაგაზე გაწყენინებთ?

– ექვსი მანეთი? რატომ?

– ორი ოჯახი ვართ, – ამაყად თქვა უფროსმა თარაშვილმა.

– ოღონდ ამ შუქს ეშველებოდეს და... – დაიჭიკჭიკა რძალმა.

– ეშველება, რა ჭირს უსაშველო. კარგად მენახეთ, – რატიმ პალიკოს შეხედა და კიბეზე ჩააბიჯა.

„სამოთხის მტრედები“ კვლავ აღუღუნდნენ.

მეხუთე სართულზე ინდიკო სანდუხაძის კარი ღია იყო. „ალბათ, კვლავ სასწრაფო ჰყავთ“, გაიფიქრა რატიმ და არც შემცდარა. სანამ გამომგონებელი კართან მივიდოდა, სასწრაფო დახმარების პერსონაჟი პარმაღს მოადგა. წინ მიმავალ კისერზე ფონენდოსკოპგადაკიდებულ თეთრხალათიანს გვერდით შავულვაშა, ფინურკოსტუმიანი საშუალო ტანის კაცი აეწება და ხალათის ჯიბეში ხელი ჩაუყო. აშკარა იყო, რატი ქრთამის გადაცემის უნებლიე მოწმე გახდა, მაგრამ არ შეიმჩნია და თავი განზე მიაბრუნა. ფინურკოსტუმიან ულვაშას გამომგონებელი პირველად ხედავდა. თეთრხალათიანმა ლიფტთან მდგარ კაცს რომ ჰკიდა თვალი, თავის ექიმურ მოვალეობად ჩათვალა ეთქვა:

– ვეგეტონევროზის ამბებია. წნევა ნორმალური აქვს. გულის არეში ორგანული ცვლილებები არ შეინიშნება. სიმშვიდე სჭირდება. შეშინებულია. ყოველ შემთხვევაში კარდიოგრამას გაუკეთებენ. გამოვგზავნი. ვნახოთ მაინც, რომ დაზღვეული ვიყოთ.

რატიმ თავი დაუქნია ექიმს, მაგრამ ულვაშამ, რატომღაც ჩათვალა, რომ გულისხმიერ უცნობს ეს ინფორმაცია არ დააკმაყოფილებდა:

– თქვენ?

– მეზობელი ვარ, მეშვიდეზე ვცხოვრობ.

– მე ძმა გახლავართ. რა ქვას ვეცე, არ ვიცი. ძალიან ნერვიულობს, ეშინია, მლანძღავს. თქვენო, – ფინური სტანდარტების პატივისმცემელმა გაიღიმა, – ყველას ჩემი სიკვდილი გინდათო, დღეს მეოთხე სასწრაფოა ეს.

– იქნებ საავადმყოფოში გადაყვანა სჯობდეს? – რაღაც ხომ უნდა ეთქვა რატის.

– უნდა? საავადმყოფო ბავშვობიდან სძულდა.

საუბრის ამ მიმართულებიდან „სამ მანეთზე“ გადასვლას ახლა თვით იულიუს კეისარიც ვერ შეძლებდა: „ნუ გეშინიათ, ღმერთი მოწყალეა, ჩემი სიმამრიც ეგრე იყო, მაგრამ განიკურნაო“, დაამშვიდა ინდიკოს ჭირისუფალი ჯანაშიამ და აბჟანდაძის კარზე დააკაკუნა.

აბჟანდაძე პროფესიონალი ლოთი გახლდათ. და, რასაკვირველია, მის კარს არც საჭვრეტი ჰქონდა, არც ზარი.

არც მომაბეზრებელი „ვინ არის“, არც დროის მოსაგები „ახლავე“, კარი მაშინვე გაიღო და, თითქოს რატის მოსვლას მოუთმენლად ელოდაო, მაღალმა, ლამაზნაკვთებიანმა, სველთმაგადავარცხნილმა, ქუთუთოებდაბერილმა აბჟანდაძემ ხელები გაშალა.

– მობრძანდით, რატი ბატონო.

აბჟანდაძეს კრეპის შავი კოსტუმი ეცვა და ცისფერ კვართზე პეპელა-ჰალსტუხი ეკეთა, დახვეწილი მანერები ჰქონდა და ისეთი ხაზგასმული თეატრალობით ლაპარაკობდა, რომ მხოლოდ პირიდან ამოსულ არყის ოხშივარზე, ასაკისთვის შეუფერებლად დანაოჭებულ ღაწვებზე და ალკოჰოლში ჩახარშულ ხმაზეღა თუ შეატყობდით, რომ კონსული არ იყო.

– სამ მანეთს ვაგროვებ, – პირდაპირ საქმეზე გადავიდა რატი.

აბჟანდაძემ ცალი თვალი მოჭუტა, სერიოზული გამომეტყველება მიიღო, მხარზე ხელი გადასდო სტუმარს, შუა ოთახში (სადაც აბურდული საწოლი და უფარდაგო ძველი მაგიდა

იდგა) შეიყვანა, შემოაბრუნა, ორივე ხელი ჩასჭიდა მხრებში და თანაგრძნობით აღსავსე ხმით ჰკითხა:

– დალევა გინდა?

– არა, – დაიბნა ჯანაშია, – სამი მანეთი კაბელის გამოსაცვლელად გვჭირდება.

ლოთმა გამომცდელი თვალი კიდევ ერთხელ შეავლო მოსულს.

– ნუ მასხარაობ, შენ რა, იმნაირი ხომ არ გგონივარ?

ხელი გაუშვა. მაგიდის ქვეშ ჭიქაჩამომხობილ ბორჯომის ბოთლს მისწვდა, გამომგონებელს არაყი დაუსხა და მშვიდად უთხრა:

– დალიე.

რატი რიდით (და იქნებ შიშითაც) ჭიქას დაწვდა, ნახევრამდე მოსვა და თქვა:

– სამ-სამი მანეთი შეაგროვეო. მართლა დამავალეს; ის სამი მანეთი, ბავშვს გეფიცები, მართლა კაბელის გამოსაცვლელად გვინდა, დამცველებიც ცუდ დღეშია.

აბჟანდაძემ ერთხანს უსმინა და კვლავ განსაცვიფრებელი სიმშვიდით ურჩია:

– ხომ გითხარი, ნუ მასხარაობ-მეთქი. ჩემთან ეგეები არ გჭირდება, – მხარზე ხელი გადასდო, კარამდე გამოაცილა, – როცა არაყი დაგჭირდეს, არ მოგერიდოს. მე კარს არ ვკეტავ. სახლში არ ვარ? შემოდი თამამად დალიე და წადი შენს გზაზე, ასეთი კაცი ვარ, – თვალი ჩაუკრა, – აბა, მიხედე საქმეს, – ეს ბოლო სიტყვები შეთქმულივით უთხრა, მიიხედ-მოიხედა, ხელი დაუქნია და ოთახში შეაბიჯა.

მხატვარი ჰუპიაურის რკინის კარზე რკინისავე პატარა ჩაქუჩი ეკიდა. რატიმ იცოდა, სტუმარს კარზე ჩაქუჩის დარტყმით უნდა გაეგებინებინა მოსვლა მასპინძლებისათვის. ეს ორიგინალური ზარის მხატვრის მაძიებელმა გონებამ შექმნა, მაგრამ თვითონვე ჯერ სრულყოფილად არ მიაჩნდა, რადგანაც შემოქმედებით აზრის მიმართ გულგრილი პირები ხშირად ჩაქუჩს ჰპარავდნენ.

ჰუპიაური ეროვნული განწყობის მხატვარი გახლდათ და გამომგონებელს არც გაჰკვირვებია, კარი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა მასპინძელმა რომ გაუღო.

– ახლავე, – მხატვარი კოხტად შეტრიალდა და იქვე შესასვლელში, ირმის რქაზე დაკიდებული პერმის პიჯაკის ჯიბეში სტუცა ხელი. ყველა ჯიბე მოსინჯა, მერე შარვალი ჩამოიღო, საფისტონე ჯიბესაც კი მისწვდა, მაგრამ ფული რომ ვერ იპოვა, დოინჯი გაიკეთა, გულმკერდი საჭიდაოდ გამოსულივით გამობერა და დასჭექა:

– ღვთისავარ!

– რა იყო? – სასტუმრო ოთახიდან თოთხმეტიოდე წლის გამხდარ-გაწლიკული ბიჭი გამოვიდა.

– ფული ვინ ამოიღო? – იკითხა მრისხანე მამამ.

– რა ვიცი მე, – მშვიდად თქვა ღვთისავარმა და ოთახში შებრუნდა.

– ღვთისავარ, – მხატვარმა კედლიდან მათრახი ჩამოხსნა და მარჯვენაში მოკეცილად დაიჭირა. რატის ტანმა უგრძნო, რომ აღმზრდელობითი მიზნით ყმაწვილის დასჯის უსიამოვნო სურათის მოწმე გახდებოდა, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა.

– რა გაღრიალებს, მე ამოვიღე! – კარში მხატვრის მეუღლე, ქალბატონი ლოლა გამოჩნდა, – გამარჯობა, რატი, რას შვრება ქეთინო? – ქეთინო რატის გოგოს ერქვა.

– რას იზამს.

– ხვალ უშვებთ სკოლაში? არა?

– აბა?

– რა ვიცი, შაბათობაო – დამრიგებელმა, ჩემსას არ ვუშვებ.

მამა-ჰუპიაურს მოთმინების ფიალა აევსო და დაიგუგუნა: – ჩემს ჯიბეში ფათურს არ დაანებებთ თავს?

– ხურდა არ მქონდა, შე გადარეულო, – წყნარად უთხრა თანამეცხედრემ, – მემაწვნეს მივეცი.

– რა მივცე ახლა, აბა, თქვენი ჭკუით, რატის, კაბელის ფულს რომ აგროვებს?! – დოინჯს არ იცილებდა გამწყრალი ხელოვანი.

– რამდენია რატი საჭირო? – ქალბატონმა ლოლამ ჰკითხა.

– სამი მანეთი.

– ხვალ ამოგიგზავნი, შენ შემოგევლე, აღარ დამრჩა ჯიბეზე, ხვალ ხელფასს ავიღებ და შესვენების დროს ამოგიგზავნი, ასე, სამისათვის გვიან ხომ არ იქნება?

– მე მგონია, არა, სამამდე მაინც ვერ მოასწრებს გაკეთებას, კარგად ბრძანდებოდეთ.

რატიმ სერგო ჯიშკარიანის კარისაკენ გასწია, მაგრამ ქალბატონმა ლოლამ დაადევნა.

– ეგენი არ არიან სახლში, რატი. სერგო კისლოვოდსკში ისვენებს და ტასიკო დედამისს ადგას თავზე ხარაგოულში. ლოგინად ჩავარდნილა საწყალი.

– სერგოს რა დასვენება აუტყდა ამ სიდედრის ავადმყოფობის დროს? – რატის გაეღიმა.

– მოსალოდნელი უბედურებისათვის გულს იმაგრებს, – დაიბუბუნა ჩოხოსანმა მხატვარმა, ორივე ხელი საქილეებზე დაიწყო და ჯანაშიას მდაბალი სალამი მისცა.

მესამე სართულზე პეტრე შიოშვილის კარი ღია იყო და დოლ-გარმონის ბრაგუნ-ჭყვიტინი ისმოდა. პეტრე – ქალაქში ცნობილი ფარმაცევტი – მოქეიფე, პურის მჭამელი კაცი გახლდათ; უზადო თამადა, ტკბილმოუბარი, მუდამ მხნე და მღერალი, „ჩავარდნილთა“ ხელის გამმართავი, უხვად გამცემი და უშურველი.

რატიმ ფეხაკრეფით წადგა რამდენიმე ნაბიჯი, იმ იმედით, იქნებ ქალთაგანს ვისმე მოვკრა თვალი და სამი მანეთი გამოვართვაო. გაწყობილი, გრძელი მაგიდის თავში თავჩაკიდებული პეტრე შიოშვილი იჯდა. იქვე, მოშორებით, გიორგი სააკაძის სურათის ქვეშ დივანზე გადაქცეულ ღაბაბიან კაცს ეძინა. სუფრასთან მეტი არავინ ჩანდა. დამკვრელები ფეხზე

იდგნენ და არცთუ მომხიბვლელად უკრავ-მღეროდნენ სიმღერას კინოფილმიდან „ჩრდილი გზაზე“.

იღბლად, პეტრემ სწორედ მაშინ ასწია თავი, როცა გამომგონებელმა შეიხედა. ეს ამოდენა, მთვრალი კაცი, ჩიტივით წამოფრინდა, რატის ეცა, გადაკოცნა, სახელოში ხელი სტაცა და ძალით დასვა სუფრასთან. ყანწი გაავსო, „ამით ჩემო რატი, ჩვენს გამომქაჩავ ბებია-ქალს გაუმარჯოსო“, სულმოუთქმელად დაცალა და, რასაკვირველია, რატისაც ბოლომდე დააცლევინა. „შენ დაუკარო“ შესძახა წამით შეყოვნებულ დამკვრელებს. მუსიკის საამო ჰანგებმა მასპინძელს თავი რომ ჩააქინდვრინა, რატიმ დრო იხელთა, სამზარეულოში გავარდა და პეტრეს მეუღლეს, ქალბატონ ნინოს აუწყა, რა საქმეზეც იყო მოსული. ნინომ მაშინვე გამოურბენინა სამმანეთიანი. ახლა რჩებოდა მთავარი საქმე, პეტრეს შეუმჩნევლად ბინიდან გასვლა. ჯანაშიამ სამზარეულოს კარი იფარა და, რომ ეგონა, სამშვიდობოს ვარო, სწორედ მაშინ მოესმა ფარმაცევტის კატეგორიული ნათქვამი:

– სად მიიპარები, რატი? ასე ვართ ჩვენ ერთმანეთთან?!

– ბოდიშს ვიხდი, პეტრე ბიძია, – რატის შეწუხებული სახე ჰქონდა, – ძალიან მეჩქარება, მერე დაიძინებს ხალხი, სამ-სამი მანეთი უნდა ავკრიბო, კაბელს ვცვლით.

პეტრემ ყურადღებით მოუსმინა, ერთხელ კიდევ ჩაჰქინდრა თავი, მერე ფულის შემგროვებელს მიუახლოვდა, თავისი მძიმე ხელი მხარზე დაადო და ძალად დასერიოზულებული, მთვრალი კაცის კილოთი დაარიგა:

– შენ კარგი ბიჭი ხარ, რატი. მე ასე რომ მიყურებ, მე... კაბელიც ვიცი რა არის და ყველაფერი... ციდან ჩამოფრენილი კი არ ვარ... მაგრამ გლახა საქმეში არ გაგრიონ. თვითონ შეეკრიბათ თუ შესაკრები იყო, გლახა საქმეში არ გაგრიონ... მოიცა, მაგათთან არ მიხვიდე, – პირდაპირ, გოქსაძეების ბინისაკენ გაიშვირა ხელი – არ არიან ეგენი სანდო ხალხი. მაგათ ფულს – ჯიბეში ხელი ჩაიყო, – მე დავდებ, ოღონდ

მაგათ დაანებე თავი. საშარო საქმეა მაგათთვის ფულის გამორთმევა... შენ ვერ გეტყვი ყველაფერს, – თუმნიანი ამოიღო, რატის გაუწოდა და როცა ეს უკანასკნელი ხურდას უბრუნებდა, ხელები ქარიშხალში მოხვედრილივით გაასავსავა, – რას ეძებ რატი? მანეთის ხალხი ვართ ჩვენ?!

– შემოდი, შემოდი, ნუ გადარიე მეზობლები. დაანებე ამ კაცს თავი, ხომ ხედავ, საქმე აქვს, – ისეთი წყრომაგარეული მოფერებით უთხრა ქალბატონმა ნინომ, როგორც ნორმალური ცოლები მთვრალ ქმრებს ეუბნებიან.

– უსაქმო არავინაა დღეს და საერთოდ... – მაგრამ ეს ბოლო სიტყვები რატის აღარ გაუგონია, იგი უკვე მეორე სართულზე იყო და მერის კარის ზარს რეკავდა.

კარის გაღება დაუგვიანეს. როდის-როდის მერის ახალმა მეუღლემ გამოიხედა და სამმანეთიანი უსიტყვოდ გაუწოდა. იგი ცალი ხელით აბურდულ თმას ისწორებდა, და მეორე ხელით ვეფხისფერ, ფუმფულა ხალათს წელთან იკრავდა. ხანდახან მორცხვად შეხედავდა სტუმარს. რატის ეცნო ვეფხისფერი ხალათი. იგი მერის ეცვა, როცა ფოსტის ყუთთან შეეფეთებოდა გამომგონებელს და თავის უძირო ჟუჟუნა თვალებს აავლ-ჩაავლებდა დაბნეულ მეზობელს. რატი მალე გამოერკვა, დარწმუნდა, რომ მის მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის ახლა ვეფხისფერ ხალათზე ფიქრს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მასპინძელს მადლობა მოახსენა და ავთანდილ მირიანაშვილის ბინისაკენ გაიწია.

ავთანდილი და მისი მეუღლე შინ არ იყვნენ. სიდედრმა, რომლის სახელიც გამომგონებელმა ვერა და ვერ გაიხსენა, ჯერ დაწვრილებით გამოჰკითხა, რა მიზნით გროვდებოდა ფული, ევალებოდა თუ არა სახლმმართველობას ელექტროკარადის შეკეთება და კაბელ-დამცველის გამოცვლა. საერთოდ არც ერთი სახლი არ იხდის ამის, ამის და ამის ფულს, ამდენ-ამდენს და ჩვენ რატომ გვახდევინებენო. ეს სამი მანეთი რომ გადავიხადეთ, თუ გვაძლევთ რაიმე დოკუმენტ-

სო. როცა რატისაგან სანუგეშო ვერაფერი შეიტყო, იქნებ ეს საქმე მაინც მოვაგვაროთო, და დაიწყო:

– შვილო რატი... ავთანდილს ვერ ვეუბნები და იქნებ შენ გვიშველო, ავთანდილი ნახევარჯერ არაა სახლში. სად გადავსახლდეთ, თორემ გადავსახლდებოდით. წნევამ ამიწია, ვკვდები ქალი, – ცერა თითი ზევით ასწია, – ყოველდღე დოლგარმონის პრუწუნს და ბრაგან-ბრუგუნს გაუძლებს ადამიანი? ბავშვებს ისე გაუწყალდათ გული, შუაღამემიდე არ შემოდიან სახლში. გაკვეთილების სწავლას ვინ დაეძებს, ავთანდილის ხასიათი ხომ იცი, მეზობელს არ აწყენინებს. არავინაა ჩვენი პატრონი? ვის ეხება ეს საქმე, ვის უნდა შევჩივლო, ვინ გააფრთხილებს შიოშვილებს. ვინაა ახლა თავმჯდომარე?

– ლევანია, წიკლაური. ასე ჩამოდის ხმა? – მაღლა აიხედა ჯანაშიამ.

– ჩამოდის რომელია. მაინც, ცეკვას რომ დაიწყებენ, ჭერი ინგრევა. ეს ახალი სახლები ბრაცი-ბრუცისათვის და ბუქნაობისთვის რომ არ არის გათვალისწინებული, არ იცის ვითომ პეტრემ? თუ არ იცის, უნდა გააგებინოს ვინმემ. ავთანდილი, ხომ იცი, რა კაცია, აქეთ გამამტყუნებს და მეზობელს არ აწყენინებს.

ამ ლაპარაკში სიდედრმა სამმანეთიანი გამოიტანა. თუ კაცი ხარ, სიაში შეიტანე და ხელი მომაწერინეო, მოსთხოვა რატის და როცა ფულის შემგროვებელმა ეს თხოვნა შეუსრულა, ერთხელ კიდევ ჰკითხა:

– ლევანი რა გვარია, რა მითხარი?

– წიკლაური.

– რომელ სადარბაზოშია?

– მეორეში, მეშვიდეზე.

– გმადლობთ; უნდა მივიდე. მე თვითონ უნდა მივიდე. რომც ეწყინოს ავთანდილს, უნდა მივიდე. ხომ ქეიფობს ხალხი დოლის ბრაგუნის და ხტუნვის გარეშე, ისე იქეიფონ მაგათაც. როგორი გასაძლებია, მოვიდეს ერთი წიკლაური და მოუსმინოს.

პირველი სართულის მარჯვენა ბინა ვინმე ქავთარაძეს ეკუთვნის, მაგრამ ჯერ არათუ არ გადმოსულა, მეზობელთაგან თვალითაც არავის უნახავს. ამ რვა წლის წინათ, კენჭისყრის დროსაც ბევრი ეძებეს, მაგრამ მის გზა-კვალს ვერ მიაგნეს, ამბობენ, თანამდებობის კაცია, ეს ბინა შვილიშვილს აუშენა, შვილიშვილი ჯერ არ ჰყავს, მაგრამ მალე ეყოლებაო. კენჭი რომ უყარეს, ქავთარაძეს დარჩენილი ბინა პირველ სართულზე უკენჭოდ მიაკუთვნეს, ხოლო მის პირდაპირ მცხოვრებმა ოთარ ჯანჯარიამ პირველი სართული თვით ამოირჩია. სიმაღლის ავადმყოფობა მაქვს და ზედა სართულზე ცხოვრება არ შემიძლიაო.

ქავთარაძის გაქირავებულ ბინაში სტუდენტები სუფევენ. მათ თვით ქავთარაძე არასოდეს უნახავთო. ბინა მისმა ნათესავმა მოგვაქირავაო. მოკლედ პასუხობენ.

კარი ყვითელმაისურიანმა ჯინსოსანმა, შავტუხა ბიჭმა გაუღო.

– სამი მანეთი, – შეაგება რატიმ.

– ახლავე, – თქვა სტუდენტმა, ჯიბეზე ხელი გაიკრა, არც მეტი და არც ნაკლები, სწორედ სამმანეთიანი ამოიღო და გაუწოდა.

– გმადლობთ, – გამომგონებელი კარს მოშორდა.

ჯანჯარიამ კარი ზარის დაურეკავად გაუღო. ეტყობა, იგი მცირე გაფაჩუნებაზე საჭვრეტსმოჭიჭინებული გახლდათ. აინტერესებდა კაცს, ვინ მიდიოდა ქავთარაძეებისას და, საერთოდ, რა ხდებოდა ქვეყანაზე.

– მობრძანდი, რატი, – შეიპატიჟა მასპინძელმა. ოთარ ჯანჯარია ორმოციოდე წლის, ტანდაბალი, გამხდარი კაცი იყო. ჩაშვებული ქუთუთოები და კურდღლის თვალები ჰქონდა. საუბრის დროს მარჯვენა მხარს ნერვიულად ათამაშებდა და განზე იხედებოდა.

– სამ მანეთს ვაგროვებთ ელექტრონისას, – დაღლილი, მოწყენილი ხმით აუწყა ჯანაშიამ.

არტელ „უსინათლოს“ მიერ შეკერილ იაფფასიან მიტკლის პიჟამაში გამოწყობილი ჯანჯარია გარეთ გამოვარდა. ჯერ მაღლა კიბისკენ გაიხედა, მერე ლიფტის გვერდით სამალავს შეავლო თვალი, რატის ხელი მოჰკიდა, სახლში შეიყვანა და იდუმალი, აკანკალებული ხმით ჰკითხა:

– მარტო ხარ?

რატიმ თავი დაუქნია.

ჯანჯარიამ წყალი დაისხა, მოსვა. მაგიდას მიუჯდა და სტუმარს შეაშტერდა.

– არავინ მოგყოლია შენ ახლა?

– ვინ უნდა მომყოლოდა?

– ფულს აგროვებ, აბა, მეტი არაფერი? რატი, იმ ერთ ბავშვს გაფიცებ, ნუ დამიმალავ, ხომ იცი, როგორ გენდობი, – მასპინძელს ხმაში ლამის ტირილი გაერია.

– რა მოგივიდა, რაშია საქმე? – რატი წამოდგა, შეატყო, რომ ჯანჯარიას ფარსაგი რამ სჭირდა.

– არაფერი, – ოთარმა წყალი ისევ მოსვა, – სტუდენტებმა მოგცეს?

– კი.

– რამდენ ხანს იქნება ეს სტუდქალაქი ჩემ წინ, არ კითხულობს ამას არავინ?

– ვერ გეტყვი, – რატის ეძინებოდა და ერთი სული ჰქონდა, წასულიყო, – სამ-სამ მანეთს ვაგროვებ.

ჯანჯარია წამოხტა, მეორე ოთახში გავარდა, სამი მანეთი გამოურბენინა და კითხვაც მიაყოლა:

– წიკლაურმა იცის?

– რა?

– ფულის შეგროვების ამბავი.

– არ გვითქვამს. შინაურულად ვაგროვებთ. სახლმმართველობას კაბელი არ აქვს. კერძო კაცს ვაკეთებინებთ.

ჯანჯარიას შეეტყო, რომ ეს ახსნა-განმარტება არ მოუსმენია. კარში შეაჩერა გამომგონებელი, მუდარით სავსე თვალებით შეხედა და ხმადაბლა, შეთქმულივით ჰკითხა:

– გაფიცებ იმ ერთ ბავშვს, ჩემზე მართლა არაფერი გაგიგია?

– რა უნდა გამეგო?

ჯანჯარიამ ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა.

– აბა, გეტყვი მე თვითონ, სანამ სხვა გეტყოდეს. ვიცი, მაინც გეტყვიან. ხვალიდან გავრცელდება, ალბათ, ხმა, ან იქნებ გავრცელებულია, რა ვიცი? ჯანჯარია ქალმა გალახაო. არ დაიჯერო, ადამიანობას გაფიცებ. ოთარ ჯანჯარიას გამლახავი ჯერ არ დაბადებულა. ერთი ჩემი თანამშრომელია, გათახსირებული, ხელიდან წასული ქალი, იმას უნდა ავყვეთ ჩვენ? რა გამლახა, ქოლგა ჩამარტყა ორჯერ თავში და ვითომ პანღურივით ამომარტყა მისი ჭკუით, გალახვაა ეეს? ჯანჯარიას გამლახავი ჯერ არ დაბადებულა. ვიღაცა სალახანა, შეუგნებელ, ბინძურ ადამიანს უნდა ავყვეთ ჩვენ? ხომ არ უნდა ავყვეთ?

მასპინძელი და სტუმარი კარგა ხანს უხმოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

– ა, არ უნდა ავყვეთ, – ბოლოს, მრავალმნიშვნელოვნად უთხრა რატიმ და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.

შინ მობრუნებულმა ფული გადათვალა. ორმოცდაერთი მანეთი შეგროვილიყო. თოთხმეტი მანეთი შემგროვებელმა თავისი ჯიბიდან დაამატა; მთავარია, სამუელთან არ შევრცხვეთ, ამ თოთხმეტ მანეთს, ალბათ, ამინაზღაურებენ, თუ არადა, მაგათ სინდისზე იყოს, ყოველ შემთხვევაში, მეორედ ჩამომვლელი რომ არ ვარ, ხატზე დავიფიცებო.

ამ ფიქრებში ჩაეძინა.

მეორე დღეს სამუელი თორმეტ საათზე მობრძანდა. საათ-ნახევარში მორჩა საქმეს, დაპირებული ფული ჩაიჯიბა და წავიდა. ჰო, მართლა, წასვლისას რატის სთხოვა, მე რომ

ეს გაგიკეთეთ და ფული გამოგართვით, თუ კაცი ხარ, არავისთან წამოგცდესო. რატიმ პირობა მისცა.

ვინ იცის, რა გამოცვალა და რა შეაკეთა ელექტრიკოსმა, ფაქტი ის გახლავთ, რომ აგერ მეორე თვე იწურება, მეოთხე სადარბაზოში შუქი არ გამორთულა.

გუშინ, საღამოს შვიდ საათზე, რატი ჯანაშიას მილიციის რაიონული განყოფილების უფროსი გამომძიებელი ბიწაძე ეწვია და ფულის უკანონოდ შეგროვებისათვის ახსნა-განმარტება მოსთხოვა.

შეშინებული რატი დიდხანს, ტუჩების კვნეტითა და ნერვიული ბუტბუტით წერდა ახსნა-განმარტებას. ოთხნახევარ გვერდზე ჩამოაყალიბა; სისტემატურად რომ ქრებოდა მათს სადარბაზოში სინათლე, რამდენჯერმე რომ მიმართეს, სადაც ჯერ არს, მაგრამ უშედეგოდ, მერე როგორ ჩაისახა მეზობლებში ფულის შეგროვების სურვილი. როგორ დაადგინეს სადარბაზოს წარმომადგენელთა კრებაზე სამ-სამი მანეთი შეეგროვებინათ, როგორ გადაუხადეს ეს ფული უცნობ ელექტრიკოსს და როგორ ჩადგა ამის შემდეგ კალაპოტში სადარბაზოს მდგმურთა ღრმაშინაარსიანი ცხოვრება.

სამუელის სახელი რატის დაპირებისამებრ არ უხსენებია თავის ჩვენებაში.

გამომძიებელმა ბიწაძემ ახსნა-განმარტება ტყავის გრძელთასმიან საქაღალდეში ჩადო, რატის დაემშვიდობა, ამ ერთ თვეს ქალაქიდან არ გახვიდეთ, თუ საჭირო იქნა, დაგიძახებთო, – დაუბარა და წავიდა.

აშკარაა, მეზობელთაგან ვიღაცამ დაასმინა. იქნებ ის „ფხიზელი“ მეზობელი, როცა ამ ამბავს სათანადო ორგანოებს ატყობინებდა, სულაც არ ფიქრობდა, რომ დამსმენი იყო. პირიქით, კანონიერების აღდგენა სურდა. მართლა და მართლა, ჩვენ შორის დარჩეს და ფული ხომ უკანონოდ გროვდებოდა მეოთხე სადარბაზოში?

და ამის შემდეგ მაინც გაინტერესებთ, ვინ გასცა სამეზობლო საიდუმლო? ამ ნოველის ავტორმა, რასაკვირველია, იცის, მაგრამ არ გაამხელს იმის შიშით, რომ მანაც იმავე მეზობლისათვის გამზადებული მეტსახელი არ გაინაწილოს.

იქნებ, შენ თვითონ მიხვდე, ძვირფასო მკითხველო, თუნდაც ამისთვის ნოველის ხელმეორედ გადაკითხვა დაგჭირდეს.

მტრედი თავდაღმა ჰკიდია

ორმა სანიტარმა შემოიყვანა.

სკამზე ნუ დამაბამთო, კაცურად გვთხოვა.

ნუ დააბამთ, ხელები გაუხსენით, ილაპარაკოს-მეთქი თავისუფლად, თქვენ, ყოველ შემთხვევისთვის, კარებთან იდექით და ზარზე შემოცვივიდით-მეთქი.

ჩია ტანის გიჟი იყო. საქციელ-გამოხედვაში რაიმე ხელჩასაჭიდი უცნაურობა არ შემიმჩნევია. ეგ იყო, სანიტრებს გააყოლა მრისხანე თვალები.

ჩვენი პაციენტები სანიტრებს საერთოდ ყველანი ზიზღით უყურებენ.

თავზე ყვითელი ჩაჩი ეხურა, ზოლებიან, ფლანელის პიჟამოზე გენერალსიმუსის ნიშანმიჯღაბნილი (ჩანდა, თვითონ მიახატა) სამხრეები ეკეთა და მხოლოდ ცალი ლოყა ჰქონდა გაპარსული, ისიც ნიკაპამდე.

სანიტრები რომ გავიდნენ, ჩემგან მარცხნივ კედელზე ავლიპი ზურაბაშვილის სურათს მიაქვავა თვალი და მიუხედავად იმისა, რომ ერთი საათი ვილაპარაკეთ, ჩემთვის არ შემოუხედავს.

– სიცხე არა მაქვს, ბატონო. არც წნევა მაქვს, ეგენი დღეში ხუთჯერ სიცხეს და წნევას მიზომავენ. დებილებთან მაქვს საქმე. შე კაი კაცო-მეთქი, ვეუბნები მორიგე ექთანს, სიცხემ თუ ამიწია, ან წნევა თუ მომაწვა, მე ვერ გევიგებ? ბავშვი ხომ არ ვარ-მეთქი, სიცხემ შეცივება იცის და სახსრებში ტეხვა, წნევამ ყურებში შუილი, არ ვარ მართალი? მე ვარ ახლა გიჟი თუ მაგენი არიენ, მითხარი ლოთიანად.

– რას გრძნობ, აბა, რა გაწუხებს?

– მე არაფერი მაწუხებს, – ჩაიცინა – იმისი არ იყოს, ვისაც აწუხებს, იმას მივხედოთ, ჯობია, თვარა მე ქე ვარ მშვენივრად.

– აბა, რატომ ხართ ჩვენთან, როგორ ფიქრობთ, ტყუილად ხომ არ მოგიყვანდნენ.

– ღამღამობით ძილში ყვირი რაღაც-რაღაცებსო.

– რას ჰყვირიო?

– რას ვყვირითქვა და არ მეუბნებიენ. მე თვითონ საიდან მეცოდინება, რას ვყვირი. მძინავს შვენიერ კარქათ. ქე მინდა ხანდახან ჩემი ყვირილი გევიგონო, მარა რას გეიგონებ. თუ ფხიზლად ხარ და არ დეიძინებ, ქე ხარ ჩუმად კაცი. მეგერევა ძილი და იწყებ ყვირილს. რომ გამემეღვიძება შუაღამისას, ვეკითხები, ვინც წევს ჩემს პალატაში: ვყვიროდითქვა? ერთი მეუბნება, არ ვიცი, არაფერი გამიგონიაო და მეორე მეუბნება – გიჟი ხარ ნამდვილი, შე უპატრონო, დასაკლავი მოზვერივით ბღაოდიო.

– სულ სამნი ხართ?

– კიე, ის ერთი, რომელსაც ჩემი ყვირილი არ ესმის, ქაქუთელი დიაკვანია, დღედაღამე ლოცულობს. ვეკითხები, ვისთვის ლოცულობ ამდენსთქვა; ვისთვისო და ვინც მე აქანა შემომაგდოვო. ჩემს ადგილზე სხვა დიაკვანი მეიყვანა, მე საღ-სალამათი კაცი გიჟად გამომაცხადაო. მერე, მაგნაირი კაცის გულიზა ლოცულობ-მეთქი? ვეკითხები. აპაო? მაგას დღედაღამე არ ძინავს. რო ვყვიროდე მართლა ძილში, ხო გეიგონებდა, მეორეა და სულ ძინავს. პატრიგეთელი სინაურიძეა. მატარებელი უყიდია საწყალს. სახლკარი გავყიდეო, ცოლ-შვილი ცის ქვეშ დავტოვეო მაგ მატარებლის გულიზაო. ვიფიქრე, იმ მატარებლით სახლის ფულსაც ამევიღებ ერთ წელიწადში და მეორე წელიწადს ნაშოვნი ფულით ახალ ვაგონებს ვიყიდიო. ყოველ წელიწადს ვიყიდი ახალ ვაგონს და მივუმატებ და მივუმატებ ჩემს მატარებელსო. რათ გინდოდა ამსიგრძე მატარებელი, შე უპატრონოთქვა, ვეკითხები. იყოსო, გრძელ მატარებელში მეტი ხალხი ჩეეტევაო. მე შენ გეტყვი, ადგილი არაა ბოლოშიო. ჰოდა, მოუპარავთ ღამე, როცა ეძინა, ის მატარებელი და ამის ბარობაზე გაგიჟებულა.

– თვითონ სად იყო იმ დროს?

– ვაგონში მეძინაო, იძახის.

– ააა...

– გარეთ რომ ყოფილიყო, ხომ დაინახავდა, ამხელა მატარებელი მიყავს ვიღაცას. მატარებელი ზნაჩოკი ხო არ არის, აგაცალონ და ვერ გეიგო.

– კარგი ახლა, დავანებოთ სხვებს თავი და დალაგებულად მომიყევი, რა იყო, როგორ იყო.

– რა, „რა იყო?“

– სანამ ჩვენთან მოგიყვანდნენ, რა შეგემთხვა.

გაიცინა.

– ხომ გეუბნები, არაფერითქვა, შენ, არ მისმენ, რომ გელაპარაკები? ავად ხვარ ხარ, ნერვები ხვარ გაქვს აშლილი. ტაზეპამი აწყნარებს, სხვათა შორის, მარა სად იშოვი ტაზეპამს, ნარკომანებს ტაზეპამი მორჩებათ?

– გმადლობ. მე კარგად ვარ. გაიხსენე კარგად, წინა დღეებში რამე სანერვიულო ხომ არ შეგემთხვა.

– სანერვიულოს რას ეძახი შენ, სანერვიულოა ირგვლივ ყველაფერი. აპა რა არის, კაჭკაჭი რომ ზის გზის პირას ხეზე. ლამაზ ფრთებს რომ გაშლის და დაეშვება ასფალტზე, ტყვილად არ დაეშვება, ხომ იცი, რაღაცა არის ასაკენკი იქანა, ორჯერ გასკუპ-გამოსკუპდება კაჭკაჭი, ნისკარტის ჩაკვრას ვერ მოასწრებს და მოშხუილდება მანქანა, აფრინდება კაჭკაჭი ხეზე, აბა თავს ხვარ გაასრესიებს, ჩეიქროლებს მანქანა. ისევ დაეშვება კაჭკაჭი ასფალტზე, სკუპ... სკუპ... რავარც იქნა მიაგნო, რავარც იქნა დაარტყა ნისკარტი მარცვალს და მოშხუის, მოგრიალობს მანქანა. ა... ა... სადაცაა გასრისავს ფრინველს, აფრინდება ისევ კაჭკაჭი და ასე წვალობს მთელი დღე, არ არის ეს სანერვიულო?

– ეგრე თუ გავყევით...

– გაყოლით არ გაყვები, მარა თვალებსაც ვერ დახუჭავ. ა, გუშინწინდელ ამბავს გეტყვი თუ გინდა. საბაგიროსთან

ვცხოვრობ მე, მაგერ, ზევით, ბაგრატის გორაზე. მოვდივარ დილით სამსახურში, როგორც შენ ამბობ, რა ჩემი საქმეა, სხვისი საქმე, მოსახვევთან პენსიონერ კიკნაძეს კიბე მიედგა ანძაზე და ქუჩის დენი სახლში შეყავდა, რა ჩემი საქმეა-მეთქი და ავარიდე თვალი. ჯიხურთან პურს ცლიდნენ, ფურგონით მეეტანათ პური და მტვრიან საბარგულში ეყარა. ბიჭოთქვა, მე ვუთხარი, ცელოფანი მაინც ჩოუფინეთ, ხალხი ვართ ჩვენ აქანათქვა. ხომ შეიძლება, შენმა ნათესავმა იყიდოს მაგ პური და დეემართოს დიზენტერია თქვა. არ მომაქციეს ყურადღება. გავმწარდი, მარა ენას კბილი დავაჭირე, ყველაფერზე მე ხვარ ვიმტვრიო თავითქვა, სანამ ხიდამდე მივიდოდი, კუთხეში რომ მაღალი სახლი დგას, ქვევით აფთიაქი რო გახსნეს ახლა, ორი პატარა ბიჭი იხედება მაღლა. მე ვთქვი, რას უყურებენ ეს ბოვშვებითქვა. ევიხედე მეც... მტრედი კიდია თავდაღმა, ვინ დაკიდა ე მტრედი თავდაღმა, არ გეცოდებათ? ქრისტიანები არ ხართ, თქვენ ხვადაგებო, თქვენთქვა წოვუთაქე ბოვშებს ისე, რბილათ, ჩვენც ახლა დევინახეთ ბიძიაო, ატირდნენ. კონსერვის ბანკა აქვს ფეხზე გამობმულიო. დავაკვირდი, მართლა კონსერვის ქილაა გაჩხერილი ჟოლობზე, ისეთ უბედურ ადგილასაა, რო ვერ მიუდგები ვერაფრით. ხეც არ არის ახლოს, რომ მიწვდე ჭოკით, შევედი აფთიაქში. ასე და ასეა, აქანა, მაღლა მტრედია თავდაღმა დაკიდებულითქვა. ვინ დაკიდა მერე, ბატონო, ჩვენ რა შუაში ვართო, თქვენ კი არ ხართ შუაში, მოწყდება ფეხი საწყალს, სულიერი არსებაა, მტრედია ბოლოს და ბოლოსთქვა. საიდან არი ასასვლელი სახურავზე, იმიტომ ამევედი თქვენთანთქვა. აქიდან ვერ ახვალთ ბატონო, ე სახლი ზეით, სამი სართული ცარიელია, პრივატიზაცია გოუკეთებია ვინცხა ჭომელ ფაჩულიას, ჩვენ არ გვინახავს თვალითო. მოსკოვშია ახლა წასული და სამ თვეზე ადრე არ ჩამოვაო, გამევედი გარეთ. სამი-ოთხი მოცლილი კაცი დგას. ი ბოვშვები ქე წასულან. ქვა არ ესროლოთ, ვუთხარიყენ, აფართქალდება მტრედი და მეიწყვიტავს

ფეხს-მეთქი, თუ ასე კაი გინდა მტრედისთვისო, მირჩიეს, წადი ტრანსპორტის სამმართველოში, ამწე მოაყვანიე და ხელათ ჩამოხსნიანო.

წევედი. ხონის გადასახვევთან გოდოუტანიათ, ახლა ყველაფერს დეპარტამენტი ჰქვია, ამწე ვის ეხება აქანათქვა, ვეკითხები კარისკაცს. შედი და გეტყვიენ იქანაო, მაგდენი რო ვიცოდე, კარებში კი არ ვიქნებოდი მეო. შევედი მოადგილესთან, საერთოდ, „უფროსი“ რო აწერია, იმ კართან, სჯობს, არ გაჩერდე, ან მიდღემჩი არ არი, წასულია, ან თუ არის, რათ გინდა, შენ შიგ არ შეგიშვებენ, წესია, ალბათ, ასეთი... „მოადგილე“ დალოცა ღმერთმა, მოადგილესთან შეხვალ როცა გინდა და გამოხვალ. ყოველთვის ადგილზე ზის მოადგილე. ამწე მინდოდა, მე ვუთხარი, რაი გაქვს ასაწევიო, ფეხი ფეხზე გადაადჯვარედინა. ასაწევი არაფერი, მტრედი მყავს ჩამოსაყვანითქვა. რა მტრედი, შენ თუ ძმა ხარ, სიზმარს აყოლილი ხვარ ხარო. მტრედია მაგერ, ჯაჭვის ხიდთან ჩამოკიდებული-მეთქი. რამდენი ხანია, რაც ჰკიდიაო, იცინის. რა ვიცი, ჩემი მტრედი კი არ არის-მეთქი, აბა ვისიაო. ვინცხასია, რა მნიშვნელობა აქვს, მტრედია და მეცოდება-მეთქი, თუ შეგიძლია გამატანო ამწე, მითხარი. თვარა წავალ ჩემს გზაზე, მე მოცლილი კი არ ვარ, სამსახურში დევიგვიანე ამ დილას მაგის გულობიზა-მეთქი. წასვლა დავაპირე. წინ გადამიდგა. არ წახვიდე, თუ ძმა ხარ, მელაპარაკე, ამიხსენი, რაშია საქმეო, ხო აგიხსენი, მე ვუთხარი; მტრედია ჩამოკიდებულითქვა, რაფერაა ჩამოკიდებული თავით თუ ფეხითო. თავით რო იყოს ჩამოკიდებული, ხო დეიხრჩობოდა აქამდე-მეთქი. ცოცხალიაო? გაიკვირვა, აპა, მკვდარი მტრედისთვის ხვარ ვსიმწარობ აქანა-მეთქი, ცალი ფეხითაა ჩამოკიდებული, თუ ორი ფეხითო მეკითხება. ცალითაა, ორი ფეხით რომ იყოს, უკეთესია, უფრო საიმედოდ იქნებოდა-მეთქი, რაზეა ჩამოკიდებულიო. ჟოლობს გამოდებია-მეთქი. რაფერ გამოდებია ჟოლობსო, რა და კონსერვის ქილაზე ყოფილა დაბმული და გეექცა, ალბათ, პატრონს-მეთქი.

კონსერვის ქილას რა ახატია, თუ შეავლე თვალიო. მარცხენა საფეთქელზე სისხლი მომაწვა. რას გლახაობ, შენ მე გიჟი ხვარ გგონივარ, მე ვუთხარი. არაო, შვილებს გეფიცები, მართლა გეკითხებიო. ვთქვათ, კილკა კონსერვის ქილაა, მე ვუთხარი. ცარიელი იქნება, რასაკვირველიაო, აბა სავსე ქილით როგორ აფრინდებოდა-მეთქი. ველაპარაკები ამ კაცს და ვიგრძენი, მარჯვენა თვალი როგორ დამიწვრილდა ნერვიულობისაგან.

– მარცხენა?

– მარცხენა ქე დარჩა, ზომაზე, ჰე, რას შობი, მატან ამწეს თუ არა-მეთქი. ამწეზე რავა გეტყვი უარს, მარა რაცხას მატყუებ შენო. რა არი მოსატყუარი, მე ვუთხარი! სამადლო საქმეა, ცოდოა, იტანჯება მტრედი, ღვთის გაჩენილია, მე ვუთხარი. აპა აპაო. საქმიანი იერი მიიღო. დავრეკავ მე აქიდან. წაი შენ, ფარცხანაყანევის გზაზე რო გარაჟია და იქანა რომელიცხა კაი ამწეა, იმას გამოგატანენო, ჩქარა წაი, არ დაგაგვიანდეს თუ კაცი ხარ. თვითონ არ ეიშვას მტრედმა და წყალში არ ჩეიყაროს შენი წვალებაო.

ძლივს მივაღწიე კითხვა-კითხვით გარაჟამდე. შევედი გარაჟის უფროსის მოადგილესთან. უფროსი, რასაკვირველია, არ იყო, ხო დაგირეკა დეპარტამენტის უფროსის მოადგილემთქვა. არაო. აპა, ვერ გამევიდა ტელეფონით, ალბათ, თვითონ და, თუ კაცი ხარ, შენ დოურეკეთქვა. რა უნდაო. მე გამომიშვა, ამწე გვჭირდება-მეთქი. არ გეწყინოს და მე აკრძალული მაქვს იქით დარეკვა. თუ რამე უნდოდა აქეთ დარეკავდაო. ამხელა კაცი, ტყუილს ხვარ ვიკადრებ, მე ვუთხარი, ამწე გვინდა საჩქაროთ-მეთქი, რისთვის გჭირდება, თუ საიდუმლო არ არიო. მტრედია ჩამოკიდებული-მეთქი. რა მტრედიო, ჩვეულებრივი, უბრალო მტრედია, ვინცხას კონსერვის ბანკა გამოუბია ფეხზე, ჟოლობზე გაჩხერილა და თავდაღმა კიდია. თუ დროზე არ მივუსწარით, შეაწყდება ფეხი და სიკვდილით შეიძლება არ მოკვდეს, მარა ცალფეხა დარჩება-მეთქი. მეცოდება-მეთქი.

გულ-მუცელი მეწვის-მეთქი მისი საცოდაობით, ახლა ერთს გეტყვი მეო, ე მტრედი რომ გეცოდება, ჩვენ რატო არ გეცოდებით, ჩვენც მასე არ ვკიდივართ თავდაღმა ცალი ფეხითო? მეკითხება გარაჟის უფროსის მოადგილე, შე კაი კაცო, ჩვენ ყველა ერთ დღეში რო ვართ, მაგი ახალი ამბავი არაა, მე ოცდასამ ლარათ ვმუშაობ თვეში, მარა ახლა სხვა საკითხზე ვარ მოსული, მაგაზე ხვალ ვილაპარაკოთთქვა. სად მუშაობო, სირაქლემის კვერცხის შემმოწმებელი ვარ, მე ვუთხარი, რანაირად ამოწმებ სირაქლემას კვერცხს, მითხარი, ერთი, ვაჟკაცურადო, მეკითხება. ე ბიჭო, ჩამოწყდა მტრედი ცალ ფეხზე, გამატანე ამწე, თუ მატან, მე ვუთხარი. სირაქლემის კვერცხზე მითხარი ორი სიტყვაო, დამეღრიჯა. რა და რენტგენზე ვაშუქებ სირაქლემას კვერცხს და ნამამლი არი თუ არა, ხელათ ვგებულობ-მეთქი. რა ზომისაა სირაქლემას კვერცხიო. არ ვიცი, არ მინახავს-მეთქი, რას ჰქვია არ გინახავსო. ჯერ არ ჩამოუყვანიათ სირაქლემები, მაისში უნდა ჩამეიყვანონ და კვერცხი მერე გვექნება-მეთქი. მტრედი თავდაღმა ჰკიდია, გამატანე ამწე ვუშველოთ იმ მტრედს და მერე დავჯდეთ და, თუ გინდა დილამდე ვილაპარაკოთ-მეთქი. ფანჯარასთან მივიდა, ეგერ ამწეს ხო ხედავ, მიდი, მოელაპარაკე შოფერს და წამოგყვებაო. შენი სახელით ვუთხრა-მეთქი? შეყოყმანდა, თუ გინდა, უთხარი ჩემი სახელითაცო.

ამწე ჩარაზულია, ვეკითხები ყველა გამვლელს, ამის შოფერი სად არი-მეთქი. ახლა აქ იყო ამწუთასო, ყველა ერთნაირად მპასუხობს, გათავდა შესვენება. ყველა შოფერი მოვიდა, ამის გარდა, გახდა ხუთი საათი, დავდივარ გალიის მგელივით წინ და უკან. ნელ-ნელა თვალში სინათლე მეკარგება. მეჩვენება, რომ ჰა და ჰა უნდა მოწყდეს მტრედს ფეხი. გამოჩნდა, რავარც იქნა, გააღო კაბინა და ჩაჯდა. მივვარდი – მტრედი! შევბღავლე. შეეშინდა – რა მტრედი?! – ჰყვირის თვითონაც, – მტრედია ჩამოკიდებული! – ვყვირი. – სად?! – ჩემზე უფრო ხმამაღლა მეკითხება – ჯაჭვის ხიდთან! – სიბრაზისაგან ყელი

მიშრება. – მერე ჩემთან რა გინდა?! – მართლა დაინტერესდა, – წავიდეთ, ვუშველოთ! – კი, ბატონო! – ჩამოხტა მანქანიდან. – ამწე გვჭირდება! დაქოქე ჩქარა! – მკლავში წავავლე ხელი და ვანჯრევ, – რა დავქოქო?! – მეკითხება – მანქანა! – ხელები მიცივდება და დედამიწა თვალდათვალ ტრიალებს, – სამი თვეა! მოტორი ამოღებული მაქვს! – ილიმება.

მეტი აღარაფერი მახსოვს.

გონს პალატაში მოვედი. ხელ-ფეხი ზეწრით მქონდა შეკრული და თავზე ოთხი ექიმი მადგა. ახლა წამდაუწუმ სიცხეს მიზომავენ და წნევას მისინჯავენ, დებილებთან მაქვს საქმე. შე კაი კაცო-მეთქი, ვეუბნები მორიგე ექთანს, სიცხემ თუ ამიწია, ან წნევა თუ მომაწვა, მე ვერ გევიგებ? ბავშვი ხომ არ ვარ-მეთქი. სიცხემ შეცივება იცის და სახსრებში ტეხვა, წნევამ ყურებში შუილი; არ ვარ მართალი?! მე ვარ ახლა გიჟი თუ მაგენი არიენ, მითხარი ლოთიანად?!

* * *

წამლები დავუნიშნე.

წნევა და სიცხე არ გამიზომავს.

სანიტრებს ვუბრძანე, პალატაში დააბრუნეთ-მეთქი.

სასწრაფოდ ჩავიცვი და ჯაჭვის ხიდისკენ გავიქეცი.

ერთ მომცრო მიტინგს რომ შეეფერება, იმდენი კაცი დგას კუთხის სახლთან.

მტრედი ისევ ცალ ფეხზე ჰკიდია, ჰკიდია მშვიდად, ლამაზ თავს აქეთ-იქით აბრუნებს. ხალხს ათვალიერებს.

ტრანსპორტის დეპარტამენტში უნდა გავიქცე.

ამერიკელი სიძე

მე სიღნაღიდან გახლავართ, ჩემი ქმარი ამერიკელია.

სამი წლი გათხოვილი ვაარ და დღემდე ვერ გამიგია, რათ ამირჩია ამერიკიდან ჩამოსულმა კაცმა მაინდამაინ მე – ერთი შავტუხა, მეტრ-ნახევარი, სიღნაღელი გოგოი.

ჩემი ქმარი, რო ნახო, ამ კარებში არ შამაეტევა, აი, ბეჭები...

ქორწილზე სულ შიშით შავყურებდი, ეტყობა, რაღაც ნაკლი აქვ, თორე იმ სიშორიდან ამითვინ როგორ ჩამავიდოდა, მაინდამაინ მე შავრჩენოდი მეთქი ხელში.

ახლა მეუბნებიან და მაშინ უფრო მეუბნებოდნენ, მაგაი ამერიკაში ერთწყება ცოლ-შვილი ეყოლებაო. მეც ეგრე მეგონა, ღმერთი, რჯული.

კარგა ხანს სადღეხვალიო მეგონა ჩვენი ერთად ყოფნა. აგე, მოწყინდება აქაურობა, დაჰკრავს ფეხს და გამექცევა მეთქი ქა, ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი – არავინაც არა ჰყავ.

ეგ ისე დაჰკანკალებს ჩვენი სიყვარული ნაყოფს – წლინახევრი საბასა, იგრე ჩაჰკოცნის და ჩაიგორებს ლოგინში თავის სისხლსა და ხორცსა, ინგრეთი გადარეული მამაა, რო აშკარად ჩანს, არავინაც არა ჰყავს. რო ვინმე ჰყოლოდა, აქამდე გავიგებდი. კაცს ეგეთი ამბავი ადრე თუ გვიან უეჭველში შაეტყობა.

მხატვარია, დახმარები დამრიგებელ კომისიასა ჰხლებოდა კახეთშია.

სიღნაღში რომ ამოეყვანათ, სულ ორი საათით ყოფილიყვნენ მაშინა, ისე მოსწონებიყო აქაურობა, თვალი უკან რჩებოდა თურმე.

ჩასულიყო ამერიკაში, იქ თავისი საქმეები მიელაგ-მოელაგებინა და თვენახევარში გამობრუნებულიყო.

გამგებელთან ქაღალდი მოეტანა; სიღნაღში ვრჩები მუდმივ საცხოვრებლადა და სამუშაოთო.

აბა, ჩვენ უარი ვისთვის გვითქვამს, რო ამ ამერიკელისთვის გვეთქო. ჩვენი ქუჩი ბოლოში, ფოსტასთან, ფირუზაშვილების ბინაში ოთახი ექირავებინა და იქა ცხოვრობდა.

ერთ დღესაც სახლი წინ გამოსულიყო, გაეშალა სახატავი სამფეხაი და სიღნაღი გალავანს ჰხატავდა, წინ ჩავუარე ფანდურით ხელში.

ფანდური ჭრელაანთ ზეინაბთან მიმქონდა, მათხოვეო, გული გამიწყალა, ძმისშვილის დაბადების დღეზე უნდა დაეკრა.

დამინახა ამ ჩემმა მაიკლმა (მაიკლი ჰქვიან, ჩვენებურად „მიხოს“ ნიშნავს) და თავისი ქართული მასწავლებელი, სანდრო გოშაძე დამაწია.

სანდრო თბილისიდან ჩამაჰყვა. სულ ოთხიოდ თვეში მაიკლმა ისეთი ქართული ისწავლა, რო თქვენი მოწონებული;

თუ სადმე უცხოელი გაჩნდება სიღნაღში, ახლა თვითონ დგება ხოლმე თარჯიმნადა.

მაშინ სულ ორიოდე თვის ჩამოსული იყო.

ბოდიშს ვიხდითო, ეს სანდრო მეუბნება, ამერიკელი მხატვარია დაინტერესებული, ფანდური თქვენიაო?

დავუშვათ, ჩემია, მაგას რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი.

თუ შეიძლება, ერთი წუთით აქეთ მობრძანდითო, მაიკლს რაღაც გადაულაპარაკა, მაიკლმაც სიტყვა დაუბრუნა.

თუ შეიძლება, იქნებ დაუკრასო, სანდრომა.

თქვენ რა, ჭკუაზე აფრაკად ხომ არ ბრძანდებით, რომელი ქუჩის მეფანდურე მნახეთ, არ შეიძლება ფანდურით ადამიანმა გაიაროს? თქვენი დასაცინი ვინ არის-მეთქი.

როგორ გეკადრებათო, თუ გაწყენინეთ, ბოდიშს გიხდითო.

ისევ მაიკლს გადაულაპარაკა.

მაიკლი წამოდგა და შაღონებული სახით ჩემკე წამოვიდა.

დამდგომია ეს ამოდენა დევი თავზე ციცქნა გოგოსა და რაღაცას მემუდარება.

გოგოვ, ზრდილობაი მაუხმე, სტუმარია, ნუ გააწბილებო, ახლა თავად ფირუზაშვილი შაქრუა გადმამდგარიყო აივანზედა.

რაც არი, არი, ჯანი დავარდეს, დავუკრავ-მეთქი.

დავჯე ჭიშკართანა და ავაჟღრიალე ფანდური.

ქუჩაში ხალხი მამჩერებია. მეზობლები სკამებ მაარბენინებენ.

მაიკლი მონუსხულივით მიცქერის.

დავამთავრე „კონცერტი“ და მაყურებელს სამი მხრით თავი დავუკარი. „ფანტასტიკო, ფანტასტიკო! ვერი ნაის, ბიუტიფულ!“ იძახის მაიკლი.

მერე სანდროს რაღაცას ეუბნება. სანდრო უარის ნიშნად თავს აქნევს.

მაიკლი ხელს ჰკიდებს და ახლა უფრო სერიოზულად ეხვეწება რაღაცას.

რა უნდა მეთქი, შამეცოდა, თუ კიდევ ჰსურს, ერთ სამ სიმღერას კიდევ ვიმღერებ-მეთქი, შავგულიანდი ქაა.

არაო, სანდრომა, ახლა ისეთ რამეს ამბობს, შენ კი არა, მეც არა მჯერა, ნეტა, ცოტა შერეკილი ხომ არ არის, ჩემთვის ვფიქრობო.

რა უნდა, ამოშაქრე-მეთქი.

ხელსა გთხოვსო.

სირცხვილისაგან ყურები გამიწითლდა, მასხარად თავი აიგდოს-მეთქი.

გავიდე ფანდური მხარზე და მივდივარ.

აბა, იმ დღეი რაღა იქნებოდა და მეორე დღეს სანდრო, შაქრუა ფირუზაშვილი და თვითონ ე მაიკლი მაადგნენ მამაჩემსა. ეგრე და ეგრეა საქმეო. შაქრუამ, ე, პატიოსანი ამერიკელი მხატვარი ქალის ხელსა გთხოვს და თუ ჭკუაში გიჯდება, გააყოლე, თუ არა და შენ შენთვინ და ეგ თავითვინაო.

კი მაგრამ, სად ნახა ამ გადამთიელმა ჩემი გოგოი, შეიცხადა მამაჩემმა.

გუშინა ფანდურით ჩამაიარა, ცოტა კიდევაც წაუღიღინა და მას აქეთ ეს სტუმარი მოსვენებას არ გვაძლევს. მაგ გოგოს მეტ ცოლად არავის შევირთავო – შაქრუამ ჩაუკაკლა.

– შენ რას იტყვი, გოგო?! – ცალყბად მეკითხება მამაჩემი დაიმედებული იმითა, რომ უარს ვტკიცამ.

– რავი, რა, გავინაზე – ძალიან დიდი ხომ არ არის მეთქი?

– სიდიდე ეგ არაფერი, ზვინის ქვეშ თაგვი არ მაჰკვდებაო, შაქრუამ.

– ერიჰა, ე ვინ გამიზრდია. არ იცი, შე ოხერტიალო, ეგა მაჩხაანელი კი არ არის, ამერიკელიაო, მამაჩემმა.

მერე რა, ამერიკელობით რა უჭირს, კაი კაცია-მეთქი, ჩავილაპარაკე.

მამაჩემმა ერთიც გადახედა. ერთი კარგა ჰკითხეთ, მამა უცხონდა, ცოლად შერთვა მაგათთან სხვა რამესა ხომ არა ჰქვიანო.

კიდევ წაისაუბრეს სანდრომ და მაიკლმა.

მაიკლი წამორცხვ-წამოწითლებულია, თვალს არ მაცილებს.

ეგეთი თვალების პატრონი არ შეიძლება სტყუოდეს-მეთქი, და ყველაფერი იმ დღეს გადაწყდა.

გადავწყვიტე და ბედნიერიცა ვარ, პაპაჩემის სახლში ვცხოვრობთ, მამაპაპეული ძველი სახლია, მამაჩემიც იქაა დაბადებული და გაზრდილი.

თითქმის უპატრონოდ გვქონდა მიტოვებული ეს ამოტოლა სახლი, რაც პაპაჩემი გარდაიცვალა.

სიძეს, მოგეხსენება, მურტალ ნათესავს ეძახიან კახეთში. სიძე-სიდედრი „სიამტკბილობაზეც“ ბევრი გაგეგონება, მით უმეტეს ჩასიძებულზე.

მაიკლიც ხომ ჩასიძებულია, მაგრამ ჩემებს მზე და მთვარე მაგაზე ამოსდით.

ღმერთის კაციაო, ღმერთმა გამამიგზავნაო, მამაჩემი იტყვის ხოლმე.

გვერდიდან არა სცილდება, უთენია მიჰყვება ვენახში, ნამდვილი კეთილი დევია. ოთხი კაცის საქმეი აკეთებს.

ნეტა რა ცხოვრებაა ინგრეთი იმ ამერიკაში, რომ მაიკლს

აქაური ყველაფერი მოსწონს. სუ იცინის და იცინის. სულ კარგ ხასიათზეა.

პირველად ჩვენი ვირი რომ დაინახა, გაიქცა, მუყაო მაარბენინა და ოთხ მხრიდან დახატა.

პირზე ხელს მაფარებდა, არ შააშინო, არ შაიტყოს, რო ვხატავო.

აბა, ვირი როგორ გაიგებს, ხატავ, თუ მამამისთან წერილს ატან მეთქი.

შენ არ იცი, რა მშვენიერია ვირი, როცა ბალახს სძოვს და როცა იცის, რომ არსაიდან უთვალთვალებენო.

თქვენთან საერთოდ ძალიან მშვიდი ცხოველები არიანო.

ადამიანები ხართ ცოტა ცეტები, სიდინჯეში ვირებს რომ დაემსგავსებოდეთ, უკეთესო იქნებაო.

მამაჩემმა ვირი ტაჭკაში რო შეაბა, ერთი ვაიუშველებელი ატეხა, ქაა.

რა დაგიშავა, ეგრე სასტიკად რად ექცევიო.

მერე ტაჭკიანი ვირი დახატა და თვითონვე მოეწონა, ტაჭკა ძალიან უხდებაო.

ვერ წარმოიდგენ, როგორ ექომაგება ვირსა, მამაჩემმა ორი ტომარა ხორბალი რო დაუდოს ტაჭკაზე, მაიკლი ერთს აააცლის და თვითონ მიაქვს. პატარაა, ცოდოაო.

ამასწინათ თივა აეცლია და ჭიშკარში ორი ზვინი შემოვიდა. ზვინქვეშ აღარც ვირი ჩანდა და აღარც თვითონა. იცინოდა. ვირში ხომ არ შეგეშალეო.

რთველზე ჩვენმა მეზობლი კაცებმა ფეხები ბანვა რო დაიწყეს, გაკვირვებული უცქეროდა, ამ შუა მუშაობაში ფეხებ რითვინ იბანენო.

სამივენი საწნახელში რომ ჩახტნენ, ჩემი ქმარი დასაბმელი გახდა.

„ნოუ სტერილ! ნოუ სტერილ!“ გაჰყვიროდა, სახელოზე მექაჩებოდა, ვინ არის ან, რა უნდა, ეგ რადა ჰქნეს, ამოტოლა ყურძენი რათ გააფუჭესო.

როგორც იქნა ავუხსენი და დავაშოშმინე. მაჭარმა ღარის გზა რომ იშოვა და ჭურის შუაღარში ჩქეფა იწყო, საწნახელსა და ჭურს შუა გარბოდ-გამორბოდა მაიკლი, მაჭარს ჭიქას ამაავლებდა და გახედავდა. სახეზე ეწერა, ფეხებით რომ არ დაეწურათ, ენგრე მღვრიე არ იქნებოდაო.

სახეზე ეწერა, მაგრამ თქმას ვერა ბედავდა.

ხომ სამი წელია და მეტი არა, რაც კახეთშია, ნამდვილი მევენახე დადგა.

სუ ზეპირად იცის, ვაზს რა სტკივა, როდი სხვლა-ფურჩვნა სჭირდება, როდი წამალი წასხურება და აკვრა-დამაგრება. ღვინი მოვლაში ხო „პიატი“ აქვ.

ხანდახან ვეკითხები ხოლმე, ხომ არ ნანობ-მეთქი, ამ ყრუ ადგილას რომ გიწევს ცხოვრება, ვინ იცის, გული ამერიკისკენ მიგიწევს მეთქი.

არ დაიჯერო ეგაო, მეო, უბედნიერესი კაცი ვარო.

უბედნიერესი არ ვიცი, მაგრამ უცნაური კი ხარ-მეთქი.

რათაო, იცინის.

რო მომვარდი პირველად ნანახ გოგოს, რამ აგიბა თვალი-მეთქი.

რაო და ინგრე გულდაგულ მიდიოდი, ინგრე ერთგულად მიგქონდა ფანდური, რო გავიფიქრე, ამ ჯაზურ-კონტრაბასულ დროში გოგოს რო ფანდური მიაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვებს არა ჰგავ და ცოლადაც სწორედ ეს გამამადგება-მეთქი მიპასუხა.

ყოველ დილით ალიონზე „მალბერტს“ (თუ რას ეძახიან) ამოიიღლიავებს და გალავნისკენ გარბის.

სულ ალაზნის ველს, სიღნაღის გალავანს და ვირებს ხატავს.

გაავსო სახლი.

ამეებს ამერიკაში გავგზავნი, გაჰყიდიან და ბევრ დოლარს გამაგვიგზავნიანო.

არ მინდა-მეთქი შენი დოლარები, მაიკლ, ჯანმრთელად ვიყვნეთ და ენგრეც ვიქნებით-მეთქი.

ჰხატამს და ჰხატამს. რამდენჯერ თავზე წავდგომივარ ისე, რომ ჩემი მისვლა ვერც გაუგია.

გარინდებული შესცქერის ხოლმე ალაზნის ველსა.

შეხედეთ, ალბათ ეგეთია სამოთხეო.

ეგეთი სილამაზე დედამიწაზე სხვაგან არ იქნებაო.

შავყურებ მეც და მეც მომწონს ქაა.

აქა-იქ ნისლის ოხშივარი რო ასდის ალაზნი ველსა, მკრთალი ბუსუსი რო დასთამაშებს და შორს ცა და მიწა რო ერთმანეთს უერთდება, აქეთ, ბოლოს თერ-ლურჯად როა დაშვებული კავკასიონის ფარდა, მართლაც ლამაზია ეგ ოხერტიალი და შიში გამკრავს ხოლმე გულში მაიკლის სიკეთისა არ იყოს, ეს ალაზნის ველიც არ წაგვართვას-მეთქი ავთვალმა და ავზნე ყისმათმა.

მაიკლი კი იცინის და იცინის.

ზამთარში სინათლე რო ჩაქრება, მამაჩემი ერთს გულიანად შეუკურთხებს შუქი გამთიშველსა, ჩემი ქმარი გაკვირვებით შეხედავს.

„ნოუ პრობლემ!“ დაიძახებს და გაიცინებს, მერე მე მომვარდება, შალის ზეწარს შემომახვევს და ყელთან გამისკვნის, თბილ წინდებს ჩამაცმევს და რეზინის ჩექმებში ჩამაყოფინებს ფეხებს: აბა, გავვარდეთ და ფიჩხი მოვიტანოთო.

შეშა იმდენი გვაქვს მომარაგებული, რო ორ ზამთარს გვეყოფა, მაგრამ მაიკლს სწორედ ახლა, მთვარისაგან თეთრად განათებულ თოვლიან ტყეში სიარული და ფიჩხის შეგროვება მოსწონს.

ბედნიერება სწორედ ეგ არისო. აშენდა მისი ოჯახი, ვინც დენი გათიშაო.

უფრო დიდი ბედნიერება რა იქნება. მე და შენ ტყეში, ზამთარში, ხრაშუნა თოვლზე ფრთხილად ვაბიჯებთ და ბუხრისთვის ფიჩხს ვაგროვებთო.

ძალიან მოგწონს-მეთქი? ვეკითხები და გათოშილ ხელებს ვიორთქლავ.

ძალიან, ძალიანო, ეს ხომ ფანტასტიკურიაო, – გულში მიკრავს და ჩემ ცივ ხელებს ქურთუკის ჯიბეში იწყობს.

თოვლი კი ხრაშუნობს და ტყეში დიდი, ცივი, ვერცხლისფერი სიჩუმე დადის.

ვინ იცის, იქნებ, მართლაც ფანტასტიკურია, ქაა, ეს ყველაფერი.

ემიგრანტი სალვადორე მანაგო

ემიგრანტ სალვადორე მანაგოს (ემიგრანტობამდე სანდრო მანაგაძე) ოთხმოცი წელი შეუსრულდა.

დაკვირვებული მკითხველი უჩემოდაც მიხვდებოდა, რომ ბატონი სალვადორე ემინგრანტთა იმ პირველი, სახელოვანი ნაკადის შემადგენლობაში არ გახლდათ, 1921 წლის თებერვალში ბათუმი ნაღვლიანი სიმღერით („სალამი, ჩიტუნებო“) რომ დატოვა და შავად მბოლავი გემის ანძაზე საცოდავად რომ უფართხუნებდა ნარმაზე გოგებაშვილის ასოებით მოგვირისტებული ტრანსპარანტი. ... „ჩვენ დავბრუნდებით“ (ისე დაბრუნდა თქვენი დამაწყევარი).

სალვადორე ემიგრანტადწოდებულთა იმ შედარებით მოკრძალებულ ფრთას ამშვენებდა, მიუხედავად სტალინის დიდი ხათრისა, მეორე მსოფლიო ომის წლებში ალყის დროს „გმირულ სიკვდილს“ ცოცხლად დარჩენა რომ არჩიეს. ერთხანს მოთმინებით ხეხეს საკონცენტრაციო ბანაკები და ომის დამთავრების მერე, მიუხედავად კგბ-ს არაერთგზისი გულწრფელი, თავაზიანი მიპატიჟებისა, ვერა და ვერ ირწმუნეს, რომ უშიშროების კომიტეტი „სამშობლოს ღალატს“ სულგრძელად აპატიებდა და საბჭოთა გულაგების, კონცლაგერებზე არაცთუ ნაკლებადმკაცრ, გზას არ გაუყენებდა.

იმდენად ღრღნიდა ნოსტალგია ყოფილი ტყიბულელი ბოგანო გლეხის, ამჟამად რიო დე ჟანეიროს მოქალაქის, ბიზნესმენ სალვადორე მანაგოს სულს, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დარეკა.

მეო, სამინისტროს პასუხისმგებელ მოხელეს უთხრა, ორმოცდათხუთმეტი წლის წინათ დავტოვე საქართველო. ახალა ოთხმოცი წლის ვარ, არ მინდა ისე მოვკვდე, ჩემს ცოლს (გერმანელი ცოლი მყავს) საქართველო არ ვანახოო (აქ, აშკარად

იცრუა ბატონმა სალვადორემ, მართალია, მის მეუღლეს ქართველები ძალიან უყვარდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ოჯახის წევრთაგან მხოლოდ თვითონ ჰქონდა დაუოკებელი სურვილი სამშობლოს მონახულებისა. რაც შეეხება მეუღლეს, საქართველოს ხუჭუჭა მთების და ყალმით ნახატი წყალ-ჭალის დათვალიერების სურვილი არ ჰკლავდა, მაგრამ ქმრის მამულეთში ექსკურსიაზე უარს არ ამბობდა), თუ მომცემთ ნებას ჩემი ხარჯით ერთი კვირით ჩამოვიდეო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი გულისყურით მოეკიდა სალვადორეს სურვილს, რა მოხელე ბრძანდებითო, ჰკითხა, რიო დე ჟანეიროში რა საქმიანობას ეწევითო, მანდ როგორ მოხვდითო. ჩვენი ემიგრაცია ხომ ძირითადად პარიზში, ჟენევაში და მიუნხენში ცხოვრობსო. ნასამართლევი ხომ არ ბრძანდებითო. საქართველოში ახლო ნათესავთაგან ვინ გეგულებათო... მერე ასევე თავაზიანად აუწყა: ბოდიშს გიხდით, მე უბრალო მორიგე ვარ, ტექნიკური მუშაკი, რაც გკითხეთ, ისე, ჩემთვის მაინტერესებდა, თორემ თქვენი ჩამობრძანებისათვის რა მნიშვნელობა აქვსო. თუ არ შეწუხდებით, სამი დღის შემდეგ ამავე ნომერზე დარეკეთ და პასუხს შეგატყობინებენო.

ცოტა არ იყო, შემკრთალმა სალვადორე მანაგომ ყურმილი დაჰკიდა. რა სამშობლოში გაკუნტრუშება ავიკვიატე ამ ოთხმოცი წლის ბეხრეკმა. ჩემი თავი ჯანდაბას, ნათესავები მაინც რაღაზე დავასახელე. ე მანდ არაფერი ავნონო.

მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. საქართველო ხომ დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანაა და ღმერთო კი მომკალი რომელი ემიგრანტისთვის უთქვამთ ჩამოსვლაზე უარი, რომ სალვადორესთვის ეთქვათ.

და აი, წარბებიანად გათეთრებული, საშუალო ტანის, სქელულვაშა, სპორტულად ჩასხმული, საეჭვოდ თეთრკბილება სალვადორე მანაგო (ყოფილი სანდრო მანაგაძე) თავის ოდესღაც ალბათ, ლამაზ, ამჟამად მხოლოდ სიმპათიურ გერმანელ

მეუღლესთან ერთად საჰაერო ხომალდის (მარშრუტი: რიო დე ჟანეირო – მეხიკო – ნიუ-იორკი – ლონდონი, სტამბოლი – თბილისი) კიბეზე დგას

ნუ ელოდება მკითხველი კლასიკოსთა მიერ არაერთგზის ხაზგასმულ და, შეიძლება ითქვას, გაცვეთილ ფრაზას: „სანდროს არემარე ესხვაფერა. მანაგაძემ ველარ იცნო საქართაველოს დედაქალაქი“.

მე ასეთი რამის დაწერას არ ვაპირებ, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბატონი სალვადორე თბილისში ნამყოფი საერთოდ არ იყო. იგი ხომ ამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, როგორც ახალწვეული, ოკრიბიდან ქუთაისში ჩაიყვანეს და ქუთაისიდან (ბრონეულას სამხედრო აეროდრომი) პირდაპირ ლენინგრადში ჩააფრინეს.

დახვედრები... ნაცნობ-უცნობთა სიხარულისაგან აცრემლებული სახეები... კონვეიერის მიერ დაგვიანებით ამოზიდული, ნაჩქარევი ჩხრეკის გამო ბოლომდე შეუკვრელი ჩემოდნები... ვახშამი მეტეხი-პალასში... ამას ყოველივეს აღწერა აღარ სჭირდება, რაკიღა ისეთ მკითხველთან მაქვს საქმე, რომ თუ საზღვარსგაღმა სტუმრად არსადაა ნამყოფი, მასპინძლობა მაინც არ აცდებოდა, დახვედრა-მასპინძლობის პირველი საათები მსოფლიოში ერთნაირია. საქართველოში შეიძლება, ცოტა მეტი ემოციები (ჩვენი ტემპერამენტიდან გამომდინარე) სჭარბობდეს, მეტი არაფერი.

სასტუმრო „მედეაში“ მიუჩინეს ბინა.

ის-ის იყო იაბაზანეს და თერთმეტსაათიან „კურიერს“ მიუსხდნენ, რომ კარზე კაკუნი გაისმა.

რიო დე ჟანეიროში ჯერ გვერდითა ჭუჭრუტანიდან გახედავენ ხოლმე, ვინ დგას კარებთან. თუ ვერ იცვნეს, შეეკითხებიან, ვინ ბრძანდებითო. თუ მაინც ვერ იცნეს, ზრდილობიანად ბოდიშს მოუხდიან. გვაპატიეთ, მაგრამ თქვენი პიროვნებისადმი დიდი პატივისცემისდა მიუხედავად, კარს ვერ გაგიღებთო.

ეს რაც შეეხება რიო დე ჟანეიროს, მაგრამ სალვადორე მანაგო ამჟამად ხომ რიო დე ჟანეიროში კი არა, თავის სამშობლოში – საქართველოში იყო, ამიტომაც კარისაკენ გაიქცა და ცნობისწადილით პირთამდე სავსემ გააღო.

სახეგაბადრული, შავახალუხიანი, უჩოხო, ცისფერთვალება, წვეტაღმააბრუნებულულვაშოსანი, თმახუჭუჭა შუახნის მამაკაცი ხორუმის გასმა-ილეთით შემოსრიალდა და პირდაპირ სალვადორეს მეუღლისაკენ აიღო გეზი. გაოცებულმა მეუღლემ საკოცნელად ორივე ხელის მტევანი უშურველად დაუთმო, მერე ქმრისკენ მიუთითა, უცნობი სალვადორესკენ გამოსრიალდა და ქვითინით ჩაეხუტ-ჩაეხვია.

მეო, ტირილით აუწყა, თქვენს ჩამოსვლას ოცდაათი წელია ველიო, მუშფაკში თქვენ რომ ფიზაღზრდას გასწავლიდათ, იმის ძმის შვილიშვილი ვარო. საწყალი ბაბუაჩემი აღარ არის ცოცხალიო. მეო, მეო, სოფელს ჩემი ხარჯით ელსადგურს ვუშენებ, ახლა ცოტა ხელი შემეშალა, ავსტრალიაში ჩემს ინვესტორთან უნდა ჩავიდე და გზის ფული არ მაქვსო, თქვენს მშობლიურ სოფელს თქვენი დახმარების იმედი აქვსო.

მისცა სამასი დოლარი სალვადორემ და თან ბოდიში მოუხადა, ჯიბეზე მეტი აღარ დამრჩაო.

იმ ღამით კიდევ ორი „ახლობელი“ ეწვია სალვადორეს. ორივენი ტყიბულიდან სხვადასხვა მიზეზის გამო თბილისში განთესილნი აღმოჩნდნენ. ორივეს სახელოვანი თანამემამულის ნახვის სურვილი კლავდა და თანაც ფინანსურ დახმარებასაც ითხოვდნენ, ოღონდ მტკიცე პირობას სდებდნენ, რომ ფულს უსათუოდ საქვეყნო, საქველმოქმედო საქმეს მოახმარდნენ.

ამჯერად სალვადორე მანაგო ერისთვის მზრუნველ სტუმრებს მხოლოდ ას-ასი დოლარით დაეხმარა.

მეორე დღეს სალვადორეს მონახულების მსურველთა რიცხვმა გეომეტრიული პროგრესით იმატა, მოდიოდნენ პოლიტპატიმართა ჭირისუფლები, ხეიბარ ბავშვთა მშობლები, თიაქრის ოპერაციადაჭირვებული ნათესავები, ეროვნული მოძრაობის ვეტერანები, ქმრისგან მიტოვებული ცოლები, მიუსაფარი სიდედრები, მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ და-

კარგულთა შთამომავალნი, მშობლიურ რაიონში სტადიონის და აბანოს აშენების ენთუზიასტები, „პერპენტუუმ-მობილეს“ გამომგონებლები, თმის გადანერგვის მოწადინე მელოტები, ბუასილისგან შეწუხებული ბუღალტრები, ყელგამშრალი ლოთები, „ლომკებიანი“ ნარკომანები...

თხოვნა-მიახლების საოცარი ტექნიკა ჰქონდათ დამუშავებული. ფულს თხოვდნენ ფუნიკულიორის საბაგირო კაბინაში შესვლის დროს, ფილარმონიის კიბეზე მუხლისთვის ქარის ამოღებინების სამი წუთის განმავლობაში, დალაქთან ულვაშის შესწორების მომენტში, შვეულმფრენით თბილისის ზღვის დათვალიერებისას და, თქვენ წარმოიდგინეთ, სადილის წინ ერთ ადგილას დასაბანად შესულსაც კი.

თბილისში ჩამოსვლის მესამე დღეს რიო დე ჟანეიროს მოქალაქემ, სალვადორე მანაგომ (ყოფილი სანდრო მანაგაძე), თავაზიან მასპინძელთათვის პრესკონფერენცია გამართა და ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო:

– მე, ბატონო, რასაკვირველია, ბედნიერი ვარ, საქართველოში რომ ჩამოვედი. ჩემი ამბავი ასთე იყო: პლენათ მოვხვდი, რასაკვირველია, გერმანიის ომში. რომ გითხრათ ახლა, დაჭრილი ვიყავი, სისხლიდან ვიცლებოდი, გონება დავკარგე და რომ გამეღვიძა, ბუხენვალდში ვიყავი მეთქი, არ ვიქნები მართალი და ვერ მოგატყუებთ, ჩავვარდი პლენათ საღ-სალამათი ისე, რავარც სხვები ბარდებოდნენ. უკნიდან მეეპარა გერმანელი ჩემს „ზვოდს“ და განგვაიარაღა თქვა, არც ესაა მართალი” ა, ასთე იყო: ვზივართ აკოფში, სროლაა, ვისვრით ჩვენც, რაც შეგვიძლია. დილისკენ მიწყნარდა სროლა, გათენდა კარგათ და ვხედავთ, გავსებულია გზა. მოდიან ქამარშემოხსნილი ჩვენი ჯარისკაცები. ერთი და ორი კი არა, ასი კაცი, ათასი კაცი... რა ვიცი, რამდენი. გვერდზე გერმანელი მოყობათ. ყოველ ხუთ მეტროში, არავინ, არ გარბის არსად, ავდექით ჩვენც, შემოვიხსენით ქამრები, დავყარეთ იარაღი და შევერიეთ ტყვეებს. გერმანელები წყნარად გვიყურებდნენ, მერე ეშალონებში შეგვყარეს და წაგვიყვანეს, კონცლაგერში ყველას ხოცავდენ და საპონს აკეთებდენო, რო წერია თქვენს წიგნებში, არც მაგია მთლად მართალი, ებრაელებს ერჩოდნენ კი, სხვებს, თუ არაფერს დააშავებდი, არა, ერთხელ ბეწვზე გადავრჩი. ჩაგვამწკრივეს, ერთი დღის მორეკილი ვართ ბუხენვალდში, გვიცხადებს ზედამხედველი: ებრაელები ვინც ბრძანდებით, ერთი ნაბიჯით წინ გამოდით, ჩვენო, ბუხენვალდში მაღაზიებს და დამშეული მოსახლეობისათვის საკვების გამანაწილებელ პუნქტებს ვხსნითო. ებრაელები ვაჭრობის მცოდნე, ნიჭიერი, პატიოსანი ხალხია და იგენი უნდა დავასაქმოთ ამ სამუშევრებზეო. ერთმანეთს ასწრებდნენ ურიები წინ ნაბიჯის გადადგმას. სახეზე სიხარული ეხატათ, ძლივს არ გეიგეს ჩვენი ფასი ამ შტერმა გერმანელებმაო? შევერევი ებრაელებში, მე ვთქვი, ვინ მიცნობს აქანა, ქართველები კი მაინც ვგევართ ურიებს და ვაჭრობაში თუ მოვხვდი, გადარჩენილი ვარ კაკალი კაციოქვა, გადავდგი წინ ნაბიჯი, მარა შენც არ მომიკვდე, არ ჩამიყენეს ებრაელებმა. ჯერ ხელი მკრეს და უკან მიმაგდეს, მერე, ჩემი რო არ დევიშალე, ყარაულს დოუძახეს – ეს არაა ებრაელი და ნუ მოძვრება ჩვენთანო. მკრა პანღური გერმანელმა და გამაგადო ჩემს ადგილას. წეიყვანეს ებრაელები თავისი ფუთებიანად და იმის მერე არც ერთი არ გვინახავს. თურმე რისი მაღაზია, დასახოცავად არჩევდნენ.

დამთავრდა ომი, გაგვიღეს კონცლაგერის ჭიშკარი, გამოგვყარეს პლენები და გამოგვიცხადეს: სამი დღის განმავლობაში საბჭოთა ჯარების კამენდატურაში გამოცხადდით რეგისტრაციის გასავლელადო. მივხვდი, რაცხას ნიშნავდა რეგისტრაცია, მაშვინ ამბობდა სტალინი: ჩვენ პლენები არ გვყავს, ჩვენ გვყავს სამშობლოს გამყიდველებიო. თუ არ დამხვრიტეს, ციმბირი მაინც არ ამცდება, ვიცი ჩემი იღბალი, ციმბირს კიდო კონცლაგერი მირჩევნოდა. რავარცხა იყო, მიუნხენში ჩავაღწიე. ვიცოდი მიუნხენში წინა ოკუპაციის დროს დარჩენილი კაი ემიგრანტები ცხოვრობდნენ. ნასწავლი ხალხი,

ინტელიგენტები, რომ იტყვიან. კითხვა-კითხვით მივადექი ერთ დიდ კაცს. რათ გინდათ ახლა მისი გვარის დასახელება, ჯერ მაშვინ იცოდა მისი სახელი ბევრმა საქართველოში და ახლა ხომ იცით და იცით. გამიღო კარი, მარტო ცხოვრობდა. ქართველი ვარ, ოკრიბელი ვარ, მე ვუთხარი, უფრო გეეხარდა, მე ვარციხელი ვარო. კონცლაგერში ვიყავი, იქიდან მოვდივარ, მე ვუთხარი. ვხედავ, ტანსაცმელზე გატყობო, მაგ ტანსაცმლით სიარული ახლა საშიშია აქანაო, ამერიკელების გარდა რუსებიც დადიან ბევრი და მოგკლავენო. გამომიტანა თავისი ტანსაცმელი, ჩამაცვა, მაჭამა, თავისი ხელით გამიწყო სუფრა. ეგება რამე საქმეზე დამაყენო, მე ვუთხარი, აქანა თქვა. არაო, ნება არ მაქვსო, მე რომ ახლა შენ რეკომენდაცია მოგცე, შენთვისაა ვარესი და მეც შავ დღეს დამაყრიანო. აპა, ეგება ფულით გამიმართო ხელი, გექნება, თავშენახული (თავზე პარიკი ეკეთა) კაცი ჩანხარ, ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროსთქვა. სასტიკი ვარი მტკიცა. ჯერ ერთი, ფული არ მაქ და რომც მქონდეს, მაინც ვერ მოგცემ, მათხოვრობას მიეჩვევი და საქმეს არ ეწევიო. რა ვქნა აპა, რა ქვას ვეცეთქვა, ვკითხე. მე შენს ალაგას სამშობლოში დავბრუნდებოდიო, წამოდგა ფეხზე, ამით მაგრძნობია, დავამთავრე შენთან ლაპარაკიო და მომიხურა კარი. მიხვდებით ალბათ გრიგოლ რობაქიძე იყო.

დავადექი გზას. გერმანია დიდია. მე სოფლელი კაცი ვარ, სოფლის საქმე უფრო ვიცი და ეგება სოფელში ვიშოვო რამე სამუშევარითქვა. ტრამვაის ბოლო გაჩერებაზე ჩამევედი და დავადექი სოფლის გზას. სოფელი ჰქვია თვარა, ჩვენს ქალაქს ჯობია. მშვენიერი მოვლილი ეზოები, კაი კოწოლიანი სახლები, ჩემო ბატონო. ერთ ეზოში ხანშიშესული კაცი ბარავს. შემოვკარი ზარს ჭიშკართან, გამევიდა ცოლ-ქმარი... „არბაიტ, არბაიტ, არბაიტერ!“ ვეუბნები, კიო, მივხვდითო, ქალმა. ქმარმა ცოტა რუსული იცოდა. ჩვენო სიამოვნებით მიგიღებთო, მარა გვყავს უკვე მუშაო, იმ ბებერ კაცზე მიმითითა, ცოლი რაცხას ეუბნება, ქმარი მომიბრუნდა: ჩემი ცოლი მეუბნება, გოუშვათ ეს ბებერი, მაინც აღარ შეუძლია და ეს მივიღოთო, იცინის, რავა გეკადრებათ-მეთქი და გავტრიალდი. ცოლ-ქმარი კიდო კამათობენ, დამიძახეს, მომაბრუნეს, რა გეწყინა, შე კაი კაცო, რა გითხარით ამნაირიო, მე ისეთი ქვეყნიდან ვარ, სადაც მოხუცებს დიდ პატივს სცემენ, ამ კაცისთვის წართმეული ლუკმა არ შემერგება-მეთქი და წასვლა დავაპირე. კიდო გადმოულაპარაკეს ერთმანეთს და კაცმა მითხრა: „შენ კაი კაცი ჩანხარ, გღებულობთ სამუშაოდ და არც ამ მოხუცს გავაგდებთო.

ხუთი წელი ვიმუშავე იმგენთან. პატარა ეკონომიურათ რომ ფეხი მევიდგი, მერე ოფიციანტათ დევიწყე მუშაობა რესტორანში და ცოლი შევირთე, გერმანელი გოგო. ცხრამეტი წლის. რას ჰქვია, რუსს გაყევი, ჩვენს ამომგდებს ცოლათო და მშობლებმა სასწრაფოდ მოთხოვეს ჩემი მიტოვება. არაო, ჩემმა ცოლმა, თუ ასეა საქმე, თქვენთან აღარ მოვალო. წამევიდა ჩემს ნაქირავებ ოთახში და საცხა მე ვმუშაობდი, იმ რესტორანში თეფშების მრეცხავად დეიწყო მუშაობა.

ასე გევიტანეთ თავი ჩვენი შრომით და წვალებით. მერე იურიდიული დავამთავრე. ადვოკატობა დევიწყე. ორი შვილი გავზარდეთ. არ არიან გლახა ბიჭები. თავისი შრომით ჭამენ პურს.

მე ვინ მკითხავს სხვისი ჭკუის დარიგებას, მარა რომ გადავხედე აქოურობას, თლათ სწორად არ უნდა ცხოვრობდეთ. გერმანიაში და, რა ვიცი, ჩემ ახალგაზრდობაში, საქართველოშიც ასე იყო, კაცისთვის ფულის თხოვნა სირცხვილად ითვლებოდა. ფულზე სასესხებლადაც არ გადევიდოდა ბაბუა-ჩემი გარაღმა თუ ნამეტანი, ჰა, უკიდურესად რა გოუჭირდებოდა. თქვენთან, რავარც ვატყობ, „ფული მომეცი“, ნამეტანი იოლი სათქმელი გახდა.

მე კიდო ხუთი დღე ვიქნები საქართველოში და გთხოვყენ ყველას, თუ გინდათ, გაზეთში დაწერეთ ეს ჩემი ნათქვამი. ჩემთან ფულის გულობიზა ნურავინ ნუღარ მოვა. კაპიკს ვერ მივცემ ვერავის. ჯერ ერთი, აღარ მაქვს და მეორეც, გადეირია

ჩემი ცოლი. რატომ აძლევ ფულსო. მე ვეუბნები, თვითონ კი არ მთხოვენ, მე თვითონ ვჩუქნითქვა. ახლა ამაზე გედეირია, რათ აკადრებ სტუმარს ფულის მიცემას, ხომ ეწყინება, ხომ დამცირებულათ იგრძნობს თავსო. ასეა ჩვენთან, არ გეწყინოთ ჩემი ნალაპარაკები.

* * *

ამას წინათ ოტია იოსელიანი გამოვიდა ტელევიზიით და სხვათა შორის, თქვა:

„შეიძლება, ქვეყანა რვა წელიწადი დახმარების და მოწყალების იმედზე იყოს? ერთ სიკვდილს ვათავებ, მთავრობის ხალხი რომ ტრაბახობს, ეს დაგვეხმარა და ის დაგვეხმარაო, ქე, ამხელთ მერე ამას, თქვე კაი ხალხო? აღარაა დრო, დევიკაპიწოთ ხელები და მივხედოთ ჩვენ ჩვენ თავს?

დახმარებას ვინც იძლევა, ისაა კაცი, თვარა ვინც ღებულობს – მათხოვარია“.

პატიმარი გერგაია

იუსტიციის დავთრებში ამ ციხეს „მეთხუთმეტე ქალთა იზოლატორი“ ერქვა. მოქალაქეები და საარჩევნო უფლებაწართმეული პირები უბრალოდ ჭაჭომის ქალთა კოლონიას ეძახდნენ.

2001 წლის 14 ივლისს ზემოხსენებული ციხის №4 საკანს ზედამხედველი მიადგა და სათვალთვალო სარკმელს ჩასძახა:

– გერგაია, გაემზადე!

– შენი ცოლი გაამზადე, ბიკენტი! – დაუხანებლად უპასუხა პატიმარმა.

საკანში გადაიხითხითეს.

– გერგაია, რატომ ხარ ასე მყრალი, მართლა გეუბნები – გაუმეორა ზედამხედველმა.

– მეც მართლა გეუბნები, ბიკენტი, შენი ცოლი გაამზადეთქვა. ხომ იცი, არ მიყვარს უშნო ხუმრობა!

– ქალო, შეაგროვოს ვეში და გამოვიდესო უფროსმა, არ გესმის შენ?

– რომელმა უფროსმა?

– რომელიცხა გვყავს ჯერჯერობით, ძაგნიძემ.

– რა უნდა?

– მე მგონია, შეწყალება შეგეხო, გათავისუფლებენ.

საკანში დუმილი ჩამოწვა.

მეოთხეში სამი პატიმარი იმყოფებოდა: გურჯაანელი შირმანაშვილი, რომელიც მამამთილისათვის თავში ტაფის ჩარტყმისთვის იხდიდა სასჯელს, ოზურგეთელი ფხალაძე, რომელიც ლილოს ბაზრობაზე ულიცენზიო არაყს ჰყიდდა და ჭაჭომელი ნათელა გერგაია, რომელიც ბოროტი ხულიგნობის მუხლით სულ რაღაც ხუთიოდე თვის წინ გაასამართლეს და სამი წელი ჰქონდა მისჯილი.

ნათელა ნარიდან წამოხტა და ნელი ნაბიჯით, ტანის იმგვარი რხევით, მხოლოდ ლამაზ ქალებს რომ უხდებათ, მივიდა კარებთან.

– ბიკენტი, მე შეწყალება არ მითხოვია.

– ქალო, მე რა ვიცი, შენ რა ითხოვე. მე რაც მითხრეს, ის გითხარი. მოკიდე შენს ფუთას ხელი და გამოდი გარეთ.

„ბოროტი ხულიგანი“ ნარებისკენ არ შემობრუნებულა. – აი, რა, ბიკენტი, გადაეცი ძაგნიძეს, პატიმარი ნათელა გერგაია ციხიდან გამოსვლაზე უარს ამბობს-თქვა.

– ქალო, არ გეხუმრები-მეთქი, გესმის შენ?

– მესმის, ბიკენტი, მეც სრულიად სერიოზულად გპასუხობ. წადი და ასე მოახსენე შენს უფროსს.

ოცდახუთი წელი სრულდება, რაც ბიკენტი ციხეში მუშაობს. რა უცნაურობა არ გაუგია პატიმრისგან, მაგრამ გათავისუფლებაზე რომ ვინმეს უარი ეთქვას, პირველი შემთხვევაა.

ნახევარი საათის შემდეგ ნათელა გერგაია ციხის უფროსის წინ იჯდა.

ძაგნიძე ამ თანამდებობაზე თვე-ნახევრის დანიშნული გახლდათ. ადრე ჭაჭობის მესამე სადაბო ბიბლიოთეკის დირექტორად მუშაობდა. როცა რეფორმატორმა იუსტიციის მინისტრმა ყველა ციხის უფროსი, ვისაც საკუთარი სახლი ჰქონდა, მოხსნა, აქაოდა, თქვენ რომ პატიოსანი ხალხი იყოთ, საკუთარი სახლები (და საერთოდ სახლები) არ უნდა გქონდეთო, მაშინ უხმეს ძაგნიძეს.

ორმოცდაათს გადაშორებულ ძაგნიძეს იურიდიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ იურისტად ერთი დღეც არ ემუშავა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამსახური ვერ იშოვნა.

რომ არა სამართლებრივი უწყებების რეფორმა, ძაგნიძის დიპლომს კიდევ კარგა ხანს დაეყრებოდა მტვერი.

ნათელამ იცოდა, რომ ციხის უფროსის კაბინეტში არც სკამი იყო დაჭედებული იატაკზე და არც მაგიდა.

სკამი თავისუფლად გამოსწია და დაჯდა.

– ქალბატონო ნათელა – საკმაოდ გრძელი პაუზის შემდეგ დაიწყო ძაგნიძემ – ხომ გითხრეს, რომ ასე მოხდა.

– რა მოხდა, მოქალაქე ციხის უფროსო? – ნათელა ფანჯარას გასცქეროდა.

ციხის სარკმელს ატმის ხე მისდგომია.

– არ გითხრეს?

– გასახარელი კარგა ხანია, ჩემთვის არაფერი უთქვამთ.

– თქვენ პრეზიდენტის შეწყალება შეგეხოთ.

– მაპატიეთ, მე უნივერსიტეტის სტამბაში ვმუშაობდი და ერთი ახირებული პროფესიული ჩვევა მაქვს.

– ბრძანეთ.

– ქართული გავუსწორო ყველას, ვინც ამახინჯებს.

– რა ვთქვი ასეთი?

– „მოწყალება შეგეხოთ“ არ ივარგებს.

– ბოდიშვ ვიხდი.

– აჯობებდა „თქვენ პრეზიდენტმა შეგიწყალათ“.

– კი, ბატონო, ასე იყოს... საერთოდ კი, მე თქვენ ადგილას მადლობელი დავრჩებოდი.

– მადლობელი მაშინ დავრჩებოდი, შეწყალება რომ მეთხოვა.

– პირადად არ გითხოვიათ?

– არა.

– მაშინ... მითუმეტეს, უნდა გიხაროდეთ. არ გითხოვიათ და შეგიწყალეს.

– მაპატიეთ, მაგრამ ვერ მივიღებ ამ შეწყალებას.

– უცნაურად მსჯელობთ, ქალბატონო ნათელა.

– მე თქვენ მიცნობთ, მოქალაქე ციხის უფროსო?

– ისე... შორიდან.

– ?!

– მიტინგებზე მინახავხართ, მომისმენია თქვენთვის.

– იმ მიტინგებზე, სადაც მე სიტყვით გამოვდიოდი, თქვენ არ უნდა ყოფილიყავით.

– ეს როგორ გავიგო?

– მარტივი ამბავია. ჩვენ სხვადასხვა ნაპირზე ვდგავართ.

– მაინც?

– მე საქართველოს თავისუფლება მსურს, თქვენ – არა.

– მე რა შემატყვეთ საქართველოს მტრობის, ქალბატონო ნათელა?

– მე ხელისუფლებას ვებრძვი, თქვენ ამ ხელისუფლებას იცავთ.

– რა იცით, იქნებ არ ვიცავ.

– ჩემი და ჩემისთანების საკნის გასაღები რომ ჯიბეში გაქვთ, იქედან ვატყობ.

– სამსახური ხომ მინდა... მე არ ვიქნებოდი, სხვა დაჯდებოდა ჩემს ადგილზე.

– დავანებოთ ამას თავი, კამათი შორს წაგვიყვანს. იქნებ კონკრეტულად ამიხსნათ, რისთვის მიხმეთ.

– მითხრეს თქვენი დაუჯერებელი სურვილის შესახებ.

– შეწყალებაზე უარს ამბობსო?

– დიახ.

– მე მგონი ჩემს სურვილში გაუგებარი არაფერია.

– რატომ? რატომ? ასე გაგიტკბათ ჩვენთან ყოფნა?

– ისე გაუტკბა თქვენს დამაწყევარს, მაგრამ რომ გამოვიდე, რისთვის გამოვიდე. თქვენ ხომ იცით ხვალ-ზეგ რა მელის.

– რა გელით?

– ისევ დევნა, ისევ ჩხრეკა, ისევ დარბევა და მხარ-კისერზე რეზინის კეტის ბაზუნი.

– კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამს.

– ეგ ანდაზა აქ სრულიად უადგილოა. ჯერ ერთი, მე ადამიანი ვარ და თანაც ქალი. თუმცა, თქვენი ყოჩაღი ბიჭებისთვის ხომ სულერთია... ზვიადისტი მათთვის საბაგუნო-საჩაჩქუნო ობიექტია და სხვა არაფერი.

– ესე იგი არ აპირებთ გასვლას?

– გარეთ რომ რამე შეცვლილიყო, გავიდოდი. საქართველოსთვის სასურველი ხელისუფლება რომ მოსულიყო, ციხის

კედლებს გავანგრევდი და შევეგებებოდი. ახლა კი... ვერ მოგანიჭებთ ამ სიამოვნებას, რომ ხელახლა დამიჭიროთ, ხელები გადამიწრიახოთ და ხელახლა გამასამართლოთ თქვენი მოსაწყენი, კორუმპირებული, უნიჭო და უსამართლო „სასამართლოთი“... მომწყინდა. აქ ყოფნას ვამჯობინებ.

– გაგიგონიათ სადმე, პატიმარს თავისუფლებაზე უარი ეთქვას?

– ჩვენთან ხომ ყველაფერი გაუკულმართებულია და აი, მე, პატიმარი ნათელა გერგაია ციხიდან გასვლაზე კატეგორიულ უარს მოგახსენებთ.

– არ მჯერა, ეგ პოზაა, ცოტა არ იყოს, მეტიჩრობას წააგავს.

– გულწრფელად მოგახსენებთ... თქვენთვის ძნელი გასაგები იქნება... რასაკვირველია... თქვენ პოლიციელი ხართ. მე, ეროვნული მოძრაობის ერთ ჯარისკაცს, ჩემი მორალური კოდექსი მაქვს. თუ ფიქრობთ იმაზე, რა თვალით შემხედავენ ხვალ?

– რა თვალით უნდა შეგხედონ, ციხეში იყავით და გაგათავისუფლეს.

– კი არ გამამართლეს და გამათავისუფლეს, არამედ შემიწყალეს, შემიბრალეს... მერე და რა დანაშაულისთვის ჩამსვეს ციხეში...

– ეგ სასამართლოზე უნდა გაგერკვიათ.

– ვინ მომისმინა. ჩემი დანაშაული ის იყო, რომ ავს ავი დავარქვი და სამშობლოს გამყიდველს – სამშობლოს გამყიდველი.

– მერე?

– რა მერე... ახლა რომ შეწყალება მივიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ მე დამნაშავედ ვაღიარე ჩემი თავი და ხვალ-ზეგ დანაშაული უნდა გამოვისყიდო. ყველანი შემხედავენ, როგორც შემკრთალს და მუხლებზე დაცემულს.

– მაგრამ შენთვის არც აქ მოყვანა უკითხავთ და არც აქ გაჩერებას გკითხავენ. საკმარისია, გავცე ბრძანება და კინწისკვრით გაგაგდებენ აქედან.

– ცოტა სიტყვები შეარჩიეთ, „კინწისკვრით გაგდება“ პატიმრის ძალადობას, შეურაცხყოფას, ფიზიკურ ხელყოფას ნიშნავს, რაც კანონით ისჯება. მე სისხლის სამართლის კოდექსი თქვენზე ნაკლებად როდი ვიცი, ავდგები და გიჩივლებთ.

ციხის უფროსს ხმაში სევდა გაერია, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

– მოკლედ... თქვენ თავისუფლება გინდათ თუ არა?

– ასეთ ქვეყანაში, არა, მოქალაქე ციხის უფროსო.

* * *

...გარეთ გაზაფხული ფეთქავდა. ჩიტები ფანჯრებს აწყდებოდნენ და საგაზაფხულო ხმაზე ჟღურტულებდნენ.

პატიმარი ნათელა გერგაია მეოთხე საკნისკენ მიჰყავდათ.

მიაბიჯებდა დაღლილი, გაცრეცილი... მაგრამ საოცრად ამაყი და გაუტეხელი.

კანონიერი და უკანონო

ნაციონალური ფართლეულის დეპარტამენტის უფროსმა რამინ ფიფიამ თავის სადარბაზოსთან პოლიციის ორი მანქანა რომ შენიშნა, გამოტრიალდა და ჯიხურთან მჯდომ კანონიერ ქურდს – პაწია ემხვარს ჰკითხა:

– ვისთანაა ეს პოლიცია პაწია?

– ვინც დაუძახა, იმასთან იქნება, მე რა ვიცი, – განზე გაიხედა პაწიამ.

– რა გვინდაო?

– მე რა ვიცი, ვიღაც გაუძარცვავთ.

– ჩემს სადარბაზოში?

– მე რა ვიცი, – პაწიამ მხრებზე მოგდებული ბუკლეს პიჯაკი შეისწორა და ასფალტზე დადგმულ ლუდის ბოთლს მიწვდა.

„მე გამძარცვეს, არ უნდა ლაპარაკი“, – გაიფიქრა ფიფიამ და ნაბიჯს აუჩქარა.

დეპარტამენტის უფროსი ბოლო დღეებში ლიფტთან უცნობ და საეჭვო სახეებს ხშირად ხვდებოდა. იცოდა, რომ უეჭველად გაძარცვავდნენ, მაგრამ მთლად ასე ცხადლივ, დღისითმზისით თავდასხმას არ ელოდა.

უნდა ვაუწყო მკითხველს, რომ ქურდისა და ბნელი ღამის ანდაზა კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. ქურდობა ახლა ღამით (განსაკუთრებით ბნელი ღამით) იშვიათად ხდება!

– მოდის! – დაიძახა ვიღაცამ. ღია კარებში მდგარი მეზობლების დანახვაზე რამინს ფერი ეცვალა. მოსეირენი წელში გასწორდნენ და ოჯახის თავი გაატარეს.

– მსხვერპლი ხომ არ არის? – ამოილუღლუღა გაძარცვულმა.

– არა, ნუ გეშინია.

სასტუმრო ოთახში დივანზე ისხდნენ ცოლი და სიდედრი (რამინის ერთადერთი ბიჭი ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლობდა), ორივეს შუბლი ჰქონდა წაკრული, ორივენი ერთნაირი ხმით, ნაზად პასუხობდნენ შეკითხვებზე. ფიფიამ ჩანთა კედელთან მიაგდო და სკამზე ჩამოჯდა. სიდედრს უფრო ყოჩაღად ეჭირა თავი, რასაც რამინი მოელოდა კიდეც.

ქურდების ხელწერა თბილისურ სტანდარტებს ეთანწყობებოდა. დაურეკავს ტელეფონით ინტელიგენტურ ხმას:

„ქალბატონო, ბატონ რამინთან ქუთაისიდან წერილი გამომატანეს და, თუ შეიძლება, შინ მოგართმევთო“.

„საღამოთი იქნება ჩემი ქმარი და იქნებ საღამოზე მოგეტანათო“, მეუღლეს უთქვამს.

„უკან ვბრუნდები ავტობუსით დღესვე და საღამოს ვერ გეახლებითო“, ინტელიგენტური ხმა შეწუხებულა.

„თუ თქვენ შინ არ იქნებით, არა უშავს, მეზობელს დავუტოვებ, მაგრამ წერილი დალუქულია და ვაითუ მეზობელთან დატოვება უხერხული იყოსო“.

„რა პრობლემაა, ბატონო, მოიტანეთ, მე თუ არ დაგხვდით შინ, დედაჩემი იქნება და გამოგართმევთო“, გაუიოლებია საქმე ქურდისთვის ფიფიას მეუღლეს.

მერე, როგორც ჟურნალისტები იტყვიან ხოლმე, „მოვლენები ჩვეულებრივად განვითარებულა“.

...ქურდებს დედა-შვილი სამზარეულოში ჩაუკეტავთ და გაუფრთხილებიათ, როგორც კი ხმას ამოიღებთ, დაგხოცავთო.

დაახლოებით საათ-ნახევარი „უმუშავნიათ“. სამნი ყოფილან. შიგადაშიგ ზრდილობიანად შეაღებდნენ სამზარეულოს კარს და მერამდენეჯერ ეკითხებოდნენ თურმე ქალბატონ ლიკას (ფიფიას მეუღლეს); ნუ გვაწვალებთ, ნუ დაგვანგრევინებთ აქაურობას, გვითხარით, სად ინახავს ფულს და წავალთო.

შეშინებულ ცოლს მაგიდის გასაღებები მიუცია. „ფული

უჯრაში უნდა იყოს, მეტი კაპიკი არა გვაქვს. ეძებეთ, რამდენიც გინდათ. ჩვენ ხმის ამომღები არ ვართო“.

ბოლოს, სულ ბოლოს, დაღლილ ქურდებს ერთხელ კიდევ შეუღიათ კარი: ხმა არ გაიღოთ. ორი საათის მერე, ალბათ, თქვენი მეუღლეც დაბრუნდება და მაინცდამაინც ნუ გადაირევა, ნუ შეყრის ქვეყანას. ბევრი არაფერი მიგვაქვს მაინცდამაინც. ვინც ნაკოლი მოგვცა, ყურებს ავახევთო, – უთქვამთ ქურდებს და გამოუმშვიდობებლად წასულან.

პოლიციელებმა მეზობლებს ბოდიში მოუხადეს: ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მარტო უნდა დავრჩეთ დაზარალებულთანო და კარი მიუხურეს. სამნი იყვნენ რაიონის პოლიციიდან – უფროსი გამომძიებელი კიკვაძე, უმცროსი გამომძიებელი გელანტია და სტაჟიორ-გამომძიებელი კვერნაძე. კარგა ხანს ბუტბუტით ზომეს მანძილი შემოსასვლელიდან საწოლ ოთახამდე, შემოსასვლელიდან საწერ მაგიდამდე და შემოსასვლელიდან სამზარეულომდე. მერე ცოლისა და სიდედრის ჩვენებები პირწმინდად ჩაიწერეს და ბოლოს კიკვაძემ სამივეს ერთად ჰკითხა: ზუსტად გვითხარით, ფული რამდენია წაღებულიო.

– ჯერ რა ვიცით, ბატონო. ჯერ სახლი არ დაგვითვალიერებია. ხომ ხედავთ, რა არეულია აქაურობა. მიბრძანდით, დავალაგებთ, მივძებნ-მოვძებნით და ერთ საათში თუ მოხვალთ, ზუსტად მოგახსენებთ დანაკარგს, – ისე მშვიდად მიუგო ფიფიამ, რომ თავისივე სიმშვიდისა თვითონვე გაუკვირდა.

პოლიციელები წავიდნენ.

რამინს, რასაკვირველია, აინტერესებდა, ვინ გაუღო ქურდებს კარი, მაგრამ ეს შეკითხვა არ დაუსვამს. არც იმისთვის დაუტუქსავს მეუღლე, მაგიდის გასაღები რომ მისცა მძარცველებს; სულერთია, უჯრას გამოამტვრევდნენ და მაგიდასაც გამიფუჭებდნენო, გაიფიქრა. პირველ რიგში, მაგიდის იმ ადგილს ეცა, სადაც დოლარები ჰქონდა. იმ ადგილს, ჯერ-ჯერობით კონსპირაციული მოსაზრებით მეც არ გავამხელ.

ხომ შეიძლება, სხვებიც ინახავდნენ ფულს სწორედ იქ და ეს ნოველა ქურდს ჩაუვარდეს ხელში წასაკითხად. მერე უჯრებში ამაოდ აფათურა ხელი. ცოლმა დაამშვიდა, ბეჭდები „ტრილიაჟის“ უჯრაში მეწყო, მაგრამ ხელი არ უხლიათო. ალბათ, ვერ იპოვესო, დაასკვნა ოჯახის უფროსმა.

ცნობილია, ქურდები განძს ყველაზე მიჩუმათებულ ადგილებში ეძებენ და ცხვირწინ დადებული კი გამორჩებათ ხოლმე.

კარადებიდან წიგნები გადმოყრილი და ორი ბაროკოული სკამი გამოფატრული იყო. ეს უკანასკნელი მაინცდამაინც იმას როდი ნიშნავდა, რომ ქურდებს ილფის და პეტროვის „თორმეტი სკამი“ წაკითხული ჰქონდათ და სიდედრის მიერ სკამში ჩაკერებულ ბრილიანტებს ეძებდნენ.

ბოლოს და ბოლოს გაირკვა, რომ რამინ ფიფიას ბინიდან მძარველებს წაეღოთ 5 ათასი დოლარი, 503 ლარი და სიდედრის – ქალბატონ პარასკევას დაბადების მოწმობა გაცემული ზუგდიდის სარეგისტრაციო მაგიდის მიერ 1899 წლის 7 თებერვალს (ძველი სტილით). სიდედრის მეტრიკა რატომ წაიღეს, გამოძიებისთვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩა. მე ვფიქრობ, უბრალოდ ხელში მოხვდათ და ფულის გასახვევად გამოიყენეს.

– პირველად ვის უთხარით? – ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იკითხა ფიფიამ.

– რა? – ცოლი კედლის საათს მიაჩერდა.

– ეს ამბავი.

– ჩვენ ვის ვეტყოდით, ენა გვქონდა ჩავარდნილი. კატუშა ჩამოდიოდა კიბეზე და, კარი ღია რომ ნახა, შემოიხედა.

– ფულზე ხომ არაფერი გითქვამთ?

– არც უკითხავს. ტელეფონს მივარდა და პოლიციას გამოუძახა.

– ერთი სიტყვით ასე... რა ვქნათ ახლა... თავს ვერ მოვიკლავთ. ერთხელ ხომ უნდა გავეძარცვეთ. კარგად დამიგდეთ ორივემ ყური – 503 ლარი უნდა ვთქვათ.

– კი მარა?

– რა „კი მარა“. ქურდებს სულერთია მაინც ვერ დაიჭერენ და 5 ათასი დოლარის თქმა სამუდამოდ თავს მოგვჭრის. მეტი კი არ უნდა ანტიკორუფციულ კომისიას. ხუთი ათასი დოლარი თუ მაქვს სახლში, ესე იგი ვპარავ სახელმწიფოს, ან მექრთამე ვარ. არ უნდა ამას ბეჭედი. ესეც არ იყოს, დეკლარაციაში დანაზოგი 500 ლარი მიწერია.

ქალბატონი ლიკა კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ დათანხმდა. სიდედრისთვის კი ფიფიას აზრი არ უკითხავს. იმ ფაციფუცში ვერ მოიცალა.

მეორე დღეს მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ნაციონალური ფართლეულის დეპარტამენტის უფროსი რამინ ფიფია გაძარცვეს. აქ ჭორს ვერ გამოვეკიდებით, თორემ ქალაქში ჭორი დაჰქროდა, ასი ათასი დოლარი ფულად, ერთი ამდენის ოქრო და შვიდი ციცრისკვერცხისხელა ბრილიანტი წაუღიათო. უმნიშვნელო ცვლილებებით (მხოლოდ დოლარის რაოდენობაზე) საშუალოდ ასე ჭორაობდა თბილისი, ხოლო თვით გაძარცვული მეზობელ-ნაცნობების შეკითხვაზე მორცხვად პასუხობდა:

– რა მქონდა, რა უნდა წაეღოთ. გეწყინება კაცს, თვარა გადამიხურავს ის 503 ლარი ქურდებისთვის. ჩემთან რა ეგულებოდათ, რომელი საქმოსანი მე მნახეს. ის ფულიც, ხელფასზე გადარჩენილი, შავი დღისთვის მქონდა გადადებული...

– კიდო კაი, კიდო კაი, – თავის კანტურით გაშორდებოდა ცნობისმოყვარე შემკითხველი, თუმცა თვალებზე აშკარად ეტყობოდა, რომ ფიფიას პასუხისა არ სჯეროდა და ასე ცოტა ფულის წაღება არც უხაროდა მაინცდამაინც.

ერთადერთი კაცი, დილიდან საღამომდე ჯიხურთან დაბალ კველაზე მჯდომი კანონიერი ქურდი პაწია ამბობდა სიმართლეს.

– მე რა ვიცი... დღეს სიმართლეს ვინ გეტყვის... სიმართლე მარტო წამღებმა და დამოიკებულმა იცის... მე რა ვიცი, მაგრამ სახლში ქურდი (მით უმეტეს ბანდიტი) 500 ლარისთვის არ შევა.

* * *

ამ ამბიდან ერთი თვეც არ გასულა, გაძარცვულ ფიფიას უფროსმა გამომძიებელმა კიკვაძემ თავისთან უხმო.

ახალი ხომ არაფერიაო, ისე, ზრდილობისთვის ჰკითხა რამინმა იურისტს, თორემ „სიახლეს“ იგი, ჩვენი პოლიციის გადამკიდე, მაინცდამაინც არ ელოდა და ის 5000 დოლარიც უკვე გამოტირებული ჰქონდა.

ქურდი დავიჭირეთო, ყურმილში რომ ჩაესმა, ფიფიას გული შეუფრთხიალდა.

არა, სიხარულისგან არა, ჩემო ერთგულო მკითხველო, დეპარტამენტის უფროსი მიხვდა, რომ მის ცხოვრებაში ახალი, მძიმე ეპოქა უნდა დაწყებულიყო.

იქნებ ჩემი ქურდი არ აღმოჩნდესო, ამ იმედით აიარა მან კიბეები და გამომძიებლის კარი შეაღო.

– გაიცანით, ბატონო რამინ, შერმადინ ქვათაძე, იგივე „კვატია“, უკანონო ქურდი.

– სასიამოვნოა, – ხელი ჩამოართვა ქურდს დაზარალებულმა, თუმცა მაშინვე ინანა. იმერული თავაზიანობა რომ არა, რამინს კვატიასთვის ხელი არ უნდა ჩამოერთმია და, მით უმეტეს, „სასიამოვნო“ არ უნდა ეთქვა.

ქურდს თაგვისფერი სვიტრი ეცვა. შავგვრემანი, უულვაშო, ოცდახუთიოდე წლის უკანონო ქურდი გახლდათ. თუმცა ამ წუთში ფიფიასთვის ქურდის ხარისხს დიდი მნიშვნელობა როდი ჰქონდა. რამინს უბრალოდ გაუკვირდა, რომ მძარცველს არც მარჯვენა თვალის ქვემოთ, ღაწვზე აჩნდა ნაიარევი და არც ხელები (მაგიდაზე ეწყო) ჰქონდა მოსვირინგებული.

– მოყევი აბა, კვატია, – მიმართა გამომძიებელმა.

– რა მოვყვე, – უხალისოდ გახედა პატიმარმა.

– რა იყო, როგორ იყო. ეს კაცია ფიფია.

– ვიცი. ცხრაჯერ მაინც ვარ შენახვედრი თავის პადიეზდში. წევიღეთ რა, მეტი რა არის მოსაყოლი.

ფიფიამ ბუნდოვნად გაიხსენა. ეს კაცი სადღაც უნახავს.

– თქვენ ხომ მარტო არ იყავით, სხვები? სხვები სადღა არიან? – ცნობისმოყვარეობა ვერ მოთოკა რამინმა.

– მარტო ვიყავი, პატივცემულო, – მშვიდად მიუგო ქურდმა.

– სტყუის, ჩემმა ცოლმა და სიდედრმა, სამნი იყვნენო, – შიშგარეული რიხით თქვა ფიფიამ.

– რამდენი წაიღეთ? – გამომძიებელი ჩაერია.

– რაც მიწერია ჩვენებაში – 5 ათასი დოლარი და რამდენიღაცა ლარი იქნებოდა, აღარ მახსოვს, ხუთასამდე, ალბათ.

ფიფიას გაეცინა, მაგრამ ეს უფრო სიმწრის სიცილი იყო.

– რამდენი, რამდენი? – იქნებ მომეყურაო, სიცილით ჩაჰკითხა.

– 5000 დოლარი.

– ნუ ტრაბახობ, მართალი თქვი.

– მართალს ვამბობ, – განზე გაიხედა ქურდმა.

– ბიჭო, უკანონო ქურდი კი ხარ, მარა ცოტა სიმართლესთან მიმსგავსებული ტყუილი მაინც უნდა თქვა. სად მქონდა მე 5000 დოლარი.

– სად გქონდა და უჯრის უკან, კედელსა და უჯრას შორის, დატანიებული.

რამინს ცივმა ოფლმა დაასხა.

– არ გინდა, ბიძია, ჩემთან მაგნაირი რაღაცები. აქედანვე რო ტყუილს მიეჩვევი, მერე რას იზამ. თქვი მართალი, ჩემგან თქვენ 503 ლარი წეიღეთ და სიდედრის მეტრიკა. ის 503 ლარი დამიბრუნეთ და მეტრიკა გქონდეთ, თუ გინდათ. რა ვქნა ახლა.

ქურდს აღარაფერი უთქვამს.

– სად წაიღეთ მერე ის ფული, – გამომძიებელმა სანთებელას გაჰკრა და ისევ ჩააქრო.

– რა ფული, – ქურდმა ტყუილის მოსაფიქრებლად დრო მოიგო, თორემ არც ისე მიამიტი კაცი იყო, ვერ მიმხვდარიყო, რა ფულზე იყო ლაპარაკი.

– რაც ფიფიას მოპარეთ. მოპარეთ კი არა, მოსტაცეთ.

– არ დამიჯერებთ ახლა თქვენ და – ქურდს გაეცინა – ძროხამ შემიჭამა.

– ნუ გლახაობ, – გამომძიებელმა სიცილი მოგუდა.

– მართლა, მართლა. მცხეთამდე ავტობუსს ჩავყევი და არმაზთან მტკვარში, მეჩხერზე, შევტოპე, გაღმა უნდა გავსულიყავი და ფული დიდი ქვის ქვეშ დამემალა. წყალი წელამდე მომწვდა და ფული დამისველდა, რასაკვირველია. მოგეხსენებათ, დოლარი ჩვენი ჩენჩი ფულივით ჩქარა არ ფუჭდება. ლარი რო ყოფილიყო, დეიშლებოდა. გავფინე ამ კაცის 5000 დოლარი ქვაზე გასაშრობად. იქვე წამოვწექი. დაღლილი, ნანერვიულები ვიყავი და ჩამეძინა. ძროხა ბალახობდა თურმე იქვე. თავიდან არ დამინახავს, თვარა რავა დევიძინებდი. მოსულიყო ბალახობ-ბალახობით და ქე შეეჭამა ფული. მაინც ასე პირწმინდად რამ ააკრეფია ქვიდან. ერთი ასდოლარიანიც არ დეეტოვებია. რაც მე იმ ძროხის პატრონი ვწყევლე...

– მაგ სიმართლით იარე შენ! – აღარ დაამთავრებინა ფიფიამ მძარცველს ძროხის მიერ ფულის შეჭმის და იქვე მიძინებული ქურდის იდილიური სურათი.

– თქვი, ბიჭო, მართალი – გამომძიებელს სურდა მკაცრი სახე მიეღო, მაგრამ არ გამოსდიოდა.

– ტყუილს ვიტყვი მეე? – ანგელოზის სახის მიღება სცადა „უკანონომ“, მაგრამ არ გამოუვიდა.

– ახლა მაიმუნობას მოეშვი და მეათეჯერ გეკითხები, რამდენი წაიღეთ ამ პატიოსანი კაცის სახლიდან.

– მეათეჯერ გპასუხობ: შაყირს მოუკვდა პატრონი, 5000 დოლარი წევიღეთ. თვითონაც კარგად იცის, – თავმობეზრებულ კაცს ერთსა და იმავეს გამეორება რომ უწევს, ისეთი ხმით თქვა ქურდმა.

– კარგი, თქვენ წაბრძანდით, ბატონო რამინ, ამას მე ავაჭიკჭიკებ, – დაყვავება-მოფერებით უთხრა გამომძიებელმა დაზარალებულს და კარებთან მისულს მოუბოდიშა – ბოდიშს ვიხდი, ვერ გაცილებთ.

* * *

რამინს სახლში რა დააბრუნებდა.

ერთი საათი პოლიციის ეზოში ბოლთას სცემდა. „ბოლთის ცემა“ ამ ბოლო დროს ლიტერატურაში ხშირად აღარ იხსენიება და მკითხველს დავუზუსტებ, რომ რამინ ფიფია უბრალოდ წინ და უკან დააბიჯებდა. მობილურით შეეხმიანა გამომძიებელს, თუ მარტო ხარ, ამოვალ, პატარა საქმე მაქვსო.

გამომძიებელი კიკვაძე გუმანით გრძნობდა, რომ დეპარტამენტის თავმჯდომარე მოაკითხავდა.

ორივენი გულუბრყვილო მოქალაქეებს თამაშობდნენ, თორემ, სინამდვილეში, ორივემ კარგად იცოდა, რა სამხილი სწვავდა ამ ორი ქართველის გულსა და გონებას.

რა უტიფარი ვინმე ჩანს, მაინც ეს 5000 დოლარი რამ ათქმევინაო, საიდან მოიტანაო, ხელების მტვრევით იმეორებდა ფიფია.

იქნებ, თქვენს მეუღლეს ჰქონდა თქვენს ჩუმად შენახულიო, იციან ქალებმა ფულის მოგროვება და შენახვაო, – მთლად, გურულები რომ იტყვიან, „გაიაბდალა“ თავი გამომძიებელმა.

როგორ გეკადრება. საიდან მოაგროვებდა ჩემი ცოლი მაგდენ ფულს. ხელფასიდან ხელფასამდე ძლივს გაგვაქვს თავიო, რამინმა, მაგრამ ისე ყალბად გამოუვიდა ნათქვამი, რომ თვითონვე შერცხვა, თუმცა დამაჯერებლადაც რომ ეთქვა, გამომძიებელი მაინც არ დაუჯერებდა.

კილო ორივემ სწრაფად შეიცვალა.

რა ეშველება ამ საქმესო, რამინმა.

რა ვიცი, ქურდმა უნდა გადათქვასო.

ახლა, დამტკიცებით კი ვერ დამიმტკიცებს, რომ 5000 აქვს წაღებული, მარა ხომ იტყვის და ქალაქს მეტი კი არ უნდა. თავი მომეჭრებაო, ფიფიამ.

არაა სასიამოვნო, რასაკვირველიაო, გამომძიებელმა.

შენზეა ყველაფერი დამოკიდებული და უნდა მიშველოო,

მოსინჯვა-მოთელვის წუთები დამთავრებულად მიიჩნია რამინმა.

რაც შემიძლია, ვეცდებიო, გამომძიებელმა, მარა ძნელი საქმე კია, როგორი ჩამოსაყვანია 5000 დოლარიდან 500 ლარამდეო.

მეცი პატივი და მეც კაცი ვარ... ტყვილად კი არ მინდა, ცარიელ მადლობას არ დაგავჯერებ, იცოდე შენო, მთლად „გაეხსნა“ ფიფია გამომძიებელს.

რავა გეკადრებათ, ასეთ საქმეში კაცს თუ არ დავეხმარეთ, მეტი რა ვართ ჩვენ ერთმანეთისთვისო, ბოლომდე „არ გაეხსნა“ გამომძიებელი დაზარალებულს.

ერთი კვირის თავზე გამომძიებელმა კიკვაძემ ვაკის პარკში, უსახელო ჯარისკაცის მემორიალთან, იხმო ფიფია და უცერემონიოდ აუწყა: ვერ წარმოიდგენთ, რა ბრძოლა დამჭირდა მაგ გარეწართან, მაგრამ მაინც დავიყოლიე და შევაცვლევინე ჩვენება. ისე, ჩვენ შორის რომ დარჩეს, ნამდვილად 5000 დოლარი აქვთ წაღებული. როგორ მოგივიდათ ასეთი შეცდომა, გამოცდილი კაცი ხართ, მაგდენი ფულის შინ შენახვა ვის გაუგიაო.

შენ აგაშენა ღმერთმა, რამხელა ტვირთი მომხსენიო, სახე გაებადრა რამინს და ასე სახეგაბადრულმა ჩაუცურა გამომძიებელ კიკვაძეს ჯიბეში უმარკო კონვერტი, რომელშიც არც მეტი, არც ნაკლები, 500 დოლარი იდო.

ნოველა კი ჯერ არ დამთავრებულა:

სასამართლომდე ერთი კვირაც არ იყო დარჩენილი, კანონიერმა ქურდმა პაწია ემხვარმა ფიფიებს რომ შინ მიაკითხა.

მე რა ვიციო, პაწიამ, არ მინდოდა ამ საქმეში ჩარევა, მაგრამ დიდ პატივს გცემთ და ხელს ვერ დავიბანდი, მერე რომ გაიგებდით, ჩემზე გული დაგწყდებოდათო. მატყუარებით გაივსო ეს ქვეყანაო. კაცს პირობას რომ მისცემ, იმ პირობის შესრულება უნდა შეგეძლოსო. მე რა ვიცი, ის გამომძიებელიც კაი გათახსირებულია, მე რა ვიცი, მაგრამ ცოტა იმ ქურდისთ-

ვისაც უნდა მიეცაო, ღერღავდა, თვალებს იქეთ-აქეთ აცეცებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა ემხვარი.

ვერ გავიგეო, რამინმა, მართლაც ვერ გაიგო.

მე რა ვიცი, მაგრამ ის თქვენი ქურდი ფულს თხოულობს, უნამუსო ყოფილა. მე თუ ვერაფერი მივიღე, სასამართლოზე ვიტყვი, რომ 5000 დოლარი წავიღეო.

რამდენი უნდაო, ენა გაუშრა ფიფიას.

მე რა ვიცი, ათას დოლარს ამბობს. ისე, მაგასაც უნდა გაუგო. დამწყები ქურდია. კაცმა რომ თქვას, ქურდი არც არის – ჟულიკია. მე რა ვიცი, ამბობს, ორ წელიწადს მაინც მომცემენ, ჩემს ცოლ-შვილს ჭამა ხომ უნდაო. მე რა ვიცი, მე არც ვიცნობ, ვინ არის. არ მინდოდა ამ საქმეში ჩარევა. მე რა ვიცი, მერე უარესი იქნებოდაო...

ჩადი ქვემოთ და ჩამოგიტან ფულსო, ფიფიამ.

მე რა ვიცი, სად ქვემოთო, იკითხა კანონიერმა ქურდმა.

ლიფტთან დამელოდეო, ფიფიამ.

ქურდს ლიფტთან დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია.

ჩაუტანა ფიფიამ ათასი დოლარი და მუდარით უჩურჩულა: – მეზობლისგან ვისესხე. მე ფული ვინ მომცა. თუ კაცი ხარ, პაწია, კიდევ არ იყოს რამე გაუგებრობა. შენ გენდობი, ხომ იცი, ჩემო პაწია. შენ, ჯერ ერთი, რამკიანი ხარ და, მეორეც, ემხვარი ხარ. ესაა მთავარიო.

კანონიერ ქურდს აღარაფერი უთქვამს. მოკეცა ფული, შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო და სადარბაზოდან გამოსვლისას ყოველ შემთხვევისთვის ჯერ მარჯვნივ გაიხედა, მერე – მარცხნივ.

ჟინჟღლავდა.

მტვრიან ასფალტს მანქანები ცემენტისფრად ხაზავდნენ.

ჩინური კედელი

იარაღის დიდი ტრფიალი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ჩემმა მეზობელმა, ნამილიციისუფროსალმა შოთა სანდუხაძემ, დაბადების დღეზე ძველთაძველი გერმანული პარაბელუმი რომ მაჩუქა, ვერ დაგიმალავ, გამეხარდა.

იმ ღამეს, თითქოსდა, სხვანაირად, მშვიდად მეძინა.

მართალია, წარმოდგენა არა მაქვს, რამდენი ტყვია ჩადის, ან „აბოიმა“ როგორ იღება. „აბოიმა“ კი არა, ისიც არ ვიცი, ჩახმახზე როგორ უნდა შეაყენო, მაგრამ იარაღიანი რომ ხარ, თურმე, იცვლები კაცი; თითქოსდა, მაინც დაცული ხარ ამ არეულ დროში, რაც უნდა იყოს.

სროლით თუ არ ესვრი, შეშინებით მაინც შეაშინებ მომხვდურს და მაზაკვალს.

შოთა ჩემი კარის მეზობელია. მეორე დღეს, ნაბახუსევზე ვკითხე: რანაირად, რა, როგორ-მეთქი.

გაფორმებითო, მაგას არავინ გაგიფორმებსო, სანადირო იარაღად ეგ არ ითვლებაო, სამსახურებრივად, ჩემზე უკეთ მოგეხსენება, შენ არ გეკუთვნისო. ოცდაათი წლის წინათ წავართვი ერთ ქურდს, მერე შემრჩა და შემრჩაო. „აბოიმა“ ცარიელია. არ შეგეშინდეს, პირში ერთი ტყვია ჰქონდა და ცოფიან ძაღლს ვესროლე, მაგრამ ავაცილეო.

ეგ ჰიტლერისდროინდელი პარაბელუმია.

ახლა მაგის ტყვიები აღარ იშოვებაო.

თუ სადმე წავაწყდი, მოგიტან, თუ არა და, გედოს შინ, მაინც იარაღია, რაც არ უნდა იყოსო.

ჩავიდე სპორტულ ჩანთაში და ვდურთე ჩემი ძველი „ჟიგულის“ საბარგულში.

სპორტს კარგა ხანია თავი გავანებე და ჩემი პარაბელუმიც მხოლოდ მაშინ გამახსენდებოდა, მანქანის საბარგულს რომ

ამოვასუფთავებდი, რასაც, მოგეხსენება, ჩემისთანა უდროო და ზარმაცი კაცი წელიწადში ორჯერ თუ აკეთებს, მეტჯერ არა.

ჩინეთის დელეგაციაში რომ ჩამრთეს, სულ სამი დღე იყო წასვლამდე დარჩენილი.

ამ სამ დღეში უნდა მომესწრო პასპორტის აღება, მივლინების გაფორმება, სამივლინებო ფულის გამოწერა, მერე ბანკში გაქცევა და იმ ასიოდე დოლარის გამოტანა.

თან მარშრუტს უნდა გავცნობოდი.

თუ გამოსვლა არ მომიწევდა, შეკითხვები მაინც უნდა მომემზადებინა.

ვფურცლავდი ენციკლოპედიებს.

ჩინეთში მიდიხარ, ხუმრობა ხომ არ არი, ამხელა ქვეყნის სტუმარი ხარ, ჩინეთზე ცოტა რამ ხომ მაინც უნდა იცოდე.

ერთი სიტყვით, დიდ სამზადისში ვარ.

ამ ფაციფუცში ჩემოდანი ჩავალაგე. ქართული სუვენირები: თხის რქის ყანწები, ფიალები, დაზგური ჭედურობის პატარ-პატარა ნიმუშები მყინვარწვერის გამოსახულებით ბლომად მოვიმარაგე...

ბარგი ჩემოდანში რომ აღარ ჩამეტია, მანქანის საბარგულიდან სპორტული ჩანთა დავაძრე და ყოველდღე სახმარი ნივთებით (შლოპანცები, უნგრული ბოტასები, შორტები, პიჟამო, ორი უხმარი მაიკა...) გავტენე.

თბილისში და სტამბოლში ვინ გაგვჩხრეკდა – დელეგაციის წევრები ვართ. ჩინეთის თვითმფრინავში ასვლის დროს ჩემი სპორტჩანთა ხელში მეჭირა, ზმეიკა სუსტი აქვს და ბაგაჟს არ ჩავაბარე.

ჩავფრინდით პეკინში.

რა დახვედრა, რა მოფერება, რა ჟურნალისტ-ინტერვიუობანა, მერე რა ვახშამი... ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ათი დღე უნდა ვიყოთ ჩინეთში.

ისეა პროგრამა დატვირთული, თავის მოსაფხანი დრო არ გვრჩება.

მთავარი, რისი გაგებაც გვინდა, უჩემოდაც მიხვდები; რანაირად ახერხებს ჩინეთი მილიარდ-ნახევარი კაცის გამოკვებას, როცა ჩვენ ოთხი მილიონისთვის ლუკმა ვერ გაგვიჩენია.

ერთი სიტყვით, საქმეში ვართ და ჩვენი ჩასვლიდან მესამე დღეს მოხდა ამერიკაში თეთრთმეტი სექტემბრის კატასტროფა.

შეძრწუნებულია მსოფლიო.

ჩინეთი დილიდან საღამომდე უჩვენებს, როგორ ყველივით ჭრის შუაზე მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ასათსართულიან შენობებს თვითმფრინავი და როგორ ჩამოიქცევა ეს ორი გიგანტი დღისით, მზისით, მთელი მსოფლიოს თვალწინ. რა უმწეოა ბოროტების წინაშე თვით ამერიკაც და შენ საქართველოს ამბავი გაქვს?!

დაგჩაგრონ, გაგთელონ, ტანკებით წაღმა-უკუღმა რომ გადაგიარონ, შენთვის თავს არავინ გამოიდებს და შენი მომხედავი არავინ არი.

გადი-გამოვდივართ, ვწუწუნ-ვოხრავთ ჩვენც, რასაკვირველია, მასპინძლებთან ერთად, მაგრამ მე, პირადად, ჩემი მჭირს.

თითქოსდა, განგება გადამიდგა; სასტუმროში ჩანთიდან სპორტულ პიჟამოს რომ ვიღებდი, უეცრად აღმოვაჩინე, რომ შოთა სანდუხაძის ნაჩუქარი პარაბელუმი თანა მაქვს.

ჩემდა ჭირად, ჩანთაში აქამდე არ ჩამიხედავს და არც მებაჟეებს მოუკლავთ თავი.

ვინ იფიქრებს, თუ მე, წყალმომარაგების სამმართველოს უფროსს, დამსახურებულ ინჟინერს, ასეთი სერიოზული დელეგაციის წევრს, ჩანთაში ცხელი იარაღი და ისიც მრისხანე ბრაუნინგზე ორჯერ უფრო დიდი, ფაშისტური პარაბელუმი აღმომაჩნდება.

რა ეშველება ამ საქმეს?

დანა პირს არ მიხსნის.

განვაცხადო – ვაითუ უარესი აღმოჩნდეს.

შეიძლება, ჩვენი დელეგაციის პრესტიჟზე ამ ფაქტმა ცუდად იმოქმედოს. მოდი და უმტკიცე საიდუმლო სამსახურს, რომ შემთხვევით გამომყვა. ჯერ ერთი, იურიდიული სანქცია თუ არაფერი მოჰყვა ამ ამბავს, გახმაურებით ხომ მაინც გახმაურდება.

ენაჭარტალა ჟურნალისტები, ვინ იცის, რა კუდს გამოაბამენ.

ესეც არ იყოს, საბაჟოს რამდენიმე მოხელის ცოდვას ხომ მაინც დავიდებ.

იმ უდანაშაულო ხალხს ხომ აღარ გააკარებენ საბაჟოს.

მერე და რისთვის?

ჩემი უნებლიე შეცდომისათვის თუ დანაშაულებრივი დაუკვირვებლობის გამო (დოყლაპიობაც რომ წამომცდენოდა, ჩემს თავზე ახი არ იყო?).

და სწორედ ამ დროს დამოკლეს მახვილივით აღიმართა ჩემს თავზე თერთმეტი სექტემბერი.

ახლა სად მიდიხარ.

მთელი მსოფლიოს აეროპორტებში უმკაცრესად აკონტროლებენ, ალბათ, მგზავრებს. რენტგენ-ლაზერის აპარატებს აღარ ენდობიან, საფისტონე ჯიბეებიანად ჩხრეკენ დიდსა და პატარას.

ამ ვითარებაში ამ დასაწვავი პარაბელუმის უკან წაღებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

„დაწვა“ არ ამცდება.

რაღაც უნდა ვიღონო.

ელვის სისწრაფით მუშაობს ჩემი გონება.

დელეგაციის ორიოდე წევრს გავენდე, მაგრამ ჭკვიანური მათაც ვერაფერი მირჩიეს.

ყველას თავისი თავი უჭირს.

სასტუმროში რომ დავტოვო, სკანდალია.

ნომრებს დამლაგებელ-შვეიცარის ფორმაში გამოწყობილი საიდუმლო სამსახურის აგენტები მსოფლიოს ყველა სასტუმროში ჩხრეკენ და ჩინეთი რა გამონაკლისი იქნება.

თან დამაქვს მხარზე გადაკიდებული სპორტჩანთა და სპორტჩანთაში გაზეთ „ახალი თაობის“ ძველ ნომერში გახვეული პარაბელუმი, რატომღაც ყველას გრძელლინზიანი ფოტოაპარატი ჰგონია.

მივიქნევ სპორტჩანთას, ვითომ არხეინად.

პოლიციელს ან კარისკაცს რომ ჩავუვლი, მეტი დამაჯერებლობისათვის სტვენას ვიწყებ.

თუ სადმე გვეტყვიან, „ნოუ კამერა!“ ესე იგი, გადაღება არ შეიძლებაო, ბატონი ხარ მეთქი, ჩანთას ვიხსნი და იქვე, გასახდელში უნომროდ ვკიდებ.

დიდი იმედი მაქვს, რომ ვინმე მოიპარავს და მოვისვენებ, მაგრამ გაგიგონია?

ამხელა ქვეყანაში ჩემი სპორტჩანთის ქურდი გაწყდა მაინცდამაინც, თორემ, ისე, საერთოდ, ქურდი როგორ არ იქნება.

არადა, ჩინეთში ჩემი ყოფნის დღეები იწურება.

თუ ამ დასაწვავი პარაბელუმისაგან თავი არ გავინთავისუფლე, ვინ იცის, რა მელის.

გადავწყვიტე, რაკი აღარავინ მპარავს, მე თვითონ დავტოვო სადმე.

ეს, ჩემი ჭკუით, გენიალური გადაწყვეტილება რომ მივიღე, ხელსაყრელი მომენტი იმ დღესვე გამომიჩნდა.

ნასადილევს ჩინელ ოსტატთა საიუველირო ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვას გვასტუმრეს.

დავიფანტეთ უზარმაზარ პავილიონში.

ვაჭრობა, მოგეხსენებათ, ულტრაინდივიდუალური საქმეა და გემოვნებაზეცაა დამოკიდებული.

ჩვენი დელეგაციის წევრთაგან ზოგს ფაიფურის სერვიზები აინტერესებს, ზოგს ჩინური მინიატურული ჭიქა-სურები, ჩაის სასმელად რომ არის გათვალისწინებული და საღვინედაც რომ გამოდგება, მე არაფერი მინდა...

ას წელიწადს არ დავლევ ჩაის, ოღონდ ეს პარაბელუმი შემაჩურთია სადმე.

თუ მოინდომებ, რას არ ჩაიდენ თურმე.

ჩინური მინიატურული ლამბაქი ვიყიდე ლაო-ძცის გამოსახულებით, გამოსახულებას იმ წუთებში ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაო ძე დუნის გამოსახულებითაც რომ ყოფილიყო, მყიდველი ვიყავი. უბრალოდ, საქმიანი კაცის, ჭეშმარიტი მყიდველის იმიჯისათვის უნდა მიმეღწია გამყიდველთა თვალში.

ლამბაქი ჯიბეში ჩავიდე, დახლ-მოაჯირს გავშორდი, სპორტჩანთიდან პარაბელუმი ამოვიღე, ფანჯარასთან დავდე და ჩქარი ნაბიჯით, ლაპარაკ-ლაპარაკით მიმავალ დელეგაციის ორ უდარდელ წევრს დავეწიე.

კარგა ხანს ვიარე მათთან ერთად მხარშემსუბუქებულმა, კარგა ხანს ვტკბებოდი ჩინელ ოსტატთა განუმეორებელი ხელოვნებით და, როცა დანიშნულ დროს ავტობუსთან მოვგროვდით, შვებით ამოვისუნთქე.

„გამიმართლა!“

ის იყო ავტობუსი უნდა დაძრულიყო, ორი ბატისჭუკისფერ კიმონოიანი ქალბატონი მოვარდა.

აღელვებულები ჩანდნენ.

ერთ მათგანს „ახალ თაობაში“ გახვეული ჩემი პარაბელუმი ეჭირა.

თვალთ დამიბნელდა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე.

ჩან-ქუ-გვან-ნქო-ძინ-ბა-თჰრბაი?! – იკითხა ერთმა და პასუხს არ დაელოდა, გაღიმებულ-გახარებული ჩემკენ წამოვიდა.

– თქვენ ხომ არაფერი დაგრჩათ მაღაზიაში? – ქართულად მკითხა ჩინელმა გიდმა.

– კი დამრჩა, მაგრამ... რატომ შეწუხდნენ... გადაეცით მადლობა, არ ღირდა შეწუხებად.

გიდმა ჩემი ნათქვამი უთარგმნა თუ არა, ქალბატონებმა თვალების დაუხუჭავი ნაწილი ბოლომდე დახუჭეს და დიდი, ჯანმრთელი კბილებით ახარხარდნენ.

მე კი ჩემი „გულმავიწყობით“ კინაღამ დაკარგული „პარა-

ბელუმ-ფოტოკამერის დაბრუნებით „გაბედნიერებულმა“, სპორტჩანთა ფეხებთან მივიგდე და ჩინურ ქუჩას მივასარკ-მელდი.

მეორე დღეს პეკინის ოპერის უძველეს თეატრში დაგვპატიჟეს.

პეკინის ოპერა ათასი წლისაა.

მთელი ცხრაასი წლის მანძილზე ამ ოპერაში წარმოდგენებს უაკომპანიმენტოდ მღეროდნენ ჩინელი სცენის ოსტატები. ეს რაღაც თავისებური სინთეზი იყო; არც მთლად დრამატული თეატრი ეთქმოდა და არც ოპერა.

ჩინური ტრადიციის თანახმად, ქალების როლებსაც მამაკ-აცები ასრულებდნენ.

ახლა ოპერის თეატრი პეკინშიც ისეთივეა, როგორიც მთელ მსოფლიოში, მაგრამ ჩვენთვის ძველი ხელოვნების გემო რომ ეგრძნობინებინათ, თავაზიანმა მასპინძლებმა უძველეს სპექტაკლზე მიგვიპატიჟეს.

სპექტაკლი – „სიყვარული ბრინჯის ყანაში“ მცირე (ორ-სამ-თვიანი) პაუზებით უკვე ექვსასი წელია იდგმება ამ თეატრში.

პირველი მოქმედება რომ დამთავრდა, ტუალეტში შევედი და მფსმელთა შორისი გამყოფი კედლის ცისფერკაფელიან თავზე შემოვდე „ახალ დროებაში“ გახვეული ჯართი-პარაბე-ლუმი.

მეორე მოქმედების ბოლო სურათი დაიწყო თუ არა, ლა-მის ხოხვით მომიახლოვდა ხავერდის მოსასხამის ყელმკერდზე დაახლოებით ოთხმოცოქროსფერღილოსანი ჩინელი და კალთაში რაღაც მძიმე ჩამიდო.

სიბნელეში ვერ გავარჩიე, რა მომართვა, მაგრამ მადლობა მაინც მოვახსენე.

რა ხელით სინჯვა უნდოდა, ყველაზე უყურადღებო მკითხ-ველიც მიხვდებოდა, რომ ჩემი პარაბელუმი დამიბრუნეს.

თბილისში გამომგზავრების წინა დღეს მდინარე ხუან-ძია-ნის ახალი, შვიდკილომეტრიანი ხიდის დასათვალიერებლად წაგვიყვანეს.

ხიდი ბამბუკისა და რკინა-ბეტონისაგან არის გამართული, სიგანით ორასი მეტრია და ხეობაში ჩინეთის დიდი კედლიდან სულ რაღაც სამოციოდე კილომეტრიდან იწყება.

ხიდის სიმაღლე დიდი არ არის, მდინარის ზედაპირიდან ოთხასი-ხუთასი მეტრი ძლივს იქნება.

სურათის გადასაღებად ხიდის მოაჯირს უკანალებით რომ მივეკარით, სპორტჩანთა მხრიდან ჩამოვიცურე და „უნე-ბლიედ“ ჩავუშვი.

როცა საიდუმლო სამსახურის ხუთიოდე ჩინელი აგენტი მო-აჯირს მივარდა, მაშინღა მოვაბრუნე თავი და ჩავიხედე.

ჩემი სპორტჩანთა (პარაბელუმიანად) თანაბარაჩქარებუ-ლად, მაგრამ ლამაზად მიფრინავდა.

ატყდა წრიალი და გაქცევ-გამოქცევა, მობილურ-რაციებში გამართული ჩინურით ჩაძახ-გადაძახება და სირენების კივილი.

პოლიციის ორი მანქანა სწრაფად მოსწყდა ადგილს და უკან დაბრუნდა. ექსკურსია არათუ არ შემწყდარა, არც შეფერხე-ბულა.

სამახსოვრო საჩუქრებად ხიდის ღია ბარათები დაგვირიგეს და ხიდის ბოლოს, ხუან-ძიანის ნაპირას, რესტორან-მღვიმეში საფირმო კერძით – ლოკოკინ-ბაყაყების აჯაფსანდალითაც გაგვიმასპინძლდნენ.

ღამის თერთმეტ საათს (პეკინის დროით, ჩვენი დროით ამ დროს დღის თერთმეტი საათია) ბევრი აღარაფერი უკლდა, ჩემი ნომრის კარებზე რომ დააკაკუნეს.

არ გამკვირვებია.

ველოდი, რომ პარაბელუმიან ჩემს სპორტჩანთას იპოვიდნენ და მომართმევდნენ. ჩინელის პირობაზე ზორბა პოლიციელს და სამაშველო სამსახურის ქოსა უფროსს მადლობა მოვახსენე და თითოეულ მათგანს ექვს-ექვსი თხის ყანწი მივართვი.

მადლობისა და გამოთხოვების ნიშნად დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში გულთან მიტყუპებული ხელისგულებით თაყვანს ვცემდით ერთმანეთს.

საათს დავხედე.

დრო ჩვეულებრივზე გაცილებით ჩქარა გადიოდა.

პარაბელუმი ნაწილ-ნაწილ უნდა დავშალო და დელეგაციის წევრებს გავუნაწილო.

პატარა რკინის დეტალი შეიძლება რენტგენ-საბაჟოს საეჭვო საგნად არ მოეჩვენოს და, კიდეც რომ დააზარწკრიალოს, ვინ მიხვდება, რისი დეტალია.

ჩემი მოფიქრება-მიმხვედრიანობით მევე დავრჩი კმაყოფილი.

პარაბელუმის დაშლა, რომ მეგონა, იმაზე ძნელი აღმოჩნდა.

ჩინური მამლების მეექვსე გადამწყვეტ ყივილზე საქმეს მოვრჩი და პარაბელუმის დეტალები ჩვენი დელეგაციის თხუთმეტივე წევრს ჩამოვურიგე.

მშვიდობიანად ჩამოვფრინდით თბილისში.

ამოექსკალატორდა თუ არა ჩვენი ჩემოდნები, დავიწყე პარაბელუმის ნაწილების შეგროვება.

მეორე დღეს, მე რომ ვერაფერს გავხდი, სანდუხაძე ვიხმე, ეს ამბავი მოვუყევი და სიცილ-ხითხითს რომ მორჩა, ვთხოვე, პარაბელუმის აწყობაში მომშველებოდა.

ერთი მთავარი დეტალი (რომელი ნაწილი აქვს პარაბელუმს მეორეხარისხოვანი?), „აბოიმიდან“ ტყვიას „პირში“ რომ აწოდებს, ფოლადის ზამბარა დაგვაკლდა.

დასწყევლოს ეშმაკმა, თითქოსდა ყველას გამოვართვი, სად ჯანდაბაში გამებნა.

მთელი თბილისი მოვიარეთ, ვერა და ვერ ვიშოვეთ.

ხუთიოდე კაცს აღმოაჩნდა თბილისში ეს პარაბელუმი, მაგრამ სათადარიგო ფოლადის ზამბარა – არც ერთს.

ვერც ხარატმა გაგვიკეთა: ძველგერმანული ფოლადისაა, ახალი ფოლადისაგან რომ გამოვჩარხ-ჩამოვადნო, უსათუოდ გატყდებაო.

იმედი რომ გადამეწურა და ნერვებიც საკმაოდ მომეშალა, გავაჩერე ერთ დღეს ჩელუსკინელების ხიდზე მანქანა და გამ-

ვლელ-გამომვლელთა თვალწინ, დემონსტრაციულად მოვისროლე მტკვარში სანდუხაძის ნაჩუქარი დამბაჩა.

არც იმ საღამოს და არც მომდევნო დღეებში, როგორც მოველოდი, პარაბელუმი არავის მოურთმევია.

...ამის შემდეგ თითქმის სამი თვე გავიდა.

ჩინეთიდან ამანათი მივიღე.

გავხსენი და სასტუმრო „პეკინის“ ადმინისტრაციის მოკითხვის ბარათის გარდა ამანათში პარაბელუმის ფოლადის ზამბარა იდო.

სხვებს რომ ნაწილები ჩამოვურიგე, იმ სიჩქარე-ფაციფუცში მე თვითონ დამრჩენოდა ნომერში ჩემი „წილი“ ზამბარა.

ოცდაათი სირაქლემა

(გულუბრყვილო მთხრობელის სტილით)

დოცენტმა სიმონ შარიქაძემ ლექცია ასე დაიწყო:

– მოისმინეთ, რასაკვირველია, ყმაწვილებო, წუხელ „მოამბემ“ გვიჩვენა და ამ დილით „ალიონმაც“ გაიმეორა, რა ვქმნათ, არ ამოვიღოთ ხმა? ხომ ხედავთ, როგორ გათავხედდა რუსეთი, გუშინ ომალო და შატილი დაბომბა, ხვალ თბილისს დაბომბავს, ჩვენი პატრონი არავინაა ამ დუნიაზე, ჩვენ თუ არ ვუშველეთ ჩვენჩვენ თავს...

სტუდენტები მდუმარებდნენ.

ტუჩმოკუმულნი, გულმდუღარენი, მუშტებშეკრულნი დასცქეროდნენ ისინი მერხებს და აშკარად იგრძნობოდა, რომ აღშფოთებულნი იყვნენ მომხვდურთა თავხედობით.

– რა ვქნათ?! – იკითხა იკორთელმა ნამგალაურმა. იგი ფასიან განყოფილებაზე სწავლობდა და განცხადებას განცხადებაზე წერდა, რომ უფასოზე გადაეყვანათ.

– მე მეკითხები, რა ვქნათო, ნამგალაურო? მე, სამოცი წლის კაცს? რა ვქნათ და მივიდეთ ახლავე ყველანი რუსეთის საელჩოსთან, გამოვუცხადოთ პროტესტი. გავაგებინოთ, რომ ჩვენც ხალხი ვართ და არავის გავეთელვინებით.

– ოღონდაც! ოღონდაც! – ახმაურდა აუდიტორია.

–ახლავე წავიდეთ... ასე ერთად.. დისპეჩერს ვეტყვი, სტუდენტები ავლაბრის არალეგალური სტამბის დასათვალიერებლად მიმყავს-მეთქი. თანახმა ხართ?! – მტკიცე გადაწყვეტილებით განაცხადა ლექტორმა.

– თანახმა ვართ! თანახმა ვართ! მართლა და მართლა, სანამდე ვითმინოთ! წავიდეთ! წავიდეთ! – გუგუნებდა მენეჯმენტთა დაოსტატების ეროვნული აკადემიის დასწრებული განყოფილების 967-ე ჯგუფი. ხუთიოდე წუთის შემდეგ ჭავჭავაძის პროსპექტზე შეუიარაღებული თვალიც შეამჩნევდა მხნე ნაბიჯებით ტროტუარზე მიმავალთ, ოცდაათიოდე სტუდენტს წინ უფრაკო, უსინათლოთა ორდენთან არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ შეკერილ ლაბადამოსხმული, ნახევრად ჭაღარა კაცი მიუძღოდა.

დაკვირვებული მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, რომ ეს ჭაღარა კაცი სიმონ შარიქაძე იყო, პროცესია რუსეთის საელჩოსკენ მიიჩქაროდა, რათა ომალოს და შატილის (განსაკუთრებით შატილის) დაბომბვის გამო მტკიცე პროტესტი მიეხალათ ცხვირში ამ ორასჩვიდმეტი წლის წინათ მოყვრად მოსული დამპყრობლისათვის.

მარტის მზიანი, მაგრამ არცთუ სანდო-საიმედო დღე იყო,

თვით სინოპტიკოსთათვისაც კი დამაბნეველ ან ჭირვეულ დღეს თბილისელ მოქალაქეთაგან ბევრი აეყოლიებინა, სიფრიფანა მოსასხამებს მინდობილნი, ნახირსჩამორჩენილი ხბორებივით მიიჩქაროდნენ ისინი ქუჩაში და წამდაუწუმ ცას შესცქეროდნენ.

ცაზე ცალმხარეგანათებული, მატყლისფერი ღრუბლები ირეოდნენ. ზოგჯერ ტელევიზორის ეკრანზე ნანახი ატომური ბომბის აფეთქების კადრების დარად აფუვდებოდნენ, ერთმანეთს ჩაეხვეოდნენ და მეყვსეულად გაიშლებოდნენ ლურჯ ცარგვალზე.

მე შენ გეტყვი, ცაზე ადგილი არ იყო, ან ციური წინაღობა აკავებდათ.

– არა გვყავს, არა, ჩვენ დადედლებული გამორფინისტებულ-დამღიერებული ახალგაზრდობა, კატეგორიულად არ ვეთანხმები პარლამენტარ მიშველაძეს ახალგაზრდობის შეფასებაში. როგორ შეიძლება, სერიოზულად აცხადებდე: სამშობლოს ბედისადმი ასე გულგრილი ახალგაზრდა თაობა საქართველოს არასოდეს ჰყოლიაო. ახალგაზრდას წინამძღოლი სჭირდება, მომწოდებელი, გზაზე დამყენებული, რომ მოვუწოდე, არ

გამომყვნენ? რა ერთსულოვნად წამოიშალა და მომდევს ეს ჯგუფი. მივალთ, ცხვირში მივახლით ელჩს სიმართლეს, ამით სხვებსაც მაგალითს მივცემთ... ჩაძინებულ საქართველოს ცოტათი მაინც შევაღვიძებთ, – ფიქრობდა დოცენტი და ეს საქვეყნო ფიქრი მხნეობას მატებდა.

სასტუმრო „საქართველოსთან“ შეჩერდა. სვეტს მიეყრდნო და „მოლაშქრეთ“ გახედა. სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფად, ხუმრობა-ხუმრობით მოდიოდნენ. სახეზე დიდად ვერ შეატყო ბატონმა სიმონმა სტუდენტებს დაბომბილი ომალოს და შატილის ბედით დამწუხრება, მაგრამ ამისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. ილაღონ, ახალგაზრდა ხომ ყოველთვის ახალგაზრდააო, დაასკვნა.

ყოველ შემთხვევისთვის, ხმაამოუღებლივ გადათვალა რუსეთის საელჩოსკენ დაძრული მოიერიშენი. რა კარგი სიტყვაა „გადათვალა“ და რა ზუსტად გამოხატავს რაოდენობის უხმოდ, თვალით გაგებას.

ცხრამეტნი იყვნენ, ცხრამეტი საპროტესტოდ შეღერილ-აქოჩრილი სტუდენტი ცოტა როდია, ძვირფასო მკითხველო.

ცოტა ხანს იდგა შარიქაძე და რაკი არავინ მიემატა მის ირგვლივ მოტრიალე ჯინსოსან-ჩანთოსანთა ჯგუფს, ალბათ, უნივერსიტეტის ეზომ „აცდუნათ“, ან აუცილებელ საქმეებზე დანაწილდნენო, გაიფიქრა.

„მაინც არა უშავს, ოცდაათიდან ცხრამეტს ხომ ადარდებს ქართლის ბედი, ესეც ბევრს რასმე ნიშნავს.

მივალთ საელჩოსთან, ვიხმობთ ელჩს. დაცვას მოვახსენებთ, რომ სტუდენტთა დელეგაცია ვართ, რომ ქართული სტუდენტობა აღშოთებას ვერ მალავს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების თვითნებობის გამო, რომ ჩვენი გადაწყვეტილება ურყევია, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს აგრესია დამოუკიდებელი სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ...“

ვერაზე, ყოფილი წიგნის მაღაზიის წინ, თურქულ ხარახურას გასკდომამდე ხმააწეული მაგნიტოფონი დაჰხრიალებდა, თვით ყოფილ მაღაზიას კი აბრად ნოტის გასაღების მსგავსი

დოლარის ნიშანი ეხატა და ქვეშ უზარმაზარი ასოებით ეწერა – „შესყიდვა 197, გაყიდვა – 202“.

მეტროს წინ, რუსთაველის ძეგლთან, შეჩერდა შარიქაძე.

ქვის კატების ხახებიდან გადმომჩქეფარე წყალს ხელი შეუშვირა და სველი ხელი შუბლზე მოისვა.

თავისუფლების მოედნიდან ქვევით ჩავუხვიოთ და სანაპიროთი გავიდეთ საელჩომდეო, უთხრა ნამგალაურს.

ნამგალაურს გვერდით აწეპებულმა გოგომ თანაკურსელის მარჯვენას წელზე წამით იდაყვი შეუნაცვლა და ნირვანაში მყოფის ხმით იკითხა:

–შორია?

– საელჩომდე? – ჰკითხა ლექტორმა.

– რა ვიცი... სადაც მივდივართ, – უფრო ნაზად თქვა გოგონამ და აშკარად შეეტყო, ამ მტვრიან ქალაქში სიარულს ახლა ნამგალაურთან, ან ნამგალაურის მსგავს, სხვა, არანაკლებ შეყვარებულ ბიჭთან ერთად თუნდაც მატარებლის კუპეში ყოფნა ერჩია. – მალე მივალთ, – გაუღიმა შარიქაძემ.

რუსთაველის ძეგლთან დიდხანს არ გაჩერებულან.

ბატონმა სიმონმა საღეჭი რეზინები იყიდა და რუსეთის საელჩოსკენ დაძრულ საპროტესტო ბრიგადის წევრებს ჩამოურიგა.

სასტუმრო „საქართველოდან“ რუსთაველის მოედნამდე ეროვნული თავმოყვარეობით გამორჩეულ სტუდენტთა რიცხვი თერთმეტამდე შემცირებულიყო.

რვა აქტიური ყმაწვილი ახალგაზრდულ ქარბორიას აჰყოლოდა და საელჩოსთან საპროტესტო აქციის გამართვა სხვა დროისთვის გადაედოთ.

„არა უშავს, – ფიქრობდა დოცენტი შარიქაძე – ამ საქმეს თერთმეტიც ვეყოფით... მივალთ საელჩოსთან და „შავლეგოს“ ვიმღერებთ. ავტომატიანი კარისკაცი გვკითხავს, რასაკვირველია, ვინ ხართ და აქ რა გესაქმებათო. ჩვენ ელჩთან შეხვედრას მოვითხოვთ, ელჩი ადგილზე არ არის, გვეტყვიან, – მაშინ საელჩოს პირველ მდივანს შეგვახვედრეთ! კატ-

ეგორიულად განვაცხადებთ ჩვენ. ავტომატიანი ჩვენს სიახლოვეს მეორე ავტომატიანს დატოვებს და საელჩოს ცისფერ კარებში გაუჩინარდება... ოციოდე წუთში გამოგვაკითხავს და საქმიანი სახით მოგვატყუებს – არც საელჩოს პირველი მდივანია ადგილზე, იქნებ დღეს ამით დავამთავროთ, ხვალ მობრძანდით და, მეც ვფიქრობ, ხვალ შეხვდებით ან ერთს, ან მეორესო, – შენი „ფიქრი“ არ გვაინტერესებს, სანამ ელჩი არ მიგვიღებს, აქედან ფეხს არ მოვიცვლით! გადაჭრით ვეტყვით მატყუარა კარისკაცს და მასთან საუბრის დამთავრების ნიშნად განზე გავიხედავთ, ჩვენი შეუვალობით შეწუხებული კარისკაცი ერთხელ კიდევ დურთავს თავს საელჩოს შენობის ცისფერ ხახაში და ამჯერად შედარებით ჩქარა გამოავტომატდება, თუ შეიძლება, გკითხოთ, რა აუცილებელ საქმეზე შეწუხებულხართო, გვკითხავს, ისეთი არაფერი, უბრალო საქმეზე, დავიმორცხვებთ ჩვენ, ელჩს პროტესტი უნდა განვუცხადოთ რუსეთის არმიის თვითნებობის გამო. რა თვითნებობა შეატყვეთ ასეთი რუსეთის ჯარს? – გვკითხავს ინტერესადქცეული ჯარისკაც-კარისკაცი. ამას ელჩს მოვახსენებთ! წელანდელზე უფრო მტკიცედ ვუპასუხებთ ჩვენ და უფრო განზე და შორს გავიხედავთ...“

ამასობაში საპროტესტო დელეგაციას ცხრა აპრილს დაღუპულთა (ყოფილი კიროვის) სახელობის პარკი ირიბად გადაესერა და მშრალ ხიდთან გასულიყო.

სიმონ შარიქაძე ზედ ხიდის პარმაღთან შეჩერდა, რათა რუსეთის ელჩთან ომალოს და შატილის (განსაკუთრებით შატილის) დაბომბვის გამო საპროტესტო საუბრის დეტალები დაეზუსტებინა და სტუდენტ-მეამბოხეთა შორის ფუნქციები გაენაწილებინა.

ბატონ სიმონიანად სულ ხუთნი დარჩენილიყვნენ.

დანარჩენებს მოსწყენოდათ პატრიოტულად ატროკებული ლექტორის კუდში აღმა-დაღმა ჩანჩალი და ისეთი საეჭვოშედეგიანი საქმეც, როგორიცაა რუსეთის ფედერაციის საგანგებო, სრულუფლებიანი ელჩისთვის ომალოში თუ შატილში

ერთი შტერი მფრინავის მიერ ნებით თუ უნებლიედ ათიოდე სრულიადაც არაატომური ბომბის ჩამოგდების გამო მტკიცე პროტესტის გამოცხადება.

„სირცხვილი მაგათ, თორემ ამ საქმეს ხუთნიც ვეყოფით. მთავარია, პროტესტი დაფიქსირდეს. დელეგაცია ვართ, მორჩა და გათავდა. ვისი რა საქმეა, დანარჩენები სად არიან. – ჩვენს უკან ათასები დგანან! ამაყად განვუცხადებთ გაკვირვებულ ელჩს, რომელიც ავტომატიანი ჯარისკაცის პირით ჩვენს დიდხანს მოტყუებას ვეღარ გაბედავს, რაკი დარწმუნდება, რომ საელჩოს ჭიშკარს არ მოვშორდებით და, ვინ იცის, იქნებ საელჩოს შესასვლელიც გადავკეტოთ. იგი პრესატაშეს გამოგზავნის და, როგორც დიპლომატებს უყვართ ხოლმე თქმა, გარკვეულ დათმობაზე წავა. პრესატაშე საშუალო ტანის, პუტინივით მიხვრა-მოხვრით, სპორტულად მოსიარულე კაკებეჩნიკი ღიმილით მოგვიახლოვდება. – სტუდენტური დელეგაცია ბრძანდებით, ხომ? ღიმილით გვკითხავს. – დიახ, გახლავართ, – წარბშეკვრით მივუგებთ ჩვენ. თვითმფრინავის მიერ ნისლის ჩამოწოლის გამო მარშრუტის დარღვევის საქმეზე არა? უფრო ალალი ღიმილით გკითხავს. არა! ერთხმად მივუგებთ ჩვენ, ჩვენ ბომბების ჩამოყრის საკითხზე ვართ! – ნუ ცხარობთ, ყველაფერი გაირკვევა, დაგვიყვავებს პრეს-ატაშე, – ელჩმა გთხოვათ, ორი დელეგატი აირჩიეთ და ის ორი დელეგატი, ვისაც თქვენ ენდობით, წამობრძანდეს ელჩთან მიღებაზე. ჩვენ, რასაკვირველია, მცირე ყოყმანის შემდეგ ვეთანხმებით და რწმუნებულთა არჩევას ვიწყებთ. ერთი, რა თქმა უნდა, მე ვიქნები. მეორე, ალბათ, ნამგალაური. თუმცა სულერთი, ვინ იქნება. ლაპარაკი მაინც მე მომიწევს. აირჩიონ, ვინც თვითონ სურთ – ოთხიდან ერთი...“

მარტის წანწალია ამინდი იყო.

უღიმღამო მზე თავგამეტებით ცდილობდა ტყვიისფერი ღრუბლებიდან თავის დაძვრენას და დროდადრო სხივებს მოავლებდა ლტოლვილების სარეცხ-საცვალთა ტრანსპარანტებით დამშვენებულ სასტუმრო „ივერიას“, მაგრამ აშკარად

ჩანდა, რომ ღრუბელთა ქამანდიდან თავს ვეღარ დაიძვრენდა.

ნასამხრევს მაინც უსათუოდ გაწვიმდებოდა.

რუსეთის ფედერაციის საელჩოს შენობის წინ ზებრის უკანალივით დახაზულ ჯიხურთან ვაგონის გამცილებლის ქუდიანი, შავოსანი, ხელთოფიანი გუშაგი მიმოდიოდა. საელჩოს თავზე რუსული ალამი ალუმინისწვეტიან დროშის ტარს ჩამოჰხვეოდა. იგი დროებით არ ფრიალებდა, რაკიღა ქარი ჩამდგარიყო.

შარიქაძემ მოიხედა. ის ხუთი „მეამბოხე“ სტუდენტიც არსად ჩანდა.

... საელჩოს წინ ქუჩა გადმოჭრა ნეილონის მოსასხამიანმა, უბერეტო კაცმა. საელჩოს ჭიშკართან შეჩერდა და კარისკაცს ისეთი სახით დააკვირდა, თითქოს რაღაც უნდა ჰკითხოს და ვერ გადაუწყვეტიაო.

– ჩავო ტებე? – თითქოს გულისთქმას მიუხვდაო, ჰკითხა ყურადღებიანმა გუშაგმა.

– ნიჩევო. ჩტო, ნელზია ზდეს პრახადიტ?! – გაბზარული ხმით ჰკითხა მოსასხამიანმა მოქალაქემ და ჯიბიდან უნებურად ხელები ამოიღო.

– პრახადიტე პაჟალუსტა. იდიტე პო სვაეი დაროგე. ზდეს პოსოლსტვო, ნეჩევო სმატრეტ!

ვერ დავმალავ, მოსალოდნელზე უფრო ზრდილობიანად და თბილად უთხრა რუსმა.

დოცენტმა სიმონ შარიქაძემ მარილებისაგან დაზრული ხელებით კვლავ მოსასხამის ჯიბე მოძებნა. ერთხელ კიდევ მიმოატარა მზერა საელჩოს ზებრულ ჯიხურსა და ფედერაციის დროშას შორის, მერე მტკიცე გადაწყვეტილებით ჩაახველა და ისე, რომ გუშაგს არც კი დამშვიდობებია, სამარშრუტო ტაქსების გაჩერებისკენ გააბიჯა.

დეპუტატები

ლეონარდო ფილიპაშვილი ქალაქ სანსკრიტიას საკრებულოს ჩუმი და უწყინარი წევრი გახლდათ. საკრებულოს სხდომებს ყოველთვის ესწრებოდა, რადგანაც დამჯერე და კანონმორჩილი კაცი იყო, ხოლო სიტყვით იშვიათად გამოდიოდა თავისი უპრეტენზიო ხასიათისა და ჩრდილში დგომის მოყვარულობის გამო.

ეთნოგრაფიული მუზეუმის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა გადეპუტატებამდე. გადეპუტატების შემდეგ, სანამ არ დაადგინა, რომ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლობა სადეპუტატო შეუთავსებლობად არ ითვლებოდა, კუთვნილი ჯამაგირის (ოცდასამი ლარი) ასაღებად სალაროს არ გაკარებია.

საკრებულოში ერთი პატარა ოთახი გამოუყვეს. წებოწნეხილი ნახერხის ფიცრებისაგან დამზადებულ მაგიდაზე, წარმოიდგინეთ, ტელეფონიც დახვდა, მაგრამ ტელეფონი ერთ კვირაში მოუხსნეს. ეს ტელეფონი, ამ ოთახში შენამდე რომ დეპუტატი იჯდა, იმან თავისი პირადი კონტაქტ-ავტორიტეტით დაადგმევინა, თორემ რიგით დეპუტატს რეგლამენტით ტელეფონი არ ეკუთვნისო, აუხსნეს. ახლა, რაკიღა ის დეპუტატი ხელმეორედ აღარ აირჩიეს, თავისი პირადი გამავლობა-ნაცნობობით დადგმული ტელეფონი თავის ახალ სამსახურში გადააქვსო. ლეონარდომ მშვიდად მოუსმინა ამხსნელს და პროტესტი არ განუცხადებია. კაცმა რომ თქვას, მას ტელეფონი დიდად არ სჭირდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საკრებულოში თითქმის არავინ აწუხებდა. მოქალაქეებმა კარგად იცოდნენ, ვინ იყო „საქმის გამკეთებელი“ დეპუტატი და ვინ ისე, ლეონარდოსავით დემოკრატიის გამო, საჩვენებლად შეყვანილი საკრებულოში.

საკრებულო პოსტკომუნისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი, ნახევრადკორუფციული ცხოვრებით ცხოვრობდა. ხელფასს სამ თვეში ერთხელ იძლეოდნენ, მაგრამ ლეონარდოს და ერთი-ორი დეპუტატის გარდა, საკრებულოს წევრთაგან ამ ამბით შეწუხებულს არავინ ჰგავდა. აშკარა იყო, საკრებულოს წევრებს სხვა რაღაც ფარული შემოსავალი ჰქონდათ და ოდენ ხელფასის იმედზე არ უნდა ყოფილიყვნენ.

საკრებულომ ლეონარდო ფილიპაშვილის ცხოვრებაში მხოლოდ ის სიახლე შეიტანა, რომ საკრებულოს წევრმა ჰალსტუხის კეთება დაიწყო და სასამსახურო დრო, უცხო სიტყვა რომ ვიხმაროთ, რაციონალურად გაანაწილა; დღის პირველ ნახევარს საკრებულოში ატარებდა, დღის მეორე ნახევარს – მუზეუმში.

ვერ მოვყვები იმის მტკიცებას, რომ თითქოს ნაცნობ-თანამშრომელთა შორის შეუმჩნეველი დარჩა ლეონარდოს არჩევა ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოში. ლეონარდოს სხვა თვალით დაუწყეს ყურება. მეტი რიდი და პატივისცემა იგრძნობოდა ფილიპაშვილის მიმართ. ხანდახან კი ილაჯგაწყვეტილი მოქალაქენი, ირონიის გარეშე, აშკარად გადაუკრავდნენ ხოლმე სიტყვას ლეონარდოს საქვეყნო გასაჭირზე, დაახლოებით ასეთი ფრაზებით:

„დღეს სამი საათი ვუცადე ტროლეიბუსს, ვერ დავსვამთ საკითხს ტრანსპორტისას?“

„ბოვშვი სკოლაში ვერ გოვუშვი, ჩაფულა არ აცვია, რას შობით თქვენ იქანა, ლოთიანად, ხელფასს არ გვირიგებთ?!“

„რო აგირჩიეთ და რომ მოყუჩდით იმ საკრებულოში, ერთი გამაგებიეთ, ვის ჯიბეში მიდის დახმარება, ამერიკა რომ გვაძლევს?!“

ამგვარ და ზოგჯერ უფრო მძაფრ მიუკიბავ შეკითხვებზე ლეონარდო წითლდებოდა, უხერხულად ასავსავებდა ხელებს და მორცხვი ღიმილით ჩაილუღლუღებდა:

„კაი, ერთი, თუ ძმა ხარ, მე ვინ მკითხავს იქანა რამეს...“

ქრისტეს დაბადებიდან 2000 წლის 14 ოქტომბერს საკრებულოს თავმჯდომარემ, გოშხეთელიანმა, სხდომის დასასრულს მთვლემარე საკრებულო ომახიანი მგზნებარე სიტყვით გამოაღვიძა.

კოლეგებოო, გოშხეთელიანმა, სანამ ხალხი ჯოხს აიღებდეს და გაგვრეკავდეს აქედან, გვმართებს, ყურები გამოვიფხიკოთ და ჭკუას წიხლი დავაჭიროთ, თორემ მერე ყველაფერი გვიან იქნება, მამაჩემსა აქვს ცხონებაო. დღეს ძალოვანი სტრუქტურების სამ უფროსს მოვუსმინეთ, მაგრამ ვერაფერი საიმედო ვერ დავინახე პირადად მეო – მივეჩვიეთ ლამაზ-ლამაზ ფრაზებს და სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონკრეტულად საქმეზე კი არავინ ლაპარაკობსო. ასე გაგრძელება არ შეიძლებაო, გოშხეთელიანმა, აი, ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით, ჩვენს შორის ყველაზე წესიერ კაცს – ლეონარდო ფილიპაშვილს, ვავალებ, მომავალ სასესიო კვირას გააკეთოს მოხსენება თვით საკრებულოს წევრების კორუმპირებულობისა და დეპუტატის რეგლამენტთან მათი საქმიანობა-ქონების შეუთავსებლობის შესახებო. თუნდაც ჩემგან დაიწყოს, არ მომერიდოს, არც მე და არც სხვას. კონკრეტული გვარების დასახელებით მაგალითის მიცემა ქვეყნისათვის სწორედ ჩვენმა საკრებულომ უნდა დაიწყოსო.

ლეონარდო წამოდგა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ დააცალეს, გოშხეთელიანმა გაუღიმა, აბა, თქვენ იცით, ბატონო ლეონარდო, როგორ გაამართლებთ სპიკერატის ნდობასო და სესია დახურულად გამოაცხადა.

ამ განცხადებიდან მეორე დღეს არაფერი და, მესამე დღეს, ნავახშმევს, ფილიპაშვილის კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა.

გააღო. მის წინ საკრებულოს წევრი, კიაზო წურწუმია, იდგა.

– ძლივს მოვაგენი, ლეონარდო, სად ყოფილხარ ამ სიშორეზე, – სტუმარმა სველი მოსასხამი ლურსმანზე დაკიდა.

– რა ვიცი, შევრჩი. ისე, წყნარი ადგილია.

– წყნარი კია, მარა რო მოთოვს, რითი ამოდიხართ ამ აღმართზე?

– ზამთარში ჭირს, მართალია. განსაკუთრებით, მოყინულზე. ფეჩს დავანთებ, შეციებული ჩანხარ.

– არა, არ მინდა. იყოს. დაჯექი, პატარა საქმე მაქვს, – კიაზომ მაგიდის ქვემოდან ტაბურეტი გამოაჩოჩა და დაჯდა.

– ხვარაფერს დალევ? – ლეონარდომ ძველი, მამაპაპური კარადისკენ გაიწია.

– წყალს ქე დავლევდი ერთ ჭიქას, ცივი წყალი თუ გაქვს.

– რავარი ცივი მერე.

მასპინძელმა მაცივრის კარი გამოაღო და წყლიანი გრაფინი მაგიდაზე დადო.

წურწუმიამ ჭიქა გადმოაბრუნა, დაისხა, დალია და ფილიპაშვილს მიაჩერდა.

– რა ქენი, ხვარ დაგიწყია მოხსენებაზე მუშაობა.

– ჯერ არა. ხვალიდან მინდა დეკლარაციებს ჩავხედო. რა შარში გამაბეს. მაგის თავი მაქვს მეე?

– რა თავი მაგას უნდა, სანსკრიტიაში, მე შენ გეტყვი, ყველამ ყველას ყველაფერი არ იცის.

– ეგ კი, მარა, ხომ უნდა გავერკვე, ზეპირ ნათქვამს ხომ ვერ იმასვიზამ. საბუთებია საჭირო...

– ლეონარდო, – სტუმარი რატომღაც ჩურჩულზე გადავიდა და გარეგნულად მშვიდი კილო, რითაც შემოსვლის დროს დაიწყო, განწირული კაცის ინტონაციით შეეცვალა, – ის ნახევარი მილიონი მარტო ჩემი არ გეგონოს...

– რომელი ნახევარი მილიონი?

– სტამბოლის ბანკში როა. დეექცესყენ ოჯახი ხაბურზანიას და ნიაძეს. ჩემს სახელზე შემატანიეს, თვარა ჩემი მეოთხედიც არაა იქანა.

– გიწერია ეს ასე დეკლარაციაში?

– დეკლარაციაში არ მიწერია, მარა...

– აბა, სხვა რამეს ვინ ამოწმებს. ვერ გაჩუმდები შენთვის?

– გოუგებარი არაფერი დარჩება და იმიტომ ვამბობ, მართალი კაცი ვარ მე, ლეონარდო, და უპატრონო რო ვარ, იმიტომ მეშინია, ჩემი ხელით მოგროვილი ჯართითაა ის ფული ნაშოვნი, რავა მე სურმავასავით სესხი კი არ ამიღია და დოლარებათ კი არ გამიცოცხლებია. ან ჯომარჯიძეს რომ ათი ფირმა აქვს და „მორბენალის“ ბაზრობასაც რომ ხაზეინობს. ჩემზე რაი აქვთ სათქმელი, გუმათის სახლზე თუ გითხრეს კიდო, ის სახლი ჯიმადამ მაჩუქა. გადაფორმება შემაგვიანდა, ჭრაქაძესავით ასი ათას დოლარად კი არ მიყიდია.

– ჭრაქაძემ რაი?

– რაი და ასი ათასი დოლარი მისცა, მაგერ, მათხოჯის გადასახვევთან, ტრაპაიძეების ორსართულიან სახლში და ორი სართული დააშენა უნებართვოდ. გატარებულიც არა აქვს არსათ, ვერ გაძღა მაგენის მუცელი.

სხვაც ბევრი რამ უთხრა იმ საღამოს წურწუმიამ ლეონარდოს, მაგრამ ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, მკითხველის მეხსიერების დაძაბვას ვერიდები. მთავარი აქ ის გახლავთ, რომ ფილიპაშვილმა სტუმარი ამ სიტყვებით გამოაცილა:

– წაი ახლა შენ, წურწუმია, და ნუ გეშინია ნურაფრის, თუ მართალი ხარ. თუ მართალი არა ხარ, რა ვქნა, ძმა რო იყო ჩემი, ხელს ვერ დაგაფარებ. ვნახავ ყველაფერს, გავერკვევი.

„გავერკვევი“ არ მოეწონა სტუმარს, დაიბნა, კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ გადაიფიქრა, უარესი არ გამოვიდესო. ხელი ჩამოართვა და ბარბაცით ჩაუყვა დაღმართს.

დილით ის-ის იყო „ალიონში“ მაცხონაშვილმა „დაასაბუთა“, რა შეიძლება იყოს უფრო სამარცხვინო, ვიდრე საბუთებში მოქალაქის ეროვნების ჩაწერაო, რომ ღია კარებში დეპუტატი სურმავა გამოჩნდა. „ბამბანერკა“ და სურების ჩამოსხმა შამპანური მაგიდაზე დადო თუ არა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

– არ გაგაცდენ, ლეონარდო, ჩემნაირი შემწუხებელი ბევრი გეყოლება შენ. ისე მევედი, უბრალოთ. უნდა დაასახელო გვარებიო, რომ გითხრა, გოშხეთელიანმა, მეც მაგ აზრის ვარ.

ხომ უნდა დევიწყოთ ბოლოს და ბოლოს – ხომ უნდა გეიგოს ქვეყანამ სიმართლე. მეიძიე რამე მასალები ჯეერ? ჩემთან ქე იქნება ყველაფერი რიგზე ხომ? ეშმაკიზა სული არ მიმიყიდია და მაგენივით დიდი ჯიბე არ დამიკერებია ხალათზე.

– შენთან, პრინციპში ხო, სიტყვა გაიძნელა ლეონარდომ, – ის ერთი ამბავია შავ წერტილათ, რათ გინდოდა შენც, მაგხელა ამბავი რომ არ დაიმალებოდა, ხომ იცოდი?

– რაი?

– აქეთ მეკითხები? სესხის ამბავი, რა და.

– მერე ხო გასწორებულია ყველაფერი.

– რა არის გასწორებული, სურმავა? დოლარებათ რო აქციე „რუბლი“ და კუპონებით გოდოუხადე ქვეყანას, ამას ეძახი შენ გასწორებულს?

– კი მარა... ახლა... მაგას გამევეკიდოთ? – ნირი წაუხდა, სუნთქვა გაუხშირდა სურმავას – არ დამღუპო, ლეონარდო, შენი იმედი მაქვს, რო დამასახელო, დევიღუპები იცოდე, მაინც არ ვარ კარგად, ოთხასზე მაქვს შაქარი.

– წაი, ჰო, წაი, ვნახავ თუ რამე მოვუხერხე... დამალვა ნამეტანი ძნელია, მერე სხვა გამოჩხრიკავს.

დარეტიანებული ჩარბოდა კიბეზე სურმავა. ისე მიიქნევდა ხელებს და მილაპარაკობდა, გვერდით ჩავლილი ჯომარჯიძე ვერ შეამჩნია.

– რა გამეხარდა, რა გამეხარდა, რო იცოდე! – ხელი გაშალა ლეონარდოს დანახვაზე ჯომარჯიძემ.

– რა გაგეხარდა? – ჰკითხა მასპინძელმა.

– რა და, შენ რომ დაგავალეს მოხსენება, ყველაზე პატიოსან კაცს, ალალ კაცს, მართალ კაცს. უნდა გამოხვიდე შენებურად. პრინციპულად. არ მოერიდო არავის. ერთი პლიუსი გვაქვს მე და შენ მაგენთან – პატიოსნები ვართ. მთელი ცხოვრება სუფთათ გვივლია. ნახონ ახლა, რავა უნდა ხალხის ტყავება. დაასახელე ყველა, არ დაუმალო არავის არაფერი.

– ვცდილობ, რა ვიცი.

– არ შეგეშინდეს.

– შიშით არა, მარა...

– მარა რაი?

– ზოგი იმნაირი ახლობელი ხვდება, ეს ოხერი, ამ სიაში. არ დაასახელებ და არა ხარ სწორი. მაშინო, მეტყვიან, იმას რატო დააფარე ხელიო. მეტი გზა არა მაქვს, უნდა ვთქვა.

– თქმა სჯობია, თქმა, რასაკვირველია. პირველათ შეიძლება ქე ეწყინოს ზოგიერთს, მარა ქვეყნისთვის თქმა სჯობია. რათ გვინდა, აბა, ე ჩვენი პატიოსნება მე და შენ.

ჭიშკართან რომ მივიდნენ, ლეონარდომ ხელი გაუწოდა სტუმარს და, სხვათაშორის, ჰკითხა:

– ის ფირმები შენს სახელზეა, თუ გადააფორმე?

– რა ფირმები?

– ათი ფირმა რო გაქვს?

– ათი სად მაქვს. ორი ფირმა ჩემი სიძისაა და რვა არი მარტო ჩემ სახელზე – ხმა ჩაუწყდა ჯომარჯიძეს – ფირმები რა არი, ხალხს ბაზრობები აქვს საკუთრად.

– ჰო, მართლა, „მორბენალი“?

– რა მორბენალი?

– „მორბენალი“ შენი არაა?

– მთლად ჩემიც არ ეთქმის... მე... ხარჯის მეტი არაფერი იყო აქამდე იქანა... მშიერი მომიკვდებოდა ცოლ-შვილი... აპა... რა ვიცი... ყველამ ყველაფერი იღონა მაშინ. „მორბენალი“ თვარა...

– კარგად იყავი.

– შენი იმედი მაქვს, ლეონარდო. ჩემიანი ვარ იყო, არ მევიდოდი... მე რომ იქანა დავსახელდე, მეტი არაფერი უნდა ჩემს მტრებს...

ეს ბოლო სიტყვები ლეონარდოს არ გაუგონია. ჯომარჯიძე ხელებს ციებიანივით იფშვნეტდა და თან ყელშიცრემლწაჭერილი ლუღლუღებდა.

ასახვევთან ჭრაქაძე შეხვდა. ფერგადალეული ჯომარჯიძე

კოლეგა დეპუტატს ვერ შეამჩნევდა, ჭრაქაძეს რომ ხელი არ წაევლო და არ შეეჩერებინა.

– არის? სახლშია? – ჰკითხა.

– კი, – განზე გაიხედა ჯომარჯიძემ.

– ?!

– ყველაფერი იცის...

ჯომარჯიძეს გაბზარული ხმა ჰქონდა.

ასეთი ხმა გლანდების ახალნაოპერაციებ ან ინფარქტიდან სანახევროდ გამომძვრალ კაცებს აქვთ ხოლმე.

რიგითი პოლიციელი ხინგავა

პოლიციის უფროსის კაბინეტში მაგიდას ორნი უსხედან: პოლიციის უფროსი, ორმოციოდე წლის, ჟღალთვალება პოდ-პოლკოვნიკი შარიქაძე და პროკურორის ფორმაში გამოწყობილი კოხტა ქალი.

ქალი – გეხვეწები რა, კიდევ ერთხელ დაუძახე.

კაცი – ნუ ხარ, გოგო, შენ სულელი. საქმე არაფერი გაქვს?

ქალი – გეხვეწები რა, ძალიან გთხოვ, ერთხელ, მეტჯერ არა.

კაცი – (თვალები ეშმაკებით გავსებია) – ნუ იცინი, მიხვდება, დებილი კი არ არის.

ქალი – ხმას არ ამოვიღებ, შენ თავს ვფიცავარ. მუნჯად ვიქნები. დაუძახე რა, დაუძახე, თორემ თავს მოვიკლავ.

პოლიციის უფროსი სელექტორს ჩასძახის:

– რომელი ხარ?!

– მე ვარ, უფროსო.

– ხინგავას დაუძახე.

– ახლავე, უფროსო!

შემოდის რიგითი პოლიციელი ხინგავა.

დევის ყურები, ვიწრო შუბლი, კიტრა-ნესვის მსგავსი თავი, წარბებიდან ორი თითის დადებაზე დაწყებული, მოკლედ შეკრეჭილი თმა, ფართო, გალიფე ლოყები, გრძელი, ელასტიური რეზინისმსგავსი პირი, სამკუთხა, ნაღვლიანი თვალები...

ხინგავა შემოსვლისთანავე ქალს შესცქერის და იღიმება მორცხვი, ალალი, კეთილი ღიმილით.

– ხინგავა, იცნობ შენ ამ ქალს?

– არა, ბატონო.

– ჩვენი სტაჟიორია პროკურატურიდან, გაიცანი.

ხინგავა კედელს აჰკვრია, ხან უფროსს შესცქერის, ხან მომხიბვლელ სტაჟიორს.

– რამდენი ხანია, რაც პოლიციაში ხარ, ხინგავა? – ეკითხება ქალი და სახეზე ეტყობა, სიცილს მილიონი თოკით იკავებს.
– წელიწად-ნახევარია, ქალბატონო.
– საყვედური ხვარ გაქვს პირად საქმეში?
– არა, პატივცემულო.
– მადლობა?
– არც მადლობა, პატივცემულო.
– კარგი, წადი. კაი ბიჭი ხარ შენ, ხინგავა.
– ვცდილობ, პატივცემულო.
ხინგავა გადის.
კაცი – გათავდა, მეტს აღარ დავუძახებ.
ქალი – რა გინდა, ახლა ხომ აღარ გამცინებია?
კაცი – ტუჩებს თავს ვერ უყრიდი. შენ გგონია, ვერ მიხვდებოდა ხინგავა? რა შენი საქმეა, საყვედური აქვს პირად საქმეში, თუ მადლობა.
ქალი – რა საკაიფო ვინმეა?! ნუ, გაგიჟება შეიძლება, ასეთი მასტი ჯერ არ მინახავს. ზღაპრული ვიღაცაა. მკვდარს გააცინებს. ყურები ნახე, ზედგამოჭრილი ლეღვის ფოთლებია, ლოყები?!
კაცი – ღობეში გაჩხერილი კვახი. დავამთავროთ ახლა, გავიცინეთ და გვეყოფა.
ქალი – წასვლამდე ერთხელაც რომ არ ვნახო, გავგიჟდები. მაგის სანახავად მოვდივარ ყოველდღე.
კაცი – ჩემ სანახავად არა, ხომ?
ქალი – შენ რა სანახავი ხარ. ხინგავა სხვა ვინმეა, ხინგავა არავის ჰგავს. მულტფილმის დევია, გაფერადება რომ არ ჭირდება, ისეთი.
ხინგავა პოლიციის უფროსის კაბინეტიდან გამოდის და მორიგის მაგიდასთან მოაჯირს ეყრდნობა.
მორიგე – რაიო?
ხინგავა – არ ვიცი. არ მეუბნებიენ არაფერს. დამიძახებენ: უფროსი გაზეთს აიფარებს სახეზე, ქალი მეკითხება: შენაო, საიდან ხარო, მშობლები რა მოხელე-ჩიქვანები გყავსო, პოლიციაში საიდან მოხვედიო, ბავშვობაში ხვარ გიავადმყოფიაო, საყვედურები თუ გაქვს პირად საქმეშიო. ესაა სულ... მერე მეტყვიან თავისუფალი ხარო და ერთ საათში ისევ მეძახიან.
მორიგე – ნაღდად გაწინაურებენ. მაგენი ამდენჯერ ტყუილად არ დაგიძახებენ.
ხინგავა – მეც მასე მგონია.
მორიგე (ღიმილით აათვალიერ-ჩაათვალიერებს) – ე ლოყები შენ, ხინგავა, რავა სამჭედლოს საბერველივით გაქვს დაბერილი.
ხინგავა (იღიმება) – ძაან მეტყობა?
მორიგე – შესამჩნევად.
ხინგავა – რა ვიცი, ეშმაკი... ბავშვობაში ლამაზი ბოვშვი ვყოფილვარ და ყველა ლოყაში მკიდებდა თურმე ხელს, ვისაც არ ეზარებოდა. ისე... მოსაფერებლად, ქე რომ იციან ბოვშის ამოჩემება. ჰოდა, დამიბერეს ლოყები, მაგენს გოდოუშენდაყენ პატრონი. რა გაცინებს.
მორიგე – არაფერი, ისე... ნამეტანი მოფერება იცის მაინც ზოგმა. ლოყებს რო გიქაჩავდნენ, არ გტკიოდა?
ხინგავა – არ მახსოვს... რავა... რა იყო?
მორიგე – არაფერი, ისე გკითხე.
ხინგავა – მე საიდან მემახსოვრება, შენ ორი-სამი წლისას გახსოვს რამე?
მორიგე – ხინგავა არა, არ მახსოვს. შენ ეს მითხარი: რო დაგიძახებენ, მასეთ უბრალო რაღაცას შეგეკითხებიან და გამოგიშობენ?
ხინგავა – კიე.
მორიგე – დავალებას არაფერს გაძლევენ?
ხინგავა – ვერ გევიგე?
მორიგე – ვთქვათ, ასე ქენი და ისე ქენიო. სიტყვაზე გეუბნები. აპა რავარი შემსრულებელიაო, არ აინტერესებთ?
ხინგავა – ჯერ ვერ ვატყობყენ ვერაფერს. სახეზე მომჩერებია ორივე და მათვალიერებენ.
მორიგე – ქალიც მოგჩერებია?

ხინგავა – ქალი ნამეტნავათ... მე ვიბნევი და კიდო კაი, წაი ახლაო, რო მეუბნებიან. ყურების შუილი ვიცი, როცა მრცხვენია.

მორიგე – რაის გრცხვენია. რავა. კარაფერი მოგიპარავს, რო შეგრცხვეს. გიძახიენ, შენით ხვარ შედიხარ. ე ყურები შენ, ხინგავა, ასთე გქონდა თავიდან?

ხინგავა – ხო გითხარი, მასწავლებლებმა გამიქაჩეს, თვარა მესამე კლასამდე ლოკოკინას ნიჟარაზე პატარა ყურები გქონდაო, დედაჩემი მეუბნება.

მორიგე – მასწავლებლებმა რაფერ, რანაირად?

ხინგავა – რა გაცინებს. ცელქი ვყოფილვარ ნამეტანი და რომ ოვუშლიდიყენ ნერვებს, მსტაცებდენ ყურში ხელს და ყურით უნდოდათ ევეწიეთ ზეით, თუ რა სიკვდილი უნდოდათ, რა ვიცი... რავარც ეტყობა, მე ვუძალიანდებოდი და მეტი კი არ უნდა ბოვშის ყურს. რო არ ამახიეს, არ გიკვირს? რა გაცინებს?!

მორიგე – მე სხვა რაღაცაზე ვიცინი. კი მარა, ასე ერთ ზომაზე რავა დაგიყენეს ორივე. ხან მარჯვენაში გკიდებდნენ ხელს და ხან მარცხენაში?

ხინგავა – რა ვიცი, გოდოუშენდაყენ პატრონი. მარჯვენა ყური ცოტა მეტი მაქვს, თუ დააკვირდები.

მორიგე – ჰო, ოდნავ... ვითომ... ისე არ გეტყობა.

ხინგავა – მეც ვერ ვატყობ, გითხრა სიმართლე, სხვები მეუბნებიან, რა გაცინებს?

მორიგე – რაღაცა გამახსენდა.

ხინგავა – რავა იტყვი, ვითომ კიდო დამიძახებენ?

მორიგე – რა ვიცი... თვითონ იციან, რავარც საქმეს მოუხდება. დაგიძახონ რა... შეხვალ და ის იქნება, რა გეხარჯება.

ხინგავა – დაღლილი ვარ... ვითომ პატარას წოვუძინებთქვა.

მორიგე – გაგიჟდი? წავლენ და მერე იძინე, რამდენიც გაგეხარდება.

ხინგავა – კაი აბა... აქვე ვიქნები... მოსაცდელში. თუ დამიძახონ, დამიძახე. რა გაცინებს...

* * *

ხინგავა პოლიციელების შესაკრებ გრძელ, ნაცრისფერკედლებიან ოთახში შედის და მაუდგადაფარებულ მაგიდას ხელშუბლით ეყრდნობა.

ალაგ-ალაგ აყრილი პარკეტი მოუცემენტებიათ.

ზედ ხინგავას თავზე დაკიდებულ ნათურას ბუზები და ფარვანები დაჰფარფატებენ.

მათი ჩრდილი ხინგავას ყურ-კისერზე თიმთიმებს.

უმინო ფანჯრიდან ოქტომბრის სუსხი შემოდის.

გარეთ, ვარსკვლავიან ღამეს ჭრიჭინებიღა აძლევენ სიცოცხლის ნიშანს.

გარანტია – სისხლის ყივილი

შემეძლო, პარაშუტი ავტომატურ გახსნაზე დამეყენებინა, თვითონ გაიხსნებოდა და ამ ნერვიულობასაც გადავრჩებოდი, მაგრამ არ მირჩიეს.

შეიძლება, ქარმა უდაბნოსკენ გაგიტაცოს და იქ რომელიმე კუსტარ-გუშაგმა როჭოსავით ჩამოგაგდოსო.

გეგმის თანახმად, სოფლის ცენტრში თუ არა, იქვე, ახლო-მახლო, დასახლებულ პუნქტზე, ხალხმრავალ ადგილას უნდა დავშვებულიყავ. ამ დროს პარაშუტი ხუთასი-ოთხასი მეტრის სიმაღლეზე უნდა გახსნა. მინიშნებულ ადგილას დაჯდომის მეტი შანსი გაქვს.

წარმოიდგინე, სამი კილომეტრი ვიფრინე ჰაერში. ჩემთვის – არაპროფესიონალი პარაშუტისტისთვის, ეს ძალიან დიდი მანძილია.

დავეშვი.

ვხედავ, გამორბიან წვეროსან-ჩალმიანი ავღანელები.

პარაშუტის აკრეფას არ ვჩქარობ.

ვწევარ.

მოვლენ და თვითონ მოუვლიან ყველაფერს.

თავს დამესხნენ. გამკოჭეს, ერთი-ორი მითავაზეს კისერში, თითქოსდა სადმე გავრბოდი. – „ურუს! ურუს!“ – გაჰყვირიან.

გამჩხრიკეს ფეხის ფრჩხილებამდე. ხელები ძელზე გამიკრეს და მწვანედ შეღებილ, უფანჯრო, ერთსართულიან გრძელ შენობაში შემიყვანეს.

დაბალჭერიან ოთახს ჭერიდან დაშვებული სინათლის ჭავ-ლი ცისფერი ციაგით აშუქებდა.

ჭრელ ფარდაგზე ინახით იჯდა ოცდაათიოდე ჩალმოსანი.

წამოდგა ერთ-ერთი მათგანი, მაღალი, შავწვერა, თვალ-გიშერა ავღანელი. მომიახლოვდა, ნიკაპი ამიწია და თვალებში ჩამხედა.

– რუსი ხარ?

მე ავღანურისა ცოტა რამ გამეგება. ყოველ შემთხვევაში, იმდენი მაინც, მარტივ შეკითხვებს რომ ვუპასუხო.

– არა.

– იტყუები, რუსი ხარ!

– საბჭოთა კავშირის მოქალაქე ვარ.

– რუსი ყოფილა, – გადაულაპარაკა ინახით მსხდომთ.

ჩალმოსანი თავები ამოძრავდნენ.

სახეზე ყოველ მათგანს ლამის ერთნაირად, ზიზღი და მრისხანება დაეხატა.

– აქ რა გინდათ. ვინ მოგიწვიათ ავღანეთში?

– სისხლი სწყურიათ ჩვენი! – ჩემს მაგივრად უპასუხა წვეროსანმა.

– არ ვიცი, სისხლი ვის სწყურია, მე საგზაო ინჟინერი ვარ.

– მერე, აქ რა გინდა, ვინ დაგპატიჟა, ჩვენ ჩვენი ინჟინრე-ბიც გვყოფნის.

– საბჭოთა კავშირი გეხმარებათ, რატომ არ გესმით.

– რაში გვეხმარება.

– გზების მშენებლობაში.

– გიაურებო! მთელი მსოფლიო სისხლით მორწყეთ. გაწყდა თქვენი სინსილა. ზაირ-შაჰიც ჩვენს დასახმარებლად ჩამოაგ-დეთ? დაუდ-შაჰი და მთელი მისი ოჯახიც ჩვენს დასახმარე-ბლად ამოწყვიტეთ? გამყიდველი ტარაკი ჩვენს დასახმარე-ბლად აღაზევეთ? ჩვენს დასახმარებლად ხოცავთ უმოწყალოდ ბავშვებს და მოხუცებს? – არ ცხრებოდა წვეროსანთაგანი.

– მე მშვიდობიანი ინჟინერი ვარ.

– კგბ-ს კაცია, – დაბეჯითებით აუწყა თანამეინახეებს ჩემმა დამკითხველმა, – გაიყვანეთ.

გამიყვანეს, მცემეს და საკანში შემაგდეს.

დატკეპნილ მიწურში ხუთი ხის ტახტი დგას.

საკანს სარკმელი არა აქვს.

სინათლე მხოლოდ ღია კარიდან შემოდის.

კარებში შაშხანიანი ავღანელი ზის და თვალს არ მაცილებს.

ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით ხდება.

მთავარია, არ დამხვრიტონ, სხვას ყველაფერს მოევლება.

ავღანური, ცხელი ღამე ჩამოწვა.

სული მეხუთება.

ხის ჯამებით წყალი და ცოტაოდენი მშრალი ბრინჯი, აქ შემოყვანისთანავე რომ დამიდგეს, მაშინვე გეახელით.

წყურვილისაგან ხახა მიშრება.

გუშაგი მეოთხეჯერ გამომიცვალეს.

მირჩევნოდა, კარი მოეგდოთ, იქნებ თვალი მომეხუჭა და ჩამომეთვლიმა მაინც.

მგონი, ესეც დასჯის მეთოდია. წამდაუწუმ შენკენ გაფაციცებით მოპყრობილ ორ შავ თვალს რომ წააწყდები.

ჯამს დავწვდი და გუშაგს ვანიშნე, მწყურია-მეთქი.

პასუხად თავი გადააქნია, არ შემიძლიაო.

დილამდე დრო მაქვს და გიამბობ, ვინა ვარ, რატომ აღმოვჩნდი ამ ჯოჯოხეთში.

შენ ახლა გენერალ თენგიზ ეპიტაშვილად მიცნობ, მაშინ პოლკოვნიკი, „ზურაბ ეცადაშვილი“ ვიყავი. ასე მეწერა საბუთებში. დიახ, ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი თენგიზ ეპიტაშვილია, მაგრამ უშიშროების კომიტეტში, შემოკლებულად ჩვენც „კგბ“ დავუძახოთ, ნამდვილი სახელითა და გვარით თითქმის არავინ მსახურობდა. ამიტომ უჭირთ ახლა დადგენა, ესა და ეს პერსონა იყო თუ არა სუკის აგენტი. მით უმეტეს ღრმად გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო იმ განყოფილების თანამშრომელთა ნამდვილი ვინაობა, რომელ განყოფილებაშიც მე ვმუშაობდი. თუ ძალიან გაინტერესებს, გეტყვი: ეს იყო „საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება“, თუმცა ახლა შეიძლება ითქვას, რომ ბოლოსწინა ორი სიტყვა შეიძლება სრულიად ზედმეტი იყოს... ჩვენ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ კი არ ვიბრძოდით, არამედ საერთაშორისო ტერორიზმს ვეწეოდით.

ახლა ლამის მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია, მაგრამ ჩვენში დღესაც კი ბევრმა არ იცის, რატომ შევედით ავღანეთში 1978 წელს. ავღანეთი თავისი მდებარეობით და პრიმიტიული თავდაცვისუნარიანობით (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვეგონა) საბჭოთა კავშირს იოლად შესამტვრევ ჭიშკრად მიაჩნდა მსოფლიოს დაპყრობის პარმაღზე. ამერიკა და რუსეთი – ეს ორი ვეშაპი, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიძრა მსოფლიოს გადასანაწილებლად. ამერიკელები ცივილიზაციის ნიღბით ნათლავდნენ თავიანთ დაპყრობით გეგმებს, ჩვენ უფრო პირდაპირი და უცერემონიო ვიყავით. ევროპა შუაზე გავხლიჩეთ, მერე კორეა და ვიეტნამი დავინაწილეთ და ავღანეთს მივადექით. ავღანეთს რომ დავაჩოქებდით, მეორე დღეს პაკისტანი უნდა აგვეღო, მერე – სპარსეთი და ინდოეთი, ერაყი თითქმის ჩვენი იყო. აზია-აფრიკის დაკავების მერე ჩინეთს მოვუვლიდით. აი, ასეთი გეგმები ჰქონდა „დიად საბჭოეთს“, ჩვენ რომ მშვიდობის ბურჯს და მსოფლიოში ყველაზე პროგრესულ, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ვეძახდით.

კომისრები წამდაუწუმ გვიმეორებდნენ და ჩვენც ხშირად გვესიზმრებოდა, როგორ ვირეცხავდით ინდოეთის თბილ ოკეანეში რუსულ ჩექმებს.

რუსს, ყველგან, აღმოსავლეთში და დასავლეთში საოკუპაციო ჯარის შეყვანისას, ერთი და იგივე, „ნაჯახური“ პოლიტიკა ჰქონდა. დღე-დღეზე ამერიკელები აპირებდნენ თქვენს დაპყრობას და შემოვედით, რათა დაგიცვათ გადამთიელთაგანო.

დაპყრობილს ერთნაირად სძულდა რუსიც და ამერიკელიც, მაგრამ ბიჭი იყო და ჩვენთვის ოკუპანტი დაეძახნა, ცხვირიდან ძმარს ვადენდით.

მოკლედ, შენც იცი, რომ ავღანეთი უფრო მაგარი კაკალი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით.

მთელი ქვეყანა პარტიზანთა ბუდეებად იქცა.

ჩამოგვდიოდა ეშელონებით „ცინკის კუბოები“ და ვაგზა-

ვნიდით დაღუპული ბიჭების ცხედრებს იმ კუბოებით თავთავიანთ მისამართებზე.

თუნუქის კუბოებს ლუქი ედო და დიდი, შავი ასოებით ეწერა – „ნე ატკრივატ!“

რატომ, თუ იცით? ჯერ ერთი, ხშირად პარტიზანთა მიერ ნაწამები გვამი ისე იყო დასახიჩრებული, რომ გული შეგეკუმშებოდა, მეორეც, ზოგჯერ, რომ იტყვიან, „ნაურაზე“ ვაწერდით გვარებს და კუბოში, შეიძლება, სულ სხვა მიცვალებული აღმოჩენილიყო.

სამოცდაცხრამეტში ბრძანება მივიღეთ – სპარსეთის და ინდოეთის მიმართულებით გზები უნდა გაგვეჭრა.

ჯარისთვის მთავარი საქმე გზაა. თუ გზა არ არის და ჯავშანმანქანამ, საერთოდ, ქვეითმა ჯარმა ვერ გაიარა, რამდენიც უნდა ბომბო, ის ტერიტორია დაპყრობილად არ ითვლება.

ავღანეთის სოფელთა უმეტესობაში კი მხოლოდ სამარხილე გზა ან საცალფეხო ბილიკებია.

ბევრ ავღანელს მანქანა თვალითაც არ უნახავს.

გზები უნდა გაგვეჭრა-მეთქი სპარსეთისაკენ და ინდოეთისაკენ, ავღანეთს უკვე ჩვენად ვთვლიდით და ძალიანაც ვცდებოდით.

ახლა იმას მივადექით, რისთვისაც ეს ამბავი წამოვიწყე.

ჩვენ ვიცით ფერეიდნელი ქართველები, ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ჩვენებურები, ვიცით ინგილოები, პარიზში და, შენ წარმოიდგინე, არგენტინაში ემიგრირებული ქართველებიც, მაგრამ მარტო თითოოროლა ისტორიკოსმაღა იცის, რომ დღეს ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთით სპარსეთის საზღვრის გასწვრივ ორასორმოცდაათ ათასამდე ქართველი ცხოვრობს.

როგორ მოხვდნენ? 1710 წელს სპარსეთის ჯარის სარდალმა – ქართველმა მეფემ, გიორგი მეთერთმეტემ, ავღანეთი აიღო და ამ ქვეყნის საბოლოოდ დასამორჩილებლად სპარსეთის საზღვართან ორმოცდაათიათასი ქართველი მეციხოვნე ჩაასახლა.

ერთი წლის შემდეგ ავღანელებმა გიორგი მეთერთმეტე ღალატით მოკლეს, ქართველები კი დარჩნენ და დარჩნენ.

დღეს იმ ორმოცდაათიათასი ქართველის ნამლი-ნაბარტყი, როგორც მოგახსენე, ხუთჯერ მეტია. ავღანელ გურჯებს თავიანთი შემოსაზღვრულ-შემოღობილი ავტონომია აქვთ (რა თქმა უნდა, ავტონომიის არა თანამედროვე გაგებით) და თავიანთ გურჯულ შეუვალობას კბილებით იცავენ.

ყოველ შემთხვევაში, ავღანეთში გურჯები განთქმულნი არიან ვაჟკაცობით და სამართლიანობით.

ამ ხალხს ახლა არც სამოს-ტალავარი აქვს ქართული და აღარც, რა ჩემი ახსნა გინდა, სარწმუნოება.

გამაჰმადიანებულ ავღანელ ქართველებში მხოლოდ ორი რამ ბჟუტავს ქართველობის ნატამალად – ჩალმა-ჩადრში შემალული ძველქართული იერი და ლამის დავიწყებული, მაგრამ მაინც სასწაულებრივად შემორჩენილი, შერყვნილ-შელახული ქართული.

ბჟუტავს მეთქი, შემთხვევით არ მითქვამს, ასიდან ნახევარს მაინც ესმის ქართული, უფრო ხნიერ გურჯებს, რასაკვირველია.

ჯერ ავღანეთში შეღწევა ხომ გაგვიჭირდა და გაგვიჭირდა, გურჯებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ვაგზავნით შუამავლებს. ვეუბნებით: არას გერჩით, რუსეთს სურს, ამ უგზოობას გადაგარჩინოთ.

განა თქვენთვის საშვილიშვილო საქმე არ იქნება სპარსეთის საზღვრამდე გზის გაყვანა?

ვარწმუნებთ, გურჯებო, თქვენთვის მხოლოდ სიკეთე გვინდა.

ამ ლოზუნგებით შეიარაღებულ ელჩებს ვუგზავნით და ვერტმფრენითაც ამგვარ პროკლამაციებს ვაყრით თავზე.

აპაპაპა, გაგონებაც არ სურთ გურჯ-ავღანელებს ჩვენი.

მოლაპარაკებაზე მისულნი დაგვიხოცეს და უკან გადმოგვიყარეს.

მტკიცე უარზე დგანან.

„გზა მხოლოდ ჩვენს ცხედრებზე გაივლის“, გვითვლიან გურჯთა უხუცესები.

სრულიად საიდუმლოდ მოსკოვში იხმეს ჩვენი (უშიშროების) ჯარების გენერალი ბორის სემიონოვიჩი.

გვარს გეტყოდი, მაგრამ რათ გინდა. თანაც ვშიშობ, ვაი თუ ჩვენ რომ გვარი ვიცოდით, იქნებ, სინამდვილეში სულ სხვა გვარის პატრონი იყო.

ასეა თუ ისეა, ბორის სემიონოვიჩი, მგონი, ახლაც ცოცხალია და სადღაც, მოსკოვის მახლობლად ცხოვრობს.

რატომ ფერხდება გზის მშენებლობა სპარსეთისკენო, უკითხავთ უშიშროების კომიტეტში.

საზღვართან ქართველები ცხოვრობენ და კატეგორიულად, სიცოცხლის სასწორზე შეგდებით გვეწინააღმდეგებიანო, ბორის სემიონოვიჩს უთქვამს.

და, შენ წარმოიდგინე, ორი დღის მერე ამ საკითხს პოლიტბიურო იხილავს.

მოუხსენებია ყველაფერი უშიშროების მინისტრს პოლიტბიუროს წევრებისათვის. პოლიტბიუროს სხდომაზე ბორის სემიონოვიჩიც მიუწვევიათ, იქნებ რამე შეკითხვა გაჩნდესო.

„აპიატ გრუზინიო“, ჩაუგესლ-ჩაუკრუსუნებია სუსლოვს.

როგორი იქნება აზრიო, ბრეჟნევს უკითხავს.

ძალოვან მინისტრებს ერთხმად შეუტანიათ წინადადება: „უნიჩტოჟატ ვსეხ, დო ედინოგო“.

როგორი საქმეა.

ის-ის იყო ამ წინადადებისთვის კენჭი უნდა ეყარათ, რომ ბორის სემიონოვიჩს აუწევია ხელი.

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არ ივარგებს ასეო.. ჯერ ერთი, მსოფლიო გაიგებს, ორასორმოცდაათი ათასი, მოგეხსენებათ, ორასორმოცდაათი კაცი არ არის და მათი გაჟლეტა ცუდ იმიჯს შეგვიქმნის. ესეც არ იყოს, იქნებ გვეფიქრა ჩვენს ერთ-ერთ რესპუბლიკაზე, საიდანაც გურჯები ამ სამასი წლის წინათ აჰყარეს და ვინ იცის, იქნებ დღესაც არსებობს შორეული წინაპრულ-ნათესავური კავშირებიო, ბორის სემიონოვიჩს უთქვამს.

არ ყოფილა კაცი?

აბა, რა გამოსავალიაო, ბრეჟნევს უკითხავს.

დივიზიაში სხვებთან ერთად ავღანურის მცოდნე ერთი პოლკოვნიკი მყავს – ქართველი. იქნებ გვეცადა და გაგვეგზავნა მოსალაპარაკებლად, ქართველს ქართველები უფრო გაუგებენო.

კარგიო, სცადეთ ესეცო, დაუვალებიათ ბორის სემიონოვიჩისთვის და თუ არაფერი გამოვიდა (რაშიც პოლიტბიურო თითქმის დარწმუნებული იყო), ამ საკითხს ხელმეორედ რომ აღარ დავუბრუნდეთ, გურჯების განადგურების გადაწყვეტილება (შიფრით: სრულიად საიდუმლოდ), ყოველ შემთხვევაში, საქაღალდეში გედოსო.

დაბრუნდა გენერალი ავღანეთში და იმ ღამესვე მიხმო.

ასე და ასეა საქმეო.

იქნებ შენ მაინც შეაგნებინო რამე იმ უბედურებს, თორემ ნასახლარ-ნაგრამიც არ დარჩება გურჯთა სოფლებისაგანო.

თუ არ იცი, როგორ კეთდებოდა ეს, უფლება არა მაქვს, მაგრამ რაკიღა ოც წელზე მეტი გავიდა და საბჭოთა კავშირმაც კარგა ხანია ჭირი მოგჭამა, გაგიმხელ:

ასე, გამთენიის ოთხ-ხუთ საათზე (ამ დროს ადამიანებს ყველაზე ღრმად სძინავთ) აფრინდებოდა ცაში ორასამდე გამანადგურებელი, რა თქმა უნდა, ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, ოც წუთში დაბომბავდნენ მთელ „ავტონომიას“ და, სანამ მსოფლიო აზრზე მოვიდოდა, ჩვენ თვითონვე ყველას დავასწრებდით და ყველა რადიოარხის თუ გაზეთ-ტელევიზიის საშუალებით მოვდებდით ქვეყანას, რომ ამ დილით ამერიკელებმა საშინელი ვანდალიზმი ჩაიდინეს, უმოწყალოდ დაბომბეს და გაანადგურეს ორასორმოცდაათ ათასამდე გურჯი-ავღანელი.

მერე დაიწყებოდა დასავლური არგუმენტებით ჩვენი გაშავება, მაგრამ ჩვენ ჩვენი „ვერსიიდან“ უკან არ დავიხევდით და, რაც შეეხება სირცხვილის გრძნობას, ეს უკანასკნელი საბჭოთა უშიშროებას მაინცდამაინც არ აწუხებდა.

ვიცი, რთულ დავალებას გაძლევ, შეიძლება სიცოცხლის ფასადაც დაგიჯდეს, მაგრამ უნდა შენი სცადო. სხვა არა იყოს რა, ეგ შენი ვალიც არის, იქნებ გადაარჩინო ქართველები დაღუპვას. ჩემგან ასეთი „სენტიმენტალობა“ არ გაგიკვირდეს, მე გულის სიღრმეში (არ გამამხილო) სტალინისტი ვარ და ყველა ქართველში პატარა სტალინს ვხედავ, ამიტომაც მენანება ამ ხალხის გაჟლეტაო.

სტალინი რომ მიხსენა, უკვე აღარ გამკვირვებია ბორის სემიონოვიჩის ეს ნაბიჯი, თორემ კგბ-ში რომ შედიხარ კაცი სამუშაოდ, გულჩვილობა შინ უნდა დატოვო.

ასე ვიყავით ყველა. ჩემი ხელობა, ანუ ვიწრო სპეციალობა, გითხარი, მისი არა იყოს, სწორედ საერთაშორისო ტერორიზმი იყო.

მეორე დღესვე გადამსვეს პარაშუტით ავღანეთის გუჯარეთში და შენთან საუბარი სწორედ იმით დავიწყე, რომ გაქაჩული ვყავართ და რომ გათენდება, გამასამართლებენ.

თუ არ ვიყოჩაღე, მეც თავს მომკვეთენ სხვებივით და ამით დამთავრდება ყველაფერი ჩემთვისაც და, ჩემი თავი ჯანდაბას, ორასმორმოცდაათი ათასი ქართველისთვისაც.

როგორც ველოდი, დილით ერთხელ კიდევ მცემეს და თითქმის ღონემიხდილი უხუცესთა სასამართლოში წარმადგინეს.

მე აღარაფერს მეკითხებიან, რაც ძალიან ცუდად მენიშნა.

იპუტუნეს, ითათბირ-იჩიფჩიფეს და გამომიცხადეს, სიკვდილი მოგისაჯეთო.

ნება თქვენია, მაგრამ კარგად დაფიქრდით, თქვენ ამით თქვენს თავს გამოუტანეთ სასიკვდილო განაჩენი-მეთქი.

ვითომ რატომო, გაიცინა, მოსამართლემ, განა ვინა ხარ ასეთი, ერთი კაგებეს ლეკვი ხარ, შენისთანა „ინჟინერს“ უკვე ამ კვირაში მეოთხეს ვისტუმრებთ საიქიოსო.

გადაეცით თქვენს სულიერ ლიდერს, რომ მე გურჯი ვარ და აქ იმიტომ მოვედი, რომ ჩემი ხალხი გადავარჩინო-მეთქი.

„გურჯი“ ვახსენე თუ არა, ჩალმოსანმა მაღლა შემართული ორივე ხელი ერთბაშად დაუშვა, მოვარდა ჩემთან, თვალი

გამისწორა, კარგა ხანს გაქვავებული, მონუსხულივით ჩამცქეროდა, თითქოს ჩემს თვალებში თავის გამოსახულებას ათვალიერებდა.

მერე გველცემულივით გატრიალდა, ინახით მჯდომთ თავს წაადგა და ახლა ისინი ამოძრავ-აჩიფჩიფდნენ.

ორ-ორად: სათითაოდ მოდიან და ისე ახლოდან მათვალიერებენ, რომ ზოგი მათგანის ქერაფცუა მოშავ-მონაცრისფრო წვერი სახეზე მელამუნება.

არ გასულა ერთი საათიც, ხელჯოხიანი, შავწვეროსანი, წელში მოხრილი, ყავარჯნიანი ავღანელი მომიყვანეს.

მომიახლოვდა. ჩაიკეცა, ყავარჯენი მუხლებზე გარდიგარდმო დაიდო და ზედ იდაყვებით დაეყრდნო.

– გურჯი?

– დიახ.

– რემეთით ხარ?

– თბილისი გაგიგონია?

თავი დამიქნია.

– ურუსით რატომ ჩონს მოსაკლავად იარე?

– არა. მე თქვენიანი ვარ. ცუდადაა თქვენი საქმე, თუ გზის გაყვანაზე არ დაგვეთანხმებით.

– რათ ცუდ?

– რუსის ბრძანებით ეს მხარე დაიბომბება. მე მოსალაპარაკებლად მოვედი.

– შენ ჩონ გეცოდე?

– დიახ, მეცოდებით. თქვენ ჩემი სისხლი და ხორცი ხართ.

– ურუს ავღან-გურჯ ვერ მოკლამს.

– მოგკლავენ, ღამით თვითმფრინავები დაგბომბავენ. ასეთია მოსკოვის ბრძანება.

– შონ კგბ, ა?

– არა, მე თბილისელი ინჟინერი ვარ. კგბ-სთან საქმე არა მაქვს.

– იღოს.

– ჩემს რჯულს, ჩემს გურჯობას გეფიცები.

ძლივს წამოდგა-აიკრიფა, მივიდა უხუცესებთან.

ისევ პუტუნი და ჩემი თვალიერება.

მოვიდა მოქართულე გურჯი.

კვლავ ჩემ წინ დაეშვა და ყავარჯენი დაიიდაყვმუხლისთავა.

– ჩონ არ გვჯერა.

– სხვა გზა არ არის, უნდა დამიჯეროთ.

– ალახი დიდია, ჩონ არ დაგბომბ.

– დამერწმუნეთ, ალახი ვერ გიშველით.

– შონ მუსულმან?

– არა, ქრისტიანი ვარ.

გაეცინა.

– კიდეც იმიტომ ამბ: „ალახ ვერ გიშველ“. ალახ გვიშველ!

– როგორც გენებოთ. მე თავის გადარჩენა არ მინდა. მეც ხომ თქვენთან დავიღუპები.

– ვერ გიჯერ, – ინახით მჯდომთ მიათითა.

– მომიტანეთ ჩემი რაცია. დაველაპარაკები აქედან რუსებს და ამაღამ თვითმფრინავებს გავაჩენ ცაზე. მერე ხომ დაიჯერებთ.

– ბომბა?

– არა. ვეტყვი, ჯერ არ დაბომბოთ მეთქი. ამას თქვენს დასარწმუნებლად გავაკეთებ.

ისევ მიფორთხდა უხუცესებთან.

მომიტანეს ჩემთვის წართმეული რაცია.

გავმართე და შტაბს მათს თვალწინ გადავეცი შიფროვკა: „ამაღამ, სამ საათზე ორმოცდაათი თვითმფრინავი გამოგზავნეთ. მოლაპარაკება კარგად მიმდინარეობს. დაბომბვის ბრძანება არ გასცეთ. თვითმფრინავებმა ხუთი წუთი იტრიალონ და უკან გაფრინდნენ“...

მივიღეთო, მეკავშირემ მაშინვე დამიდასტურა.

* * *

ზუსტად დანიშნულ დროს, ღამის სამ საათზე, ავღანისტანის გურჯვილაიეთის ვარსკვლავებიანი ცა ჩვენმა გამანადგურებლებმა ჩააბნელეს.

ზუზუნით ირეოდა ორმოცდაათი თვითმფრინავი ცაში. სამკუთხედად გაშლილი შვიდ-შვიდი მანქანა, წეროების გადაფრენა რომ გინახავთ, ისე, ას-ასი მეტრით დაშორებულნი მიჰყვებოდნენ ერთი-მეორეს.

ცაში ხელაპყრობილნი წყევლა-ოხვრით შესცქეროდნენ ცას იქაურები.

გურჯებმა ირწმუნეს ჩემი სიმართლეც და ისიც, რა ვერაგობა ჰქონდა ჩაფიქრებული მოსკოვს.

მეორე დღესვე ვუპატაკე შტაბს:

„დავალება შესრულებულია. მომაქვს გურჯ-ავღანელთა ავტონომიის უხუცესთა საბჭოს ნებართვა გზის გაყვანის შესახებ პირობით: – მოსახლეობას და საქონელს არაფერი დაუშავდეთ. თორმეტ საათზე გამოგზავნეთ ვერტმფრენი ჩემს წასაყვანად. ვერტმფრენის უსაფრთხოება დაცულია. გარანტია – ქართული სიტყვა!“

როგორც მერე მითხრეს, ამ „გარანტიაზე“ თურმე ბევრი იცინეს შტაბში.

დავბრუნდი ბედნიერი იმით, რომ ორასორმოცდაათი ათასი ქართველი სიკვდილს გადავარჩინე.

გზის დაგეგმარება დაიწყეს, მაგრამ ორიოდე თვეში ვითარება შეიცვალა.

მოსკოვმა ჯერ დიდი ხარჯების მომიზეზებით გადაიფიქრა სპარსეთ-ინდოეთის დასაპყრობი მაგისტრალის გაყვანა, მერე საერთოდ ამოიძუა კუდი ავღანეთიდან.

ნუ დამიმალავ...

ექიმობა, ჩემო კარგო, მთლად თანდაყოლილი ნიჭი თუ არა, მოწოდება მაინც არი.

ექიმობაში ყველაფრის სწავლა არ შეიძლება. ზოგი რამ შინაგანად უნდა მოგდგამდეს, შენით უნდა მიხვდე.

მიხვედრიანობას ახლა რაღაცა სხვა სახელს ეძახიან.

ბევრი რამე, ალბათ, გამოცდილებაზეცაა დამოკიდებული.

წლებს, მართალია, თავისი მიაქვს, მაგრამ თავისიც ბევრი მოაქვს.

კარგია, როგორ არ ვარგა, ეს ანალიზები და კომპიუტერები, გვეხმარებიან დიაგნოზის დასმაში, მაგრამ გამოცდილმა ექიმმა, ბევრი რამ უანალიზოდაც უნდა დაადგინოს.

მე, მაგალითად, რომ შევხედავ კაცს, მაჯაშიც რომ არ მოვკიდო და ფონენდოსკოპიც რომ არ მივაკარო, უკვე ვიცი, რა ჯანმრთელობის პატრონია.

ესაა გამოცდილება, ჩემო კარგო, და კიდევ ის რაღაც, ახსნას რომ ვერ მოუძებნი და მე უფრო თანდაყოლილს რომ ვაბრალებ.

ორ მაგალითს გეტყვი, მეტს არა, ჩემი პრაქტიკიდან და შენ თვითონ განსაჯე. ტრაბახში არ ჩამომართვა, თუ კაცი ხარ, ეს თვისება სხვისიც მეჯავრება.

ემელიანე რიაძე, რასაკვირველია, იცი. მაგხელა არტისტი ქართულ სცენაზე იშვიათად მდგარა.

ვიცნობდი პირადად, ისე, შორიდან. ახლოს არ ვიცნობდი, რასაკვირველია.

რადიოში ვუსმინე ერთხელ, ილია ჭავჭავაძის „გუთნისდედას“ კითხულობდა.

სუნთქვა არ მომეწონა.

დავურეკე იმ საღამოსვე. მე ექიმი ესა და ეს გახლავართ

მეთქი. რადიოში გისმენდით და თქვენი სუნთქვა არ მომეწონა, გული რა მდგომარეობაში გაქვთ საერთოდ მეთქი.

დიდი მადლობა, ბატონო, გულს ჯერჯერობით არ ვუჩივიო, მიპასუხა და ყურმილი დამიკიდა.

ორი დღის შემდეგ ისევ დავურეკე. ბატონო ემილიანე, ხომ იცით, თქვენ მარტო თქვენს თავს არ ეკუთვნით, ჩემი მოვალეობაა, როგორც ექიმმა, გაგაფრთხილოთ, სუნთქვა არ მომწონს თქვენი, გულს მიხედეთ, თავი არ გადაიტვირთოთ და ეცადეთ, ცხოვრების მშვიდ წესზე გადახვიდეთ-მეთქი.

დიდი მადლობა, ბატონოვო, სხვათა შორის, უაღრესად ზრდილობიანი კაცი იყო, ასე რომ ზრუნავთ ჩემი ჯანმრთელობისთვისო. მე, ჩემი ასაკისთვის (სამოცის იყო), ჯერჯერობით, არა მიშავს, კარგად ვგრძნობ თავსო, შესაძლებლობისამებრ სპორტულ ცხოვრებას ვეწევი და არ ვსვამო. რაც შეეხება ნერვიულობას, ნერვიულობისგან დაზღვეული არავინ არის, მოგეხსენებათ, ჩვენი საქმეო.

ერთი კვირის თავზე ტელევიზორში ვნახე ბატონი ემელიანე.

თეატრის გეგმებზე და თავის თავზე ლაპარაკობდა: ახლახან მამაკაცის როლის შესრულებისათვის ამა და ამ კინოფესტივალზე პირველი პრიზი მომანიჭეს და გახარებული ვარო.

სუნთქვა ისევ არ მომეწონა.

დავურეკე სასწრაფოდ. ბატონო ემილიანე, მე ისევ ექიმი ესა და ეს გახლავართ-მეთქი, კატეგორიულად გაფრთხილებთ, არ მომწონს თქვენი სუნთქვა, გული არა გაქვთ წესრიგში და ჩემგან დანაშაული იქნება, რომ არ მიგაქცევინოთ ყურადღება-მეთქი.

კაცო, შენ რას გადამეკიდეო, ეწყინა, გეუბნები, არ ვუჩივი გულს, გუშინ კარდიოგრამა გადამიღეს, უმნიშვნელო ასაკობრივი ცვლილებებია, მეტი არაფერიო.

მეორე დღეს რუსთაველის თეატრში „მეფე ლირი“ ვნახე. რიაძე, მოგეხსენება, მეფე ლირს თამაშობდა.

გათავდა პირველი მოქმედება. ვერ ვისვენებ. არა და არ მომწონს სუნთქვა.

არის ისეთი რამეები, რისი გაგებაც მარტო პროფესიონალს შეუძლია. სუნთქვაში აშკარად იგრძნობოდა არითმია.

სპექტაკლი რომ ჩამთავრდა და ტაშზე გამოვიდა, კულისებში დავხვდი.

ბატონო ემილიანე, მაპატიეთ, რომ ისევ გაწუხებთ. თქვენ შეგიძლიათ გამიწყრეთ, მაგრამ ვალდებული ხართ, მომისმინოთ, გული არ გივარგათ. თქვენი სუნთქვა არ მომწონს-მეთქი.

განზე უხეშად გამწია. სიტყვა არ უთქვამს, გაოფლილი შევარდა თავის საგრიმიორო-კაბინეტში.

შევყევი. რა გული მომითმენდა, ერისთვის საყვარელი მსახიობი ბედის ანაბარა მიმეტოვებინა.

ბატონო ემელიან, რატომ ცხარობთ. მე ექიმი ვარ, ორი კვირაა, სისტემატურად გაფრთხილებთ, არ მომწონს თქვენი სუნთქვა – კატასტროფა მოახლოებულია. მერე გვიან იქნება. გულს მიხედეთ, გულს-მეთქი!

მომკიდა ხელი, თვალებში ჩამხედა: კაცო, შენ მოგზავნილი ხომ არ ხარ. რა გინდა, რას მერჩიო! დაიღრიალა, ხელი მკრა და კინწისკვრით გამომაგდო.

ამის შემდეგ მხოლოდ ორჯერ დარეკვა მოვასწარი.

„გულს...“ რომ ვიტყოდი, აღარ მამთავრებინებდა, შემაგინებდა და დამიგდებდა ყურმილს.

ზუსტად ერთ თვეში გარდაიცვალა.

ახლა მეორე შემთხვევა ჩემი პრაქტიკიდან.

ხომ არ გადაიღალე?

მოკლედ მოგიყვები, რაღაც დაღლას გამჩნევ სახეზე.

ივლიანე ქლიბაშვილმა რა ამაგი დასდო ქართულ ცეკვას, არ გესწავლება.

მე მგონია, მაგის სახელთანაა დაკავშირებული ქართული პროფესიონალური ცეკვის მსოფლიოში გატანა.

კინტაურს ცეკვავდა განსაკუთრებით გადასარევად, თავისებური პლასტიკით, ქალაქურ-აშუღურად. ერთი სიტყვით, ვირტუოზი იყო.

ერთ ოჯახში მოვხვდით სტუმრად. ჩემ გვერდით იჯდა.

მაშინ სამოცდაათს მიტანებული იყო.

არ გაუშვებდნენ უცეკვებლად, რად უნდა ლაპარაკი.

ბევრი თხოვნაც არ დასჭირვებია.

იცეკვა კინტაური.

ივლიანეს კინტაური კინოშიც არაერთხელ მინახავს, მაგრამ იმ დღეს დიდებულად, განუმეორებლად იცეკვა.

რომ დაჯდა ჩემ გვერდით, მაშინვე შევატყვე, რაც შესატყობი იყო.

სუნთქვა გაქვთ აჩქარებული და მეტი აღარ იცეკვოთ-მეთქი. საერთოდ, გეტყობათ, გული არ გაქვთ წესრიგში-მეთქი.

არაფერი უთქვამს, წამოდგა და აივანზე გავიდა, ალბათ, ჰაერის გადასაყლაპავად.

გავყევი, რა მომასვენებდა.

თქვენ-მეთქი, ყურში ვეუბნები, ბატონო ივლიანე, არ უნდა გეცეკვათ დიდხანს-მეთქი. ხალხს რას უყურებთ, მთხოვნელი არ გამოილევა. ეგენი სეირს უყურებენ, თქვენი გული კი, როგორც ვხედავ, წკიპზეა-მეთქი.

შემომხედა, ყურადღებით დამაკვირდა.

პასუხი არ გაუცია. არც მადლობა უთქვამს.

მთელი საღამო უგუნებოდ, უქეიფოდ იყო, ხმა არ ამოუღია.

მისულა სახლში და იმ ღამით გარდაცვლილა. გამთენიისას, ასე დაახლოებით ექვს საათზე.

ასეა, ჩემო კარგო.

რად მინდა ანალიზები და კომპიუტერები.

კი, რა თქმა უნდა, დიაგნოზის დასმაში გვეხმარება „მონაცემები“, მაგრამ მთავარი მაინც თვალია.

რომ შევხედავ ავადმყოფს, იშვიათად, რომ შევცდე.

მაპატიე, ჩემს თავზე რომ ამდენი გელაპარაკე.

ხომ არ დაგღალე?..

საერთოდ, შენ ეს ფერი გაქვს სახეზე?

რაღაც არ მომწონს შენი ფერი, ცოტა სიყვითლისკენაა წასული.

ღამე ხშირად იღვიძებ? კოშმარულ სიზმრებს ხომ არ ნახულობ?

მითხარი, მითხარი, არ მომერიდო. ნუ დამიმალავ...

ექიმი იმისაა, რომ ყველაფერი უთხრა.

ჩივილი

მადლობა ღმერთს, რაკი შენი ხმა გავიგონე. სადა ხარ, გოგო?

გუშინ კი არა, გუშინწინ ჩამოვედი. გუშინწინ მთელი დღე დაკავებას იძლეოდა შენი ტელეფონი. გუშინ კიდევ არავინ პასუხობდა. ბოლოს, ალბათ, „კურიერი“ რო დამთავრდა, მაშინ დაგირეკე.

რას შვრები, გია როგორ გყავს? მამამისისაგან ხომ არაფერი ისმის. ვაი, მაგას გაუხმეს თავი. კაცი ჰქვია მაგასაც. რაც არი, ეგ არი. არ გამოუგზავნია ხომ? რას ნერვიულობ ერთი შენც. უარესის ღირსი არ არის? ეგდოს და იყოს იმ ქვეყნის ნათრევ გოგოსთან. ჩემი სიტყვა დაიმახსოვრე, მაგათ ასე იციან, მოვლენ მერე და ფეხებს დაგიკოცნიან, შემირიგდიო. კარი არ გაუღო. თავმოყვარეობა იქონიე. ბავშვი არ გააკარო. როცა გვიჭირდა და ბავშვს გაზრდა უნდოდა, მაშინ არ გახსოვდით და ახლა გინდა გაზრდილი ბავშვითქო? ასე უთხარი, ასე ეკუთვნის მაგას.

რას ვიზამ, დაიკო. ვითომ არა მიშავს ჯერჯერობით, მარა რაც წლები გადის, რაღაცა შიში მიპყრობს. რაღაც განგაშის გრძნობა მაქვს. ადრე ასე არ მემართებოდა, არ ვიცი, რა მომივიდა. ცუდად მძინავს კი. ღამეში სამ-ოთხჯერ ვიღვიძებ. ვეჭიდავები, ვეჯავჯგურები ბალიშს მთელი ღამე. ხან მარჯვენა მხარეს დავწვები, ხან მარცხენა მხარეს. ხან შუაზე გავკეცავ ბალიშს და თავს ჩამოვადებ, ხან მკლავზე დავიდებ და ისე მძინავს. ვითომ მძინავს. ვფიქრობ მთელი ღამე. მწარე-მწარე რაღაცებს ვფიქრობ. დილისკენ ერთი საათით ჩამეძინება და ისევ მეღვიძება.

მერე რიბირაბოსკენ რაღაცნაირად ვმშვიდდები, გათენება, თითქოსდა, შვებას მგვრის, ახლის მოლოდინით მავსებს, შიში

და სასოწარკვეთა გადის ჩემი სხეულიდან და ვერც კი ვიგებ, როგორ მოვა ძილი. ათ საათამდე, თერთმეტის ნახევრამდე მძინავს. „ბუდილნიკი“ თუ არ ვიყიდე, დავიღუპები. სულ პირველი გაკვეთილი მიზის ცხრილში. რა ვქნა, გოგო, შენაო მარტოხელა ხარ და შეძლებ ადრე ადგომასო. არ იცი ჩვენი მასწავლებლების ჩაჭიჭინება?

მაინც რა გრძელი ზაფხული იყო. აღარ გათავდა, აღარ გაილია. თითებზე ვითვლიდი დღეებს. დედაჩემის ატანაც აღარ შემიძლია. დაიწყებს ჩემს გათხოვებაზე ლაპარაკს და მერე ტირილს მოაყოლებს. ვიყავი, დაიკო, როგორც შარშან, როგორც შარშანწინ. დასასვენებლად არსად წავსულვარ. არაფრის ხალისი არ მქონდა. დაბერდნენ უკვე ჩემი მშობლები და ხომ ვერ მივატოვებდი. ლაშას ვიღაცა ჰყავს და დადის იმასთან. ხანდახან ღამეც რჩება კი. რომ ვკითხავთ რამეს, იღრინება. სულ შეიცვალა. რა ტკბილი და ბუნჩულა ძმა მყავდა, ხომ გახსოვს.

ხო, არსად გავსულვარ-მეთქი, ქე გითხარი. ერთი კაბით წავედი, ის ახალი ტუფლებიც, არ წამიღია. რათ მინდოდა, სად ჩამეცვა... ეს ერთი კვირაა ისე აცივდა, ფეჩი დავანთეთ. წყალი და შუქი გრაფიკით. გაჩერდი, თუ ქალი ხარ, ტანჯვაა, აბა რა არის.

მე, ხომ იცი, სულ ასე ვარ. წავალ და მეორე დღიდანვე თითებზე ვითვლი დღეებს. იწელება დრო. მაინც რამხელა დღეა ზაფხულში. რამხელა მანძილია ორშაბათიდან-კვირამდე. არ დაურეკავს, არა, არც დაურეკავს.

ჩანთა კინაღამ ავტობუსში დამრჩა, ისე მოვიჩქაროდი ჩემი ოთახისაკენ. მე შენ გეტყვი, წვრილი ქმარ-შვილი მელოდა, მაგრამ რაღაცა მომენატრა, ხომ იცი, ეს ჩემი ოთახი. რა ვიცი, რა მომენატრა. თითქოსდა, მარტოობაც მომენატრა.

დამღალა ზაფხულმა, დამღალა ლოდინმა, დამღალა საათზე და კალენდარზე ყურებამ. კი, ვითომ გულს აყოლებ. მომსვლელი, წამსვლელი, დედაჩემი, მამაჩემი. ცოტა შემაწუხებელი, მაგრამ უალალესი სიყვარული, თვალებში ყურება. აბა, ეს ჭამე, აბა, ეს დალიე. დედაზე მეტად ვუყვარვართ ვინმეს? გარდა ამისა, მეზობლები, მეზობლის ბავშვები, გადასარევი ბავშვები... ერთობი დღე, როგორ არა, მარა ღამე რომ ახლოვდება, ისევ დარეკავს ყურებში განგაშის ზარი. ყველა თავისკენ გაიკრიფება, ყველა თავის ლოგინს მოძებნის და შენ მარტო რჩები. ხანდახან გეცოდება და ხანდახან გეზიზღება კიდეც თავი. იმის გამო, რომ შენ ამ ბავშვების ჟრიამულში შენი წილი არ გიძევს, რომ მარტო ხარ და ამ შენს მისჯილ მარტოობას ვერაფერს უხერხებ.

გეუბნები, წუთებს, ნაბიჯებს ვითვლიდი ზაფხულის გასვლამდე, ჩემს პატარა კუთხემდე, ჩემს დივანამდე, ჩემს მაგიდამდე, სოროსხელა სამზარეულომდე. შემოვედი და გაუხდელად გავიშოტე – ღმერთო, რა ბედნიერებაა, გულში ვთქვი. თერმოსტატი ჩავრთე, სარეცხი მანქანა ავაგუგუნე, იატაკს მასტიკა წავუსვი, ნაფტალინი გადმოვფერთხე გარდერობის უჯრებიდან. დავრეცხე. დავაკრიალე. დავაუთავე და... კუთხეში მივჯექი.

ტელევიზორი ჭირივით შემჯავრდა ამ ბოლო დროს. იმ სულელურმა სერიალებმა ლამის ტვინი გამომილაყა. „მოამბეს“ მოვუსმენ აწი და მაშინვე გამოვრთავ. საზიზღრობაა, გადებილებს ტელევიზია საერთოდ და ჩვენი ტელევიზია მით უმეტეს.

ვრეკავ შენთან, ვერ დაგიჭირე. ღმერთო, არ გინდა ისევ მთელი წელი ჩამოატარო? არ გინდა ეს შემოდგომა, ეს ზამთარი, ეს გაზაფხული გაუძლო სევდას, სიცივეს, აკივლებულ სკოლას, მოჩიქჩიქე ტროლეიბუსს და დეგენერატულ მეთოდსაბჭოებს? რა მეჩქარებოდა-მეთქი, ჩემს თავს ვეკითხები, რას ვიკვნეტდი თითებს, რატომ ვიდექი წკიპზე მთელი ზაფხული, რატომ გავცქეროდი გზას, დედაჩემი რომ მელაპარაკებოდა, რას ვძიგძიგებდი მთვარეულივით?

ადრე ასე არ ვიყავი. ამდენს არ ვფიქრობდი. თითქოსდა ერთი დღით ვცხოვრობდი. დროც უფრო ჩქარა გადიოდა. სულ

ვწუხდი, ვერაფერს ვერ ვასწრებ-მეთქი.

ის ერთი წელია, მოსვენება რომ დავკარგე. შიში რა საშინელი გრძნობაა, ვერ წარმოიდგენ, დაიკო. ასე მგონია, აღარაფერი შეიცვლება. მგონია, ჩემთვის დრო გაჩერდა, მგონია, თეთრ, უსახურ და უფორმო უდაბნოში მივაბიჯებ მარტო და არც ვიცი, საით მივდივარ, ან რატომ მივდივარ. ვინ გამომიგონა ეს გაუთავებელი გზა, ვინ მომისაჯა უთავბოლო სვლა ჩემი განუყრელი დარდის ცხელ ქვიშაზე.

* * *

...და მაინც ვერ ველევი ამ მარტოობას. გავთხოვდებოდი, მაგრამ ასე მგონია, ვიღაცა წამართმევს ჩემს სიჩუმეს, ჩემს სევდას, ჩემს თავთან მარტო დარჩენის სიამოვნებას.

არა, არა, ეტყობა, სხვანაირ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული. ჯერ არის და მომსვლელი, დამლაპარაკებელი მენატრება. მოვა სტუმარი და ერთ საათში მწყინდება. მალულად საათზე ვიხედები, როდის წავა-მეთქი.

ვერ გამიგია, რანაირად ცხოვრობთ თქვენ – ქმარშვილიანები ასე განზოგადებულად, ასე ხმაურიანად.

ნერვებს არ გიშლით ხოლმე სხვის სურვილზე ადგომა, დაწოლა, სამზარეულოში ტრიალი, სხვის გემოვნებაზე ჩართული ტელევიზორი?

შეეჩვევიო მეუბნებიან. ჩემს თავს ჩემზე უკეთ ვინ იცნობს.

ვერა, ვერა... ვერაფერსაც ვერ შევეჩვევი.

მელატარიე

არსებობს ინტელიგენტური გარეგნობა? მგონია, არსებობს.

უფრო მეტიც: ამ მგლურ დროში ინტელიგენტებს მარტო გარეგნობა შერჩათ.

ჰოდა, ინტელიგენტური გარეგნობის კაცი დგას ჰეოფსის პირამიდის შორიახლო, წინ მრგვალი სატრიალო მაგიდა-ლატარია უდგას და მოწყენილი გაჰყურებს იქვე ათიოდე მეტრში პალმაზე მიბმულ აქლემს, რომელიც მშვიდად იცოხნის და ამ გაუსაძლის სიცხეს არად დაგიდევთ.

აქლემს ნერვები არც მაშინ ეშლება, როცა აბეზარი ტურისტი გრძელ დრუნჩზე ხელს ჩამოუსვამს ან ფულზე გაწუწკებული მისი პატრონი-მწვანეხალათიანი არაბი, ოთხზე დაჩოქებას უბრძანებს, რათა ვინმე შორტებიანი, ეგზოტიკასდადევნებული მაწანწალა ზურგზე შეისვას და ფოტოაპარატების ჩხაკუნში სფინქსის ქანდაკებამდე მიიყვანოს.

მელატარიეს მუშტარი ცოტა ჰყავს.

მაგიდის სახელურს ძირითადად მოდებილო ბავშვები და მიხრწნილობის ასაკს გადაშორებული მოხუცები ეტანებიან.

ამ უკანასკნელთ ფულის მოგების იმედი იმდენად არა აქვთ, რამდენადაც სურვილი – სადილამდე დრო მოჰკლან, ან მწველ მზეს თავი მოარიდონ, რაკიღა ლატარიას თავზე ფართო ლურჯ-ყვითლად აჭრელებული ქოლგა ადგას.

ვდგავარ ქოშებიანი, სომბრეროქუდიანი მელატარიეს გვერდით და მის „მუშაობას“ ვაკვირდები.

გამხდარია, ცხვირკეხიანი. გრძელი თითები აქვს და კიდეებზე ძირს დაშვებული თხელი ტუჩები. ასე, ორმოციოდე წლის იქნება.

მიხვრა-მოხვრაზე და ქუთუთოების ქვემოთ შერჩენილ ძვლისფერზე ეტყობა, რომ არაბი არ არის.

უფრო ებრაელს ჰგავს, მაგრამ ებრაელს აქ რა უნდა.

იქნებ სულაც ქართველია?

ამ ბოლო ეჭვმა იმდენად მოიცვა ჩემი გონება, რომ ახლა უფრო ინტერესით ვაკვირდები და, რაც დრო გადის, მის საქციელში მეტ და მეტ ქართულს ვპოულობ.

ქართულია არაბული სიტყვების რაღაცნაირი ხორხისმიერი ბგერით და არა არაბულად – სიმღერის ინტონაციით წარმოთქმა. ქართულია მისი სევდიან-მშობლიური გამოხედვა და სიტყვიერი რეკლამის აბსოლუტური იგნორირება.

იგი მუშტარს არ უხმობს. თუ ვინმე შეჩერდება და ჰკითხავს: რამდენია დასადები და რა პირობით თამაშობო? უხალისოდ პასუხობს:

– თქვენი ნებაა, რამდენსაც დადებთ, მოგების შემთხვევაში, გაოთხმაგებულად მიიღებთ.

ჩემ თვალწინ ორმა ბებერმა ტურისტმა დაატრიალა მაგიდის სახელური (იმდენად პრიმიტიული ლატარიაა, რომ „რულეტკას“ ვერ ვუწოდებ, რათა „კაზინოს“ მესვეურები არ გავანაწყენო) და ორივემ მოიგო.

ხურდა ჯიბეში ჩაიჩხრიალეს და სიცილ-ქუსქუსით განაგრძეს გზა.

მელატარიეს ამ მომენტისთვის სრულიად ბუნებრივი ფრაზაც კი არ უთქვამს: „კიდევ დაატრიალეთ, იქნებ კიდევ მოიგოთ“.

არა, არა, ნამდვილად ქართველია.

მოიხედა თუ არა, პირდაპირ ვაჯახე:

– ასე თუ წააგე, ბევრს მიიტან სახლში.

ვერ გეტყვით, რომ ძალიან გაეხარდა ჩემი ქართული.

თითქოსდა ამ შუა არაბეთში, ეგვიპტის ორმოცდახუთსაუკუნოვან პირამიდებთან ქართული სიტყვა უსათუოდ უნდა გაეგონა.

– ხან ასე იქნება და ხან – ისე. აბა, სულ ვინ მოგაგებინებს.

მიპასუხა ქუთაისური კილოთი და ლატარიის მაგიდას ხავერდის ნაჭერი გადაუსვა.

მომაჩერდა.

– არ მეცნობი. დიდი ხანია აქეთ ხარ?

ერთი კვირის ჩამოსული ვარ-მეთქი. ხვალ აქედან ალექსანდრიაში უნდა გავიდე და სამ დღეში უკვე მივფრინავ-მეთქი.

ეს რომ გაიგო, საბოლოოდ დაკარგა ჩემ მიმართ ინტერესი.

ჩანთოსან კენგურუსავით მუცელჩამობერილმა გერმანელმა ტურისტმა მიქემირონის პირამიდისკენ ბილიკი ჰკითხა.

ამომწურავი პასუხი რომ მიიღო, ირისისფერი საფულე ხვნეშით გაშალა და ერთმარკიანი დაუდო ლატარია-მაგიდაზე.

– გმადლობთ. ბახშიშს არ ვღებულობ – იმ წამსვე დაადევნა, მაგრამ გერმანელმა გაუღიმა და ნაბიჯს მოუჩქარა.

ერთხანს დასცქეროდა გერმანულ მარკას. მერე მოკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

– არის რამე? – შინაურულად ვკითხე.

– ვერ გავიგე? – კითხვა შემიბრუნა.

– გრჩება-მეთქი რამე ამ საქმიდან?

– პურის ფული. მეტი არც ქე მინდა. ერთ კაკალ კაცს არჩენს ეს ლატარია და „შერვოლეტს“ არ გაყიდიებს, რასაკვირველია.

– რაც აქა ვარ, ორი კაცი მოვიდა, მეტი არა... და ორივემ მოიგო. რაღაცა საშენო მუღამი არ უნდა გქონდეს? ასე ალალბედზე ჩემმა მტერმა ითამაშა.

გაეცინა.

– სხვათა შორის, ეს ლატარია-მაგიდა სტანდარტულია. შენ ბევრიც რო ეწვალო და მიმსგავსებული გააკეთო, პოლიცია არ გაგიშვებს. ხელათ მიხვდებიან კუსტარულს. ჩინელებმა გამეიგონეს ათასი წლის წინ. ასე ლაპარაკობენ და რა ვიცი, მე წელიწადი არაა ჯერ, რაც ვიყიდე და ამ საქმეს მივსდევ.

– თავისი ფასი თუ ამოიღო ჯერხნობით.

– კი, სამ თვეში გამასტუმრებინა ვალი. საგადასახადოს მიაქ ბევრი, თვარა უკეთესად ვიქნებოდი.

– საგადასახადო საგადასახადოა და მაგას რამე არ უხერხდება? მახსოვს, ბავშვობის დროს შოვში დავყავდი დედაჩემს

და იქ ერთ ურიას ჰქონდა ასეთი ლატარია. დაატყავა დამსვენებლები. მერე ხმა გაუგდეს, მაგნიტი აქვს ქვემოდან ამოწეპებულიო და სათოფეზეც აღარ ეკარებოდა ხალხი.

– აქ მაგნაირი მაიმუნობა არაფრით არ გამოვა. თუ გაგიგეს, კუტუსკა არ აგცდება. არც მინდა, ქეც რო შეიძლებოდეს. ორი კაპიკის გულიზა შიშის ქარს გევიჩენ მუხლებში? მაგი აკლია ახლა ჩემს გაუბედურებულ ცხოვრებას. ისე აქვს ჩაფიქრებული ამის გამომგონებელს, რო ისედაც გრჩება შენი დასარჩენი.

– რანაირად?

– რანაირად და დააკვირდი: ე შავი და წითელი ზოლი ისეა განაწილებული, რო დახედავ, მარტო შავი და წითელი ჩანს. ამ დროს ყოველი მეოთხე ფერი ჩალისფერია, მარა არ ჩანს, არ ყვირის. ვინც ფულს დადებს, ან შავს იძახის, ან წითელს. ამ დროს ჩემი მოგების ალბათობა მეტია. ვთქვათ, წითელი დაიძახა. ყველა შავი ხომ ჩემია, ოთხი ღერძულა თეთრიანი ხაზიც ჩემია და ამას დოუმატე ჩალისფერი. ასე რომ, ვინც მეთამაშება, ოთხიდან ერთი შანსი აქვს. მე ხუთიდან – ოთხი. უყურებ რავარცხა არი? ერთი საიდუმლო აქვს კიდო ამ ლატარიას. ხუთჯერ ერთი და იგივე ფერი რომ თქვას კაცმა, ერთხელ უეჭველად მეიგებს. არ შეიძლება არ მეიგოს.

– მერე რა. ვთქვათ, ოთხჯერ წააგო, ერთხელ მოგება უშველის მის გაჭირვებას?

– ოთხჯერ რო წააგებს, მერე გააოთხმაგებს ფოსტას და თავისას ხო ამეიღებს, შენ დაგამატებიებს ოთხმაგად. მარა ამის მოთამაშე ხომ უმეტესად გოიმია. ხუთამდე არ მიყავს საქმე, ორ-სამჯერ მეიგ-წააგებს და ანებებს თავს.

მაყვლისთვალება, ფეხშიშველა, თორმეტიოდე წლის არაბმა ბიჭმა მოირბინა, მაგიდის სახელურს ეცა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაატრიალა, წააგო. ხურდა მაგიდაზე დაატყაპუნა და გაიქცა.

– ვერ მევიცილე ე ბაღანა. ეგერ დგას შემოსასვლელთან, ბილეთებს რო ყიდიან, იქანა.

– რას აკეთებს?

– რას იზამს – მათხოვრობს. ამხელა ბოვშვები აქანა ძირითადად მათხოვრობენ. რავარც იშოვის ორ კაპიკს, მეირბენს, წააგებს და ისევ გაიქცევა სამათხოვროდ. ნუ შობითქვა, ვეუბნები, მარა არ ესმის.

– მერე მოაგებინე ხანდახან.

– რო შემეძლოს, კი. მაგი კი არა, ჩვენ ხომ ძმაკაცები ვართ-მეთქი და წაგებულს ვუბრუნებდი გუშინ. თავი მეიკლა და არ მოკიდა ხელი. ითაკილა.

სამი გიგანტური პირამიდის წვერს სამხრეთისკენ გადაცურებული მზის მეწამული სხივები შემოადგა.

– გაუბედურებულ ცხოვრებაზე ამბობდი წეღან.

– ჰო... რა ვიცი... იმნაირი არაფერი. ექიმი სიხარულიძე თუ გაგიგონია.

– თერაპევტი, დიდებული კაცი. ვიცნობდი კიდეც. მე ახლა სამოცდაორის ვარ. ქუთაისში ხშირად უწევდა ჩასვლა მამაჩემს და ერთი-ორჯერ მეც ჩამიყვანა. მამაჩემი ნევროპათოლოგი იყო, ჯანმრთელობის სამინისტროში მუშაობდა. ჩვენი მასპინძელი სულ ბატონი ვასილი იყო. ვასილი არ ერქვა?

– კი.

– ოცი წლის გარდაცვლილი მაინც იქნება.

– კი, ბატონო, ოცდაორი წელია, რაც აღარ არის. არ გაგიკვირდეთ და იმ ვასილის შვილი ვარ მე. ჩვიდმეტის ვიყავი, მამა რომ მომიკვდა. ჩვენი ოჯახიდან მარტო მე არ შევედი სამედიცინოზე. რა ვიცი, რატო... არ გამიწია იქით გულმა. თუმცა, სკოლა ქე მქონდა მედალზე დამთავრებული და არ გამიჭირდებოდა მოწყობა. ენერგეტიკულზე შევედი გეპეიში. მერე სხვა ფაკულტეტიც დავამთავრე, ორი დიპლომი მაქვს, მარა რათ გინდა, არ მარგია არც ერთი. აგერ, ეგვპიტეში, ქუთაისელი კაცი ლატარიის სტოლს ვატრიალებ. რა მინდა მე აქანა, მარა არ უნდა გეიკვირვო თურმე სხვისი არაფერი. არავინ იცის, საით გადაგაგდებს ცხოვრება.

ჩემს ბედს გამევექეცი, ბიძია. ამას სხვას რო ვეუბნები, ალმაცერად შემხედავს. შერეკილია, ალბათო. არაა მასე. შეიძლება კაცი გეექცეს თავის ბედს, თავის მისჯილ წუთისოფელს. თავის დღესავალს მოშორდეს? მე გევექეცი. თურმე შენაძლება ადამიანი ყველაფერს.

გრიგოლ რობაქიძესთან მქონდა საცხა წაკითხული: კაცს საირმეში ხუთი შვილი მოუკვდა და თავის ბედისწერას გეექცა, თუ არ ვცდები, ესპანეთში გადეიხვეწაო. რა ვიცი, ეგება მეც მის გზას გამოვყევი. ყოველ შემთხვევაში, რო არ მქონოდა გაგონილი, ვერ გეტყვი, მევიმოქმედებდი თუ არა ამას.

ჩემი ამბავი ასთე იყო: დავამთავრე უმაღლესი და ცოლი შევირთე. სხვათა შორის, დაგეგმილი მქონდა ყოველთვის ყველაფერი. ამნაირი ბოვში ვიყავი. თავიდან, უცებ რო გადაწყვეტენ და გეიქც-გამეიქცევიან, ასეთი მოყვანცალე მიდღემჩი არ ვყოფილვარ.

დავამთავრებდი ინსტიტუტს და ცოლს რო ვითხოვდი, ეს ვიცოდი მეშვიდე კლასის მოწაფემაც. დავამთავრე და ვითხოვე. ჩემმა ხაზეიკამ გამირიგა. ოთახი მქონდა დაქირავებული სადგურთან, ვორონინის შესახვევში. ვინ იყო ეს ვორონინი, ახლაც არ ვიცი. მამა, ქე იცი, აღარ მყავდა, დედაჩემი ქუთაისში იყო. ეს გოგო უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლობდა, კასპელი გახლდათ. ჩქარა ქენი, წეიყვანს სხვაო, ხაზეიკამ. შოუთვალე დედაჩემს, იმან მოყვრებს გააგებინა და ქორწილი მაქვს ხაზეიკის სახლში გამართული. ისიც მარტოხელა ქალი იყო, ორი გოგო ჰყავდა. ქორწილია და პატარძალთან ვინცხა ბიჭი მივიდა – სულ ორჯერ მყავდა ნანახი ის ბიჭი. ესალმებოდა შორიდან. ჩვენს ინსტიტუტში სწავლობსო, ამ ჩემმა საცოლემ. რას დავეძებდი, ვინ იყო. ამ წუთში მოვალო, პატარძალმა. რა ვიცი, ადამიანურ მოთხოვნილებაზე მიდის, ალბათ-მეთქი. უკან ხვარ გავყობოდი. რო დეიგვიანა, შევფიქრიანდი პატარა. ხალხი ქეიფობს. შემთვრალია უკვე. გევედი იქეთ ოთახში. დედაჩემი დამხობილია. ხაზეიკა ლოყებს იხოკავს. რა ამბავია ჩემს თავსმეთქი. შვილოვო, ხაზეიკა მეუბნება, არ ყოფილა შენი ღირსი ის გათახსირებულიო. გეიქცა, იმ ბიჭს გაყვაო. თუ ის უნდოდა, ვერ გაყვა თავიდან-მეთქი? რას ვიზამ ახლა. თავს ხვარ მევიკლავ. ერთადერთი – სირცხვილი მადარდებს, თვარა იმ გოგოს ჯანდაბამდის გზა ჰქონია. ჩემი ბრალია ყველაფერი, რატომ ენა არ გამიხმა, ეს საქმე რომ წამევიწყეო, მოთქვამს ხაზეიკა. მერე ცრემლი შეიმშრალა და ამნაირი სიტყვა თქვა: ქე იცი, შვილივით გიყურებო, ორი გოგო მყავს, თუ ჭკუამ გაგიჭრას, ითხოვე, რომელიც გაგეხარდებაო. შენ წარმეიდგინე, არ დავბნეულვარ. უფროსი გოგო, ნანული ერქვა, ჩემზე სამი წლით უმცროსი იყო. გითხრათ სიმართლე, მომწონდა და ვატყობდი, არც ის იყო გულგრილი ჩემ მიმართ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ნახევარ საათში შევცვალეთ პატარძალი, სუფრაზე ხუთი-ექვსი ახლობლის მეტს არავის გაუგია. ზღაპარს ჰგავს კი... გეთანხმები მეც. სხვას რო მეეყოლა, არც მე დევიჯერებდი.

მერე, ვითომ, ცოტა ხანს ავაწყე ცხოვრება. მაშინ კომუნისტობია იყო და წყალთა მეურნეობის სამმართველოში დამნიშნეს ინსტრუქტორად. მივუყვებოდი საწყლად, ღარიბულად ჩემ საქმეს. წლის თავზე ბიჭი გაგვიჩნდა და მეტი რა უნდა ოჯახს. ოთხი წლის მყავდა ბიჭი, ცოლს ჩემ უბედურ ბედად საშვილოსნოს გარეთ ორსულობაო, თუ რაცხა სიკვდილს ეძახიან, ის მოუვიდა. მივიყვანე არამიანცის საავადმყოფოში, ცოდვას ვერ ვიტყვი, ცდა არ დოუკლიათ, მარა ოპერაციის მესამე დღეს გასიება დეიწყო ქალმა. თურმე ვერ გააკეთეს ისე სუფთად, რავარც საჭიროა. ქართველები არა ვართ? ჰოდა, ერთ კვირაში გამისტუმრეს საიქიოს ეს საღ-სალამათი ქალი. რა მექნა. ვზარდე ბოვში მარტომ. არ გამჭირვებია სხვათა შორის. ცხრა წლამდე მოვყარე ისე, რომ ავად არ გამხდომია. კაი დედა ვერ მოუვლის ისე, შენ რომ მაგ ბოვშს უვლიო, გიჟდებოდნენ მეზობლები. იმ დაწყევლილ ზაფხულს ქობულეთში წევიყვანე და ზღვაში დემეხრჩო. ა, რო გიყურებ ასე. ცურვა

ვასწავლე, ცურავდა მშვენივრად ამ ახალნასწავლი ცურვით. მარა არ ვენდობოდი მაინც. თვითონ გოუთამამდა ერთი წუთით ზღვას, მეც ერთი წუთით მოვაცილე სასიკვდილე თვალი და სადაა ბოვში. არიქა! არიქა! მიშველეთ-მეთქი, ვიბღავლე, შევვარდი წყალში. ტალღამ დაარტყა უცებ, შეეშინდა ბოვშს და ჩაყლაპა ზღვამ. ხმა არ ამოუღია, ისე ჩაიხვია. ასე შეიძლება გაქრეს ადამიანი? ვიპოვეთ, გამოვიყვანეთ, სულ რაღაც ათ-თხუთმეტ წუთში ხდება ეს ამბავი, მარა აღარ მობრუნდა აქეთ.

ხუთ წელიწადში ისევ მევებღაუჭე ცხოვრებას, ისევ მოვეჭიდე ბედის ბორბალს. ეგებ ახლა მაინც გამიმართლოს-მეთქი და ვითხოვე ცოლი – ჭუმბურიძის ქალი, ოკრიბიდან. ქორწილი და რამე არ გადამიხდია. ისე მოვიყვანე, წყნარად, უხმაურო-დო, რომ იტყვიან. მაგასთან გოგო შემეძინა.

გევიდა სამი წელი. არაფერი მიჭირს ვითომ. წყალმომარაგებას დავანებე თავი და მეორე დიპლომის ხაზით იპოდრომზე დევიწყე მუშაობა – მეორე უმაღლესი ზოოვეტერინარული დავამთავრე. მაშინ საკუთარი ცხენები ჰყავდათ იპოდრომზე მაღალჩინოსნებს (ახლა არ ვიცი, რავაა), მაძლევდნენ ერთ-ორ კაპიკს, ვარჩენდი ცოლ-შვილს, არა გვიშავდა.

სულ შეშინებული ვიყავი. აპა ახლა რას მიხიმანებს ჩემი იღბალი, აბა, სად გამომდებს კვანტს-მეთქი. ერთი პირობა კარგად რომ წამივიდა საქმე, ვიფიქრე, ალბათ, წაღმა ფქვავს ჩემი ბედის წისქვილი-მეთქი. შენ არ მომიკვდე, გითვალთვალებს თურმე ასპიტი და რომ არ ელი, სწორედ მაშინ გიყელებს. რაჭაში წეიყვანა ბავშვი თავის ბიძასთან. უკან რომ ბრუნდებოდნენ, გადავარდა ავტობუსი და ორივე დედა-შვილი მკვდარი მომისვენეს სახლში. ცოცხალი რო ვარ, არ გიკვირს? რაღა ჩემზე მეიცალა ამ დაწყევლილმა წუთისოფელმა. ორმოცი რომ გადავიხადე, გავყიდე ყველაფერი, მოვუყარე თავი ჩემიანებს და გამოვუცხადე: მე აქანა ვერ გევიხარე, უნდა წევიდე, მეც არ ვიცი, სად მივდივარ. ჩემს დაწყევლილ ბედს

უნდა გევექცე-მეთქი. სხვათა შორის, არც ერთს არ უთქვამს, ნუ იზამ მაგასო. მე, რასაკვირველია, ჩემსას არ დევიშლიდი, მარა ნათესავებმაც სწორად გამიგეს, ამის აქ გაჩერება აღარ შეიძლება, კიდევ რაღაც ახალ უბედურებას მოუმზადებს იღბალიო.

ასე გავექეცი, ვითომ, ჩემი ჭკუით, დაწყევლილ ყისმათს. სხვა ცხოვრებას ვეწიე. ჯერჯერობით მარტო დავეხეტები. ერთ წელიწადზე მეტს არ ვჩერდები ერთ ქალაქში, არ მომაგნოს-თქვა. ე ლატარია-მაგიდა ამ მხრივ ყველაზე მოსახერხებელია, დაკეცავ, ჩადებ დიდ სუმკაში და იალა-საითაც გინდა.

ხვალ, არ ვიცი, რავა იქნება ჩემი საქმე. კარგს, რასაკვირველია, არაფერს ველი, მარა გზაკვალს რო ოვუბნევ ჩემს მადევარს და პატარა ხანს მაინც გავაწვალებ, ეს ნამდვილია.

ამას ისე, თავის დასამშვიდებლად ვამბობ, ხომ გაგიგონია, ფაფით შეშინებული დოს უბერავდაო, თვარა ისე, საბოლოოდ, სა გეექცევი, რაც გიწერია.

ვინ გაქცევია, მე რომ გავექცე.

ბომბორა

ჯერ ეზოში, ხეზე, ჩანთით გამოსაშრობად ჩამოკიდებული პური გაქრა, მერე, ღამით, მაგიდაზე დარჩენილი საშაქრე დაგვხვდა ამოყირავებული.

ჯამით რძეში ჩამბალ პურს და სადილის ნამცვრევ-ნარჩენებს განზრახ ვტოვებდით. დილით ჯამი მოლოკილ-მოსუფთავებული გვხვდებოდა.

იქნებ გარეული კატა, ან კვერნა მოდისო ღამღამობით, ჩემმა ცოლმა. ვერც კატა-კვერნა და ვერც კურდღლები ამდენს ვერ შეჭამდნენ.

დავუდარაჯდი ერთ ღამეს და რას ვხედავ:

ირგვლივ ტელეხმაური რომ შეწყდა და მოაგარაკენი ძილს მიეცნენ, სიბნელეს გამოეყო, ეზოში ტყის მხრიდან ჩამოზვავდა უზარმაზარ ოქროსფერი, შავდრუნჩა ძაღლი.

ძაღლებში ასე თუ ისე ვერკვევი და, სინათლეზე პირველივე შეთვალიერებისას დავასკვენი, რომ ჩემ წინ ქართული სამწყემსო-სანახირო ნაგაზი (შეცდომით კავკასიურს რომ ეძახიან) იდგა.

– ბომბორა! – დავუძახე აივნიდან.

დიდ ძაღლს, რატომღაც, ყველას ბომბორას ვეძახი.

შემომხედა, დამაკვირდა და მძიმე, ლამაზი კუდი გააბათქუნ-გააქიცინა.

– ბომბორ, ბომბორ, – ენამოჩლექით დავუყვავე.

კუდის ქნევას მოუმატა და საჭმელს მიადგა.

ჭამას რომ მორჩა, ერთხელ კიდევ შემომხედა და სიბნელეს შეერია.

მთელი დღე ვეძებე ახლომახლო მიტოვებული სახლების ეზოებში, ტყეშიც, მაგრამ ბომბორას კვალს ვერ მივაკვლიე.

ღამით, რა თქმა უნდა, ისევ გავუმზადეთ ვახშამი ბომბორას და სწორედ იმავე დროს გამოგვეცხადა.

ვეფერე, ვეალერსე (სიტყვიერად რასაკვირველია, ჯერ ახლოს მისვლას ვერ ვბედავ). კუდის ენერგიული ქნევით მპასუხობს.

აშკარაა, რომ ველური ძაღლი არ არის.

ველური ძაღლები ადამიანის დანახვისთანავე კუდამოძუებულნი გარბიან და დაძახილზე არ რეაგირებენ.

ჯამით წყალი დავუდგი ახლოს.

ჭამა შეწყვიტა და დიდხანს აწკლაპუნებდა წყლიან ჯამში თავის გრძელ, მოწითალო ენას.

ვახშამს რომ მორჩა, ჩემი ცოლის ენერგიული წინააღმდეგობის მიუხედავად, ერთ მეტროზე მივუახლოვდი.

მიცქერის და კუდს აქიცინებს.

არა, არ მიკბენს-მეთქი, დავაჯერე ჩემი თავი, მივედი და თავზე ხელი გადავუსვი.

გაჩერდა, გაიტრუნა, თვალები მილულა, წკმუტუნიც მოაყოლა. რისი კბენა-ღრენა, სიამოვნებისაგან ლამის დადნეს ბომბორა.

– ვისი ხარ, ბომბორა, ამ ტყეში რამ გადმოგაგდო, ასე მოვლილი და ნაპატიები?

იმ დღიდან ბომბორა ჩვენი განუყრელი სტუმარი გახდა.

მართალია, ეზოში არ ჩერდებოდა, უკან, ტყეში ატარებდა მთელ დღეს, მაგრამ დავუძახებდით თუ არა, გადმოევლებოდა ღობეს და წამსვე ჩვენთან გაჩნდებოდა.

ტყეში თაგვებზე და თრითინებზე ნადირობდა.

ხანდახან, როგორც ჩანს, ველურ ძაღლებთანაც არკვევდა ურთიერთობას.

ერთხელ მთელი ღამე ყეფა-გნიასი გვესმოდა ტყეში და დილით ბომბორა სისხლში მოსვრილი, ალაგ-ალაგ ჯაგარგაცლილი, ნაომარი დაგვიბრუნდა.

გადავწყვიტეთ, დაგვება.

ჩავედი თბილისში. „მონკავშირის“ მაღაზიაში ვიყიდე ლამაზი ყელსაბამი რბილი, ნატურალური ღვედით და ახალი შებინდებული იყო, ბომბორას ტყიდან რომ ვუხმე.

მსხალთან შეჩერდა და ხელებზე შემომხედა.

ღვედ-ყელსაბამს ზვერავს, ათვალიერებს.

– მოდი, მოდი, ბომბორა, საყვარელო, – მინდა, ახლოს მოვიდეს, რომ კისერზე მოვხვიო ხელი – აწი სულ ჩვენთან იქნები. ხომ ხედავ, ტყე ფათერაკიანია...

შემიღრინა, ჯერ უკანსვლით წავიდა ღობისკენ, მერე ერთბაშად შეტრიალდა და ღობის ქვეშ მის მიერვე გამოჩიჩქნილ ხვრელში ცვითა თავი.

წამიც და ტყეში გაშლიგინდა.

ის დღე და ის დღე, ბომბორა აღარ გვინახავს.

ხიზანი?!

არ გაგიკვირდეთ, პატივცემულო, ჩემი, უცნობი კაცის სტუმრობა. დიდი გაბედულება არის ეს ჩემი მხრიდან, თუმცა მოსვლის მიზეზს რომ გაიგებთ, შეიძლება ის უფრო დიდ გაბედულებად კი არა, მთლად კადნიერებადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ერთი რამის იმედი მაქვს მე: თქვენ ის კაცი ხართ, რომელსაც ადამიანთა საქციელში ცოტა რამ უკვირს ამქვეყნად. ისევ თქვენსავე წიგნებში ამომიკითხავს მე ეს სიმართლე და კიდევ იმის იმედი მაქვს დიდი, რომ თუნდაც უარი მითხრათ, რაც ჩემთვის თავში უროს დარტყმის ტოლფასი იქნება, გაგდებით მაინც არ გამაგდებთ აქედან.

ორი სიტყვით გეტყვით, ვინ ვარ მე და მერე ჩემს სატკივარსათხოვარს მოგახსენებთ.

მე ვარ როსტომ შამუგია – ოჩამჩირელი დევნილი, პროფესიით დაწყებითი კლასების მასწავლებელი. მაგრამ პროფესიით ვინღა მუშაობს ახლა. საქართველოში კარგა ხანია ჩამოყალიბდა ახალი სოციალური ფენა – დევნილი. თავის უბედურ ბედზე მოწუწუნე, თხოვნებით გაბეზრებული, საწყალი გამომეტყველების მქონე, შეშინებულიც და ნიადაგ გაბრაზებული – ასეთია დევნილის ფსიქოლოგიური პორტრეტი, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, პატივცემულო, დევნილთა შორისაც არის განსხვავება. თბილისში მცხოვრები დევნილი განსხვავდება სხვა რეგიონში მცხოვრები დევნილისაგან.

რით განსხვავდება? ჩემს მაგალითზე მოგახსენებთ და თვითონვე მიხვდებით.

1993 წლის 30 სექტემბერს უკვე თბილისის ვაგზლის მოსაცდელში ვიჯექი ჩემი ოჯახიანად. რა ტანჯვის გზა გამოვიარე და ფასკუნჯივით ლუკმა-ლუკმა როგორ ვაძლიე ყაჩაღებით სავსე კოდორ-ჭუბერის თოვლ-ჭყაპიან გზას თანწამოღებ-

ული ორიოდე გროში და მამა-პაპის ნაანდერძალი, მოოქროვილი დანა-ჩანგალი თუ ცოლის ძველებური ვერცხლის ბეჭდები, ეს ცალკე მოსაყოლია და ამჯერად თქვენს ყურადღებას ამაზე არ მოვაცდენ.

ვზივართ თბილისის ვაგზალში. გამანაწილებელი პუნქტივით იყო რაღაც. ჯგროდ ეხვია ხალხი კუთხეში მაგიდასთან მიმჯდარ ხუთიოდე კაცს. იყო ხვეწნა-მუდარა, შიგადაშიგ „ვაზისუბნის“ რაიონში რა მინდა, „ივერიაში“ არიან ჩემი მეზობლები! ან „ერთ ოთახში რას დავეტევით ოთხი სული, თუ იცი, შენ რამხელა სახლი მქონდა სოხუმში!..“ და ამის მსგავსი ლაპარაკი. რა ჰქნან, ადამიანები არიან ესენი. იყო გულუბრყვილო თავდაჯერებაც: „რა მოხდა, შე ქალო, ორსამ კვირას ადამიანი აკოპში გაძლებს. გაყრიან ორ კვირაში აფსუებს და ჩავალთ ჩვენს სახლში. როგორ ფიქრობ ახლა, შევარდნაძე ამდენი ხალხის აწიოკება-დახოცვას აპატიებს არძინბას?!“

ვუსმინე, ვუსმინე ამ ლაპარაკს და ჩემებური დასკვნა გავაკეთე, პატივცემულო. მე მგონია, არ შევმცდარვარ. ესენი-მეთქი ჩვენთვის აფხაზეთის დამბრუნებლები არ არიან. ძალად მოწყობილს ჰგავს-მეთქი ყველაფერი. ჯერ ერთი, მიდიოდეს ჯარი წინ ომში და მთავარსარდალი უკან აბრუნებდეს, გაგიგონიათ ასეთი რამ? მეორეც, საკუთარ ჯარს მძიმე იარაღი ჩამოართვა და მტერთან მოლაპარაკების იმედზე დარჩე, ჭკუათამყოფელი იზამს ამას? მტერი იმისია, რომ თუ შეძლო შენი მოტყუება, მოგატყუებს აბა, რას გიზამს. მერე ალყაშემორტყმულ ქალაქში, რომელიც ოთხივე მხრიდან დაუცველი გაქვს, საკუთარი მოსახლეობა შეიტყუო, შეიძლება? და ბოლოს, მტერი რომ სოხუმის კარებს შემოგიმტვრევს, პირველი სარდლობა გარბოდეს კურდღელივით თავის გადასარჩენად, მერე „მამაცი მხედრობა“ მიჰყვებოდეს და განწირულ მოქალაქეებს საჯიჯგნად უტოვებდეს მომხვდურს, ეს ამბავი სხვა ომებში თუ გინახაავთ, ან თუ გაგიგონიათ? ეს ყველაფერი ავწონ-დავწონე, პატივცემულო, და გულში ვთქვი, ჩემთვის: არა, როსტომ, ეს ხელისუფლება აფხაზეთის დამბრუნებელი არ არის. თავს უნდა უშველომეთქი.

ავყარე ჩემი ცოლ-შვილი და ჩავსხი იქვე, ვაგზალში მდგომ კახეთის ავტობუსში. სად მივდივარ არ ვიცი, ნათესავი არც თბილისში მყავს მაინცდამაინც ძალიან ახლობელი. შეიძლება, შორეულმა მოყვარემ უარი არ გითხრას, მაგრამ რავარი საქმეა, ოთხი ბავშვით მიადგე ოჯახს. მე სინდის-ნამუსიანი კაცი ვარ. არ შეიძლება, ბატონო: აქაოდა, მიჭირსო, ექვსი სული მიემატო სხვას, საკუთარი ძმაც რომ იყოს, იმასაც ყელში ამოუხვალ. ეს თბილისში და კახეთს რაც შეეხება, ნაცნობიც არ მყავს წამლად, ერთი უბრალო ნაცნობი. მაინც კახეთისკენ გამიწია გულმა. გზაში გველაპარაკებიან კახელები, შეწუხებულნი არიან ჩვენი მდგომარეობით. გვაყოლებენ ომის ამბებს, აქნევენ თავებს, ოხრავენ ჩვენ მაგივრად, მარა ვერ მოგატყუებ, წამობრძანდით, ბატონო, ჩვენს სოფელშიო, არავის უთქვამს. ვერ გაამტყუნებ, ყველას თავისი უჭირს.

„ვეჯინიო“, რომ ეწერა, აქ ჩავიდეთ-მეთქი, ვუთხარი ჩემს ცოლს. გაგეცინებათ, რაღაც მეგრულ სიტყვად მომეჩვენა „ვეჯინი“. „ვეჯინი“ მეგრულად არის გეცოდინებათ, რასაკვირველია, „არ მოიხედო“. ისე ა, ხავსს ვებღაუჭები, თორემ შეიძლება არაფერი საერთო არა აქვს მეგრულ წარმოშობასთან. შუაგულ კახეთშია ვეჯინი. მოგეხსენებათ, საკმაოდ დიდი სოფელია. ახლა, რა თქმა უნდა, როგორც ყველა ქართული სოფელი, გაღლეტილი და დამშეული.

დაგვტოვა უცნობ სოფელში ექვსი უმწეო ადამიანი ავტობუსმა და წავიდა. ახლო-მახლო კაციშვილი არ ჩანს. გზიდან გადავედით და კაკლის ჩრდილს შევეფარეთ. ტაჭკიანმა, შავქუდა, მზით გახრუკულმა ბერიკაცმა ჩაგვიარა. ჩვენთვის ზედაც არ შემოუხედავს. მწყევლის ცოლი. ყოველთვის რომ

რაღაც სისულელე პირველად შენ უნდა მოიფიქრო, რა გინდოდა, რაზე ჩამომიყვანე ამ უსალმო ქვეყანაშიო.

ქალო, ნუ რატრატებ კაჭკაჭივით, მე ვუთხარი. სოფელია, ხალხია, ქართველებია, მოგვხედავენ. აბა, რა იქნება. თუ არადა, ავტობუსი და მისი ჯანი. ისევ ვაგზალში, მტვერში უნდა გდებულიყავი და აქ ჰაერზე მაინც მყავხარ-მეთქი. ბავშვები ტირიან. უფროსი ათის მყავდა მაშინ, პაატა.

მივიხედ-მოვიხედე და სახლი ჩანს დამშრალი ხევისპირას, გვარიანი სახლია აქაურობის პირობაზე. მივადექით. ქალმა გამოგვხედა. თავწაკრულები, სუმკებიანად ვდგავართ ჭიშკართან. ვინა გნებავთო, დიასახლისმა. ჩვენ ლტოლვილები ვართ-მეთქი. შებრუნდა, აივანს გასძახა: ადე, კაცო, ციგნები არიანო. დაბამბულსერთუკიანი ბერიკაცი მოგვიახლოვდა. ეჭვიანად გვათვალიერებს. ჩვენ-მეთქი, ლტოლვილები ვართ-მეთქი, ხმამაღლა ვეუბნები. ისეთი სახე აქვს, რატომღაც ყრუ მგონია. გავიგეო, რა გაყვირებსო. რასა ჰყიდითო. არაფერს არ ვყიდით-მეთქი, თითქოს ცივი წყალი გადამესხა. მაშ, რასა ჰყიდულობთო, გადამიბრუნა შეკითხვა. აფხაზეთში ომი რომ იყო, ხომ იცით-მეთქი, ვუხსნი, იმ ომიდან ვართ, სოხუმიდან გამოვიქეცით, ქუჩაში ვყრივართ, რისი ყიდვა, რისი გაყიდვა, დატანჯული, ბოგანო ხალხი ვართ-მეთქი. „ანდე, დედაკაცო, რა ციგნები, რი ციგნები! ჩვენებურები ყოფილან, ომიდან გამოქცეულები! სად დაიმალე, შენი პატრონი დედა, მე შენი, გამოდი გარეთ, ხალხ მიხედვა უნდაო!“ დატრიალდა ბერიკაცი, ხელეჩო ზურგთან ქამარში გაირჭო, სახლში შევარდა, დოქი გამოიტანა და სამზადისკენ გაიქცა. მე სამზადი მეგონა მაშინ, თურმე მარნისკენ გაქცეულა. შემობრძანდით, ე თქვენი ხარახურა მანდ, მსხლისქვეშ, დაალაგეთო, შავტუხა, ჯანიანმა ქალმა. მოასკდა ბერიკაცი დიდი ნაბიჯებით, დოქი და ერთმანეთზე დაწყობილი პატარ-პატარა ჯამები ტაბლაზე დაალაგა, ქალი ნივრის მწნილს, შოთის პურებს და ყველს მოარბენინებს. ღვინოს ხომ სვამენ თქვენშიო, ხომ ქართველები ხართო, გვეკითხება მასპინძელი. ქართველები ვართ, მეგრელები-მეთქი. „მეგრელმა“ ცოტა შეაფიქრიანა. ჯამით ღვინო გამომიწოდა, ერთიც თვითონ დაიკავა. ეს თქვენს ჩამოსვლას გაუმარჯოსო, დალია და გამომცდელად შემომხედა. ენად გავიკრიფე, ჩემი ნათქვამი ესიამოვნა. ღვინის მეტი რა დამილევია, მაგრამ ესეთი სხვანაირი ღვინო ჯერ არ დამელია. რაღაცნაირი გემო ჰქონდა, სიტყვით ვერ აგიხსნი. პირს და ყელს გივსებდა სულისშემხუთველად გემრიელი არომატით, მწკლარტე გემოს კი არ ტოვებდა, როგორც ბოთლის ღვინოები საერთოდ. მწიფე ხურმის, წყავის და ატმის გემო ჰქონდა. წყავი თუ მიგირთმევიათ, პატივცემულო, მე მგონია, მარტო აფხაზეთში ხარობს, აქეთ არ მინახავს არსად, ბლისნაირი ნაყოფი აქვს, კურკაც ბლის მსგავსი, ბლისგან ვერ გაარჩევ, მაგრამ მშრალია შიგნით, წვენი არა აქვს და რაღაცნაირი არაამქვეყნიური გემო აქვს, სამოთხის ხილს რომა აქვს, ისეთი. ინდოეთიდან იქნება, მე მგონია, შემოტანილი.

იმ დღეს ბეჟანას სტუმრები ვიყავით. თავს დაგვფოფინებდა. ვინ თქვა, კახელები მძიმე ხალხია, გრძნობების სიტყვით გამოხატვა მაინცდამაინც არ ეხერხებათო. ბერიკაცი და მისი რძალი მესამეჯერ გვაყოლებდნენ სოხუმის ამბებს და ჩვენს უბედურებაზე სულ მუხლებზე ხელის რტყმევით, ვიშვიშით იმეორებდნენ: „ვაახ, კაცო“, „ეგ რა მოგსვლიათ, შვილო...“, „მაშ, ამოტოლა გზა ფეხით როგორ გამაიარეთ“, „ჭამე, ჭამე, ენგრე, გენაცვა...“, „არ მოგერიდოს...“

საღამოთი ვენახიდან დაბრუნდნენ ამ ოჯახის სხვა კაცებიც და მეზობლებიც. თითქოს უკვე გაგებული აქვთო ჩვენი ჩამოსვლა, ახლო-მახლო დგებოდნენ, გვათვალიერებდნენ. მერე კაცები ცალკე დასხდნენ და ბჭობა დაიწყეს. კარგა ხანს მასლაათობდნენ. თურმე იმას არჩევდნენ, სად შევესახლებინეთ, როგორ გაეჩინათ ჩვენთვის ჭერი.

იმ ღამით რაღა იქნებოდა და დილით ღვინისაგან თავგახურებულს ეზოში ლაპარაკი მესმის. გააღვიძეო, ვიღაც ამბობს.

რა გავაღვიძო, შე ვირო, სად გეჩქარება, ნაუბედურალი ხალხია, გაუშვი, გემრიელად გამაიძინონ“, ჩვენი ბერიკაცი ბეჟანა ეუბნება.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ვეჯინელებმა იქვე, სოფელში, ბერიტაშვილის მუზეუმის ახლოს, რამინაშვილის თითქმის მიტოვებულ სახლში, შემასახლეს დროებით. ეს რამინაშვილი ცხონებული სამხედრო კაცი ყოფილა, თბილისში გადასულა ორმოცდაათი წლის წინათ. მამაპაპურ სახლს, სანამ შეეძლო, აკითხავდა თურმე. ერთი ქალიშვილი ჰყოლია და ისიც მოსკოვში გათხოვილა, ადრე დაქვრივებულა რამინაშვილი, ამ ათიოდე წლის წინათ თვითონაც გარდაცვლილა და კარმიდამო, დიდიხანია, პირწმინდად გაუძარცვავთ. უნდა გენახათ, რა საყვარლები იყვნენ. დინჯად, ცოტა შეფიქრიანებით რომ მიჰქონდათ ჩემი ბარგი. შეფიქრიანებით იმიტომ, რომ არ იცოდნენ, ვინ ვიყავი, რას წარმოვადგენდი. რამე არევდარევას ხომ არ შევიტანდი კახური სოფლის დინჯ ცხოვრებაში.

საღამომდე სახლის განიავებას და მტვრისაგან საბან-ბულულის ბერტყვას მოვუნდით და საღამოს მოხდა სასწაული, პატივცემულო, სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი: თითქოსდა ვიღაცამ ნიშანი მისცაო, დაიწყო მთელმა სოფელმა დენა. ზოგს ნაჯახი მოაქვს, ზოგს – სასხლავი... გობი, თიხის ჯამები, ქვიჯა და ქვასანაყი. ნემსი და ძაფი, დოქი, გრაფინი, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, თოხი და ბარი, წალდი, ჩაქუჩი... ერთმა ფანდურიც მომიტანა...

თვალები ცრემლით მევსება. ნუ გეშინიანო, მეუბნებიან, ხალხი ვართო, შენც ცოტა ხელი გამაიღე და ლუკმას გაგიყოფთო. განა ეგრეა საქმეო. მეორე დღეზე რთველზე წამიყვანეს და შაქრო ჩობანაშვილმა ორასი ძირი ვენახი გადამიზომა, მოუარე და შენი იყოსო.

ეზოში დატრიალებულს რომ მხედავდა ჭიშკართან გავლილი კახელი, შეჩერდებოდა და ისე მათვალიერებდა, როგორც

პიტომნიკის მაიმუნს. მერე ახლოს მოვიდოდა და მეტყოდა: ბიჭო, ეგრე კი არა, აი, ეგრე და ეგრე უნდა გააკეთოო. ჯიქურ შემოვიდოდა და წამიკრავდა ხელს საქმეზე.

ბალღები სკოლაში მივიყვანე. პატარები დედას მივუჯინე და ჩავები მიწის საქმეში. ამათთან სირცხვილს როგორ ვჭამდი, დღედაღამეს ვასწორებდი. ორ წელიწადში ისეთი მეურნე-მევენახე გავხდი, რომ შენი მოწონებული. ცოტა წყალი ჭირს, თორემ მიწა ისეთი ბარაქიანია, რიყის კენჭი რომ დათესო, ამოვა.

ჩემდა იღბლად, შარშანწინ რამინაშვილის ქალიშვილი ჩამოვიდა მოსკოვიდან. მის სახლში დაუპატიჟებელი სტუმრები რომ გვნახა, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, მაგრამ ჩვენი ამბავი რომ გაიგო, გული აუჩუყდა და გვითხრა: მამა-პაპის ნაფუძარია, მარტო ეს სახლი მაკავშირებს საქართველოსთან, ჩუქებით ვერ გაჩუქებთ, მაგრამ სანამ დაგჭირდებათ, იცხოვრეთო.

სინდისიც კარგი საქონელია, სანამ შეიძლება ხიზანი ვიყო სხვის სახლში. აფხაზეთში დაბრუნება (ყოველ შემთხვევაში, ამათ ხელში) რომ არ გვიწერია, ფაქტია. შარშან სოფლის გამგეობამ საკარმიდამო ნაკვეთი მომიზომა, კომლად მიმიღეს, პატარას სულს მოვითქვამ და გაზაფხულზე ქვიტკირის სახლის მშენებლობას დავიწყებ. აქაც ვეჯინელების იმედი მაქვს, ვეჯინელებისა, ვის ამაგსაც ვეღარასოდეს გადავიხდი.

შეამჩნევდით, ალბათ, ხანდახან ლაპარაკში კახურად რომ ვუქცევ, ამ შვიდმა წელმა ჰქნა ეს ყველაფერი. შენ ჩემი ბავშვები უნდა ნახო, შუმი კახელისგან ვერ გაარჩევ, ლაპარაკში გამოხოხებული ქიზიყელები არიან.

ა, ესაა სულ ჩემი ამბავი. მაპატიეთ, ამდენი დრო რომ წაგართვით, პატივცემულო. თბილისში რომ დავრჩენილიყავი, ასანთი და საპონი უნდა გამეყიდა მეტრო „დელისის“ ჩასასვლელთან და მეწვრილმანე ჩარჩის დამცირებული ცხოვრებით მეცხოვრა. ახლა, კახეთში, კაცი მქვია, მოსახლე მქვია, ჩემს

ბუხარშიც ამოდის კვამლი და როცა უნდა მობრძანდეთ, ბევრს თუ ვერაფერს დაგახვედრებთ, ერთი კაი დედალს დაგიკლავთ და სასწაულ კახურ ღვინოს დაგალევინებთ.

ახლა ჩემი სათხოვარი უნდა გაგიბედოთ, პატივცემულო. ჩემი უფროსი ბიჭი – პაატა, ლექსებს წერს. არ უნდა წერდეს ცუდ ლექსებს, რაიონის გაზეთში ხშირად იბეჭდება და წელს ზაფხულში მთავარ უნივერსიტეტში ფრიადებზე ჩააბარა მისაღები გამოცდები. ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია.

არ გაგიკვირდეს-მეთქი ჩემი სითამამე: პაატა უნდა მომინათლოთ შენ და მუხრან მაჭავარიანმა. ბატონ მუხრანს უკვე ველაპარაკე. თანახმაა. ახლა თქვენს დასტურსაც თუ მივიღებ, იმ შაბათ-კვირას მინდა დავნიშნო ნათლობა ჩემს ვეჯინში. ჯერ ერთი, მინდა, თქვენი სიტყვის მადლი დაანათლოთ ჩემს პაატას და მეორეც, თქვენ რომ სოფელში მესტუმრებით და ჩემს აივანზე გაივლით, იტყვის სოფელი, რომ მთლად დაკარგული არც მე ვყოფილვარ და რასაც მე ვერ გამოვთქვამ, მადლობის ის სიტყვები თქვენ უნდა შემაწიოთ.

სიცოცხლეში მე თუ ვერაფერი შევძელი, ჩემი ბიჭები გადაუხდიან ვეჯინელებს სამაგიეროს. მე კი, სანამ ცოცხალი ვარ, აქედან წასვლას არ ვაპირებ. რაღაც ანდამატი ჰქონია კახეთს, დედის ძუძუსავით ტკბილი. ერთხელ რომ იგემებ, ვეღარ მოშორდები.

რაღა მე გამწირეთ...

მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, შავულვაშა, ჭაღარაშეპარული, მაღალწარბა, სიმპათიური კაცი მოვიდა ჩემთან პარლამენტში მიღებაზე. ხელის ჩამორთმევის შემდეგ სავარძელზე მივუთითე და ვთხოვე:

– თუ შეიძლება, საშვი მომაწოდეთ, იცით რატომ გთხოვთ წინასწარ? მერე ან მე მავიწყდება, ან – სტუმარს და ამ უბრალო საქმის გამო დაცვა უკან აბრუნებს. ბარემ ხელს მოვაწერ, რომ იტყვიან, საქმე წინ წავიგდოთ.

საშვი გამომიწოდა „საქმის წინ წაგდებაზე“ მეტად მისი სახელისა და გვარის გაგება მაინტერესებდა.

– ხევსურული გვარია?

– არა, მთიულური. ისე, წიკლაურები ხევსურეთშიც არიან, ქართლშიც დიდი გვარია.

– გისმენთ, ბატონო ღვთისო.

– მე, ბატონო რევაზ, ომის მონაწილე გახლავართ. კონტუზირებული. ომის ინვალიდი.

ვაკვირდები. იმ ომისთვის ახალგაზრდაა, ამ ომისთვის – ბებერი.

შემატყო, რომ ცოტა არ იყოს, უნდობლად შევხედე.

– ვხვდები, რაც უნდა მკითხოთ. მე გახლავართ 1956 წლის რუსეთ-უნგრეთის ომის მონაწილე. საბჭოთა კავშირის დროს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან ვიყავით გათანაბრებულები. ის კვალიფიკაცია ჩემთვის ჯერ არავის მოუხსნია. შეღავათები გაგვიუქმეს, პენსიები გაგვიმეათედეს. მოვედი ახლა თქვენთან. ვიცი, გაჭირვებული კაცის ქომაგი ბრძანდებით, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ მე ვეღარაფერს მიშველით. თუ კანონია, მე ვის დავეკარგე, ჩემზე გამონაკლისს ვინ დაუშვებს. კი, ბატონო, მთავრობამ უკეთ

იცის, მარა შეკითხვის უფლება ხომ მაქვს? ბოლო სიტყვას დახვრეტამისჯილ კაცს აძლევენ და მე რა დავაშავე ასეთი. ბეშკენაძესთან ვიყავი, ვიცი, ეს საკითხი თქვენს კომიტეტს რომ არ ეხება. ვიყავი და ვკითხე, რატომ ჰქენით, ბიძია, ეს გლახა საქმე-მეთქი. რაღაცა ათას ხუთასი ომის მონაწილე დავრჩით და ვის ააშენებს ჩვენთვის წართმეული ორი კაპიკის ხარჯზე მიღებული ეკონომია-მეთქი. იცი, რა მიპასუხა? თქვენო, საბჭოთა კავშირს ემსახურებოდითო, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ლეიტენანტი ხართო. ახლანდელი დამოუკიდებელი საქართველო, მოგეხსენება, არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე და ამიტომ თქვენ წინაშე ჩვენ ანგარიშვალდებული არა ვართო. იქნებ თქვენ მაინც მიპასუხოთ, ვინაა ჩვენი პატრონი? საბჭოთა კავშირი აღარ არის, მარა ჩვენ ხომ ვართ, ჯერჯერობით, ცოცხლები. ჩვენი დანაშაულია, რომ გავჩნდით ამ ქვეყანაზე და ამ ხნის მოვიყარეთ?

გეტყვი, ორი სიტყვით, ჩემი ცხოვრების ამბავს: 1937 წელს დავიბადე ქუთაისში. ბაკისუბნის მეთხუთმეტე სკოლა დავამთავრე. თვრამეტი წლის ვიყავი, ჯარში რომ წამიყვანეს. ვილნიუსში ვმსახურობდი სატანკო-სადესანტო დივიზიაში. 1956 წლის ოცდაშვიდი სექტემბერი იყო, თუ არ ვცდები, ჩვეულებრივ, საღამოს შვიდ საათზე ვივახშმეთ და გამოგვიცხადეს კიდეც „პოლნაია ბაევაია გატოვნოსტ“. ჩვენ ვინ გვეტყოდა, რა ხდებოდა. ტანკში უნდა მჯდარიყავი სრული ეპიკიროვკით და შემდეგი ბრძანებისთვის დაგეცადა. შუაღამის პირველის ნახევარზე სატანკო კოლონა (65 ტანკი) აეროპორტში მიგვიყვანეს. იქვე იდგა უზარმაზარი სამხედრო ავიამზიდები. ორ-ორი ტანკი ეტეოდა თითო თვითმფრინავში. რავარც ვიდექით აეპროპორტთან, ისე, პირდაპირი სვლით შევდიოდით, ტანკიდან გადმოუსვლელად, თვითმფრინავის მუცელში. მე მგონია, სამი საათი მაინც ვიფრინეთ და ოთხის ნახევარი იქნებოდა, ბუდაპეშტის აეროპორტზე რომ დავეშვით. მერე გავიგე, რომ ბუდაპეშტში ვიყავით, დაფრენის დროს არ ვიცოდით, ხუთწუთიან სამხედრო თათბირზე გაიქცა ჩვენი კაპიტანი. პარხომენკო იყო – უკრაინელი. მოირბინა და ჩვენს ბრიგადას (ექვსი ტანკი) მიმართა. „ზნაჩიტ ტაკ: ნახოდიმსა ვ ბუდაპეშტე. ვ გოროდე ანტისოვეტსკიე ელემენტი. ბანდიტი ვოორუჟენი. ნაშა ზადაჩა: ნე დოპუსკატ ბესპორიადკი ვ გოროდე. პადდერჟივატ პატრულირუიუშჩიხ. პერედვიგატსა რაზრეშენო ტოლკო სოვეტსკიხ ვოისკ. პრი ობნარუჟენიი ბანდიტსკიხ ფორმიროვოკ, სტრელაიტე ბეზ პრედუპრეჟდენია“.

დილის ოთხ საათზე ბუდაპეშტში შევგრუხუნდით. უმაღლესი ტექნიკით ჩატარდა დესანტის გადასხმა უნგრეთში. ისე კი არ იყო, ჩვენი შვიდი ძველთაძველი ტანკი რომ შეფართხუნდა სოხუმში რკინიგზაზე წესრიგის დასამყარებლად. რა საჭირო იყო ასეთი მასკარადი? თუ არ გვყავდა ჯარი და არ გვქონდა ტანკები, ვერ დავეტიეთ ჩვენს კვერცხებზე? რას ჰქვია აფხაზეთში შესვლა, დღემდე გაუგებარია ჩემთვის. ვინ გამეიყვანა ჯარი აფხაზეთიდან? კი მარა, ხომ იყო აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში? არ უნდა მდგარიყო ერთი ორი ქართული დივიზია ჩვენს ტერიტორიაზე აფხაზეთში? როდის გამოვიყვანეთ ჯარი იქედან? თუ აფხაზეთის დათმობა ბანდიტ არძინბასთვის ზვიადის მიერ მოხდა, ვერ ყოფილა მთლად სრული ჭკუის ე ჩვენი პირველი პრეზიდენტი, თუ სიგუამ და შევარდნაძემ (ომის დროს ეგენი იყვნენ) გამოიყვანეს დამოუკიდებელი საქართველოს ჯარი აფხაზეთიდან, მაშინ ამათ უნდა აგონ პასუხი. სად შედიხარ ზათქით და გრიალით, შე კაი კაცო, შენს მიწაზე? მთელმა მსოფლიომ აჩვენა იმ საღამოსვე, კიტოვანის ჯარები საქართველოს მეზობელი სახელმწიფოს – აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენო. როდის შემდეგ გახდა მეზობელი სახელმწიფო აფხაზეთი? ჩვენ შვიდი ჩამოწერილი ტანკით დღისით, მზისით „შევჯლიგინდით“ სოხუმში მთელი ქვეყნის დასანახად და

საბჭოთა კავშირს რომ ეძახით თქვენ, ორ საათში ხუთასი ტანკი ჩააფრინა უნგრეთში. ერთიმეორის მიყოლებით, მშვიდად, უხმაუროდ სხდებოდნენ თვითმფრინავები. ასაფრენი ბილიკიდან გადაუხვევდნენ თუ არა, იღებოდა ავტომატი-ლუკი და გადმოდიოდა ეკიპაჟიანი, ლულაშემართული, საომრად გამზადებული, ახალთახალი, ტაოტიანი ტანკი. ბუდაპეშტის ქუჩებში რომ შევრახრახდით და აბსოლუტურად ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი, დიდი საცხოვრებელი სახლი, ან სხვა რამ უწყება სამიზნეზე ავიყვანეთ, მე ვთქვი, „უჩენია“ ხომ არ არი, ნეტავ, ტყვილად ხომ არ ვაღვიძებთ ამ რიბირაბოზე ქალაქს, სად არიან ანტისაბჭოთა ელემენტები, კაციშვილი წინააღმდეგობას არ გვიწევს-მეთქი.

თურმე სად გძინავს. თურმე ჯერ სადა ხარ. ზუსტად ხუთ საათზე, თითქოსდა საიდუმლო ბრძანება მისცესო, ყველა სახლიდან, ყველა ფანჯრიდან, ყველა ჩიხიდან, ყველა სადარბაზოდან ერთბაშად გაგვიხსნეს ცეცხლი. სიბნელეა. არ იცი, რა გააკეთო. ბრძანებას არავინ იძლევა. შემოატრიალო ტანკი და გამოხვიდე. შეიძლება, ტრიბუნალმა გაგასამართლოს. ცეცხლის ენებს ხედავ ჩაშავებული შენობებიდან და გამაყრუებელი კანონადა გესმის. გვესვრიან მსხვილკალიბრიანი შაშხანებიდან (ხმაზე ვცნობ). მძიმე არტილერია ჯერ არ ჩანს, აქა-იქ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხიც აბოყინდა. რასაც მოხვდება, ბდღვნის. ოთხი თითის დადება რკინას ხვრეტს. დამიზნება ვერ მოვასწარით, ისე მოხვდა სნარიადი ჩვენს ტანკს და ლულიანად მოგლიჯა საზენიტო ქვემეხი. სერჟანტი სეროვი ზარბაზნის რუჩკას რომ ატრიალებდა, იქვე გაათავა. ისევ ავიაციამ გვიხსნა, თორემ იქიდან ცოცხლები ვერ გამოვიდოდით. ბომბდამშენებმა ორჯერ წუილით რომ გადაუარეს ქალაქს და ცენტრში რამდენიმე ადგილას ბომბები ჩამოყარეს, აჯანყებულებმა იფიქრეს, ბერლინზე უარეს დღეს დაგვაყრიანო და სროლა შეწყვიტეს.

ეს ბუდაპეშტის ჯოჯოხეთის ერთი საათი. საქმე და საბრძოლო თურმე წინ გვედო. ტანკისტები პატრულთან ერთად ქალაქის წმენდაში ჩაგვრთეს. ასეთი ზიზღი, რუსის მიმართ რომ ამჟღავნებდნენ უნგრელები, წიგნებშიც არ წამიკითხავს. ყოველ ღამე უჩინარი ხელით მთელს ქალაქში ყოველ გადარჩენილ კედელზე, ხეზე, ჭიშკარზე ჩნდებოდა წარწერა: „რუსკიე სვინიი, უბირაიტეს ვონ!“ ქალი, კაცი, მოხუცი, ბავშვი, სახლშიც რომ არ „წვეოდი“, უბრალოდ ქუჩაში რამე რომ გეკითხა, შეჩერდებოდა, ზიზღით აგხედავდა და მოგაფურთხებდა. წერენ მწერლები, როგორ შეიყვანა მოქალაქემ ჯარისკაცი, როგორ მოეფერა, გაუმასპინძლდა... სულ ტყუილი მგონია ასეთი რამეები, ბატონო რეზო. წყალსაც არავინ მოგაწოდებდა. თუ სადმე მოფარებულში მოგიხელთებდნენ, ჩაგქოლავდნენ მაშინვე. ერთადერთი მახსოვს: უნგრელი გოგო გავაჩერე, ვედროთი წყალი მიჰქონდა. მე-მეთქი, ხმადაბლა ვეუბნები, რუსი არა ვარ-მეთქი, ქართველი ვარ-მეთქი. სამხრეებზე მიმითითა. რუსი ხარ, რუსი ხარ, შე ღოროო, წყალი შემასხა, ვედრო გადააგდო და გაიქცა. შველივით გარბოდა, ლამაზი გოგო იყო. რას ვიზამდი, ხომ არ ვესროდი.

ათას ორასი კაცი ჩავედით ჩვენი დივიზიიდან უნგრეთში და ოთხასი კაცი დავბრუნდით. ტექნიკა ხუთი პროცენტი თუ გადაგვირჩა. ჯართადქცეული, დამწვარი ტანკები ვის რაღად უნდოდა. ა, ასეთი ომი იყო უნგრეთში 1956 წელს მაშინაც კი არა, მერეც არსად წამიკითხავს მე იმ დღეების, იმ „ოპერაციის“, იმ აჯანყების ზუსტი აღწერა. თვითონ უნგრელები დაწერდნენ, ალბათ, მარა ჩვენამდე, ჩანს, ვერ მოაღწია.

კანტუზია ბუნდაპეშტში ჩასვლიდან მეცხრე დღეს მივიღე. ჩვენ ბაზარში შესვლა აკრძალული გვქონდა, მაგრამ იმ დღეს რაღაც ეშმაკი შეგვიჩნდა. პეტროგრადელი ბიჭი იყო ჩვენთან, კისელიოვი და დაიჟინა, ბაზარში შევიდეთ, არაყი

და ხმელი თევზი ვიყიდოთო. დამშრალ აუზთან მივაყენეთ ტანკი ბიჭებმა. შენ შედი ბაზარში, თორემ ჩვენ – რუსებს, იერზე გვცნობენ და შეიძლება, პრავაკაცია მოგვიწყონო. სანამ ბაზრიდან გამოვიდოდი, სროლის ხმა მომესმა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე, კანტიკუნტი სროლები ქალაქში სულ ისმოდა. გამოვედი და რას ვხედავ, ჩვენი ტანკის ირგვლივ ხალხია, გავარღვიე წრე, ორივე ჩემი ამხანაგი სისხლში მოსვრილი დაცხრილულები გარდიგარდმო წვანან ტანკზე. მივვარდი ტანკთან. ჩანს, არანორმალური სახე მქონდა, უნგრელებს შეეშინდათ და უკან დაიხიეს. „ხალხი ხართ თქვენ?! თქვენი დედა ასე და ისე-მეთქი!“ ვღრიალებ, საითაც შევბრუნდები, გარბიან, მესერს აწყდებიან, მკვდრები ჯავშანსაბარგულში ჩავასვენე, დავქოქე მანქანა და ღრიალ-გრუხუნით, ნგრევა-ხრიალით დავეშვი, თითქმის ვერაფერს ვხედავ. თვალები ცრემლით მაქვს სავსე. მახსოვს, ჰაიდამაკების ძეგლს ჩავუარე, მარცხნივ ჩავუხვიე და თითქოს მეხი დაეცაო, ტანკი კინაღამ ჰაერში ავარდა. მეტი არაფერი მახსოვს. გონს ჰოსპიტალში მოვედი. მარჯვენა მხარი ოთხ ადგილას მაქვს გაკერილი და ა, შეხედე, კეფის ქვემოთ კისერთან იმხელა ნაჭრილობევი მაქვს, მუჭი შეეტევა.

ყველაფერი ეს იმიტომ მოგიყევი, რომ პარლამენტის წევრი ხარ და ჩემი მაგალითი იქნებ, რამეში გამოგადგეს. რა შემეძლო ჩემს ბედში შემეცვალა, მითხარი ერთი, თუ ღმერთი გწამს. არ წავსულიყავი საბჭოთა ჯარში? ციხე არ აგცდებოდა და, ესეც არ იყოს, სამხედრო სამსახურზე ჩვენ მაშინ სხვა წარმოდგენა გვქონდა. ახლა რომ ვუყურებთ, ასე არ ვუყურებდით. უნგრეთში გაფრენაზე უარი მეთქვა? მემეთქი პრინციპულად არ ვმონაწილეობ ამ უსამართლო ოპერაციაში-მეთქი? ხომ მიმახვრეტდნენ იქვე. ვინ ვიყავი მე, ერთი უბრალო ჯარისკაცი.

უნდა იცოდეთ, ბატონო რევაზ, პასუხი იმათ უნდა აგებინოთ, ვინც ბრძანებას იძლევა, ვინც ომს იწყებს, ვინც

პოლიტიკას მართავს, თორემ ჯარისკაცი რა შუაშია. მე ხომ სიცოცხლე მინდა სიკვდილამდე და სახელმწიფოს მიმართ ჩემი ერთგული სამსახურისთვის ლუკმა-პური ხომ მეკუთვნის?

თქვე კაი ხალხო-თქო, ადექი და თქვი ერთხელ პარლამენტში, საბჭოთა კავშირისდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი პრეზიდენტად გინდათ, ქალაქის თავი – უმრავლესობის ლიდერად, რაიკომის მდივანი – მინისტრად, პარტკომის მდივანი – გუბერნატორად და მაინცდამაინც ღვთისო წიკლაური არ გინდათ არაფრად? მარტო ღვთისოს და მისთანა უდანაშაულოებს რომ მიუსაჯეთ შიმშილით სიკვდილი, რავაა თქვენი საქმე-თქო.

მანქანით მოვაჭრე

იღბალი უნდა ყველაფერს და კიდევ რაღაცა.

იმ რაღაცას მე, მაგალითად, სიტყვით ვერ აგიხსნი.

ეს არც ცოდნაა, არც ნიჭია, არც მიმხვედრიანობაა.

ერთი სიტყვით, მართლა „რაღაცაა“ და რა არის, ეგებ შენ თავითონ მიხვდე, ამ ნოველას რომ წაიკითხავ.

მეზობელი მყავს ერთი, კასიანე დემეტრაძე.

ოთხი კლასის განათლება აქვს.

ერთი ხანობა ტაქსზე მუშაობდა. მერე, ტაქსების წართმევა რომ დაიწყეს, ახალ ხელობას მოკიდა ხელი.

რა ხელობას და, გერმანიაში დადის, ყიდულობს ნახმარ მანქანას, ჩამოიყვანს თბილისში და ყიდის.

ესაა სულ კასიანეს „ახალი ხელობა“..

ვერ გეტყვი, ვინმემ ურჩია ასე ქენიო, თუ თვითონ მიხვდა.

ყოველ შემთხვევაში, ამ გზით ცოლ-შვილს არჩენს და ინვალიდ ძმასაც ეხმარება.

ძმა ყოფილი მხედრიონელი ჰყავს. ტამიშთან ხელყუმბარა აუფეთქდა და მარჯვენა ხელს და მუხლებში გადაჭრილ ორივე ფეხს ვინ დაეძებს, თვალისჩინიც დაკარგა.

ძალიან რომ გაჭირდა ცხოვრება, მივადექი კასიანეს.

შეგიამხანაგდები, თუ არ გეწყინება, წამიყვანე გერმანიაში, იქნებ რაღაც ბედს მწიო, თორემ არ ვიცი, რა ვქნა. სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი-მეთქი.

უარი არ უთქვამს.

მოკლედ რომ მოვჭრა, ვისესხე სამი ათასი დოლარი. ჩავედით სტრასბურგში, ვიყიდე თხუთმეტი წლის, მაგრამ ჯერ კიდევ „ფეხზე მდგარი“ „მერსედესი“ და იალა თბილისისკენ.

გახარებული ვარ, კასიანეს ფიქრით, მანქანას, მინიმუმ ხუთი ათას დოლარად მაინც გავყიდი, სამით ვალს გავისტუმრებ, ხუთასამდე გზის ხარჯს და გადაფორმება-განბაჟებას დასჭირდება.

ყვლა შემთხვევაში ათას ხუთასი დოლარი მრჩება.

ათასხუთასი ცოტა ფულია, ჩემისთანა გაღლეტილი კაცისთვის?

წინ კასიანე მიდის, კასიანემაც „მერსედესი“ იყიდა. „მერსედესს“ თბილისში გასავალი აქვს. უკან მე მივყვები.

პირველი ღამე რუმინეთის საზღვართან იაფფასიან სასტუმროში გავათიეთ.

დილაუთენია გამოვუდექით გზას.

ქალაქ ჰანსბურგთან წინ ორი „გრუზავიკი“ ჩამიდგა, არაფრით „აბგონზე“ არ გამიშვეს. გრუზავიკის შოფრები გერმანიაშიც თავხედებია.

მერე, როგორც იქნა, გაუხვიეს შუქნიშანთან მარჯვნივ, მაგრამ ამასობაში კასიანე დავკარგე.

ალბათ, ძალიან გამასწრო-მეთქი და მოვუმატე სიჩქარეს.

კასიანეს უფიქრია, ალბათ, სადმე მანქანამ უმტყუნაო, მოუბრუნებია მანქანა და უკან წასულა.

ევროპაში, მოგეხსენება, ძირითადად ცალმხრივი მოძრაობის ტრასებია, საპირისპირდ მომავალ მანქანას ხან ხედავ, ხან – ვერა.

ჰანსბურგის შესასვლელთან გამაჩერეს.

დარღვევით არ დამირღვევია, მაგრამ მწარე ფიქრებში გართულს ასფალტის ცვეთის ჩეკი არ მომიხევია.

აბა, დოკუმენტი, ვინაობა, მოქალაქეობა, როგორც წესი და რიგია.

ერთი საგზაო ინსპექტორია, ქერაფუცა, ბობრი ბიჭი.

ჩვენთან რომ ჯგროდ დგანან, ისე არ გახლავთ გერმანიაში,

ასეა და ასე-მეთქი ჩემი საქმე. მინდა, რაღაცას მაინც მივახვედრო.

გერმანულად მელაპარაკება, მე რუსულის მსგავს სიტყვებს ვისვრი.

მანქანის ნასყიდობის ქაღალდს ვაწვდი და ცერა თითით უკან ვანიშნებ.

– ბიტე? ბიტე?

აშკარაა, ვერ გაიგო, რომ მე მარტო არა ვარ, რომ უკან კასიანე დემეტრაძე მომყვება, რომელიც შემთხვევით ჩამომრჩა და რომ გამოჩნდება, ყველაფერს აუხსნის.

გადავაყენე მანქანა, გადმოვედი, ორივე ხელის საჩვენებელი თითი ერთმანეთს მივადე და ისევ გზისკენ უკან ვანიშნებ.

– დრუგ, დრუგ, კამარადარო, კოლეგა!

– ია, ია, კოლეგა!

გაიცინა და სუფთა, უაქცენტო გერმანულით რაღაც გრძელსა და საინტერესოს მიამბობს.

მერე თავის მანქანასთან მივიდა, ჩანთა ამოიღო და რაღაცას წერს.

ნასყიდობის საბუთთან ერთად ის ქაღალდიც დამიბრუნა და ხელკავით მიმაცილა „მერსედესამდე“.

დავხედე ქაღალდს, პირკატა მეცა. ჯარიმის ქაღალდი ნანახი მაქვს. თითქმის ყველა დამსჯელი საბუთი ერთმანეთს ჰგავს.

უკან უნდა გავბრუნდე და რომელიმე ბანკში ჯარიმა უნდა გადავიხადო, რათა ისევ აქ გამოვიარო და ჯარიმის ქვითარი სწორედ ამ ავტოინსპექტორს დავუტოვო.

რამდენია ჯარიმა? ბევრი არ არის, მაგრამ არც ცოტაა – ოცი მარკა.

ამოვიღე ათი მარკა და ვაძლევ.

ღარიბი კაცი ვარ. უკან რომ გავბრუნდე, ბენზინი უნდა ვხარჯო, ა, შენ ათი მარკა და დავხიოთ ეს ჯარიმის ქვითარი-მეთქი.

– ნიქს! ნაინ! – იცინის. ასეთი რამ ჩვენში არ მოდისო.

მერე ათმარკიანიც ამოვიღე.

ა, ბატონო, ოცი მარკაა. აიღე და იქნებ შენ თვითონ შეიტანო ბანკში-მეთქი.

შენც არ მომიკვდე, არ მიჯერებს.

ჩავჯექი მანქანაში, ვიქნები აქ კასიანეს მოსვლამდე, მოვა და თვითონ აგიხსნის-მეთქი ყველაფერს

გამიღიმა და ხელი გამომიწოდა, კარგად იყავიო.

ეს ჯარიმა-მეთქი?.

აქ გაჩერება არ შეიძლებაო, რომ დაგინახონ, სამსახურიდან გამაგდებენო. მე მხოლოდ სამი წუთით მაქვს მანქანის გაჩერების უფლებაო.

ჯარიმას რა ვუყო-მეთქი, თვალს ვუკრავ და ისევ ჯიუტად ვაწვდი ოც მარკას.

წადი და ჰანსბურგში გადაიხადეო.

ფული შეინახეო, მემუდარება. თითქოსდა ხელყუმბარა მეჭიროს, ისე შიშით შეჰყურებს ჩემს ხელს.

დავქოქე და წამოვედი.

რა ვქნა, სად ვეძებო კასიანე.

ჰანსბურგამდე აღარაფერი მაკლდა, კემპინგთან რომ შევჩერდი ადამიანური საჭიროებისათვის.

ხურდა არ მედო ჯიბეში და საპირფარეშოს დარაჯ ქალს, ჩემდა სამარცხვინოდ, შევეპარე.

ვიღაცას ხურდას რომ აძლევდა, დავღუნე თავი და შევედი.

თუ გამოსვლისას შემნიშნა, ათმარკიანს დავახურდავებ-მეთქი.

გამოვდივარ, ტუალეტის მოსამსახურე ქალბატონი არსად ჩანს.

ქალბატონი ჯანდაბას, ტუალეტი დაკეტილია.

თურმე, რაკიღა ვერ შემნიშნა, იფიქრა, არავინ არის შიგნითო, დაკეტა ტუალეტი და წავიდა, რა ვიცი მე, სად წავიდა.

ვაბრახუნებ, არავინ მოდის.

გავედი ქალების განყოფილებაში (კაცებისას ფანჯარა არ ჰქონდა), დიდი ჭაპან-წყვეტით გამოვაღე მინიანად თეთრად შეღებილი სარკმელი, რკინის გისოსებს ხელი ჩავჭიდე და ვყვირი:

– მისტერ! სერ! ბიტერ! ეფენდი, ფრაუ! ფროილაინ!...

უცნაური ხალხია ეს ევროპელები.

ჩემს ბღავილზე წამით შეჩერდებიან, კარგად დამაკვირდებიან, უცებ ხმამაღლა გაიცინებენ და გარბიან.

კარგა ხნის შემდეგ ორი კომბინიზონიანი მუშა მაინც გამოვიჭირე, ნაყინს შეექცევიან და სიცილით იფხრიწებიან.

აქ შემოვედი-მეთქი კაცური საჭიროებისთვის. ტუალეტის ქაღალდს და საპონს ვუჩვენებ. ქალისთვის ფული უნდა მიმეცა-მეთქი. ფულს ვიღებ ჯიბიდან და ვაჩვენებ. გაპარვა აზრადაც არ მომსვლია-მეთქი. თბილისიდან ვარ, სტალინის სამშობლოდან, ვინმე ბოგანო და მაწანწალა არ გეგონოთ, მოსამსახურე ქალმა ჩამკეტა და თავის სულელურ საქმეებზე წავიდა.არადა, გზაზე ვდგავარ, ძალიან მეჩქარება. აქ დასაჯდომად სადა მცალია. უკან ძმაკაცი მომყვება ახალნაყიდი, გასაყიდი „მერსედესით“, კასიანე დემეტრაძე-მეთქი.

ია, იაო, იცინიან. ვხვდებით ყველაფერს, მაგრამ ვერაფერს გიშველით, კარი დაკეტილია და ფანჯარა რომ გამოვანგრიოთ პოლიცია დაგვიჭერსო.

ბოლოს ის პატივი მაინც მცეს, რომ წავიდნენ და პოლიციელი მოიყვანეს.

ახლა პოლიციელს აუხსენი, ვინა ხარ და აქ საიდან მოხვედი. ან ჩაკეტვით რატომ ჩაგკეტეს და ან კასიანე დემეტრაძე რა მოხელე ჩინოვნიკია.

ისე, ტყუილს ვერ ვიტყვი, პოლიციელს ფეხი არ მოუცვლია, ერთ საათს ერთგულად მდარაჯობდა, გისოსებს არ მოშორებია. თან დროგამოშვებით საპოლიციო მობილურს რაღაცას ჩასძახოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ტუალეტის ფრაუ და ჯერ გაეცინა, მერე პოლიციელს კატეგორიულად, აშკარა პროტესტით განუცხადა მე რომ წავედი, საგანგებოდ დავათავალიერე, ტუალეტში არავინ იყო და წარმოდგენა არა მაქვს, ეგ ჯენტლმენი საიდან გაჩნდაო.

პოლიციელმა ტუალეტი გულდასმით დაათვალიერა და რაკი

ყველაფერი რიგზე იყო, ხელწერილით გამომიშვეს.

ჯარიმა სულ რაღაც ათი მარკა გადამახდევინეს.

სხვა არანაკლები გასაჭირიც დამადგა გზაზე, მაგრამ სხვა დროს გიამბობ.

გერმანიაში სამანქანვაჭროდ, რასაკვირველია, მეტი აღარ წავსულვარ.

მანქანის გადამყიდველი ჩემგან არ გამოვიდა.

ასარჩევი

მაესტრო 5
უწევო ბუხარი 18
კერპი 28
ფრთები 36
ფერმის გამგე კარლო 50
ავი კვამლი 61
უნაგირი 73
ღალატი 83
დიოგენი 96
ცვრიან ბალახზე 108
გუმანი 117
ბულდოგი 130
მიცვალებულთა გამცოცხლებელი 138
თავსატეხი 151
ორაგული 155
ცოცხალნი 168
ურვა 179
დაუოკებელი 190
ძნელია, ძნელი 201
გალობით დაღლილი ბულბული 208
კიაზო 215
ხეო სიცოცხლისა 225
კატასტროფა 236
შენ რას წაიღებ 249
ფუღუ 260
კითხვა-ძახილის ნიშანი 271
პროვინცია 279
ქალი 296
გულისთქმა 305
ელდა 310
შუქი 324
მტრედი თავდაღმა ჰკიდია 352
ამერიკელი სიძე 360
ემიგრანტი სალვადორე მანაგო 368
პატიმარი გერგაია 377
კანონიერი და უკანონო 383
ჩინური კედელი 394
ოცდაათი სირაქლემა 404
დეპუტატები 411
რიგითი პოლიციელი ხინგავა 419
გარანტია – სისხლის ყივილი 424
ნუ დამიმალავ... 436
ჩივილი 441
მელატარიე 445
ბომბორა 454
ხიზანი?! 457
რაღა მე გამწირეთ... 465
მანქანით მოვაჭრე 472

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ VI

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2012